www.Litklubi.ge

ოთარ ჭილაძე

მარტის მამალი

რომანი

www.Litklubi.ge

1

ბრმად მოვიდა და ბრმად მიდის; სიბნელიდან - სიბნელეში; ასე რომ, გულდასაწყვეტიც არაფერია. ვერ მოასწრო, ვერ დააგროვა ცოდნა; ისიც კი ვერ დაადგინა, სად ხარობს ცოდნის ხე, ერთი კალათი მაინც რომ დაეკრიფა და მთელი დანარჩენი სიცოცხლე გამოეზოგა. ვერც შეძლო და არც დასჭირდა. რომ შესძლებოდა, იქნებ, ახლა ენანა კიდეც, უფრო გული დასწყვეტოდა გამოუყენებელ ცოდნაზე. სამაგიეროდ, საკუთარი თვალით ნახა, რა უცებ ქრება სიცოცხლე და რა იოლად იკავებს სიკვდილი სიცოცხლის ადგილს. ვისაც ეს არ უნახავს, ვერც ნიკოს ფიქრს გაიგებს. "სასაცილოა, მე და ჩემმა ღმერთმაო" - სიკვდილის ჯიბრით იცინის ნიკო და, მართლაც, სასაცილოა, აბა, რა არის - ერთი წუთის წინ ცეცხლს ეფიცხებოდი, ცეცხლსა ჩხრეკდი ჯოხის წვერით, ვინ იცის, რაზე აღარ ფიქრობდი, რა გრძნობებით, რა განცდებით, რა მოგონებებით, რა იმედებით აღარ იყავი სავსე, მეორე წუთას კი - ბაც - დაბერტყილ ტომარასავით დაცარიელდი უცებ. ნამდვილად რომ სასაცილოა. სხვათა შორის, სიცილითაც შეიძლება მოკვდეს კაცი, მაგრამ ეს მეტისმეტია. გდიხარ პირქვე, სადათვე საფანტით გულმუცელდაფლეთილი, თითქოს შენი ხორციც იჭმეოდეს. არც უკითხავთ, ვინა ხარ, რა გინდა, რას აკეთებ აქაო - დაგინახეს თუ არა, ტყვია დაგახალეს, როგორც კურდღელს, შველს, კვერნას, ტურასა და მგელს დაახლიდნენ; კიდევ უარესი - სხვა რომ გამოვარდნილიყო იმ წუთას ნასაყდრალიდან შენს მაგივრად, იმასაც ისევე მოექცეოდნენ, არაფერი შეიცვლებოდა და, რაკი იმ წუთას, მაინცდამაინც შენ გამოვარდი ნასაყდრალიდან, შეიძლება, სულაც სხვის მაგივრად გდიხარ ახლა პირქვე, გაოცებული, გაშტერებული, ალბათ შეშინებულიც და, რაც მთავარია, მკვდარი. აღარაფერს აღარ გრძნობ, არავითარი ხმა არ გესმის - არადა, მგონი, უკვე ყივიან მამლები. იქნებ, ეშველოს ამ გაუთავებელ დამეს. ძაღლი კი ნამდვილად ყეფს. რახანია ყეფს. არც გაჩუმებულა. ყველასი და არავისი. უპატრონო. ასე იცის, გათენებამდე არ გაჩუმდება, ვითომ, გაიგეთ, შეიგნეთ, როგორი ერთგული მცველი ვარ თქვენიო. მაგრამ შენ აღარაფერი აღარ გესმის. ისიც აღარ იცი, შენა ხარ თუ სხვა, არც გაინტერესებს ამის დადგენა, რადგან საერთოდ აღარ არსებობ და უუუსაშველოდ სულერთია შენთვის, სამართლიანად არ არსებობ, თუ უსამართლოდ, ანუ, შენს მაგივრად თუ სხვის მაგივრად. ვეღარაფერს ვეღარ ხედავ და არც გინდა, ხედავდე; აღარაფერი არ გესმის და არც გინდა, გესმოდეს. გდიხარ პირქვე, შენთვის. ელასა-მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასაო. ვითომ არც ყოფილხარ. ადამიანი სიბნელიდან მოდის და სიბნელეში ქრება. ეს ძველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაინც არ იცის, რა ამბავია მის თავს. სიბნელიდან სიბნელემდე იმდენად პატარა გზაა, ვერ ასწრებს ამდენის გაგებას. ვერც უნდა გაიგოს, რომ გაიგოს, მართლა გაგიჟდებოდა, ამ მოკლე გზასაც არ გაივლიდა ბოლომდე, შუა გზაში გაოჩნდებოდა სახედარივით, არც წინ, არც უკან, თუმცა, რაც უკანა, წინაც ისაა, ოღონდ, წინ ბუნებას მიჰყავხარ, ალღოს, გუმანს - უკან გამოსაბრუნებლად კი გონებაა საჭირო და, რაც მთავარია, შენით უნდა გამობრუნდე - დაფიქრდე, გადაწყვიტო და აღასრულო კიდეც. მაგრამ ვინც არ იცის, რა სჭირს, ცხოვრობს თავისთვის, მშვიდად, არხეინად. უმრავლესობას ასე ურჩევნია, ასედაც გიპასუხებს: გაუშვი, ვიცოცხლო და არ ვიცოდეო. ცოცხლობ, მაგრამ არ იცი, რომ ცოცხლობ, რადგან შეგნებულად უარყოფ წარსულსაც და მომავალსაც. ცაში ხარ გამოკიდული, ნიავი დაგატარებს აქეთ-იქით, ირმის დორბლივით. გონება კი, ვიდრე არის, ყველაფერს იმახსოვრებს. ვერავითარი ჭურჭელი ვერ დაიტევს იმდენს, რამდენის დატევაც ადამიანის გონებას შეუძლია. ჯერ მარტო რამდენი ლექსი ამახსოვრდება (ვისაც ამახსოვრდება).

ღმერთო, ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა,
ღმერთო, ჩემს ირგვლივ რა ბურუსია...

www.Litklubi.ge

სულ ასეთი ბურუსი წევს, თურმე, სულეთის გზაზეც. მიდიხარ, მიდიხარ, გზა კი არ თავდება, როგორც ეს უსაშველო, უბოლოო, უკიდეგანო ღამე. ავადმყოფობის პირველი ღამე პატიმრობის ბოლო დღესავითაა, თუ გაუძელი, მერე არაფერი გიჭირს. მამლები კი ყივიან, მაგრამ ცას ბზარი არ უჩნდება. იმიტომ, რომ ის მამლებიც ნიკოს გონებაში ყივიან მხოლოდ, ნიკოს გონებამ დაიმახსოვრა სამუდამოდ, ლექსივით, ჩვეულებრივი მამლები კი არ არიან, არამედ - ელიასი, განწირულნი, შეწირულნი; განთიადის წინათგრძნობა კი არ აყივლებთ, არამედ - სიკვდილისა. მოქრიან ელიას მთიდან ფრთების ბათქაბუთქით, თვალებდაყვლეპილნი, ბრჭყალებგაფარჩხულნი, ბურთებივით ასკდებიან ქვადქცეულ მიწას, მტვრის ღრუბლებში ეხვევიან, საკუთარ ბუმბულში, საკუთარ ნაწლავებში (მიწაზე დანარცხებისას, უკნიდან გამოუვარდებათ ხოლმე შიგანი), მაგრამ მაინც ვერ მოყავთ ნანატრი წვიმა, დაგვალულ მიწას ისევ თავისთავად ავარდება ხოლმე აქა-იქ ალი. ა, ელია, ელია, შენთვის რა მიწყენია. ლაზარ მოდგა კარსა, აბრიალებს თვალსა. ლაზარე ოთხი დღის მკვდარი გააცოცხლა თურმე ღმერთმა. უკვე ყარდაო. ამიტომაც არ მარხავენ ოთხი დღე მკვდარს. გაიხედე და, ოთხი დღის მერე მართლა გაცოცხლდა! ოოოო, გამარჯობა შენი. როგორა ხარ? აბა, მოგვიყევი შენი ამბავი. რა ამბავი, რის ამბავი: ხელში მეჭირა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი. მაგრამ, ვინ რა იცის, მართლა რითი მთავრდება სიკვდილი?! ვინ რა იცის, რა არის კაცის სიცოცხლე?! არაფერი. წუთი. წამი. შემოჰკრა ქარმან და სწრაფ გააქრო. მაგრამ თუკი, როგორმე, წარსულში შებრუნება შეძელი, მერე კი წარსულიც გადალახე, მარადისობაში აღმოჩნდები თურმე და აღარასოდეს მოკვდები. აღარასოდეს აღარ მოკვდები. განა სულ ამას არ ნატრობს ჩუმის ნატვრითა ადამიანი?! სულ ამაზე ოცნებობს, ზღაპარია, ლექსია თუ ლეგენდა. უკვდავების წყალს მოიტანს, დააპკურებს ძვირფას მკვდარს, ბოთლში ჩარჩენილს თვითონ დალევს და დაიწყებს ბედნიერ ცხოვრებას, ღრმა სიბერემდე, გამაიმუნებამდე, ვიდრე მატლი არ ააღოღდება, ილიას მკვლელივით. უკვდავება არ არსებობს, ხოლო სიცოცხლე, ხანგრძლივიცა და ხანმოკლეც, სიკვდილთან შეჩვევაა და მეტი არაფერი. თავიდანვე ამიტომ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე - სიკვდილისთვის რომ მოემზადოს. მოსამზადებელი დროა, აი, როგორც მოწაფეებს ეძლევათ გარკვეული დრო ამა თუ იმ საგნის მოსამზადებლად. თუ დროში ვერ ჩაეტიე, ჩაიჭრები, ანუ, ღირსეულად ვერ მოკვდები, გამაიმუნდები, ქვეყანას აიკლებ ამაო წუწუნით, კვნესითა და მუდარით: არ შემიძლია. მზად არა ვარ. არ მინდა. მეშინია... სამარცხვინო საქციელია და მეტი არაფერი. ფუი, ამისთანა სიცოცხლეს. წასვლა სჯობს წამავალისაო. მაინც ვერ დარჩები. ვერავინ დაგტოვებს. გინდაც ხელმწიფის ბიძაშვილი იყავი. ვერც დაგაბრუნებს. ერთხელ არის წასვლაც და მოსვლაც. ამიტომ, რაც უფრო ადრე განეწყობი სასიკვდილოდ, მით უკეთესი. მერე მშვიდად იცხოვრებ დარჩენილ დროს, შეიძლება, რაღაც-რაღაცები მოასწრო კიდეც, რადგან სულერთი იქნება, როდის მოგიკაკუნებს სუდარიანი, როდის დაგადგება კბილდაკრეჭილი, მხარზე ცელგადებული. ეგონება, დავაფეთეო, შენ კი იქით შეუტევ, სადა გდიხარ აქამდეო. "ბიჭოს?!" - გაუკვირდება სუდარიანს. აბა, შენ რა გეგონაო - ნიშნს მოუგებ აგდებულად, არხეინად - ყველას კი არ ეშინია შენი, შე უტვინო, შენაო. სუდარიანი გაცეცხლდება, უარესად გამოტვინდება სიბრაზისგან, მე შენ გიჩვენებ სეირსო, ცხვირწინ აგიჩხრიალებს ძვლადქცეულ მარჯვენას (სკოლაშიც უდგათ ერთი ცალხელა ჩონჩხი, ისიც ასე ჩხრიალებს ხოლმე, როცა ბიჭები ესალმებიან - აუცილებლად ხელი უნდა ჩამოართვას ყველამ, თანაც, დღეში ორჯერ, მოსვლისას და წასვლისას. სხვათა შორის, ვანო მასწავლებელმა დაამკვიდრა ეს წესი: პირველად რომ შემოვიდა კლასში, ჯერ ჩონჩხს ჩამოართვა ხელი, მაგრად, ძველი ნაცნობივით, და მერეღა მოუბრუნდა კლასს - გამარჯობათ, მე ვანო მასწავლებელი ვარო). მაგრამ, რა ფეხები უნდა მოგჭამოს, რაღა უნდა დაგიშავოს, სიკვდილზე მეტი, არყოფნაზე უარესი. მართლაც, რა საოცარია: ვერაფერს იგრძნობ, ვერაფერს გაიგებ, ვერაფერს დაინახავ, ვერაფერს იტყვი. არც არაფერზე დაგწყდება გული, არც არაფრის შეგეშინდება. არ იქნები. იცი, მაგრამ ვერ წარმოგიდგენია მაინც. ბევრჯერ გინახავს, იცი, და მაინც არაფერი იცი. ამის სწავლა არ შეიძლება. ფიზიკაც შეიძლება ისწავლო, ქიმიაც, მათემატიკაც, უცხო ენაც - ეს კი არა. საზარელი სანახავია, კუბო რომ იფარება მიწით, თანდათან, სამუდამოდ. გინდაც

www.Litklubi.ge

გაცოცხლდე, ვიღა ამოგთხრის, ვინ რას გაიგებს, გინდაც ყირაზე დადგე მიწის ქვეშ, გინდაც ბღავილით აიკლო იქაურობა. თუმცა, ვერ იბღავლებ, მაშინვე მიწით აგევსება პირი. ვერც სუნთქვას შეიკავებ დიდხანს. ასე რომ, საშველი არ არის, ჯვარს ეცვი, თუ გინდა. ერთს საათი ჩაატანეს, მაგრამ გატეხილი. ჭირისუფალმა, ყველას დასანახად, კუბოს ქიმზე დაამსხვრია და მერე შეაბა მაჯაზე მკვდარს. კი მაგრამ, დალოცვილო, თუ არ გჯერა, რომ დასჭირდება, რატომდა ატან?! ხოლო, თუ გჯერა, რატომდა უმტვრევ?! ვის შეაკეთებინებს იქ?! გატეხვას არ ჯობია, დაიტოვო?! შეხედავ - გაგახსენდება. მარტო მკვდარი კი არა, ათასი რამე, ათასი წვრილმანი, კარგიც, ცუდიც... მივედით სასაფლაოსთან და დაუშვა კიდეც, კოკისპირულად... ანდა - მომიბრუნდა და მითხრა, მაპატიე, არ მეგონა, ასე თუ გეწყინებოდაო... საათს ხომ მთელი ჩვენი ცხოვრება აქვს გამოთვლილი წამი-წამ, ჩაწიკწიკებული. რა ძნელი ჩასაწიკწიკებელი კიდევ ის არის?! თუმცა, შეიძლებოდა, უფრო იოლიც ყოფილიყო, საჭიროც არ გამხდარიყო საათის გამოგონება, რადგან ღმერთს თავიდან ოცდაათი წლის სიცოცხლე დაუდგენია კაცისთვის. არა მარტო კაცისთვის, საერთოდ, ყველა სულიერისთვის - გეყოფათ და თავზეც გადაგივათო - მაგრამ, თუ იცით, ვის აურ-დაურევია ყველაფერი? ვისა და, ვირსა! არა, ბატონო, ოცდაათი წელი ძალიან ბევრია ჩემთვისო, ოცდაათ წელს რა გამაძლებინებს ვირადო, ვირობა თქვენ ადვილი ხომ არ გგონიათო. ძალიან მაგრად დამდგარა, ნამდვილად ვირული სიმტკიცე გამოუჩენია და გაუტანია კიდეც თავისი. ვირს ძაღლი და მაიმუნი აჰყოლია. ჯერ ძაღლი, მერე მაიმუნი. ძაღლს უთქვამს, ჩემმა მტერმა იყეფა და იღრინა ოცდაათი წელიო, მაინც არავინ დამიფასებს ამაგსო. მაიმუნს კიდევ - დამბლა მომივა ამდენი მანჭვა-გრეხითო. გაგიუებულან ბედის მწერლები, თქე სულელებო, გაძლევენ, ხომ არ გართმევენო, მაგრამ აღარ მოუცვლიათ იმათ ფეხი, აღარ გადაუთქვამთ სიტყვა. ბედის მწერლებს დაუხურავთ დავთრები, ვერ ჩაუწერიათ ღმერთის დადგენილება, ღმერთს კი შესცოდებია თავისი შექმნილი ცხოველები და ათ-ათი წლის სიცოცხლეღა დაუტოვებია იმათთვის. მაშინ კაცსაც ამოუღია ხმა, ახლა ის გაცეცხლებულა, მეც წინააღმდეგი ვარ შენი გადაწყვეტილებისო, ოღონდ, ვირის, ძაღლისა და მაიმუნის მსგავსად, კი არ მებევრება შენი ნაწყალობევი სიცოცხლე, მეცოტავებაო; ოცდაათ წელიწადში ან რისი დანგრევა მოვასწრო, ან რისი აშენებაო; რა მოვიპოვო და რა შევიძინოო; სხვა თუ არაფერი, ბავშვები მაინც ხომ უნდა დავაყენო ფეხზეო. ღმერთს შუბლი შეუკრავს, მოღუშულა. მართლაც, როგორი ამბავია, ტალახიდან კაცი შეჰქმნა, ის კი აგიხტეს, კრიჭაში ჩაგიდგეს, არ მომწონს, არ გეთანხმები, მეტი მინდა, უკეთესის ღირსი ვარო. მაგრამ ღმერთი კი არ გაბრაზებულა, შესცოდებია გაუმაძღარი ტალახი. აბა, რიღას ღმერთი იქნებოდა და რიღას შემქმნელი, თუ წინასწარვე ვერ განსჭვრეტდა, რა ძვირი დაუჯდებოდა ეს პირველი გაბრძოლება თიხის კაცუნას. მოკლედ, რაც ვირისთვის, ძაღლისთვის და მაიმუნისთვის დაუკლია, იმისთვის მიუმატებია და იმ დღიდან დაწყებულა იმის უბედურებაც. თავის კუთვნილ ოცდაათ წელს რომ მოათავებს, მერე ოცი წელი ვირულად შრომობს, თავჩაღუნული, მუხლჩაუხრელი, თავის დროზე ჭამაც აკლია და თავის დროზე ძილიც. მაგრამ თუ რამეს იძენს, იმ ოც წელიწადში იძენს, კაცური ჟინითა და ვირული შრომით. შემდეგი ოცი წელი, კაცური ჟინითა და ვირული ჯაფით მოპოვებულს, ძაღლივით დაჰყეფს და დარაჯობს - გალოკილ ძვალს ვერ მოპარავ. ღამით შუქს არ აქრობს, კეტმომარჯვებულს სძინავს, ოცჯერ მაინც ადგება თბილი ლოგინიდან და ოცჯერ მაინც დაათვალიერებს თავის კარ-მიდამოს, საკუჭნაოებს, სარდაფებს, ორმოებს, ქვევრებს, სადაც წინა ოცი წლის მონახვეჭი აქვს დაბინავებული და მარტო ადამიანური სიწუწკის გამო კი არ იქცევა ასე, ძაღლური, შეძენილი, მიმატებული ბუნებაცა სთხოვს - ეხალისება. ხოლო, თუ გაუწყრა ღმერთი და მაიმუნის ოცი წელიც იცხოვრა, ბოლოს აუცილებლად გამაიმუნდება თვითონაც. თუმცა, თვითონ გაბავშვებას ეძახის ამას. ჩემი მამამთილი მთლად ბავშვივითაა, ქაააა. ესე იგი - ხელითაა შესანახიო. საჭმელს ზედ ისხამს, ქაააა. შარვალს ვერ იკრავს, ძილში ეპარება და ასე შემდეგ, ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, არც სულ სიცოცხლე ვარგა, არც სულ სიკვდილი. როდისმე ერთიც მოგბეზრდება და მეორეც. თანაც, ვინ იცის, ან თუ იცის, საიდან იცის, სიცოცხლე რომ სჯობია სიკვდილს. მესამე გზა არ არსებობს - ან მკვდარი უნდა იყო, ან ცოცხალი. ანდა, როგორც ინდოელებს სჯერათ, რამდენჯერმე უნდა იბადებოდე -

www.Litklubi.ge

ხედ, ფრინველად, ნადირად, ადამიანად... ხან რად, ხან რად. ნიკო, მაგალითად, დარწმუნებულია, ოდესღაც, რომელიღაც ფრინველი იყო, მტაცებელი, ოღონდ, არ ახსოვს, რომელი. მიმინო? ქორი? ძერა? სამაგიეროდ, ბუდე ახსოვს ცხადად, ბუდის სუნი, ბუდის კიდეზე აფრიალებული ბუმბული (ალბათ გამომჩეკავისა) და პიტალო, ათასნაირად დაბზარული, მზემიშუქებული კლდეები. როგორ ამბობს მათუსალა?! ნუ ეძიებ წელსა ჩემსა, აგერევა ანგარიშიო. ადამის შვილიშვილი ყოფილა - სამი წლისა დავრჩი ადამსო. ნოესთან ხუროდ უმუშავია, ჩემი თვალით ვნახე, როგორ დაიწვა სოდომიო, ჩემი საყვარლებიც იყვნენ იქაო. აქვს სატრაბახო და ტრაბახობს კიდეც. დიდხანს სიცოცხლეც თავისებური გმირობაა - ბევრის ატანა შეგძლებია, დიდი მოთმინება გქონია. ბარაქალა! ბარაქალა! იმიტომაც გამოუთქვა ხალხმა ლექსი. ხალხს უყვარს, უხარია, სჭირდება დღეგრძელობის მაგალითი. ისე არ მიუსამძიმრებს ჭირისუფალს, მკვდრის ასაკი თუ არ იკითხა. რა ხნის ბრძანდებოდა ცხონებული დედათქვენი? მაგრამ დედას ასაკი რომ არა აქვს?! საერთოდ, ადამიანს არა აქვს ასაკი. ყველა ადამიანი, ჯერარშობილიც, ადამმა თან გამოიყოლა სამოთხიდან, სათესლე პარკუჭით, გამოაპარა კონტრაბანდასავით. იქიდან იწყება ყველა ადამიანის წელთაღრიცხვა. მაგრამ, როგორც ვანო მასწავლებელი ეუბნება თავის მოწაფეებს, ნათესიც მთესველივით სულსწრაფი და თავმსუბუქი აღმოჩნდა, მიწას კი არ ამოსცდა, მაგრამ ფესვი მიწის გულს ვერ მიუწვდინა, ვერ შეიწოვა მთავარი წვენი მიწისა, გულის წვენი, და ამიტომაც, უნდილი, უხორცო ნაყოფი გამოიბა. ესე იგი - ნიკო. ნიკოც. ასე რომ, თავისთავად ცხადია, ნიკოშიცაა თავმოყრილი, რაც მის გამომტან ბალახსა თუ ხეს გადახდენია თავს ცხოვრების გაზაფხულიდან ცხოვრების შემოდგომამდე, დღემდე, ნიკომდე. ამიტომ, მთავარი ის კი არ არის, რაც იცის, არამედ - რაც არ იცის. აუცილებელი ის კი არ არის, რასაც ნატრულობს, არამედ - რაც აქვს, რითაც ყოველდღიურად სარგებლობს, რითაც შეუძლია თავი გაიტანოს, ანდა, თავი დაიშავოს, თუნდაც, ტარმოყანყალებული წალდი. და მაინც ძნელი გასაგებია, რატომ უნდა კაცს დიდხანს სიცოცხლე, რას ხედავს ამისთანას სიცოცხლეში, ნიკო იქნება თუ სხვა. რა მოსაწონია, მაგალითად, ეგრეთ წოდებული ბავშვისთვის, მთელი ღამე (ღამეები) ნავთის ბიდონზე ყურყუტი, რიგი არ დამეკარგოსო, ერთი პეშვი ნავთი მაინც მივიტანო შინ, თუნდაც წყალგარეული, ძალადაკარგულიო (ნიკოს, რატომღაც, სიამაყით გაებერებოდა ხოლმე გული, როცა საავადმყოფოდან მობრუნებული დედა, გათოშილ, სიცივისგან დაწითლებულ ხელებს რიგრიგობით ყოფდა საცოდავად მბჟუტავ ნავთქურაში); ანდა - ცალი ხელით, მიწაზე დაყინული ფიჩხის მოგროვება, რაკი მეორე რუმბივით გაგხდომია, დაგლურჯებია, ხოლო, ჯერ კიდევ პირმოუკრავ ჭრილობაზე დადებული ხავსი, შენი სისხლით გაჟღენთილი, წარამარა ძირს გივარდება. ზოგი მართლა ხელითაა შესანახი და მაინც სიცოცხლეს ებღაუჭება, ნუკრიანელ მათუსალასავით, ხმის მისაცემად რომ მოაბრძანეს შარშანწინ არჩევნებზე, დილაუთენია, ფაეტონით. აბა, ღამე ის იყო, თუ იყო. ნიკოს თავი სად ება, არ იცოდა. არც სხვებმა იცოდნენ. მთელი ღამე ანთებული ჩირაღდნებით დაბორიალობდნენ ქალაქში, ოკუპანტებივით, უბან-უბან, ქუჩა-ქუჩა, ეზო-ეზო. წვეთი არ სძინებიათ. თორმეტ საათზე რომ მოუყარეს სკოლაში თავი, მერე ფეხსადგილშიც აღარ გაუშვიათ. ევგენია დუგლაძე კარგი ზედამხედველივით დასტრიალებდათ თავზე, ჩახმახივით შეწკეპილი, გაფაციცებული. სამაგიეროდ, სამხედრო მასწავლებელი სიხარულით აღარ იყო - ბოლოს და ბოლოს, იმასაც დაუჯდა კოჭი ალჩუზე, ძლივს ნამდვილი საქმე გამოუჩნდა. "ცოტაც გაძელით, ბავშვებო, და შევუტიოთო", - იძახდა მღელვარებისაგან ხმაგანაზებული. თან ხელებს იფშვნეტდა და მალ-მალე მოახსენებდა ხოლმე ევგენია დუგლაძეს: ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროაო. ბავშვები მართლაც მზად იყვნენ "საომრად" - უკვე მოემარჯვებინათ ნავთში ამოვლებული, ძონძებით თავშეფუთნილი ჯოხები და ცეცხლის მიცემაღა აკლდათ. "ხომ იცი, კოტე, ჩემი ამბავიო" - მაინც ეჭვობდა, მაინც არ ენდობოდა ევგენია დუგლაძე თავისი ხელქვეითის მხედრულ ნიჭსა და შესაძლებლობებს. ის კი, სამხედრო მასწავლებელი, თავმდაბლურად იღიმებოდა: ნუ ღელამთ, პატივცემულო, ეგენი რო მიუშვათ, მკვდრებს წამოყრიანო. და, მართლაც, ლამის მკვდრებიც წამოცვივდნენ საფლავებიდან. ყურთასმენა აღარ იყო, საკუთარი ხმაურით აღგზნებული, ნებაზე მიშვებული და, ყველა სიკეთესთან ერთად,

www.Litklubi.ge

უფროსებისგან წაქეზებული ბავშვები, გაცილებით მეტს აკეთებდნენ, ვიდრე მოეთხოვებოდათ. დამწიოკებლებს კრიახით აფრინდებოდნენ სახეში დაფეთებული, გაგიჟებული ქათმები. ქათმის ბუმბული თოვლივით მოდიოდა ციდან, ძაღლები ღობეებს ეხეოდნენ, იხრჩობოდნენ სიბრაზისგან, გაუგებრობისგან, "მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი დალატისგან". ვირები კბილდაკრეჭილნი შეჰყროყინებდნენ ცას. ბავშვები კი უარესად ბრახუნობდნენ, უარესად ჟღრიალებდნენ, კიოდნენ და წიოდნენ. საწოლებიდან წამოყრილი ხალხი ჩაუცმელ-დაუბანელი გამორბოდა საარჩევნო პუნქტისკენ. ქართველი მათუსალა კი ფაეტონით მოაბრძანეს ნუკრიანიდან. ხელში ქაღალდს ვერ იჭერდა. აგიტატორს ეჭირა იმისი თითებიცა და თითებში მომწყვდეული ბიულეტენიც. მოაცუნცულებდნენ და ისიც მოცუნცულებდა. იცოცხლეთ, გამრავლდით, იცოცხლეთ, განათლდითო - ხვდებოდა, რაღაც დღესასწაული იყო, მაგრამ მეტის მისახვედრად ჭკუა აღარ ყოფნიდა. ნიკო კი, თან ჩირაღდანს იქნევდა, თან ღრიალებდა, თან მდუღარე ცრემლი ჩამოსდიოდა სახეზე - ისე გულიანად დაწყევლა ვიღაც დედაბერმა, ტირილი აუვარდა, ვერაფრით ვეღარ შეიკავა თავი. დეიდამაც ვეღარ იცნო, ცრემლში აზელილი ჭვარტლით სახემოთხუპნული - გული გამისკდება, ეგეთი რომ დამესიზმროო. ნუკრიანელი მათუსალა კი ისევ ფაეტონით წააბრძანეს უკანვე. ვიღაცამ ფაეტონში ყვავილიც ჩაუგდო, მაგრამ იმას არაფერი გაუგია. იცოცხლეთ. გაიხარეთ. გამრავლდით. ამ ქვეყნისა აღარაა. მაგრამ, ზოგჯერ თვალთმაქცობენ კიდეც მოხუცები, მოისაწყლებენ ხოლმე თავს, შიგნიდან კი მაგრები არიან, კირკიტები. ღმერთმა ჯანი მისცეს. იცოცხლოს. ვის რას უშავებს, თავისიანების გარდა. ჩემი მამამთილი მთლად ბავშვივითაა, ქაა. ერთი სახრის დამკვრელი შვილიშვილი იმასაც ეყოლება ალბათ, მაგრამ არა უშავს, აიტანს, სიცოცხლისთვის ყველაფერს გაუძლებს ქართველი მათუსალა. ესეც საქმეა, ძმაოსა! მსოფლიოში ორი მათუსალა იყოს და აქედან ერთი - ქართველი. მთავარია, სახელოვანი გახდე, თორემ, სულ ერთია, რითი გაითქვამ სახელს - გიჟკოლასავით, მამის კუბოს ძებნით, თუ, გოგიასავით, კაცისკვლით. ბოდბელი ელიბო, მაგალითად, სირეგვნითაა ცნობილი, პანტის ზარბაზანი გამოუგონებია, მაგრამ კაცია, უკვდავია, წიგნში წერია იმის სახელი...

www.Litklubi.ge

მაგრამ ნიკოზე თუ იქნებოდა დამოკიდებული, საერთოდ, არ დაიბადებოდა, რაკი ისე ვერ იცხოვრებდა, როგორც ენდომებოდა, ოღონდ, ახლა ამაზე ფიქრი და გულის ხეთქვა, რა თქმა უნდა, უაზრობაა - უკვე დაბადებულია, თხუთმეტს ბევრი აღარაფერი უკლია, თექვსმეტი წლის წინ გადაწყდა მისი გაჩენა-არგაჩენის საკითხი, თანაც უიმისოდ, და სურს თუ არა, ახლა ისე უნდა იცხოვროს, როგორც ეცხოვრება. უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს, გზები მხოლოდ წინაა, მაგრამ, ჯერჯერობით, უხილავი. გზასაც პოვნა უნდა. გზას უნდა სწორედ პოვნა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყველაფერი უნდა აიტანოს, ვიდრე საბოლოოდ აეხილება გზის დასანახი თვალი. კიდევ უფრო ზუსტად, ვიდრე სინამდვილისაგან თავის დასაცავი ჩვენებები, სიზმრები თუ მოგონებები, ისევ სინამდვილეს დაუთმობენ ადგილს; ვიდრე ძმრისა და სპირტის სუნით გაჟღენთილი წყვდიადიდან - სადაც უაზრო, უფესვო იმედსაა ჩაჭიდებული და ჩიტივით გაფრენილსა თუ სანთლის ალივით გამქრალ დედას დაეძებს - თანდათანობით, ჯიუტად და სამუდამოდ გამოიკვეთება მკაცრი, მყარი სინამდვილე, როგორც ქვიდან - ქანდაკება; ვიდრე სამკურნალო ქილა გამოსათხოვარ კოცნას წითელ რგოლად შეატოვებს ზურგზე და სასიამოვნოდ მოწყდება, არათუ ერთი ბავშვის, არამედ სამყაროს დამაქცევარი სენის გამომწოვი მისი დაუძლურებული სხეულიდან. მაშინ მიხვდება მხოლოდ, სიცოცხლის გამგრძელებლად რომაა გაჩენილი და არა სიკვდილის მემატიანედ, სიკვდილის მკვლევარად. ამ რწმენით გავა აივანზე, ნაავადმყოფარი, ოდნავ შემცბარი, დაბნეული, აღგზნებული, როგორც ახალბედა მსახიობი - სცენაზე; ამ რწმენით გაიღვიძებს მისი მახსოვრობის ვულკანი და მოგუგუნე, მარად მდუღარე წიაღიდან იმ პირველ დღესაც ამოისვრის მოულოდნელად, როცა დედამ ატატებული გამოიყვანა აივანზე, ოღონდ, სხვა, ბათუმური სახლის აივანზე, და მომლოდინე ურჩხულივით, ანდა, აღელვებული ზღვის ტალღასავით გამოქანდა მათკენ ბაღის სიმწვანე, თითქოს მათ წასალეკად, ჩასანთქმელად; მაგრამ ახლა მარტო აივანი კი არ იქნება სხვა, არამედ - ნიკოც. სხვა ნიკო იდგება სხვა აივანზე - წარღვნას გადარჩენილი, ორგზის შობილი, შემცბარი, დაბნეული, უვიცობითა და ავადმყოფობიდან გამოყოლილი სისუსტით კი არა, სიბრძნითა და სიჯიუტით, ბუნებისა და ცხოვრების შხამიანი ოხშივრით გაჟღენთილი, გამძღარი, უკვე ძნელად წასალეკი, რადგან უკვე ისიც ეცოდინება, ტყუილუბრალოდ რომ არ გაუღიათ მისიანებს მსხვერპლი, ღირსი რომ იყო არა მარტო გაჩენისა, გადარჩენისაც, რადგან რაღაცის გადარჩენა ევალება მასაც, თუნდაც საკუთარი სინდისისა, სულერთია რისა, თუკი ნამდვილად მისია, მტკივნეულად, უკიდურესად მისი, მწარეს ახსენებს თუ ტკბილს, როგორც მშობლებთან ერთად გადაღებული სურათი, ანდა გაყიდული პიანინოს გორგლებით დაღარული იატაკი. რაც ეყვარება, სიყვარულის გამო ეყვარება მხოლოდ და რაც შეძულდება, ისიც სიყვარულის გამო შეძულდება. აღარ შეეპუება არაფერს, არც გაჭირვებას, არც დამცირებას, არც გაწბილებას და არც დამარცხებას; და, რაც მთავარია, სიკვდილამდე არ გაუნელდება რწმენა, მისგანაც რომ შეიძლება მართლა გამოვიდეს "დიდი კაცი"; ეჭვითა და უნდობლობით არ დააკნინებს თავის თუნდაც გაუქმებულ ბავშვობას, არასოდეს დაავიწყდება თავისი ბავშვობის ბაღი, როგორც არ უნდა გადაასხვაფეროს, გაახმოს, გამოკაფოს იგი დრომ; არ დაავიწყდება იმისი მათრობელა მზე, ჟრუანტელის მომგვრელი ჩრდილები, უხილავი, მაგრამ გაუჩუმარი ჩიტები, ლეღვის ხაოიან ფოთლებზე გადაგლესილი აბლაბუდას ნაკუწები და ლეღვის დაბურული, მსუსხავი ბინდიდან მოულოდნელად გამოცხადებული, ძუძუმოშიშვლებული ბოშა ქალი, დედას რომ უთხრა: შენი ბიჭი დიდი კაცი გამოვაო; ერთი ხელით დედას რომ ჩაფრენოდა მაჯაში, თითქოს წაყვანას უპირებდა, მეორეთი კი, თავისი ნიკო ჰყავდა ატატებული, ლეკვივით ბინძური და მოუსვენარი, წარამარა რომ ეტანებოდა დედამისს გაშიშვლებულ ძუძუზე, სანამ დედამ მკვახე ლეღვი არ შეაჩეჩა ხელში, სანამ იმ მკვახე ლეღვის გადატეხილი ყუნწიდან უზარმაზარი, დაბუშტული რძის წვეთი არ ამოიზარდა, რომლის თვალისმომჭრელმა სინათლემ თანდათანობით გადალეკა ყველაფერი; კი არ გადალეკა, შენიღბა, ავ თვალს გაარიდა, უკეთესი დღისთვის გადამალა თავის სითეთრეში, თავის მარადიულ წიაღში, რათა მერე, საბოლოო დაბადების დღეს, პირველყოფილი სიცხადით აღედგინა, საჩუქრად მიერთმია ნიკოსთვის, დაებრუნებინა, როგორც ერთადერთი და კანონიერი მემკვიდრისთვის. მაგრამ ამასაც

www.Litklubi.ge

მერე მიხვდება ნიკო, საწოლის, ავადმყოფობის, ოფლის, სპირტისა და ძმრის სუნით გაჟღენთილი, ერთთვიანი ავადმყოფობისა თუ ერთთვიანი სიკვდილის შემდეგ პირველად გასული პაპისეული სახლის აივანზე. თბილად შეფუთვნილი, მზისთვის სახემიშვერილი, ერთთვიანი ავადმყოფობითა თუ ერთთვიანი სიკვდილით დაბრძენებული, დაკაცებული, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნის გადამლახავი, ანუ, საკუთარ არსებაში სამუდამოდ შემაერთებელი სიკვდილისა და სიცოცხლისა, როგორც მამისა და დედისა; ამომხსნელი და მძლეველი, რადგან სიკვდილი იდუმალის ამოხსნას შეაძლებინებს, როგორც მამა, სიცოცხლე კი - ამოხსნილის დაძლევას, როგორც დედა. ამოხსნა და დაძლევა განაპირობებს იმასაც, თუ რამდენად კანონიერი, ანდა, მიზანშეწონილია საერთოდ მისი გაჩენა და, აქედან გამომდინარე, გადარჩენაც. ამ დიადი გარდაქმნისა თუ ხელმეორედ შობის დღეს ნიკოს აფორიაქებულ გულშიც ისევე დაუდევრად, დაუკითხავად და ბუნებრივად შეაღწევს გაზაფხული, როგორც პაპის ეზოში. ისევ იჟივჟივებენ ჩიტები, ისევ აივსებიან ბუდეები კრიალა, ჭორფლიანი კვერცხებით. "შემოხვალ, თუ მანდ მოგართვა რძეო" - დაუძახებს ბებია ოთახიდან და იმავე წამს თვითონაც გამოვა აივანზე ჭიქისა და ლამბაქის წკრიალით. საკუთარ ხმას გამოჰყვება თითქოს, საკუთარი ხმა გამოიყოლებს, როგორც ანკესი - თევზს. თავისი სიკერპის, სიჯიუტის, რწმენისა და იმედის რძეს აივანზე გამოუტანს შვილიშვილს - ნუღა გააცივებო - ეტყვის და გაბრუნდება, ვალმოხდილი, გამარჯვებული, გაბედნიერებული. ხოლო, ნიკო დარცხვენილი, შეწუხებული, გულაჩუყებული და უსაზღვროდ მადლიერი გააყოლებს თვალს მისი ერთგული ამალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წევრს, მისი დროშის ქვეშ პატიოსნად დაბერებულ ჯარისკაცს და, უცებ, ნაზი, მოალერსე სევდა დაეუფლება, პირველად ნანახი მატარებელივით გრძელი, უსასრულო, ამაფორიაქებლად გატრუნული, მომლოდინე რაღაცისა, თუმცა, უკვე ცარიელი, ჩიხში გადაყენებული, სამუდამოდ გაჩერებული, სამუდამოდ გაუქმებული, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, უფრო საჭირო - ჯარისკაცებით, ცხენებითა და ზარბაზნებით დატვირთული მატარებლების გამო, რომელთა გვერდით სათქმელადაც არ ღირს ერთი ბავშვის ბავშვობა; მაგრამ ნიკო მაინც ჯიუტად ჩააცქერდება თავისი ბავშვობის მატარებლის გამოცარიელებულ სარკმლებს, რადგან არაფრით არ შეიძლება, თუნდაც გაუქმებული ბავშვობიდანაც არ გადარჩეს რამე, რამე მაინც. "არ შეიძლებაო" - იმავე წამს დაუდასტურებს მოლანდებული დედა და კატასავით ზანტად, მადისაღმძვრელად აილოკავს ხელზე დაწვეთებულ რძეს, გედივით ქათქათა ხელსახოცით გაიმშრალებს ტუჩებს - დაჭმუჭნული ხელსახოცი მოკლული გედივით დაეცემა მაგიდაზე - მერე ხმელი ფოთლების გვირგვინს მოიხდის და ნიკოს დაადგამს თავზე. მაგრამ ესეც მერე მოხდება, მერე, წარღვნის მერე. ჯერჯერობით კი, ყველაფერი ძველებურად გრძელდება. ქარს მიაქვს ქვეყანა. ხან ნიკოს ფიქრს სწვდება და, გაკაპასებული, გლეჯს, აქუცმაცებს, როგორც ზოგიერთი მასწავლებელი - მოწაფის რვეულს, რომელშიაც მოწაფეს, სასკოლო დავალებების ნაცვლად, საკუთარი ლექსები ჩაუწერია, თანაც სიყვარულზე. ნიკოს ტვინის დერეფნები მისივე ფიქრის ნაფლეთებითაა მოფენილი, როგორც ჩვეულებრივი სკოლის ჩვეულებრივი დერეფნები ჩვეულებრივი რვეულის ნაფლეთებით. ქარი კი ახლა ცარიელ ბოთლს დააგორებს აივანზე. ერთობა თავისებურად. მაგრამ, ვინ იცის, მართლა ქარი დააგორებს მართლა ბოთლს?! ვინ დატოვებდა ცარიელ ბოთლს აივანზე?! მკვლელები მოვიდნენ ალბათ. გოგია მოვიდა! თოფის კონდახით შემოამტვრევს ახლა კარს და დედაწულიანად ამოხოცავს ყველას, აბა, ვნახოთ, მკვდრები როგორღა დაამტკიცებთ, მე რომ წავაძვრე მკვდარ კაცს თითიდან ბეჭედიო. ბოთლი კი მართლაც შემაშფოთებლად, შემაწუხებლად დაგორავს აივანზე, კედელსა და მოაჯირს შორის, გაგორდება და გამოგორდება, იქიდან მოაჯირი უკეტავს გზას, აქედან კედელი. მაგრამ, ნიკოსი არ იყოს, სრულებითაც არ არის გამორიცხული, ქარი კი არა, გოგია დააგორებდეს ცარიელ ბოთლს, ოინს უკეთებდეს ამათ, კარს კი არ უმტვრევდეს, მშვიდად ელოდებოდეს, როდის გაბეზრდებიან ესენი, როდის გამოვლენ აივანზე ცარიელი ბოთლის ასაღებად, დრო რომ იხელთოს თავად და საკუთარ ბუნაგშივე მოუთავოს ხელი მისი სიავკაცის მოწმეს.

www.Litklubi.ge

ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ, ჩვენში რომ ვთქვათ, ნიკოც კარგი მშიშარაა, პაპის ალი და კვალია, თუმცა, იქნებ აჯობოს კიდეც, პაპასაც გადააჭარბოს მშიშრობაში, რამდენადაც, არათუ მარტო პირადი, არამედ, რაც კი თავისიანებს ოდესმე შიში უჭამიათ, ყველა გადატანილი აქვს, თანაც, თავისიანებივით ერთხელ და შემთხვევით კი არა, წინასწარი განზრახვით, შეგნებულად და იმდენჯერ, რამდენჯერაც მოეპრიანება, რამდენჯერაც, გუნება-განწყობილებისამებრ, წარმოუდგენია, შეულამაზებია, განუვრცია და, რასაკვირველია, "გაუპოეტურებია" სხვის თავს გადამხდარი ამბავი, ხიფათი, შემთხვევა, ძირითადად თავისიანებისაგან მოსმენილი, შეიძლება, მის დაბადებამდეც მომხდარი, მაგრამ მის მიერ ხელახლა აღდგენილი, მისგან ხელმეორედ სულჩამდგარი, რის გამოც, ისინი, ხშირად, საკუთარ დედნებსაც აღემატებიან ხოლმე სიმძაფრითა და სისასტიკით, დედნებზე დიდხანს ინარჩუნებენ ზემოქმედების უნარსაც, უფრო სწორად, ოდესღაც, დავუშვათ, პაპის თავზე დარეკილი შიშის ზარი, კიდევ უფრო მძლავრად გუგუნებს შვილიშვილის წარმოდგენებში, კიდევ უფრო შემაშფოთებელია მისი გუგუნი, თუნდაც იმიტომ, ამ წარმოდგენებში, სინამდვილისაგან განსხვავებით, ბევრი რამე, მხოლოდ და მხოლოდ, ნიკოს სურვილით რომ ხდება და რაც ხდება, იმავე ნიკოს გამომგონებლური ნიჭისა და უაღრესად მგრძნობიარე ბუნების წყალობით, ბევრად აღემატება სინამდვილეს. მაგალითად, თავისი ჯარისკაცობის დროინდელი მოგონებებიდან პაპას არასოდეს მოუყოლია მეწინავე რაზმის გადმოსვლა ხიდზე, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, შორიდანაც რომ არ უნახავს ის მეწინავე რაზმი თავად, არ უნახავს და ვერც ნახავდა, რადგან ის მეწინავე რაზმი ხიდზე რომ გადმოდიოდა (თუკი გადმოდიოდა), პაპა უკვე შორს იყო, ვინ იცის, უკვე ლოჭინს იყო გამცდარი - ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო - თუმცა, იმ მეწინავე რაზმის წარმომდგენელი კიდევ უფრო შორს იყო საერთოდ ყველაფრისგან, რაცკი იმ დროს მიწაზე ხდებოდა და არსებობდა, ამჯერად, იმ საპატიო მიზეზის გამო, დაბადებულიც რომ არ იყო ჯერ და ჯერ კიდევ ბევრ წყალს უნდა ჩაევლო, ვიდრე ის მოევლინებოდა ქვეყანას, და მაინც, არასოდეს მიბრუნებია თავის ფიქრებში პაპის ჯარისკაცობის დროინდელ ამბებს, თვალნათლივ არ დაენახოს ის მეწინავე რაზმი, ცხადად არ ეგრძნოს დილისწინა წყვდიადში შეკუმშული, წამიერად მოთოკილი, ადგილზე გაშეშებული, საერთოდ კი დაუოკებელი ძალა, სწრაფვა იმ მეწინავე რაზმისა, რომლის გამოჩენითაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, იწყება მის მიერ გათავისებული პაპისეული მოგონებები, ანუ - წარმოდგენა უგმიროდ, უფრო ზუსტად კი, წარმოდგენა სხვისი მოგონებებისა, სადაც ყველა მთავარი გმირი თვითონაა, ყველა "საინტერესო" როლს თვითონ ასრულებს მთელი მონდომებით, ვნებითა და მღელვარებით. და ასე მარტო იმიტომ კი არ იქცევა, თავი რომ გაირთოს, არამედ - გადაირჩინოს კიდეც ხანდახან, კიდევ ერთი, კიდევ ერთხელ მოულოდნელად გამომტყვრალი განსაცდელისგან. ესეც ერთგვარი (და საკმაოდ საიმედო) იარაღია თავდაცვისა - თვალებგადმოკარკლული გოგია ორლულიანი თოფით დაეძებს მოსაკლავად, ის კი, ლამის ზღაპარში გადასულა, გადაკარგულა, გადასხვაფერებულა და ხან მოხუცი, ხელჯოხიანი გენერალია ვითომ, რომელმაც სიტყვით უნდა მიმართოს სანგრებიდან ამოყრილ ჯარს, ხან კი - თავად ჯარი, სანგრებიდან ამოყრილი, ძილბურანში მყოფი, მიწაზე გდებით სახსრებგაშეშებული, რომელიც წესიერად ვერ გარკვეულა, რა მოხდა, რატომ ამოყარეს ძლივს ჩამთბარი, კაცის სუნგამჯდარი სანგრებიდან, ვერ გარკვეულა, გაუხარდეს თუ ეწყინოს უბრძოლველად მიტოვება ბრძოლის ველისა, გაახაროს თუ შეაშფოთოს ამ ამბავმა, და ათასნაირი ფიქრით, იმედით, ვარაუდით, ეჭვითა და შიშით აფორიაქებული ელოდება, რას ეტყვის საყვარელი გენერალი, მხრებზე მაზარამოგდებული, ორივე ხელით ხელჯოხს დაბჯენილი, მიწას რომ დასცქერის ფეხებთან, გარეგნულად მშვიდი, უდრტვინველი, როგორც ნამდვილ გენერალს შეჰფერის, შიგნით კი, გულის სიღრმეში, ჯარზე არანაკლებ შეშფოთებული, არანაკლებ დაბნეული. მაგრამ ჯერ მაინც არ იტეხს იხტიბარს, ჯერ ისევ გენერლობს და ნელა, დინჯად მიაბიჯებს ჩამწკრივებული ჯარის წინ, თან ხელჯოხს იშველიებს, თითქოს სადღაც, თავის მამულში, თავის საყვარელ ხეივანში მისეირნობს ჩვეულებისამებრ. ხანდახან ჩერდება კიდეც და ცალი ხელით მაზარის საყელოს იწევს, სახეს არიდებს თოვლს.

www.Litklubi.ge

თოვს, რახანია თოვს, მაგრამ პირველად ახლა ამჩნევს თითქოს. "ვაშაااა" - გაუბედავად, ნახევარი ხმით ყვირის ჯარი - დაბნეული, დამფრთხალი, აბუზული, აღრენილი. ირიბი, სწრაფი თოვლი შრიალით ინთქმება მიტოვებულ სანგრებში, მიტოვებული სანგრების ჯერ კიდევ თბილსა და ბნელ სიცარიელეში.

ჯარი კი უკვე თბილისში მიბრაგუნობს, მიღრჭიალებს, მიბრახუნობს და ათასნაირ, მიტოვებული სანგრებისა თუ ჩამქრალი საველე სამზარეულოების, ოფლიანი ტყავისა თუ ნესტიანი თივის ერთმანეთში აღრეულ, ერთმანეთით გასქელებულ, გამძაფრებულ სუნს ტოვებს ცარიელ ქუჩებში. ვიღაცები ზურნის ჭყიპინითა და ჭრელი ბაღდადების ფრიალ-ფრიალით მიუყვებიან აღმართს ჯარის საწინააღმდეგო მიმართულებით. სახლებს უკან, სახურავებს ზემოთ, ტაძრის ლანდი გარინდულა. ეს პაპის ჯარისკაცობის დროინდელი თბილისია. არაფრით არ ჰგავს ნიკოს თბილისს, არც დედათა და ბავშვთა ოთახის გისოსებიანი სარკმლიდან და არც დაქირავებული ეტლიდან დანახულს. ხოლო, თავად ნიკო ახლა საკუთარ პაპადაა გარდაქმნილი და თავქუდმოგლეჯილი, მაზარაგაღეღილი (თოფი და ნიჩაბი უკვე გადააგდო), გულამოვარდნილი მიშლიგინობს ლოჭინის ჭალაში, გაუჩინარებულ, თოვლით გასქელებულ წყალში მიტოპავს, ეკლიან ტოტებს ებღაუჭება, დაბრმავებული, დაყრუებული, რადგან ერთნაირად ეშინია როგორც მტრისა, ისევე მოყვრისა. უფრო ზუსტად - ამას ყოველთვის ხაზს უსვამს პაპა - არ იცის, ვინ მოყვარეა და ვინ მტერი, ანუ, მოყვარე რატომაა მოყვარე, მტერი კი - მტერი. არ იცის მათი გამოსარჩევი ნიშანი, არავის უსწავლებია. ლოჭინის ავად დადუმებული ჭალა კი არაფრით აღარ თავდება, ლამის ქვეყნის კიდემდე გადაიჭიმოს, ცოტაც და, მართლა გაუჩერდება გული პაპას, პაპას კი არა, პაპის განმასახიერებელ შვილიშვილს, ნიკოს. "ღმერთო, რა შეგცოდე, რას გიშავებ ამისთანას. ერთი მშვიდი დღე რომ ვერ გამოიმეტე ჩემთვისო" - შეჰღმუის ცას თოვლჭყაპში ჩაჩოქილი. მეტი აღარ შეუძლია, გინდაც მართლა მოკვდეს, ვეღარ წამოდგება, ვეღარ გააგრძელებს გზას. კაცმა რომ თქვას, გზაც აღარ არის, გათოშილ წუმპეშია ჩაფლული. "ჯანდაბას ცოლ-შვილი, ჯანდაბას ყველაფერიო" - ახლა თოვლ-ჭყაპს ჩაჰყვირის თავჩაქინდრული, კინწმოწყვეტილი. ხელები, მაჯებამდე, გათოშილ ჭყაპში უწყვია. მაინც არ ადგება, კაცის ჯიბრზე, ღმერთის ჯიბრზე, რაკი კაცმაც აითვალწუნა და ღმერთმაც. მერე რაა, რომ მშიშარაა, აღარც შიშსა აქვს აზრი. ადამიანს ყოველთვის ვიღაცისა თუ რაღაცის გამო ეშინია, იმისთვის კი (პაპისთვის), სწორედ ის ვიღაცა თუ რაღაცა გაუფასურდა, გაქარწყლდა, აიზილა ამ თოვლსა და ტალახში. არც ახსოვს და გინდაც ახსოვდეს, ვერ წარმოიდგენს, როგორ გამოიყურება მისი ცოლი, მისი ერთადერთი სიამაყე; როგორ გამოიყურება მისი ათი წლის, არა, უკვე თერთმეტი წლის გოგო, მისი მთავარი სიყვარული, ახლა უკვე ნიკოს დედა. ვერ წარმოიდგენს, რამდენადაც აღარაფერია ირგვლივ იმათი შესაფერი, საიმათო, იმათი არსებობის დამადასტურებელი და გამმართლებელი. ოჯახი და ცოლ-შვილი ადამიანს უნდა და არა უსამართლობით, უსინდისობით, უგნურობით დაბეჩავებულ, ჩაწიხლულ, დაკნინებულსა და, როგორც სულიერად, ისევე ხორციელად, დაცემულ არსებას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. დაცემულია კი არა, აღარ არის, ლამის ტალახად იქცეს თავადაც, ტალახსა ჭამს აზლუქუნებული, გზასამცდარი, აზრდაკარგული. ერთადერთი ფიქრი უღვივის გონებაში, ადამიანობის დროიდან შემორჩენილი, ჯერ კიდევ დამადასტურებელი მისი ადამიანური წარმოშობისა: აქ არ მოვკვდე, ოღონდ, აქ არ მოვკვდეო.

www.Litklubi.ge

უცებ დაბალი, მეჩხერი ბუჩქნარიდან ორი ცხენოსანი გამოვა. ცხენებს შეაჩერებენ და თოვლჭყაპში ჩაჩოქილ კაცს მიაჩერდებიან ცოტა ხანს. მერე ერთ-ერთი მათგანი ცალი ხელით შაშხანას შემართავს, კონდახს მხარზე მიიბჯენს და დაჩოქილ კაცს, რომელიც თითქოს ეს წუთია ტალახიდან გამოუძერწავს ვიღაცას, ნიშანში ამოიღებს. პაპა ყვება, არაფრის აღარ მეშინოდაო, მით უფრო იმათიო, იმათი წარმოდგენა უფრო მზარავდა, რადგან არ ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდნენ სინამდვილეშიო. პაპას (ნიკოს) ჯერ კიდევ უჭირს სუნთქვა, ჯერ კიდევ ქოშინობს, ხრიალებს, მაგრამ მშვიდად ასცქერის დამიზნებულ შაშხანას. პაპა ამბობს, ყველაზე დიდი შიში ისაა, რომელსაც ვეღარ გრძნობო. "არ ესროლოო" - დაუძახებს მეორე ცხენოსანი შაშხანიანს. "რატომო" - გაიკვირვებს შაშხანიანი. შაშხანა ჯერ ისევ მხარზე აქვს მიბჯენილი. მხედარზე არანაკლებ გაკვირვებული ცხენი ადგილზე დატრიალდება, საკუთარ კუდს წაეტანება საკბენად, ეს რა გაიგო ჩემმა ყურებმაო, როგორ შეიძლება მტრის დაზოგვაო. მხედარი უნებურად მაღლა ასწევს შაშხანას, ამხანაგს რომ არ წემოედოს ლულით. პაპა კი მუხლებზე დგას, ხმაგაკმენდილი, გაშეშებული, ვითომ, ჩვეულებრივი ტალახია და მეტი არაფერი. გინდა ტყვია დაახალონ, გინდა ცხენები გადააატარონ ზედ, ხმას არ ამოიღებს. შეიძლება, ხმა გაიღოს ფლოქვის ქვეშ, მაგრამ სიტყვას არ დასძრავს, არ გაამჟღავნებს თავის ადამიანობას, რადგან სული, რომელმაც ოდესღაც ტალახი ადამიანად აქცია, გაუფრინდა, და, უსულოდ დარჩენილი, თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა. ეგ არის და ეგ. და საერთოდ, თუკი ყველანი თავს გაანებებენ, შინაურნიც და გარეულნიც, მადლობელი იქნება. რა იმის საქმეა თოფი და ზარბაზანი, სადგურებში, ყუმბარის ცარიელი ყუთებით დანთებულ ცეცხლთან ყურყუტი, ცეცხლში პურჭყება და გაპარული მთავრობის გინება. ხან დენიკინი შეახსენებდათ ოდინდელ მორჩილებას, ხან ოსმალო. ხან ნატანებთან ისხდნენ ნაუცბათევად ამოჩიჩქნილ სანგრებში, ხან ტუაფსეს მისადგომებთან. ამიტომაც დაჰკრა პაპამ ფეხი და გამოიქცა შინისკენ. აი, უკვე ლოჭინს გამოსცდა. მტრებმა არც ტყვია დაახალეს, არც ცხენებს გადაათელინეს - ჩვენ რას დაგმართებთ იმდენს, რაც შენს თავს დამართეო. ისიც მიძუნძულებს შინისკენ, უაზროდ, უსაფუძვლოდ დაიმედებული, თებერვლის სუსხით გამსჭვალული, წვერულვაშზე ტალახშეყინული, ჯარისკაცული ჭუჭყით შეჭმული, ნაშიმშილევი... სველი მაზარა სიარულს უშლის, მაგრამ ვერც მოუშორებია, ხორცში ჩაკვდომია თითქოს. მაინც მიდის, მიძუნძულებს, ხან უგზოდ, ხან ბილიკ-ბილიკ, მოკლეებზე, შემოვლით... შინისკენ გარბოდა, რადგან ასეთია ბუნება კაცისა, ასეა ცხოვრება მოწყობილი: თითქოს სწვდები საწადელს, ცოლს შეირთავ, შვილს გააჩენ, ჰა და ჰა, თითქოს უნდა გაგიმართლდეს ნაოცნებარი და სწორედ მაშინ შემართავს ხოლმე ბედისწერა ეროს. ის კი, ადამიანი, მაინც იბრძვის, მაინც წვალობს, მაინც ფუტფუტებს ოცნების ნამსხვრევებში და ხელახლა აჩიტებს, ხელახლა აფრთიანებს ახალ ოცნებას, ერთხელ კიდევ რომ გაიწბილოს თავი. ამას ჰქვია ცხოვრება, ასე დაგვეკვება ღმერთისგან და ამის შეცვლა არ შეიძლება, რადგან ცხოვრება ან არის, ან არ არის, მისი შეცვლა მის მოსპობას ნიშნავს, ანუ, სიკვდილს, არაფერს. ამიტომ, ასე იქნება სულ. ასე იქნება სულ. "ასე იქნება სულო" - უწიოდა ყურებში პაპას და დაფეთებული, დევნილი ნადირივით მიშლიგინობდა გაუვალ ჯაგებში. ასე იწვალებს და ივაგლახებს სულ ადამიანის ნაშიერიო - ფიქრობდა მღელვარედ, სხაპასხუპით, ნაფიქრალის აზრს ჩამწვდარი. ასე იწვალებს და ივაგლახებს თურმე ადამიანი, ღმერთმა იცის, როდემდე, რადგან მხოლოდ ღმერთზეა დამოკიდებული, აუშვებს თუ არა თავისსავე დაბმულს, მიუტევებს თუ არა მასთან მორკინალის ნაშიერს, რამდენადაც დაბმულის ნაშიერიც დაბმულია. პაპა ამბობს (ალბათ ღმერთის შიშით), ამირანი გმირი კი არა, ხულიგანი იყოო, ღმერთსაც არ უწევდა ანგარიშს და იმიტომაც გამოაბეს ბოლოს პალოზეო. ხოდა, ვიდრე თავად ღმერთი არ მიუტევებს, იქამდე აუხდენელი ოცნება და დაუნდობელი იმედი შეუნარჩუნებს ადამიანს სიცოცხლეს, რადგან სიცოცხლეც თავად აუხდენელი ოცნება და დაუნდობელი იმედი ყოფილა. მაგრამ ხომ შეიძლება, მოლბეს როდისმე ღმერთის გული, ხომ შეიძლება, მიუტევოს ადამიანს მასთან დაჭიდების, მისი ძლევის სურვილი და პაპის მიერ ხულიგნობად მონათლული საქციელი, ადამიანის დიადისაკენ სწრაფვად, ადამიანის ულევი ძალისა და ურყევი ნების გამოხატულებად აღიქვას?! "იქნება,

www.Litklubi.ge

მართლა მოლბეს როდისმე ღმერთის გულიო" - ფიქრობდა პაპა, გულამოვარდნილი, აქლოშინებული, ეკალბარდებში სახედაბღორტნილი, მაზარაშემოფლეთილი, ლანჩებამძვრალი. "ვინ იცისო - ფიქრობდა და მირბოდა. - იქნებ დაადგეს საშველიო, იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს, ისევ გამოვიდეს სამზეოზე უფალავნობით დაბეჩავებული ხალხიო. - ფიქრობდა შიშითა და მოულოდნელად გამომტყვრალი იმედით აღგზნებული, აფორიაქებული, საკუთარი აღსასრულის შეგრძნებით გაღონიერებული და თუნდაც მხოლოდ ამიტომ, ნებისმიერი სივრცის, ნებისმიერი სიცარიელის გადამლახავი. - იქნება, ჩვენც შევძლოთ ცუდის მოშორება და კარგის შენარჩუნებაო - ფიქრობდა და თვითონვე სჯეროდა ნაფიქრალისა და, რაკი სჯეროდა, კიდევ უფრო ღრმად, კიდევ უფრო თამამად შედიოდა ფიქრში, როგორც უფსკერო და უკიდეგანო მდვიმეში, სადაც ყოველ ნაბიჯზე უზარმაზარი, გაშეშებული ურჩხულებისა თუ დევების მსგავსი სტალაქტიდები გაიელვებდნენ ხოლმე შუშისფრად, ცივად, უსიამოდ. - ვინ იცის, იქნება, ჩვენც ვათქმევინოთ სხვას, აი, თუ არ იყვნენ სიცოცხლის ღირსნიო, აი, თუ არ შეიძლებოდა მაგათი აშვებაო". მიდიოდა, მილეწავდა გაუვალ ჯაგნარებს, მიტოპავდა მდინარეებს, მიხტოდა კლდიდან კლდეზე, მთიდან მთაზე, აღგზნებული, აფორიაქებული, და უკვე რაღაცნაირად აღტაცებულიც კი მიისწრაფოდა აღსასრულისკენ, როგორც შინისკენ, საამაყო ცოლისკენ, უსაყვარლეს შვილისკენ. მიდიოდა, აღმა მიუყვებოდა დროის მძლავრ, ყველაფრის გადამთელავ დინებას, ძლივსღა ადგამდა ნაბიჯს, საკუთარი სიმძიმე აუტანელ, მოუხერხებელ ტვირთივით აწვებოდა მხრებზე, თითქოს გაჩენის დღიდან დროის დინების საწინააღმდეგოდ მიდიოდა ასე და, რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უფრო უჭირდა სიარული, სუნთქვა... საერთოდ, სიცოცხლე. ერთი პირობა, ისიც იფიქრა, ქვეყნის დასანახად, რომელიმე გზისპირა ხეზე ხომ არ ჩამოვეკიდო ჩემივე ქამრითო, ერთხელ და სამუდამოდ ხომ არ დავუსვა წერტილი ყველაფერს, წინაპრიან-შთამომავლიანადო... მაგრამ მაინც მიდიოდა, გვერდს უვლიდა სოფლებს, თუმცა, რაღაცნაირად ეიმედებოდა კიდეც იქიდან მოდწეული ხმები, ძაღლის ყეფა თუ მამლის ყივილი. ხან ნახირის სუნი დახვდებოდა წინ, რიყეზე თუ ტრიალ მინდორში, და უარესად მისავათებული, ფარხმალდაყრილი, ძლივს გადიოდა შიგ, როგორც მწიფე ყანაში. ბოლოს, გაცრეცილ ბინდბუნდში, ნაცნობი ჭიშკარი რომ გაარჩია, მოსალოდნელი შვებისა და სიხარულის ნაცვლად, უარესად შეაფრინდა შიში, რადგან იმასაც მიხვდა უცებ, ყველაზე სახიფათო ადგილი საკუთარი სახლი იყო მისთვის, რამდენადაც, უპირველეს ყოვლისა, აქ მოიკითხავდა ყველა, ვისაც კი მისი ნახვა ენდომებოდა, მტერი იქნებოდა თუ მოყვარე. მაგრამ, იმის მაგივრად, უკანვე მიბრუნებულიყო, ლამის ძალით შეგლიჯა ჭიშკარი და ყვირილით გაიქცა სახლისკენ. "დარო, დარო, დაროო" - გაჰყვიროდა ცოლის სახელს, ვიდრე, სარგადაყლაპულივით არ გაშეშდა უცებ აივნის კიბესთან - აივანზე მისი ცოლი იდგა, ღამის პერანგის ამარა და გულხელდაკრეფილი, წარბშეკრული, პირმოკუმული, დასცქეროდა ზემოდან. განრისხებულ ანგელოზს ჰგავდა, ფრესკიდან გადმოსულსო - ყვება პაპა. სიცივე ძვალში ატანდა, ის კი აივანზე მდგარა, ღამის პერანგის ამარა, შიშველ მკლავებზე ხორკლი ეყარა თურმე, სახე კი ავად წამონთებოდა, გეგონებოდათ, დასცხომიაო. "წადი, ექიმი მოიყვანე, სასწრაფოდო" - უთქვამს მკაცრად. არც სალამი, არც ქალამი - ექიმიო. "ექიმიო?!" - გაჰკვირვებია პაპას, მაგრამ ცოლისთვის თვალი ვერ გაუსწორებია და უმწეოდ ჩაუბურდღუნებია - კი ბატონო, მოვიყვან, შინ თუ დამიხვდაო. "მოძებნეო" - მოკლედ მოუჭრია ცოლს, ნიკოს ბებიას, მაგრამ მაშინ ნიკოსთვის კი არ სჭირდებოდათ ექიმი, არამედ - ნიკოს დედისთვის. ნიკო საერთოდ არ არსებობდა ჯერ. ნიკო ახლა, ამდენი ხნის მერე დახეტიალობს მაშინდელ დროში. პაპამ, როგორც იქნა, მოაღწია შინამდე, ექიმის მოსაყვანადაც გააქციეს უკვე, ასე თუ ისე, დაუბრუნდა ჩვეულებრივ ცხოვრებას, ის კი ისევ იქა დგას, ცარიელ, მიტოვებულ სანგარში, შავად რომ გაკლაკნილა დათოვლილ ველზე. ხოლო მეწინავე რაზმი, ერთიანად ამაფორიაქებელი თავისი გარეგნული უბრალოებითა და შინაგანი, შენიღბული კი არა, შეუვალი იდუმალებით, ბავშვური დაუდევრობით მიფუჩეჩებული თუ ასევე ბავშვური უვიცობის გამო ბოლომდე ამოუკითხავი აზრითა და მნიშვნელობით, რაც (ალბათ) განაპირობებს კიდეც ამ ერთი და იგივე სურათისა თუ ჩვენების ხშირ განმეორებას, ლამის მარადიულობას, კიდევ ერთხელ (ვინ იცის, მერამდენედ), მოუყვება თავის

www.Litklubi.ge

ასევე მარადიულ გზას, წარმომდგენლის მიერ გაკვალულს წარმომდგენელისავე გონებაში; ის კი, წარმომდგენელი, აჭრილ, კვამლივით აწრიალებულ წყვდიადს მიჩერებული, გულაფრიალებული ელოდება, როდის გამოიკვეთება სიბნელეში, კიდევ უფრო ბნელი, კიდევ უფრო მკვრივი ლაქა ერთ მუშტად შეკრული მეწინავე რაზმისა, წამის შემდეგ (თუმცა, ესეც წარმომდგენელის სურვილსა და მოთმინებაზეა დამოკიდებული) თავისი ხვიხვინა ცხენებითა თუ შალითიანი შაშხანებით, ბოხოხის ქუდებითა თუ ზურგსუკან აფრიალებული ყაბალახებით, ფლოქვების ბაკუნითა და იარაღის ჟღრიალ-წკრიალით, გადმოვა გაღმა ნაპირის წყვდიადიდან გამოღმა ნაპირის წყვდიადში, თითქოს გაუბედავად, უხალისოდ გადმოივლის ხიდს და მისი უთვალავი, მძიმედ დაჭედილი ფლოქვის ქვეშ კიდევ ერთხელ აგუგუნდება ქვითკირის ძველი, გამომშრალი, გამოფიტული ხიდი, ყრუდ, უსიამოდ; ქვის მუცელში, ოდესღაც, მთელი ქარავნის, ქარავნების დამტევი, ბარგიბარხანიანად, ცხენ-აქლემ-ჯორიანად, მარტო ხიდი კი არა, ხიდიცა და ფუნდუკიც, ხიდიცა და ქარვასლაც ერთდროულად - ყრუდ, უსიამოდ აგუგუნდება შეძრულ მიწასავით, უდროო დროს, დაუდევრად გამოღვიძებული, წარსულიდან გამოხმობილი, კიდევ ერთი ხიდობის გასაწევად წარსულსა და მომავალს შორის. მის ბნელ თაღებში ღამურები დაფრთხებიან, აირევიან; ქვის ბზარებში კიდევ უფრო ღრმად შეიყუჟებიან ადამის დროინდელი ჯოჯოები; ბრაზიანად აიფოფრებიან დროისაგან ჯვარდასმული ობობები; მაგრამ არავის აინტერესებს, რა ხდება ხიდის ბნელ, აშმორებულ წიაღში, ყველას ერთი სული აქვს, რაც შეიძლება მალე გადავიდეს მეორე ნაპირზე, რაც შეიძლება მშვიდობიანად, უსისხლოდ, უხმაუროდ, უმტკივნეულოდ დასრულდეს ეს გაჭიანურებული, დაუსრულებელი გადასვლა ერთი ნაპირიდან მეორეზე, ერთი სამყაროდან მეორეში, და აი, ისევ ფრთხილად, გაუბედავად, თითქოს უხალისოდ გადაბაკუნდებიან ცხენები ხიდზე და ამ ნაპირზეც იგივე წყვდიადი დახვდებათ, რაც იმ ნაპირზე დატოვეს, იმის ტყუპისცალი, იმის ჩამონაჭერი, ოღონდ, უკვე დილაგამჯდარი, უკვე დაავადებული სინათლის ჭიით, დასაშლელად, დასარღვევად განწირული და, ყველა სიკეთესთან ერთად, მამლის მოულოდნელი ყივილით დაზაფრული, დამბლადაცემული. ამიტომაც ელოდება, გულის ფრიალით, მეწინავე რაზმის გამოჩენას, რომლის შესახებაც თავად პაპამ არაფერი იცის, და არა მარტო იმიტომ, ის მეწინავე რაზმი შორიდანაც რომ არ დაუნახავს, არამედ იმიტომაც, იმ მეწინავე რაზმის გამოჩენით პაპის საქართველო რომ მთავრდება, ნიკოსი კი მხოლოდ იწყება. მამალიც ამიტომ ყივის ასე მჭახედ, ომახიანად, ორი სამყაროს გასაყართან თუ შესაყართან, სადღაც, შორს, შეიძლება, სულაც თბილისში, თბილისის რომელიმე გარეუბანში, თბილისის მისადგომებთან, ორთაჭალასა თუ კრწანისში - კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, რაკი მამლად გაუჩენია ღმერთს, უნდა იყივლოს კიდეც, მაგრამ ეს თითქოს ყველაზე მშვიდობიანი, ბუნებრივი, გაჩენის დღიდან ნაცნობი, გაჩენისთანავე შესისხლხორცებული ხმა კიდევ უფრო უკაცურს, კიდევ უფრო უცხოს, მოუხელთებელს, ძნელად აღსაქმელს, ძნელად გასარკვევს ხდის აქაურობას. მეწინავე რაზმიც გაჩუმებულია, თითქოს ისიც მამლის ყივილს უსმენს, თითქოს მამლის ენა ესმის და თუ ყურს დაუგდებს, გაიგებს კიდეც, რას უყივის მამალი: აფრთხილებს თუ ემუქრება, აძევებს თუ ეპატიჟება, ლოცავს თუ წყევლის. რაკი მოვიდა, ვალდებულია მამალსაც მოუსმინოს, აქაური მამლის აზრიც იცოდეს. და მართლაც, ერთ-ერთი რაზმელი, ალბათ სხვებზე უკეთ მცოდნე მამლის ენისა, უძილობისგან გადაფითრებული, უჭმელობისგან გასალკლდევებული, დაღლილობისგან აღგზნებული - უზანგებზე წამოიმართება, თავს უკან გადააგდებს, ჯერ კიდევ უჩინარ ცას ახედავს და ყივილითვე გაეპასუხება სადღაც, შორს, ლამის ქვეყნის მეორე ბოლოში აყივლებულ მამალს. დანარჩენები იცინიან, ფრთხილად, დაძაბულად, უფრო ერთმანეთის გასამხნევებლად, კიდევ უფრო, მამალივით აყივლებული თანამებრძოლის წასაქეზებლად - ხომ უნდა გაირკვას გასარკვევი, ბოლოს და ბოლოს. დროა! დრო აღარ ითმენს. ახალმა დღემ ნისკარტი უკვე დაჰკრა ნაჭუჭს შიგნიდან, უკვე გაიბზარა ნაჭუჭი და განაბზარებში უკვე მოჟონავს ცხოველმყოფელი ძალა სიცოცხლისა. ხოლო, ყველაფერ ამის წარმომდგენელი ცარიელ სანგარში დგას, დათოვლილ მიწის ბორცვზე ხელებჩამოწყობილი შესცქერის დაძაბულად, ფრთხილად ახორხოცებულ რაზმს და მარტო იმან იცის, რა უნდა მოხდეს კიდევ, რადგან რაც მოხდება, მისი მეშვეობით

www.Litklubi.ge

მოხდება, მისი ნება-სურვილით, მხოლოდ და მხოლოდ მის წარმოდგენაში; თუ უნდა, უკანვე გადაიყვანს მეწინავე რაზმს ხიდზე, თუ უნდა, დაშლის, დააცალკევებს და შემოდგომის ხმელი ფოთლებივით მიმოფანტავს ტრიალ მინდორზე, მაგრამ ასე რომ მოიქცეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ წარმოდგენას გააუფასურებს, რომელიც სწორედ იმით არის მომხიბვლელიცა და ძვირფასიც, სინამდვილე, ნამდვილად მომხდარი ამბავი რომ უდევს საფუძვლად და მის მიერ "გალამაზებულიც", "გაპოეტურებულიც" საბუთის ძალასა და შეუვალობას ინარჩუნებს ყოველთვის, ასე სურს თუ არა, მოსწონს თუ არ მოსწონს, თავად წარმომდგენელსაც კი.

www.Litklubi.ge

დეიდას თუ დაეჯერება (ხომ არ შეიძლება, ყოველთვის ტყუოდეს ადამიანი!), ნიკოს ყველა უბედურების მიზეზი ეჭვიანობა ყოფილა - დედაზე ეჭვიანობს თურმე, და იმიტომ აუცრუებია სწავლაზე გული, იმიტომ გატყიურებულა, იმიტომ გამოუგდიათ სკოლიდან, იმიტომ გავარდნილა ყაჩაღად, იმიტომ აღარ სცემს პატივს არავის, ვალო ბადალაშვილის გარდა, არც შინაურს და არც გარეულს, იმიტომ იტკივებს აუტკივარ თავს, იმიტომ უვარდება ხიფათს ხახაში და, რასაკვირველია, იმიტომ წევს ახლაც ასე, მკვდარივით, გულხელდაკრეფილი, კატებთან ნაომარივით, დაბღორტნილ-დაკაწრული და, ეშმაკმა იცის, რამდენი ხნით (თუ სამუდამოდ არა).

www.Litklubi.ge

დეიდას საერთოდ უყვარს მაღალფარდოვანი ლაპარაკი, არც დამაჯერებლობა აკლია მის ნალაპარაკევს, მაგრამ რაკი თვითონვე ამბობს ხოლმე, ბავშვობის მერე სიმართლე აღარ მითქვამსო, არაფერს აღარ უჯერებენ, რაც არ უნდა თქვას, ტყუილი გონიათ, ანდა, ჯიბრით, ვიღაცის გასაბრაზებლად, ვიღაცის გასამწარებლად ნათქვამი. მაინცდამაინც, არც თვითონაა წინააღმდეგი ამგვარი შეხედულებისა და ბებია რომ შეუწყრება ხანდახან - კარგი, გოგო, გაგონილა ამდენი ტყუილიო - კი არ წითლდება, კი არ წიწმატდება, კი არ იბუტება - ასეა საჭიროო, ახლა ვინც არ ტყუის, სულელიაო - განუმარტავს ხოლმე მშვიდად და ისევ თავისას აგრძელებს. ნიკოს კი, თურმე, ის ხეთქავს გულზე, შვილზე მეტად ქმარი რომ უყვარს დედას, ქმარი რომ არჩია შვილს - შვილი სადღაც, ცხრა მთას იქით, დასაქცევ სიღნაღში გადმოხვეწა, თვითონ კი ქმართან დარჩა... მაგრამ გინდაც მართლა ასე იყოს, განა დასაძრახია?! სადაც სიყვარულია, იქ ეჭვიანობაცაა. თუ გიყვარს, ეჭვიანობ კიდეც. თუ არ გიყვარს, არც ეჭვიანობ, არც იცი, რას ნიშნავს ეჭვიანობა, როგორი ბრჭყალები აქვს... ყველაფერი სულერთია შენთვის. ასე რომ, არც დედას გაემტყუნება, ქმარი თუ ურჩევნია შვილს, იმიტომ, რომ, პირველად იყო ქმარი, შვილი კი მერე გაჩნდა. დედამაც პირველი აირჩია... მთავარი. ნამდვილმა ქალებმა ასე იციან: ან აქეთ, ან იქით, აქეთაც და იქითაც არ გამოსდით, გინდა კახპა ეძახონ, გინდა კეტი ურტყან თავში. "დახეთ ამ კახპა კამარსა, კურო არჩია მამასაო". ალბათ - შვილსაც. თუკი, რასაკვირველია, ჰყავდა ამირანს შვილი. ვანო მასწავლებელი ამბობს, ყველანი ამირანის შვილები ვართო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ნამდვილად თავისი, სისხლხორციელად თავისი შვილიც ჰყოლოდა ამირანს?! რატომაც არა! რომელი ქალი იტყოდა უარს ამირანის შვილის გაჩენაზე?! მით უფრო - კამარი! კახპა! იმიტომ რომ, უყვარდა, იმიტომ რომ, სიყვარულს ანაცვალა ყველა და ყველაფერი. მშობლის ჭკუაზე არ გაიარა. არც ესაა კარგი, მაგრამ არც მშობელმა უნდა დაუშალოს ქალს იმის არჩევა, რისი არჩევაც ღმერთისგან ევალება, ბუნებისგან, იმიტომ რომ, ქალია, ჯერ მხოლოდ ერთი ნახევარია, ესე იგი - არაფერი, ვიდრე თავისი მეორე ნახევარი, თავისი ამირანი არ გამოუჩნდება. მამა ქალისთვის წარსულია, ქმარი - მომავალი, და ისიც, როგორც სამყაროს განსახიერება, სამყაროსავით და სამყაროსთან ერთად, დაუფიქრებლად, დაუნანებლად, დაუჭვებლად გადადის წარსულიდან მომავალში, რათა მაშინვე შეუდგეს ღმერთისაგან, ბუნებისაგან დაკისრებული მოვალეობის აღსრულებას: იქცეს თავისი მეორე ნახევრის, თავისი ამირანის ერთადერთ მოკავშირედ, ერთადერთ მეგობრად, უფრო სწორად, ჯერ ფასკუნჯად იქცეს, რათა ქვესკნელიდან ამოიყვანოს თავისი ამირანი, მერე კი - ძაღლად, რათა მთელი სიცოცხლე, მთელი მარადისობა ჯაჭვი ულოკოს თავის ამირანს. რაღა გასაკვირია, შვილი აღარ ახსოვდეს?! ეტყობა, ვერც შვილმა დაამახსოვრა თავი, ვერ ივარგა, უნდილი გამოვიდა, უღირსი, ღირსეულის უღირსი შვილი, რაც სრულებითაც არ არის გასაკვირი - ძნელია ამირანის შვილობა და, საერთოდ, სახელოვანი კაცის შვილობა. რაღაცნაირად, თავიდანვე დათრგუნვილები იბადებიან თითქოს, თითქოს მამის სახელის სიმძიმე თავიდანვე აბეჩავებთ, დასძალავთ ხოლმე. მართლაც, როგორი საქმეა - ჯერ ძვალი წესიერად არც გამაგრებიათ და უცებ ამოდენა ტვირთი! ამიტომაც, არავის ახსოვს სახელოვანი მამების უსახელო შვილები - მათი სახელი ლეგიონია. დეიდა კი, საკუთარი მოსაზრებებით აღგზნებული ("სახლში მაინც დამალაპარაკეთ ჩემს გემოზე"), ნიკოს ყველა მარცხს (ყველა ნაკლსაც - ზარმაცობასაც, უხასიათობასაც, უზრდელობასაც და, რა ვიცი, კიდევ რაღას არა), მხოლოდ და მხოლოდ ეჭვიანობით ხსნის. ხოლო, დეიდამ რამე თუ აიჩემა, აღარ გადათქვამს, ის კი არა, ყველანაირად შეეცდება, სხვასაც დააჯეროს, რაც, ადვილი შესაძლებელია, თავად არც კი სჯეროდეს, მაგრამ რაღაცნაირად მოსწონდეს, ხელს აძლევდეს. იმიტომ, რომ ისიც უბედურია, არც ის დაზოგა ცხოვრებამ და, ნიკოსი არ იყოს, სიღნაღი იმისთვისაც თავშესაფარია მხოლოდ, აქ ემალება თავის უბედობას, თავის სიმარტოვეს. რაკი საკუთარი სხვა არაფერი გააჩნია, ნიკოს ეჭიდება, როგორც წყალწაღებული ხავსს. ჯერ ქალიც არ არის, არ გამოსჩენია თავისი ამირანი, თავისი მზეჭაბუკი, რომელიც, ერთ მშვენიერ დღეს, სიღნაღში უნდა ამოვიდეს თურმე (ამომსვლელი აქამდე ასჯერ ამოვიდოდა) და, მაინცდამაინც, იმას ჰკითხოს, ქალიშვილო, სად არის სასტუმრო ამ დასაქცევ ქალაქშიო. ასე რომ, ჯერ არც

www.Litklubi.ge

ფასკუნჯია, არც ძაღლი, და თავგამოდებული იბრძვის იმისთვის, რაც არ არსებობს, კბილებით იცავს იმას, რასაც დაცვა არ სჭირდება, რასაც არავინ ართმევს, რისი წართმევაც საერთოდ შეუძლებელია და რისი დანიშნულებაც თვითონაც არ იცის წესიერად, მაგრამ უმალ მოკვდება, ვიდრე ამას აღიარებს, იმიტომ, რომ მისი ღრმა რწმენით, მისი უახლესი მოსაზრებების შესაბამისად, ყველაფერში, ისევ და ისევ, უფროსები არიან დამნაშავენი, უმთავრესად, რა თქმა უნდა, მისიანები, მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანები, ვისაც ნამდვილად უყვარს იგი და ვისთანაც დიდი გული აქვს თავად. მოკლედ, იმას ერევა, ვისიც არ ეშინია, ვინც თავს წააქცევინებს. მამამისის შვილი გახლავთ და იმიტომ, გარეთ სუსტი, შინ ძლიერი. გარეთ სიტყვას ვერ ამოაღებინებთ, შინ კი, სიტყვა თუ შეუბრუნა ვინმემ, ისე გამოენთება ჯავშნადქცეული სიმარტოვიდან, როგორც ალი ღუმელიდან, როცა ღუმელში ნავთს შეასხამენ ხოლმე უცებ. შინ მხოლოდ იმან იცის, რა არის და რა არ არის საჭირო, როგორ უნდა და როგორ არ უნდა ცხოვრება. ყველაფერზე თავისი განსაკუთრებული, ახლებური შეხედულება აქვს და აღარაფერი მოსწონს ძველი, დრომოჭმული, ომამდელი. ომმა, თურმე, ერთბაშად აუხილა ხალხს თვალი და, უპირველეს ყოვლისა, ის დაანახვა, თუ რა ულმობელია დრო, რა სწრაფად გადის... (წიკ-წაკ, წიკ-წაკ და გათავდა. ეძებეთ მერე ცრემლით დალაქულ ბარათებში, ჩრჩილით შეჭმულ კაბებში, გადაცრეცილ სურათებში...). აქედან გამომდინარე, ადამიანმაც თუ არ იჩქარა, თუ დღესვე არ მიიღო დღეს მისაღები, ხვალ გვიან იქნება და ისეთივე ხელცარიელი, გულცარიელი და თავცარიელი გაბრუნდება უკანვე, მოუსვლეთში, ჯანდაბაში, როგორიც იქიდან მოვიდა. "არაფერი თქვენ არ გესმით ამ ქვეყნისა - შფოთავს, ბობოქრობს, წუხს, ხანდახან ტირის კიდეც ლაპარაკისას, გრძნობამორეული, აფორიაქებული, აღელვებული - ნებაყოფლობითი სიბრმავე და სიყრუე გჭირთ ყველას და, ამიტომაც, ღმერთიც ვედარ გიშველით, რადგან ღმერთისაგან დაბრმავებულნი და ღმერთისაგან დაყრუებულნი, არათუ გრძნობენ, არც მალავენ თავიანთ უბედურებასაო". ასე, ან დაახლოებით ასე, ამხელს და რისხავს თავისიანებს. თან მალ-მალე, წკიპურტს აჰკრავს ხოლმე შუბლზე ჩამოშლილ თმას. შინ არა მარტო თამამია, სიტყვაც მოსდევს. შეიძლება, ბევრ რამეს წიგნებიდანაც ლაპარაკობს, რაც მართალია მართალია, წიგნი თავს ურჩევნია, ნიკოსაც იმან შეაყვარა კითხვა, უწიგნოდ არ დაწვება, თუმცა, ნიკოს არავითარ შემთხვევაში არ მისცემს ლოგინში კითხვის ნებას - არადა, ლოგინში კითხვაა სწორედ გემრიელი - თვითონ არ იკლებს ამ სიამოვნებას, მაგრამ თვითონ, როგორც არაერთხელ უთქვამს უკვე ნიკოსთვის, სხვაა, დაღუპულია, აღარაფერი აღარ ეშველება, რადგან სწორედ მაშინ მოვიდა თოვლი (ომს გულისხმობს), როცა იმან ყვავილი გამოიტანა (ესე იგი, როცა გათხოვების დრო მოუვიდა), ნიკოს კი, ჯერ ყველაფერი წინა აქვს (ნიკო, ნიკო, შენ მაინც იყავი ბედნიერი, გესმის? ჩემი ხათრით, ჩემს მაგივრად... ჩვენს მაგივრად), მაგრამ, ყველაზე მეტად, მაინც მამასთან, ანუ, ნიკოს პაპასთანა აქვს საქმე, აბა, იმასთან აუშვებს ხოლმე, თუ აუშვებს, იალქნებს - თავს არ ააწევინებს ერთი წამით, ვიდრე თავად არ მოსწყდება ყინწი, რადგან მთავარი დამნაშავე, თურმე, მაინც ისაა, როგორც ოჯახის უფროსი, მათი საერთო ცხოვრების მესაჭე, ყველა მათგანის მასწავლებელი. მამამისის, ანუ, ნიკოს პაპის ბრალი ყოფილა, ზამთარ-ზაფხულ, ერთი და იგივე ფეხსაცმლით რომ დადიან ქალიშვილი ქალები, არა მარტო სიღნაღსა და საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში; ცეცხლი რომ უკიდია ყველაფერს დახლზეც და დახლის ქვეშაც; საპონი რომ თხევადია, კვერცხი კი ფხვიერი; გაუთხოვარი რომ დარჩენილა თავად, ხოლო ნიკო უდედმამოდ რომ იზრდება. "ასე აპირებთ ცხოვრებას?!" - დაჰყვირის ეს წუთია წნორიდან ამოსულ მამას, ნიკოს პაპას, რომელსაც ერთი სული აქვს, მიიხედ-მოიხედოს მონატრებულ სახლში, დაისვენოს, ხვალამდე მაინც დაივიწყოს მშიერი ურჩხულივით აღრენილი, კარის ზღურბლთან მომლოდინე ცხოვრება. ის კი, უმცროსი ქალიშვილი, ოჯახის ბოქაული, საკუთარ სამართლიანობასა და უფლებამოსილებაში დარწმუნებული, თავზე დაჰყვირის: მე ასე არ შემიძლია, აღარ შემიძლია, უჩემოდ მოგიწევთ გზის გაგრძელება და, საერთოდ, ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყველას, მე თუ უბედური ვიქნებიო.

www.Litklubi.ge

პაპა საკუთარ მუხლებს დასცქერის, შიშისაგან ქეჩოზე თმა აბურძგვნია და, ათასში ერთხელ, ვითომ ყასიდად, შვილს კი არა, ცოლს, ანუ, ნიკოს ბებიას გასძახის: გეყოფა, ქალო, კედლებსაც ყური ასხიაო.

www.Litklubi.ge

ბებია ამბობს: ბევრნი დაიღუპნენ ომში მაგის კლასელი ბიჭები და იმიტომაა ასე ნერვებმოშლილიო. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ნიკოს აბრალებდეს და თავად იყოს ეჭვიანი, თავად ეჭვიანობდეს თავის უფროს დაზე, ნიკოს დედაზე, რადგან, კაცმა რომ თქვას, იმას უფრო შეჰფერის ეჭვიანობა და მეტი მიზეზიცა აქვს საამისოდ: ჯერ ერთი, უმცროსი დაა, თანაც გაუთხოვარი; ხოლო უფროსს, უკვე იმოდენა ცხოვრება აქვს გამოვლილი, თავბრუ დაგეხვევათ, წიგნში რომ წაიკითხოთ, ანდა თეატრში ნახოთ, შეიძლება, არც დაიჯეროთ, მართლა თუ მომხდარა ცხოვრებაში მსგავსი შემთხვევა, მართლა თუ ასე მარტივად ენაცვლება უკიდურეს ბედნიერებას უკიდურესი უბედურება. დავიწყოთ იმით, რომ შორეულ, ზღვისპირა ქალაქში გათხოვდა და არა საქობოში, ანდა ჭოტორში; სახელოვან, წარმოსადეგ კაცს გაჰყვა ცოლად და არა ცალტვინაანთ სერგოს, ანდა გიუკოლას; რაც მთავარია, სიყვარულით გათხოვდა, თავად ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, ის სახელოვანი კაცი კი სტუდენტი, ერთმანეთი რომ შეჰყვარებიათ; უფრო ადრე შეუღლდნენ, ვიდრე დაქორწინდნენ; სადაც არ უნდა წასულიყვნენ, ყველგან ყურადღებას იქცევდნენ, ყველა ერთნაირად ამბობდა იმათზე, რა მშვენიერი წყვილიაო; ღმერთმა ვაჟი აჩუქათ, თანაც ნიკო. იმდენად ბედნიერი ცოლი და დედა იყო, ეშინოდა გამხელისა; "არ გეწყინოს, აგერ ნახავ, შენ თუ უფრო ბედნიერი არ იქნებიო" - წერდა უმცროს დას; დას წერდა, მაგრამ ყველა გასათხოვარ გოგოს გულისხმობდა, ყველას ერთდროულად მიმართავდა დის სახელით, ყველას ერთნაირად ებოდიშებოდა, სულგრძელობასა და მიტევებას ახსენებდა ყოველ წერილში, თითქოს იმის, თითქოს იმათ წილ ბედნიერებასაც თვითონ ითვისებდა და იმიტომ ეჩვენებოდა ერთი ადამიანისთვის გადაჭარბებულად, შეუფერებლად, მძიმედ; თითქოს არ სჯეროდა, ღირსი თუ იყო საერთოდ ბედნიერებისა და აი, მართლაც უწყინა ღმერთმა ურწმუნობა - სახელოვანი კაცი რაღაც უცნაურმა, თითქოს მართლა ციდან მოვლენილმა სენმა საწოლს მიაჯაჭვა, თანაც სწორედ მაშინ, ქვეყანა რომ ინგრეოდა, ყველაზე ძალიან რომ სჭირდებოდა ოჯახს მისი ხელი, ახალგაზრდა, ჭირში გამოუცდელ მეუღლესაც და ჯერ ფრთაშეუბუმბლავ შვილსაც. აირივნენ, აწრიალდნენ უბედურების ყვავ-ყორნები, მაგრამ უფროსი და, ბედნიერებისგან ოთახის ყვავილივით განაზებული, უბედურებაში ძუ მგელივით შეუპოვარი აღმოჩნდა: შვილი მაშინვე მშობლებთან გამოხიზნა, თვითონ კი, ხელებდაკაპიწებული, ქმრის საწოლს მკერდით აეფარა და აი, აქამდე უქშევს უბედურების ყვავ-ყორნებს, კანიდან ძვრება, სიკვდილს რომ არ დაანებოს როგორმე ქმრის სიცოცხლე. რომელ უმცროს დას არ შეშურდება ასეთი ცხოვრება, რომელი უმცროსი და არ იეჭვიანებს ასეთ უფროს დაზე, როცა თავად სკოლაც დამთავრებული აქვს, ტექნიკუმიც, და მაინც შინ ზის, შინაბერასავით. შეიძლება, მთლად შინ არ ზის, შეიძლება, მოანგარიშედაც მსახურობს კინოში, მაგრამ გათხოვებით ვერ გათხოვილა და ვერც გათხოვდება ალბათ, კაცები აღარ არიან და იმიტომ, არა თუ სახელოვანი, არამედ ჩვეულებრივი კაცები - ომში გაწყდნენ, დაიღუპნენ, გაქრნენ, დიიიიდი ხნით, თუ სამუდამოდ არა. ამას რომ ამბობს, თან ხელებს მაღლა სწევს და კატასავით იწვართება: ოოოი, ნიკო, რომ იცოდე, როგორი მოწყენილი ვარ. მოწყენილიც თავისი უხასიათობის გამოა: ხალხი რომ კინოში მიდის, ის უკვე კარგახნის მობრუნებულია იქიდან. იქამდე კი, წალოსხელა ოთახში შეყუჟული, ქაღალდებში იქექება, ქათამივით, და თან საანგარიშოს აჩხაკუნებს. უჰაერობით გინდაც დაიხრჩოს, სარკმელში არ გაყოფს თავს. შინ კი ჩივის და წუწუნებს: აღარ შემიძლია, საანგარიშომ თითზე ბებერა გამიჩინა, აგერ ნახავთ, მოსაჭრელი თუ არ გამიხდესო. თან წკიპურტით ისწორებს შუბლზე ჩამოშლილ თმას და ისევ ჯიუტად ამტკიცებს, ახლა აღარც სიყვარული არსებობს, აღარც ერთგულებაო. ახლა, თურმე, ისაა მისაღები და სავალდებულო, რაც ომამდე სირცხვილად ითვლებოდა და პირიქით, რაც ომამდე მისაღებად და სავალდებულოდ მიაჩნდათ, ის ახლა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ჩამორჩენილობაა და სიბრიყვე. ამიტომ, თუ გაწყრა ღმერთი და ვინმე შეუყვარდა, თავზე საბანწაფარებული კი არ ისლუკუნებს ღამღამობით, ცრემლით კი არ დაისიებს თვალებს, ომამდელი გოგოებივით, მივა და პირდაპირ ეტყვის: ასე და ასეა, ძმაო, საქმე და ახლა გინდა ცოლად შემირთე, გინდა საყვარლად დამისვიო. ხოლო, ბებია რომ შეუწყრება - გაჩუმდი, გოგო, სირცხვილია, ვინმეს მართალი ეგონებაო - უფრო ღრმად მიტოპავს

www.Litklubi.ge

დაუკრეფავში, ანუ, თავის ახლებურ მოსაზრებებში, თავისი ახლებური მოსაზრებების მიხედვით შეკოწიწებულ ცხოვრებაში, ცხოვრების მოდელში, რომელიც, საბედნიეროდ, ჯერჯერობით მარტო მის ტვინში არსებობს და რომლის დამკვიდრებასაც სწორედ იმ ხალხთან იმუქრება ჯიუტად, ნებისმიერი, იოტისოდენა ცვლილებაც, შინ თუ გარეთ, ერთნაირად რომ აფრთხობთ და აშინებთ. მაგრამ მართლა ასეთი კი არ არის, უნდა, ასეთი იყოს; ჰგონია, ასეთი უკეთესად დაიცავს თავს ცხოვრებაში, მაგრამ, ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ თავისიანებთან ახერხებს გარდასახვას, მხოლოდ და მხოლოდ შინ, ცხოვრების თვალს გარიდებული, რადგან შიგნით ისიც თავისიანებივით მხდალია და კეთილი, იმათია, იმათნაირი, და ალბათ ესეც ადიზიანებს ცოტა, ნიკოსი არ იყოს, თუმცა, ბუნების წინააღმდეგ ვის რა გასვლია, იმას რომ გაუვიდეს, და, უნდა თუ არა, იმანაც ბოლომდე უნდა ზიდოს, ჯვარივით, საკუთარი ბუნება, ბოლომდე უნდა ედავოს და დამორჩილდეს, ელოლიავოს და უყეფოს საკუთარ ბუნებას, როგორც დიდი ძაღლით შეშინებული პატარა ძაღლი უყეფს პატრონს - რატომ დამტოვე მარტო ამ ურჩხულთანო.

www.Litklubi.ge

მაგრამ როცა საჭირო გახდა, როცა უფროს დას დასჭირდა მისი თავი, ჩვიდმეტი წლის გოგო, რომელიც იქამდე რომელიმე მეზობელ სოფელში თუ გადასულა, ისიც რთველზე, თანაც მეგობრებთან ერთად, მარტო წავიდა ბათუმში, ქვეყნის მეორე ბოლოში, ორი მატარებელი გამოიცვალა და ეს იმ დროს, როცა ბილეთის გარდა, რისი შოვნაც თავისთავად დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, განსაკუთრებული ნებართვაც უნდა გქონოდათ, მატარებელში რომ აეშვით საერთოდ. სულ სხვა სამყაროში აღმოჩნდა უცებ. ბათუმში, რასაკვირველია, უფრო იგრძნობოდა ომი. სანიტარული მატარებელი პირდაპირ შუა ქალაქში შემოდიოდა, პირდაპირ ლაზარეთის ჭიშკრამდე. ტროტუარზე ეყარა სისხლიანი საკაცეები. ფოსტის შენობის თავზე საზენიტო ტყვიამფრქვევი იდგა, სილით სავსე ტომრებით შემოზღუდული. კრიალა მუზარადიანი მეტყვიამფრქვევეები სახურავის კიდეზე ისხდნენ, ფეხები ქუჩისკენ გადმოეწყოთ და იქიდან ეარშიყებოდნენ ქუჩაში მიმავალ გოგოებს. დეიდასაც დაუძახეს რაღაცა, მგონი, შეატყვეს ჯიხვობა - ასანთს ფეხი არ წამოჰკრაო, თუ რაღაც ამის მაგვარი სისულელე - დეიდა კი, დაძაბული, გამალებული მიუყვებოდა ქუჩას, ვერაფრით ვერ გააღწია აეროსტატის სუსხიანი ჩრდილოეთიდან, მფრინავი ურჩხულივით რომ გარინდებულიყო ქალაქის თავზე. მაგრამ მაინც შეისრულა დიდი ხნის ნატვრა და ვიდრე დასთან მივიდოდა, ჯერ ზღვას დახედა ახლოდან. მაგრამ ზღვა ახლოდანაც ისეთივე უფერული, უნდილი და უმაქნისი ეჩვენა, როგორიც მატარებლის ფანჯრიდან - მღვრიე, მომწვანო-მოყავისფრო ქაფი მოეგდო თავზე, გომბეშოს თვალებივით დაბუშტული. კი არ ღელავდა, რაღაცნაირად ტორტმანებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, როგორც ფეხის ნაბანი წყალი - დიდ ტაშტში. ღელავდა და არც ღელავდა, ისიც მოეტეხა, ისიც დაემორჩილებინა ომს - თითქოს ესიკვდილებოდა, მობეზრებოდა ღელვა, მაგრამ ვიღაცის დასანახავად, ვიღაცის შიშით მაინც ირჯებოდა, ვითომ, ვღელავო. გაწვრთნილი სელაპის ხარბი და უაზრო თვალებით ამოხედა ქვემოდან, ჭუჭყიანი ფარფლებით სველ სილაზე დაბჯენილმა. ცარიელი ნაპირიც უსიამო სანახავი იყო - თითქოს ღორების კოლტს გადაეჩიჩქნა დინგებით. ნაგავში გადაზელილ სილაზე ვიღაცას უზარმაზარი, ღრმა ნაფეხურები დაეტოვებინა, გეგონებოდათ, გოლიათს გაუვლიაო, წასულა, უპატრონოდ დაუგდია იქაურობაო. გაწბილებული გამობრუნდა უკან და მატარებლამდე აღარც უხსენებია ზღვა. მატარებელში უთხრა მხოლოდ ნიკოს, მე სულ სხვანაირი მეგონაო. ისე უთხრა, სხვათა შორის, რაღაცას მოაყოლა უცებ და მხოლოდ ერთი წამით გაუშტერდა თვალი, თითქოს ერთხელ კიდევ შეადარა გუნებაში ნანახი და წარმოდგენილი. ანდა, შეიძლება, ჩვეულებისამებრ დაეჭვდა, იმ ცარიელ ნაპირზე დატოვებული ნაფეხურები სოსოსი ხომ არ იყოო. ის ხომ ყველგან სოსოს კვალს დაეძებს და არაფრით არ უნდა დაიჯეროს, ის რომ აღარ არსებობს ამ ქვეყანაზე, თუკი როდისმე მართლა არსებობდა. მაგრამ ნიკო ყველაზე მეტად იმით მოხიბლა და გააოცა კიდეც, მაშინვე რომ უთხრა, თუ გინდა პაპიროსის მოწევა, მოწიეო, როგორც კი მატარებელი დაიძრა და მატარებელს ადევნებული დედა, თანდათანობით ჩაიკარგა უკან გაქცეულ სივრცეში. ნიკომ მაინც შეიკავა თავი, მაინც მოერიდა დეიდისა და ჯერ თბილისამდე, მერე კი წნორამდე, მხოლოდ მატარებლის ტუალეტში ეწეოდა, ტუალეტის სარკმელში გადაკიდული, მატარებლით გაგლეჯილი ჰაერის შხუილით დაყრუებული, უმწეობის, სიმარტოვის ცრემლით დაბრმავებული, უსაშველოდ გულნატკენი, დასევდიანებული, დატყვევებული ნადირის ლეკვივით, რომელიც თუმცა გრძნობს, სამუდამოდ რომ აშორებენ მისთვის საყვარელ, მისთვის აუცილებელ გარემოს, მაგრამ მაინც ვერაფერი უღონია (ლეკვია ჯერ) და ვერც ვერავისთვის შეუჩივლია თავისი გასაჭირი.

www.Litklubi.ge

მატარებელი კი მიქროდა. მატარებელი მიქროდა და ნიკოს თავისი უკეთესი ცხოვრება ახსენდებოდა ისევ, ჯერ კიდევ ომამდელი, როცა დედას, ხან კი ორივეს, დედასაც და მამასაც, მიჰყავდა იგი სიღნაღში, გადასარჩენად კი არა, როგორც ახლა, დასასვენებლად, ჰაერის გამოსაცვლელად, სათამაშოდ, ბებიასთან და პაპასთან, მხოლოდ და მხოლოდ ერთი ზაფხულით. მაშინაც ორი მატარებელი უნდა გამოეცვალათ, მაშინაც თბილისში უნდა გადამსხდარიყვნენ ერთი მატარებლიდან მეორეში, რადგან, როგორც ვანო მასწავლებელი ამბობს, ყველა გზა თბილისზე გადის და, გინდა თუ არა, მაინც გიზიდავს თავისკენ, არა მარტო მიზიდულთათვის, არამედ, პირველ რიგში, თავად მიმზიდველისთვის დამღუპველი, ანდამატური ძალით. მაგრამ ნიკოს, თუკი მარტო დედას მოჰყავდა, ბეზრდებოდა კიდეც თბილისის სადგურში ყურყუტი. ყველაზე მეტად კი, რასაკვირველია, დედათა და ბავშვთა ოთახი ეჯავრებოდა. არადა, რაკი უმამოდ მოდიოდნენ, აუცილებლად იქ უნდა შესულიყვნენ თითქოს. ნიკოსაც ამისი ეშინოდა სწორედ, რადგან, შეადგამდა თუ არა იმ ოთახში ფეხს, მაშინვე მოსწყურდებოდა ხოლმე, წყურვილით იტანჯებოდა, წყურვილითა და კიდევ იმის შიშით, რამე არ დავაშავოო, თითქოს, რაც იმ ოთახში ელაგა, დასათვალიერებლად იყო გამოფენილი და არა მოსახმარად. დედაც უარესად აშინებდა: ხელი არაფერს მოკიდოო, იდაყვით ნუ ეყრდნობიო, აქ იჯექიო, ნუ ამთქნარებო. კართან კი, სულ ერთი და იგივე, ვიღაც წითელცხვირა ქალი იჯდა - ვითომ ქალის ფიტული იყო და ვითომ წიგნს კითხულობდა თავისთვის, მაგრამ ოდნავადაც თუ გაფაჩუნდებოდნენ ესენი, მაშინვე თავს წამოყოფდა და მიაშტერდებოდა წყალწყალა თვალებით. ნიკოს უნდოდა, დედისთვის ეთქვა, ენიშნებინა მაინც, ის დეიდა გვითვალთვალებსო, მაგრამ განგებ არ ეუბნებოდა, აბრაზებდა დედის მიუხვედრელობა. "რას წრიალებ? თუ გიჭერს, გაიხადე ფეხსაცმელი. აი, ასე. ან, იქნებ გინდა? დღეს ხომ არ გიქნია?!" ის წითელცხვირა ქალი კი, ვითომ ბოლომდე ჩაკითხულ გვერდს გადაშლის და გამოხედავს, რას ჩურჩულებენ ნეტავიო. "არაფერი არ მინდა, გამანებე თავიო" - ებუტებოდა ნიკო დედას. მაშინაც კი, ორივესთვის უკეთეს დროს. მაგრამ იმ სატანჯველ ოთახშიც გაირთობდა მოწადინებული კაცი თავს, იმ ოთახის გისოსებიანი სარკმლიდანაც შეიძლებოდა რაღაც-რაღაცების დანახვა და დამახსოვრება, მაგალითად, ძალიან გრძელი, თეთრი აგურის კედლისა, წითელი ტრამვაისა, ნაპერწკლების ფრქვევითა და ზარის განუწყვეტელი წკრიალ-წკრიალით რომ მიქროდა ვიწრო, ხალხით გაჭედილ ქუჩაზე, თითქოს ვიღაცას გაუბრაზებიაო; შავად ალაპლაპებული ფაეტონებისა, ფეხსაცმლის მწმენდავების გრძელი რიგისა... ნიკოსხელა გოგოს წყლით გაბერილი რეზინის ხელთათმანი მოჰქონდა, ძროხის ცურსა ჰგავდა, წყალი გასდიოდა და გოგოს უკან, ასფალტზე, დაკლაკნილ კვალს ტოვებდა. გაბურძგნული, საკუთარ ბალანში ჩაკარგული, სასაცილოდ პატარა გოშია აივნიდან გამწარებული უყეფდა გამვლელებს - შინ იყო და დიდი გული ჰქონდა. მაგრამ იმ დროიდან მაინც აუტანელი სიცხე და განუწყვეტელი წყურვილი დაამახსოვრდა განსაკუთრებით, ალბათ იმიტომ, ყოველთვის ზაფხულობით რომ უწევდათ თბილისზე გამოვლა. სამაგიეროდ, როცა მამასაც ეცალა და იმათთან ერთად მოდიოდა, ის რამდენიმე საათი, მატარებლიდან მატარებლამდე, თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. აუცილებლად რესტორანში უნდა ესადილათ, ხოლო ნასადილევს აუცილებლად ეტლით უნდა გაევლოთ ქალაქში. ნიკო მაშინვე მუხლებს შორის ჩაუდგებოდა ხოლმე მამას და გაფაციცებული ელოდებოდა, როდის გამოჩნდებოდა ნაცნობი ვიტრინა, სადაც პატარა მაიმუნი ეგულებოდა, უზარმაზარი ფეხსაცმლის წინ ჩაცუცქული. იმ პატარა მაიმუნს ორივე ხელში ჯაგრისი ეჭირა და ვითომ აპრიალებდა ფეხსაცმელს. სინამდვილეში, ქუჩისკენ იყურებოდა, თვალის დაუხამხამებლად, თითქოს ისიც ნიკოს გამოჩენას ელოდებოდა. "დაინახე შენი ძველი მეგობარიო?" - სიცილით შეეკითხებოდა ხოლმე მამა. ნიკოს კი, რატომღაც, გული უჩუყდებოდა იმ სულელი მაიმუნის დანახვაზე, ლაპარაკი უჭირდა, ცრემლის გორგალი ეჩხირებოდა ყელში. ახლაც არ იცის, რატომ? რა სჭირდა შესაცოდი ნახერხით გატენილ ტიკინას? გული იმას არ ჰქონდა და გონება. ეტლი კი მშვიდად მიბაკუნობდა უკეთეს თბილისში. მამასთან ერთად მგზავრობას, რა თქმა უნდა, სულ სხვა გემო ჰქონდა, სულ სხვა პეწიც: სახიფათო ნაკლებად სახიფათო ხდებოდა, მომხიბვლელი - კიდევ უფრო მომხიბვლელი. მამა ყველა სადგურზე ჩადიოდა და

www.Litklubi.ge

როცა მატარებელი დაიძვრებოდა, დედა კი შეშფოთდებოდა, მხოლოდ მაშინ შემობდღვრიალდებოდა კუპეში. დედა ბუზღუნებდა, მამა იცინოდა, სარკმელში გადაკიდებული ნიკო ბედნიერი იყო, მატარებელი კი მიქროდა, მიჰკიოდა დაბურული ტყეებით ჩამოლურჯებულ მთებს. მდინარიდან დამხრჩვალი გამოეთრიათ. პირქვე ეგდო ტალახში. ვიღაც კაცი ტიტლიკანა იდგა უზარმაზარ ლოდზე და ოდნავ ჩაკუნცხული, შარვალს წურავდა. მატარებლისკენ შემობრუნდა და გაწურული შარვალი თავს ზემოთ დაიქნია. სხვები ტალახში პირქვე დამხობილ გვამს დასცქეროდნენ, ალბათ ბჭობდნენ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. არავისთვის არ უთქვამს ნიკოს, რაც მატარებლის სარკმლიდან დაინახა შემთხვევით. კუპეში ქარი თეთრ ფარდებს აფრიალებდა. ყველაფერი თეთრად ქათქათებდა: გახამებული ფარდებიც, დედის კაბაც, მამის კოსტუმიც. ომისდროინდელ მატარებელში კი ერთმანეთზე იჯდა ხალხი, ერთნაირად ჩაბინძურებულ-ჩაშავებული. ყველას ერთმანეთი ეზიზღებოდა, სძულდა, მოსისხლე მტრად მიაჩნდა და საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, დაუფიქრებლად მოკლავდა კიდეც თავის მსგავსს, მასავით გაჭირვებულ, გამწარებულ, გაუბედურებულ და გაპირუტყვებულ თანამგზავრს. "ადე, მომეცა, ხომ ხედავ, ბრმა ვარ". "ბრმა თუ ხარ, შინ იჯექი, რა გემღერება". "შინ რომ დავჯდე, შენ შეინახავ ჩემს ცოლ-შვილს?!" "ვერ უყურებთ, ცოლ-შვილიც ჰყოლია. არც ისეთი ბრმაა, როგორც თავს გვაჩვენებს". "ალბათ ტყუის, სიბრმავეს იგონებს, გული რომ აგვიჩუყოს". "ბებიაშენისამ, დიახ, შენზე ნაკლები ბრმები არც ჩვენ გახლავართ". მატარებელი კი მიქროდა და გამოვლილ სივრცეში, როგორც სილის ნაცრისფერ ზღვაში, სამუდამოდ ინთქმებოდა, იმარხებოდა ყველაფერი, რითაც იქამდე ეცხოვრა ნიკოს, რასაც, უბრალოდ, ნიკოს ცხოვრება ერქვა, ანუ - მშობლებიც, ამხანაგებიც, მამიდაშვილებიც, ზღვაც, ელენიცაც - მისი პირველი სიყვარული, გაუმხელელი და გაუნელებელი, როგორც გული თავად ბუნებისა, მსუბუქი და გამჭვირვალე, როგორც თავად ელენიცას თეთრი კაბა, მარლის გაძენძილი ბაფთებით გაწყობილი და შემწვარი თევზის სუნით გაჟღენთილი.

ნიკო რომ ტუალეტიდან გამოვიდა, ბრმა ტომრებზე იჯდა ტამბურში და ხახვსა და პურს მიირთმევდა. შავი სათვალე შუბლზე აეწია და, შეიძლება ამიტომაც, ჩამოგდებულ, ტყვედჩავარდნილ მფრინავს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრმას.

www.Litklubi.ge

"ელენიცა, ელენიცა, მე შენში ვმარხავ მთელ არყოფილ ბედნიერებასო" - პირმოკუმული უყვირის ნიკო ნაცრისფერ სივრცეში გათქვეფილ სახეს, ჩვეულებისამებრ, გაოცებულსა და დაბნეულს, მაგრამ უკვე აქედან, სიღნაღიდან, თავისი საწოლიდან, მკვდარივით გულხელდაკრეფილი და, ყველა სიკეთესთან ერთად, ღამურების დასკლინტული. იმის თავიც არა აქვს, აუქშიოს ამ თავხედ ფრინველებს, ანდა, სახე მაინც მოიწმინდოს. მეტი რაა მკვდარი?! ვერც ხელს შეგიბრუნებს, ვერც სიტყვას. თითქოს, ეს წუთია, საიდანღაც დაბრუნდა, ძალიან შორიდან, ძალიან სახიფათო მგზავრობიდან - ავტობუსშიც იჯდა მგონი - უაზრო, უმისამართო ლტოლვითა და ასევე უაზრო, უმისამართო შიშით ღონემიხდილი. ოღონდ, კი არ ახსოვს, გრძნობს, მაგრამ არ იცის, რატომ გრძნობს, რასაც გრძნობს, რამდენად სანდო და რამდენად სიმართლისეულია მისი შეგრძნებები. ჩვენც სხვა რა დაგვრჩენია, უნდა დავიცადოთ და იმედი ვიქონიოთ, მალე გაუვლის ეს ბნელი, უსიამო შეგრძნებები. იმედი დიდი ძალაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, იმედი ნუ მოგიშალოს ღმერთმაო, მაგრამ იმედამდე ჯერ იმის უნდა გჯეროდეს, რაღაცის შეცვლა რომ შეგიძლია, მერე - უნდა გეხალისებოდეს იმ რაღაცის შეცვლა და, რასაკვირველია, ძალაც უნდა მოგდევდეს იმ რაღაცის შესაცვლელად. მაშასადამე, იმედის მისაღებად სამი რამ მაინც ყოფილა საჭირო: რწმენა, ხალისი და შნო. ის კი გულხელდაკრეფილი წევს და ღამურები დასწივიან თავზე. გულხელი კი დაუკრეფია, მაგრამ ძილისა რა მოგახსენოთ. ექიმის კეთილშობილური რწმენით, ვითომ ძილში უნდა გამოშუშებულიყო, მაგრამ ვინ აღირსა ძილი, ვინ მიაკარა! ვერაფრით ვერ შეაღწია იმის ზღაპრულ სამეფოში, უფრო სწორად, თავად ექიმმა გამოდევნა იქიდან - იმდენ ხანს აჭრაჭუნა სკამი და იმდენი აქო ეს პატარა, მაგრამ დიდი სიკვდილის დამთრგუნველი სიკვდილი, მგონი, სამუდამოდ დაუფეთა ნიკოს ძილის ანგელოზები. მაგრამ ესეც იმის დადასტურებაა მხოლოდ, აღარაფერი რომ შერჩენია ბავშვისა, ბორკილის ნაგლეჯის მეტი. ბავშვებს ღრმა ძილით სძინავთ, ის კი კურდღელივით თვალდაჭყეტილი წევს - თვალდაჭყეტილი, ღამურების დასკლინტული და გულხელდაკრეფილი. გულხელიც თავისით ეკრიფება. აღარ შეუძლია, გამწარდა, სულ საკუთარ ხელებს უთვალთვალებს, როგორც დედათა და ბავშვთა ოთახის მეთვალყურე - მარტო დარჩენილ დედა-შვილს. უპატრონო ძაღლი კი ყეფს, ყეფს, გამწარებული. მთელი ღამე არ გაჩუმებულა. ყველასი და არავისი. რიგრიგობით იცავს ყველა ეზოს. არავის უსწავლებია, არც დაუვალებია, თვითონ დაივალა, თვითონაა ასეთი გულისხმიერი, მაგრამ მაინც ვერ მოიგო კაცის გული. რაკი ყველასია, არავის არ უნდა. როგორც კი დაინახავენ, ქვას უნდა დასწვდნენ, უნდა დაუტატანონ, შე ვერანა, შენაო. საინტერესოა, ამაღამ ვის ეზოს ყარაულობს. ვერაფრით ვერ დაადგინა ნიკომ - ქარი უშლის, ქარი ძაღლის ხმასაც უცვლის მიმართულებას. ისე, ვინმეს თუ სჭირდება, ნიკოს სჭირდება დაცვა. ვინ იცის, გოგია იმათ სახლს უტრიალებს აქამდე, როგორ მივწვდე, როგორ ჩავიგდო ხელში ჩემი სიავკაცის მოწმეო. ნიკო კი, თუ მკვდარი არ არის, მკვდარივითაა, ვერც ხელს შეუბრუნებს ვინმეს, ვერც სიტყვას. სიცხისაგან პირი უდაბნოსავითა აქვს გამშრალი. გამშრალი კი არა, გამშშშშრალი. ყელიდან თითქოს ეკალბარდი ამოსდის. ზედ ღობემძვრალა ჩიტი დახტის, მზედაკრული. რაღაცას დასწივის მიწაზე, შეშფოთებული, შეწუხებული, შერყეული. რა იყო ჩიტუნიაო - ეკითხება, ევედრება, ეჩხუბება ნიკო, რასაკვირველია, ახლაც პირმოკუმული. ეტყობა, სხვებიც შეაწუხა ჩიტის წივილმა: განჯინაში ბოთლები წკრიალებენ. "მანდ სად ეძებ, დედი, კართან დგას" - ჩურჩულებს დეიდა. "რა ვიცი, სად ვეძებ, ჩემი თავი რომ გახმეს" - ჩურჩულითვე პასუხობს ბებია. ნიკოს ძილს უფრთხილდებიან თავიანთი ჭკუით. ჩიტი კი წივის, მიწაზე დასწივის რაღაცას. განა საინტერესო არ არის, რას დასწივის ასე მწარედ, ასე სულმოუთქმელად, ასე გაუთავებლად, ასე უიმედოდ, ეს ერთი სულის შებერვა ჩიტი?! ალბათ გველი თუ ეპარება, ბარტყი თუ ჩაუვარდა ბუდიდან, ანდა, ძლივს დაჭერილი ხოჭო თუ დაუსხლტა ნისკარტიდან და ისიც წივის, წივის, დახტის აქეთ-იქით, ზევით და ქვევით, ეკლიდან ეკალზე. ნიკოს აღარც ჩიტის ხმის გაგონება შეუძლია. თუ უკვე მკვდარი არ არის, განა სიკვდილი არ სჯობს ასეთ სიცოცხლეს?! რომელი სჯობს, ბოლოს და ბოლოს, უპასუხეთ, გაარკვიეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომელია უკეთესი, სიკვდილი თუ სიცოცხლე?! სიკვდილსაც გააჩნია და სიცოცხლესაცო, იტყვით თქვენ, მაგრამ როცა კაცმა ისიც არ იცის, ვისთან ან

www.Litklubi.ge

რისთვის იმართლოს თავი, რასაკვირველია, ისევ სიკვდილი სჯობს. ბოლოს და ბოლოს, სიკვდილი რაღაა?! არაფერი. ერთი გაუთავებელი ღამეა, მარადიული წყვდიადი - სპირტისა და ძმრის სუნით გაჟღენთილი, ახლობელთა, შენიანთა ლანდებით გავსებული - გაუთავებელი არაფერი. შავეთი. სულეთი. სულეთში სულთქმის ციხე დგას თურმე, სულთქმის ციხეში მოსამართლენი სხედან ქვის სავარძლებში, ქვის მაგიდასთან; ქვის შანდლებში თაფლის სანთლები უნთიათ; ცხვრის საკრეჭი მაკრატლები უჭირავთ - დამსმენელსა და ცილისმწამებელს ენას ჭრიან, ქურდსა და მკვლელს - ხელს; მოუხარშავენ და შეაჭმევენ. ვაი, ნიკოს ბრალი, თუ იქაც ვერ დაამტკიცა თავისი სიმართლე, იმიტომაც წევს ასე, მკვდარივით, გულხელდაკრეფილი, დაძაბული, წყვდიადს მიყურადებული. თავზე კი, ვინ იცის, უკვე გარდასული დროის ღამურები დაჰფარფატებენ. ერთი პირდაპირ ყურში ჩასწივის. ფრთებში თითქოს საქსოვი ჩხირები გაუყრია, რკინისა, და რამდენს შეიფრთხიალებს, მტკივნეულად ჩამობღორტნის ხოლმე ლოყას, მაინცდამაინც იმას, ეკლიან ტოტს რომ გამოსდო წელან, ჯაგნარში, როცა თავქუდმოგლეჯილი გაურბოდა დამიზნებულ თოფს, მაგრამ ვინ გაქცევია, ის რომ გაქცეოდა ბედისწერას და, აი, წევს გულხელდაკრეფილი, ღამურების დასკლინტული, და ფიქრობს: მე ვიყავი ის ყაჩაღი, ჩემს თვალწინ რომ მოკლეს დღეს ნასაყდრალთანო. ან სიკვდილზე ფიქრი აიძულებს გულხელის დაკრეფას, ან გულხელდაკრეფილი წოლა - სიკვდილზე ფიქრს. თუმცა, ოდესღაც, ერთი-ორი დღით თვითონაც იყო ყაჩაღად გავარდნილი და თავის დროზე რომ არ დაეჭირათ ევგენია დუგლაძის ჩაფრებს, თავისუფლად შეიძლებოდა, მართლა ის მოეკლათ დღეს. ასე რომ, მთლად უსაფუძვლოდ არ ფიქრობს, რასაც ფიქრობს. თანაც, რაღაცნაირად, სიამოვნებს კიდეც ასე ფიქრი: ღამეა, მარტოა, ყველას სძინავს (ან ყველა თავს იმძინარებს), გარეთ კი ქარი ღმუის, აზანზარებს ქვეყანას. რა ჯობია ახლა სიკვდილს! მკვდარი ხელშეუხებელია. მკვდრის წინაშე ყველანი ქედს იხრიან, მტრებიცა და მოყვრებიც, რადგან იმათ მაგივრადაც მოკვდა ის. სხვათა შორის, სიკვდილზე ფიქრსაც მაშინ მიეჩვია, ორდღიანი ყაჩაღობის ჟამს, ჯოჯოსავით შეყუჟული უჯრისხელა მდვიმეში; მაშინ აღმოაჩინა, სიკვდილიც თავისებური გამოსავალი რომაა ნებისმიერი არასასიამოვნო და არასასურველი მდგომარეობიდან, რადგან თუკი რამე აქვს ადამიანს საკუთარი, სიცოცხლეა, და რასაც უნდა, იმას უზამს თავის საკუთრებას, როგორც მოეპრიანება, ისე მოიხმარს; კიდევ უფრო მეტი - უნდა მოიხმარს, უნდა არა; დაიკრეფს გულხელს, როგორც ახლა აქვს დაკრეფილი, და იფიქრებს თავისთვის, ათას რამეს წარმოიდგენს, ათასნაირად. ხოლო, ერთხელ უკვე განცდილისა და გადატანილის ძალდაუტანებელი, ნებაყოფლობითი წარმოდგენა არა მარტო მშვენიერი გართობაა, თავისებური წვრთნაცაა სულისა და გონებისა, რამდენადაც ყოველი წარმოდგენის შემდეგ, რაც უნდა მძიმე და მტანჯველი იყოს იგი, წარმომდგენელი ცოტათი უკეთესი ხდება, ვიდრე იქამდე იყო, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, უცხოს თვალით რომ უყურებს უკვე და, ძალაუნებურად, მსაჯულადაც უდგება საკუთარ თავს.

www.Litklubi.ge

თუმცა, დღევანდელმა, ანუ უკვე გუშინდელმა დღემ (შუადამეს გადაცილებულია, ალბათ), თუ მთლიანად ვერ მოსპო, თუ ბოლომდე ვერ ამოწურა ამ პატარა ბიჭის ცხოვრება, გეზი აშკარად შეუცვალა, სულ სხვა მხარეს მიუშვა, სხვა კალაპოტის გაკვალვა აიძულა, როგორც მოულოდნელმა ჯებირმა, კედელმა, ანდა სულაც ჩვეულებრივმა ლოდმა, ჩვეულებრივმა ქვამ - ჩვეულებრივად დაქცეულ წყალს, ნებისმიერ დაქცეულ სითხეს. ამიტომაც არჩია სიკვდილი, თუნდაც თავის მომკვდარუნება. არყოფილს ვერც საყვედურს ეტყვი, ვერც მადლობას. ამიტომაც დასცინის თავს: აქ განისვენებს მომავლის პოეტი, რომელიც ჯერ არ დაბადებულაო. კი მაგრამ, თუ არ დაბადებულა, როგორღა განისვენებსო, ალბათ იკითხავს ვინმე და საქმეც ეგაა სწორედ - გაუშვი, იმტვრიოს თავი შთამომავლობამ. იმას კი ისიც ეყოფა, ეკლიან ჯაგებში რომაა აქამდე ჩაკარგული, ჩირგვში რომ ზის კურდღელივით... იმიტომ, რომ იქამდე ისკუპა ჯაგნარში, ვიდრე გაიფიქრებდა, როგორმე უნდა გავაფრთხილო ნასაყდრალში თავშეფარებული კაციო. ხოლო ეს რომ გაიფიქრა, უკვე თვითონ იყო თავშეფარებული ჯაგნარში. სამაგიეროდ, ვეღარასოდეს ვეღარ გამოვა იქიდან. სადაც არ უნდა წავიდეს (თუ გადარჩა), გინდაც თავის საყვარელ და სანატრელ ბათუმში დააბრუნონ, მაინც იმ ეკალბარდებში იქნება ჩაკარგული სულ, რადგან იქაა მისი კრწანისი, დაფეთებული კურდღელივით, სულ იქიდან იქნება მიჩერებული მტვრადქცეული გზის ნაწყვეტებს, მეჩხერი, ჯუჯა ტყით ჩამოშავებულ ფერდობებს, ნიაღვრებით ჩამორეცხილ ფლატეებს, ზემოთ, მთის კინკრიხოზე, ქვის ბუდესავით შემოდგმულ ქალაქს, საიდანაც ზვავივით, მოშვავებულ კლდესავით მოისწრაფის მისი ბედისწერა. გადაშლილია ბედის დავთარი, მოუმარჯვნია ბედისმწერალს ადამიანის ცრემლსა და სისხლში ამონაწები კალამი და სადაცაა, მისი სახელის გასწვრივ, ლამაზი, გამართული ხელით ჩაწერს: ხვიშტია და ხვიშტად დარჩეს ბოლომდეო. თუმცა, ამ რამდენიმე წლის წინ, ჯერ კიდევ ბათუმში, უკეთეს დროს, ჯერ კიდევ ომამდე, ძუძუმოშიშვლებულმა ბოშა ქალმა სულ სხვა უმარჩიელა დედამისს: დიდი კაცი გამოვა შენი შვილიო. არაფერი გეტკინოთ იქამდე. უმალ ვირი ხეზე გავა. ვის უთქვამს, ვის მოუჩმახავს ასეთი მტკნარი სისულელეო - ეცინება თვითონვე, თავის ყველაზე ტკბილ მოგონებას დასცინის. ვის უთქვამს და მარჩიელს, აკი უკვე ვთქვით, ძუძუმოშიშვლებულ ბოშა ქალს, ფეხებზე რომ ჰკიდია დედაცა და შვილიც და იმას ამბობს, რაც დედასაც უხარია და შვილსაც, რაშიც სიამოვნებით უხდიან ფულს. რა იმის ბრალია? ამით ირჩენს თავს. სხვათა გულუბრყვილობა იმისთვის არსობის პურია. გულუბრყვილოებს კი რა გამოლევს ამ ქვეყანაზე, ანდა, რომელი დედა არ დაიჯერებს შვილის კარგს (მწარე და ძნელი შვილის სიცუდის დაჯერებაა. იმიტომაც ხეთქა ბეჭდიანი ხელი ტუჩებში), რომელი ბავშვი არ შემდგარა, არ დგას და არ შედგება სიამოვნებით, ცოტა ხნით მაინც, გამაბრიყვებელი ტყუილის საქანელაზე, იმავე ტყუილში აღებული ფულის საფასურად რომ ჩამოუბამს ბოშა ქალი ლეღვის ხეზე. ფულს ტყუილში უხდიან და ისიც ტყუის. ლექსი თქვი და კანფეტს მოგცემო - იგივე არ არის?! კანფეტი გიყვარს და იმიტომ ამბობ ლექსს. იმას კიდევ ფული უყვარს, სჭირდება, საკუთარი ლეკვი ჰყავს გასაზრდელი და სხვები, ნიკოსნაირები, ფეხებზე ჰკიდია. ფეხებზეც არ ჰკიდია, უბრალოდ, ვისაც რა ურჩევნია, იმას აძლევს: ნიკოს და ნიკოსნაირებს - ტყუილის საქანელას - უაზრო, უმიზნო კონწიალით რომ შეიქციონ თავი - საკუთარ ლეკვს კი - შიშველ ძუძუსა და მკვახე ლეღვს, თავიდანვე რომ მიეჩვიოს ტკბილისა და მწარის გარჩევას. ზოგს ტყუილით ზრდიან, ზოგს ტყუილში აღებული ფულით. მაგრამ რა გზითაც არ უნდა იყოს ის ფული ნაშოვნი, რა თქმა უნდა, ფულით გაზრდილი ყოველთვის გადაუსწრებს ტყუილით გაზრდილს, ერთი ცხოვრება მოთავებული ექნება, ყველა ხის ნაყოფი დაძლეული, ვიდრე ტყუილით გაზრდილი საქანელადან ჩამოვა, თავბრუსხვევა, გულისრევა გაუვლის და გაწბილებული იტყვის: რა ტყუილად მიცხოვრიაო, ანდა - რამდენ ხანს მძინებიაო, როგორც მკვდრეთით აღმსდგარი გმირები ამბობენ ხოლმე ზღაპარში, იმიტომ კი არა, მართლა რომ შეიძლებოდა ოდესღაც მკვდრის გაცოცხლება, არამედ იმიტომ, მშვიდად რომ იძინონ ნიკოსნაირებმა, ცრუპენტელა იმედის ბალიშზე თავმიდებულებმა. დედასაც ასე ურჩევნია. ასე არჩია. შენ აქ იჯექი, შვილიკო, სიმარტოვის გალიაში - იცი, რა მაგარი გალიაა?! მიწისძვრაც ვერ შეარყევს. აი, ცოტა სიყვარულის თაფლსაც

www.Litklubi.ge

დაგიწვეთებ იატაკზე, ლოკე და მიცადე, ლოკე და მიცადეო. თვითონ კი იმასთან წავიდა, ვინც შვილსაც ურჩევნია და თავსაც. კი ბატონო, მაგრამ ხომ უნდა სცოდნოდა... თუმცა, ახლა რადა დროსია, უკვე მოისწრაფის ბედისწერა, მოისწრაფის კი არა, უკვე თქვა თავისი სიტყვა ბედისწერამ, ხოლო, ნიკოს რომ ჰკითხოთ, საერთოდ არ უნდა არსებობდეს თურმე ბავშვობა, ასეთი დრო, ასეთი ხანა, ასეთი ასაკი, და მართლაც, განა ბევრად უკეთესი არ იქნებოდა პირადად ნიკოსთვის, საერთოდ რომ არ ყოფილიყო კოპწია ლილიპუტებითა და გაპუდრული გოლიათებით გავსებული ის რამდენიმე წელიწადი, ცხოვრების შეურყეველი გალიის წინ დაგდებული მისატყუარი რომ აღმოჩნდა ბოლოს, რასაც მოშიებული, გაბრიყვებული ნადირი თვალის დახამხამებაში შეთქვლეფს ხოლმე და პირჩატკბარუნებული, მაგრამ კუჭცარიელი, სიამოვნებითაც კი შედის ხაფანგში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია და საიდანაც ვეღარასოდეს დააღწევს თავს, რა თქმა უნდა, ცოცხალი, თორემ, მკვდარს არავინ გააჩერებს იქ, გამოათრევენ, გააქან-გამოაქანებენ ჰაერში და ჰაიდა, პირქვე გადაკიდებენ ბებერი ფაშატის უნაგირზე. მხოლოდ ერთი წამით დაფრთხება ფაშატი, კი არ დაფრთხება, უკანა ფეხები ჩაეკეცება სისუსტისაგან, მხოლოდ ერთი წამით, და გასრულდება ესე ამბავი... ასე რომ, ნიკოზე თუ იქნებოდა დამოკიდებული, თავიდანვე არ დაიბადებოდა, რაკი ისე ვერ იცხოვრებდა, როგორც ენდომებოდა. მაგრამ ახლა ტვინის ჭყლეტა და გულის ხეთქვა უაზრობაა, უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს, მოსახდენი უნდა მოხდეს და ხდება კიდევაც, ოღონდ, ერთხელ კი არა, როგორც განგებამ ჩაიფიქრა, უთვალავჯერ, უფრო ზუსტად, განუწყვეტლივ, მას შემდეგ, რაც კი მარტო დარჩა ამ ბნელ ოთახში. მაგრამ რაც უფრო ხშირად მეორდება განგების ჩანაფიქრი, რაც უფრო კარგად ითვისებს და ითავსებს ერთხელ უკვე გადატანილს ნიკო, მით უფრო რწმუნდება, არაფერი რომ არ ხდება შემთხვევით, ანდა, შემთხვევით რომ ხდება სწორედ ის, რაც ბოლოს მთავარი და გადამწყვეტი აღმოჩნდება ხოლმე. დღევანდელი, ანუ, გუშინდელი დღე თუ არა, ნიკოს ცხოვრებაც სულ სხვანაირად წარიმართებოდა ალბათ (ალბათ უკეთესად), ნიკოც სულ სხვანაირი კაცი დადგებოდა (ალბათ უკეთესი). მოკლედ, შემთხვევაა ყველაფერი და, შეიძლება, ამასაც გაემართლებინა დედამისის იმედი და ოცნება, ვიმეორებთ, თუკი ჯერ გადარჩება საერთოდ, თუკი მისი ცხოვრების გზაც სიზმარი არ აღმოჩნდა ბოლოს, სადაც იმას დაეძებენ, რაც არასოდეს დაუკარგავთ, რადგან არასოდეს ჰქონიათ, და რისი დაკარგვაც ყველაზე ძალიან დაენანებოდათ, თუკი ექნებოდათ; მაგრამ ეს დაგვიანებული სინანული (პოეტი გვასწავლის, სინანული თავში ჯობიაო), კიდევ სხვა, უფრო რთულ, უფრო უცნაურ გრძნობებსაც აჩენს ხელმოცარული, გაწბილებული კაცის სულში, მაგალითად, სიბრალულს საკუთარი თავის მიმართ, ხოლო ეს იმდენად ძლიერი და, ეტყობა, იმდენად საჭირო გრძნობაა, საერთოდ ადამიანისთვის, მისი წყალობით მთლად ხელიდან წასული აღარ გეჩვენება შენი თავი, ის კი არა, თანაგრძნობის ცრემლიც მოგადგება უნებურად თვალზე, მაგრამ ცრემლს, მით უფრო (სინანულივით) დაგვიანებულს, აღარაფრის შეცვლა აღარ შეუძლია, და ისევ თავიდან, ამჯერად უკვე შენს წარმოდგენებში, ვინ იცის მერამდენედ, პირველყოფილი ძალითა და სიცხადით მეორდება ყველაფერი...

www.Litklubi.ge

3

ყველაზე ბოლოს გოგია მოდის. ორლულიანი სანადირო თოფი მხარზე გადაუკიდია და სადავით მოჰყავს ბებერი, მუცელგაბერილი ფაშატი. დიდი დღე აღარ უწერია. გოგიას კი არა, ფაშატს. ერთი თუ წაიფორხილა, ჩააყენებენ ორმოში და დაახლიან შუბლში ტყვიას. შარშანაც მოკლეს ერთი, ჭიაკოკონობას. ბაზრის ქვემოთ ნიკო და ვალო ბადალაშვილი კაჭაჭს გლეჯდნენ კოცონისთვის. რაღაც სჭირსო - თქვა ნესვამ. - სხვა ცხენებსაც გადასდებსო. გრძნობდა, რაც ელოდებოდა (ნესვა კი არა - ცხენი), წრიალებდა, შფოთავდა, ვიდრე საფლავს გაუთხრიდნენ. დაყნოსავდა მიწას და ისევ წამოყოფდა თავს, გაშეშდებოდა ცოტა ხანს, ყურებდაცქვეტილი. თითქოს ნიჩბის ხმას უსმენდა - კიდევ დამრჩა დრო თუ უკვე მოათავა ნიჩაბმა თავისი საქმეო. ყელზე შებმული თოკი მიწაზე დასთრევდა. თოკის გაძენძილ ბოლოზე ნესვას ედგა ფეხი. თან შაშხანის ჩახმახს აჩხაკუნებდა, ერთობოდა - გახსნიდა, დაკეტავდა, გახსნიდა, დაკეტავდა.

სხვები ჯერ ისევ ცხენებზე სხედან. გოგიას კი, ეტყობა, ეშინია თავდაღმართში ცხენზე ჯდომისა და ფეხით მოჩანჩალებს ბოლოში. ფაშატიც ძლივს მობლაყუნობს, წარამარა ეკეცება უკანა ფეხები, კუდი კი აპრეხილი მოაქვს და კუდსქვემოდან ისეთ ხმებს უშვებს, წინ მიმავალნიც უნებურად ექაჩებიან ადვირებს, ყოვნდებიან ცხენისა და საკუთარ ოხშივარში, უარესად აჭრაჭუნებენ შავად მბზინავ უნაგირებს, გაოფლილ მოსართავებს, კისერმოღრეცილნი, მხარსზემოდან გაჰყურებენ გოგიასა და იმის ფაშატს: რა იყო, რა ამბავში ხართო.

ლეიტენანტი კი ჩქარობს, ღელავს, მიტკალივით გადაფითრებია სახე. ხელით ანიშნებს: გაჩუმდით, აჩქარდითო. ლეიტენანტს ეშინია, მაგრამ არც სხვები არიან უკეთეს დღეში - შიშის ბრალია იმათი ნაძალადევი მხიარულებაც, შიში ალაზდანდარებთ და აფხუკუნებთ, თითქოს ასი წლის ბებრის ქორწილში მიიჩქარიანო. ყველას ეშინია, გოგიას გარდა, რადგან გოგიას იმათი იმედი აქვს, იმათ კი არავისი. გოგიას თავი მოსწონს, იმათთან რომაა, იმათ კი არაფერი სჭირთ თავის მოსაწონი. ჩვეულებრივი ადამიანები არიან, მსახურობენ, ოჯახებს ინახავენ, ცხოვრებაში ერევიან, თუმცა მათი არსებობით არც არაფერი ემატება, არც არაფერი აკლდება ცხოვრებას, რადგან თავად არიან ცხოვრება, რაც არიან - ის არიან, არც მეტი, არც ნაკლები, არც სხვათა გასართობად თამაშობენ, არც თავად შესცქერიან სხვათა თამაშს "მომეტეორე ლორნეტებით". რიგმა მოუწიათ და ცხოვრობენ, როგორც შეუძლიათ. კაჭრეთელი გლეხისა არ იყოს, ფეხს იქამდე შლიან, სადამდეც საბანი გასწვდებათ. გუშინ არ ყოფილან, ხვალ არ იქნებიან. ცხოვრების უსასრულო რიგს მოჰყვებიან ადამის დროიდან, საერთოდაც და ახლაც, ახლაც რიგში დგანან: ლეიტენანტს გრძელო მოსდევს, გრძელოს - არამინდარა, არამინდარას - ნესვა, ნესვას - უფარაანთ გიორგი, ყველაზე ხნიერი მილიციელი, არა მარტო სიღნაღში, მთელ კახეთში და, შეიძლება, მთელს საქართველოშიც. მარტო იმისი ვაჟიშვილი არ არის მილიციელი, მაგრამ ამ პატარა რაზმში ალბათ ყველაზე მეტად მაინც იმას მოსწონს მილიციელობა, შეიძლება იმიტომაც, მისთვის ყველაზე საშიში და მისაბაძი კაცი, საკუთარი ბიძა, დედის ძმა, მთელი სიცოცხლე მილიციას რომ ემალებოდა. "მილიციელს მეტიც შეუძლია და მეტი უფლებითაც სარგებლობსო" - თავისებურად ანათლებდა, თავისებურად არკვევდა ბოროტმოქმედთა ცხოვრების ადათ-წესებში, ჯერ კიდევ ცხვირმოუხოცავ დისშვილს, ვიდრე ლამის მარადიული შიშითა და მოლოდინით შეშლილი, უკანასკნელ თავშესაფარსაც (უფარაანთ სახლს) მიატოვებდა და საკუთარი ფეხით გამოცხადდებოდა მილიციაში. მის დისშვილს კი შარვლის ტოტები მამის გამონაცვალ, ათასნაირად მობრეცილსა და მოჭმუჭნულ ჩექმებში ჩაუტენია, პალტოზე ჯარისკაცული ყვითელბალთიანი ქამარი შემოურტყამს, ყურებიანი ქუდი მუზარადივით ჩამოუფხატავს, მხარზე ორლულიანი სანადირო თოფი გადაუკიდია და სადავით მოჰყავს ცხენი. კაცია და კაცურ საქმეზე მიდის თავისი ჭკუით.

www.Litklubi.ge

უცებ ლეიტენანტი ხელს ასწევს და ყველანი გაჩერდებიან. ფაშატი ჩიჩვირით მიაწყდება გოგიას კეფაში. წინ წავარდნილი გოგია აღვირს დაეკიდება, ძლივს შეიკავებს თავს. ცხენს შეუბღვერს, გამწარებული, ცხენს გადააბრალებს ამ მოულოდნელ მარცხს. მაგრამ ცხენი სულ სხვა მხარეს გაიხედავს, მოწყენილი, გულგრილი. საფიქრალიცა და სადარდელიც თავისი ყოფნის: მუცლის გვრემაო, სიბერეო, შავად პირდაღებული ორმოო. უპეები დიდი, ყვითელი წირპლებით ამოვსებია. გაბითურებული გოგია ახლა მოთაფვლას დაუპირებს, ცდილობს შუბლზე ჩამოუსვას ხელი, მიიჩვიოს, დაიამხანაგოს, მაგრამ ვერც ეს მოუხერხებია, მხარზე გადაკიდული თოფიც უშლის და ცხენსაც გვერდით მიაქვს უზარმაზარი, უშნო თავი - თითქოს ბლაგვი ცულით გამოუჩორკნიათ კუნძიდანო.

ცხენები აქ ხომ არ დავტოვოთო - ჰკითხავს ლეიტენანტი უფარაანთ გიორგის. უფარაანთ გიორგი მხრებს აიჩეჩავს, ვითომ, მე რას მეკითხები, უფროსი შენა ხარო (რასაკვირველია - ჩინით). ამ ცხენების წამოყვანას, ბარემ სასულე ორკესტრით წამოვსულიყავითო - გაიცინებს არამინდარა. ხელიდან თუ დაგვიძვრნენ, სუყველას ნაობახტში ჩაგყრით, ცხენებიანათო - გაბრაზდება ლეიტენანტი. რა თქვა, მაინც, ნასყიდამ, რამდენი არიანო - იკითხავს გრძელო. ნიკო კი, ცოტას მორჩება, დაიყვირებს ჯაგებიდან: ერთია, მარტოაო - თითქოს ერთს არაფერს დაუშავებდნენ. რაკი ერთი ყოფილა, ხელის გასასვრელადაც არ ღირებულაო - იტყოდნენ და უკანვე გაბრუნდებოდნენ. რა იყო, ხომ არ შეგეშინდაო - აგდებულად ეტყვის ლეიტენანტი გრძელოს. გრძელო კი უფარაანთ გიორგის მიუბრუნდება: საომრად თუ მოვდიოდით, მამაცხონებულო, ხალხიც მეტი უნდა წამოგვეყვანაო. პირიქით, საჭიროზე მეტნი იყვნენ, ზედმეტი, შემთხვევითი ხალხი ერიათ და სწორედ იმ ზედმეტმა და შემთხვევითმა დაღუპა ყველაფერი. ყველაზე მეტად შენ უნდა გაფრთხილდეო. - დაუძახებს არამინდარა გრძელოს - რაც ჩვენ აგვცდება, შენ არ აგცდებაო. თან უზანგებზე წამოიმართება და გაოფლილ ლაჯებში გაიტარებს დამწვარი რეზინის სუნით აქოთებულ ქარს. შენ არხეინად იყავი, რასაც ტყვია წააგლეჯს, ნასყიდას აზღვევინებსო - გრძელოს მაგივრად უპასუხებს ნესვა. შენ ისა თქვი, ისეთი რამე თუ წააგლიჯა, რაც ნასყიდას არა აქვსო - გაიცინებს არამინდარა. ყველანი გაიცინებენ. კარგით, კარგით, არ არის ახლა ხუმრობის დროო - გააჩუმებს ლეიტენანტი - საქმე სერიოზულია, გინდაც ერთი ყაჩაღი დაგვხვდეს იმ ნასაყდრალში და გინდაც ათიო. ნეტავი, ერთიც არ დაგვხვდებოდესო - ამოოხვრით იტყვის გრძელო. არ შეიძლება, აუცილებლად უნდა დაგხვდესო - რატომდაც აღელდება ლეიტენანტი. აღარავინ შეეპასუხება. ყველანი გაჩუმდებიან. თავთავიანთ საფიქრალს მიეცემიან წამით. ყველას ერთბაშად გამოეცვლება გუნება. მიწას ჩასცქერიან. ცხენების ფეხებს შორის მღვრიე, ორთქლიანი ნაკადი მოიკლაკნება, მოაბზრიალებს ხმელ ფოთლებსა და ხიწვებს. ახალი, თბილი ჩონჩორიკის სუნი ოდნავ ანელებს დამწვარი რეზინის მწარე სუნს. ქარი ორნაირი სუნითაა ახლა გაჟღენთილი. ვინ იფიქრებდა, ერთი წუთის მერე კაცს თუ მოკლავდნენ.

www.Litklubi.ge

მერე ცხენები გოგიას დაუტოვეს და წავიდნენ, ფრთხილად, უხმაუროდ შემოეწყვნენ ნასაყდრალს. ნასაყდრალის ჩაქცეული ჭერიდან სუსტი, გაწეწილი ბოლი ამოდიოდა. ქარი მაშინვე გლეჯდა ბოლს, წესიერად არ აცლიდა ამოსვლას, აქუცმაცებდა, პენტავდა და თავის ჭკუაზე გაჰქონდ-გამოჰქონდა. გოგიას ექვსი ცხენის სადავე ერთად ეჭირა და გაფაციცებული, მოუთმენლობით, მღელვარებით, ალბათ, შიშითაც შეპყრობილი, მისჩერებოდა ნასაყდრალს. სხვათა შორის, ისევე, როგორც ნიკო. ოღონდ, გოგიასგან განსხვავებით, ნიკო უფრო მეტს ხედავდა, თუნდაც იმავე გოგიას, რომლის დანახვაც, რასაკვირველია, თავად გოგიას არ შეეძლო. მარტო გოგიაზე მეტს კი არ ხედავდა ნიკო, ყველაფერს ხედავდა: გოგიასაც, გოგიას ზურგს უკან აწრიალებულ ცხენებსაც, ნასაყდრალის ირგვლივ ჩასაფრებულ მილიციელებსაც, ნასაყდრალიდან ამომავალ ბოლსაც... იმას კი ვერავინ ხედავდა. ის იყო ყოვლისმხილველიცა და უხილავიც, ვიდრე გოგიას ერთ-ერთი ცხენი თავს ღონივრად აიქნევდა, ალბათ ბუზანკლის მოსაშორებლად, და დაიფრუტუნებდა. რევოლვერმომარჯვებულმა ლეიტენანტმა გოგიას მკაცრად გამოხედა, თვალები დაუბრიალა. გოგია კი ნამდვილად იმსახურებდა დატუქსვას - როგორც კი მარტო დარჩა ცხენებთან, მაშინვე დაივიწყა თავისი მილიციონერობა და ბიძამისის ერთ-ერთ თანამზრახველად წარმოიდგინა თავი - ვითომ, აქ კი არ იდგა, ნასაყდრალთან, ვიღაც ბაზრის ქურდისა თუ გატყიურებული დეზერტირის დასაჭერად, არამედ, ილიას ეტლის გამოჩენას ელოდებოდა წიწამურის ჭალაში, "დაძაბული", "გასუსული" - როგორც ბიძა უყვებოდა პატარაობისას. "იმედი რომ გადაგვეწურა, სწორედ მაშინ გავიგონეთ ეჟვნების წკარა-წკურიო". გოგიასაც ჩაესმა თითქოს იმ ეჟვნების წკარა-წკური, მაგრამ სწორედ ამ დროს დაიფრუტუნა ერთ-ერთმა მისმა ცხენმა და იმავე წამს ლეიტენანტის მკაცრი, დამუქრებული მზერაც იგრძნო. დამფრთხალმა და დაბნეულმა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, გაწყრომოდა თუ დაეყვავებინა ცხენებისთვის, როგორ გამოესყიდა თავისი უნებლიე დანაშაული. ორ ცეცხლს შუა იყო ჩავარდნილი: ერთ მხარეს თოფი ექაჩებოდა, მეორე მხარეს - ექვსი ერთმანეთს მიხუტებული და ცხოველური წინათგრძნობით აფორიაქებული ცხენი.

"დაგვნებდით, ალყაში ხართ, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვსო" - დაიყვირა ლეიტენანტმა და ნასაყდრალის კედელს ტყვია დაახალა.

www.Litklubi.ge

სროლის ხმა წუილით შეიჭრა გალურსულ ხეობაში. ექვსმა ცხენმა ახლა ერთდროულად აიქნია თავი და ლამის მკლავი ააგლიჯა გოგიას (ნეტამც! ნეტამც! ნეტამც!). გოგიას თოფი ჩამოუცურდა მხრიდან და, სანახევროდ მიწაზე მოთრეული, ღვედითღა ეჭირა - ერთი ხელით მიწაზე მოთრეული თოფის ღვედი, მეორეთი - ექვსი დაფეთებული ცხენის აღვირი - და ამ ორ ძალას შორის გაბმული, უშნოდ გაჩაჩხული, ფეხს ვეღარ იკიდებდა მიწაზე, თითქოს მაინცდამაინც იმის ფეხქვეშ მოყინულიყო მიწა. მოშლილ თოჯინასავით, ხან თოფისკენ გადაქანდებოდა, ხან ცხენებისკენ. წესიერად რომ დამდგარიყო, ან ღვედისთვის უნდა გაეშვა ხელი, ან აღვირებისთვის. იმის მაგივრად ნიკოს აუვარდა თავში სისხლი, ნიკოს აუჭრელდა თვალები. ერთი წამით ისიც დაავიწყდა, ნასაყდრალში მისი ყაჩაღი რომ იყო თავშეფარებული, იმის შესაპყრობად რომ ირჯებოდა ამდენი ხალხი. სროლის ხმა ჯერ ისევ ყურებში ედგა, ჯერ ისევ ირეოდა ჰაერში ტყვიით დაფშვნილი ბათქაში, ლეიტენანტმა რომ დაიყვირა - არ ესროლოთ, არ ესროლოთო - და ნიკომაც ისევ გამოიხედა თვალში: გოგია ახლა დაჩოქილი იდგა, ცხენები არ ჩანდნენ, გოგიასკენ ვიღაც გარბოდა. ხომ იცოდა ნიკომ, ვინც აფარებდა ნასაყდრალში თავს, საკუთარი თვალით ნახა და ელაპარაკა კიდეც, მაგრამ მაინც გაუკვირდა ხელმეორედ იმის დანახვა, თითქოს მართლა ზღაპრიდან იყო მოსული, მართლა ზღაპრის გმირი იყო, სულაც ამირანის შვილი, მის მიერ წარმოდგენილი, მის წარმოდგენაში გაცოცხლებული და, ამიტომაც, სხვებისთვის არარსებული, ყოველ შემთხვევაში, სხვებისთვის უხილავი, ძნელად წარმოსადგენი. ის კი, თავშიშველი, პალტოგაღეღილი გარბოდა გოგიასკენ და ყველანი ხედავდნენ. "არ ესროლოთ, არ ესროლოთო" - ყვიროდა ლეიტენანტი. მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია. სროლის ხმა აღარ გაუგონია ნიკოს, მაგრამ მთელი არსებით იგრძნო, როგორ მოხვდა ტყვია მის ყაჩაღს. თითქოს ჰაერში გაჭიმულ მავთულს გადააწყდაო, უკან გადაქანდა და, იმავე წამს, ნიკოც უკან გადაქანდა, უნებურად, როგორც ერთხელ მოუვიდა ბათუმში, როცა თამაშით გართულმა, ერთი წუთით დაივიწყა, ეკლიანი მავთულით რომ იყო შემოღობილი ბაღის გაზონები. იმისი საბანი, დაგლეჯილ მკერდს რომ არ შეხებოდა, მთელი თვის განმავლობაში მამიდაშვილებს ეჭირათ: ანგელოზებივით ესხდნენ საწოლთან, აქეთ-იქიდან - ერთ მხარეს დადა, დოდო და ტატუ, მეორე მხარეს - ნია, მია და ნატული. ყაჩაღმაც, ნიკოსავით, ცალ ფეხზე სცადა თავის შემაგრება, ხელები თავისთავად, ფრთებივით გაეშალა ვერაგულად გამოცარიელებულ სივრცეში, მაგრამ ამანაც ვერ უშველა, ვერ აფრინდა, და ასე, ხელებგაშლილი, უხილავ ფრთებზე ხელებმიბმული, ცალფეხაწეული, თითქოს რაღაცას უნდა გადააბიჯოსო, პირქვე დაენარცხა მიწაზე. "კარგი ბიჭი ჩანხარ, ხანდახან მაინც გამიხსენეო" - ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, ხმამაღლა, ვიღაცისთვის, მეორე კაცისთვის ნათქვამი. ის მეორე კაცი კი ნიკო აღმოჩნდა, მაინცდამაინც.

www.Litklubi.ge

შეიძლება, სწორედ იმას იმსახურებდა, რაც დაიმსახურა, მაგრამ მართლა ყაჩაღი რომ ყოფილიყო, განა ნიკოს ფეხის ხმა არ უნდა გაეგონა?! არ უნდა შეშინებოდა, ან არ უნდა გაჰკვირვებოდა მაინც ნიკოს დანახვა?! იმან კი მაშინვე ცეცხლთან მიიპატიჟა, თითქოს ელოდებოდა კიდეც, თითქოს ნიკოს გასათბობად დაენთო თავიდანვე ცეცხლი, თუკი თვითონაც სხვის დანთებულ ცეცხლს არ ეფიცხებოდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ნიკომაც ვერაფერი შეატყო ყაჩაღობისა, არც კი დაეჭვებულა, ყაჩაღი ხომ არ არის ეს კაცი, შემთხვევითო. სამაგიეროდ, მამას მიამსგავსა, რატომდაც მამამისი ეგონა ერთი წამით, თუმცა იმასაც მაშინვე მიხვდა, უაზრობა, სისულელე რომ იყო მისი ვარაუდი. არ არსებობს ბუნებაში ძალა, სადღაც ცხრა მთას იქით, საწოლს მიჯაჭვული კაცი, ამსიშორეზე გადმოისროლოს უცებ. დედაც ხომ გარკვევით იწერებოდა ბოლო წერილში: ჯერ ისიც საკითხავია, გადარჩება თუ არაო. იმ კაცს კი, ერთი შეხედვით, არაფერი სჭირდა გადასარჩენი. ნიკომ რომ ნასაყდრალში შეიხედა, ცეცხლთან იდგა და ხმელი ჯოხით ჩხრეკდა ცეცხლს. ცეცხლი რეზინის ნაკუწებით დაენთო (ვისაც დაენთო, იმას თუ სხვას). დამწვარი რეზინის სუნი ჯერ კიდევ იქამდე ეცა ნიკოს, ვიდრე ნასაყდრალი გამოჩნდებოდა. ვიდრე ნასაყდრალის ჩაქცეული ჭერიდან ამომავალ ბოლს დაინახავდა და გაუხარდებოდა, ცოტას მაინც გავთბებიო. ისე იყო გათოშილი, სიმწრისაგან ლამის ეყმუვლა. ერთი სული ჰქონდა, როდის ააღწევდა შინამდე, როდის მიეხუტებოდა გავარვარებულ, გვერდგამოწითლებულ ღუმელს. ამიტომაც, სრულებითაც არ არის გასაკვირი, ნასაყდრალში შესული, თავდაპირველად, ცეცხლმა უფრო რომ დააინტერესა, ვიდრე ცეცხლის პატრონმა. მაგრამ მერე და მერე, რაღაცამ მაინც შეაშფოთა, შეაწუხა, ააგანგაშა. მართალია, ყაჩაღობა არც მაშინ გახსენებია, მაგრამ ცოტა რომ გათბა, და უკეთესად დააკვირდა, მთლად ჩვეულებრივ ადამიანს არ ჰგავდა ნასაყდრალში თავშეფარებული კაცი. რაღაცნაირად უცხო ფერ-ხორცი ჰქონდა, ძველებური, სიმყარის, სიმაგრის შეგრძნებასაც რომ უღვიძებს მნახველს და, იმავე დროს, თითქოს სრულიად უმიზეზოდ, ასევდიანებს კიდეც. ყველაფერზე გულდაწყვეტილი, ყველაფერს მონატრებული კაცივით იმზირებოდა. მოკლედ, გინდათ გაიცინეთ, გინდათ არა, გაცოცხლებულ მკვდარსა ჰგავდა. თუმცა, არა, გაცოცხლებულ მკვდარს კი არ ჰგავდა, მკვდარი იყო და ცოცხალს ჰგავდა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მკვდარიც იყო და ცოცხალიც ერთდროულად. შეშუპებული, ჩალურჯებული ხორცი აქა-იქ გადასკდომოდა (შეიძლება, ნასაყდრალის ბინდი და დამწვარი რეზინის ბოლი ქმნიდა ამგვარ შთაბეჭდილებას), მაგრამ მაინც მყარად იდგა ფეხზე, დადიოდა, ხედავდა, ლაპარაკობდა, სხვისიც ესმოდა (ნიკოსი). შეიძლება, ოდესღაც ყაჩაღობდა კიდეც, მაგრამ ხელაღებით ვერ იტყოდით, გინდა თუ არა, ყაჩაღია ეს კაციო. უმალ ხელმწიფის შვილი გაგახსენდებოდათ, საყდარში რომ უდგას კუბო და ხან მკვდარია, ხან ცოცხალი. ეტყობა, იმანაც ამოიცნო ნიკოს ფიქრი, იგრძნო ნიკოს შეშფოთება და დამამშვიდებლად გაუღიმა. მერე ისევ ცეცხლს ჩააჩერდა, ხმელი ჯოხის წვერით ნაღვერდალი მოჩხრიკა და უფრო ცეცხლს უთხრა, ვიდრე ნიკოს: მართალი ბრძანდები, ზღაპარში ვიყავი, ზღაპრიდან მოვდივარო.

ასე რომ, ერთი თვალის შევლებით, ვერავინ დაადგენდა იმის ვინაობას; რასაკვირველია, ვერც მილიცია. თუმცა, ის უკვე ერთ-ერთი უახლოესი ადამიანია ნიკოსთვის, თუნდაც იმიტომ, ცეცხლთან ადგილი რომ დაუთმო შეციებულს და გარკვეული დროის მანძილზე, ერთი და იმავე ცეცხლით იყვნენ ორივენი გამთბარნი; რაც მთავარია, როგორც უკვე ვთქვით, მაინცდამაინც ნიკო აღმოჩნდა ის ადამიანი, ვისაც უკანასკნელად დაელაპარაკა, ენდობოდა თუ არ ენდობოდა ბოლომდე იმას. ახლა კი პირქვე ეგდო სიცივისგან გაქვავებულ მიწაზე და სულ ერთი იყო, ვინ რას იტყოდა, ვინ რას იფიქრებდა იმაზე. ცალ ფეხზე ფეხსაცმელი გასძრობოდა. თეთრი, ქუსლთან გამოშავებული წინდა უფრო საცოდავს, უფრო მიუსაფარსა და, იმავე დროს, უფრო ამაზრზენს ხდიდა იმის პირქვედამხობილ სხეულს.

www.Litklubi.ge

იცოდა, ასე რომ დაამთავრებდა სიცოცხლეს. იცოდა, დღეს რომ მოკვდებოდა. დილიდანვე (დილიდანვე?) ჰქონდა ამის მოლოდინი. ნიკომდეც და ნიკოს მერეც. ეს ჩაბინძურებული ნასაყდრალიც ალბათ კიდევ უფრო უღვივებდა ავ წინათგრძნობას. მაგრამ რაღა მაინცდამაინც აქ შეაფარა თავი?! იქნებ ის მზეჭაბუკი იყო, სიღნაღში რომ უნდა ამოსულიყო და მაინცდამაინც ნიკოს დეიდისთვის ეკითხა: ქალიშვილო, სად არის სასტუმრო ამ დასაქცევ ქალაქშიო?! რაღა ეს ნასაყდრალი აირჩია უკანასკნელ სავანედ?! ვერაფერი ნახა უკეთესი?! ნახევრად საყდარი, ნახევრად ფეხსადგილი. ისიც და ისიც, ერთდროულად, გააჩნია, ვინ რისთვის შემოვა. კედლის ძირში ვიღაცას თავისი პირისთვის უქნია. კედელზე კი სანთლის დაკრუნჩხული ნამწვებია მიგლესილი. იქნებ, განგებ მოვიდა აქ?! იქნებ, სწორედ ასეთ ადგილს დაეძებდა და, ბოლოს და ბოლოს, მიაგნო კიდეც, რადგან ერთხელ და სამუდამოდ დაერწმუნებინა თავი, აღარაფერია ამ ცხოვრებაში გულდასაწყვეტიო; იქ, სადაც ერთ ჭერქვეშაა წმინდა სანთლის ნამწვიცა და განავლის სიმყრალეც, არცა ღირს სიცოცხლეო. მაგრამ, ნიკოს რაღას ერჩოდა?! ნიკო ხომ ვედარასოდეს დაამტკიცებს, ვერც აქ, ვერც იქ, სულთქმის ციხის მოსამართლეებთან, არავითარი ბრალი რომ არ მიუძღვის იმის სიკვდილში, უბრალოდ, ასეთ მარცხიან, ასეთ უიღბლო ვარსკვლავზე რომაა დაბადებული და გინდაც არ შეშინებოდა, გინდაც კურდღელივით არ ესკუპა ჯაგებში, მაინც ვერ მოასწრებდა იმის გაფრთხილებას. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, ყველაფერი ნიკოს თვალწინ რომ მოხდა და როგორც არ უნდა იმართლოს თავი, როგორც არ უნდა დაამშვიდოს თავად მოკლულის აჩრდილმა - შენ რა შუაში ხარ, ადრე თუ გვიან, მე მაინც მომკლავდნენო - უკვე ვეღარასოდეს ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც უნდოდა რომ ყოფილიყო: ღმერთის წინაშე სუფთა, კაცის წინაშე უშიშარი. უ-ში-შა-რი! რადგან მშიშრობას ყველაფერი სჯობია, მშიშარა კაცი დღეში სამჯერ კვდება. ვანო მასწავლებლისა არ იყოს, სრულებითაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ჰიტლერმა გაგაიპსილონოს, შეგიძლია, თვითონ იქცე იპსილონად, სხვების დაუხმარებლადაც - დღეს შიშს შეჭამ, ხვალ სიმართლეს დამარხავ, ზეგ შენთვის უცნობ ადამიანს დაასმენ, მაზეგ ლექსებს დაუხევ მოწაფეს და გათავდა, მეტი კი არაფერია იპსილონობა! მაგრამ ვინ რად აგდებს ნიკოს სიტყვას, ვის რაში აინტერესებს საერთოდ, ნიკო?! ვითომ ბავშვი. ძალად კაცი. მარტო ასაკიღა შერჩა ბავშვისა, თუმცა, უფრო მართლები ვიქნებით, თუკი ვიტყვით, ჯერ ასაკიც არა აქვს კაცისო. ძალით გააწყვეტინეს ბავშვობის ბორკილი, ხოლო, ის ბორკილი, თუკი თავის დროზე თავისთავად არ გაწყდა, ისე არ მოგშორდება არასოდეს. ბავშვობის ციხიდან კი გამოაპარეს, მაგრამ მაინც იმ ციხის პატიმარია, თანაც უკვე სამუდამოდ, უკვე ყველასთვის, რადგან ძალით გაწყვეტილი ბორკილის ნაგლეჯი ფეხზე აქვს შერჩენილი და საითაც არ უნდა წავიდეს, ისიც უკან მისდევს, ავი ქოფაკივით სულ მუდამ აღრენილ-აწკავწკავებული.

www.Litklubi.ge

გოგია კი ჯერ ისევ მუხლებზე იდგა. სახე და ხელები სისხლით ჰქონდა მოთხუპნული, ოღონდ, ყაჩაღისა კი არა, საკუთარით, ეტყობა, სიჩქარეში კონდახის მხარზე მიბჯენა ვერ მოასწრო და ჩახმახმა კანი აახია ხელზე. არამინდარა ატყავებულზე თუთუნს აყრიდა. მამამისი და ნესვა ცხენებს დასდევდნენ. ლეიტენანტი და გრძელო მოკლულს დასდგომოდნენ თავზე. ის კი, მოკლული, პირქვე ეგდო, თითქოს რცხვენოდა ქვეყნისა, ორლულიანი თოფით რომ მოეკლათ, ნადირივით... თითქოს იმის ხორციც იჭმეოდა. მოკლედ, ყველაფერი მომთავრებულიყო. ელასა, მელასაო. მომთავრებულიყო, მაგრამ მთლად ისე არა, როგორც ელოდებოდნენ, როგორც მომთავრებამდე ფიქრობდნენ. გრძელო ორჯერ მაინც შევიდა ნასაყდრალში, დანარჩენ ყაჩაღებს ეძებდა, მაგრამ რაც არ იყო, რას იპოვიდა. ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასაო. ერთმანეთისკენ გახედვაც არ უნდოდათ, ვითომ ყველა თავის საქმით იყო დაკავებული, ვითომ, მთავარი - განაკაწრზე თუთუნის დაყრა, დაფეთებული ცხენების დაჭერა-მოგროვება, მკვდრის ჯიბეების გაჩხრეკა, ანდა, არარსებული ყაჩაღების ძებნა იყო და არა თავად მკვდარი, რომელიც ნამდვილად არსებობდა, ნამდვილად ეგდო პირქვე ქვადქცეულ მიწაზე, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა, არ ყოფილიყო ყაჩაღი და აღმოჩენილიყო, როგორც ნიკომ წარმოიდგინა (ვთქვათ, დავუშვათ), რომელიმე ზღაპრის გმირი, ხელმეორედ, ოღონდ უკვე სხვა დროში, სხვა გარემოში გაცოცხლებული, რომელმაც წესიერად გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ვერც სასწაულის სიდიადე აღიქვა ბოლომდე, ისევ უკანვე, ისევ სიკვდილში რომ შეაბრუნეს სადათვე საფანტით. მთქმელსა და გამგონებელსა ღმერთი გწყალობდეთ ყველასაო.

მაგრამ ზღაპრებს რომ თავი გავანებოთ, ასევე თავისუფლად შეიძლებოდა, ნასაყდრალთან მოკლული კაცი, სულაც, ნიკოს დეიდის შეყვარებული აღმოჩენილიყო, წნორელი სოსო, სევდიანად მოღიმარი (დეიდა ყვება: ისე იღიმებოდა, ტირილი მინდებოდაო. სხვათა შორის, ნიკოსაც აუჩუყა გული ნასაყდრალთან მოკლული კაცის ღიმილმა, განსაკუთრებით ბოლოს, გამოთხოვების ჟამს, როცა ნასაყდრალის კარში იდგა და "სევდიანად მოღიმარი" შემოსცქეროდა ნასაყდრალიდან ლამის ძალით გამოპანღურებულ ნიკოს), რომელსაც, ვინ იცის, ვერაფრით გადაეწყვიტა, ასულიყო თუ არა ერთი დღის შეყვარებულთან. ფეხები უკან რჩებოდა ალბათ, რადგან არ სჯეროდა, არ ეგონა, კიდევ თუ ეხსომებოდათ იგი, კიდევ თუ ექნებოდათ იმისი მოლოდინი... და საერთოდ, ჰქონდა თუ არა უფლება, თავის შეყვარებულად ჩაეთვალა გოგო, მხოლოდ ერთხელ რომ ნახა სიცოცხლეში, ერთხელ გაასეირნა წნორის დახუთულ, მტვრიან ორღობეში და ისე მიაცილა შინამდე, სახელიც არ უკითხავს. მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას, მართლა ასე იყოს. ნიკოს დეიდას ჯერ კიდევ სჯერა სასწაულისა, ჯერ კიდევ ელოდება და, რაც მთავარია, უკვე შეგუებულიცაა ამგვარ ცხოვრებას. ასე რომ, სრულებითაც არ არის აუცილებელი, წნორელი სოსო აღმოჩნდეს ნასაყდრალთან მოკლული კაცი. ქვეყანა სავსეა სოსოებით - ომისგან დაწიოკებულნი, კალაპოტიდან ამოვარდნილნი, ფესვებს მომწყდარნი, უჭეროდ და უძიროდ დარჩენილნი, ჯერ კიდევ დიდხანს იხეტიალებენ ალბათ და, ღმერთმა იცის, დაბინავდებიან თუ არა საერთოდ. უცებ, სად იყო და სად არა, იოსებამ ამოიარა თავისი დროგით. გვერდულად იჯდა კოფოზე, მხარაწეული, შეციებული, ქარზე გამწყრალი. რა ბედზე გამოგვეცხადეო - უთხრა ლეიტენანტმა. მაგრამ დაინახა თუ არა იოსებამ გვამი, ერთი კი გადმოაპურჭყა მხარს ზემოდან და ისე მწარედ გადაუჭრა ცხენს მათრახი, დროგმა სულ ერთიანად მიფშხვნა-მოფშხვნა იქაურობა უკანა ბორბლებით. დამფრთხალი, გაბურძგნული კვიცი ხვიხვინით გამოედევნა უკან.

www.Litklubi.ge

იოსებას გვამის ეშინია, ვერ იტანს, როგორც თვითონვე ამბობს, "ელეთმელეთი მოსდის" გვამის დანახვაზე. რამდენჯერ შეუჩივლია ნიკოს ბებიისთვის, გვამმა ამირია ასე ცხოვრებაო, გვამმა გამალოთაო. რამდენი დათვრება, ვიდაც მკვდარს აგინებს: შენ რომ არ გადაგყროდი, იქნება, მეც კაცი გამოვსულიყავიო. სიმთვრალეში ახსენდება მკვდარი თუ თავისი ლოთობის გასამართლებლად გამოიგონა საერთოდ, ერთი ცხადია - განუყოფლები არიან, უერთმანეთოდ ერთ დღესაც ვეღარ გაძლებენ. ისეთი გრძნობითა და მღელვარებით ყვება ხოლმე იმ მკვდარზე, გინდაც ტყუოდეს, დაუჯერებ, შენც აგაღელვებს, შენც გადაგდებს თავის მშფოთვარებას. ყოველ დილით მდუღარე თუ არ გადაავლო დროგს, ისე ზედ არ დაჯდება. კაცი დაბერდა და პირჯვრის წერით იფიცავს, აქამდე ვერ მოვიშორე იმ მკვდრის სუნიო. ექიმი ამბობს, ეგეც ერთგვარი ავადმყოფობაა, მაგრამ იოსებას ვერაფერს დააკლებსო, ყოველ შემთხვევაში, მაგით არ მოკვდებაო.

www.Litklubi.ge

თორმეტი წლისა ყოფილა, ეს ამბავი რომ შემთხვევია. პირველად დამჯდარა მარტო, უმამოდ, დროგზე, და პირველსავე დღეს გვამის მტვირთაობა დაუკისრებია ბედს - უცხვირპიროს - როგორც თვითონ ეძახის. მამამისი იმ დღეს ავად გამხდარა და იოსებასთვის მიუნდვია დროგი. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და, შეიძლება, ამიტომაც უფრო დავითრგუნეო - ამბობს იოსება. ვიღაც ვაჭარსა და მდვდელს დაუქირავებიათ, რადაც საზიარო ჰქონიათ წამოსაღები მონასტრიდან, ის "რადაც საზიარო" კი, ბოლოს გვამი აღმოჩნდა. თანაც, სუდარაში კი არ ყოფილა გახვეული, რასაც კიდევ აიტანდა კაცი, პოლკოვნიკისა თუ სულაც გენერლის მუნდირი სცმია, ჩინ-მედლებით გაწყობილი. ყველა სიკეთესთან ერთად, ცალი თვალი ღია ჰქონია და იმ დაჭყეტილი თვალის გამო კიდევ უფრო საზარელი შესახედი ყოფილა. იმ დღეს დავითარსეო, იმ დღის მერე თითქოს სულ მკვდარი დამაქვს დროგითო, თითქოს ის ცალთვალდაჭყეტილი მკვდარი ისევ ჩემს დროგზე იყოს გაშოტილიო - იძახის იოსება. ათას რამეს ფიქრობს გზაზე დამდგარი კაცი, აბა, გზას ისე რა გალევს, მაგრამ სულ ერთი და იგივე მტერმა იფიქრა; რაც არ უნდა მაგარი ბიჭი იყო, მაინც გაგტეხავს, გადაგრევს, გაგაპამპულებს, ხოდა, იოსებასაც ხანდახან ისე აიტანს თურმე შიში, დროგიდან გადმოხტება და უკანმოუხედავად გარბის. დროგზე ხან წისქვილის ქვა უდევს, ხან მარილის ლოდი, ხან ხორბლის, ქერისა თუ შვრიის ტომრები, მაგრამ იმას მაინც ჩინ-მედლიანი მკვდარი ელანდება და გარბის უკანმოუხედავად, თქვენი პატრონის დედაცო, აგინებს დროგსაც და მკვდარსაც. მაგრამ სად წავა? როდემდე ირბენს? როგორ გაძლებს უდროგოდ? არყის ფულსაც შოვნა უნდა. უშრომლად ვერც გალოთდება კაცი. და იოსებაც კუდამოძუებული ბრუნდება შუა გზაზე გაჩერებულ დროგთან, მშვიდად, უდრტვინველად რომ ელოდება თავის ჩიტირეკია პატრონს. აბა, რა ვქნაო - იძახის იოსება - დროგზე რომ ვზივარ, გულისყური სულ ზურგსუკან მაქვსო, სულ იმის ფიქრში ვარ, როდის მოეხეთქება კოფოს, ის პირქვე დასამარხი, თავითო. მონასტრიდან, პირველად, ნამდვილად რომ წამოუღია გვამი, სულ ასე აწყდებოდა თურმე კოფოს, დროგის ბიძგებს აყოლილი. წამოჩოჩდებოდა, წამოჩოჩდებოდა და კოფოს ფიცარზე გაარახუნებდა თავს. რამე დაუდეთ თავთანო - ეუბნებოდა თურმე იოსება გვამის პატრონებს, მაგრამ ისინი ყურსაც არ იბერტყავდნენ, ერთი ალთას იყურებოდა, მეორე ბალთას, თითქოს ერთმანეთსაც გაბუტვიან და მკვდარსაცო. სულ ფეხებზე ეკიდათ თურმე, ფიჩხის გუდურასავით, ზევით-ქვევით რომ დაჩოჩავდა მათი მკვდარი, თანაც იმპერიის პოლკოვნიკი, თუ გენერალი არა. იოსებას დროგი გაუჩერებია. მამისეული ტყაპუჭი გაუხდია (რაკი დროგზე მარტო დამჯდარა პირველად, მამას ტყაპუჭიც უთხოვებია - უფრო დიდი გამოჩნდებიო), და კოფოსა და მკვდრის შუა ჩაუკუჭავს. მაგრამ არც მაშინ დაუძრავთ იმათ ხმა, ისიც არ უკითხავთ, რატომ გავჩერდითო, თუკი საერთოდ იგრძნეს გაჩერება. მობუზულები მსხდარან, გვამის აქეთ-იქით, მხრებამოყრილნი, თითქოს გვამს სვავები დაჰფრენიანო. მიცვალებული კი მოჰქონდათ, მაგრამ მიცვალებულზე მეტად სხვა რაღაცა ადარდებდათო, სხვაგან ქროდა მათი გონებაო - ყვება იოსება. არც ადგილზე გამოუდვიათ მაინცდამაინც თავი. იქაც გვერდზე გამდგარან, ტანსაცმლის ფერთხვა-ფერთხვით. იოსებას ლამის მარტოს აუთრევია გაფშეკილი გვამი მეორე სართულზე. ვიღაც ქალს შეუშველებია სამადლოდ ხელი. ზორბა ქალი ყოფილა, ხორციანი, პომადით ტუჩებმოთხუპნული. დიდი ძუძუები ჰქონია, გვამი რომ აგვქონდა, მინდოდა-არ მინდოდა, სულ იმის ძუძუზე მიხვდებოდა ხელიო - იცინის იოსება. თორმეტი წლის ბიჭები უკვე გამოქექილები არიან, რძიანასაც მშვენივრად გამოარჩევენ სხვა ბალახში. ის დღე ყოფილა და ის დღე, იმის მერე სულ უკან-უკან წასულა იოსებას საქმე. ქვეყანა დაინგრა და ხელახლა აშენდა, ბრიყვი დაბრძენდა და ქაჩალს თმა ამოუვიდა, მე კი ისევ მედროგე იოსებად დავრჩიო - იძახის გაგულისებული - ისევ იმ გვამს დავათრევო, გვამი კი არა, მთელი მკვდარი იმპერია მიდევს დროგზე, თავის პოლკოვნიკებიანადო, და ეგრეც უნდა იყოს, რადგან ვერაფრით ვერ ვისწავლე ჭკუაო, უტვინოდ დავრჩი და უტვინოდ ჩავალ საფლავშიცო, ხატიც არა მაქვს, ჭკუა იმას მაინც რომ დავეკითხოო, მზე ერთხელ ჯოჯოხეთსაც მიადგება, ჩემს თავლას კი არაო, ვიდრე ის იმპერია ფეხზე იდგა, სულ ვაშებლაღოროდიეს მაძახებდა, მოკვდა და მაინც ჩემი სათრევიაო... რაც უფრო ეკიდება სასმელი, მით უფრო მეტს ლაპარაკობს, მით უფრო ეშლება ლაპარაკის საღერღელი, ლაპარაკში მოსდის მუზა,

www.Litklubi.ge

რა გინდათ, რომ იმის ენამ არ თქვას, ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ოღონდ მსმენელი ყავდეს ვინმე, ნიკოს ხომ ათასჯერ უნდა მოუყვეს ერთი და იგივე, ერთი და იგივე, მაგრამ არც ნიკოს ბეზრდება იოსებას "ერთიდაიგივეს" მოსმენა, მით უფრო, ძველ, ტყავგადამსკდარ უნაგირზე ჯდომა ნესტიან თავლაში, ცხენის შარდისა და ჩონჩორიკის სუნით გაჟღენთილ ბინდბუნდში. ღმერთმა მოგცეთ, იოსებას რომ ენა აქვს - თუ დასჭირდა, ზურგს მოიფხანს.

წესიერად არც იყო თვალს მიფარებული, ჯერ კიდევ ისმოდა იმისი დროგის რახრახი, ახლა ბრმები რომ გამოჩნდნენ. ერთმანეთს მოჰყვებოდნენ, ბატებივით, მწკრივში ჩამდგარნი. წინ, რა თქმა უნდა, ძია სანდრო მოუძღოდათ. სანდრო, ფიდო, აბე, ნოე. ნოე, აბე, ფიდო, სანდრო. იოსება ამბობს: მარგალიტა სანდროსაც ისე ამრავლებს, როგორც თავის ქოთნის ყვავილსო - ცოტა რაღაცას მოაჭრის, მიწაში ჩათესავს და იქიდან კიდევ ერთი სანდრო ამოვაო. არადა, მართლა გვანან ერთმანეთს. ალბათ საერთო სიბრმავის გამო. ერთნაირად ვერ ხედავენ და, ამიტომ, ერთნაირად გამოიყურებიან. ლაპარაკითაც ერთნაირად ლაპარაკობენ. კი არ ლაპარაკობენ, ერთმანეთს ეთანხმებიან, ოთხნაირად ამბობენ ერთსა და იმავეს.

გაჩერდნენ და ცას მიჩერებულებმა, კარგა ხანს ახამხამეს (ერთნაირად) ქუთუთოები. არც დამხვდურებს უთქვამთ რამე, არც იმათ. დამხვდურებს იმათთვის სად ეცალათ, ჯერ კიდევ იოსებას დროგის რახრახს გაჰყურებდნენ დაბოღმილები. ბრმებსაც, ეტყობა, ტანმა უგრძნოთ, ცუდ ამბავს რომ შესწრებოდნენ და დაძაბულები იდგნენ, თითქოს იმათთვის წაესწრო ვიღაცას ქურდობაზე და წასვლაც უჭირდათ, დარჩენაც. შეიძლება, უფრო მეტი იგრძნეს, უფრო მეტი წარმოიდგინეს თავიანთ მარადიულ სიბნელეში, ვიდრე ჩვეულებრივი თვალით დაინახავდნენ, მხედველობა რომ ჰქონოდათ, ყველასნაირი, და იმან გააოგნათ, იმან წაართვათ საძრაობა. იდგნენ და ცას აცქეროდნენ. მერე ძია სანდრომ ქუდი მოიხადა და ორივე ხელით მკერდზე მიიხუტა. მაშინვე, დანარჩენებმაც მოიხადეს ქუდები. თავშიშველები იდგნენ და ისევ ერთნაირად ახამხამებდნენ ქუთუთოებს. ქარი კი სხვადასხვანაირად, სასაცილოდაც კი, უწეწავდა ოთხივეს თმას.

www.Litklubi.ge

ბოდბისხევის ბაზრიდან მოდიოდნენ ალბათ, თოკი ექნებოდათ ჩატანილი გასაყიდად - თოკი ხომ ყველას სჭირდება, კაცი უთოკოდ ვერ გაძლებს, იმდენი რაღაცაა დასაბმელი, შესაკვრელი, დასაკიდი, გადასაბმელი... იმათაც ჩაიტანეს ბაზარში თავიანთი დაგრეხილი თოკი, ხელი უცებ გაიცალეს და გამობრუნდნენ ახალი თოკის დასაგრეხად. ესაა მთელი მათი ცხოვრება, მათი გზა: ჩარხი - ბაზარი - ჩარხი. ხანდახან, ნიკოსაც ატრიალებინებენ ჩარხის სახელურს. იოსებას თავლისა არ იყოს, იმათთან ყოფნაც ძალიან უყვარს ნიკოს, ოღონდ, უფრო ზაფხულობით, როცა ჩახუთული, თოკის ბეწვით სავსე ოთახიდან გარეთ გამოაქვთ ჩარხი, აივნის ქვეშ. ისინი მუშაობენ, ნიკო ერთობა. ცხელი, მტვრიანი დღეა (ღმერთმა იცის, კიდევ თუ მოესწრება ნიკო ზაფხულს), ჰაერს ბუბუნი გაუდის. კედლის ძირში უპატრონო ძაღლი მიგდებულა და ნატკენ კოჭს ილოკავს. ვიღაცამ ქვა ესროლა ალბათ და აქ, ბრმებთან შემოაფარა თავი. ყველა ქვას ესვრის, ყველა იშორებს, არავის არ უნდა. ისიც დაწანწალებს უპატრონოდ. სად უნდა წახვიდეთ, ეგ რომ იქ არ დაგიხვდეთ. ნატკენ კოჭს ილოკავს და ფიქრობს: რას ვუშავებ ამ ხალხს, რას მერჩიან, რით ვერ შევაგნებინე ჩემი სიყვარულიო; ტკივილი რომ ჩამიწყნარდება, ისევ გავალ ქუჩაში და პირველსავე შემხვედრს, გინდაც მომკლას, ხელებს ავულოკავო. შავ თუთას ერთიანად გადაულაქავს იქაურობა. ეზოს მეორე ბოლოში დასიცხული ქათმები მიყუჟულან. იოსებას თავლიდან ცხენი იყურება, თითქოს ცხენი კი არ არის, ცხენის სურათი გამოუდგამს იოსებას ჩარჩოში ჩასმული, თვალსაც არ ახამხამებს - ალბათ იმაზე ფიქრობს, აქ დავრჩე თუ ეზოში გავიდეო. თან ეზოში გავლაც უნდა, თან თავლის ნესტი და სიგრილეც არ ეთმობა. ხოდა, დგას გაშტერებული. ახი არ არის, ერთი მივუხტე და გამოვაძუნძულო იქიდანო - ფიქრობს უპატრონო ძაღლი. ვერ შეიგნო, უპატრონო რომაა, არაფერი რომ არ ჰქვია მის გულმოდგინებას, არც წვლილი, არც ამაგი, მაგრამ წამოდგომა ეზარება, ნატკენი ფეხი ჯერ კიდევ ყრუდ უფეთქავს. სჯობს, ცოტა ხანს კიდევ იწვეს, თორემ ვიღაცა კოჭლობას შეატყობს და ახლა ამიტომ აითვალწუნებენ. უცებ პეპელა დააჯდება დრუნჩზე. ისიც გაინაბება, ეშმაკურად თვალებდაწკურული - არ დავაფრთხო, იქნებ როგორმე პირში მოვიგდოო. მაგრამ პეპელას ძაღლის ცივი დრუნჩი არ ესიამოვნება და მაშინვე წამოფრინდება, ფეხებგათოშილი. ძაღლიც წამოუხტება, გამოედევნება, რაღაცნაირად გამწარდება, თითქოს უკვე მას ეკუთვნოდა და დაკარგა. აღარც წყენა ახსოვს, აღარც ტკივილი. სწორედ ნატკენი ფეხით ცდილობს მისწვდეს, ჩამოაგდოს, მაგრამ პეპელა, მაინცდამაინც, მაშინ იცვლის ხოლმე მხარს, როცა იმის დაჭერას თითქოს აღარაფერი აკლია. ეს, მგონი, მაპამპულებს კიდეცო - უარესად ბრაზდება უპატრონო ძაღლი. ერთი-ორჯერ შეიღრენს კიდეც და უფრო მაღლა შეხტება ჰაერში, მაგრამ პეპელა იმაზე მაღლა აფრინდება, ცოტა ხანს კიდევ იფარფატებს პირში ჩალაგამოვლებული ძაღლის თავზე, გამომწვევად, გამაღიზიანებლად, და ბოლოს ღობის იქით გადაფრინდება. ძაღლიც მაშინვე შეეგუება იმის დაკარგვას. თუთის ხეს შემოურბენს გარშემო, ძირს დაუყნოსავს, ფეხს მიუშვერს და ისევ ღობის ძირას მიყუჟული, სიცხისაგან დაოსებული ქათმები მოხვდება თვალში. გაუხარდება, ეგენი მაინც სად წამივლენო, ერთი მაგრად უნდა დავაწიოკოო, მაგრამ ქვის მსროლელი გაახსენდება უცებ და შეწუხდება, აწრიალდება, აფორიაქდება: ვინ იცის, გაბუტული ვგონივარ და კიდევ უფრო უარესად აიყაროს ჩემზე გულიო. ენაგადმოგდებული, აქაქანებული გაიძურწება ეზოდან.

www.Litklubi.ge

"ბაზარში უმეგზურად როგორ ჩადიხართო" - ეკითხება ნიკო ძია სანდროს, ისე, სხვათა შორის, იმან რომ არ იფიქროს, მარტო ჩარხის სახელურის დასატრიალებლად გადმოდის ჩვენთან და ჩვენი სხვა არაფერი აინტერესებსო. ძია სანდროს მუხლებზე წყლით სავსე პატარა ჯამი უდგას, თითბრისა. შიგ პურს ალბობს. ეზო მოურწყავთ. სველი მიწის სუნი დგას. სველი მიწისა და ჰაერში გაჩერებული მტვრისა. აივნის საყრდენ ბოძზე, დოქის გვერდით, ჭიანურია მიყუდებული (ბრმების დობილი, ბრმების მესაიდუმლე, იმათი სევდა-წუხილის გამომრწყავი. ღამღამობით უკრავენ. ცაცხვებისა და ჟასმინის სუნით გაჟღენთილ ბნელში სხედან და უცნაურად, სულის შემძვრელად ატირებენ, აქვითინებენ სიმებს. ნიკოსაც ეტირება, არკი იცის, რატომ, რა სჭირთ სატირალი. თავისი აივნის მოაჯირზე ნიკაპჩამოდებული, ისიც ცაცხვებისა და ჟასმინის სუნით გაჟღენთილ სიბნელეს მისჩერებია და თვალწინ სულ ახამხამებული ქუთუთოებიდან გამოჭყეტილი, თეთრი, გაშეშებული გუგები უდგას, ქვის კვერცხების მაგვარი). ძია სანდრო არ პასუხობს, დანარჩენებივით მშვიდად ილოდნება წყალში ჩამბალ პურს. თავმოხსნილი, ნიკოზე მაღალი ტომარა ღორის ძაგრითაა სავსე. ჩარხთან, მიწაზე, ახალი, გაბურძგნული თოკი გდია, ძირში შეჭრილ ნაწნავივით. კვიპაროსზე ჩიტები ჟივჟივებენ. ხანდახან, დაწყვილებულნი, სიყვარულით გართულნი, გამოსხლტებიან ხოლმე დაბურული სიმწვანიდან, ფრთების გამალებული ფართხუნით, ძლივს შეიმაგრებენ ჰაერში ერთმანეთს და ასე, ჩახუტებულნი, ისევ დაბურულ სიმწვანეში შებრუნდებიან. და როცა აღარ ელოდება ნიკო, სწორედ მაშინ პასუხობს ძია სანდრო: რა სიღნაღი, რა ბოდბისხევი, ჩვენთვის ყველგან ერთნაირად ბნელაო. ეგრეაო - ეთანხმება ფიდო. ეგ თქვენთვისაა ძნელი უცხო ადგილას გზის გაგნებაო - მხარს უჭერს ნოეც. აბე მხოლოდ თავს აკანტურებს, თანხმობის ნიშნად, ეზარება ლაპარაკი, ცხელა, თანაც, რა აუცილებელია, მაინცდამაინც ოთხჯერ ითქვას ერთი და იგივე, სამჯერ რა, ცოტაა?! გამგები გაიგებს.

მაგრამ ეს ძველი ხილვაა, გარდასულ ზაფხულთა დანატოვარი. ახლა ბრმები ქარში დგანან, თავშიშველები, და ერთნაირად უჭირთ წასვლაც და დარჩენაც. უცებ, არამინდარა მიუტრიალდა და შეუღრინა: რას უდგახართ, წადით, საქმეს მიხედეთო. ძია სანდრომ (დანარჩენებმაც) მაშინვე ქუდი დაიხურა (დაიხურეს), თითქოს არამინდარას ეთქვას, ამ ცივ ქარში თავშიშველები ნუ დგახართო. ახლა ყველანი ბრმებს უყურებდნენ, ბრმები კიდევ - ცას.

პირქვედამხობილ ყაჩაღს პალტოს კალთა უფრიალებდა, კეფაზე თმა აშლოდა - ქარი გადასდიოდა ზედ.

დღედაღამ თოკს რომ გრეხ, ჯერ საკუთარი ცოლი დააბიო - ისევ დაიღრინა არამინდარამ, ხანგრძლივი დაძაბულობის შემდეგ, უმიზეზოდ, უსაფუძვლოდ გაღიზიანებულიყო და აღარ უკვირდებოდა, რას ამბობდა; შარზე კი არ იყო, არ იცოდა, როგორ მოერჩინა თავი, როგორ მოეშორებინა გულიდან შიშნაჭამი სიცარიელე. ტყუილად კი არ ამბობს ნიკოს პაპა, თვალით ბრმა სჯობს გონებით ბრმასო. გაანებე თავიო - გაუწყრა ლეიტენანტი არამინდარას. - არ გეწყინოს, ძია სანდროო - დაუძახა ძია სანდროს. აბა, რას მოგვჩერებიან ხელებშიო - აიქნია თავი არამინდარამ, ვითომ, მე თქვენკენ, თქვენ კი ეშმაკებისკენო. ბრმები შეტრიალდნენ და წავიდნენ. თავაწეულები მიდიოდნენ. ისევ მწკრივში იდგნენ, მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ნაბოლარას (აბეს) ცარიელი, მჭიდროდ გადახვეული ტომრები იღლიაში ამოედო, უარესად გაღიზიანებული არამინდარა ყველაზე მწარე, ყველაზე გესლიან სიტყვას დაეძებდა თავის გამოცარიელებულ გულში. თან უკვირდა, რა მინდა, რას გადავეკიდე ამ პატიოსან ადამიანსო. მაგრამ, იმავე დროს, სწორედ ბრმის შეურყეველ სიმშვიდეს გამოჰყავდა წონასწორობიდან. იოსებამ აგასწრო, არ გაგიკვირდეს, კარი თუ ჩაკეტილი დაგხვდებაო, - მიაძახა ვითომ ხუმრობით, ვითომ დასაზავებლად, მაგრამ ხმაში ხრინწი გარეოდა და ნაძალადევი ღიმილი უსიამოდ გადაგლესვოდა, აქა-იქ, სახეზე. არავის გაუცინია. არც ბრმები შეყოვნებულან, თითქოს არც არაფერი გაუგიათ, მიდიოდნენ მშვიდად, ამაყად თავაწეულნი მიუყვებოდნენ სიღნაღის აღმართს, თითქოს ცაში მიდიოდნენ, ღმერთთან.

www.Litklubi.ge

მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, მოკლული ყაჩაღი ხურჯინივით გადაჰკიდეს გოგიას ფაშატს (მაინცდამაინც გოგიას ფაშატს - ნანადირევი ხომ მონადირისაა და თვითონ იცის, გაუყოფს თუ არა სხვებსაც) და დაიძრნენ. უნაგირზეც პირქვე გადაკიდული ყაჩაღის უღონო, გასისხლიანებული ხელი თეძოზე სცემდა ცხენს, თითქოს აჩქარებდა, აქეზებდა, უწყრებოდა, მალე რომ აეთავებინა იმას აღმართი, მალე მისულიყო დანიშნულ ადგილას. გეგონებოდათ, ხელის პატრონს ესიკვდილება, რცხვენია, ასე საცოდავად, ასე უმწეოდ რომაა გადაკიდული ცხენის ზურგზეო. ყაჩაღის სისხლმა ფაშატსაც ერთბაშად ჩამოუშავა თეძო. გოგია ახლაც ყველაზე ბოლოს მოდიოდა, თუმცა, "ბოლო" აღარ ეთქმოდა, გაემარჯვნა, გამორჩეულიყო დანარჩენებში. თოფი მარცხენა ხელის იღლიაში ამოედო, ხოლო, ნაუცბათევად გადახვეული მარჯვენა ხშირ-ხშირად მიჰქონდა პირთან, სულს უბერავდა, თითქოს მიჰყინვიაო. თუთუნდაყრილი განაკაწრი ალბათ მართლა ეწვოდა, მაგრამ ცოტას აზვიადებდა კიდეც, თამაშობდა, ილიას მკვლელ ბიძას ეჯიბრებოდა, ტოლს არ უდებდა გუნებაში, ოღონდ, ძნელი მისახვედრია, ბრიყვულად კოპწიაობდა - ნახეთ, რა ყოჩაღი ვარო - თუ ეშმაკურად ისაწყლებდა თავს, ვითომ, ის კი მოვკალი, მაგრამ არც მე დავზარალდი ნაკლებადო. წელჩაზნექილი ფაშატი სასაცილოდ მიაქანებდა თეძოებს, თითქოს ვიღაცას აჯავრებდა სიარულში. მოკლული კი უღონო, გასისხლიანებული ხელით სცემდა თეძოზე, თითქოს მართლა აჩქარებდა, თითქოს უკვე სულერთი არ იყო იმისთვის, დაინახავდა თუ არა, დავუშვათ, შეყვარებული, ასე ხურჯინივით გადაკიდებულს ცხენის უნაგირზე. შეყვარებული კი (თუ დაქორწინებულიც არ იყო), ეტყობა, მართლა ჰყავდა, რადგან თითზე ოქროს ბეჭედი ეკეთა, ნიშნობისა, და იმისი გამონაშუქი, ხანდახან, ცეცხლისფრად ელავდა სიცივისგან გაცრეცილსა და გასპეტაკებულ ჰაერში. უცებ გოგიამ ფეხს აუჩქარა, ფაშატს დაეწია, ალბათ თითიდან ბეჭდის წაძრობა დაუპირა ყაჩაღს, და, ცალხელშეხვეული, იღლიაში თოფამოჩრილი, უხერხულად წაეტანა იმის აქანავებულ ხელს. მაშინ კი ვეღარ მოითმინა ნიკომ - ჯაგნარში ჩამალული, დაკაწრულ-დაბღორტნილი - უცებ ფეხზე წამოვარდა და იყვირა: კაცის მკვლელო, გოგია, კაცის მკვლელო, გოგიაო!

www.Litklubi.ge

გოგია გველნაცემივით შემობრუნდა ხმისკენ, დამფრთხალი, დაფეთებული თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. მართალია, ნიკო დიდხანს აძაგძაგა შიშმა ჯაგებში - თითქოს ელექტრონის გაწყვეტილ მავთულზე ეკიდა ხელი - მაგრამ იქამდე, ვიდრე გოგიას თვალებს დაინახავდა, თურმე, საერთოდ არ იცოდა, რას ერქვა შიში. მერე აღარაფერი ახსოვს, ახსოვს მხოლოდ, თუ როგორ ელოდებოდა თოფის ხმის გაგონებას. მირბოდა და მთელი ტანით გრძნობდა, როგორ უმიზნებდა გოგია თოფს. მირბოდა და უკვირდა, რატომ აყოვნებსო. ეჭვიც არ ეპარებოდა, გოგიას რომ უნდა მოეკლა იგი. დიახაც იმსახურებდა გოგიას ხელით სიკვდილს, რადგან მარტო მან იცოდა ის, რაც მის თვალწინ ჩადენილ მკვლელობაზე მეტად ადასტურებდა, სულიან-ხორციანად მკვლელი რომ იყო გოგია. არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, გოგია დაედევნებოდა, სხვა გზა არ ჰქონდა და იმიტომ, ნიკო გახდა ერთადერთი მოწმე გოგიას ყველაზე დიდი საიდუმლოსი და ეს მხოლოდ გოგიამ იცოდა, ისევ და ისევ, ნიკოს წყალობით, რადგან ნიკომ თვითონვე გასცა თავი, თვითონვე უთხრა, შენ დღეს კაცი კი არ შემოგაკვდა, თუნდაც გამოუცდელობითა და სილაჩრით, არამედ, ბუნებითა ხარ მკვლელიო. რაღა თქმა უნდა, ამის მერე ვეღარც გოგია მოისვენებდა, ვერ დამშვიდდებოდა, ვიდრე ნიკოსაც არ მოძებნიდა და ვიდრე იმასაც არ გამოუყვანდა წირვას, ყაჩაღივით, თუკი მართლა ყაჩაღი იყო ის უბედური. ნიკოს ღრმა რწმენით, გოგია, არა მარტო იძულებული, ვალდებულიც იყო, მოეკლა იგი, თუკი ცხოვრებას კიდევ აპირებდა და თუკი არ უნდოდა სხვათა თვალში თავიდანვე გაეუფასურებინა საკუთარი თვისება თუ მიდრეკილება, არ ეთქმევინებინა ვინმესთვის, ეგ კაცს მუქთადაც მოკლავსო. თანაც, მკვლელობას ათასნაირი მიზეზი შეიძლება გამოეძებნოს, მკვდრის გაძარცვას კი ერთადერთი ახსნა აქვს მხოლოდ. მაგრამ, ასეა თუ ისე, იმ წუთას სხვანაირად ვერ იფიქრებდა ნიკო, სხვანაირად ვერც წარმოიდგენდა - გოგიას სულ უნდა ეძებნა იგი, თავად კი სულ უნდა დამალვოდა, გაქცეოდა გოგიას... და გარბოდა კიდეც. გარბოდა, უკანმოუხედავად, თავქუდმოგლეჯილი, პაპასავით. გული ლამის ამოხტომოდა საგულედან, როგორც უფრო დიდი თევზით დევნილი თევზი ამოხტება ხოლმე უცებ ზღვიდან. მაგრამ მაინც გარბოდა და, რაც თვითონვე უკვირდა (არასოდეს გახსენებია იქამდე), დეიდის სადედამთილოს სახლი ედგა თვალწინ - პირქუში, ცარიელი, ჩაბნელებული - ის სახლი ეჩვენებოდა რატომღაც ყველაზე საიმედო თავშესაფრად, თავად დაუცველი, ლამის ქვეყნის განაპირას მდგარი, გარიყული, ყველასაგან დავიწყებული (მის გარდა), ბაყაყების ყიყინით დაყრუებული, ლერწმის ტყითა და მაზუთის გუბეებით შემოზღუდული. კიდევ ცოტაც და ვეღარ ამოისუნთქავდა, მაგრამ მაინც გარბოდა, გარბოდა, რადგან არ შეეძლო, არ გაქცეულიყო - ვიდრე გარბოდა, იყო კიდეც, არსებობდა, ცოცხლობდა - და ისიც გარბოდა, რათა ყოფილიყო, ეარსება, ეცოცხლა. არასოდეს არ სდომებია ასე ძლიერ, ასე მწარედ, ასე გააზრებულად, ასე უსაშველოდ სიცოცხლე და ეს მოურეველი სურვილი, ჟინი თუ მოთხოვნილება სიცოცხლისა, ბევრად აღემატებოდა თავად მას, როგორც ურემზე დადებული თივა - ურემს, თავის ხარებიანად, მეურმიანად. ამ სურვილის ქვეშ მოყოლილი გარბოდა, საკუთარი სურვილის ქვეშ მოყოლილი, საკუთარ სურვილში ჩაკარგული. საოცარი ისაა, კისერი რომ არ მოიტეხა, თვალი რომ არ გამოითხარა იმ გაუვალ ეკალ-ბარდებში, კი არ მირბოდა, მიფრინავდა, თითქოს გოგია მართლა უკან მისდევდა გატენილი თოფით. მირბოდა, თუმცა, არ იცოდა, თუ მირბოდა, არ იცოდა, სად მირბოდა (სად იდგა ის პირქუში, მოულოდნელად გახსენებული სახლი), არ იცოდა, როდემდე უნდა ერბინა, რითი დასრულდებოდა, ანდა, დასრულდებოდა თუ არა როდისმე ეს შიშისმიერი, შიშით აღძრული ჟინი, მოთხოვნილება, სურვილი გაქცევისა, გაქრობისა, სივრცეში გათქვეფისა... ეგონა, ცხრა ზღვა გადავცურეო და ცხრა მთა გადავიარეო (არადა, ღრეჯის ხიდთან აიყვანა ავტობუსის მძღოლმა - კიდევ კარგი, იცნო იმ სიბნელეში). ფეხებზე დოლაბები ეკიდა თითქოს. ჰაერის ყოველ ჩასუნთქვაზე ფილტვები ეხეოდა, ტკივილისგან გონს კარგავდა, მაგრამ მაშინვე ფხიზლდებოდა, რადგან უგონობის ჟამსაც ახსოვდა თავისი შიში - ყველაფრის წამბილწავი, ყველაფრის უარმყოფელი, ყველაფრის დამმარხავი...

www.Litklubi.ge

ყველაზე ადრე ექიმი წავიდა. მკურნალო, განკურნე თავი შენიო - წაიმღერა ერთხელ კიდევ და კართან მომლოდინე ბებიას, რომელსაც იმის მძიმე, ბეწვის საყელოიანი პალტო ორივე ხელით ეჭირა, ზურგი მიუშვირა, თან ჩაიკუზა კიდეც, ბებია რომ შეწვდენოდა და უფრო თავისუფლად მოეხურა იმისთვის პალტო.

ექიმი რომ წასასვლელად წამოდგა, ყველამ შვებით ამოისუნთქა, ჭირისუფლებმაც და ავადმყოფმაც, რამდენადაც ჭირისუფლებისთვის ექიმის წასვლა, უპირველეს ყოვლისა, განსაცდელის გადავლას ნიშნავდა - ისე არავითარ შემთხვევაში არ მიატოვებდა ავადმყოფს, მიუხედავად საპატიო ასაკისა - ხოლო, რაც შეეხება ავადმყოფს, ჩვეულებრივი, ხორციელი შვება იგრძნო მაშინვე, ექიმის წასვლისთანავე, რადგან წასვლამდე, იმდენ ხანს აჭრაჭუნა იმან სკამი, იმდენი აქო და ადიდა ძილის სამკურნალო თვისებები, მგონი, სამუდამოდ დაუფეთა ძილის ანგელოზები. სკამიც თითქოს განგებ შეარჩია ყველაზე ჭრაჭუნა - ვიდრე დაჯდებოდა, ჯერ ერთი კარგად შეაყანყალა, შეამოწმა, თითქოს თავისას ეძებდა, დაკარგულს, თითქოს ამისთვის მოსულიყო თავიდანვე და, მართლაც, სკამმა რომ გაიჭრაჭუნა, ბავშვივით გაუხარდა - აი, ჩემი აჩუაო. მერე კი, ვიღა გაუბედავდა, სხვა სკამზე გადაჯექითო. იჯდა და ჭრაჭუნობდა. კი არ იჯდა, ზვინივით იდო სკამზე, დონდლო, მოუქნელი. "მკურნალო, განკურნე თავი შენიო" - მოულოდნელად წაიმღერებს ხოლმე ლაპარაკისას. თან ქოშინებს, ხიხინებს, გეგონებათ, სადაცაა გადაეკეტება სასულეო, მაგრამ მეორე წუთას, ვითომც არაფერი, ისევ ბავშვური ხალისითა და სიჯიუტით იკვლევს, ადგენს, აზუსტებს იმას, რაც იმ წუთას თითქოს არავის სჭირდება, არც ავადმყოფს, არც კარგადმყოფს, ვთქვათ, ვიღაცის ქალიშვილობის გვარსა თუ ვიღაცის პირველი ქმრის გარდაცვალების თარიღს. მაგრამ, რაც ყველაზე გასაოცარია, უფრო მეტი მოთმინებით ელოდებიან მსმენელები, კიდევ ერთხელ როდის მოითქვამს სულს, კიდევ ერთხელ როდის დაიოკებს ქოშინსა და ხიხინს და მისი ათრთოლებულ-აფორიაქებული წიაღი როდის ამოისვრის კიდევ ერთ, ასევე ათრთოლებულ-აფორიაქებულსა და მათთვის თითქმის გაუგებარ სიტყვას. სკამს კი ჭრაჭუნი გაუდის, მიაჭრაჭუნებს ერთნაირად კოპწია, ერთნაირად ლამაზი, ერთნაირად დათაფლული, გულშიჩამწვდომი, დამაიმედებელი, გამაბრუებელი, მაგრამ მაინც ცარიელი, არაფრისმთქმელი სიტყვებით დატვირთულ ეტლს დარბაისლური საუბრის გაუთავებელ შარაგზაზე. მიაჭრაჭუნებინებენ და ისიც მიაჭრაჭუნებს. სხვა რა გზა აქვს?! ხომ ვერ გამოეცლება საყოველთაო იმედს, მთელი ქალაქის სიამაყეს, რომელსაც, მეტი თუ არა, შეუძლია, მთელი საათი მარტო იმაზე ილაპარაკოს, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფისთვის ძილს. ძილია ყველაფრის წამალიო - თითი ატაკა ჭერს. - შიშისაც და სიგიჟისაცო - დაამატა აქოშინ-ახიხინებულმა. - პატარა სიკვდილია, დიდი სიკვდილის დამთრგუნველიო - მოამთავრა მღელვარედ. მაგრამ, ერთხელაც არ შეჰკითხვია თავს (არც სხვას), ამდენი ლაპარაკით ხომ არ გავაბეზრე ავადმყოფი, ხომ არ გამოვაფხიზლე უარესადო.

მხოლოდ ცალ ფეხსაცმელზე ეკეთა გამაში - ეტყობა, სიჩქარეში, ან დაავიწყდა, ან დაეზარა მეორის გაკეთება (რა თქმა უნდა, თუკი აქვს მეორეც). პალტო კი არ ჩაიცვა, მოიხურა (მოახურეს) - მომკლა ამის ჩაცმა-გახდამო - შესჩივლა ბებიას და წავიდა, პოეტივით, პალტომოხურული. ბებიამ გათავისუფლებული ხელები მაშინვე მუცელზე გადაიჭდო, თავი სინანულით გადააქნია ექიმის ვეება ზურგს უკან და გასაცილებლად გაჰყვა.

მაგიდაზე, ლამპის გვერდით, სამკურნალო ქილები დაეპირქვავებინათ. ყოველ მათგანში სინათლის პატარა, ყვითლად გაფუყული წიწილა გამომწყვდეულიყო, თრთოდა, ფოფინებდა, თითქოს წიოდა კიდეც, მაგრამ მაინც ამაოდ აწყდებოდა მინის კედლებს. ქილებზე წელში გაბრეცილი, შავად შერუჯული ბამბით თავშეფუთნილი, მოკლე ჯოხი იდო. ლამბაქიდან სანახევროდ გადმოცოცებულიყო სველი ტილოს ნაჭერი. იქიდან ვრცელდებოდა მთელს ოთახში ძმრისა და სპირტის სუნი.

www.Litklubi.ge

ოთახში დარჩენილნი ცოტა ხანს დუმდნენ, მაგრამ გაიხურა თუ არა ბებიამ კარი, მაშინვე დაავიწყდათ ექიმის დანაბარები - მარტო ძილი და სიმშვიდეა თქვენი ავადმყოფის წამალიო - და ყველა ერთხმად ალაპარაკდა, ერთმანეთს არ აცლიდნენ, თუმცა ყველას ერთი ჰქონდა სათქმელიცა და სურვილიც - როგორმე ნუგეში ეცა დანარჩენებისათვის, სხვა მხარეს შეებრუნებინა იმათი ჭკუა-გონება და ოდნავ მაინც გაენელებინა საერთო, ყველასათვის თანაბრად დამთრგუნველი დაძაბულობა. "მე არა ვთქვი, თავიდანვე, შეშინებულია და არაფერი უჭირს-მეთქი" - ჟღურტულებდა მარგალიტა. "ისეთი ვიჩქმიტე წეღან, ხორცზე ცეცხლი მიკიდიაო" - იცინოდა დეიდა. "ვინ ოხერი-მეთქი, დაუდეთ რაც გინდათ, რამდენიც გინდათ, რასაც მოერევით, მაგრამ, სადაც არ უნდა დამიბაროთ, მკვდარს ჩემს დროგზე მაინც არ დაგადებინებთ-მეთქი" - ყვებოდა იოსება. "იქნება, მაგან მაინც იპოვოს მამაჩემი იქა?!" - თავისი ჭკუით, ვითომ ხუმრობდა გიუკოლა (არადა, სიკვდილის გზაზე შემდგარმა ნიკომ, მართლა ნახა ვიღაცის უპატრონო კუბო, არარაობის, არყოფნის ზღვაში უთავბოლოდ მოხეტიალე და, სხვათა შორის, მაშინვე გიუკოლას მამა გაახსენდა, გაიფიქრა კიდეც, თუ იქნება, ეს იქნება ნამდვილად გიუკოლას მამის კუბოო). ბრმები იღიმებოდნენ, ერთნაირად თავაწეულნი, ერთნაირად ახამხამებდნენ ქუთუთოებს. ღუმელის გამონაშუქი მწიფე პურივით ბიბინებდა იატაკზე, მათ ფეხებთან. "დროგიც წაიღონ და ცხენებიც, გამოცვლით კი ვეღარ გამოვიცვლები, გინდაც ჩემი წონა ფული მომცენ, ვსო, მეყოფა, იმი პატრონი დედაც..." - ბაქიობდა, ლაპარაკის ეშხზე მოსული იოსება. "შენმა მზემ! შენ თუ იტყვი! - დაუძახა მარგალიტამ, გამომწვევად, დამცინავად. - სულ შენს სიტყვაზე დადიან". "თუ ჩემი არა გჯერათ, წადით და იკითხეთ, - აიფოფრა იოსება. ეტყობა, ცოტა გადაეკრა ძილის წინ. - "შენმა მზემ" - გამოაჯავრა მარგალიტას. - ვითომ, რატომ არ უნდა დადიოდნენ ჩემს სიტყვაზე?! ჩემს სიტყვას ფასი არა აქვს?! არაფრად მაგდებთ?!" - გაბრაზდა უცებ. "რას გარეკე, იოსებ! ცოტა დაუჭი სადავე" - გაიცინა მარგალიტამ. "კარგით, გეყოფათ, ბავშვიც გისმენთ". - თქვა ძია სანდრომ მშვიდად, ისევ ისე მომღიმარმა, ჭერს მიჩერებულმა. "აბა, ბავშვიო, - გაიკვირვა იოსებამ, ვითომ ვერ გაიგო, ვის გულისხმობდა ძია სანდრო. უბრალოდ, მარგალიტასთან ჩხუბს, ისევ თავისმოსულელება ამჯობინა. - მე აქ ბავშვს ვერა ვხედავო" - გადაშალა ხელები, მართლაც სულელურად გაღრეჭილმა.

www.Litklubi.ge

ბებია შეციებული, მობუზული შემობრუნდა და თქვა: "მოდით და, ამის შემდეგ ნუ იწამებთ, დილიდან ცუდს მეუბნებოდა თვალიო". "რამ გაგიყვანა ასე თავშიშველი გარეთო" - დაუძახა დეიდამ, მაგრამ ბებიას ყურადღება არ მიუქცევია იმისთვის, შეიძლება, ვერც გაიგო იმის ნათქვამი. ხელები ისევ მუცელზე ჰქონდა მიჭერილი, თითქოს მუცელი ასტკივნიაო. სხვათა შორის, ასედაც იყო - საკმარისია, სანერვიულო შეხვდეს რამე, მაშინვე მუცელი ასტკივდება ხოლმე. ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დამშვიდებული, გადავლილი (?) ქარიშხლის სუსხი ჯერ კიდევ ტანში ჰქონდა გამჯდარი, მაგრამ რაც შეეძლო, ჩქმალავდა თავის შიშსა და მღელვარებას, ცდილობდა, ზედმეტად ადარ შეეწუხებინა მათი მიზეზით ისედაც საკმაოდ შეწუხებული მეზობლები, მაგრამ ძალით მიჩქმალული შიში და მღელვარება მაინც უშლიდა ხელს, მაინც ბორკავდა, მაინც აბნევდა და ისიც, უნებლიეთ, იმას კი არ აკეთებდა, რისი გაკეთებაც სურდა, ანდა, იმას კი არ ამბობდა, რისი თქმაც საჭიროდ მიაჩნდა, არამედ იმას, რაც, მისი ღრმა რწმენით, უკეთესად შეანიღბინებდა სხვებისთვის ალბათ უკვე ძნელად ასატან შიშსა და მღელვარებას. მაგალითად, სხვა დროს არავითარ შემთხვევაში არ ივლიდა სტუმრების წინ ასე, მუცელზე ხელებმიჭერილი. არც ამდენი ხალხის თანდასწრებით აკადრებდა იოსებას, რაც ადრე, სხვათა ზურგს უკან, სხვათა უჩუმრად ბევრჯერ უკადრებია, მაგრამ ეს მარტო მისი და იოსებას საქმე იყო და სხვებს იმასთან არაფერი ესაქმებოდათ. ახლა კი, მაინცდამაინც, იოსებას გაუჩერდა წინ, ქათამივით აბუზული, მუცელზე ხელებმიჭერილი, და, დაბნეულად მოღიმარმა, ხმაათრთოლებულმა უთხრა: ერთი დღე მაინც ჩააგდე, ბიჭო, უღვინოდ, შენ ხომ არ უნდა დააშრო ქვეყნის ღვინოო. შეურაცხყოფა მიაყენა მეზობელს, როცა მადლობის მეტს არაფერს იმსახურებდა ის მეზობელი, თუნდაც იმიტომ, სწორედ იმ დროს, სწორედ იქ რომ იდგა, სადაც იდგა, სადაც უნდა მდგარიყო, თანაგრძნობის, თანადგომის დროშის ქვეშ, და ვისი რა საქმეა, ყოველდღე დათვრება, თუ დღეგამოშვებით?! სხვისას ხომ არ სვამს, ბოლოს და ბოლოს?! სხვას ხომ არ უვარდება შინ?! დიდი-დიდი, თავის ჩამპალ-ჩაბინძურებულ თავლაში თუ ამოიღრიალებს ერთს, ვიდრე, ღილშეუხსნელი, ისევ ნესტიან თივაზე მიეგდებოდეს, რათა დილაუთენია, მზის ამოსვლამდე, თავის გაუთავებელ გზაზე იდგეს უკვე, თავისი რახრახა დროგის კოფოზე დაყურსული, ერთხელ კიდევ უჟმურად, უიმედოდ, უსინდისოდ გამოფხიზლებული და ერთხელ კიდევ მწარედ მიხვედრილი თავის სიბეჩავესა და უპატრონობას. განა ეს საკმარისი სასჯელი არ არის საწყალი იოსებასათვის?! ბებიამ კი ხალხში გამოაჭენა, თუმცა, ღმერთია მოწამე, მსგავსიც არაფერი განუზრახავს წინასწარ, სხვა სურდა და სხვა გამოუვიდა, იმიტომ, რომ ვითომ გადავლილი, ვითომ მიჩქმალული შიშისა და მღელვარების ტყვე იყო ისევ, თავის თავს არ ეკუთვნოდა, ანდა, როგორც თვითონვე იტყოდა, თავი სად ება, არ იცოდა და მშვიდად, უბოდიშოდ გამოლანძღა მოსახმარებლად, გვერდში ამოსადგომად მოსული მეზობელი, თითქოს უფრო დიდი ბოროტება არ იქნება, მართლა გამოსტაცოს ხელიდან ვიღაცამ ღვინის ჭიქა იოსებას, თუნდაც ერთი დღით. მაგრამ, ღვთის წყალობით, იოსება მაინც მიხვდა, მისთვის ეუბნებოდნენ, რასაც ეუბნებოდნენ, და ხელები აუწია ბებიას: ვსო, გათავდა, დედა ნუ წამიწყდებაო. მაგრამ ბებია უკვე მწარედ ნანობდა თავის უნებლიე სიმკაცრეს, უნებლიე თავშეუკავებლობას, და რაკი აღარ იცოდა, როგორ მოენანიებინა ასევე უნებლიე ცოდვა, მეორე, უარეს ცოდვაში ვარდებოდა - არაყს სთავაზობდა იოსებას, მაგრამ იოსება მტკიცედ უარობდა, ხელებს ასავსავებდა და, რატომღაც, თვალს არიდებდა ბებიას, რომელიც უკვე განჯინაში შემძვრალიყო სანახევროდ და არყის ბოთლს დაეძებდა. თუმცა, ძირითადად, ჯერჯერობით, ცარიელ ბოთლებს აწკრიალებდა მხოლოდ და განჯინის ყრუ, დახუთულ სიცარიელეში აგრძელებდა იოსებასთან კამათს: "რას ჰქვია, არ გინდა! ყველამ უნდა დავლიოთ ჩემი ბიჭის სადღეგრძელოო". "აბა, რას ამბობ, ყოველ წუთას ველოდები მილიციაში დაძახებასო - არ უთმობდა იოსებაც. - ვინ იცის, ჩემს ცხენებს უკვე იქა ვგონივარ, წავიდე, მივხედო, თორემ არ დაიძინებენ უჩემოდო". "სად გაქრა, ის ოხერი ბოთლიო" - წუხდა განჯინაში თავშერგული ბებია. "არა მჯერა, იოსებასაც თუ ჰყავდა დედაო" - იცინოდა მარგალიტა. ხანდახან დეიდაც გადაიკისკისებდა ხოლმე, არაბუნებრივად, ყალბად, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ნიკოს გამოსაფხიზლებლად, ემანდ, მართლა არ გაიპაროს ძილშიო. ძია სანდრო და

www.Litklubi.ge

დანარჩენი ბრმები ჩუმად იდგნენ, სხვებს უსმენდნენ, თავაწეულები, ერთნაირად მომდიმარნი. თან, ასევე ერთნაირად, ახამხამებდნენ ქუთუთოებს, სწრაფად, განუწყვეტლივ, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქუთუთოების ხამხამში, ანდა, თითქოს ქუთუთოებს კი არ ახამხამებდნენ, გაწვრთნილი პეპლები დაესვათ თვალებზე, ავადმყოფის გასართობად. თითქოს, თავიანთი სიბრმავით, მარტო ისინი ამჩნევდნენ, ავადმყოფს რომ არ ეძინა და მთელი არსებით ისრუტავდა ყველაფერს, რაც იმ წუთას მის გარშემო ხდებოდა. "რაღაზე დავწვე, თუკი ისევ ასადგომი გავხდები-მეთქი - ყვებოდა იოსება. - ხოდა, რაც შემეძლო ვითრიე ფეხი. ცხენებიც არ მოვასვენე, იმათაც დავუფრთხე ძილი, მაგრამ სხვა რომ არავინა მყავს ხმის გამცემი, ჭკუის დამრიგებელი?! ისინი არიან ჩემი ჭირ-ვარამის მოზიარენი. დაწე, კაცო, რატომ უნდა დაგიძახონ, რა დაგიშავებიაო, დროგი შენია და რასაც გინდა, იმას დაუდებო - მეუბნებოდა უფროსი. პატარა კი მაბრაზებდა, დაგიბარებენ კიდევაც და ახიც იქნებაო, იქნება, იმათ მაინც გადაგაჩვიონ ბოთლის წოვასო. გესმის, დარო ძალო?! რაღა შენ და რაღა ის. მეჯავრები, არყის სუნი რომ ამოგდისო. ტყუილად ეძებ-მეთქი, ადამიანო, პირში არ ჩავუშვებ, ოქროდ რომ იქცეს. მე ვიფიქრე, რაღა ამ სულელ კვიცს დავუჯერო-მეთქი, ცხენია თუ ადამიანი, მშობელი შვილზე მეტია, შვილზე მეტი იცის მეთქი, მაგრამ ახლა ხომ ყველაფერი შებრუნებულადაა. ხოდა, ის იყო, ჭრაქი ჩავაქრე, თივაზე მივეგდე, ქამარი მოვიბოშე და მარგალიტამაც დამიძახა: "არიქა, ჩქარა, ბიჭი გამხდარა ცუდადო". "კარგი, გეყოფა, დავაძინოთ ეს ხალხიო" - თქვა მარგალიტამ. თავად უკვე გამზადებულიყო წასასვლელად: კოხტად დაკეცილი ჯვალოს ტომარა მკლავზე გადაეკიდა, როგორც "რამე თბილს" გადაიკიდებენ ხოლმე მკლავზე საღამო ჟამს სასეირნოდ გამოსული მოაგარაკე ქალები. ის კი მეზობლების დასახმარებლად მოვარდა, დაძახებისთანავე; რაც ხელში მოხვდა, ის მოიხურა. სად ეცალა მოსაკაზმად. პირველი მოვარდა, დაჰკრეს თუ არა საგანგაშო ნაღარას. ცეცხლთან დაბრაწული ფეხები ძია სანდროს ქუსლჩაჭყლეტილ ფეხსაცმელებში წაეყო, ჯვალოს ტომარა კი, ქარისაგან დასაცავად, თავზე წაეფარებინა. მაგრამ ერთიც უხდებოდა და მეორეც. იმიტომაც ეპოტინება ყველა. მაგრამ მაინც ბრმამ აჯობა ყველას. სხვებზე ადრე იმან დაინახა. უფრო სწორად, სხვებმა ნაგავს გადააყოლეს, ბრმამ კი ნაგავში გამოარჩია. ხელმეორედაც იმიტომ შეამჩნიეს, ბრმამ რომ იპოვა. ბრმისთვის დაენანათ, რად უნდა, არამია, მაინც ვერ ხედავსო; თუმცა, ათასში ერთხელ, ეტყობა, ბრმასაც ეხილება თვალი, ამის დასამტკიცებლად იმავე ძია სანდროს მაგალითიც კმარა, მაგრამ ღმერთსაც ყვარებია ძია სანდრო, რაკი ერთხელ აუხილა თვალი და მაშინაც, მაინცდამაინც, მარგალიტა დაანახვა. ძია სანდრო იცინის: მაშინ დავბრმავდი სამუდამოდო. მარგალიტა კი იფიცავს, მაშინაც ჩემზე უკეთ ხედავდა და ახლაც ჩემზე უკეთ ხედავსო; რაც მაგას გადავეყარე, მერე მეც მაგის თვალებით ვუყურებ ქვეყანასო; მაგან მასწავლა თეორისა და შავის, ავისა და კარგის გარჩევაო. ასე მაშინ ამბობს, როცა კარგ გუნებაზეა (როდის არ არის კარგ გუნებაზე?!), როცა თავის ძველ ამბებს ყვება ხუმრობით, როცა თავის გრძელფრჩხილება ფოტოგრაფსა და ცოლისმონა ვექილს იხსენებს, მაგრამ, ხანდახან, ისეთი გადამდები მღელვარებით, ისეთი შემაძრწუნებელი რწმენით იტყვის ხოლმე ძია სანდროზე - მე ნამდვილად მხედავსო - უნებურად, დაიჯერებ, ირწმუნებ, ბრმასაც ისევე რომ შეუძლია შენი დანახვა, როგორც შენ - ბრმისა. მაგრამ მთლად ასე არ არის ალბათ. მარგალიტამ, შეიძლება, მხოლოდ ძია სანდროს დაანახვოს თავი და არა საერთოდ ბრმას. ეს იმათი პირადი საიდუმლოა და მაგალითად არ გამოდგება, ოღონდ, რაკი სიბრმავე არსებობს, არ შეიძლება, არ არსებობდეს ბრმისთვის განკუთვნილი ქვეყანაც, და თუ ეს ასეა, მაშინ ბრმას მხოლოდ იმის დანახვა შეძლებია, რაც თვალხილულისთვის საერთოდ არ არსებობს, რასაც, თავისთავად ცხადია, ვერ ვიტყვით მარგალიტაზე, რამდენადაც მარგალიტა არათუ არსებობს რომელიც გნებავთ თვალხილულისთვის, დავუშვათ, ნიკოსთვის, არამედ გარკვეულ ზემოქმედებასაც ახდენს მის გუნება-განწყობილებაზე და გარკვეულ ადგილსაც იკავებს მის ფიქრებსა თუ წარმოდგენებში. ასეთი გახლავთ მარგალიტა. ასეთი მოვარდა წეღანაც - გაჭირვების ტალ-კვესი, ყველას მამიდა, ამოღებული ხმალი და ანთებული სანთელი. ხანდახან, ზაფხულობით, როცა ყველანი ერთად იკრიბებიან აივანზე და საღამოს ჩაის მიირთმევენ, პაპა ლექსად ეუბნება ხოლმე:

www.Litklubi.ge

შენ ჩვენს ცხოვრებას ასარდიონ-ატოპაზებ, ანთრაქ-აიასპებ, აიაკინთ-მჭურვალებ, აოქრ-ქუაებ, ასპეტ-ამარგალიტებო - და კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა რომ მისცეს "თავის" ლექსს, კათალიკოსისაო, ამატებს ამაყად. "რას დააფეთე, ბიჭო, ქალებიო" - შემოსვლისთანავე შეუწყრა წელან ნიკოს და სახლიც ერთბაშად განათდა, ერთბაშად გაბრწყინდა იქაურობა, სინათლემ აშკარად მოიმატა ოთახში და, არა მარტო ნიკო, ყველანი მიხვდნენ, აუცილებლად გადაურჩებოდნენ უბედურებას.

www.Litklubi.ge

თუმცა, ნიკოს არაფერი სჭირდა გადასარჩენი, ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა თავად. უკეთესად არასოდეს ყოფილა. ეგაა, რომ თვალს ვერ ახელდა. შეიძლება, შეგნებულად არ ახელდა, სიამოვნებდა თვალდახუჭული წოლა. ბრმა იყო. ბრმასავით იყო. ქვეყანას ვერ ხედავდა, მაგრამ ქვეყნის ხმები ესმოდა: "გვიშველეთ! გვიშველეთ! გვიშველეთ!" - რა დღეში იყვნენ, საწყლები! ბებია ალქაჯს ჰგავდა, თავსაფარმობრეცილი. დეიდა წამალს ასხამდა ჭიქაში და ხმამაღლა ითვლიდა წვეთებს, თითქოს სხვების გასაგონად, ნახევარი ზედ გადაასხა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც უშველა, სწორედ ზედგადასხმულმა წამალმა გამოაბრუნა ნიკო და არა დალეულმა. მოულოდნელმა სისველემ გამოაფხიზლა, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, არაფერი სჭირდა გამოსაბრუნებელი, გადასარჩენი. ყველაზე კარგად ის იყო. საამურ სიმსუბუქეს გრძნობდა მთელს სხეულში. არა, სხეულს არ გრძნობდა საერთოდ. ხედვით კი ხედავდა (შეიძლება, ესმოდა?!), როგორ იწვა ლოგინში, გულხელდაკრეფილი. ორივე თვითონ იყო, ვინც ხედავდა და ვისაც ხედავდა. სიხარულისგან ყელში ედიტინებოდა. ერთი ღონივრად რომ ამოესუნთქა, საერთოდ გაქრებოდა, ჰაერში გაითქვიფებოდა ჩამქრალი სანთლის სუნივით, ანდა პეპლის მტვერივით. მაგრამ საქმეც ისაა, ღონივრად ამოსუნთქვაც რომ არ შეეძლო. ძალიან ჰაეროვანი იყო, რადაცნაირად ძალიან მსუბუქი. იმავე დროს, თითქოს სადღაც მიიჩქაროდა, თითქოს სადღაც მიისწრაფოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის აღმოჩნდებოდა "სადღაც". თითქოს ლეოს ველოსიპედით მიქროდა ისევ თავქვე, დაბახანისკენ, ოღონდ, ახლა წინასწარ იცოდა, რაც შეემთხვეოდა, იცოდა, მახეს რომ უგებდნენ გოგია და მისი ქალბატონი ლეო, ერთ დღეს ბიჭი, ერთ დღეს გოგო. პატარაობისას დედა, თურმე, ერთ დღეს შარვალს აცმევდა, მეორე დღეს - კაბას. ბიჭიცაა და გოგოც. უფრო სწორად, არც ბიჭია, არც გოგო. ისიცა აქვს და ისიც. ერთხელ, ვალო ბადალაშვილმა პაემანი დაუნიშნა და კი არ გაბრაზდა, ქოქოლა მიაყარა: ნეტა, რამე მაინც შეგეძლოსო! გოგიას ხათრით, თოკი გაუბა ნიკოს დაბახანის ქვემოთ, მაგრამ თვითონაც ეტირა დედა, ხელი დროზე ვერ გაუშვა თოკს და მხარში ამოუვარდა. ეს ყველაფერი ერთხელ უკვე გადატანილი აქვს ნიკოს და მაინც თვალდახუჭული, სულისშემკვრელი ნეტარებით სავსე მიაქროლებს ველოსიპედს. კი არ ეშინია, ერთი სული აქვს, როდის მოწყდება მიწას, როდის გაფრინდება ჩიტივით. მართლა მიფრინავს თითქოს. არა, კი არ მიფრინავს, წყალქვეშ მიცურავს და არაფერს აღარ გრძნობს, უცნაური სიმსუბუქისა და ენით უთქმელი სიმშვიდის მეტს. კი არ მიცურავს, იძირება, ნელ-ნელა, თანდათან. წყალს კამკამი გაუდის. ორთოლვით, ცახცახით ენაცვლებიან ერთმანეთს ცისარტყელის ფერები. ნაძვის ხის სათამაშოსავით ბრჭყვიალა თევზები ჩაუქროლებენ ხოლმე ცხვირწინ. უცებ, შორს, შავი საგანი გამოჩნდა, შავად ალივლივდა რადაცა. ალბათ დიდი თევზიაო - გაიფიქრა უდარდელად, უშიშრად. არც არაფრის დარდი აქვს, არც არაფრის შიში. ზვიგენი ეგონა, მაგრამ შავ ზღვაში ზვიგენი არ იცის, დიდი-დიდი, კატრანი შეგხვდეს - ლოქოს ხელაა, უფრო სწორად, ლოქოსა ჰგავს. წვრილი, დრეკადი კბილები სასაზეც აყრია თითქოს - ვაშლის სახეხს უგავს პირი. ბიძამისმა მოიტანა ერთხელ, ბათუმში, ნაცნობმა მეთევზემ დამითმოო. ძალიან უხაროდა, ეამაყებოდა, თითქოს თვითონ დაეჭირა. სხვებსაც ძალიან გაუხარდათ, ნიკოს სიგრძე თევზი იყო, ბათუმი კი შიმშილობდა, ხალხი მაღაზიების წინ ათენ-აღამებდა, მაგრამ მაინც ხელცარიელი ბრუნდებოდა შინ. ნიკო და მისი მამიდაშვილები ველურ წიწმატს ძოვდნენ სამხედრო ლაზარეთის წინ. ღრძილები ერთნაირად ჩამწვანებული ჰქონდა შვიდივეს. სწორედ ამ დროს შემოცურდა მათი ოცნების გამეჩხერებულ წყალში კატრანი. სამზარეულოს მაგიდაზე წესიერად არც ეტეოდა, კედელს ებჯინებოდა მოღუნული კუდით. შავი თევზია, რადაცნაირად წებოვანი. ყველაფერი გაუოხრათ: ქვაბიც, თეფშიც, დანაც, ჩანგალიც, მაგიდაც და სკამიც. მთელი კვირა ქვიშით იხეხებოდნენ, მაგრამ მაინც ვერ მოიშორეს იმისი სუნი. თევზის ხსენებაზეც გული ერეოდათ. არადა, ღობის იქით, მეზობელ ეზოში, ელენიცას დედა მთელი დღე თევზსა წვავდა მხოლოდ. - კარგს შენ ვინ დაგითმობდაო, - ებუზღუნებოდა მამიდა ქმარს. - ღმერთმა დაგვზოგა, თორემ, არც იჭმევა ალბათ ეს ურჩხულიო. არ იჭმევა, მაგრამ ჭამენ. საშიში კი არ არის, უგემურია. შავი საგანი კი ახლოვდებოდა. აბა, რა არის ნეტავიო - უკვირდა ნიკოს და ჯერ განუცდელი, სულისშემძვრელი ნეტარებით სავსე, მიისწრაფოდა იმისკენ, საამურის, უცნაურის, გარდუვალის

www.Litklubi.ge

მოლოდინით შეპყრობილი. აუფეთქებელი ტორპედოც ეგონა, გერმანული ნაღმიც, მაგრამ კუბო აღმოჩნდა ბოლოს. "დრომ გაგვყარა და დროვე შეგვყრისო" - ეწერა ზედ დიდი, აცაბაცა ასოებით. "ეს ხომ გიჟკოლას მამის კუბოაო" - მაშინვე იცნო ნიკომ, თითქოს უკვალოდ და უიმედოდ დაკარგული, სამუდამოდ შემომწყრალი თავის ჭირისუფალს. ისიც კი გაიფიქრა, როგორ გაახარებდა გიჟკოლას. მაგრამ, იმ უცნაური მოგზაურობიდან, ყველაზე მეტად სასიამოვნო მაინც ვანო მასწავლებლის შვილთან შეხვედრა აღმოჩნდა. მით უფრო, რომ იქამდე ისიც არ იცოდა გადაწყვეტილად, მკვდრად ჩაეთვალა ის გოგო თუ ცოცხლად. მაგრამ გასცდა თუ არა გიჟკოლას მამის კუბოს, მაშინვე დაინახა და, რაც მთავარია, მაშინვე იცნო კიდეც, თუმცა, არასოდეს უნახავს სინამდვილეში, წარმოდგენით კი ბევრჯერ წარმოუდგენია, ბევრჯერ აღუდგენია იმისი სახე ვანო მასწავლებლის ნაამბობების მიხედვით. ზუსტად ისე ეცვა, როგორც უკანასკნელ დღეს სცმია საავადმყოფოში, ვიდრე, დედასთან ერთად, სამუდამოდ გაქრებოდა, დაიკარგებოდა, გიჟკოლას მამის კუბოსავით.

სოსანით გადალურჯებულ მინდორზე ანგელოზი მოუნათლავად გარდაცვლილ ბავშვებს პირჯვრის წერას ასწავლიდა. ქვეყანას იქ მოეყარა თავი - მშვიდი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ, მშვიდად ერთობოდნენ და, მართლაც, თავშესაქცევი სანახაობა იყო ბავშვების გაწამაწია - უჭირდათ პირჯვრის გადაწერა - იბნეოდნენ, ავიწყდებოდათ, საიდან საით უნდა გადაეტანათ მიტყუპული სამი თითი. სამაგიეროდ, მოხდენილად მიჰქონდათ შუბლთან ხელის გაშლილი, ირიბად გაჭიმული მტევანი და, თავადაც ლარივით გაჭიმულნი, სხარტად გაჰყვიროდნენ: მზად ვართ შრომისა და სწავლისთვისო. ანგელოზი იცინოდა, სხვებიც იცინოდნენ. საერთოდ, მშვიდი მხიარულება სუფევდა სოსანით გადალურჯებულ მინდორზე.

www.Litklubi.ge

კიდევ უფრო საკვირველი ისაა, ვანო მასწავლებლის გოგომაც რომ იცნო ნიკო და შორიდანვე დაუძახა: როგორ არის ჩემი მაგიერიო. ლიმონის ხეს გულისხმობდა, რა თქმა უნდა. ამასაც მაშინვე მიხვდა ნიკო, რადგან ერთხელ თვითონაც ასე ჰკითხა იმ გოგოს მამას, მის ყველაზე საყვარელ მეგობარსა და მასწავლებელს - როგორ არის თქვენი გოგოს მაგიერიო - სწორედ იმ დილას ჰკითხა, სულ სამი დღით ჩამოსული დედა დამდურებული რომ გაეპარა უკანვე, ბათუმში, არათუ გამოემშვიდობა, საერთოდ აღარ დახვდა დილით. იმიტომ, რომ ბებიამ და დეიდამ ყველაფერი თავიდანვე არასწორად მისწერეს დედას, ვალო ბადალაშვილსაა აყოლილიო და იმიტომ აიცრუა სწავლაზე გული, იმიტომ გავარდა ყაჩაღადო. დახეულ ლექსებზე კი არაფერი უთქვამთ, კრინტიც არ დაუძრავთ, როგორ გადაახია თავზე ევგენია დუგლაძემ მთელი კლასის თვალწინ ლექსების რვეული. დედამ კი არაფერი იცის ამ ამბებისა. იმიტომაც იყო, სამი დღით ჩამოსულმა, მისალმების ნაცვლად, ბეჭდიანი ხელი რომ ხეთქა ტუჩებში. სიმართლე რომ სცოდნოდა, რა თქმა უნდა, ასე მკაცრად არ დასჯიდა შვილს, მაგრამ ვინ რა იცის, სად არის ძაღლის თავი დამარხული. თუმცა, ეტყობა, მაინც უგრძნო დედას გულმა, მთლად სამართლიანად რომ არ იქცეოდა, რაღაცა ეშლებოდა, გამოუსწორებელ დანაშაულს სჩადიოდა და თვითონაც ის ხელი მიიფარა პირზე, ნიკოს რომ შემოჰკრა ტუჩებში, თითქოს ნიკოს კი არ ეტკინა ტუჩები, თვითონ ეტკინა ხელი. ნიკოს უნდოდა ეთქვა, არა ვარ შენგან ამის ღირსიო, მაგრამ მთელი ძალით იჭერდა ენაზე კბილს, რადგან სიმართლე ყველამ, დედამაც კი, თავისით უნდა გაიგოს, სხვების დაუხმარებლად. აღარაფერი აღარ აინტერესებდა იმ წუთას ნიკოს, არც სიმართლის გარკვევა, არც დედის შემორიგება. მაგრამ უცებ, ისე ლამაზად, ისე ბუნებრივად ატირდა დედა, ერთბაშად დაავიწყდა ტკივილიცა და წყენაც. ბათუმი დაუდგა თვალწინ. წვიმაში გატრუნულ ბათუმს ჰგავდა ატირებული დედა-მამიანად, მამიდა-ბიძიანად, მამიდაშვილებიანად, ელენიციანად, გემებიანად, ლარივით გაჭიმულ, თითქოს ღმერთის ხელისგულით გადასწორებულ ქუჩებიანად (რომელთა არსებობაც, ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელიცაა ამ ოღროჩოღრო, აქლემივით მრუდე სიღნაღში), სველ მავთულზე ერთი წამით დაფრენილ ჩიტიანად (რომლის მსგავსიც სხვაგან არსად შეხვედრია ნიკოს - უცნაურად ჭრელი, უცნაურად გაფუყული), და განა დედაც უცხო ქვეყნიდან მოფრენილი ჩიტი არ იყო, ერთი წამით ჩამომჯდარი ნიკოს სიმარტოვის მავთულზე - უცხო, უსახელო, უცნაური... ყველასაგან გამოირჩეოდა, არავის არ ჰგავდა, არც ბებიას, არც დეიდას, არც მარგალიტას. რატომ უნდა ეთხოვა ნიკოს ამ უცხო ქალისთვის პატიება?! სხვის მონაჭორს ენდო, უფრო სწორად, სხვისი სიმართლით დაკმაყოფილდა, თუნდაც დედის, თუნდაც დის, მაგრამ მაინც სხვისი, რადგან ნამდვილი სიმართლე მხოლოდ ნიკომ იცოდა და შვილის სიმართლე უთქმელადაც უნდა გაეგო იმას, უნდა ეგრძნო, უნდა გადასცემოდა რაღაცნაირად, ნიკოსათვის ჯერჯერობით უცნობი გზებითა და საშუალებებით, უნდა გადასდებოდა, როგორც ნიკოს სურდო გადაედებოდა ხოლმე ადრე, უკეთეს დროს. ნიკოც ამიტომ გაკერპდა, ამიტომ შეჯდა ვირზე, თუმცა, სული მისდიოდა, ისე უნდოდა თავზე ხელი გადაესვა დედისთვის, უკანვე ჩაებრუნებინა კეფაზე დაგრაგნილი თმიდან სანახევროდ ამომძვრალი რკინის ჩხირი. ვირზე კი შეჯდა, მაგრამ თავის ვირიანად, ჯიუტად არ გამოდიოდა დედის ოთახიდან - განუწყვეტლივ უნდოდა ეტრიალა დედის უცნაურად ამაფორიაქებელ სურნელში. ხან, ვითომ გაკვეთილებს სწავლობდა, ხან, ვითომ ღუმელში ცეცხლს ასწორებდა, ხან არაფერს არ აკეთებდა, მოღუშული იჯდა, ტუჩებდაბუჟული, და ტკბებოდა დედის სილამაზით. ეს თავხედური, თვალთმაქცობით მოპოვებული სიახლოვე ტანჯავდა და აბედნიერებდა ერთსა და იმავე დროს. მაგრამ არც დედა იყო ალბათ უკეთეს დღეში და თუ მათი თვალები უნებურად შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ოთახის კედლებით შემოზღუდულსა და ყველაზე დიადი, დიდებული, ყველაზე სამართლიანი, ყველაზე კეთილშობილი მრისხანებით დამუხტულ სივრცეში, შეყვარებულ გოგოსავით შეკრთებოდა ხოლმე, არაბუნებრივად დაძაბული, დადარაჯებული. აი, ღუმელთან ზის, დედასა და დას ელაპარაკება, რაღაცას ყვება მშვიდად, რაღაცას კი არა, თავის უბედურებას, მაგრამ უცებ, თითქოს იდუმალი ხმა შემოესმაო, თავაწეული გაირინდება, უაზროდ მიაჩერდება სიცარიელეს. აი, სარკის წინ დგას, სარკეში იხედება, გაღიმებული წამოიღებს თავის კოპწია, სურნელოვან ხელს, კეფაზე

www.Litklubi.ge

დაგრაგნილ თმას მოისინჯავს და უცებ ისევ გაირინდება, თითქოს ისევ იდუმალ ხმას მიყურადებული. ნიკოს კი გული ეხეოდა ეჭვებისგან, სიბრაზისგან, სიყვარულისგან... და ძალიან გაოცდებოდა ალბათ, ვინმეს რომ ეთქვა იმ წუთას მისთვის: სწორედ ამას ჰქვია ბედნიერებაო. მაგრამ დილით, თვალი რომ გაახილა, დედა აღარ დახვდა. თუმცა, თვალის გახელამდეც უგრძნო ტანმა, დედა რომ არ დახვდებოდა. ისე დაიბნა, ისე დაწყდა გული, სხვა რომ ვეღარაფერი მოისაზრა, დილაუთენია, პირდაუბანელი მიადგა ვანო მასწავლებელს, როგორ არის თქვენი გოგოს მაგიერიო (ლიმონის ნახვა მოუნდა უცებ, ალბათ რაღაცნაირად რომ დაკავშირებოდა ბათუმს). რატომ კითხულობო - გაოცდა ვანო მასწავლებელი, თუმცა, ეტყობა, ისიც მიხვდა რაღაცას და - შემოდიო - მოეცალა გზიდან. ლიმონის ხემ, იმავე წამს, კუთხეში დამალული ბავშვივით შემოსცინა. ცუდი სიზმარი ვნახე თქვენს ხეზე და გულმა აღარ მომითმინაო - იცრუა ნიკომ, ოღონდ, ნაწილობრივ, რადგან ვანო მასწავლებლის ხე მართლა ცუდად ნახა ერთხელ სიზმარში, მაგრამ ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ დედის ბოლო ჩამოსვლამდე. არა, ბევრად ადრე, ჯერ კიდევ იმ დღეებში, როცა მთელ ქალაქს სალაპარაკოდ ჰქონდა გამხდარი ვიღაც ბავშვის ქელეხი. უფრო სწორად, იმ ქელეხზე ამტყდარი აყალ-მაყალი, რომლის მოთავეცა და წარმმართველიც, ვითომ, თავად ვანო მასწავლებელი გახლდათ, დიდისთვისაც და პატარისთვისაც ერთნაირად პატივსაცემი, ცხვარივით უთქმელი და უწყინარი კაცი, რომელსაც სიბრალულში თუ თანაგრძნობაში გადაზრდილი ცნობისმოყვარეობით აგერ უკვე რამდენი ხანია ადევნებს მთელი სიღნაღი თვალს, ალბათ იმ უცნაური ბედის გამო, რითაც ასე აშკარად გამოირჩევა სხვებისაგან, თუმცა, სიღნაღში არც იმის ჩამოსვლამდე იყო სანთლით საძებარი გაუბედურებული კაცი თუ ოჯახი, მაგრამ ვანო მასწავლებლის უბედურება არა მარტო თავისი უსაშველობით იქცევს ყურადღებას (ომში სხვებიც ყოფილან, ოჯახები სხვებსაც დაუკარგავთ), არამედ უცნაურობითაც, არაჩვეულებრივობითაც - ერთხელ უკვე ნამყოფია საიქიოში, ხესავითაა ამოსული საკუთარი საფლავიდან, მაგრამ, როგორც ხალხში ამბობენ, მთავარი უცნაურობა და არაჩვეულებრივობა მისი ბედისა მაინც ისაა, ცოლ-შვილის დამკარგავს, არც ერთი რომ არ უნახავს მკვდარი, რამდენადაც, მისგანაც გაპარულან და ამქვეყნიდანაც, უფრო სწორად, მის ცოლს მომაკვდავი შვილი გაუტაცნია საავადმყოფოდან, შვილის სიკვდილი მაინც არ ნახოს, ამდენი უბედურების გადამტანმაო - შვილიანად გადაკარგულა, არც მიწაზე დაუტოვებია კვალი, არც წყალზე - გაუშვი გვეძებოს, გაუშვი ცოცხლები ვეგონოთ, თავის მოტყუებაც თავისებური ნუგეშიაო. მოკლედ, ზღაპარშიც რომ არ ხდება, ის მომხდარა და ამიტომაცაა, ალბათ, ყველას ჭირისუფალი რომ ეგაა, არავის დასაფლავებას არ გამოტოვებს, არც სიღნაღში და არც ახლომახლო სოფლებში, სულ ერთია, ვის მარხავენ, ნაცნობს თუ უცნობს, ქალსა თუ კაცს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ხოლო, ბავშვი თუ მოუკვდება ვინმეს, იმდენად გულწრფელია მისი განცდაცა და წუხილიც, ნამდვილი ჭირისუფლები გვერდით იყენებენ ხოლმე კუბოსთან. რასაკვირველია, ქელეხსაც ესწრება, ბოლომდე იხდის ყველასათვის სავალდებულო ვალს, მაგრამ ჭირის სუფრიდან არც მთვრალი ამდგარა როდისმე და არც გამძღარი. სიღნაღელმა ლაზღანდარებმა, თავისთავად ცხადია, ბევრჯერ სცადეს, თავისებურად გაეპამპულებინათ, დაეკნინებინათ, დაესვარათ ეს მართლაც უცნაური, უჩვეულო, ლამის ავადმყოფური მოთხოვნილება სხვათა ჭირის გაზიარებისა, - ვითომ, რაკი მარტოხელაა და ვერც უფარაანთ გამორჩება რამეს, თავი იოლას გააქვს ქელეხ-ქელეხ სიარულითო - მაგრამ ენის წვერზე უკვე აბრჭყვიალებული გესლის წვეთი უკანვე შეისრუტეს, უკანვე შეიწოვეს ყოველთვის, რადგან ცილსაც და ტყუილსაც, ეტყობა, სიმართლის თუნდაც სულ უმნიშვნელო ნასახი მაინც უნდა ედოს საფუძვლად, იქიდან რომ აღმოცენდეს, ამოვიდეს, ამოინთხეს თავად.

www.Litklubi.ge

როგორც ზოგიერთები ყვებიან, იმ გახმაურებულ ქელეხზე ვანო მასწავლებელს გოგია სუფრიდან ძალით აუყენებია, სუფრის აშლამდე წამოუყვანია იქიდან. კი არ წამოიყვანა, წამოათრიაო - რაც მართალია, მართალია, ასე იყო, მაგრამ იმასაც რატომ აღარ ამბობენ, გოგია უკვე დიდი ხნის წამოსათრევი რომ ყოფილა, თავში აზრი აღარ ჰქონია, პირში - ენა, მაგრამ, რაკი სხვა პატრონი არ გამოუჩნდა, ისევ იმან მოკიდა ხელი - შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, არ გამოგადგება ამათი აყოლაო - და წამოიყვანა. კი ბატონო, წამოათრია, ანდა, როგორც ზოგიერთები ოხუნჯობენ, დაკარგული ჩოჩორივით გამოიგდო წინ. ევალებოდა კიდეც, ასე მოქცეულიყო, გინდათ, როგორც მასწავლებელი და გინდათ, როგორც იმათი მდგმური. მაგრამ როგორ გამოჰყავთ აქედან, ვანო მასწავლებელმა "მთელი სუფრა რომ ამოიდო ფეხქვეშ", "მამაპაპურ ადათებს რომ გადააფურთხა", ძნელი გასაგებია. ვითომ, ცალტვინაანთ სერგოც ლანგეტსა და ტოლმას მიირთმევდა ბებიამისის ქელეხში?! არა გვგონია, მაგრამ ეს უკვე ჩავლილი ამბავია და ნუღა გამოვეკიდებით. ჩვენ მხოლოდ იმის გარკვევა გვაინტერესებს, რატომ უნდა დასიზმრებოდა ნიკოს ვანო მასწავლებლის ლიმონი, თანაც, ცუდად. რატომ და, ვანო მასწავლებელმა უფარაანთ გოგია ძალით რომ წამოათრია ქელეხიდან, გოგიამ, მადლობის მაგიერ, ცემა დაუპირა, ვინა გდიხარ, ვინ მოგცა უფლება, ჩემს საქმეებში რომ ერევიო, მაგრამ ვანო მასწავლებელს ისე ჰყავდა გაკავებული, უაზრო ფაფხურითა და გაწევ-გამოწევით, თვითონვე გაილახა ბოლოს თავი, ხაფანგში ფეხჩავარდნილი ნადირივით, რომელსაც უაღრესად გამძაფრებული ცხოველური ალღო ხაფანგიდან თავის დახსნას კი ავალდებულებს, მაგრამ შეზღუდული, ბოლომდე განუვითარებელი გონება ვერ აწვდის საამისოდ საჭირო რჩევასა და მითითებას. სამაგიეროდ, უპატრონო ძაღლის მაგივრად, ახლა ის ყეფდა მთელი ღამე გაუჩერებლად. ხოლო, უპატრონო ძაღლი, ვიღაცის კიბის ქვეშ შეყუჟული, დამფრთხალი, გაოცებული უსმენდა ალბათ და ვერ დაეჯერებინა, ადამიანის პირიდან თუ ამოდიოდა ამგვარი სისაძაგლე, მიუხედავად იმისა, გინების მეტი, თავად არაფერი რომ მოუსმენია ადამიანის პირიდან. გოგია კი, მთელი ღამე, ვიდრე ღვინო გამონელდებოდა, სახლის წინ იდგა და უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა თავის მდგმურს. ქალაქი სირცხვილისგან თავს იმძინარებდა, სარკმელზე ფარდა არ გადაუწევია არავის, ცალი თვალითაც არ გამოუჭვრეტია გარეთ, თუმცა, ძალიან უჭირდა ალბათ ცნობისმოყვარეობის დაძლევაც. ისევ დედამისი თუ გამოხედავდა ათასში ერთხელ და ისე, ყასიდად შეუწყრებოდა: კარგი, დააყე ყბა, შე არგასაჩენოო. თან პირზეხელმიფარებული ქირქილებდა. მაგრამ გოგია მართლა თუ მოუკლებდა მდგმურის გინებას, დასცინოდა: სულ ეგ იყო, ამის გულისთვის წამომაგდე ლოგინიდანო?! გოგიაც, თითქოს ჩანავლებულ ცეცხლს ნავთი მოასხესო, მაშინვე ხელახლა წამოენთებოდა ხოლმე და კიდევ უფრო მეტი სისაძაგლეები ადგებოდა პირზე: მართლა მასწავლებელი კი არ არის, გერმანელების აგენტიაო; ნიურნბერგიდან გამოიქცა და ჩვენთან იმალებაო. "ნიურნბერგი რაღა იცი, შე უჯიგროდ შობილოო" - ქირქილებდა, ქოქოლას აყრიდა ღია კარში გაჩერებული დედამისი. გოგია კი გინებიდან მუქარაზე გადადიოდა, უნაცვლებდა ერთმანეთს გინებასა და მუქარას, როგორც ბუნებით მხდალსა და გაუბედავ ხალხსა სჩვევია საერთოდ სიმთვრალეში, როცა ვიღაცის ჯავრი სჭირთ, მორევით კი ვერ მორევიან. "ხვალევე თუ არ დაცლის ოთახს, მერე თავს დააბრალოს, რაც მოუვიდესო" - გაჰყვიროდა დედის გამაღიზიანებელი სიახლოვითა და დამცინავი თანაგრძნობით წაქეზებული. ის დღეები ყველას უჭირდა ვანო მასწავლებლისთვის თვალის გასწორება, ყველანი, რატომღაც, დამნაშავედ გრძნობდნენ თავს, თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, ღვთის წინაშეც ვერავინ იტყოდა, რა დაეშავებინა თავად, პირადად მას, უფარაანთ მდგმურისთვის. იმ დღეებში ნახა ნიკომაც ის უცნაური, მაგრამ, ამავე დროს, უაღრესად "ცხოვრებისეული" სიზმარი. სიზმარსაც ხომ, ჭორისა და ტყუილისა არ იყოს, სინამდვილე განაპირობებს, სინამდვილიდან ამოდის, როგორც ცეცხლიდან კვამლი, მაგრამ მისი სისხლხორციელი ნაყოფი, ანდა, მისი პირდაპირი შედეგი კი არ არის, არამედ მისი სახესხვაობა. სიზმარი შესაძლებელი, დასაშვები სინამდვილეა, რაც არ ყოფილა, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო. მართლაც, რატომ არ შეიძლება, სინამდვილეშიც მოხდეს იგივე, რაც ნიკოს სიზმარში მოხდა? ნიკოს სიზმარში გოგიამ ნავთი მიასხა ვანო

www.Litklubi.ge

მასწავლებლის ლიმონს და ცეცხლი წაუკიდა. თვითონ კი, თავისი განუყრელი თოფი მოემარჯვებინა (აკი მართლა გამოადგა ბოლოს!) და თვალებგადმოკარკლული, გარშემო ურბენდა ცეცხლწაკიდებულ ხეს. საკვირველი ისაა, იქამდე რომ ითმენდა ამოდენა სიკეთესა და სილამაზეს საკუთარ ჭერქვეშ. ხეს ბუბუნი გაუდიოდა, შფოთავდა, სული ეხუთებოდა. გოგია კი, თოფმომარჯვებული დარბოდა ხის გარშემო და გაჰყვიროდა: აი, თუ არ შეიძლება ქელეხში გაძღომა და დათრობაო. ხეს კი მეტი აღარ შეეძლო, აალებულ ტოტებს ფრთებივით იქნევდა, თითქოს ამოფრენას ლამობდა ყუთიდან, და მართლაც, ბოლო წუთს, ყუთმა უცებ დაიჭექა, ნაფოტებად მიმოიფანტა მთელს ოთახში, ხოლო, თავდაღწეულმა, ფესვებზე მიწაშერჩენილმა, ფოთლებდაჭმუჭნულმა ხემ ჭერი თავით გაიტანა და გუგუნ-შრიალით, ნაპერწკლებისა და ყვავილის ფრქვევით ცას მიაშურა, უკეთეს ქვეყანას, გეგონებოდათ, ფასკუნჯი ამოვარდა ქვესკნელიდანო. რა თქმა უნდა, თავისუფლად შეიძლება, სინამდვილეშიც მოხდეს იგივე, თუკი გოგიას მართლა სურს თავისი მდგმურის გამწარება და თუკი საამისო ძალაც აღმოაჩნდება, თუკი ამდენს გაუბედავს ვანო მასწავლებელს, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებს, რადგან მის მდგმურსაც თუკი კიდევ შერჩენია რამე ძვირფასი, გასაფრთხილებელი, ის ლიმონია. იმიტომაც დაჰფოფინებს თავზე, როგორც ნაშიერს, და, შეიძლება, როგორც ისევ ის ზოგიერთები ხუმრობენ, მართლა მისი გაჩენილიც იყოს, შუბლიდან გამოიტეხა ალბათ, გულიდან ამოიჭრა, რადგან არავის უნახავს, როგორ შეიტანა უფარაანთ ჭერქვეშ ის ზღაპრული, ჯადოსნური ხე - ლაღად და თამამად ამოფრქვეული ფიცრის ყუთიდან. ცხადია, იქ არ დახვდებოდა და ვერც ისინი გაუჩენდნენ. "ჩემი შვილის მაგიერიაო" - ასე წარუდგენს ხოლმე სტუმარს მწვანედ აბრიალებულ ხეს. ხე კი მართლაც ჯადოსნურია - ნაყოფს რომ შეაწყვეტ, მაშინვე ახალს გამოიბამს, მაგიერს. ამიტომაც, არავის ეუბნება უარს, ყველას აქედან მიაქვს ლიმონი. ხეს მაინც არაფერი აკლდება: ალაგ მწიფს, ალაგ კვირტი აყრია, ალაგ ყვავილი, კახელს იადონი ლიმონი ეგონა და ჩაიში ჩაიწურაო, მაგრამ ეს ადრე იყო, ახლა უფარაანთ მდგმურის წყალობით ლიმონი აღარავის უკვირს. თვითონ ხომ არიგებს და არიგებს, მაგრამ უფრო მეტს მისი დიასახლისი ეზიდება - გაიგულებს თუ არა შინიდან, მაშინვე ერთიანად გაკიწავს ხოლმე თეთრად გადაპენტილ, ოქროსფრად დახუნძლულ, მწვანედ ახასხასებულ ხეს, რომელსაც სრულებითაც არ ეშინია ქურდისა, რადგან ბაზრამდეც არ იქნება მისული ქურდი, კიდევ უფრო უხვად, კიდევ უფრო ბარაქიანად რომ დაიხუნძლება თვითონ.

"კარგად არის შენი მაგიერი, ძალიან კარგად არისო" - მღელვარედ უპასუხა ნიკომ ვანო მასწავლებლის გოგოს და, უნებლიეთ, თვითონაც შეაბიჯა ლურჯად აბიბინებულ სოსნების ზღვაში. "შენ თუ იცი პირჯვრის წერაო" - დაუძახა ანგელოზმა და ნიკოს გაუხარდა, ისეთი რამე რომ ჰკითხეს ამ უცხო გარემოში, რაც ძალიან კარგად იცოდა, კი არ უპასუხა ანგელოზს, დაანახვა, როგორ იწერდა პირჯვარს, დაძაბული სიამაყის შეკავებული ღიმილი უციმციმებდა სახეზე და თან სამი თითი, შუა, საჩვენებელი და ცერი, ერთმანეთს მიწყობილი, ნელა, გამოკვეთილად გადაჰქონდა შუბლიდან მკერდამდე, მკერდიდან მხრამდე, მხრიდან მხრამდე... უცებ, რაღაც დიდი სინათლე წამოვიდა, სასიამოვნო, საამური. სადღაც ზარებს რეკდნენ. წყალქვეშ უფრო დაგუბულად ისმოდა ზარების გუგუნი, და სწორედ ამ დროს გამოაფხიზლა ზედგადასხმულმა წყალმა. თვალი რომ გაახილა, მარგალიტა დაინახა: შიშველი, ცეცხლთან დაბრაწული ფეხები ძია სანდროს ქუსლჩაჭყლეტილ ფეხსაცმელებში წაეყარა, მხრებზე ჯვალოს ტომარა მოეგდო და - როგორი მშიშრები ხართ, ხალხნო, ასე როგორ შეიძლებაო - ეუბნებოდა ბებიასა და დეიდას.

www.Litklubi.ge

მერე, ერთმანეთის მიყოლებით, ყველანი გაიკრიფნენ ოთახიდან. ხოლო, რაც უფრო ნაკლები ხალხი რჩებოდა ოთახში, მით უფრო ხმამაღლა ქაქანებდა საათი, მით უფრო ხმამაღლა ყეფდა უპატრონო ძაღლი ვიღაცის ეზოდან, მით უფრო ძრწოდნენ და ცახცახებდნენ დაპირქვავებულ სამკურნალო ქილებში გამომწყვდეული სინათლის წიწილები. დეიდამ ერთხელ კიდევ დაუძახა: ნუ წევხარ, მკვდარივით, გულხელდაკრეფილიო, და თავის ოთახში შეიკეტა. მაგრამ ნიკომაც რომ აღიქვა დეიდის ნათქვამი და გაუკვირდა, როგორ დაინახა საბნის ქვეშ ჩემი ხელებიო, დეიდამისს უკვე ეძინა ალბათ, ყოველ შემთხვევაში, უკვე ლოგინში იწვა და, ძილმორეული, ნელ-ნელა ფურცლავდა გალაკტიონის ლექსების კრებულს - ჩვეულებისამებრ, დღევანდელი მისი განცდებისთვის მისასადაგებელ ლექსებს დაეძებდა: "მიჰქონდათ შავი კუბო..." ანდა - "დღეს გაასვენეს შემოდგომით გამწარებული რეგიის ღერი..." ბებია კი რაღაცას ელაპარაკებოდა ხატს. უფრო სწორად, პირმოკუმული შესცქეროდა, ლაპარაკით კი გუნებაში ლაპარაკობდა, სხვასაც რომ არ მოესმინა შემთხვევით. თუმცა, გინდაც მოესმინა, სხვა მაინც ვერ გაიგებდა, რადგან ღმერთთან სალაპარაკოდ, ყველას თავისი განსაკუთრებული, გასაიდუმლოებული ენა გააჩნია, სიცოცხლესავით მარტივი, პურივით აუცილებელი, სიკვდილივით უკიდურესი და სიყვარულივით გულუბრყვილო. უთავსაფროდ, მოკლემკლავიან ღამის პერანგში, პატარა გოგოს ჰგავდა უცებ. გათხელებული, გაჭაღარავებული თმა ერთ გაჩხინკულ კიკინად დაეწნა უკან. შეხედავდი - შეგეცოდებოდა, გული აგიჩუყდებოდა რატომღაც. ოთახში ჩაწეული ლამპის ბიისფერი, ალაგ-ალაგ შავად დალაქული სინათლე თრთოდა, ვიდრე ყველაფერი ერთბაშად გაქრებოდა ისევ და უკვალოდ გაითქვიფებოდა წყვდიადში - ეტყობა, ისევ გული შეუღონდა ნიკოს, ანდა, ბებიის ლოცვამ გასჭრა და ჩაეძინა. მაგრამ, სამწუხაროდ, წყვდიადმა მალევე დააბრუნა მიტაცებული ქვეყანა, ნიკოიანად, უკანვე ამოანთხია, როგორც გველეშაპმა ძნელად მოსანელებელი, სახიფათო საჭმელი. ოღონდ, ბუნებრივია, მთლად ისეთი აღარ, როგორიც გადაეყლაპა - მეტნაკლებად ყველაფერი შეცვლილა, დადორბლილა, ლორწოში ამოთხვრილა. მკვრივი, მყარი საგნები, დაბლაგვებულ-დარბილებულნი, უთავბოლოდ დატივტივებენ ქაფივით დაბუშტულ ჰაერში, უხმოდ, უმტკივნეულოდ, მკვდრული განურჩევლობით ეხეთქებიან კედლებს, ერთმანეთს, მაგრამ, იმავე დროს, თითოეული მათგანის არსი იგივე რჩება: მაგიდა ისევ მაგიდაა, სკამი ისევ სკამია, ღუმელი - ღუმელი, იაპონური ბამბუკის ეტაჟერიც ისევ იაპონური ბამბუკის ეტაჟერია - მეორე თაროზე წიგნი აკლია, დეიდამ რომ წაიღო წეღან, გალაკტიონის კრებული. წიგნებს შორის გაჩენილი სიცარიელე უფრო მუქი წყვდიადით ამოვსებულა, ვიდრე დანარჩენ ოთახშია. ასე რომ, ატივტივებულ-აფორიაქებული, დადორბლილ-დადამბლავებული, გველეშაპის მუცელში ნახეტიალები ქვეყანა ძირითადად მაინც ინარჩუნებს ნიკოსათვის უაღრესად ნაცნობ იერსაც და ბუნებასაც. საათი ისევ ქაქანებს, უპატრონო ძაღლიც ისევ ყეფს, ოღონდ, ეს ნაცნობი, ეს აუცილებელი ხმებიც გარდაქმნილან, ოდნავ დაყრუებულან, მოდუნებულან, თითქოს ზემოდან სილა აყრიათო. ლამპაც ჩამქრალა და ღუმელიც. ნიკოს ფეხები გაჰყინვია, თითქოს ყინულზე უწყვია, ვალო ბადალაშვილის პაპასავით. ვალო ბადალაშვილის პაპა რომ მოკვდა, ვიღაცამ ტომრით მოიტანა ყინული და პირდაპირ მიწაზე წამოყარა კრიალა ლოდები. წყლისფერმა, ალაგ-ალაგ თეთრად დათრთვილულმა ლოდებმა ათასნაირი ხიწვი და ბალახი აიკრა მაშინვე. ერთზე ჭიანჭველა მიცოცავდა, ჭიანჭველების ამუნდსენი, და, ვინ იცის, გიჟდებოდა, ფეხებგათოშილი: ეს სად მოვხვდი, ვაითუ სამუდამოდ ჩავრჩე ამ ყინულეთშიო. ნიკოს კი თავზე ღამურები დაჰფარფატებენ და უკვირს, როდის შემოფრინდა, ან საიდან შემოფრინდა ამდენი ღამურა. მკვდარი კია, მაგრამ ვითომაა მკვდარი და არა მართლა. ჯერ პატარა სიკვდილშიც ვერ შეუღწევია, ესე იგი, ვერ დაუძინია, მაგრამ, იქნებ, აღარც დასჭირდეს დაძინება, ესე იგი, მკურნალობა - ეს სულეთის ღამურები დაჰფარფატებენ ალბათ თავზე. წელიწადის მეხუთე დრო დამდგარა და ეგაა. მომკვდარა ჩვენი საბრალო ნიკო, ჩვენი ნიკა, ჩვენი ნიკუშა, ჩვენი ნიკოლოოზი. მისიანებმა კი ჩვეულებრივ ავადმყოფივით ჩააწვინეს ლოგინში, ექიმი მოუყვანეს, სპირტითა და ძმრით დაზილეს, სამკურნალო ქილები დააყარეს ზურგზე და, დამშვიდებულნი, ვალმოხდილნი, წავიდ-წამოვიდნენ, შეიყუჟნენ თავ-თავიანთ ნიჟარებში; ძილში

www.Litklubi.ge

გამოშუშდებიო, დაუბარეს და ტკბილად, თბილად დაიძინეს თავად. ის კი მომკვდარა. მკვდარია. წევს, გულხელდაკრეფილი, ღამურების დასკლინტული. თითქოს ნეშოში წევს, ტყეში, ხის ძირას. მკვდარი - მკვდარ ფოთლებში. თითქოს ეს წუთია (არადა, სამი წლის წინ მოხდა ეს ამბავი, ახალი ჩამოყვანილი იყო ბათუმიდან), წალდის წვეტიან ბოლოს მაჯა დაახია და ბიჭებმა დააწვინეს აქ, ხის ძირას, ნეშოში, მიწითა და ხავსით ძლივს გაუჩერეს სისხლის დენა და ისევ თავ-თავიანთ ხეებს ჩაუცუცქდნენ, ააკაკუნეს წალდები. რას იზამ, ასეა ცხოვრება მოწყობილი. სათამაშოდ კი არ არიან ტყეში წამოსულნი, შრომობენ, შეშა უნდა მიიტანონ შინ. სხვა არავინ მიუტანთ. წართმევით კი, შეიძლება, წაართვათ მეველემ. ამიტომ, უნდა იჩქარონ. თან იჩქარონ, თან იფრთხილონ. ის ნეშოში წევს, უმაქნისი, ღირსეულის უღირსი შვილი, იძირება, ქვეშ სულ წყალი ყოფილა, დამყაყებულ-დაობებული. ნოტიო, წებოვანი სუნი (ხრწნაგამჯდარი სიცოცხლისა) სასაზე უღიტინებს. ყველა სიკეთესთან ერთად, შეიძლება, გულიც აერიოს. "გაგიჟდებიან ჩვენებიო" - წუხს, დარდობს, გულს ასკდება მაჯაგახვრეტილი, ყინწმოწყვეტილი, მისავათებული. ან უმისამართოდ გარბის, შიშით დაზაფრული, ან მიწაზე გდია, მომაკვდავი - ჯერჯერობით სულ ესაა მისი ცხოვრება - ამ თვალსაზრისით, ღირსეული მემკვიდრეა პაპისაც და მამისაც - ერთი გაიქცა, მეორე წაიქცა - ამას კი ჯერ ვერ გაურკვევია, რა ევალება თავად, უფრო სწორად, რა შეუძლია კიდევ, გარდა გაქცევისა და წაქცევისა. ბევრი სისხლი დაკარგა ძალიან. ხედავს კიდეც საკუთარი სისხლის გუბეს. უკვე შედედებულა, ჩამუქებულ-ჩაშავებულა. ტყის ბუზები დასევიან. ერთი, სხვებზე გამბედავი, შიგ ჩაფლულა, ძლივს მიარღვევს ადამიანის შედედებულ სისხლს. შეიძლება, ვედარც გააღწიოს აქედან. ჭიანჭველების ამუნდსენისა არ იყოს, ვერ გადაურჩეს ამ მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ განსაცდელს. გააჭირა მართლა საქმე ამ ადამიანმა, საკუთარი სისხლისთვისაც ვედარ მოუვლია, ასე უპრაგუნოდ, უმიზეზოდ ღვრის ყოველ ნაბიჯზე, ტყეშიც ვედარ გაგინავარდია ბუზს, შენს გემოზე, თავისუფლად. ყოველ წუთას შეიძლება, ადამიანის სისხლში ჩაიხრჩო. ნიკო კი, რომელიდაც ლექსს იხსენებს, საკუთარ სისხლში აფართხალებულ ბუზს რომ არ უყუროს. როგორმე, სხვა რამეზე უნდა გადაიტანოს ყურადღება. ამაზრზენი სანახაობაა, მაგრამ მაშინ რომ მომკვდარიყო (ამ სამი წლის წინ), ახლა ხომ ნამდვილად გადარჩებოდა ამ დავიდარაბას?! თუმცა, ხომ შეიძლება, ახლაც ისევე გადარჩეს, როგორც მაშინ გადარჩა! მაშინ ბებიამ გადაარჩინა. ახლაც ბებია გადაარჩენს. მაგრამ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე?! ყოველთვის გადასარჩენად ხომ არ უნდა გქონდეს საქმე?! ერთხელაც, მოკვდები და ვედარ აღსდგები, რადგან შენიანი აღარავინ გეყოლება გვერდით. ამ სამი წლის წინ ექიმმა, პატარა სიკვდილის გარდა, თოხლო კვერცხი და შავი ღვინო გამოუწერა, ყოველდღიურად, ორი კვირის განმავლობაში, და თვითონვე აუვარდა სიცილი, დიდხანს აჭრაჭუნა სკამი, დიდხანს იხიხინ-იქოშინა, ვიდრე სულს მოითქვამდა, ვიდრე ისევ შეძლებდა დალაპარაკებას: თვითონ თუ არ დადებ, ღმერთმანი, არ ვიცი, სად უნდა იშოვო ამდენი კვერცხიო. მაგრამ ის დღეები ბებია ისე არ შემობრუნებულა ეზოდან, წინსაფრის ჯიბეში ჯერ კიდევ თბილი, ბუმბულმიწებებული კვერცხი არ დებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც წყალში ჩაეყარა ამაგი და აი, ისევ მკვდარი უწევს შინ, გულხელდაკრეფილი, ღამურების დასკლინტული. კი დაუბარეს, ძილში გამოშუშდიო, მაგრამ არავის უსწავლებია, როგორ, რა გზებითა და მანქანებით მოიპოვოს ძილი, პაააატარა, პაწაწკინტელა, გადამრჩენელი სიკვდილი. პურისა არ იყოს, ბავშვებს ძილიც ნაკლები ეკუთვნით ალბათ, მაგრამ ბავშვი რომ აღარ არის ნიკა! აღარ არის! ბავშვობის ბორკილი, ჩვეულებრივი ბორკილისგან განსხვავებით, თავისით, თავისთავად წყდება. ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. მოუვა დრო და გაწყდება, მოგეშვება, მოგშორდება. ნიკო კი განუწყვეტლივ გრძნობს ბორკილის მოჟღრიალე სიმძიმეს, და მაინც აღარ არის ბავშვი, აღარ არის, ენდეთ, დაუჯერეთ, განა თქვენთვისაც ასე არ ჯობია?! ანდა, განა თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს, ერთი ბავშვით მეტი იქნება თუ ნაკლები?! მით უფრო, რომ საერთოდ არ არსებობს შეუცვლელი ადამიანი, ნიკო იქნება თუ სხვა - საკმარისია მოკვდეს, მისი განსაკუთრებულობის ლეგენდაც (მისივე მოგონილი) მაშინვე უკვალოდ გაქრება. ხალხი უიმისოდაც ისევე იცხოვრებს, როგორც იმიანად ცხოვრობდა. არაფერი შეიცვლება, გარდა იმისა, რომ

www.Litklubi.ge

ის აღარ იქნება. იმისთვისაც ასე სჯობს. განა მკვდარი სამარეში უფრო მარტოა?! სიმარტოვისა კი ვარსკვლავებსაც ეშინიათ თურმე, ჯოგ-ჯოგად დადიან. ის კი მარტოა. ყველამ მიატოვა. იმიტომ, რომ ყველანი ცოცხლები არიან, ის კი - არა. ძილი და მოსვენება ცოცხალს უნდა, მკვდარს - დამარხვა. უფალო განანათლე სული მონისა შენისა ნიკოსი და მიუტევე ნათესავთა მისთა, რამეთუ არა უწყიან თუ სცოდეს. კვდება, ხალხო, მოკვდა! აშავდით! რა ძილქუში გეცათ, რა დროს ძილია! ხვალ კი ინანებთ, მაგრამ ხვალ გვიან იქნება. როგორც პოეტი გვასწავლის, სინანული თავში სჯობს. არაფერი დაშავდება, თქვენიანის ხათრით (აბა, რაღაზე წამოიყვანეთ ბათუმიდან?!), ერთი ღამე გატეხოთ, თუკი, რაღა თქმა უნდა, ეს უკვე მარადიული ღამე არ არის. მაინც ინანებთ, ასე როგორ გავუშვითო, თქვენ დარჩებით უპოეტოდ, თორემ იმისთვის უკვე ყველაფერი სულერთია. თუმცა, როგორ შეიძლება, თხუთმეტი წლის ბიჭისთვის, გინდაც მკვდრისთვის, სულერთი იყოს რამე?! სიკვდილისა რცხვენია, თავისიანები კი ეცოდება. სადა აქვთ ქელეხის თავი. პაპამისი წელებზე ფეხს იდგამს, ქვრივივით, უპატრონოდ ცხოვრობს წნორში, გაუქმებულ ვაგონში, ვიღაც, მასავით გაჭირვებულ რკინიგზელთან ერთად, როგორმე, დღიდან დღემდე სული რომ გაატანინოს ოჯახს. ქელეხს კი ბევრი უნდა. აბა, როგორ გგონიათ?! დრია ასეთი. მუცელი დაატარებს კაცს და არა პირიქით. ამიტომაც ამბობს ალბათ ბებიაც: თუ მაინცდამაინც აუცილებელი იყო, თვეში ერთხელ უნდა დაეწესებინა იმ დალოცვილს ადამიანისთვის საჭმელი და მაშინ, შეიძლება, ასე აღარ წავმხდარიყავითო. მუცლის აყოლასა და გაღორებას ისევ სიკვდილი სჯობს. ასეთია ნიკოს აზრი, თუმცა, თავისუფლად შეუძლია თქვას, რომ ჯერ წესიერად არც იცის, რას ნიშნავს სიმაძღრე, ჯერ ბოლომდე არც მოუკლავს შიმშილი. მაგრამ მაინც ამ აზრისაა ნიკო, თუკი, რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია და დასაშვებია და მისაღებია და ბუნებრივია, მასაც ჰქონდეს თავისი აზრი. ჰქონდეს, ვინ უშლის?! მაგრამ მაინც სჯობს, თავისთვის შეინახოს. ღამღამობით, მკვდრები, თურმე, საკუთარ საფლავებზე სხედან და ცეცხლზე ხელებს ითბობენ. მკვდრებსაც თუ სცივათ, აღარ ყოფილა საშველი. მაგრამ საინტერესო ისაა, ცეცხლს ვინ უნთებთ. ალბათ სასაფლაოს დირექტორი, მკვდრები არ გამიცივდნენო. აბა, თვითონ ხომ არ ჩაიჯიბავს მკვდრებისათვის გამოყოფილ ფულს?! არ იკადრებს, შერცხვება. იმოდენა ღობე შემოავლო თავის კარმიდამოს, ერთ ქლიავს ვერ მოპარავთ, წამლად, პირი რომ გაისველოთ ზაფხულში. მკვდრები კი კანკალებენ ღამღამობით. მართლა ცეცხლი კი არ უნთიათ, ფოსფორის შუქზე ითბობენ ხელებს, ვითომ ითბობენ, თავს იტყუებენ, ერთობიან თავისებურად, სიცოცხლეს თამაშობენ და უცებ, არიქა, დაიშალეთ, მოფრატუნობს უფარაანთ გიორგი! უბრალო ვინმე არ გეგონოთ, მაგისმა შვილმა კაცი მოკლა დღეს. რაო? რაო? კაცი მოკლაო? დარწმუნებული ხარ? შენ ხომ იცი, მაგასაც დამტკიცება უნდა? ხომ გახსოვს, რას უშვრებიან ცილისმწამებლებს სულეთში?! წკაპ და ძირში შეგაჭრიან ენას. ენა უძვლოა. ენა ყველაფერს იტყვის. იქნებ, კი არ მოკლა, შემოაკვდა?! თოფი გაუვარდა, შემთხვევით, შეეშინდა, ბავშვია, ბევრად უფროსი კი არ არის შენზე, თქვენ უფრო უნდა გაუგოთ ერთმანეთს, მერე რა მოხდა, თუკი ერთხელ თოკი გაგიბა გზაზე და ველოსიპედიდან გადმოგაგდო, შენ მაინც უნდა დაზოგო, ცოდოა, მთელი სიცოცხლე უბედური უნდა იყოს, რაღაა მისი სიცოცხლე, აბა, შენ იყო იმის ადგილას, აბა, შენ შემოგკვდომოდა კაცი! დაუკვირდი, დაუფიქრდი, წარმოიდგინე - თმა ყალყზე დაგიდგება. შეიძლება, გაგიჟდე კიდეც. რა თქმა უნდა, მკვდარიც ცოდოა, მაგრამ უკეთეს დღეშია, ყველაფერი უკვე გათავდა იმისთვის, დაისვენა, რაც მთავარია, ცოდვას გადარჩა, მკვლელისთვის კი, თუნდაც უნებლიე მკვლელისთვის, ახლა იწყება ჯოჯოხეთი, სხვათა შორის, მოწმისთვისაც, მით უფრო, უნებლიე მოწმისთვის. ასე რომ... ასე რომ, შეიძლება, კარგიც იყოს, თუკი ამჯერად ვეღარ გადარჩება ნიკო, თუკი ამჯერად შეუძლებელს ვეღარ შეძლებს ბებიამისი. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ავი წინათგრძნობა მაინც აღარ დატანჯავს: ცუდის განუწყვეტელი მოლოდინი მაინც გაუქრება, ჯერ კიდევ ბათუმში რომ გაუჩნდა და მოსვენებას არ აძლევს აქამდე, ალბათ იმ დღიდან მოყოლებული, როცა უჩვეულოდ და, ამიტომაც, თითქოს ყალბად შეშფოთებულმა უფროსებმა პირველად უგულებელყვეს თავიანთი ბავშვების ბავშვობა, ესე იგი, საკუთარი უფროსობაც, და ყოველგვარი შეპარების, შერბილებისა და შელამაზების გარეშე განუცხადეს

www.Litklubi.ge

ბავშვებს - ჩვენამდეც თუ მოაღწია ომმა, იძულებულნი გავხდებით, ფეხსადგილის ორმოში დაგმალოთო... შეიძლება, ცოტა მოგვიანებითაც, ოღონდ, ასევე უჩვეულოდ აფორიაქებულ დღეს, როცა მჭედლებივით მკლავშიშველმა სანიტრებმა მამა საავადმყოფოში წაიყვანეს, რათა იქ სამუდამოდ მიეჯაჭვათ საწოლზე. იმ დღიდან მოყოლებული აწვალებს ნიკოს ავი წინათგრძნობა, რაღაცის, ფეხსადგილის ორმოსავით საზარელის მოლოდინი. ასე რომ, თითქმის ბოლო ექვსი წელიწადია, კი არ ცხოვრობს, ელოდება, ოღონდ, მარტო პურის ანდა ნავთის რიგს კი არა, მარტო საავადმყოფოში შეყოვნებულ დედას კი არა, მარტო მამის გამოჯანმრთელებას კი არა, მარტო სოსოს დაბრუნებას კი არა, არამედ იმასაც, იმას უფრო, გაურკვეველს, ავის მაუწყებელს. ხოლო, სხვა შედარებით გარკვეული, მეტნაკლებად გასაგები მოლოდინი, მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმ დიდისა, გაურკვევლისა, ამოუწურავისა და, რაც მთავარია, შემზარავისა, სწორედ თავისი გაურკვევლობითა და განუზომლობით. ნიკოც განუწყვეტლივ ელოდებოდა: გაკვეთილზე იჯდა - ელოდებოდა, თამაშობდა - ელოდებოდა, ჭამდა - ელოდებოდა, ეძინა - ელოდებოდა და როცა რაღაცას ან ვიღაცას ელოდებოდა, მაშინაც ელოდებოდა, უფრო მეტს, უფრო მნიშვნელოვანს, რადგან, ვთქვათ, დედის დაბრუნებით, საერთოდ კი არ ისპობოდა მოლოდინი, არამედ პატარა და უმნიშვნელო კვდებოდა დიდისა და მნიშვნელოვანის წიაღში, როგორც პატიმარი - ციხეში. ასე იყო ბათუმშიც და ასეა აქაც, სიღნაღში. და ძალიანაც კარგი იქნება, თუკი ვეღარ გადარჩება ნიკო, რაკი არც სიღნაღში ჩამოსვლამ უშველა და რაკი არც აქ გაუქრა ცუდის მოლოდინი. გაუქრა კი არა, აქ უფრო გაუმძაფრდა, უფრო საგრძნობიც გახდა, რადგან აქ უფრო ძნელია საერთოდ რაიმესგან თავის დაღწევა, ქვის ბუდეში ხარ გამომწყვდეული, საითაც არ უნდა წახვიდე, გალავანს გადააწყდები ბოლოს. ესეც ადიზიანებს ალბათ ნიკოს, ვერც ამას შესჩვევია და ამის ბრალიც უნდა იყოს, უფრო მეტს რომ დაწანწალებს, ვიდრე სურს, ვიდრე სჭირდება. აიყოლიებს ვალო ბადალაშვილს (და არა პირიქით, როგორც დეიდასა და ბებიას ჰგონიათ), აიყოლიებს ვალო ბადალაშვილს და მთელი დღე დაძრწიან, უპატრონო ძაღლებივით, ათასჯერ მაინც უნდა მოირბინონ, დასუნ-დაყნოსონ მთელი ქალაქი, ათასჯერ მაინც უნდა მიაჭყლიტონ კედელს ცხვირი, რათა ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, მართლა ქვის გალავანი რომ არტყიათ ირგვლივ.

არა, ძმაო, არა ხამს თავისუფლება ოქროზე გაიცვალოსა. ერთ კაცს იმდენი ფული ჰქონია, ხანდახან ლოგინივით ამზეურებს თურმე, არ დამილპესო. მაგრამ მაინც ოხრად დარჩება. სიკვდილმა ქრთამი არ იცის. ცოდო-მადლს კი არჩევს. სულეთში ცოდვიანების ცოდვით ქვებიც იწვიან თურმე. წამლად მიწა აქვთ, ექიმად გველი ჰყავთ. მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გამოივლი, წინ დაგხვდებაო, მაგრამ რად გინდა, მაინც ვერ შეიგნო ამ ხალხმა ვერაფერი, მაინც სჯერათ, ყველას რომ გააცურებენ, სულეთის მოსამართლეებსაც კი.

ცოდვილო, ცოდვისგან აიღე ხელი,
საიქიოს წახვალ, ვეღარ გიშველი.

www.Litklubi.ge

სტუმარი გიყვარდეს, გლახას არ დაემალო, ობოლს არ გაუწყრე, მშიერი დააპურე, შეციებული გაათბე, გვერდით დაისვი (ანდა - დაიყენე) ცეცხლთან, ცოტა ჩაიჩოჩე, არა უშავს, ყველას გეყოფათ ადგილი. განიკითხე და განიკითხები. დედ-მამა დააფასე, გინდაც მიგატოვონ. მკვდრები არ დაივიწყო, რადგან შენც მოკვდები, შენც იქ ხარ მისასვლელი. სულეთში პატარა ბალღები სულ თავიანთ დედებს დაეძებენ თურმე ღნავილით. ვინც შეხვდებათ, მუხლებზე ეხვევიან: დედი, დედიო. ის კი ხელსა კრავს, ძალით იშორებს, მე რა თქვენი დედა ვარო. ნიკოსაც ისინი უფრო ეცოდება, ვიდრე თავი. ანდა, თავიც იმათსავით ეცოდება. ლამის ისიც იმათსავით აღნავლდეს, რადგან ისიც იმათსავით უდედოდაა დარჩენილი, ისიც დედას დაეძებს განუწყვეტლივ, ხან ბებიას მოეხვევა მუხლებზე, ხან დეიდას, ხან მარგალიტას. ახლაც, ამ წუთას (სულ ერთია, მკვდარია თუ ცოცხალი), ერთ რამეშია მხოლოდ ღრმად დარწმუნებული - დედა ენატრება! მაგრამ, კიდევ უარეს დღეში რომ ჩავარდეს, არავის შესჩივლებს, დედა მენატრებაო. თავი ისე უჭირავს, თითქოს არც ახსოვდეს და არც სჭირდებოდეს დედა. მაგრამ ექიმმა მაინც შეატყო წედან, მაინც მიაკვლია იმის მთავარ სატკივარს. ნიკო თითქოს აღარც ახსოვდა, თითქოს მოთავებული ჰქონდა იმასთან საქმე - ვიღაცის გარებიძაშვილისა თუ ვიღაცის ნათლულის სახელს იხსენებდა - მოულოდნელად რომ მოაყოლა: დედამისი რომ შემოვიდეს ახლა, მერცხალივით წამოფრინდება თქვენი ბიჭიო. "საერთოდ თუ გადარჩებაო" - მაშინვე სიტყვა გადაუტანა დეიდამ, რადგან იმან ექიმზე უკეთ იცის, როგორ აღიზიანებს ნიკოს დედაზე ლაპარაკი, განსაკუთრებით, როცა სხვები ლაპარაკობენ დედამისზე, ხოლო ნიკოს, გზადაგზა, ათასში ერთხელ, უფრო თავიანთი გულისხმიერებისა და ღვთისნიერების დასამტკიცებლად, ერთ-ორ დასამშვიდებელ, დასაიმედებელ სიტყვასაც მიუგდებენ ხოლმე - რას იზამ, შვილო, არა უშავს, უნდა მოითმინო. - ნიკოს კი სისხლი თავში უვარდება, როცა ვიღაცა, მის გულში ნაკლებად ჩახედული, იცოდებს - უდედოდ დარჩენილს, დედისაგან, თუნდაც დროებით, თუნდაც იძულებით მიტოვებულს. რცხვენია, ესიკვდილება, თითქოს მისი უსუსურობის, უვარგისობის ბრალია მათი გათიშვა. სიბრაზისგან ბრმავდება, ყრუვდება, როგორც ნადალატევი ქმარი, რადგან არავის არ ეხება, რას ფიქრობს თვითონ, რას განიცდის, რაზე დარდობს, ვინ ენატრება.

"გადარჩებაო?! - ჩაიცინა ექიმმა. უფრო სწორად, ჩაიხიხინ-ჩაიქოშინა. - გადარჩება კი არა, იქნება, თქვენ გაგიხადოთ გადასარჩენად საქმეო".

www.Litklubi.ge

მაგრამ, ეტყობა, მაინც ადრე მოწყდა ნიკო დედას, მაინც დააკლდა იმის სითბოში გამოშუშება და ამ დანაკლისს ვეღარაფერი აუნაზღაურებს უკვე, ვერც ფურის ფაშვში გახვევა და ვერც ღუმელში გამოწვა. ამიტომაცაა, ალბათ, განუწყვეტლივ დედის ხმა რომ ჩაესმის ყურში. ათასნაირი ხმითაა ქვეყანა სავსე, იმას კი დედის ხმა ეყურება მხოლოდ, თითქოს აქვეა, გვერდით, ვიღაცას ესაუბრება წყნარად, ბებიას ან დეიდას, ხმა ესმის, სიტყვები კი ვერ გაურჩევია. უნებურად წამოიწევს ხოლმე და ოთახში გამეფებულ წყვდიადს უსმენს. თუმცა, მშვენივრად იცის, ესეც ეჩვენება. დედის ხმა მასშია, მის შიგნით, როგორც თვითონ იყო დედაში, გაჩენამდე, გაჩენამდე შეისისხლხორცა ეს ხმა და სიკვდილამდე მასთან იქნება. აკი არის კიდეც. ამიტომაც აღარ ეშინია არაფრის, არც სიცოცხლის, არც სიკვდილის. გინდაც დედის ხმას ფლობდე და გინდაც უკვდავების საიდუმლოს. სიკვდილი, არყოფნა მაშინ იწყება, როცა დედის ხმას დაივიწყებ, დაკარგავ, ანდა, როცა დედის ხმა თავისი ნებითა და სურვილით წავა შენგან, მიგატოვებს, მიგაგდებს, როგორც ულირსსა და უვარგისს. დედის ხმა იგივე ჯავშანია, ცეცხლში შეხვალ და გამოხვალ, წამწამი არ შეგეტრუსება, წყალზე გაგატარებს, ბეწვის ხიდზე გადაგიყვანს. ამ ხმის წყალობაა, როცა უნდა მაშინ რომ ანგრევს არარაობის ყრუ კედელს და როცა უნდა მაშინ რომ გამოყავს არარაობის წყვდიადიდან პირველი ნამით აბრჭყვიალებული, პირველი ხმებით აჟივჟივებული, პირველი ფერებით მოხატული ქვეყანა (ვინ იცის, მერამდენედ!) - მისი სულის საძირკველი, მისი ოცნების კვარცხლბეკი, საფუძველი მისი საფუძვლისა, მისი მახსოვრობის პირველი ყულაბა, უზარმაზარი, ამჯერად ნამდვილად ბავშვური, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, სევდისა და სიხარულის დამტევი თავის ბნელსა და პატარა მუცელში. ხოლო ის, თავის დროზე ამ ქვეყნის შემქმნელი, ახლა კი გადამრჩენელი, კეფაზე დაგრაგნილ თმას ისწორებს და სახეშეფაკლული, თითქოს ურბენიაო, დაბნეულად მოღიმარი, თითქოს რაღაცა დაუშავებიაო, სახლისკენ იყურება (აქ კი არა, ბათუმში), გვერდით ვიღაც ბავშვიანი ქალი უდგას, ძუძუმოშიშვლებული, ქალი კი არა - ქაჯი, თავის პატარა ქაჯუნათი. "სულელი ხარ, ამხელა ქალიო" - აივნიდან ეძახის მამიდა დედას. "რა მექნა, ვერ მოვიშორე, ქუჩაში ხომ არ გავუჩერდებოდიო" - პასუხობს დედა და თან უცხო ქალს შესცქერის მომღიმარი, ღიმილით ებოდიშება, ღიმილით სთხოვს, ყურადღება არ მიაქციოს მის ნათქვამს, არ გაბრაზდეს და, გაბრაზებულმა, რამე ცუდი არ უწინასწარმეტყველოს მის შვილს, საერთოდ მისიანებს. "მაგან რამე რომ იცოდეს, თავს უშველიდაო" - ბობოქრობს მამიდა აივანზე. "მოდი, შენც უნდა გიმკითხაოო" - ეძახის უცხო ქალი მამიდას, ერთ ხელში ბავშვი ჰყავს ატატებული, მეორე დედისთვის ჩაუვლია მაჯაში, თითქოს წაყვანას უპირებს. ნიკოს შიშისგან სული ფეხებში ეპარება (იმ დღიდან მოყოლებული, ესაა მისი ყველაზე ხშირი და ყველაზე მტანჯველი სიზმარი). დედაც გრძნობს ნიკოს გასაჭირს და, ნაძალადევად გაღიმებული, გამოხედავს ხოლმე გასამხნევებლად, რათა იმავე წამს დაივიწყოს, ისევ შეიკრას შუბლი და მთელი გულისყურით უსმინოს უცხო ქალის აბდაუბდას. უცხო ქალი ქაჯურად ლაპარაკობს. ატატებული ბავშვი წარამარა შიშველ ძუძუზე ეტანება. ნიკოს ქალისაც ეშინია და მისი ბინძური ლეკვისაც. სულ ელოდება, როდის გადმოიხრება მისკენ, როდის ჩამობღორტნის სახეს ჩაშავებული ფრჩხილებით. ქალი კი ლაპარაკობს, გაუჩერებლად, ქაჯურად. უცებ ლეღვს ხელს შეაწვდენს, მკვახე ნაყოფს მოწყვეტს და ბავშვს მიაჩეჩებს ხელებში - ჩემს ძუძუს თავი გაანებე, ამით გაერთეო. ბავშვი რძიან ნაყოფს ორივე ხელით ჯერ სახეზე მოისვამს, მერე ჩაკბეჩს, ფაცაფუცით, ძაღლური მოუთმენლობით გაღეჭავს და გაღეჭილს უკანვე გადმოაფურთხებს. ქალი კი ლაპარაკობს, ჟინიანად, მკაცრად, თითქოს მორჩილად თავჩაქინდრულ დედას რაღაცისთვის ტუქსავს. მაგრამ დედას თანდათან სახე ებადრება, თავს ნელ-ნელა მაღლა სწევს და გაცისკროვნებული, თვალში შუქჩამდგარი უყურებს ნიკოს, თითქოს პირველად ახლა შეამჩნიაო, ანდა, თითქოს დიდი ხნის დაკარგული, დიდი ხნის გამოგლოვილი რომელიღაც ძვირფასი ნივთი ახლა, ამ წუთას იპოვა შემთხვევითო.

www.Litklubi.ge

ქარი ყველასთვის ქროდა, ყველას ერთნაირად აიძულებდა, რაც შეიძლება ღრმად, რაც შეიძლება საფუძვლიანად შეყუჟულიყვნენ თავიანთ სოროებში. ასე რომ, არც უფარაანი იყვნენ იმ დღეს, მაინცდამაინც, დალხინებულნი. ყველა სიკეთესთან ერთად, იმათ ღუმელს ბოლი ეპარებოდა და წესიერად სუნთქვაც უჭირდათ - ჯოჯოხეთის ბინადრებივით, ხან შვილს აუვარდებოდა ხველა, ხან დედას. ოჯახის უფროსი ჯერ კიდევ არ მობრუნებულიყო მილიციიდან, შვილის ნანადირევს აბინავებდა ალბათ მილიციის სარდაფში და, ღმერთმა იცის, როდის გათავისუფლდებოდა, ანდა, როდის გაახსენდებოდა სახლი. თუმცა, შინ მაინც არავინ ელოდებოდა იმას - შვილს ეძინა, ცოლი ღუმელის წინ ჩაცუცქულიყო და კი არ ფიქრობდა, აღგზნებული, აფორიაქებული იმეორებდა გუნებაში ერთსა და იმავე უაზრობას - თხოვნასა და საჩივარს, წყევლასა თუ ლოცვას - უფრო სწორად, ენაზე მომდგარ პირველსავე სიტყვებს, რამდენადაც, წესიერად ჯერ თვითონაც არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, საჩივლელად ჰქონდა საქმე თუ სათხოვნელად, რა შემთხვეოდათ დღეს, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდათ, კარგისა თუ ავისა; შვილსაც, ძმასავით უბითურებდა ბედი, თუ, ბოლოს და ბოლოს, ამჯერად მაინც გაიმარჯვებდა სამართალი და დისშვილს მიაგებდა იმას, რაც ბიძისთვის დაეკლო.

აი, ასეთ რთულ და სერიოზულ განცდებში იყო ჩავარდნილი და, რა გასაკვირია, თუკი ლამპის ასანთებადაც ვერ მოეცალა. ბნელში იჯდა ჭოტივით. სიბნელე უფრო შეეფერებოდა მის განცდებს და, ჭოტისა არ იყოს, სიბნელეში უკეთესად ხედავდა, უკეთესად სჯიდა მისი აღგზნებული გონება.

წეღან, მისმა შვილმა ცხენზე პირქვეგადაკიდული ყაჩაღის გვამი რომ ამოატარა ქალაქზე, განსაკუთრებული არაფერი უგრძვნია, უბრალოდ, სხვებივით, ისიც ჩვეულებრივმა ცნობისმოყვარეობამ გამოიყვანა გარეთ, და სხვებივით, იმასაც მხოლოდ იმის გაგება აინტერესებდა, მოკლული ყაჩაღი ნაცნობი ხომ არ არის ვინმეო, თუმცა, სხვებს დაკარგული მამისა თუ ძმის, ქმრისა თუ შვილის გადიდებული სურათებიც წამოეღოთ თან და მილიციელებს აჩვენებდნენ შორიდან - ეს ხომ არ იყოო. მოკლედ, მოედანზე თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა, მეორედ მოსვლა გეგონებოდათ. ხალხის ჭრელი ზღვა თავბრუდამხვევად ბრუნავდა, ტორტმანებდა - ყველას მაინცდამაინც იქ უნდოდა დადგომა, საიდანაც უკეთესად დაინახავდა მოკლულს. ეტყობა, ოთხწლიან ომს კი არ დაეჩლუნგებინა, კიდევ უფრო გაემძაფრებინა ადამიანისთვის ისედაც ძნელი მოსათოკი ცნობისმოყვარეობა მკვდრისა და საერთოდ სიკვდილის მიმართ. იდგა ერთი გაუთავებელი ბზუილი და ყაყანი. არც მილიციელები ელოდნენ ასეთ დახვედრას და, ცოტა არ იყოს, შემცბარნი ისხდნენ უნაგირებზე - არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, მხიარული სახეები მიეღოთ, როგორც ნადავლით დაბრუნებულ მონადირეებს შეჰფერით, თუ თავები ჩაექინდრათ და ასე მაინც გამოეხატათ, მძიმე ლოდად რომ აწვათ გულზე ეს გაუთვალისწინებელი, უნებლიე სიკვდილი. მარტო გოგია იღიმებოდა: ისევ ფეხით მოჩანჩალებდა ბოლოში, ყაჩაღის სისხლით თეძოჩამოშვებული ფაშატის უკან და ნაუცბათევად გადახვეული მარჯვენა ისეთი ამბით მოჰქონდა, ყველას რომ შეემჩნია, დაინტერესებულიყო, რა მოსვლია, ნეტავი, ხელზეო.

www.Litklubi.ge

გოგიას დედას, კაცმა რომ თქვას, აღარაფერი ჰქონდა გასარკვევი, აღარავინ ჰყავდა ქმრისა და შვილის მეტი, ისინიც ყაჩაღის გვამს მოაცილებდნენ, თავად არაფერი უჭირდათ და, ამიტომაც, სხვებთან შედარებით, უფრო მშვიდად, უფრო გულგრილად შესცქეროდა ყველაფერს, მაგრამ ვიღაცამ რომ დაუძახა - შენს შვილს მოუკლავს კაცი, შე უბედუროო - ფეტვივით დაიბნა უცებ, კი არ დაიბნა, გაოცდა რაღაცნაირად, ჯერ ცივმა ოფლმა დაასხა, მერე ცეცხლი წაეკიდა, თითქოს ლოგინის გასწორებისას, საკუთარი ბალიშის ქვეშ, სისხლიან დანასა და კვერცხისხელა ბრილიანტს გადაწყდომოდა მოულოდნელად, დიახაც, რომ მოულოდნელად, რადგან აღარ ეგონა, კიდევ თუ მოიხედავდა მისკენ ცხოვრება, კიდევ თუ ჩააგდებდა რამედ, - მისი ძმა უკვე მიწაში ლპებოდა, ხოლო მისი ქმარ-შვილი დიდი ხნის შეგუებული იყო თავის უნდილობას, უმაქნისობას და ვერაფერს ჩაიდენდა ისეთს, ან ჯილდო დაემსახურებინა, ან სასჯელი. ასე ეგონა დღემდე, იმ წუთამდე, ვიდრე დაუძახებდნენ, შენმა შვილმა კაცი მოკლაო, და იმის მერე ვერაფრით ვედარ მოუყარა გონებას თავი, მშვიდად რომ გაერკვია, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ამბავს, ჯილდო თუ სასჯელი. ძმის სიკვდილის შემდეგ, აღარც ცხოვრებასთან ომის სურვილი ჰქონდა, აღარც ცხოვრებასთან ომის შნო; აღარც კარგს ელოდებოდა ცხოვრებისგან, აღარც ცუდს, მაგრამ დღეს, ყოველმხრივ მოულოდნელად, მაინცდამაინც ის გამოარჩია ცხოვრებამ ხალხის ჭრელ ზღვაში და მაინცდამაინც იმას მიუშვირა თითი - აი, ამ ქალის შვილმა მოკლა კაციო. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ძველი იმედების, ძველი ოცნებების, ძველი შფოთვისა და მღელვარების აღდგენასა და დაბრუნებას ნიშნავდა, რამდენადაც, მკვლელობისთვის, ჯერჯერობით არავის დაუდგენია, ერთხელ და სამუდამოდ, ან მხოლოდ სასჯელი, ან მხოლოდ ჯილდო - ასეც ხდება და ისეც. კიდეც ისჯებიან და კიდეც ჯილდოვდებიან და, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, მკვლელობისთვის დასჯილთა რიცხვი გადააჭარბებს თუ მკვლელობისთვის დაჯილდოებულთა. ასე რომ, ლამის უკვე ხელჩაქნეული, გვერდზე გამდგარი, იმედგადაწურული - ცხოვრების შუაგულში აღმოჩნდა ისევ, ცხოვრების ჭრელ ზღვაში, რომელიც სუნთქვისშემკვრელად, გულისამაჩქროლებლად ტორტმანობდა მის გარშემო, ადი-ჩადიოდა, ღელავდა, ბორგავდა და, თავად უცვლელი და მარადიული, იმასაც ავალდებულებდა, არ დაეყარა ფარ-ხმალი, ერთხელ კიდევ ეცადა, ერთხელ კიდევ გაებრძოლა... და იმანაც, ცხოვრების ჭრელი ზღვიდან, სავსე ბადესავით გამოიტანა ეს მოულოდნელი ცნობა, ოღონდ, ჯერ კიდევ გასარკვევი ჰქონდა, რითი იყო ბადე სავსე, თევზითა თუ შლამით. მის უბედურ ძმას მთელი სიცოცხლე ეგონა, ორაგული დავიჭირეო, ბოლოს კი აქოთებული ტალახი შერჩა ხელში: ვიდრე ის ითმენდა და ელოდებოდა, სხვებმა მიითვისეს იმის არჩივი, ხოლო როცა იმან შეახსენათ, სად არის დანაპირებიო, შარი მოსდეს, ყულფში გააყოფინეს თავი, იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ასეა ცხოვრება მოწყობილი - შენსას არ აიღებ, სხვა მიითვისებს და ვერც გაამტყუნებ, მუცელი ყველას ერთნაირად აწუხებს და ყველას ერთნაირად უჭირს ჯიბეში ერთხელ უკვე ჩადებულის უკანვე ამოღება. ამიტომ, დროზე უნდა მიიღო მისაღები, რადგან ამ საქმეს დაცდა არ უყვარს - დღეს რომ ყაჩაღს ეძახიან, ხვალ, ეშმაკმა იცის, ვინ აღმოჩნდება და დღევანდელი შენი დამსახურება ხვალ, შეიძლება, დანაშაულადაც იქცეს. მოვკალი? გადამიხადე კიდეც, ხელი ხელში - აი, ერთადერთი, ყველაზე სწორი გზა და ანგარიში. მაგრამ იმის უბედურ ძმას აღარაფერი გაეგებოდა ამ ქვეყნისა, მოლოდინისგან ტვინი ჰქონდა გაწყალებული, არაფრის გაგონება აღარ უნდოდა, მე ვიცი ჩემი საქმისაო, იმუქრებოდა კბილებდაცვენილი. შეიძლება, კიდევ ჰქონდა იმედი, კიდევ სჯეროდა, ანდა, საკუთარი სიბრიყვის აღიარებას, ერჩივნა ბოლომდე გაეპამპულებინა თავი, მაგრამ მთლად იმის ბრალიც არ იყო ყველაფერი, ის კი არა, ბრძენიც დაიბნეოდა: იმ დალოცვილს, ერთ დღეს რომ ტალახში ამოთხვრიდნენ - ბატონია, მტერიაო - მეორე დღეს მეცხრე ცაზე აჰყავდათ ქება-დიდებით. იმისმა მკვლელმაც, ბუნებრივია, აღარ იცოდა, რა ეფიქრა, რა ეღონა. ბოლოს არაბივით ჩაშავებული დადიოდა, ქუჩაში რომ შეგხვედროდათ, გული გაგისკდებოდათ, მაგრამ ქუჩისკენ გახედვაც აღარ უნდოდა, უცებ მოტყდა, უცებ დაბერდა, ყველა სიკეთესთან ერთად, შიშიც დასჩემდა და ღამით ვეღარ იძინებდა, ჩასთვლემდა თუ არა, მკვდრები ელანდებოდა - მე არ მისვრია თქვენთვისო - ეფიცებოდა გიჟივით - ქალაქელს ჰკითხეთ, ის

www.Litklubi.ge

გეტყვით სიმართლესო. მაგრამ წყალს რომ დალევდა და ცოტა გონზე მოვიდოდა, მწარედ გაეცინებოდა ხოლმე, რაღა დროს ქალაქელიაო, ჯოჯოხეთი თუ არსებობს, ის იქ უკვე შინაური კაციაო. "თუ არავინ მოგიკლავს, ფულს რიღასთვის ელოდებიო" - ღვარძლიანად დასცინოდა და, რადგან დისთვის ისიც დიდი ხნის მკვდარი იყო, ალბათ იქიდან მოყოლებული, წიწამურის ჭალას რომ გამოსცდა და მარტო შეუდგა თავის ორმოცწლიან მოლოდინს - არავინ ჩაიზიარა, ემანდ, ფულშიც არ ჩამეზიაროსო. ერთი დღე არ უცხოვრია ადამიანურად, ერთი გემრიელი ლუკმა არ ჩასვლია პირში, ერთხელ არ დაუძინია მშვიდი ძილით. ერთხანს, ვიღაც ძირგავარდნილ დედაკაცს გადაეყარა ღრმაღელეში და იმანაც გამოაგდო, ვერ ვიცხოვრებ შენთან, გვამის სუნი აგდისო. სამუდამოდ გაუმწარა ცხოვრება "იმ დალოცვილმა", იმიტომ, რომ მაინც იმათია ცხოვრება, გინდა რევოლუცია მოახდინე, გინდა ყირაზე დადექი თავით. დიდი კაცი ყოველთვის დიდი კაცია, საწყალი კი საწყლად დარჩება, ერთი კი არა, ათი ბატონი რომ მოკლას თავის ცოლშვილიანად. სულ სახრჩობელა ელანდებოდა, ჯილდოს მომლოდინეს. ყველაზე მეტად კი ის ხეთქავდა გულზე, ამხანაგებმა რომ მიატოვეს ბედის ამარა, არც იკითხეს იმისი ამბავი. კი აუხსნეს, კაცი როგორ უნდა მოეკლა, მაგრამ ის აღარ აუხსნიათ, როგორ ეცხოვრა მერე. სხვათა შორის, მართლა არაფერი გაეგებოდა მაშინ ცხოვრებისა, ერთი ტლუ ბიჭი იყო, გზასაცდენილი, უპატრონოდ გაზრდილი და, ამიტომაც, უმისამართო, დაუსაბუთებელი სიძულვილით გაბრიყვებული თავიდანვე. თოფიც იმიტომ აიღო ხელში, ამხანაგებმა ტეტიობა არ დამწამონ, არ დამცინონო. სულ ერთი იყო, ვის მოკლავდა, რადგან მხოლოდ იმის სიტყვას უწევდა ანგარიშს, ვინც თანამზრახველად გაიხდიდა, ესე იგი, კაცადაც ჩააგდებდა. ხოლო, რაკი ასეთი ბნელი გახლდათ, ავადმყოფურად ჰქონდა გამძაფრებული პატივმოყვარეობაც - ცხოველური გუმანით გრძნობდა, თავად უნდა დაემდაბლებინა სხვა, იმ სხვას ზემოდან რომ არ დაეხედა მისთვის. თავიდანაც, უფრო ამხანაგებთან თავის გამოსაჩენად გაისროლა თოფი, ვიდრე გასამრჯელოსთვის. გასამრჯელოზე მერე დაიწყო ასე ვნებიანად, ასე უკიდურესობამდე მისული სიშლეგით ფიქრი, მთლად სულელად, მართლა ტეტიად რომ არ ჩაეთვალათ იმავე ამხანაგებს. მოკლედ, არც აქეთ იყო და არც იქით, არც წყალი და არც ღვინო, როცა ამოდენა ცოდვა მოიკიდა ზურგზე. ქალაქელს რომ არ დაეძახა დროულად, რამ გაგაშტერაო, სამუდამოდ შეირცხვენდა თურმე თავს. რაღაცნაირად მოუნუსხავს, გაუოგნებია მსხვერპლის თვალებს, უფრო ზუსტად, მსხვერპლის თვალებიდან გადმოღვრილ შუქს, უცნაურად, აუხსნელად, გაუგებრად დამამშვიდებელს, დანამუსებულს და, ეტყობა, დამადამბლავებელსაც, რადგან ვერაფრით ვეღარ გამოუკრავს ჩახმახისთვის თითი, ზედ შეჰყინვია თითქოს, საუკუნე გასულა,ნეტარად მტანჯველი და მტანჯველად ნეტარი საუკუნე, ვიდრე ქალაქელი დაუძახებდა, რამ გაგაშტერაო, მაგრამ დაუძახია თუ არა, მსხვერპლსაც მაშინვე მკერდზე უტაცია ორივე ხელი, ერთი ღრმად ამოუსუნთქავს, ამოუქშენია, მძიმე ტვირთისგან გათავისუფლებულ მუშასავით, და ეტლიდან გადმოვარდნილა, ის კი მომაკვდავს წინ ჩასცუცქებია და, სუნთქვაშეკრულს, იქამდე არ მოუშორებია თვალი, ვიდრე ის უცნაური, უცნაურად ამაფორიაქებელი შუქი ჩაცხრებოდა, დაილეოდა და ბოლოს, ქინძისთავის ოდენად, ჩაკრისტალდებოდა გაშშებული გუგის ფსკერზე. "ვინ ყოფილა, ეს დამთხვეულიო" - გაუცინია ქალაქელს. იმას კი, მღელვარებისგან, კრიჭა შეჰკვრია და სხვა რომ ვერაფერი მოუხერხებია უცებ, მსხვერპლის ცოლისთვის თოფის კონდახი ჩაურტყამს სახეში, ერთხელ, მეორედ, მესამედ... რამდენჯერმე. ნაჭუჭივით ჩაუმსხვრევია საბრალო ქალის სახე. "ეს დასაბმელი გიჟი ყოფილაო" - ისევ გაუცინია ქალაქელს, მერე მოკლულის გატეხილი სათვალე ორი თითით აუღია მიწიდან, თვალთან წკიპად მიუტანია და შეცვლილი ხმით სასაცილოდ დაუწრიპინებია: წამოდექით, სასამართლო მობრძანდებაო. იმასაც მაშინ სტკენია პირველად გული და თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში აღარ განელებია ეს ტკივილი, ამხანაგებისგან ყოვლად დაუმსახურებელი დაცინვითა და ამხანაგების ყოვლად გაუგებარი გულგრილობით აღძრული.

www.Litklubi.ge

კაცი რომ მოკლა, ოცისაც არ იყო ჯერ, ხოლო, მკვლელობისთვის პასუხი რომ მოსთხოვეს, ნახევარი საუკუნე კარგახნის მოტოვებული ჰქონდა ზურგს უკან. ესე იგი, თითქმის ორმოცი წლის მანძილზე, განუწყვეტლივ, უცვლელად, შესაშური სიზუსტით მეორდებოდა მის გონებაში ეს შემზარავი მკვლელობა, ორმოცი წლის მანძილზე ერთნაირი თავგამოდებით (ქალაქელმა შეკრთომა არ შემატყოსო), კლავდა ერთსა და იმავე კაცს და ორმოცი წლის მანძილზე (ქალაქელზე გულნატკენი), თოფის კონდახით უჩეჩქავდა სახეს მოკლულის მეუღლეს. ამიტომ, თავისთავად ცხადია, ამ მარადიული მკვლელობის გათვალისწინებით ადგენდა იგი ორმოცი წლის განმავლობაში თავის ყოველდღიურ გეგმებსაც, ამ მარადიული მკვლელობიდან იჩეკებოდა ყველა მისი ახალი განზრახვა, სურვილი და მოთხოვნილება... ამ მარადიული მკვლელობით იყო განპირობებული ნებისმიერი მისი ნაბიჯი და საქციელი, და მაინც, ბოლო წუთამდე სჯეროდა, უმკაცრეს და უსასტიკეს სასჯელს კი არა, ჯილდოს რომ იმსახურებდა ორმოცი წლის წინ ჩადენილი და ორმოც წელს გაგრძელებული დანაშაულისთვის. "ვიღაცამ მიმტრო, თორემ, იქნება, ერთი-ორი დღე მეც მეცხოვრა ადამიანურადო" - ეტყოდა ხოლმე დას ღვარძლიანი, ბრაზიანი სინანულით. იმ "ვიღაცაში" ალბათ ისევ ქალაქელს გულისხმობდა, ის ყოფილა ყველაფრის მოთავე, მკვლელობაზეც იმას დაუყაბულებია და იმას აღუთქვამს გასამრჯელოც, მაგრამ წიწამურის ჭალაშივე რომ გამოთხოვებიან ერთმანეთს, მერე შორიდანაც აღარ მოუკრავს იმისთვის თვალი, მიწამ უყო თითქოს პირი, თუმცა, იმ დროისთვის, ეს არც გასაკვირი იყო, არც შესაშფოთებელი - ხელისუფლება გაცოფებული დაეძებდა მკვლელებს, მკაცრად, დაუნდობლად უსწორდებოდა ყველას, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა ამ მკვლელობასთან. ბევრი იმავე წელს შეიპყრეს და დასაჯეს კიდეც, ბრალიანიც და უბრალოც, მართალიცა და მტყუანიც, და შემთხვევით რომ გაიგო იმან, მოკლულის ცოლს მკვლელების შეწყნარება მოუთხოვიაო, თავზარი დაეცა, ცოტას მორჩა, ჩაბარდა პოლიციას - ჩემს მაგივრად ვიღაცას, უდანაშაულოს შეიწყალებენ, მე კი ხახამშრალი დავრჩებიო - მაგრამ, ბედად, ისევ ქალაქელის გაფრთხილება გაახსენდა, ეს ჩვეულებრივი ძარცვა-გლეჯა არ გეგონოსო, დიდ კაცთანა გვაქვს საქმე და მოთმინებაც დიდი გვმართებსო, რაც მეტი დრო გავა, ფასიც მით უფრო გაიზრდებაო, და ეს რომ მართლა ასე იყო, მსხვერპლის დაკრძალვის დღესვე დარწმუნდა, თუმცა, ის კი ვეღარ გაარკვია, ვიღას უნდა გაეღო იმის მკვლელობისთვის გასამრჯელო, როცა მთელი ქვეყანა გლოვობდა. და მაინც, როგორც იმავე ქალაქელმა გააფრთხილა, ენას კბილი დააჭირა ისევ, "დიდი მოთმინებით" აღიჭურვა, თუმცა, პირველივე წუთიდან, სიგიჟემდე უნდოდა, ვინმესთვის გაემხილა, ვინმესთვის დაწვრილებით მოეყოლა, რაც წიწამურის ჭალაში გადახდენოდა თავს. ორი კაცი რომ დალაპარაკებოდა ერთმანეთს მისი თანდასწრებით, აუცილებლად ჩაერეოდა, ყველანაირად ეცდებოდა, მიექცია იმათი ყურადღება. სხვა თუ ვერაფრით, მოურიდებელი სიტყვა-პასუხითა და თამამი, თავისუფალი ქცევით მაინც მიეხვედრებინა ისინი, უბრალო ვინმესთან რომ არ ჰქონდათ საქმე, რაღაც სერიოზული, მნიშვნელოვანი და ძნელად წარმოსადგენი რომ იცოდა იმან. ჯერ კიდევ წიწამურის ჭალაში, მკვლელობის დღესვე გაუჩნდა ამგვარი სურვილი, ხოლო, ამხანაგებს რომ დაშორდა და თავისი ორმოცწლიანი მოლოდინის გზაზე პირველად შედგა ფეხი, ტუჩები უკვე ექავებოდა სალაპარაკოდ; იქამდე ალაპარაკდა, ვიდრე ავჭალის სასადილოში შევიდოდა და ვიდრე წესიერად დაჯდებოდა მაგიდასთან. "არა, ძმაო, რაც მართალია, მართალია, კაცს ყველაფერი შეძლებიაო" - ამბობდა თითქოს თავისთვის, უმისამართოდ, მაგრამ, ამავე დროს, ყველას გასაგონად. თან გამალებული იფშვნეტდა ხელებს, რადგან ჯერ კიდევ ეხამუშებოდა საკუთარი ხელები, უფრო სწორად, ჯერ კიდევ არ დაეკარგათ იმის ხელებს თოფის გლუვი, სლიპინა სიმძიმის შეგრძნება.

"საიდან მოდიხარო" - ჰკითხა ვიღაცამ.

- საიდან?! შენ როგორ გგონია? საიდან შეიძლება მოვდიოდე?! - შეუბრუნა მკვლელმა შეკითხვა.

"აბა, მე რა ვიციო - უკან დაიხია შემკითხავმა. - ალბათ ბაზრიდან თუ მოდიხარ, ჩემსავითო".

www.Litklubi.ge

- ბაზრიდან?! - დამცინავად გაიღიმა მკვლელმა, ვითომ გაოცებულმა. - განა ვგავარ შენს ამხანაგს?! ვერა, ძმაო, ვერ გამოიცნობ. შენი ჭკუა ისევ იქა ქრის, გოდრებში, ტომრებში... ქურდს ყველა ქურდი ეგონაო, ხომ გაგიგონია, ბოზსა კიდევ - ბოზიო. ვინ იცის, ფიქრობ, ერთი ჩემნაირი გლეხია, იმანაც ჩემსავით კიტრი ჩაიტანა ქალაქში, სარფიანად გაყიდა და ახლა კარგ გუნებაზე ბრუნდება შინაო. ასე არ ფიქრობ? მართალი ვარ თუ არა?! - ჩააცივდა მღელვარედ, მოწადინებული.

ლაპარაკისას, შიგადაშიგ, ხმა ეხრინწებოდა, ეხეოდა, და ესეც აღიზიანებდა რატომღაც.

"მართალი ხარო". - უპასუხა, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა გლეხმა.

- რო გითხრა, ვინა ვარ და საიდან მოვდივარ, თმა ყალყზე დაგიდგება. ახლა, ჩემო ძმაო, გლეხი და ბრიყვი ერთი და იგივეა. მორჩა, წავიდა ძველი დრო. ახალი უნდა მოვიყვანოთ. დავამკვიდროთ. უბატონოდ და უკნეინოდ. სამართალმაც ჭამოს პური, ბოლოს და ბოლოს. ხომ უნდა ჭამოს?! - მიაჩერდა მსმენელებს დაძაბული, დასაჭექად გამზადებული.

"უნდა ჭამოს, დიახაც დროა, მაგრამ ვინ აჭმევსო" - ჩაიბურდღუნა გლეხმა. თან გაუბედავად უღიმოდა, თითქმის მიხვედრილიყო, ვის ელაპარაკებოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ენდობოდა თავის ვარაუდს.

- მე ვაჭმევ, მე! - იყვირა მკვლელმა და ისევ ჩაეხა ხმა. - არა გჯერათ, არა?! - გააგრძელა ხმაჩახრინწულმა, ღვარძლიანი ღიმილით ტუჩებდაბრეცილმა - ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გჯეროდეთ?! - დაცხრა მოულოდნელად. - ერთმა თქვენისთანა გლეხმა სამართალს პური როგორ უნდა აჭამოს?! სამართალია, უბრალო პრისტავი ხომ არ არის, მამაძაღლი! დიახაც რომ გამკვირვებია. არა, ძმაო, არ დაიჯერო. მაგრამ სხვა გზა რომ არა გაქვთ? - მოაყოლა ვერაგული ღიმილით. - არ დაიჯერებ და კარგი დახლიც დაგიდგება. ნეკის ხელა ტყვიაც არ გინდა, ნეკის ფრჩხილის ხელაც გეყოფა, თავზეც გადაგივა, ყველაფერს უცებ დაგაჯერებს, ისე დაგაჯერებს რო, შენი მოწონებული. ხელებს გულზე დაიკრეფ, ერთს ამოიქშენ და დაგეძინება, ტკბილად, უდავიდარაბოდ. და, საერთოდ, ვინ მიგდიხარ, ამდენს რომ მალაპარაკებ?! - გაბრაზდა უცებ. - მე გეკითხები, ვინა ხარ-მეთქი?! საიდან მოდიხარ-მეთქი?! - სწრაფად მოათვალიერა სასადილო, ყველანი მისმენენ თუ არაო, და გააგრძელა - რო გითხრა, ამ ერთი საათის წინ მეფის ტოლა კაცი მოვკალი-მეთქი, დაიჯერებ?! ხოდა, ხმა ჩაიწყვიტე, დაეტიე, სადაცა ხარ. არა ვარ შენს გუნებაზე.

"რა იყო, შვილო, რა გითხარი ასეთიო" - საფუძვლიანად დაფრთხა გლეხი, მაგრამ მკვლელი კიდევ უფრო გაუწყრა - მე რა შენი შვილი ვარ, შე მართლა ბრიყვოო - ოღონდ, იმას კი აღარ უყურებდა, არამედ სხვებს, "მსმენელებს", "მოწმეებს" - აინტერესებდა, ვის მხარეზე იყვნენ ისინი, ვისი ლაპარაკი უფრო მოსწონდათ, ერთი ტილიანი, მათი მსგავსი გლეხისა თუ მისი, ხელმწიფის ხელა კაცის მკვლელისა.

მაგრამ მთავარი მაინც დრო იყო, დრო უნდა გასულიყო როგორმე, რადგან ყველაფერზე მეტად, აღთქმული გასამრჯელო დაუდასტურებდა, მართლა თუ წარმოადგენდა რამეს, საერთოდ. დრო კი გადიოდა, გადიოდა თუნდაც იმიტომ, სულერთი რომ იყო იმისთვის, ვისთვის გავიდოდა, რადგან იმისთვის ყველას ერთნაირად წუთისოფლის სტუმარი ერქვა, გლეხსაც და მკვლელსაც, და, თავისთავად ცხადია, ყველას ერთნაირად ატოვებდა ზედ თავის წარუშლელ კვალს - ვის ძირფესვიანად სპობდა, ვის აღორძინებდა, ვის აკნინებდა და ვის ამაღლებდა. აქედან გამომდინარე, გლეხიცა და მკვლელიც თანაბრად, ერთნაირად ემორჩილებოდნენ დროს, უფრო სწორად, ფერს იცვლიდნენ დროის შესაფერისად, ანუ, გლეხი ისევ თავის ბოსტანს ჩიჩქნიდა, მკვლელი კი ისევ დამსახურებულ ჯილდოს ელოდებოდა.

www.Litklubi.ge

მაგრამ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იზრდებოდა მისი მსხვერპლის სახელი, მკვლელსაც ეზრდებოდა მადა, ანუ, რწმენა იმისა, მისი გასამრჯელოც აუცილებლად რომ გაიზრდებოდა შესაბამისად. ის კი არა, თანდათანობით, ძნელად ასახსნელი, ძნელად გამოსათქმელი, მაგრამ აშკარად ნათესაური გრძნობაც გაუჩნდა მოკლულის მიმართ და ვინმეს, მისი თანდასწრებით, გადაბრუნებული სიტყვა რომ ეთქვა იმაზე, ცუდად ეხსენებინა, ანდა ღირსეული არ მიეგო, ცეცხლივით აენთებოდა ხოლმე, ურჩხულივით აიფოფრებოდა, როგორც იქ, წიწამურის ჭალაში, როცა ქალაქელმა უსამართლოდ დასცინა. ეამაყებოდა მსხვერპლის სიდიადე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ასეთი კაცის მკვლელობა რომ დაეკისრებინა მაინცდამაინც მისთვის ბედისწერას. ერთი დიდი საქადალდე ჰქონდა და იქ აგროვებდა ყველაფერს, რასაც წააწყდებოდა თავის მსხვერპლთან დაკავშირებულს - წერილი იქნებოდა, რაიმე ბიოგრაფიული ცნობა თუ სურათი (სხვათა შორის, იმ საქადალდემაც ბევრჯერ უშველა, ილიას შეშლილ თაყვანისმცემლად თვლიდნენ - გარკვეული თვალსაზრისით, ასედაც იყო - და, ამიტომ, უფრო ლმობიერად ექცეოდნენ, უფრო ზოგავდნენ. ხოლო, ბოლოს, დას რომ მიადგა, ერთი-ორი დღით შემიფარეო, სიძველისგან ფერშეცვლილსა და უკვე საკმაოდ გასქელებულ საქადალდეს, ბალიშის მაგივრად იდებდა ხოლმე თავქვეშ, იატაკზე მიგდებული).

დრო კი გადიოდა, პირველი ათი წელი, მომდევნო ათწლეულების მსგავსად, უაზრო ხეტიალში ჩამოილია. ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში ყაჩაღობდა კარგა ხანს, მოტაცებული ცხენები გადაჰყავდა რუსეთში, მერე რუსეთში დაწანწალებდა, მალაკნებთან ერთად, ბოლოს კი შუა აზიაში ამოყო თავი, ქართველმა მეღვინეებმა შეიფარეს სამადლოდ, მაგრამ თანამემამულეებმაც ვერ აიტანეს დიდხანს, იმათაც მალე აითვალწუნეს, ოღონდ, ფულიც ბევრი ჩაუკუჭეს, თავიდან რომ მოეშორებინათ როგორმე. "რაღაც უცნაური სუნი აგდის, გვამისაო - ძლივს შეაპარეს ლაპარაკში - ღვინოები გაგვიოხრდებაო". თვითონაც იცოდა, "რაღაც უცნაური", აუტანელი სუნი რომ ასდიოდა, რადგან უფრო ადრე, ჯერ კიდევ თბილისში, ერთმა მეძავმაც უთხრა იგივე (იმის მერე საერთოდ არ გაჰკარებია ქალს). მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ჯან-ღონით სავსე, და კიდევ უფრო აუტანლად იწელებოდა დრო უაზრო, უშედეგო მოლოდინში. რასაკვირველია, ვერც ქალთან პოულობდა ნანატრ შვებასა და სიმშვიდეს, მაგრამ მაინც ქალთან ყოფნა ერჩივნა, მით უფრო, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა არავისთვის, სად დაელოდებოდა იგი ჯილდოს, მეძავის ოთახში თუ ნებისმიერ სხვა ადგილას.

იმ მეძავს ერთი, საფლავის ქვასავით უზარმაზარი, სურათების ალბომი ჰქონდა, ხავერდის ყდიანი - ვიღაც ოდესელ ებრაელს უჩუქებია, თავის სურათებიანად - და იმას ათვალიერებდა მთელი დღე, იმით იქცევდა თავს. ყველა სურათი უკვე ზეპირად იცოდა, თუმცა, ყველა სურათზე, მისთვისაც და მეძავისთვისაც, ერთნაირად უცნობი სახეები იყო აღბეჭდილი, მაგრამ იმ უცხო ხალხის ცხოვრებაში გასეირნება მაინც ანიჭებდა გარკვეულ სიამოვნებას და თავდავიწყებამდე შეეძლო ერკვია და ეძია, თუ რა ნათესაური, სულიერი ან საქმიანი ურთიერთობით შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი ალბომის ბინადრები. ამის თაობაზე ბევრჯერ წაკამათებულან კიდეც ისა და მეძავი და, არცთუ ისე იშვიათად, სერიოზულ ჩხუბამდეც მისულა საქმე. რაკი საკუთარი არ გააჩნდათ, ცდილობდნენ, სხვათა ცხოვრებით ეცხოვრათ, თუმცა, "სხვათა ცხოვრებიდან" ალბათ ეს სურათებიდა იყო დარჩენილი.

www.Litklubi.ge

ერთხელ, ჩვეულებრივად რომ ათვალიერებდა სურათებს, უცებ ტყვიანაკრავივით გაშეშდა - ალბომიდან იმან შემოხედა, მისმა მსხვერპლმა, და თბილი, გულშიჩამწვდომი ღიმილი შემოაფრქვია სახეში. ყველაფერს ელოდა, მაგრამ ამ დაცემული დედაკაცის ოთახშიც თუ გადაეყრებოდა იმას, ვერც იფიქრებდა. ერთი წამით ისევ გაიელვა შორეულმა, მარადიულმა დღემ - წიწამურის ჩახუთულ ჭალაში ცხენმა დაიფრუტუნა. "მოემზადეთო" - თქვა ქალაქელმა. ის კი, ჯერ გაოცდა, მერე გაბრაზდა - არ არსებობდა გამოსავალი, ყველგან იმის სული სუფევდა. "ეს ვიღამ გაჩუქაო" - დაუყვავა მეძავს. მეძავს გაქუცული, ბეწვის საყელოიანი პალტო მოეგდო მხრებზე და ერთ ხელში ანთებული პაპიროსი ეჭირა, მეორეში - პუდრიანი ბამბა. მკვლელიც სწორედ იმ ხელში სწვდა, სურათზე დაარტყმევინა და ისევ უყვირა: რა უნდა ამ კაცის სურათს აქაო. პუდრმა თეთრად გადაფიფქა მოდიმარი სურათი. "ვაი, შენ ჩემო თავოო" - გაიცინა მეძავმა. "მე მოვკალი ეგ კაციო" - არ აცალა სიცილის მომთავრება, თითქოს ახლავე თუ არ ეტყოდა, მერე აღარ დაუჯერებდა. ქალმა თვალი თვალში გაუყარა, ერთი წამით, მერე ისევ ალბომს დახედა, უნებურად, მერე ხელი წაართვა, მოულოდნელად დამფრთხალმა, პუდრიანი ბამბა ნიკაპის ქვეშ გაისვ-გამოისვა და თქა: ისე, რომ იცოდე, გლეხებს წყალს არ აძლევდაო.

- ხმა ჩაიწყვიტე! - დაუტატანა მკვლელმა და თვითონვე შეწუხდა, რას ვერჩი ამ სულელ დედაკაცსო. - ჯერ პირი გამოირეცხე და ისე ახსენე, შე ნეხვის ჭიავ. - გააგრძელა მოგონილი სიმშვიდით, მაგრამ მაინც ვერ ამბობდა იმას, რისი თქმაც უნდოდა. არადა, მართლა ეცოდებოდა ეს გაქუცული, პუდრით სახემოთხუპნული მეძავი, გაშტერებული, გამწარებული, გაცეცხლებული რომ დაჰყვიროდა თავზე: ვის უბედავ, ვის უბედავ, ვის უბედავო.

- შენ გიბედავ, შე მამაძაღლო... აჰყოლიხარ ათას ვიგინდარას, - ისევ წამოუარა სიბრაზემ მკვლელს, თუმცა, პატიოსნად ცდილობდა, რაც შეიძლება მშვიდად მჯდარიყო, რაც შეიძლება ღირსეულად მოქცეოდა ქალს, თუნდაც, როგორც დიდი კაცის მკვლელს ეკადრებოდა. მაგრამ ქალი ვერ უგებდა, ვერ აფასებდა იმის თავდაჭერილობას და კიდევ უფრო გაკაპასებული უყვიროდა: არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, არ დაგინახოს ჩემმა თვალებმაო.

- შენი თვალი, იცი, სადა?! - დინჯად დაიწყო მკვლელმა, თითქოს რამე დიდ სიჭკვიანეს ეუბნებოდა, მაგრამ უცებ ხელი ჩაიქნია და წამოდგა, მიხვდა, ტანმა უგრძნო, გამგები არ გამოუჩნდებოდა აქ მის "სიჭკვიანეს". მაგრამ წამოდგომამდე (შეიძლება, სწორედ ამიტომაც წამოდგა ასე სწრაფად), სულ ერთი წამით, ისევ გაიელვა დიადმა, დიდებულმა ჩვენებამ: ეტლის სავარძლიდან სანახევროდ წამომდგარმა, შუქჩამდგარი თვალები შემოანათა და რაღაცის თქმა დააპირა. იმანაც მაშინვე დაახალა ტყვია, რადგან დაყოვნება დაღუპვას უდრიდა - მუხლმოდრეკილი დაემხობოდა იმის წინაშე. "არ მომეკარო, არ მომეკარო, გვამის სუნით ყარხარო" - უყვირა ამ დროს ქალმა და ამან გაკვირვებულმა შეხედა, აზრადაც არ მოსვლია მიკარებოდა ქალს, ეს წუთია, წმინდანის სისხლით გასპეტაკებული ხელი ქუჩის კახპაზე გაესვარა. ის კი, ქუჩის კახპა, შეციებულივით კანკალებდა, მხრებში აწურული და ცხედარივით გადაფითრებული (თუმცა, შეიძლება, ბევრი პუდრი ესვა და იმიტომ ჩანდა ასე არანორმალურად ფერმკრთალი). "წადიო" - უთხრა ჩუმად. "რამ გადაგრია, რა მოგელანდაო" - მაინც სცადა მკვლელმა მისი დამშვიდება. თან ჯიბიდან ქალისთვის დასატოვებელ ფულს იღებდა. ქალმა სარკმელთან მიირბინა და ხელი წაჰკრა. სარკმელი მაშინვე გაიღო და ოთახში წვიმის ხმა შემოიჭრა, სასიამოვნო სიცივესთან ერთად.

- გავიდეს, იქნებ, შენი სუნი... აღარ შემიძლია. - თქვა ქალმა და ათრთოლებული თითებით თმა გაისწორა.

მაშინ მკვლელმაც საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი, მიხვდა, ვეღარაფერს შეაგნებინებდა ქალს.

www.Litklubi.ge

დრო კი გადიოდა, გადიოდა, მიუხედავად გაურკვევლობისა, შიშისა, მოლოდინისა. და, ერთ მშვენიერ დღეს, მართლა ასრულდა ქალაქელის დანაპირებიც, მართლა შეიცვალა დროება: რუსეთში მეფე ჩამოაგდეს, საქართველოში მენშევიკები მოვიდნენ. ხოლო, ამ საერთო, საყოველთაო ცვლილებამ, რასაკვირველია, მკვლელიც შეძრა, მკვლელიც ააფორიაქა, იმასაც დაუკარგა, როგორც სიფრთხილის გრძნობა, ისევე განსჯის უნარიც - დაბნეული, დარეტიანებული დახეტიალობდა ქალაქში, როგორც შეყვარებული სტუდენტი - გაზაფხულით გადაჭრელებულ ჭალაში და მთელი არსებით გრძნობდა, მეტს ვეღარ მოითმენდა, მეტს ვეღარ დაიცდიდა, უფრო სწორად, ვეღარ მოერეოდა თავს, ვეღარ მოთოკავდა ყველაზე მთავარ, ყველაზე ძლიერ სურვილს, მოთხოვნილებას, ჟინს... და მართლაც, ფაცაფუცით რომ აუხსნა მორიგე მილიციელს თავისი მოსვლის მიზეზი, მერეღა გაუკვირდა, როდის მოვედი აქაო.

მილიციელი აშკარად შეაკრთო და დააბნია იმისმა აღსარებამ. ჯერ გაბრაზება დააპირა, მაგრამ უფრო ადრე აიღო განზრახვაზე ხელი, ვიდრე საბოლოოდ მიიღებდა გაბრაზებული მილიციელის სახეს. ხელები უსარგებლო ნივთებივით დაყარა მაგიდაზე და თავი უღონოდ ჩაქინდრა. კარგა ხანს დუმდნენ ორივენი. ბუზი ბზუილით აწყდებოდა სარკმლის მინას. ბუზის ბზუილი მკვლელს ფიქრის ძაფს უწყვეტდა, აღიზიანებდა და, ოფლად გაღვრილი, ამაოდ ცდილობდა ბუზის დანახვას. გარეთ, ათასში ერთხელ, ეტლი ან დროგი ჩაივლიდა ხოლმე რახრახით, ღრჭიალით. ცხელოდა. ოთახის ერთ კუთხეში შაშხანა მიეყუდებინა ვიღაცას და მკვლელს ისევ წიწამურის ჭალა დაუდგა თვალწინ. "გამოადგი ფეხიო" - დაუძახა ქალაქელმა. იმას კი თვალი უკან რჩებოდა, დახოცილებისკენ. მკვდრებიც კი რაღაცნაირად ლამაზები იყვნენ, სუფთები. ასედაც უთხრა ქალაქელს, როცა დაეწია: ცხოვრებაში არ მინახავს ეგეთი სუფთა და ლამაზი ხალხიო. "ხოდა, ვეღარც ნახავო" - მოკლედ მოუჭრა ქალაქელმა.

მერე, მილიციელმა, ფეხი არ მოიცვალოო (შეატყო, ალბათ, არსად წამსვლელი რომ არ იყო აქედან) და ოთახიდან გავიდა. ისიც ფეხმოუცვლელად იცდიდა. იმისთვისაც არ ამდგარა ერთი წუთით, ბუზი რომ მიეჭყლიტა მინაზე. იჯდა და იცდიდა. მიჩვეული იყო ლოდინს. მაგრამ, ამჯერად, მის მოლოდინს რწმენა და იმედი აკლდა - დაეჭვებინა, დაეფრთხო მილიციელის საქციელს. "რას ჰქვია, რაღა დროსიაო" - ეჩხუბებოდა გუნებაში. აქეთ რომ მოდიოდა, ეგონა, ზარ-ზეიმით შეხვდებოდნენ, დასასჯელი იყო თუ დასაჯილდოებელი, იმან კი რაღა დროს ეგ ამბავიაო, არავითარი ინსტრუქცია არ არსებობს მაგ საკითხთან დაკავშირებულიო. "შენ, ძმაო, ახალი გამოჩეკილი ხარ, ვიღაცა ხარ, არაფერი გაგეგება შენი საქმისაო" - ტუქსავდა, ეკამათებოდა უზურგო სკამზე ჩამომჯდარი, აწეწილ, დაბნეულ ფიქრებში დანთქმული და მორჩილად მომლოდინე. მაინც იცდიდა, თითქოს რამე მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, რა პასუხით დაბრუნდებოდა მილიციელი. უფრო გულახდილი რომ ყოფილიყო, თუნდაც საკუთარ თავთან, იქვე, უზურგო სკამზე ჩამომჯდარი და მუხლებს შორის ხელებჩაყრილი, ბუზის გაუთავებელი ბზუილითა და იშვიათი ეტლისა თუ დროგის რახრახ-ღრჭიალით გაბეზრებული, სიხარულითაც კი აღიარებდა: თქვენ იკითხეთ, თორემ, ჩემთვის უკვე სულ ერთია, რითაც არ უნდა დამთავრდეს ეს წყეული, ეს გაუთავებელი მოლოდინიო. და მართლაც, ერთის ნაცვლად ახლა უკვე რამდენიმე მილიციელი ერთად რომ შემოუვარდა ოთახში, არც გაჰკვირვებია და არც გაქცევა უცდია.

www.Litklubi.ge

სამაგიეროდ, მენშევიკები გაიქცნენ მალე, ბოლშევიკებმა კი ციხის კარი გაუღეს (რა იცოდნენ ჯერ, რა საქმეზე ჰყავდათ მენშევიკებს დაჭერილი!), გამარჯობა, ამხანაგო, გაუმარჯოს თავისუფლებასო, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო. გაუმარჯოს და გაუმარჯოსო - ეთანხმებოდა ისიც, ან რა ჰქონდა საწინააღმდეგო, ის კი არა, გამათავისუფლებელ ჯარისკაცებთან და სხვა ტუსაღებთან ერთად, ისიც ხელიხელგადახვეული იდგა მეტეხის ციხის ეზოში, ისიც თავშიშველი, და ინტერნაციონალს მღეროდა. უფრო სწორად, პირს აღებდა მხოლოდ, ვითომ ვმღერიო, რადგან არც სიტყვები იცოდა, არც მოტივი, და, საერთოდ, სიმღერისა არაფერი გაეგებოდა, სიმთვრალეშიც არ გასჩენია იქამდე სიმღერის სურვილი, მსგავსი მოთხოვნილება. ახლა კი, ტუსაღის გაზინთულ ქუდს მუჭში ჭმუჭნიდა და, მშიერი ბარტყივით, მოწადინებული აბჩენდა პირს. ტუსაღებს გადაფითრებულ სახეებზე შავი ლაქები ეყარათ, მაგრამ ბავშვებივით თვალებგაბრწყინებულნი მღეროდნენ. "მოდი, ძმაო, ჩაგიხუტოო - ეუბნებოდა ტუსაღი ჯარისკაცს და ჯარისკაცი ტუსაღს - ამას ჰქვია სწორედ, ძმობა და ერთობაო". მკვლელსაც თავისი ჭუჭყიანი ბოხჩა და ილიას ლექსებითა და სურათებით გავსებული საქაღალდე უკვე იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი და ფრთხილად, შეუმჩნევლად, "სიმღერ-სიმღერით" მიიწევდა ციხის მოღიავებული ჭიშკრისკენ, რათა ერთხელ კიდევ დატრიალებულიყო დროის მღვრიე მორევში, ერთხელ კიდევ შემდგარიყო გაუთავებელი მოლოდინის გზაზე...

იმდენნაირი ხელობა გამოიცვალა, თვითონაც ვერ ჩამოთვლიდა ყველას. ერთი პირობა, მეწისქვილედაც მუშაობდა რიყეზე, ტრამვაიც დაყავდა ნავთლუღში, საავადმყოფოს დარაჯადაც იყო ავლაბარში - მოლოდინს კი არაფერი აკლდებოდა, არც ემატებოდა, იდგა ტინის კლდესავით, მიუვალი, აუღებელი... ის კი, იმედის თოკით ეკიდა ზედ და, რაკი სხვა არავითარი იარაღი გააჩნდა, ფრთხილებით ჭრიდა კიდევ ერთ საფეხურს, ფეხის მოსაკიდებელ ღრმულს, ოდნავ მაინც რომ ამაღლებულიყო ყოველდღიურ სიდატაკესა და სიბინძურეზე. მაგრამ რა ფრჩხილი ეყოფოდა პიტალო კლდესთან ომს, ან რამდენი საფეხური უნდა გამოეჭრა კლდეში, არარსებულ მწვერვალამდე რომ აეღწია?! ვინ იცის, შეგუებულიც იყო უკვე ასე უსასჯელო და უჯილდოო ცხოვრებას, მაგრამ ქალაქში ხმა რომ დაირხა, ილიას მკვლელობის ადგილას ობელისკი დაუდგამთო, მაშინვე განუახლდა ძველი სატკივარი და, თუმცა, წესიერად არც იცოდა, რა იყო, რას ერქვა ობელისკი, მტკიცედ გადაწყვიტა, აუცილებლად წასულიყო იმის სანახავად, აუცილებლად, უსიკვდილოდ, გინდაც ობელისკი ჩვეულებრივი ხაფანგი აღმოჩენილიყო ბოლოს, ილიას ჯერ კიდევ მიუკვლეველი მკვლელებისთვის დადგმული წიწამურის ჭალაში. მართლაც ასე იფიქრა პირველად, როცა მკვლელობის ადგილამდე არმისულს, რაღაც საზარელი, შავად აფოფრილი ურჩხული გამოუვარდა უცებ საღამოს ბინდბუნდიდან. დიდხანს იდგა, ენაჩაყლაპული და გულაბაგუნებული, ვიდრე დარწმუნდებოდა, ჩვეულებრივი ქვის სვეტი რომ იყო ის "ურჩხული". გაეღიმა კიდეც საკუთარ სიმხდალეზე. "ფოკუზი გამიკეთაო" - გაიფიქრა ვიღაცაზე, ალბათ, იმ სვეტის დამდგმელზე, და მერედა გაბრაზდა, მერედა შეუტია სვეტის დამდგმელს გუნებაში: არ გცოდნია სწორადო, ცოტა უფრო ზემოთ მოხდა ის ამბავიო.

უცებ, სად იყო და სად არა, ობელისკს ავტობუსი მოადგა და ფარების შუქით ერთბაშად გამოაცალკევა, გამოაბრწყინა წყვდიადიდან.

www.Litklubi.ge

ავტობუსი ხალხით იყო სავსე: გადმოდიოდნენ და გადმოდიოდნენ, სიცილ-ხორხოცით, ჟივილ-ხივილით, ეტყობოდათ, მინდორში, ჰაერზე ევახშმათ და ცოტა გადაეკრათ კიდეც. ყველანი ერთნაირად აღეგზნო მთელი დღის შთაბეჭდილებებს, დაღლილობას, სასმელს. "მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანო" - გაჰყვიროდა ვიღაცა. რამდენიმე ქალი ობელისკთან ჩაჩოქილიყო და გრანიტის ფილაზე სანთლებს აწებებდა. ზედიზედ ინთებოდნენ, პარპარებდნენ, თრთოდნენ და ციმციმებდნენ სანთლები, თითქოს გაუბედავად, მკრთალად, მაგრამ მაინც ანათებდნენ გრანიტის ქვის პრიალა ზედაპირს, არცთუ ისე დიდი ობელისკის უმნიშვნელო ნაწილს, და მაინც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს წინ, ანუ, სანთლებს უკან, ყრუ, უსასრულო კედელი იყო აღმართული, მიწიდან ცამდე, ქვეყნის ერთი კიდიდან მეორემდე. თაყვანისცემის ჟინით შეპყრობილი ექსკურსანტები კი (ალბათ, რომელიმე სკოლის პედაგოგები, ანდა რომელიმე დაწესებულების თანამშრომლები) გარშემო უვლიდნენ ობელისკს და მინდორში დაგლეჯილ ყვავილებს ესროდნენ, უხვად რომ გამოეყოლებინათ ხელისთვის. მინდვრის ყვავილებს ავტობუსში დაჭკნობაც მოესწრო, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა სტიქიურად დაბადებული, ღვინით გათამამებული, პატრიოტული გრძნობით გამძაფრებული და, ამავე დროს, უაღრესად ადამიანური მოთხოვნილების გამომჟღავნებისთვის - მადლობა ეთქვათ, ხსოვნა აღეთქვათ თავიანთი პოეტისთვის. "მარად და ყველგანო..." - გაჰყვიროდა ვიღაცა. "მომავალი შენიაო" - მხარს უბამდა მეორე. სანთლები კი პარპალებდნენ, თრთოდნენ, ციმციმებდნენ. მათი სუსტი სინათლით უსაშველოდ გაზრდილი ლანდები ცას წვდებოდნენ თავით, არაგვის გაღმა აწყდებოდნენ ბნელში გაყურსულ გორაკებს. გეგონებოდათ, დევებს გაუმართავთ ფერხულიო. მერე მკვლელიც შეამჩნიეს და ისიც ჩაიყენეს ფერხულში. ისე გაუხარდათ უცხო კაცის დანახვა, თითქოს უიმისოდ კაპიკის ფასი ექნებოდა ყოველგვარ ზეიმს, თითქოს, მაინცდამაინც ის აკლდათ და, რაკი ბედად გამოჩენილიყო, აღარ იცოდნენ, როგორ გამოეხატათ სიხარული. ისიც დააჩოქეს "წმინდა სისხლით მორწყულ მიწაზე", იმასაც მიაწოდეს ღვინის ბოთლი და იმასაც ათქმევინეს "მიზეზთა მიზეზის" სადღეგრძელო. "თქვი, ძია კაცო, შენ უკეთესად იტყვი, გლეხურად, უბრალოდ, მადლიანადო" - აქეზებდნენ, ამხნევებდნენ აქეთ-იქიდან და, ერთი წამით, იმასაც მართლა მოუნდა სიტყვის თქმა, ისიც კი იფიქრა, თუკი რამეა გასარკვევი, აქ გაირკვევაო, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ გაბედა, ცხოველურმა ალღომ გააჩერა, მიახვედრა, სწორედ აქ და სწორედ ახლა არ შეიძლებოდა სიმართლის გამჟღავნება. შეაშინა, დააფრთხო მსმენელთა მომლოდინე, ბობოქარმა, მოუთმენარმა დუმილმა. "სისხლიან პურსა ვჭამთ და სისხლიან წყალსა ვსვამთ ყველანიო" - ამოღერღა ბოლოს, სიზმრებსა თუ ჩვენებებში გაგონილი. ატყდა და რა ატყდა, დაფეთებული წამოიშალა ჭალიდან ძლივს ჩაძინებული ფრინველი. იმას კი, მკვლელს, მაღლა ისროდნენ აღგზნებული ექსკურსანტები, ცაში ისროდნენ, გაბდღვრიალებული ვარსკვლავებისკენ. მერე მხარზე შეისვეს და სიმღერ-გალობით რამდენჯერმე შემოატარეს ობელისკის გარშემო. "აი, თუ აღარ არის, აი, თუ გადაშენდა ქართველი გლეხკაციო" - გაჰყვიროდნენ წამიერი ბედნიერებით გაოგნებულნი, დაბნეულნი. "ყოჩაღ, ბიძავო!" - ეძახდნენ დაძაბულად, დადარაჯებულად მოღიმარ მკვლელს, უხერხულად შემომჯდარს თაყვანისმცემლების ატორტმანებულ მხრებზე. "მოდით, ყველამ შეაშველეთ ხელიო" - ეპატიჟებოდნენ დანარჩენებს და, მართლაც, ყველა აშველებდა ხელს, ყველას სურდა, ხელი მოეკიდა ქართველი გლეხისთვის, პატივი მიეგო გამძლეობისთვის, სიდარბაისლისთვის, სიჭკვიანისთვის... ღირსი იყო და იმიტომ, რასაკვირველია, მათი იმუამინდელი გაგებით. მკვლელი კი მოუხერხებლად იჯდა თითქოს წყვდიადიდან ამოზრდილ ხელებზე და, დამფრთხალი თუ გაოგნებული, გადმოსცქეროდა ქვეყანას ადამიანური გულუბრყვილობის, ადამიანური სიბეცისა და უვიცობის სიმაღლიდან.

www.Litklubi.ge

დასთან რომ შეაფარა თავი, უკვე თეთრად დასდებოდა თმა-წვერზე უაზრო მოლოდინში ჩამოფქვილი წლების ხრილი. მოლოდინში გაწყალებული თვალები სტკიოდა, ეცრემლებოდა, ებინდებოდა. იმის თვალებს უკვე გარდასულის, ყოფილის დანახვა უფრო ეადვილებოდათ, ვიდრე ამჟამად არსებულისა, უფრო სწორად, კი არ ხედავდნენ, იხსენებდნენ. რისთვისაც არ უნდა შეეხედათ, მაინც ის დიადი სანახაობა ამოუტივტივდებოდათ წინ, არაფრისგან გამოიკვეთებოდა ხოლმე, თანდათანობით, წვალებით, ლამის ძალისძალათი, და მკვლელის ჩაბინძურებულ, ათასნაირი სისაძაგლისა და სიბილწის გადამხარშავ სულში ისევ შემაკრთობელი სიცხოველით იღვიძებდა ამ ორმოცი წლის წინ განცდილი და ბოლომდე უცნაურად, უჩვეულოდ, უცხოდ დარჩენილი შეგრძნება სისუფთავისა და სისადავისა, რაც არა მარტო აოგნებდა მკვლელს, აღიზიანებდა კიდეც, რადგან არც ერთს იყო ნაზიარები და არც მეორეს, და ორმოცი წლის მერეც ისეთივე მიუღწეველი დარჩენილიყო მისთვის ერთიცა და მეორეც, როგორიც მაშინ იყო, თავიდანვე, წიწამურის ჭალაში, როცა ქალიცა და კაციც უკვე სისხლში ამოთხვრილები ეყარნენ მიწაზე, როცა მისი საქციელით გაოცებული და გაბრაზებული ქალაქელი დაუფარავად დასცინოდა - ბარემ, შუაში ჩაუწექი შენცო - ის კი, თვალგაფაციცებული, დასცქეროდა დახოცილებს და, როგორც ეკლესიაში პირველად შესულ ბავშვს, შიშში გადაზრდილი ნეტარებით, მტკივნეული შვებით უთრთოდა სული მორჩილებისა და ამბოხის მიჯნაზე.

www.Litklubi.ge

ახლა, ღამღამობით, შუქის ჩაქრობისთანავე, ძროხის ლაშებიანი მაჯლაჯუნა ჩამოეშვებოდა ხოლმე ჭერიდან და დილამდე წოვდა დამდოვრებულ სისხლს. ის კი, სიცხისაგან პირგამშრალი, ამაოდ შფოთავდა და ამაოდ ელოდებოდა საშველს, ვიდრე ოთახის ყველაზე ბნელი კუთხიდან მისი მსხვერპლის მეუღლე არ წამოვიდოდა ნელა, მკვლელების შემწყნარებელი, თავშიშველი, საყელოშემოხვეული და თოფის კონდახით სახედაჩეჩქვილი, წამოვიდოდა, წამოვიდოდა და გრილ ხელს დაადებდა გავარვარებულ შუბლზე - ნუ გეშინია, ახლავე გაგივლის, ახლავე იგრძნობ შვებასო - ეუბნებოდა თან, სევდიანად მოღიმარი, მშვიდი, კეთილი... თუმცა, სახე ამაზრზენად ჰქონდა დაწყლულებულ-დაიარებული და პირმოუკრავი ჭრილობებიდან განუწყვეტლივ სდიოდა სისხლი. როგორც არ უნდა ეფრთხილა, სისხლის ერთი წვეთი აუცილებლად უნდა ჩავარდნოდა მკვლელისათვის მიწოდებულ ჭიქაში. სისხლის ის ერთი წვეთი მაშინვე აამღვრევდა ხოლმე მთელ ჭიქა წყალს, თავად კი გაიწელებოდა, გაიტოტებოდა და წყალმცენარის ფესვივით დუნედ ირხეოდა ჭიქის ფსკერზე. "ჩვენი მიზეზით, სისხლიან წყალსა სვამთ ყველანიო" - წუხდა მსხვერპლის მეუღლე, ებოდიშებოდა მკვლელს, ხოლო მკვლელი გველივით იკლაკნებოდა ბინძურ, ოფლიან ძონძებზე - სისხლით გასქელებული წყალი სასულეში უგუბდებოდა, აღარ გადასდიოდა ყელში. "ვიხრჩობიო - ხრიალებდა თვალებგადმოკარკლული - ვიხრჩობი, თქვენი დედა კი ვატირეო" - ხრიალებდა, სიკვდილის შიშით გააფთრებული, და რითაც შეეძლო, ყველაფრით ებღაუჭებოდა ჩახუთულ, სუნდაკრულ წყვდიადს. მაგრამ ცოტა ხნის მერე, უკვე გონს მოსული, გამოფხიზლებული, ძირს დაცვენილ საკუთარ მატლებში დაჩოქილი, მხურვალედ, მგზნებარედ ლოცულობდა, თუმცა, სიმღერისა არ იყოს, არც ლოცვისა გაეგებოდა რამე. ლოცვა კი არა, დაჩოქებაც არ იცოდა წესიერად. კოჭლი სკამივით გადაქანებული იდგა მუხლებზე და თან ცალ ხელსაც იშველიებდა, მეორეი კი ბინძური, დაძენძილი პერანგის საყელოს ბოჭავდა და სხაპასხუპით, დაუფიქრებლად, გაუაზრებლად, ერთმანეთთან დაუკავშირებლად აფრქვევდა ერთხელ და სამუდამოდ ამოჩემებულ სიტყვებს, თითქოს ლოცვა იმის ხმამაღლა აღიარება იყო, რასაც მთელი სიცოცხლე გულში მალავდა: "ჩემსას მაინც მივიღებ, არ იფიქროთ, მოვიშორეთ, შეშინდაო, უმალ წინ გაგიმძღვარებთ ყველას, ისემც იდიდოს უფალმა ღმერთმა, იქნებ სხვაც ბევრი გამოესალმოს ამ წუთისოფელს ჩემი გაპამპულებისთვის, ღმერთო, ღმერთო, დიდო ილია". გოგიასაც ბევრჯერ მოუსმენია იმის "ლოცვა" და ბევრჯერ აბურძგვნია ხორცი შიშისაგან, მაგრამ რაღაცნაირად სიამოვნებდა კიდეც ლამის ზეზეურად დამპალი, აქოთებულ ძონძებად ქცეული კაცის ცქერა, მთელ ქვეყანაზე გამწყრალი, ბნედიანივით პირზე დუჟმომდგარი რომ აგინებდა ქვეყნის უსამართლობას, უსინდისობას, ხელისუფალთა სიბრმავესა და სიყრუეს. ცხოვრებაზე იყო საერთოდ გამწყრალი და დასთან გატარებული ის რამდენიმე წელი, დაობებული პურისა და ცარიელი წყლის მეტი არაფერი ჩაუშვია პირში, ტანი არ დაუბანია, თმა არ დაუვარცხნია, ფრჩხილი არ დაუქნია, ის კი არა, ლოგინში არ ჩაწოლილა, იატაკზე, კედელთან მიეგდებოდა ხოლმე, მაწანწალასავით. ერთი თექის ნაჭერი ჰქონდა, გაქუცული, ვინ იცის, როდინდელი, და ხან ქვეშ იგებდა, ხან ზემოდან იფარებდა. ბალიშის მაგივრობას კი, უკვე საკმაოდ შელახული, თოკგადაჭერილი საქაღალდე უწევდა. ის საქაღალდე დღისით, სულ ცოტა, ერთი ათჯერ მაინც უნდა გაეხსნა, ამოელაგ-ჩაელაგებინა, ღამით კი, მიდებდა თუ არა ზედ თავს, ათასნაირი საზარელი ჩვენებები წამოიშლებოდნენ ხოლმე იქიდან, როგორც კრაზანები - დარბეული ბუდიდან. ბევრი ეჩიჩინა დამ, ბევრი ეხვეწა სიძემაც, მაგრამ მაინც ვერ მოაშლევინეს იატაკზე წოლა. ბოლოს თავი გაანებეს, ნებაზე მიუშვეს და იმანაც მალე გაუღინთა ასე ძალით მოპოვებული ადგილი გვამის სუნით და მალე გამოაშავა ზინზლისა და სიბინძურის ლაქებით. ხან მთელი კვირა არ წამოდგებოდა ხოლმე ყველაზე გადაუდებელ საქმეზეც. იწვა პირგამეხებული, მოღუშული, ფიქრში დანთქმული და მატლებით გადათეთრებული. იმას კი არ განიცდიდა, კაცი რომ მოეკლა ოდესღაც, კაცის მოკვლისათვის დაპირებული ჯილდო რომ არ მიეცათ, ის ულახავდა პატივმოყვარეობას. ამ ორმოცი წლის განმავლობაში, როგორმე, მოინანიებდა ალბათ თავის დანაშაულს, ნებისმიერ სასჯელს მოიხდიდა აქამდე და, ასე თუ ისე, ისიც მოეკიდებოდა ცხოვრებას, მაგრამ მოტყუებულს, გაცურებულს, გაბრიყვებულსა და გაპამპულებულს, ვერაფრით ვედარ

www.Litklubi.ge

დაედო ცხოვრებისათვის გული. ასე რომ, ჩადენილ ცოდვას კი არ დაეღუპა ის, არამედ - აღთქმულ ჯილდოს; ჩადენილი ცოდვის მონანიებას კი არ ცდილობდა მთელი სიცოცხლე, არამედ - აღთქმული ჯილდოს მიღებას; ჯილდოსთვის ჩადენილი ცოდვა კი არ ტანჯავდა, ბოლოს და ბოლოს, არამედ - ცოდვისთვის აღთქმული ჯილდო. ხანდახან, მატლი თუ მოწყდებოდა შემთხვევით, აიღებდა და ისევ ზედ დაისვამდა, ისევ ისე პირგამეხებული, ისევ ისე მოღუშული, ისევ ისე, ფიქრში დანთქმული. ისეთი ამაზრზენი სუნი იდგა მთელს სახლში, ქუჩაზე ჩავლილი კაცი უნებურად ცხვირზე იჭერდა ხელს. მეზობლები ხომ საერთოდ აღარ მიდიოდნენ იმათთან, რა უნდა გასჭირვებოდათ, იმათ რომ მისდგომოდნენ, ხელის გასამართად.

www.Litklubi.ge

ხოლო დროის მძლავრი, განუწყვეტელი დინება იერს უცვლიდა ქვეყანას, ზნეს უცვლიდა ადამიანს, შესაფერისად ასხვაფერებდა ძველ შეხედულებებსა და წარმოდგენებს, დამოკიდებულებებსა და ურთიერთობებს, და, ცხოვრებისგან გამდგარი, მაგრამ მაინც დროის დინებას დაქვემდებარებული მკვლელი შემაწუხებლად, შემაშფოთებლად, დამაკნინებლად გრძნობდა, მარტო თვითონ რომ თვლიდა თავს დაჯილდოვების ღირსად, ოღონდ, თვითონაც ვერ გამოხატავდა ციფრებით იმას, რასაც, მისი აზრით, იმსახურებდა, არადა, აუტანლად უნდოდა (განსაკუთრებით, სიცოცხლის ბოლო წლებში), სწორედ ციფრებით გამოხატული ეხილა, როგორმე, საკუთარი დამსახურება და, ხანდახან, როცა უსაშველოდ მოეძალებოდა ამის სურვილი, დას იწვევდა სალაპარაკოდ, უფრო სწორად, დასაც აცდუნებდა, აღიზიანებდა, ოცნების საღერღელს უშლიდა, ათასნაირი, სულელური, წარმოუდგენელი გეგმის შედგენას აიძულებდა და, იმასთან ერთად, თვითონაც გულამოვარდნილი, აქოშინებული, ოფლგადამსკდარი მიუყვებოდა ოცნების კოშკის გაუთავებელ კიბეს, მაგრამ დის ავად ალაპლაპებულ თვალებსა და სიხარბისგან უშნოდ დაღებულ პირს რომ შეხედავდა, ისევ ტეხდა ყრუდ, სადღაც, გულის სიღრმეში, გულის მკვდარ ფსკერზე ჩარჩენილი, ძველი, უკვე გაძვალებული ბოღმა და სიბრაზე. ბოლოს ლაპარაკიც აღარ უნდოდა, აღარც დასთან, აღარც სხვასთან. იწვა პირგამეხებული, თვალგაშტერებული, მარადიული ცრემლით ლოყაჩამოსველებული და, ათასში ერთხელ მოულოდნელად, ისევ დას თუ წაეტანებოდა კაბაზე, ძაღლივით რომ შეეღრინა ქვემოდან: არ შევარჩენ, იცოდე, არავის, ჩვენს გაპამპულებასო. დას უკვე ყელში ჰქონდა ამოსული ეს "მოულოდნელი", მაგრამ ყოვლად უწყინარი, ყოვლად უშედეგო გამოხდომები, და უხეშად გამოგლეჯდა ხოლმე ხელიდან კაბას - არ მცალია შენთვისო - გამწყრალი იყო ძმაზე, ვერ ეპატიებინა ეს აქოთებული უმწეობა ოდესღაც საამაყო ძმისთვის, რადგან ძმის გარდა, არავის და არაფერს განუცდევინებია მისთვის სიამაყის გრძნობა. "აბა, შენ თვითონა თქვი, როგორ უნდა დაიჭიროს შენისთანა მილიციელმა ჩემი ძმისთანა ყაჩაღიო" - დოინჯშემოყრილი და აგდებულად მოღიმარი ეტყოდა ხოლმე ქმარს. ქმარსაც ზემოდან დასცქეროდა და შვილსაც, რადგან ერთი ჩვეულებრივი ვიგინდარას და კი არ გახლდათ, არამედ - სახელმწიფოსთვის საშიში პიროვნებისა. ყველა მთავრობა იმას დასდევდა დასაჭერად, ქაჯმაც არ იცოდა იმის ასავალ-დასავალი, მაგრამ დისთვის მაინც დიდი ძალა იყო ყოველთვის, დიდი იმედი - ვინ გაუბედავდა რამეს ასეთი თავზეხელაღებული ძმის შიშით - მაგრამ მერე, როცა საამაყო და სატრაბახო ძმა, ნადირივით თვალებაწრიალებული, კარზე მოადგა, ცოტა ხანს უნდა შემიფარო, არ ესიამოვნა, ტანმა უგრძნო, კარგად ვერ იყო საქმე, რაკი მის ძმას მის იქით გზა აღარ ჰქონდა. თუმცა, ძმა რომ გამოუტყდა, ილიას მკვლელი ვარ და დიდ ჯილდოს ველოდებიო, ცოტა ხნით ისევ განიმსჭვალა მისდამი მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობით, იმასღა ცდილობდა, ქმრის ყურამდეც არ მისულიყო ეს ამბავი - დაგვასმენსო - მაგრამ, თანდათან, ცხოვრებამ ისიც აიძულა, თვალი გაესწორებინა სიმართლისთვის, ედიარებინა, არაფრისთვის რომ აღარ ვარგოდა მისი ძმა, უბრალოდ, აღარ არსებობდა, ამაზრზენი სუნისა და ქონიანი, წებოვანი ლაქების მეტი, აღარაფერი დარჩენილიყო იმისგან და, ამდენად, უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მართლა ილიას მკვლელი იყო ის, თუ დის კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად იბრალებდა ილიას მკვლელობას. კიდევ უფრო მეტიც - არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ჯილდოს იმსახურებდა თუ სასჯელს, რადგან არც პირველის მისაღებად ვარგოდა, არც მეორის აღსასრულებლად. ხოდა, ვიდრე სიძე და ცოლისძმა ერთად წავიდოდნენ მილიციაში, ლამის ორმოცი წლის წინანდელი დანაშაულის გამოსააშკარავებლად, ათასში ერთხელ, ისიც შემთხვევით, ანდა ყალბად, ყასიდად შეწუხებული თუ გაიხედავდა ხოლმე ცოცხლად აქოთებული ძმისკენ, როგორც ცუდი დიასახლისი - გასახვეტი ნაგვისკენ. თუმცა, "გასახვეტი ნაგავი" ბოლო წუთამდე არ კარგავდა იმედს და მოშლილი მექანიზმივით, უკვე თავისთავად, შეიძლება მისდაუნებურადაც, ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ: აგერთ ნახავთ, დრო მოვა და დამაფასებენო. აკი დააფასეს კიდეც! ისიც არ იცის იმისმა დამ, სად ჩააგდეს მიწაში, თუკი ადამიანურად დამარხვა მაინც აღირსეს. ორმოცი წელი თაგვივით ცხოვრობდა, პირში წყალჩაგუბებული, ორმოცი წლის მერე კი, უცებ, უქაღალდოდ, უმოწმეებოდ,

www.Litklubi.ge

მოითხოვა ორმოცი წლის წინ დამსახურებული. ვიღა მისცემდა რამეს? მაგრამ შიშმა გამოატვინა, შიშმა გამოაძუნძულა სოროდან, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მთლად იმის ბრალიც არ იყო ყველაფერი: ის "ცხონებული" ამათი კაციც აღმოჩნდა ბოლოს, ჯერ - ყველა თავადი მტერიაო, მერე კიდევ, თავადი აღმოჩნდა ყველაზე დასაფასებელი, ჩაგრულთა მფარველი და გამკითხავი. მაგრამ იმის მკვლელზე უფრო ჩაგრული განა კიდევ დადიოდა ვინმე მთელს ქვეყანაზე?! უბრალოდ, ბედი არ ჰქონდა იმის მკვლელს, დაწყევლილ ვარსკვლავზე გაჩენილს, თავის დასავით. დაწყევლილები იყვნენ ორივენი, ეტყობა, ასე მოსდგამდათ და, ამიტომ, არც დას უნდა ჰქონოდა ცხოვრებისგან რაიმე კარგის მოლოდინი. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ყველანაირად უნდა შეემოწმებინა, ათასჯერ აეწონ-გაეზომა ქალაქის მოედანზე, ხალხის ჭრელ ზღვაში მოულოდნელად გაჩენილი იმედი და მერედა დანებებოდა იმას: მოედნიდან შინამდე ძლივს მიიტანა ფეხები, თითქოს მართლა სავსე ბადეს მიათრევდა, მაგრამ არც გაურკვევლობა გახლდათ ნებისმიერ სავსე ბადეზე მსუბუქი. ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაერკვია მთავარი: ისევ გაპამპულებას უპირებდათ ბედი, თუ, ამჯერად, ერთ-ორ კაპიკს მართლა გამორჩებოდნენ იმავე ბედს. ქმარი ჯერ არ ენახა სალაპარაკოდ, მაგრამ ქმრისგან ბევრს ვერაფერს გაიგებდა მაინც, ყოველ შემთხვევაში, ქმარი უმალ ფრთებს შეაჭრიდა მისი ბებერი, დახავსებული ოცნების ამ მოულოდნელ ნაბარტყს, ვიდრე ფრთების გაშლას უშველიდა. შვილს კი თავად ჰქონდა თავგზა დაკარგული, წარამარა იღიმებოდა, სულელივით, და ძაღლსა და მამაძაღლს უყვებოდა თავისი გმირობის ამბავს. სიღნაღელ ლაზღანდარებსაც ხომ მეტი არ უნდოდათ, ზედ ეხვეოდნენ, როგორც ბუზები დახლზე დარჩენილ ხორცს, მეათასედ აყოლინებდნენ ერთსა და იმავეს და ხან, ვითომ უკვირდათ, ეს რა მაგარი გული გქონიაო, ხან კი, ვითომ არ უჯერებდნენ, ეგრე არ იქნებოდაო, რაღა შენ მოგაკვლევინებდნენ ყაჩაღს, როცა სიღნაღის მთელი შეიარაღებული ძალები იქ იყოო. ისიც იოლად ეგებოდა ლაზღანდარების ანკესზე და უფრო მეტი თავგამოდებით ცდილობდა გაეფანტა იმათი "ეჭვები", რაც შეიძლება ნათლად და ზუსტად აღედგინა ნასაყდრალთან მომხდარი ამბავი - ჯანსაღი ხელის საჩვენებელი თითი მსმენელებისთვის მიეშვირა, ცერი ჩახმახივით შეემართა და - წიიიიუ, წიიიიუო - იძახდა როლში შესული, ვიდრე დედამ ლამის კინწისკვრით არ შეიყვანა შინ.

www.Litklubi.ge

ახლა ტახტზე მიწოლილიყო, თოფის გვერდით, და კი არ ეძინა, როგორც დედამისს ეგონა, ამაოდ ცდილობდა დაძინებას. გადატანილ შიშსა და მღელვარებას მაინც თავისი გაჰქონდა, როგორც კი დახუჭავდა თვალს, მაშინვე ყაჩაღს დაინახავდა ხოლმე - ვითომ მისკენ გამორბოდა, გამალებული, გაფოთებული, თვითონ კი ხელები ებლანდებოდა და ვერაფრით ვეღარ მოემარჯვებინა თოფი. პალტოგაღეღილი, სახეშეშლილი ყაჩაღი კი მორბოდა, მორბოდა და ყოველ წამს ახლოვდებოდა, ცოტაც და, თოფზე უტაცებდა ხელს. სიმწრის ოფლი გადასდიოდა სახეზე, აცოფებდა, თავზარს სცემდა ამ უცნაური ჩვენების უსამართლობა, უფრო სწორად, ამ ჩვენებით აღძრული, ყოვლად უსაფუძვლო ეჭვი და შიში: ხომ შეიძლებოდა, მართლა ასე მომსვლოდაო, მართლა ვერ მომესწრო თოფის მომარჯვება და გასროლაო. არადა, ასეთ დროს, როგორც ბიძა ეუბნებოდა ხოლმე, დაყოვნება და დაღუპვა ერთი და იგივეა თურმე, ერთი წამით თუ შედრკი, თვალებში თუ შეხედე მსხვერპლს, წასულია შენი საქმე. ბიძამისს კი ნამდვილად დაეჯერებოდა, საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი, უფრო სწორად - ნაწვნევი, და გოგიამაც, უნებურად, იქითკენ გააპარა თვალი, სადაც ადრე ბიძამისი წვებოდა. ძველი, ნაცნობი სუნიც ეცა თითქოს ცხვირში და, ერთი წამით, პირველად თავის სიცოცხლეში, რაღაც, თანაგრძნობისა თუ სიბრალულის მსგავსი გრძნობაც გაუჩნდა ბიძის მიმართ, სწრაფწარმავალი, უფესვო, უფერხორცო, მაგრამ არანაკლებ შემაშფოთებელი, ვიდრე წეღანდელი ჩვენება, თავისი მოულოდნელობითა და უსამართლობით. "გამოაღე, ქალო, კარი, დავიხრჩვიო" - გასძახა დედას, ბოლისაგან თვალებაცრემლებულმა, მაგრამ თვითონვე გაეცინა გუნებაში - კარი რომ გავაღოთ, მერე რაღა გაათბობს აქაურობასო. ბოლი თვალებს უწვავდა, მაგრამ სითბოს გულისთვის, მაინც მოთმენა ჯობდა. საბედნიეროდ, არც დედამისს მიუქცევია ყურადღება მისი ნათქვამისთვის. ან გამწყრალი იყო შვილზე, ან ღუმელის წინ ჩაცუცქულს, ჩასძინებოდა. სხვათა შორის, იმასაც აწუხებდა ალბათ ბოლი, მაგრამ სითბოში ტირილი და ხველება ერჩივნა, სიცივეში კბილების კაწკაწს. გოგიას უნდოდა ეკითხა, მამაჩემი ხომ არ დაბრუნებულაო, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან, სინამდვილეში, სრულებითაც არ აინტერესებდა, სად იყო მამამისი, ყაჩაღის გვამს აპატიოსნებდა მილიციის სარდაფში, თუ მოედანზე მორიგეობდა ამ მეორედ მოსვლაში.

ისევ დახუჭა თვალი და ისევ დაინახა ყაჩაღი - აქოშინებული, გულამოვარდნილი მორბოდა მისკენ, სახეზე ოფლგადამსკდარი - მთაგორიანი ქვეყნის რუკას მიუგავდა შორიდან სახე. გოგიას კი ჯერ თოფიც ვერ მოემარჯვებინა წესიერად, ღვედიც უშლიდა და ხელებიც ებლანდებოდა. "თვალებში არ შეხედო, მაშინვე დაახალეო" - კარნახობდა პირზე ხელმიფარებული ბიძა, წინასწარ აღგზნებული იმ დიადი სანახაობის წარმოდგენით, გოგიას თოფის დაჭექებას რომ უნდა მოჰყოლოდა. თავად ერთხელ უკვე განეცადა და, რასაკვირველია, უნდოდა სხვებსაც განეცადათ, პირველ რიგში კი, თავისიანს. "თვალებში არ შეხედო, თვალებში არ შეხედოო" - აფრთხილებდა მშვიდი მღელვარებით, შეკავებული მოუთმენლობით, როგორც მკვდარი ცოცხალს, ანუ, გამოცდილი გამოუცდელს. თან პირზე იფარებდა ხელს, მარტო გოგიას რომ გაეგო მისი ნათქვამი, ყაჩაღს კი ვერა, თორემ შეიძლებოდა, შარი მოედო იმას, შენ რომ მოეხმარე, იმიტომ მომკლაო, შენ რომ არ გესწავლებინა, ფეხებსაც ვერ მომჭამდა შენი ცინგლიანი დისშვილიო. ამიტომ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიხვედრილიყო ყაჩაღი გოგიას გასაჭირს, თორემ, ადვილი შესაძლებელია, გოგიას ტყუილად შეერცხვინა თავი.

www.Litklubi.ge

ყაჩაღი კი ყოველ წუთას ახლოვდება, მორბის დამუქრებული, განრისხებული. "ნუ უსმენ ბიძაშენსო - ეძახის შორიდან. - თვითონ გაბრიყვდა და შენც გაბრიყვებს, რადგან რაც იმან მოიგო, შენც იმას მოიგებო". საკმარისია, თვალი გაახილოს გოგიამ, ეს ჩვენებაც გაქრება, მაგრამ უკვე შეეჩვია თუ რა არის, რაღაცნაირად სიამოვნებს კიდეც ამ უსაფუძვლო, სიზმრისეულ შიშში ყოფნა. იმის მაგივრად, გაახილოს, კიდევ უფრო მაგრად ხუჭავს თვალს, იხანგრძლივებს შიშნარევ სიამოვნებას, საქანელაზე პირველად შემდგარი ბავშვივით, ქროლვისაგან სუნთქვაშეკრულს, აცრემლებულს, გულმუცელგამოცარიელებულს, შიშთან ერთად, ენით უთქმელი ნეტარების ჟრუანტელიც რომ უვლის მთელს სხეულში და ვერაფრით აურჩევია, რომელს მიენდოს მთლიანად, შიშსა თუ ნეტარებას. ასეა გოგიაც. თუმცა, საქანელაზე პირველად შემდგარი ბავშვისგან განსხვავებით, იმან წინასწარ იცის, რითი დამთავრდება "ქროლვა", ყოველ შემთხვევაში, მისი შიში ნამდვილად უსაფუძვლოა, რადგან არაფრით არ შეიძლებოდა, ცხადშიც ისე მომხდარიყო, როგორც ჩვენებაში ხდება. ჯერ ერთი, როგორც არ უნდა დაიბნეს, თოფს წაღმა-უკუღმა მაინც არ დაიჭერს ხელში, როგორც ახლა ეჩვენება, და როგორც არ უნდა გაეთოშოს ხელები, მაინც მოახერხებს ჩახმახის გამოკვრას. ახლა კი, ჩვენებაში, გაშეშებული თითი წესიერადაც ვერ გამოუდია ჩახმახისთვის. ყაჩაღი კი მორბის, ცეცხლს აფრქვევს თვალებიდან. თითქოს თვითონ კი არა აქვს გადასარჩენად საქმე, გოგიას გადასარჩენად მორბის, მაინც შეუტყვია გოგიას გასაჭირი და მოისწრაფვის, უკუღმა დაჭერილი თოფი რომ გაუსწოროს, გაშეშებული თითი მოაღუნინოს... გოგიამ ვერც ცხადში მოასწრო იმისი სახის დანახვა და ვერც ახლა წარმოუდგენია გარკვევით, არ იცის, როგორ გამოიყურება, უფრო სწორად, როგორ გამოიყურებოდა სინამდვილეში, ბიძამისს კი ახსოვდა თავისი მსხვერპლის სახე. ერთი წამით შევხედე და სამუდამოდ აღმებეჭდა მახსოვრობაშიო, თითქოს იქამდეც მენახაო, ანდა თითქოს, უნახავად, გაჩენის დღიდანვე ვიცოდი როგორ გამოიყურებოდაო - იტყოდა ხოლმე სინანულში გადაზრდილი სიამაყით. შეიძლება, ცოტას აზვიადებდა, ფასს უწევდა თავის "ნანადირევს", მაგრამ ხსოვნით ნამდვილად ახსოვდა, ათას სურათში უშეცდომოდ გამოარჩევდა იმის სურათს - თავისი გაქონილი, გაზინთული საქაღალდეც ხომ სულ იმის სურათებით ჰქონდა სავსე, თუმცა, სიძველისგან ისე იყო გაფერმკრთალებული ყველა სურათი, ვერაფერს გაარჩევდით, თუ წინასწარ არ გეცოდინებოდათ ვინ იყო ზედ აღბეჭდილი. ყაჩაღი კი უკვე ახლოა, ლამის თოფზე უტაცოს ხელი. აბა, მაშინ ნახეთ დედამისის ზეიმი! მაშინ ნახეთ, როგორ უნდა დაცინვა! სულს ამოაცლის "მამაილას" ძახილით. ბიძაც შეშფოთებულია - რა გემართება, შე ნეხვის ჭიაო - დასძახის გაოცებული. "ეცადე, ძვალში არ მოგიხვდეს, თორემ, ვედარავის მიასაღებ მაგის დაფშხვნილ ჩონჩხსო" - იცინის არამინდარა. გოგია კი ცხადად გრძნობს, როგორ ასუნთქავს ფაშატი კისერში ცხელსა და წებოვან ჰაერს. "ათას მანეთს დაკარგავ, იცოდეო" - ახსენებს გრძელო. მაგრამ უკვე გვიანია, დამიზნების დროც აღარ არის, და გოგიამ, მეორეჯერაც, ჩვენებაშიც, ერთდროულად გამოჰკრა ორივე ჩახმახს, დაინახა კიდეც, როგორ გამოვარდა ცელაპრიალებული სიკვდილი ორივე ლულიდან ერთდროულად, ნატკენი ხელი, უნებურად, უფრო მაგრად მიიჭირა მკერდზე, მეორეჯერაც არ დავიშავოო. საცერივით დაცხრილული ყაჩაღი კი, ხელებგაშლილი გაშეშდა ერთ ადგილას, ქარი გასდის ნატყვიარებში. კვდება. მოკვდა. მკვდარია. აღარ არის, მაინც დაასწრო გოგიამ. მაინც აჯობა. აი, თუ არ შეუძლია კაცის მოკვლა ნეხვის ჭიას! ვითომ, რატომ არ უნდა შეეძლოს, რა ძნელი კიდევ ეს ყოფილა?! ან გოგია ვისზე რა ნაკლებია?! ვიდრე მოკლავდა, არც ბიძამისმა იცოდა, შეძლებდა თუ ვერა. მაგრამ, როცა დასჭირდა, შეძლო. ასე რომ... ასე რომ, შემთხვევა თუ მიეცა, ყველა შეძლებს. არც ისე ძნელია, როგორც წარმოუდგენიათ. მართლა არაფერი ყოფილა. შენ ჩახმახი გამოჰკარი, დანარჩენს თვითონ თოფი გააკეთებს (გოგიამ ფრთხილად, გაუბედავად ჩამოუსვა საღი ხელი სასიამოვნოდ ცივ თოფს, როგორც ალერსით დაღლილსა და მის გვერდით ტკბილად ჩაძინებულ სატრფოს, ანდა სულაც ცოლს), შენ არც არაფერი გესაქმება თითქოს იმასთან, მოსაკლავთან - თოფი მოუვლის - მერე კი, ნესვა და არამინდარა აიღებენ, ერთს გააქან-გამოაქანებენ ჰაერში და ხერჯინივით გადაჰკიდებენ კუანა ფაშატის უნაგირზე. "მიხვდი? გაიგე?" - ეძახის აღელვებული, მღელვარებისგან

www.Litklubi.ge

ხმაათრთოლებული ბიძა. გოგიაც, უნებურად, ისევ იმ კუთხისკენ იყურება, სადაც უკანასკნელი წლები გაატარა იმან, მაგრამ ვერაფერს ხედავს - ღუმელის გამონაშუქით შეწუხებული, აწრიალებული წყვდიადი ფუტფუტებს მხოლოდ, ფუტფუტებს, ტორტმანებს, იტალღება შავ-თეთრ ჩრდილებად, ცოცხალი მატლების ბორცვივით.

მაგრამ, ღვთის წინაშე, ბოლომდე მაინც არ არის კმაყოფილი გოგია, რაღაც უმძიმებს გულს, რაღაც უმწარებს გამარჯვების ტკბილ შეგრძნებას. შეიძლება, ის არ ესიამოვნა, ბათუმელმა ნიკომ რომ დაინახა, როგორ წააძრო მკვდარს თითიდან ბეჭედი?! შეიძლება. თუმცა, მარტო ეს არ უნდა იყოს მისი ამოუცნობი, გაურკვეველი წუხილის მიზეზი. ბოლოს და ბოლოს, ვისი რა საქმეა, როგორ მოექცევა თავის მკვდარს - უნდა ბეჭედს წააძრობს, უნდა შარვალს გახდის - მაგრამ ნიკომ რომ დაუძახა ჯაგნარიდან, კაცისმკვლელოო, მაინც არ ესიამოვნა, მაინც ეწყინა, თითქოს რამეს უგონებდა ის და თითქოს უარესად არ ეწყინებოდა, უარესად არ გაბრაზდებოდა, პირიქით რომ ეთქვა იმას, სხვისთვის გადაებრალებინა გოგიას დამსახურება. მოკლედ, ბოლომდე ჯერ თვითონაც არა აქვს გარკვეული, ახარებს თუ ადარდებს დღევანდელი წარმატება, კმაყოფილია ბედისა თუ უკმაყოფილო, მაგრამ ვერც ვერასოდეს გაარკვევს ალბათ, რადგან ამის გასარკვევად არც ჭკუა ეყოფა და არც გამოცდილება. დედასაც არაფერი უთქვამს ჯერ, ხოლო, თავისი ჭკუითა და გამოცდილებით, სწორედ ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო. რაც შეეხება იმ არასასიამოვნო შეგრძნებას, მისმა საქციელმა რომ დაუტოვა, ისეთსავე ანგარიშგასაწევ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ შეგრძნებებს განეკუთვნება მისთვის, როგორიცაა, ვთქვათ, შიმშილი, სიმაძღრე, წყურვილი, სიცივე თუ სხვა. უბრალოდ, ჯერ კიდევ გაოგნებულია ხანმოკლე ძილისა თუ საკმაოდ მღელვარე ჩვენებისგან და ვერ გადაუწყვეტია, წამოდგეს თუ შეიბრუნოს "ძილი".

- ადე კაცო, ღამე რაღა უნდა აკეთო, - ეძახის ღუმელის წინ ჩაცუცქული დედა.

- მეტი რაღა უნდა დაღამდეს - ეღიმება გოგიას და ჯდება. თან საღი ხელით ტახტის კიდეს ებჯინება. მეორე, ნაუცბათევად გადახვეული, ისევ გულზე აქვს მიხუტებული. რაც შეუძლია, უფრთხილდება, როგორც ღარიბი გოგონა ერთადერთ თოჯინას.

წამოჯდება თუ არა ტახტზე, უცებ ისე მტკივნეულად შემოუტევს შიმშილი, ისე აუყმუვლდება ცარიელი მუცელი - სად არის აქამდე შენი ქმარიო - ღვარძლიანად, ბრაზიანად დაუყვირებს დედას, თითქოს მაგიდა გაწყობილი აქვთ და მარტო ოჯახის უფროსის მოსვლასღა ელოდებიან.

- რას ამიჩემე დღესა?! მე რა ვიცი, სადა გდია, ერთად არ იყავით? - გაგულისდება დედამისიც, მაგრამ არც იფიქრებს წამოდგომას, ისევ ისე დარჩება, ღუმელის წინ ჩაცუცქული.

ღუმელზე შემოდგმულ ქვაბში წყალი რახანია ბუყბუყებს, მაგრამ ალბათ ქვასა ხარშავს დედამისი. ასე იცის თქმა - ქვას მოგიხარშავთ სადილადო. ძმისა არ იყოს, ისიც მთელ ქვეყანასაა შემომწყრალი, დარწმუნებულია, უსინდისოდ, უსამართლოდ გააპამპულა ვიღაცამ ორივენი, დაცა და ძმაც - დას უნდილი ქმარი მისცა, უნდილი ქმარი შეუწვინა ლოგინში, როცა იმის გულისთვის ალმასივით ბიჭები ხანჯლებით იწევდნენ ერთმანეთზე; ძმა კი სახრჩობელაზე აიყვანა, რადგან იმისი დამსახურებული თავად მიეთვისებინა და თავად ესროლა ჭერში ქუდი.

- ლუკმა არ ჩამსვლია დღეს... დაღამდა. - ბუზღუნებს გოგია, გაბუტული.

დედა არ პასუხობს. ერთ ოთახში არიან, მაგრამ ერთად არ არიან. ვერ აუბეს ერთმანეთს მხარი - ერთი თავისთვის ფიქრობს, მეორე თავისთვის ლაპარაკობს. - ადე, ლამპა მაინც აანთე... როდემდე ვისხდეთ ბნელში. - ბრაზდება გოგია. დედა ნელა, უხალისოდ დგება, მაგიდასთან მიდის, ბნელში რაღაცას აფხაკუნებს, თაგვივით, და ცოტა ხნის მერე ოთახი ნელ-ნელა ნათდება. ტახტზე მისვენებული თოფი შავად ბზინავს. მაგიდაზე, ლამპის გვერდით, ხისტარიანი, პირჩაშავებული დანა გდია. ეტყობა, ლამპის პატრუქს ფხეკენ იმით, ჭვარტლს აცლიან - როდემდე ვიყოთ ასე? - ამბობს უცებ დედა. - ხომ გახსოვს, რა მოუვიდა ბიძაშენს?! - აგრძელებს აფორიაქებული, აჩქარებული. - შენ იქამდე პური გახუხე, მე კი მდგმურთან ავალ, იქნება თხოვნა დაგვიწეროს... - ამბობს უკვე კართან მისული.

- თხოვნა? რისი თხოვნა? - ვერ ხვდება გოგია.

www.Litklubi.ge

- რისი და, იქნებ მართლა გვეკუთვნის რამე... რატომ უნდა შევარჩინოთ?! - ყვირის, შვილის მიუხვედრელობით გაღიზიანებული. მართლაც, სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს მდგმურთან ამ შუადამისას?!

- მე რა ვიცი?! - მხრებს იჩეჩავს გოგია.

- მე კი ვიცი! - უღრენს დედა და ასე აღრენილი, თავსაფრისა და კაბის სწორებით, გადის ოთახიდან.

გოგიასაც მაშინვე ავიწყდება დედა - სად ხელს მაღლა სწევს (მეორეს, ნატკენს, თვალისჩინივით უფრთხილდება) და ღონივრად გაწვართული, ამთქნარებს. "ერთი და ორი და სამი" - უთვლის საკუთარ თავს და მხედრული სისხარტით დგება ტახტიდან, კედელთან მიდგმულ ვედროსთან მიდის, ცუცქდება და დიდხანს, ჯიუტად ჩასცქერის დაბინდულ, ჭუჭყმოკიდებულ წყალს, თითქოს რაღაცის დანახვას ცდილობს ვედროს ფსკერზეო. მერე საღი ხელის თითებს ფრთხილად, გაუბედავად ყოფს წყალში და მაშინვე, ისევ მხედრული სისხარტით, იმართება წელში. სველ თითებს ჯერ თვალებში ისვამს, მერე ყურის ძირებში და მზადაა, ჭამის მეტი, აღარაფერი უნდა. მაგრამ რას შეჭამს, რაც არ არის! ამიტომ, ჯერ უნდა მოიპოვოს და მერე მიირთვას პური არსობისა. განჯინიდან, თითქოს ეზიზღებაო, ორი თითით გამოაქვს გამხმარი შოთი, იმავე ვედროში ალბობს და, ვიდრე ღუმელზე დადებდეს, რამდენჯერმე ბერტყავს. ღუმელს მიშხეფებული წვეთები ფაცაფუცით "ფეთქდებიან" და თეთრ ლაქებად აჩნდებიან გახურებულ თუნუქს. ამასობაში გოგიას დედაც დაბრუნდება, გაგულისებული, გაწიწმატებული შემოხსნის კარს და კარშივე იყვირებს:

- აჰათ, ეგეც თქვენი მასწავლებელი! არ ვიცი ეგეთი თხოვნების წერაო. კაცი თუ მოკალით, ფული კი არ უნდა ითხოვოთ, უნდა მოინანიოთო. აღარ დაინახოს ჩემმა თვალებმა!

- ნუ დაგავიწყდება, ეგ რომ გიხდის ქირას. - იღრიჭება გოგია.

- ვიშ, ქაააა, რას ამბობთ! რა მეშველებოდა, ეგ რომ არ მყავდეს! აღარ ვიცი, რომელ ბანკში შევიტანო ფულები. ან რომელი ბანკი დაიტევს. ღამეები ვზივარ და ვითვლი, ვერკი დამითვლია. - იძახის ტუჩაბზუებული, ამრეზილი. - ოთხი თვისა გადასახდელი აქვს. ოთხი თვისა გადასახდელი გაქვს! - უყვირის ჭერს, უკან თავგადაგდებული.

- ლიმონს რომ პარავ, ის კარგია?! იმას რატომ არ უთვლი?! - ნიშნს უგებს გოგია.

- ფიჰ! - უარესად იმრიზება დედამისი. - რა უნდა მომცენ, პირში რომ ჩავუშვა. ხორცი იმას არა აქვს და სიტკბო. ცარიელი მჟავე წყალია. მკვდრების ხილი!

- ნეტა, წამოგეყოლებინა ხელისთვის. ბარემ იქ იყავი. - პირი ნერწყვით ევსება გოგიას.

- ვინ გითხრა, რომ არ წამოვაყოლე?! შენმა საყვარელმა მდგმურმა მოგვართვა. - ამბობს დედა და წინსაფრის გამობერილ ჯიბეში აფათურებს ხელს, ლიმონის ამოღებას ცდილობს, მაგრამ ზემოდან ქალის ლიფი ჩაუკუჭია და ის უშლის. ამიტომ, ჯერ ვარდისფერი ატლასის ლიფი ამოაქვს ჯიბიდან, მერე ლიმონი.

- მოგვართვა თუ მოპარე? - გამომცდელად თვალს უჭუტავს გოგია.

- მოვპარე. - უცებ ტყდება დედა. - რაღაცაზე შეტრიალდა, მე კი ლიმონი შევაწყვიტე ხეს. აჰა, დაიჭი! - ლიმონს გოგიას ესვრის, ლიფი კი მუჭში უჭირავს, მოჭმუჭნული.

- ეგ რაღაა, დედი?! - ეკითხება გაკვირვებული გოგია და თან საღი ხელით მარჯვედ იჭერს გადმოგდებულ ლიმონს. - იქ გაიხადე?!

- მეხი კი დაგაყარე, - ედიმება დედასაც. - სუსანამ დამიტოვა, ეგებ რამეში გადამიცვალოო.

- რას ამბობ, დედი, სუსანას ცალი ძუძუც არ ჩაუვა მაგაში. - იკრიჭება გოგია და ლიმონს კბეჩს. - კარგია, გულსა ხვდება. - ამბობს დაჭყანული.

www.Litklubi.ge

- ზედმეტები რად მოგდის?! - ბრაზდება დედამისი. - დაუკრეფავში რად გადადიხარ?! შენ სუსანას ძუძუებთან რა ხელი გაქვს?! თუ ვაჟკაცი ხარ, ის დაგვიმტკიცე, მართლა რო მოკალი კაცი. ლაპარაკი ადვილია. წიუ-წიუს ძახილიც. კაცი რომ მოგეკლა, არაფერს მოგცემდნენ?! ან არაფერს გეტყოდნენ მაინც?! რას მიყურებ, ტყუილია?! აგე, ვიღაცას მგელი გაუტანია და გაზეთში გამოჭენება ცალკეო, ფულადი ჯილდო ცალკეო. დაიწვას ჩვენი ბედის დამწერი. ჯილაგი გვაქვს, ეტყობა, ასეთი... დაწყევლილი. მაგრამ შენც ჩვენსავით ნუ დაეჩაგვრინები ცხოვრებას. დავიცადო რას მიქვია-თქო, დაგავიწყდათ, რა უყო დაცდამ ბიძაჩემს-თქო. ხვალვე, ცხელ გულზე მიდი და მოახსენე, საცა საჭიროა. თბილისში რო მომიწიოს ჩასვლა, თბილისში ჩავალ და ჩემსას არავის შევარჩენ. ჩვენი მდგმურიც რაღაცას მიედ-მოედება, არაკუნებს თავისებურად - ეგეთი კანონი საერთოდ არ არსებობსო, ის ყაჩაღი შენმა შვილმა კი არ მოკლა, ლიკიდირებული თუ რაღაც ოხრობა იქნა კანონის სახელით, კანონის ძალით, მილიციის მიერო. გესმის? გესმით, ხალხნო?! არ გეკუთვნითო. ისემც არ გაუთენდეს ხვალინდელი დღე. კანონის სახელით! კანონის ძალით! ჩვენც გვესმის რაღაცა, რატომ გვაბნევთ? აქაოდა, მასწავლებლები ვართო, არაფრად აღარ უნდა ჩააგდოთ სხვები?! არც ჩვენ ვსხედვართ კამეჩის რქაში. აჯამები თქვენკენ მოიკითხეთ! - ისევ ჭერს უყვირის, მდგმურის გასაგონად. - პამპულად ჩემი ქმარიც გეყოფათ! ვიღაცას, ქეციანი მგლისთვის - პრემია, ჩვენ კიდევ, კაცი მოვკლათ და არაფერი?! იმიტომ, რომ ჩვენ არ მოგვცენ და თვითონ ჩაიჯიბონ. მაგრამ ვერ მივართვი! პური არ ჭამონ იქამდე. ჩემსას არავის შევარჩენ. რაც შეირჩინეთ, ისიც არამი იყოს თქვენთვის. შენ მამაშენს ნუ უსმენ, შვილო, - მიუბრუნდა უცებ გოგიას, გულწრფელად აფორიაქებული, გულწრფელად აღშფოთებული. - ბედოვლათია და იმიტომაც ჩაბერდა ასე ცარიელ-ტარიელი მილიციაში. სერჟანტობაა თუ რაღაცა, ისიც ხათრით მისცეს, მოერიდათ ასაკისა. მილიციაშიც თავისმა უნდილობამ მიიყვანა - თავში რომ არ ეპარტყუნა იმისთვის გამვლელ-გამომვლელს. აქაოდა, რაკი მილიციელის ქუდი მეხურება, მთვრალიც მომერიდება და ძაღლიცო. მთვრალისაც ეშინია და ძაღლისაც. ვის უნახავს, ვის გაუგია, მაგის დაჭერილი კაცი! ის კი არა, ხუთი წელი მკვლელს მალავდა შინ. მერე რაა, რო არ იცოდა, აბა, რიღას მილიციაა, თუკი თავისი სახლის ამბებიც არ ეცოდინება?! - მღელვარებისგან ათრთოლებულ ხელს ტუჩებზე გადაისვამს ხოლმე მალ-მალე, თითქოს ადგილი უნდა მოუცალოს უფრო მოსწრებულ, უფრო გესლიან სიტყვასო. - ერთხელ... რო გამახსენდება, ასე სულელივით მეცინება - (არადა, არაფერი ეტყობა სიცილისა, სახე არ ადევს სიბრაზისგან) - ერთი ვაქირელი გიჟი ქალი დაიჭირა. აღმასკომის თავმჯდომარეს ლანძღავდა თურმე შუა მოედანზე. მა გიჟი რისაა! რა ქნას, ეგეც თუ დაუშალეთ?! ეგ იყო და ეგ, ამითი ამოიწურა მთელი მაგის მილიციელობა. ისიც გააშვებინეს. თვითონ მილიციამ გააშვებინა, ვიცით, ვიცნობთ მაგ ქალს, აქ სად მოგყავს, საგიჟეთი ხომ არ არისო. ოოოო-ი, - იცინის ნაძალადევად. - იმ ქალმა კი, იქვე, მილიციის წინ...

- მოიცა, ქალო, პური დამეწვა შენს ლაპარაკში! - ყვირის უცებ გოგია, ცალი ხელით მოხერხებულად იღებს ღუმელიდან აბოლებულ პურს და მაგიდისკენ ისვრის, თითქოს მდინარიდან თევზი ამოაგდო ნაპირზეო. ოთახი მაშინვე ცხელი პურის სუნით ივსება. პურის ზურგი რამდენიმე ადგილას მრგვლად გამომწვარა. გოგია პურს შუაზე ტეხს და იქიდან ამოვარდნილ ოხშივარში მისკენ გამოქცეული ყაჩაღი ელანდება. მაგრამ ერთი წამით. "გინდაო" - ეკითხება დედას. დედა უარის ნიშნად ხელს აუქნევს და გააგრძელებს:

www.Litklubi.ge

- ... იქვე, მილიციის წინ, კაბა წამოუხადა და უკანალი მიუშვირა - აგე, როგორ უნდა ჩემი დაჭერაო. სანამ ქალაქს ეს ამბავი დაავიწყდებოდა, გამოხედვაც არ მინდოდა შინიდან. ხალხს ოღონდ სალაპარაკო მიეცი და იმათაც ის უნდათ, ათასნაირ კუდს გამოაბამენ. ოღონდ რამეთი დაგამცირონ, ოღონდ რამენაირად გატკინონ გული და, ეშმაკს მიეყიდებიან. შენ რა იცი, რა გადამიტანია მამაშენის ხელში. - შესჩივის შვილს, თანაგრძნობის იმედით. შვილი კი ლიმონსა და ცხელ პურს მიირთმევს. ერთ ხელში უჭირავს ლიმონიცა და პურის ნატეხიც და ხან ერთს ჩაკბეჩს, ხან მეორეს. - როგორ იყოო - აგრძელებს დედამისი - როგორ იყოო, დამინახავდნენ თუ არა, როგორ წამოუხადა კაბა შენს ქმარს იმ გიჟმა ქალმაო?! როგორ და, ასე-მეთქი. - თავადაც იკუზება და უკანალზე ირტყამს ხელებს. - აი, ასე-მეთქი. ვითომ მეც ვიცინოდი. ვითომ მეც მეცინებოდა, უარესად რომ არ გამეხარებინა მტერი და ორგული. არადა, ბოღმა მახრჩობდა, გული გახეთქვაზე მქონდა. გული გაუსკდეს ჩემს მტერსა და დამაწყევარს. ქალი ქმრითაა ამაყი...

- ვერ უყურებთ მამაჩემს! - იცინის გოგია და ლიმონის დაღეჭილ ქერქს იფურთხება.

- შენ რა იცი, რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში, - აგრძელებს შვილის ყურადღებით ნასიამოვნები დედა. - უნდილი კაცის ცოლობაზე დიდი სასჯელი ჯერ არ მოუგონია ღმერთს ქალისთვის. მე არ უნდა გავჩენილიყავი ქალად, არა! - მჯიღს იცემს მკერდში, გამეტებით, ბრაზიანად, მართლა უნდა, იტკინოს ხორცი. - დილიდან საღამომდე მოედანზე ყურყუტი, ნოქრებთან და დალაქებთან მასლაათი ადვილია. შენ კი ოჯახი არ უნდა დააქციო...

- მამაჩემს რა ენაღვლება. - ცეცხლზე ნავთს უსხამს გოგია. ლიმონი და ნახევარი პური მოუთავებია, ცოტათი ჩაუწყნარებია მუცელი და ახლა მეტი ხალისით ერევა საუბარში, ანუ, უფრო ხშირად უგდებს დედას გასაღიზიანებელ, გასაქეზებელ ანკესს, უარესად რომ აუშალოს ლაპარაკის საღერღელი, ყველაფერი ათქმევინოს, რაც ენაზე მოადგება. მაგრამ დედამისს სრულებითაც არ ეშინია ასეთი ანკესებისა, იქით ეძებს, სიამოვნებითაც ყლაპავს და თუ ფრთხილად არ იქენით, აუცილებლად გადაგიყოლებთ წუმპეში თქვენი ანკესებიანად. ოღონდ, ამჯერად, ყურადღების ღირსადაც არ თვლის შვილის ნათქვამს და იმავე ენებითა და მღელვარებით აგრძელებს:

- ქვა მაინც უნდა მოხარშო, მეზობლის ჯიბრზე. მაგრამ რამდენს გინდა გასწვდე?! ქათმის შეძლება კვერცხია, გინდა გასწიე, გინდა გამოსწიე. ახლანდელებს რომ გკითხონ, ყველაფერში ღედა ყოფილა დამნაშავე, ჩვენ ამოგვიგდია ქვეყანა. მაგრამ მე ხომ ჩემთვის არ მინდა?! თქვენ მოიხმარეთ, თქვენა გქონდეთ... მამაშენს აუჩემებია, პატიოსნებაზე დიდი სიმდიდრე არც ღმერთსა აქვს და არც კაცსო, მაგრამ ღარიბი კაცისას არც პატიოსნებასა აქვს ფასი. ვის რად უნდა, ვის რაში სჭირდება, გინდაც ათჯერ პატიოსანი იყავი. ხალხნო და ჯამათნო! ხალხნო და ჯამათნო! - ყვირის მთელი ხმით, თითქოს მართლა მთელ ქალაქს უნდა გააგებინოსო. - დახეული მანეთი მირჩევნია თქვენს ცარიელ პატიოსნებას! ჩემი ბრიყვი ქმარი კი სხვის პატიოსნებას დარაჯობს, ძაღლსა და მამაძაღლს კუდში დასდევს, გზიდან ფეხი არ გადაგიცდეთო. შარშანწინ... კიდევ კარგი, გამახსენდა. - ქირქილებს პირზე ხელმიფარებული. - შარშანწინ ის ჯიბიდან გავარდნილი დაიჭირა. აი, რა ჰქვია, დღეს რომ დაუძახნია შენთვის მკვლელოო თუ რაღაცა... თავის ამხანაგს ფოკუზს უკეთებდა თურმე - მა სხვას რას ისწავლიდა მატროსებში - ჩემს ბედოვლათ ქმარს კი აუჩემებია, გინდა თუ არა, ფულზე თამაშობთ კარტსაო. გინდაც ფულზე ეთამაშათ, ვისი რა საქმეა?! სხვის ფულს ხომ არ აგებენ?! აგე, უშანგი ჭუჭულაშვილმა ცოლი წააგო კარტში, მაგრამ ახლაც კაცია, ბუზს არ იფრენს თავზე, შოვნაც იცის და გაფლანგვაც. კიდევ კარგი, დროზე მიმხვდარა და გაუნებებია თავი. არ ეტყოდნენ, ამ წამხდარ ქვეყანაში, რაღა ბავშვებს დაერიე, ბავშვებთან გაქვს დიდი გულიო. ეტყოდნენ და მართლებიც იქნებოდნენ. ახლა ამაზე დაგვიწყებდა ხალხი დაცინვას - რა პატიოსანია ეს უფარაანთ გიორგი, იქამდე იჭერს ბავშვებს, ვიდრე დასაჭერები გახდებიანო...

- დედი, კაცი არ მოუკლავს მამაჩემს? - ეკითხება გოგია მოულოდნელად.

www.Litklubi.ge

- კაციო?! აბა, რას გელაპარაკები ამდენი ხანია?! - ხელებს შლის გაოცებული დედამისი. - შენ იმის აყოლა ხელს არ მოგცემს-მეთქი, - აგრძელებს ჩვეულებრივი მღელვარებით. - ცოტა ხომ ჩემიცა ხარ?! ცოტა კი არა, მეტი ხარ ჩემი. შვილი დედისაა. მარტო დედამ იცის, ვისია, ვისგანაა. ნუ ათქმევინებ ხალხს, ეს ვინ ყოფილაო. აგე, კაცი მოკალი და არ გიჯერებენ. ეგაო, ლიკიდაციაააო, იგონებს რაღაცას შენი მასწავლებელი. ამ წინებზე კარგები რო უთხარი, ის ვერ უპატიებია და იმიტომ. სამაგიეროს გიხდის, თავისი ჭკუით. ბევრი ცოდნაც აშტერებს კაცს. მაგრამ მარტო გაკეთება კი არ არის საქმე, გაკეთებით უბედურმა ბიძაშენმაც გააკეთა, სხვაც უნდა დააჯერო, მართლა შენ რო გააკეთე. ზედმეტი არც პატიოსნება ვარგა, არც მორიდება; სხვამაც უნდა თქვას, ეს ნამდვილად გამკეთებელიაო. რამდენ კაცს მოვკლავთ, სად ვეძებოთ ყოველთვის მოწმე?! როდემდე ვიყოთ ასე?! სანამ მატლი არ დაგვეხვევა?! სანამ ზეზეურად არ დავლპებით?! როდემდე ვიყოთ სხვისი ხელის შემყურე - ვინ მოგვიგდებს სამადლოდ გამონაცვალ პაჭა-პუჭებს! რა ისეთი დიდი ძუძუები კიდევ სუსანასა აქვს, შე არგასაჩენო! - ეღიმება წამიერად. - თვითონ რცხვენიათ და მე უნდა გავუყიდო, - აგრძელებს ბრაზიანად. - მე უნდა გადავუცვალო შაქრის ნატეხსა თუ მარილის კვნიტზე, უბეგამოყვითლებული ნიფხავი თუ ჩრჩილით შეჭმული პერანგი. - ხმა ებლანდება სიბრაზისგან. თვალი ცრემლით ევსება (ალბათ ბოლისგან), ვერაგული, მატყუარა, სახიფათო ცრემლით. შეიძლება, სხვას აზღვევინოს, სხვას მოსთხოვოს პასუხი, რატომ წამომდინდა ცრემლიო. მთელ ქვეყანას მოსთხოვს პასუხს, მთელ ქვეყანას აზღვევინებს თავის ყალბსა და მოთვინიერებულ ცრემლს. წინსაფრის ჯიბიდან ისევ ამოაქვს ვარდისფერი ატლასის ლიფი, უსიამოდ რომ ჩაჭყლეტია ნახევარსფეროები. დაუდევრად ჭმუჭნის მუჭში და ხან ერთ თვალში ისვამს, ხან მეორეში, თითქოს უნებლიეთ, ანგარიშმიუცემლად.

- რასა შვრები, დედი, ჩაიცვი მაინც, აფსუსია. - ეძახის გოგია.

მაგრამ დედამისს ეცინება შვილის ნათქვამზე, ის კი არა, თამაშობის გუნებაზეც დგება უცებ - ლიფისთვის ბოლოებში წკიპად ჩაუვლია ხელები, თითქოს რაღაცაში დასვრიაო, და კოპწიად იზომებს მკერდზე, ვითომ, შვილს ეკეკლუცება.

- იჰ, იჰ, იჰ. რაღა არა აქვთ ქალაქელ ქალებსა. - იძახის, გამომწვევად მომღიმარი, და ლიფაფარებულ მკერდს აქეთ-იქით დაატარებს.

- ყოჩაღ, დედი, გენაცვალე. - გაჰყვირის აღტაცებული გოგია და შეხვეულ მარჯვენას ხელზე ჩამოსაცმელ თოჯინასავით ათამაშებს ჰაერში.

- მეხი კი დაგაყარე. - რატომღაც ბრაზდება დედამისი, ლიფს ისევ მუჭში ჭმუჭნის და მღელვარედ აგრძელებს - მე არაფერი არ მინდა... ერთი ვერ მოვიცალე, რო მოვკვდე. - გოგიას მიმართავს, მაგრამ გოგიასკენ არც იყურება. - რასაც იშოვი, შენთვის მოიხმარე, ოღონდ იშოვე, ოღონდ ნუ დაეჩაგვრინები ცხოვრებას. მართლა გიჟი კი არა ვარ, შვილო, მეც ვიცი ავისა და კარგის გარჩევა. აგე, წუწურაქა გულოს გერმანიიდან ერთი ჩემოდანი პატეფონის ნემსი ჩამოუტანია, გავყიდი, ფულიაო. ხალხი ომშიც შოულობს, ომშიც თავის თავზე ფიქრობს, სხვამ თუ მანეთი იშოვა, მე ორი უნდა ვიშოვოო. ეგაა კაცობა. არ ეკუთვნით და მიაქვთ, ჩვენ კი, გვეკუთვნის და ვკარგავთ. ვისაც რა შეუძლია, იმით უნდა იცხოვროს. რომელიც პურს გაჭმევს, კარგი ხელობაც ისაა. ღმერთი აძლევს, კაცი იხმარს. ზოგი კარგავს, ზოგი პოულობს. ზოგი ინახავს, ზოგი იპარავს. მამაშენი კი დაფრატუნობს ცარიელ მოედანზე. ემანდ, ჰიტლერი არ გაცოცხლდეს და არ შემომეპაროს ქალაქშიო. მეხი იმასაც დავაყარე და იმის დაჭერილ ჰიტლერსაც...

- რად წაყევი, დედი, მამაჩემს, ასე თუ გეჯავრებოდა?! რად წაყევი, რად დაიდე ჩემი ცოდვა?! მე რაღას მერჩოდი? - აწყვეტინებს სიტყვას გოგია.

www.Litklubi.ge

შეხვეული მარჯვენა გვერდზე გაწეული დარჩენია, ჰაერში, და რომ არ იცოდეთ, რა სჭირს, უცებ გეგონებათ, მართლა თოჯინა უჭირავსო. მეორე ხელით კი ხისტარიან, პირჩაშავებულ დანას აწვალებს - ადგილზე აბზრიალებს. დედამისი, ვიდრე უპასუხებდეს, გამომცდელად უყურებს თვალებში, თან ორჭოფულად იღიმება, თან თავსაფარს ისწორებს - მოჭმუჭნული ლიფი წესიერად არ ეტევა მუჭში - დროს იგებს, პასუხის მოსაფიქრებლად, თითქოს ამ საკითხზე არასოდეს უფიქრია აქამდე და ასე უცებ, ასე ჰაიჰარად, ვერაფერს იტყვის, თან, რა თქმა უნდა, იმის მიხვედრასაც ცდილობს, თუ როგორ პასუხს მოელის მისგან შვილი, უკვე სულ მის მხარეზეა გადასული, თუ ხაფანგს უგებს, ალაპარაკებს, ალაპარაკებს, რამე რომ წამოაცდევინოს, ხელზე დასახვევი. ბოლოს და ბოლოს, მისი შვილია და სხვებზე უკეთ იცნობს იმის ვერაგულ ბუნებას - ერთ ნაბიჯზე არ არის სანდო.

- რად წავყევი და, ქალად რომ გამაჩინა იმ ჩემი ცოდვით სავსემ - ამჯერად, ღმერთს გულისხმობს და არა თავისი ძმის მსხვერპლს. - ქალი ძაღლზე უარესია, შვილო, არც თავისი ფასი იცის, არც კაცის გარჩევა, ოღონდ გათხოვდეს, ოღონდ შინ არ ჩაბერდეს, ოღონდ მეორე ქალს არ ათქმევინოს, რა სჭირს ამისთანა, არავის რო არ მიყავსო და, სულ ერთია, გველს დაუწვება, კეთროვანს, თანაც... - ეშმაკურად ეღიმება, მთავარ სათქმელს ამზადებს, ფასს იწევს შვილის თვალში. - თანაც, სხვა ამბავიც იყო კიდევ. მამაჩემმა ფული მისცა მამაშენს. გესმის ალბათ, რასაც ვამბობ. მორიგდნენ ერთმანეთში კაცურად. სიკვდილმა მოარიგოს ორივე - (გოგია, ცოტა არ იყოს, დაბნეულია, რაღაც არ გამოდის სეირი) - მეც აღარ გავძალიანებულვარ. ვინც მე მინდოდა, აღარ იყო, მიწაში ლპებოდა. ალავერდობას მომიკლეს ჩხუბში. კაცი ვარო, იმას უნდა ეთქვა და ამბობდა კიდეც. ბეგსა ჰგავდა. მაჯის სიმსხო, ერთმანეთზე გადაბმული წარბები ჰქონდა. რო შემოგხედავდა, თითქოს უცებ მზე დაბნელდაო. ფეხები წამერთმეოდა ხოლმე. მომიკლეს, ჩააქრეს ჩემი კელაპტარი. იმის მერე სულ ერთი იყო, გინდა მამაშენი და გინდა სხვა, კიდევ უარესი.

- მე ვისგან გყევარ, დედი? იმისგან თუ მამაჩემისგან... ჰა, დედი?! გულზე ხელი დაიდე - ვითომ ხუმრობს, მაგრამ აღარ ეხუმრება გოგიას. ხმა ერთიანად დაფხრეწია. აღარც თვალები უბრწყინავს კვიმატურად. საღი ხელით ხისტარიან დანას ბღუჯავს. ჯერ ბევრი რამე ჰქონიათ ოჯახში გასარკვევი, დასადგენი, დასაზუსტებელი. მართლაც, რა ხდება? რა გამოდის? ის გამოდის, რომ თავისუფლად შეიძლება, ვიღაც "ბეგის" ნაბიჭვარი აღმოჩნდეს სულაც. მაგრამ ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, ზოგი ჭირი მარგებელიაო - ეცოდინება მაინც, ვინ არის, რა არის, რას წარმოადგენს. - ვისგან გყევარ-მეთქი, დედი, იმისგან თუ მამაჩემისგან - იმეორებს ახრიალებული. სხვა ყველა სიტყვა ერთბაშად დაავიწყდა თითქოს.

- არცერთისგან, - პასუხობს დედა, ოდნავ შემცბარი, და ცოტა ხნის შემდეგ, ისევ იმეორებს - არცერთისგან.

- აბა, ვისი ვარ მე, ნაბიჭვარი?! - ხრიალებს, ყელდაბერილი გოგია.

ვინც არ უნდა შეხედოს ახლა, ყველა ერთნაირად იტყვის, თუკი რამე სწადია, დედის მოკვლა სწადია მხოლოდო. მოკლავს კიდეც. მე თქვენ გეტყვით, პირველი იქნება, ხელი აუკანკალდება. დანას ისე ბღუჯავს, ხელის ზურგზე ძარღვები ასხდება. დედამისიც შემცბარია. ცოტა მეტი მოუვიდა. უფრო სწორად, არ ეგონა, გული თუ ექნებოდა მის ნაშიერს, ასე თუ გაუკვირდებოდა და, რაც მთავარია, ასე თუ ეწყინებოდა ნაბიჭვრობა.

- ვისი ნაბიჭვარი ვარ-მეთქი, ადამიანო, რატომ გიჭირს თქმა, შე ცხენის კუდს გამოსაბმელო - ხრიალებს გოგია.

- ნეტა სარკეში ჩაგახედა, რასა გევხარ, - ქირქილებს დედამისი და თან ვარდისფერი ატლასის ლიფს უფრიალებს ცხვირწინ, თითქოს აკლდეს გაბრაზება.

- დედიიი... უკანასკნელოოოო. - ხრიალებს გოგია, თითქოს ყელში თოკი წაუჭერიათო.

ხელში ხისტარიანი, პირჩაშავებული დანა უჭირავს. დედამისი კი იცინის, ქირქილებს, ყალბად, უსიამოდ. თან ვიღაცის ლიფს უფრიალებს ცხვირწინ, უარესად აღიზიანებს, უარესად იწვევს საჩხუბრად, თითქოს იმის შემოწმება უნდა, არის თუ არა მისი შვილი კაცის მომკვლელი, ეკუთვნით თუ არა ჯილდო.

- შე მამაილა, შენა. - იცინის, დასცინის.

www.Litklubi.ge

- თქვი, ვისგან გყევარ, დედი, ვიდრე გამითავებიხარ. - ხრიალებს გოგია და ცხვირწინ აფრიალებულ ლიფს დანით იგერიებს, მაგრამ ჰაერს ფხრეწს მხოლოდ, დედამისი უფრო მარდია, უფრო მოხერხებული, დროულად გაარიდებს ხოლმე მოქნეულ დანას ლამპის შუქზე აბრჭყვიალებულ ქსოვილს.

- უმალ ხელი გაგიხმება. - იცინის განგებ, ყასიდად. - ჩემი გაგდებული არა ხარ! ჩემზე უკეთ ვინ გიცნობს?! არც ის ყაჩადი იქნება შენი მოკლული, შე მამაილა, შენა.

დედის გამომწვევი, დამცინავი ქირქილი და ვარდისფერი ლიფის ცხვირწინ ფრიალი კი აცოფებს გოგიას, კი უმდვრევს გონებას, მაგრამ თითქოს ბორკავს კიდეც, თითქოს ინუსხება დედის ნალაპარაკევით, თითქოს გათვალული ჰყავს დედას, მოჯადოებული, და თავის სიბრაზეს, თავის მრისხანებას კი არაა აყოლილი, დედის ნება-სურვილს ასრულებს, ისევ და ისევ, დედის გასართობად. მართლაც, თითქოს სიზმარშიაო, სწევს და ვერცა სწევს დედის მოსაკლავად დანას, თითქოს დანა არა აქვს ხელში, მაგრამ არ იმჩნევს - უარესად დამცინებს, უარესად ამიგდებს დედაჩემიო. ამ დროს, ბედად, მათი მდგმური შემოვა ოთახში და - დააგდე დანაო - მშვიდად ეტყვის გოგიას, ისე, სხვათა შორის, თითქოს, საერთოდ, შემთხვევით შემოვიდა აქ. მხრებზე მაზარა მოუსხამს. ეტყობა, გააბეზრა დედა-შვილის გაუთავებელმა კინკლაობამ და ჩამოვიდა "წესრიგის დასამყარებლად". მდგმურის დანახვაზე გოგიას შიშისაგან შუბლზე დაასხდება თვალები, მაგრამ ეს უეცარი შიში, ასევე უეცარი სიხარულით შეეცვლება მაშინვე, იმიტომ კი არა, მდგმურია თუ ვინც არის, გაგვაშველებს და გადაგვარჩენსო, პირიქით, დედას თუ ვერაფერს ვაკლებ, ეს სად წამივაო, თანაც ძველი ანგარიშებიცა გვაქვს გასასწორებელიო.

- დააგდე დანა, გოგია, გამოფხიზლდი. - მშვიდად ეუბნება ვანო მასწავლებელი.

- არ მომეკარო, არ მომეკარო - ყვირის გოგია, ყოველ შემთხვევისთვის, ხალხის გასაგონად (ხომ შეიძლება, სწორედ ამ დროს ვიღაცამ ჩამოიაროს ქუჩაზე?!)" ვითომ, მე არც ახლა მინდოდა მოკვლა, მაგრამ ახლაც მაიძულესო.

- დააგდე დანა, სირცხვილია, როგორღა უნდა იცხოვრო - მშვიდად, მაგრამ მტკიცედ ეუბნება ვანო მასწავლებელი.

გოგიას თითქოს მართლა ეუფლება სირცხვილისმაგვარი რაღაც გრძნობა, უჭირს თვალი გაუსწოროს ამ უცნაურ კაცს, აგერ უკვე მეორედ რომ ერევა იმის საქმეში, არ აცლის ცხოვრებას, მიჩენილი ჰყავს თითქოს, მაგრამ, რაც უფრო უცნაურია, წესიერად აღარ ახსოვს, რა მოხდა, რატომ უჭირავს ხელში დანა, ვისი მოკვლა უნდოდა თავიდან, დედისა თუ მდგმურისა, თუ ორივესი ერთად, ბარემ ერთად, ერთბაშად.

- არ მომეკარო, არ მომეკარო - ყვირის დანამომარჯვებული, მაგრამ უკვე შემცბარი, ხმაში ბზარგაჩენილი.

- გაგონილა?! დედა შვილს ვეღარ დალაპარაკებია საკუთარ ოჯახში! - ამბობს დედამისი.

დედის მოულოდნელი გამოქომაგება ისევ საომრად აღაგზნებს გოგიას - ვინა ხარ, რას გადამეკიდეო - უყვირის ვანო მასწავლებელს - მე არც მასწავლებელი ვიცი, არც უფროსი და მინდა ქელეხში დავთვრები, მინდა, ქორწილშიო; და, საერთოდ, რაც მომეპრიანება, იმას ვიზამო.

- ვერ იზამ. - აწყვეტინებს ვანო მასწავლებელი და უცებ, თვალის დახამხამებაში, თავის რკინის თითებში მოიმწყვდევს გოგიას მაჯას. გოგიას ტკივილისგან სახე დაემანჭება. ვანო მასწავლებელს ნახევარი ზურგი მოუშიშვლდება - მაზარა ახლა მხარზეღა აქვს მოგდებული და ცალი ხელით ისე უჭირავს, თითქოს ტალახითა და შლამით სავსე ბადეს მოათრევსო. გოგიას მაჯა ვერ წაურთმევია, ამაოდ იკლაკნება, მაგრამ არც დანას აგდებს, თუმცა, თითები გაულურჯდა, გაუშავდა, დაებერა.

- რათა გვკლავთ, თქვენი ჭირიმეთ, სიტყვის დაწერა გთხოვეთ, დედა ხომ არ შეგვიგინებია?! - ღირსეულად, დარბაისლურად ექომაგება შვილს დედა, თითქოს უაღრესად შეურაცხყოფილია ამ უმსგავსო სანახაობით.

www.Litklubi.ge

ვანო მასწავლებელი მეორე ხელსაც უშვებს მაზარას, რათა მობოშებული თითებიდან დანა ამოართვას გოგიას. მაზარა სილის ფერდობივით ჩაშვავდება მის ფეხებთან. ახლა თითქოს სილაში დგას მუხლამდე - სილაში, ტალახში, წუმპეში. "ვერ იზამო" - ერთხელ კიდევ უმეორებს გოგიას და ძლივს წართმეულ დანას უკანვე აჩეჩებს აკანკალებულ ხელში, თითქოს საშუალებას აძლევს, შეამოწმოს, რამდენად სწორია მისი ნათქვამი. თუმცა, გოგიას უკვე ისედაც სჯერა, მართალი რომაა ეს კაცი და ახლა მხოლოდ დედის დასანახად უძალიანდება, რადგან ახლა მარტო დედა ეზიზღება ისევ და სიკვდილზე მეტად დედის დამცინავი ხმისა და ჩაქირქილებისა ეშინია. ინდაურივით აფხორილა, აბურძგნულა, დაბრუნებული დანაც უარესად ბორკავს, აბითურებს, არ იცის, სად წაიღოს, რაში გამოიყენოს, თითქოს მისმა დანამ ვანო მასწავლებლის ხელში ერთბაშად დაკარგა თავისი მომაკვდინებელი ძალა, დაშინების, დათრგუნვის უნარი და ჩვეულებრივ უწყინარ, საოჯახო ნივთად იქცა, რომლის დანიშნულებისა წესიერად არაფერი გაეგება გოგიას.

- ეს დამპალი... ეს... ეს... ამ დამპალმა... - რაღაცის, გადამწყვეტის, მწარის თქმას აპირებს, დატუქსული ბალღივით რომ არ იდგეს თავისი მდგმურის წინ, როგორმე რომ დასძლიოს საიდანღაც გამომტყვრალი შიშისა და მორიდების გრძნობა ამ კაცის მიმართ, მაგრამ ამაოდ, არ გამოსდის - რამე რომ თქვა, რამე უნდა იცოდე, რამე უნდა გეყაროს თავში.

www.Litklubi.ge

www.Litklubi.ge

უპატრონო მკვდრისთვის მილიციის სარდაფზე უკეთეს ადგილს მართლაც რომ ვერ მონახავთ მთელს სიღნაღში. ერთხელ ნიკომაც ჩაიხედა იმ სარდაფში სათოფურივით ვიწრო სარკმლიდან და იატაკი არ გამოჩნდა, ვერ ჩაუწვდინა თვალი ძირამდე. რაგასაკვირია, საფლავზე ბევრად ღრმაა და ზამთარ-ზაფხულ, დღისითა და ღამით, ნესტიანი, სუნიანი ბინდი დგას შიგ. ნასაყდრალთან მოკლულ ყაჩაღსაც იქ ჩაიტანდნენ ალბათ - მილიციისთვისაც მოსახერხებელია და გვამსაც იქ ურჩევნია: სიბნელეში, სიცივეში, მარტო... ის წევს ალბათ, ბრეზენტის ქვეშ, გულხელდაკრეფილი, ნიკოსავით. ის კი არა, ლეიტენანტიც სარდაფში დარჩებოდა, გვამთან ერთად. აბა, დღესაც ჩვეულებრივად ხომ არ დაბრუნდებოდა შინ, სამსახურის შემდეგ?! ჩვეულებისამებრ ხომ არ აკოცებდა ლოყაზე თავის ფეხმძიმე მეუღლეს?! ჩვეულებისამებრ ხომ არ გაეხუმრებოდა: რა ხდება, ქალბატონო, აღარ აპირებს თქვენი ვაჟიშვილი დღის სინათლეზე გამობრძანებასო?! (ისე, თუ ჭკუა აქვს, იქ ერჩიოს, დედის მუცელში. გამოვა და, ბაც, დაახლის ტყვიას ვინმე, გოგიასნაირი). ნიკოს ბებია ამბობს, ცხვირს მოვიჭრი, ტყუპი თუ არ ეყოლებაო. და მაინც, არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა დღეს ლეიტენანტი შინ. არც სადილი გაახსენდებოდა და არც ვახშამი. დღეს კი არა, კარგა ხანს ვერ ჩაყლაპავს ალბათ ლუკმას თავისუფლად, თავის გემოზე. ზის გვამის გვერდით, მობუზული, ფიქრში დანთქმული. "ნავთქურას მაინც ჩამოგიტანთ, უფროსო, შეგცივათ ამ საყინულეშიო" - ეტყვის, მისი საქციელით, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული მორიგე მილიციელი, დავუშვათ, იგივე უფარაანთ გიორგი. მაინცდამაინც, არც იმას მიუწევს შინისკენ გული. მისი ცოლ-შვილის პატრონს, შინ ყოფნას ისევ აქ ურჩევნია, მილიციაში. უფრო მშვიდად გრძნობს თავს. იქ ცოცხლად ჭამენ, აქ ვიღაცას მაინც სჭირდება. მაგრამ ლეიტენანტი იუარებს, თუ დამჭირდა, დაგიძახებო, და ისიც, უფარაანთ გიორგი, ქეჩოს ფხანითა და ფეხის თრევით, აუყვება სარდაფის კიბეს. ისე, კაცმა რომ თქვას, განა არ არის გასაკვირი?! განა ყველა ერთნაირად არ იკითხავს, რა უნდა მკვდართან მარტოს, ამ ბნელ სარდაფშიო?! რა უნდა და... როგორ თუ რა უნდა?! ადამიანია. გული აქვს. ხვალ-ზეგ მამა უნდა გახდეს. შვილი რომ ეტყვის, მომიყევი შენი თავგადასავალი, რა დაგითესავს, რა მოგიმკიაო, რას მოუყვება?! სიყმაწვილეში, ჯერ კიდევ შენს გაჩენამდე, ვიღაცამ ამბავი მომიტანა, ნასაყდრალში ყაჩაღი იმალებაო, და ისე დავიბენი გამოუცდელობისაგან, ისე ავდელდი, იმდენი რამე წარმოვიდგინე ერთბაშად, კარგიცა და ცუდიც, ყეყეჩ გოგიას მოვაკვლევინე, თუმცა, წესიერად ახლაც არ ვიცი, ის ყაჩაღი მართლა იყო თუ არა ყაჩაღიო?! ამგვარი აღსარების შემდეგ, რა თქმა უნდა, შვილის თვალში ფასი არ აეწევა, მაგრამ, შეიძლება, უარესიც მოხდეს: კი არ შეიბრალოს, კი არ თანაუგრძნოს, არამედ - მასხრად აიგდოს შვილმა, ამის გულისთვის, ამდენი ხანი, თავი რატომ გაიმწარეო, როგორ უნდა შეგემოწმებინა, ის ყაჩაღი მართლა იყო თუ არა ყაჩაღიო, შუბლზე ხომ არ ეწერებოდა, ანდა, ნასაყდრალიდან ხომ არ დაგიძახებდა - ყაჩაღი ვარ, ვინმე წესიერ კაცში არ შეგეშალოო. ღმერთმა ნუ ქნას, მართლა ასე უპასუხოს მომავალმა შვილმა, მაგრამ თუკი დღეს დასაშვებია ამგვარი შეცდომის ჩადენა, ხვალ შვილსაც ვეღარ გაამტყუნებ, ეს რა უგულო გაზრდილხარო. არადა, სავსებით დასაშვებია, ნამდვილი ყაჩაღი მილიციის მოსვლამდე წასულიყო ნასაყდრალიდან. ტანმა უგრძნო ალბათ, საფრთხე რომ ელოდებოდა და დაუფიქრებლად მიატოვა იქაურობა, ნადირივით გადაიხვეწა მაშინვე, ბევრი ყოყმანი არ დაუწყია, არც ქარისგან დასაცავი კედლები დაენანა, არც ძლივს დანთებული ცეცხლი. ნასყიდას სუნი იკრა და გაიქცა, თავს უშველა. აბა, რიღას ყაჩაღი იქნებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო?! სამაგიეროდ, სწორედ ამ დროს, ანუ, ნამდვილი ყაჩაღის გადახვეწიდან მილიციის მოსვლამდე, კიდევ ვიღაცამ გამოიარა, ნასყიდასავით, ნასყიდას შემდეგ, ვიღაცამ, აბსტრაქტულმა ადამიანმა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ, განა ცოტა ადამიანი დგას გზაზე?! მკვდრეთით აღმდგრებიც ბრუნდებიან, დაღუპული რომ ეგონა თავის პატრონს აქამდე. განა მარტო ნასყიდა დაწანწალებს ამ გზაზე?! მარტო ნასყიდასი ხომ არ არის ეს გზა?! ხოდა, კიდევ ვიღაცამ გამოიარა, შეციებულმა, სიცივისგან ალღოდაკარგულმა, და ნასაყდრალიდან ამომავალი ბოლი რომ დაინახა, გაუხარდა, ცოტას მაინც გავთბები, ვიდრე აღმართს შევუდგებოდეო. კი არ დაეჭვდა, კი არ დაფიქრდა, ასე ნანატრივით, ვის უნდა დაეხვედრებინა იმისთვის ცეცხლი, გაუხარდა, ცოტას მაინც გავთბები, ესეც

www.Litklubi.ge

ხეირიაო. გაუხარდა და დაიღუპა. გაუტკბა ყაჩაღის დანატოვარ ცეცხლთან ყურყუტი და ძვირი დაუჯდა ეს მოულოდნელი სიამოვნება, რადგან ნასყიდას უკვე ატანილი ჰქონდა მილიციაში ამბავი: ნასაყდრალში ყაჩაღები (შიშს დიდი თვალები აქვს) იმალებიანო. აბა, ნიკო იოტის ოდენადაც არ დაეჭვებულა, ცალყბადაც არ შეჰკითხვია თავს, შემთხვევით, ყაჩაღი ხომ არ არის ეს კაციო. მაგრამ, ასეა თუ ისე, ახლა ბედის ბორბალს ვეღარაფერი დააბრუნებს წადმა. ყაჩაღია ის კაცი, თუ ზღაპრის გმირი, უკვე მკვდარია. მილიციის სარდაფში, გაყინულ ფილაქანზე წევს, გულხელდაკრეფილი (ნიკოსავით), ბრეზენტგადაფარებული, და ფერხთით უნებლიე მკვლელი, უფრო ზუსტად, მკვლელობის უნებლიე მონაწილე უზის. გარეთ ქარს მიაქვს ქვეყანა. სულ ექვსიოდე სახლის იქით, თბილ ლოგინში, ლამარას სძინავს (ლეიტენანტის ფეხმძიმე მეუღლეს), ქარის მომაბეზრებელ ზუზუნზე მძინარეც იბურძგნება. ხელები ფეხებს შორის ჩაუწყვია. სძინავს. მაგრამ მძინარეც ყურდაცქვეტილია, ქარის გაუთავებელ ბუბუნში მისკენ მომავალი მეუღლის ნაბიჯების ხმა უნდა გამოარჩიოს. ჯერ არ იცის ალბათ, რა ამბავია მისი მეუღლის თავს. თუმცა, არა, როგორ არ იცის, აქამდე ათასჯერ ეტყოდნენ. პაპა ამბობს, ცუდ ამბავს ფრთები ასხიაო. ვის მოუთმენდა გული, აქამდე არ მიეხარებინა: შენმა ქმარმა დღეს ნასაყდრალთან კაცი მოკლაო; მართალია, თვითონ არ უსვრია, მაგრამ ვინც ისროლა, მისი ნებართვით, მისი მითითებით ისროლაო. თქვენ ასწავლით ხალხს ამბის მიტანას?! ანდა, თქვენ დაასწრებთ?! მაშინ, თუკი ასეა, ლეიტენანტის ფეხმძიმე ცოლს თბილ ლოგინში კი არ სძინავს, დამის პერანგზე ხალათი შემოუცვამს და სარკმლიდან გასცქერის ჩაბნელებულ ქუჩას. კი გასცქერის, მაგრამ არაფერი არ ჩანს. ქარი თუ შემოზმუვლებს ხოლმე გარედან და შემაშფოთებლად შეაზრიალებს სარკმლის მინებს. ლამარა კი ისედაც შეშფოთებულია. ღელავს: სად არის აქამდეო, რამე ხომ არ აუტეხა თავსო. თან ზედმეტი განცდებისაც ეშინია, ფეხმძიმედაა, ბავშვსაც უნდა გაუფრთხილდეს და თავსაც. პაპა ამბობს, ორსულ ქალს ცალი ფეხი სამარეში უდგასო. გაუფრთხილდეს კი არა, სარკმელთან ატუზულა, თითქმის შიშველი, თბილი ლოგინიდან წამომდგარი. ორსული ქალები სიცივეში ორ წყვილ წინდას იცვამენ, წელზეც სქელ შალს შემოიხვევენ ხოლმე. თეფშს არ მოგაწოდებს ზოგიერთი - არ შეიძლება ჩემთვის სიმძიმის აწევაო. ის კი, ლეიტენანტის ფეხმძიმე მეუღლე, არც სიცივეს დაგიდევთ და არც მღელვარებას. ქარი კი ზუზუნებს, წივის, სისინებს - კედლებშიც ატანს, სულში უძვრება ქმრის მომლოდინე ქალს და უარესად უწეწავს ისედაც აწეწილ ფიქრებს. სამსახურს უნდა დავანებებინო თავიო - ფიქრობს ლამარა, აფორიაქებული, შემკრთალი, დაბნეული. პატარა ამბავია?! კი შეატყობინეს ალბათ, ასე და ასე მოხდაო, მაგრამ მაინც არაფერი არ იცის ჯერ, ვინ მოკლეს, ვინ მოკლა, ვის რა მოეკითხება, რისთვის და რატომ. თანაც ოთახში ცივა (როგორც ნიკოანთას). ღუმელი ჩამქრალა (როგორც ნიკოანთას). არავის არ უნთია მთელი დამე ღუმელი. რა ჯიბე გაუძლებს! მაგიდაზე ლამპა ბჟუტავს (როგორც ნიკოანთას ბჟუტავდა, ჩაქრობამდე). აბა, იმათ ვინ დაუკიდებდა ბროლის ჭაღებს?! ჭვარტლის სუნი დგას (როგორც ნიკოანთას). მაინცდამაინც, ალბათ არც ესაა სახარბიელო მომავალი სიცოცხლისათვის; ალბათ იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ ჰაერს ჩაისუნთქავ თავიდანვე, პირველად. "როგორც კი მოვრჩები - ესე იგი, როგორც კი ბავშვს გავაჩენო - სამსახურს დავიწყებო - ფიქრობს ლამარა. კი, როგორ არა! ბავშვი რომ გაჩნდება, მერე უნდა მოახლე და გადია; როგორც ციხიდან გამოსულ კაცს, მერე უნდა, თუ უნდა, მოვლა და პატრონობა. - ის კი იჯდეს შინ, ბავშვს უყუროსო; ანდა რამე უფრო მშვიდ საქმეს მოეკიდოსო; ცოდოა, დაიღუპება ეგ უბედური, თუკი ჯერ კიდევ არ დაღუპულაო - ასე ფიქრობს, უარესზე რომ არ იფიქროს, უარესი საშინელება რომ არ წარმოიდგინოს და მუცელშივე არ გადარიოს თავისი პატარა, თავისი მომავალი. - ახლავე მოვა ჩვენი მამიკოო - ეუბნება იმას, მომავალს. - დღეს ალბათ ლუკმა არ ჩაუდია პირში, საცოდავსო".

- ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი - ამბობს ის, მომავალი.

- ხო, შვილო, ღამეა, ქარი ქრის და მამაშენი ჯერ არ მოსულა - პასუხობს ლამარა.

ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, მუნჯის ენა დედამ იცისო.

- ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი - ამბობს მომავალი.

www.Litklubi.ge

- მართალი ხარ, ჩვენი მამიკო ყველაზე კარგია. რა თქმა უნდა, უგონებენ. ენა უძვლოა, ყველაფერს იტყვის. ჩვენი მამიკო კი ყველაზე კარგია, ყველაზე გულადი. ხელს ვერავინ გვახლებს იმისი შიშით. - უფრო ხალისიანად, უფრო გამოცოცხლებული პასუხობს ლამარა.

www.Litklubi.ge

რასაც ამბობს, სჯერა კიდეც. როცა გჯერა, რა გიჭირს - როცა არ გჯერა, მაშინა ხარ ცოდო. "ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი" - ისევ თავისას მირეკავს მომავალი. ჯერჯერობით, ეს იცის მხოლოდ, ეს შეუძლია, მაგრამ დედამისს ესეც ყოფნის, დრო რომ გაიყვანოს როგორმე, სხვაზე არ იფიქროს, უარესად არ აიყოლიოს, უარესად არ ჩაითრიოს გაურკვევლობამ, მოლოდინმა, შიშმა, ათასნაირმა ეჭვმა და ვარაუდმა, თორემ, ერთი წუთითაც თუ აჰყვა იმათ, ისე შეესევიან, როგორც აბრეშუმის ჭიები - თუთის ფოთოლს. ხრაშ-ხრუშ, ხრაშ-ხრუშ, ხრაშ-ხრუშ, და გათავდა, აღარაფერი დარჩება იმისგან - ხალათი და ფლოსტები - რქები და ჩლიქები. "ცოტაც მოვიცადოთ და მერე წავიდეთ, ვნახოთ, სად არის ჩვენი მამიკოო" - ეუბნება ლამარა თავის მომავალს. იმათი მამიკო კი გვამთან ზის, მილიციის გათოშილ სარდაფში, სამარისებურ სიბნელეში, თუმცა, ქუჩიდან მკრთალი შუქი ჩამოდის, ქუჩის ნათურისა, რომელსაც ქარი აკონწიალებს, რის გამოც, ცხადია, შუქიც აკონწიალებულია. ასე რომ, ქუჩიდან მკრთალი და აკონწიალებული შუქი ჩამოდის, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მაინც შუქია, რაღაცას გაარჩევს კაცი. თუმცა, ლეიტენანტს ნაკლებად აინტერესებს ეს ამბავი. იმას სულ სხვა შუქი სჭირდება, გონების შუქი, გზა რომ გაიკვლიოს თავის ეჭვებსა და ვარაუდებში. ადამიანი ხომ ისეთია, როგორადაც ვიღაცას (მე, შენ, იმას) წარმოუდგენია, ყოველ შემთხვევაში, იმ ვიღაცისთვის (ჩემთვის, შენთვის, იმისთვის) მაინც. ხოლო ეს თუ მართლა ასეა, მაშინ, ნიკოს თვალსაზრისით, ლეიტენანტი სწორედ ისე იქცევა, როგორც უნდა მოიქცეს, სწორედ იქა ზის, სადაც უნდა იჯდეს. რასაკვირველია, ცივ სარდაფს თბილი ლოგინი სჯობია, გვამთან უბრად ჯდომას, ფეხმძიმე მეუღლესთან საუბარი, მაგრამ ჯერ ბევრი რამეა დასადგენი, გასარკვევი. უპირველეს ყოვლისა კი, მოკლულის ვინაობა. და ისიც ზის გვამის ფერხთით, სარდაფის იატაკზე (პლანშეტი ამოუდვია ქვეშ და კარგადაც მოუფიქრებია - მტერი დაჯდა გათოშილ ფილაქანზე), თავი მუხლზე ჩამოუდია და გეგონებათ, სძინავსო, ამდენი შფოთისა და მღელვარების მერე, ყინწი მოსწყვეტიაო. მაგრამ ძილის ნატამალიც არ ჭაჭანებს იმის თვალში. დახუჭვით კი იმიტომ დაუხუჭავს, გონების შუქს რომ არ შეუშალოს გარე სამყაროს შუქმა, თუნდაც მკრთალმა, აკონწიალებულმა. სძინავს კი არა, ვინ იცის, მერამდენედ იხსენებს და ჩხრეკს ყოველ წვრილმანს, ყოველ ნაბიჯს, ყოველ სიტყვას, ყველაფერს, მთელ გზას, ნასაყდრალიდან სარდაფამდე. სხვები სად გაქრნენო - ჯიუტად ეკითხება საკუთარ თავს, როგორც გამომძიებელი გამოცდილსა და ვერაგ დამნაშავეს. ნასყიდას სამი დაუნახავს - რეზინის ნაკუწებსა და ფიჩხს აგროვებდნენ თურმე ნასაყდრალის გარშემო. დანარჩენები (რამდენი?) შიგნით ყოფილან, ნასაყდრალში, ხმები გამოდიოდაო. კი მაგრამ, რას გაიგებდა ამ ქარში ის ყრუჩუჩა, ისა?! ანდა, რა ისეთ ჟრიამულს გამართავდნენ საშოვარზე გამოსული მგლები?! ვინ იცის, ყურდაცქვეტილები ისხდნენ კუდებზე ახრჩოლებული ცეცხლის გარშემო, თუკი ისხდნენ საერთოდ. თუკი საერთოდ იყვნენ ნასაყდრალში ყაჩაღებიო - ამის თქმა უნდა ლეიტენანტს. შიშს ყურებიც დიდი აქვს, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია ამდენი ხალხის ასე უკვალოდ გაქრობა. საიდუმლო ხვრელი ჰქონიათ და ეგაა. მაშინ, ამასაც ხომ თან წაიყვანდნენ?! ამას რაღაზე გაწირავდნენ ვითომ?! თავი დადო სხვებისათვის?! ვიდრე მე მომკლავენ, თქვენ სამშვიდობოს გახვალთო?! მიდი და გაარკვიე. ნასყიდა თუ მართალს ამბობს, ყაჩაღები მილიციის მოსვლამდე არიან წასულები, ეს კი... "ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნას" - შფოთავს, გულს ასკდება მუხლებზე თავჩამოდებული ლეიტენანტი და ისევ ჩხრეკს, ისევ ხელახლა ქექავს საკუთარ მახსოვრობას, ცდილობს, მისხალ-მისხალ აღადგინოს ყველაფერი, უკანასკნელ წვრილმანამდე. საქმე ადამიანს ეხება, ხალხნო, ადამიანს! კი ამბობს, რად გავჩნდი ადამიანადო, მაგრამ რაკი გაჩნდა, ჩვენ მაინც ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც ადამიანს ეკადრება. ისიც კი ახსენდება, წაქცევისას, ცალი ფეხსაცმელი რომ გასძვრა მოკლულს. თავისი მახსოვრობის შესამოწმებლად, მაინც წამოდგება, მაინც გადასწევს ბრეზენტის კიდეს და საბოლოოდ დარწმუნებული, უფარაანთ გიორგის ასძახებს: გვამს ცალი ფეხსაცმელი რატომ აკლია, მეორე სადღააო.

- მაგ უბედურის ნივთებში იქნება, უფროსო - მაშინვე უპასუხებს უფარაანთ გიორგი, გეგონებათ, ელოდებოდა დაძახებას და ისიც წინასწარ იცოდა, რას დაუძახებდნენო.

www.Litklubi.ge

სხარტად კი უპასუხებს, მაგრამ მაინც დაეჭვდება, დაფიქრდება, გონების თვალით ერთხელ კიდევ გადასინჯავს მოკლულის ნივთებს. ოღონდ შინ ნუ გაუშვებთ და არაფერზე დაგზარდებათ, სულ მორიგე იქნება, სხვების მაგივრადაც, სულ "სლუშზე" იდგება. არადა, ფეხს ძლივს დაათრევს, საცოდავი, რაღა დროს მაგის მილიციელობაა, მაგრამ შინ ყოფნას ისევ აქ ურჩევნია, აქ კაცად მაინც აგდებენ, რაღაცას ეკითხებიან, შინ კი პურიც ვერ დაუღეჭავს მშვიდად, არ იცის, როდის ჩაუპარტყუნებენ თავში. თვალი ვერ მოუტყუებია, ისეთი ხასტაბუგო აქვს მის ცოლ-შვილს გამართული. სახლი კი არა, უფასო თეატრია. ხალხი თავშესაქცევად იკრიბება მაგათი სახლის წინ. რას არ ეძახიან, რას არ აბრალებენ ერთმანეთს, არც არავისი რცხვენიათ, არც არავისი ერიდებათ. ყველაფერს ამბობენ, რაც ენაზე მოადგებათ. სხვები კი სიცილით იხოცებიან, მსმენელები, მაყურებლები, სეირის მოყვარულნი. ქვეყანამ იცის მაგათი ამბავი. ბაზრის აშარი არ იტყვის ბაზრის აშარზე, ისინი რომ ერთმანეთზე ამბობენ, ორივენი ერთად კი - თავიანთ მარჩენალზე, ერთის ქმარსა და მეორის მამაზე. ისაა ცოდო, თორემ მისი ცოლ-შვილი შორს არ წაუვა ერთმანეთს. ფერი ფერსო და მადლი ღმერთსო - იმათზეა ნათქვამი. პაპა ამბობს, კაცს რომ საკუთარ ოჯახში აიგდებენ, ჯობია, ქუდი დაიხუროს და გადაიკარგოსო. მართალია, ბებიაც ეჩხუბება ხოლმე პაპას, იმანაც იცის მწარე-მწარეების თქმა, მაგრამ უფარაანთ ოჯახი მაინც სხვაა, ცნობილია, დღე ერთია და ათჯერ მაინც უნდა დაერივნენ ერთმანეთს, მარტო სიტყვით კი არა, ხელითაც. დაწყევლილი ოჯახია, თუკი ოჯახი ეთქმის წაწყმედილთა თავყრილობას. მართლაც რომ ცოდოა იმათ ხელში უფარაანთ გიორგი. ცხვარივით კაცია, მაგრამ არც ქმარია, არც მამა - ცოლიც თავზე აზის და შვილიც. ერთხელ სცემეს კიდეც. მთელი თვე თავშეხვეული დადიოდა, კინოს გმირივით. აღარ იცოდა, სად დამალვოდა სიღნაღელ ლაზღანდარებს - რამდენი შეხვდებოდნენ, იმდენჯერ უნდა ეკითხათ, რა იყო, რა გჭირს, რა დაგემართა თავზეო. ხომ არ ეტყოდა, ცოლ-შვილმა გამლახაო, იცინოდა - ყბაყურა შემეყარა სიბერეშიო.

- აბა, ერთი ნახე, მეგობრულად და ჩამომაწოდე, - ეტყვის ლეიტენანტი უფარაანთ გიორგის და ისიც მაშინვე მოკლულის ნივთებს მიაშურებს, გამძვრალი ფეხსაცმლის მოსაძებნად.

www.Litklubi.ge

რა დიდი მოძებნა კიდევ იმას უნდა, რა იმდენი ნივთი ექნებოდა იმ უბედურს?! დავუშვათ - ცოტაოდენი ფული, თუკი რამე გაეგებოდა ფულისა. ალბათ - ცხვირსახოცი - ყველას სჭირდება. შეიძლება - ჯაყვა - იქნებ ლერწმიდან სალამურის გამოთლა იცოდა და იმით ინახავდა თავს?! სალამურს გაყიდდა, პურს იყიდდა - ელენიცას მამასავით. და ასევე შეიძლება - ღილი. ღილი აკლდა პალტოზე. მაშინვე თვალში ეცა ნიკოს, იმიტომ, რომ იმასაც აკლია ერთი ღილი თავის ამერიკულ ჟილეტზე და ძალიან ეხამუშება, ასე ჰგონია, ყველა ამჩნევს, თითქოს ყველას მაინცდამაინც ის ხვდება თვალში, რაც დაიკარგა, რაც აღარ არის, ხოლო, რაც დარჩა, ანუ, მთელი ჟილეტი, იმ ერთი ღილის გარდა, გინდ ყოფილა, გინდ არა. იგივე ნივთები, თავისუფლად შეიძლება, ნებისმიერ გამვლელს აღმოაჩნდეს ჯიბეში, რის გამოც ვერავინ დაახლის ტყვიას, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა დაახალოს, მაგრამ იმას, მოკლულს, რაღაცის, ამის მსგავსის მოლოდინი ნამდვილად ჰქონდა - ასე ეჩვენება ახლა ნიკოს - უფრო მეტიც, თითქოს იცოდა, რა უნდა მოსვლოდა. მაგრამ, რაც უფრო საკვირველია, მოსახდენს კი არ ემალებოდა, კი არ გაურბოდა - მშვიდად, უდრტვინველად უცდიდა. მშვიდად და უდრტვინველად კი არა, მღელვარებით, მოუთმენლად, თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის მოხდებოდა მოსახდენი და თითქოს ცოტა ეშინოდა კიდეც, ბოლო წუთს რამე არ შეიცვალოს, არ გადაიფიქროს განგებამო. ამას ადასტურებდა მისი გარეგნობაც, საქციელიც, გამოხედვაც, ღიმილიც, ყოველი მისი სიტყვა... ამას ადასტურებდა რეზინის ნაკუწებით დანთებული ცეცხლიც (ვისი დანთებულიც არ უნდა ყოფილიყო), აყროლებული, ახრჩოლებული ცეცხლი, რაც მოლოდინის გასაიოლებლად, დროის გასაყვანად უფრო სჭირდებოდა ალბათ, ვიდრე გასათბობად, რადგან, როგორც კი იგრძნო აღსასრულის მოახლოება, თავშეტრუსული, ნაპერწკლებიანი ჯოხი ცეცხლში ჩააგდო და ლამის ძალით გამოიყვანა ნიკო ნასაყდრალიდან. კი დაემშვიდობა, კი უთხრა, კარგი ბიჭი ჩანხარ, არ დამივიწყოო, მაგრამ ეს ზრდილობიან გამოძევებას უფრო ჰგავდა, ვიდრე გამოცილებას. მაგრამ ნიკომ იმაზედაც მადლობა თქვას, გვერდით რომ დაიყენეს ცეცხლთან, თანატოლივით, ყური რომ არ აახიეს - უფროსებს უყვართ ყურის აწევა და შემთხვევა თუ მიეცათ, არ გაუშვებენ ხელიდან, მაშინვე ყურში გწვდებიან. თუმცა, ეს იმათ არ ჰგავდა, იმათნაირი არ იყო. ისინი, ყურის ამწევები, ერთმანეთსა ჰგვანან, ერთი დედ-მამის შვილებივით. შორიდანვე შეატყობთ, ათას კაცში გამოარჩევთ. ერთი წამით მაინც მოეჩვენა ნიკოს, მგონი, ესეც მიპირებს ყურის აწევასო, როცა ნასაყდრალიდან გამოჰყავდა იმას, და ერთიანად აიბურძგნა ზღარბივით, საბრძოლველად შეიმართა, როგორც იმ ღირსშესანიშნავ დღეს, ევგენია დუგლაძემ ჯერ ლექსების რვეული რომ დაახია თავზე, მერე კი ყურის აწევაც დაუპირა, მაგრამ ნიკოს, ეტყობა, ისეთი სახე დაედო, ისე მოებრიცა ნიკაპი, პატივცემულ მასწავლებელს ჰაერში გაუშეშდა უკვე მოწაფის ყურთან მიტანილი ხელი და სხვა რომ ვეღარაფერი მოიგონა უფროსი ადამიანისა და პედაგოგის ღირსების გადამრჩენელი - ახლავე გაიმეორე, რა თქვი, შე უზრდელოო - ჩააცივდა უტიფრად, ვითომ იხტიბარი არ გაიტეხა, თუმცა, ძველებური რიხისა და მედიდურობისა ბევრი აღარაფერი შერჩენოდა, რაც მაშინვე იგრძნო ნიკომაც, მაგრამ კი არ გაახარა მასზე ბევრად უფროსი და ბევრად ძლიერი მტრის მოულოდნელმა მარცხმა, უარესად შეაწუხა და, ცოტა არ იყოს, დაებნია კიდეც, რადგან ისიც პირველად იგრძნო მაშინ, თავადაც რომ წარმოადგენდა რაღაც გარკვეულ ძალას და, რაც მთავარია, საბოლოოდ ირწმუნა უკვე, შეგნებული თუ შეუგნებელი, მოჩვენებითი თუ გულწრფელი მორჩილება, კიდევ უფრო რომ უღვივებს ევგენია დუგლაძისნაირ პედაგოგებს მოწაფეთა დათრგუნვისა და მათთვის ყურის ახევის სურვილს, როცა ნებისმიერი, თუნდაც სულ უმნიშვნელო, თუნდაც ბრმა, შემთხვევითი, გაუთვალისწინებელი, წამიერი გაბრძოლება, წინააღმდეგობა თუ ამბოხი მოწაფისა - იმავე ევგენია დუგლაძეებს არა მარტო უკლავს მსგავს სურვილს, არამედ, საკმაოდ ურყევს აღსაზრდელთა უსიტყვო, ლამის ცხოველური მორჩილებიდან აღმოცენებულ რწმენას, ყველაფერი ნებადართული რომ არის მათთვის. საბედნიეროდ, ნასაყდრალში მსგავსიც არაფერი მომხდარა. მაგრამ არც ზრდილობიანმა გამოპანღურებამ ატკინა ნიკოს გული ნაკლებად, ვიდრე ყურის ახევა ატკენდა. პირიქით, შეიძლება, ყურის ახევა ერჩივნა კიდეც - ეცოდინებოდა მაინც, ვისთან ჰქონდა საქმე და წინააღმდეგობას გაუწევდა, თავს დაიცავდა, ბოლო-

www.Litklubi.ge

ბოლო, თავისი ნებით წამოვიდოდა, ანდა სულაც გამოიქცეოდა იქიდან. არადა, ისიც ვერ უთხრა: იქნებ, ჯერ არ ვაპირებ აქედან წასვლას, იქნებ, ჯერ არ გავმთბარვარო; იქნებ, საერთოდ აქ ვაპირებ დარჩენას, კაცია და გუნებაო. მართლაც, კაცია და გუნება - ზოგი შინ ზის, ზოგი კიდევ აყროლებულ ცეცხლთან ყურყუტებს ნასაყდრალებში. ვინ დათვალოს, რამდენი ასეთი ნასაყდრალია საქართველოში. მაგრამ როცა საჭიროა, მაშინ დაებმება ხოლმე ნიკოს ენა და იცით რატომ? თანდაყოლილი მორიდებულობა სჭირს, მათი საგვარეულო სენია, შთამომავლობით მიღებული. რასაკვირველია, არც მოურიდებელი კაცი ვარგა, ვარგა კი არა, უარესია, საერთოდ შეგაზიზღებს სიცოცხლეს, მაგრამ შენზე უნდა იყოს დამოკიდებული, რას მოერიდო და რას არა. პირველ რიგში, ისევ მოურიდებელ კაცს უნდა მოერიდო, მთვრალს, გიჟს, კეთროვანს, მატარებელს, ავტომობილს, ცეცხლს, წყალს, ათაშანგს... მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას, გასაკეთებელი უნდა გაკეთდეს, კართაგენი უნდა დაინგრეს. ნიკოს, რა თქმა უნდა, ეწყინა, აიმრიზა კიდეც, მაგრამ თავს ძალა დაატანა, უკანმოუხედავად რომ გასცლოდა იქაურობას, ასე გამოეხატა თავისი გულისწყრომა, თუმცა, ძალიან უნდოდა, დღის სინათლეზეც შეეხედა იმისთვის, საბოლოოდ დარწმუნებულიყო, მართლა გამოირჩეოდა სხვებისაგან (ყველასაგან) რაღაცით (ყველაფრით), თუ ასეთი შთაბეჭდილება ნასაყდრალის ბინდისა და დამწვარი რეზინის მწარე კვამლის ბრალი იყო მხოლოდ. ეტყობა, იმანაც იგრძნო, განაწყენებული რომ მიდიოდა ნიკო და მოაბრუნა - ეიო - დაუძახა, რადგან არც იმას უკითხავს (რაში აინტერესებდა?!) და არც ნიკოს უთქვამს თავისი სახელი. დაძახება კი გაუხარდა, მაგრამ მოღუშული შემობრუნდა მაინც, ვინ არის შენი "ეიო" და ალბათ ბევრად უკეთესი გამოჩნდებოდა იმის თვალში, ქარს რომ არ შეერცხვინა მოულოდნელად. ისეთი ძალით უბიძგა უცებ ზურგში, ძალაუნებურად, რამდენიმე ნაბიჯით გააქცია ნასაყდრალისკენ, თითქოს დაძახილზე გარბოდა, უპატრონო ძაღლივით - ყველასი და არავისი. - ის კი ნასაყდრალის კარში იდგა და უღიმოდა. ნიკომაც მაშინ გაიფიქრა სწორედ, ეს აქედან აღარსად წამსვლელი არ არისო. არადა, დღის სინათლეზე გაცილებით ახალგაზრდა ჩანდა; ისევ მიამსგავსა მამას - იმასაც უცნაური, ამაფორიაქებელი ფერი დაჰკრავდა სახეზე, აღზევებული, მოზეიმე სიკვდილისა თუ მობეზრებული, მოყირჭებული სიცოცხლისა. ერთი წამით, ისევ ის დღე გაახსენდა, მამასთან გამოსამშვიდობებლად რომ წაიყვანა დედამ საავადმყოფოში. ფეხები უკან რჩებოდა, სულ მამაზე ფიქრობდა გზაში, ანუ, უსასრულოდ იტანჯებოდა, რადგან ისეთი აღარ ახსოვდა, როგორიც ავადმყოფობამდე იყო, ფეხზე მდგარი, ფეხზე მოსიარულე, სხვების დაუხმარებლად, მთელი თავით მაღალი ქვითკირის ღობეზე, რომელზედაც ნიკო ძლივძლივობით უნდა აფოფხებულიყო, ელენიცას ეზოში გადასახედად. ისეთი მამა აღარ არსებობდა. ამას უფრო გრძნობდა, ვიდრე იცოდა, და, ამიტომაც, არ მიყვებოდა ხოლმე საავადმყოფოში დედას, შეცვლილი (დედა ეუბნებოდა - ვეღარ იცნობო), გარდაქმნილი, სხვანაირი მამის სანახავად, მაგრამ დეიდამ რომ ჩამოაკითხა სიღნაღში წასაყვანად, უბრალოდ, იძულებული გახდა, გამომშვიდობებოდა მამას და აი, საავადმყოფოსკენ მიმავალი, მთელი გზა სულ მამის წარმოდგენას ცდილობდა, ადრინდელისა კი არა, ამჟამინდელისა, რომელიც ჯერ კიდევ არ ენახა: სნეული, დავრდომილი, ლოგინად ჩავარდნილი. ეს კი მტკივნეულად აღიზიანებდა მის ბავშვურ პატივმოყვარეობას და, როგორც საერთოდ სჩვეოდა, ათას რამეს იგონებდა, ანუ, თავს იტყუებდა, სიმართლისთვის რომ აერიდებინა თვალი. რაც მთავარია, დავრდომილი მამის წარმოდგენას, მით უფრო - ნახვას, ყველანაირი მამის წარმოდგენა და, რასაკვირველია, მით უფრო - ნახვა ერჩივნა, თუნდაც, ჯვარცმულისა, ანდა ჯაჭვით დაბმულისა... და ამიტომაც იყო, მის აღგზნებულ გონებაში, წარამარა, გრუხუნით რომ იხსნებოდა საავადმყოფოს ნაცრისფერი კედელი და შიგნით, სიღრმეში, თანდათანობით გამოიკვეთებოდა ხოლმე პალოზე დაბმული კაცის მოღუშული სახე, მუზარადივით აელვებული წამლებისა და სამზარეულოს სუნით გაჟღენთილ ბინდბუნდში. "რატომ მოიყვანე, ხომ გითხარი, ასეთი არ უნდა მნახოს ჩემმა შვილმა-მეთქი" - ბრაზიანად ეუბნებოდა ჯაჭვით დაბმული კაცი დედას და იმავე წამს ისევ გრუხუნით იხურებოდა საავადმყოფოს ნაცრისფერი კედელი. დაბმული მამის წარმოდგენა ნაკლებად შეურაცხმყოფელი იყო ნიკოსთვის. ბოლოს და ბოლოს, ამირანიც ხომ ასე ჰყავდა ღმერთს დაბმული და

www.Litklubi.ge

თუკი ამირანს არ აკნინებდა, არც ნიკოს მამას დააკნინებდა ამგვარი სასჯელი, მხოლოდ და მხოლოდ გმირებისთვის განკუთვნილი. "წინ არ უნდა იყუროო" - დაუძახა ამ დროს დედამ და მტკივნეულად ჩამოქაჩა მხარი. ოფლისაგან ბალანაშლილმა ცხენმა საბარგო მანქანის ბორბლებზე შემდგარი საზიდარი უხმაუროდ ჩაუტარა ცხვირწინ. ნიკოც მაშინვე გამოფხიზლდა და გული აუჩუყდა, ნიკაპი აუცახცახდა რატომდაც - ესეც საზიზღარი თვისება აქვს: საკმარისია რამე ეწყინოს, ვინმე შეეცოდოს, აღელდეს ან გაბრაზდეს - მაშინვე ნიკაპი აუცახცახდება. მტერს ხომ საერთოდ ვერ დალაპარაკებია, ნიკაპი ხელით უჭირავს - და რომ აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა გაეკეთებინა, ბედად, კუ გაახსენდა ახლა, ამასწინებზე რომ მოკლეს სადღაც აქ, იმან და ვალო ბადალაშვილმა. უფრო სწორად, კუ ვალო ბადალაშვილმა მოკლა, ის კი, ნიკო, მაშინაც მხოლოდ მოწმე იყო მკვლელობისა (პაპა ამბობს, სამი მკვლელობის მოწმე ერთ მკვლელს უდრისო). უნებურად, კუს ჩაჩეჩქვილ ბაკანს დაუწყო ძებნა, მაგრამ ირგვლივ, თვალის საწიერზე, მსგავსიც არაფერი ჩანდა. ან ადგილი ეშლებოდა, ანდა, ის კუ, თავის ბაკნიანად, ტურამ წაათრია სოროში, შეიძლება, სულაც იმ ტურამ, ოდესღაც, უხსოვარ დროს, ნიკოს პატარაობისას, დედის სიმღერაში რომ დაცუხცუხებდა, წითლად გაბურძგნული და სასაცილოდ თვალებაწრიალებული, რადგან ვერ გაეგო, რატომ აძევებდნენ, რას აშავებდა და, საერთოდ, რა ესაქმებოდა იმას ნიკოსთან, ანდა - ნიკოს იმასთან.

წადი, ტურავ, დაიკარგე აქედან,
შენთვის აღარ გვცალია -
გვეძინება ძალიან...

www.Litklubi.ge

ხოდა, იმანაც დაავლო პირი მკვდარ კუს და ბაკნიანად წაათრია. ვინ იცის, როგორ გაახარა ლეკვები, ჩააწყნარა შიმშილისგან აღნავლებული სორო. ვიღაცას რომ უჭირს - ესეც პაპის სიტყვებია - ვიღაცას ულხინს. ვიღაცა კვდება, ვიღაც იბადება - ასეა ქვეყანა მოწყობილი. მკვდარი კუც ალბათ ყაჩაღის სევდიანმა ღიმილმა და სახის უცნაურმა ფერმა გაახსენა ნიკოს. ერთი წამით, ისევ თვალწინ დაუდგა, როგორ ჩათხლიშა ვალო ბადალაშვილმა ქვა, როგორ წაჰკრა ფეხის წვერი უკვე მკვდარ კუს და როგორ გადაიხსნა იგი, მოხარშულ გოგრასავით. შიგნიდანაც გოგრასავით ყვითელი იყო და იმდენი კვერცხი ჰქონდა ერთმანეთზე ასხმული, ზოგი მსხვილი, ზოგი წვრილი, მთელი მათლაფა აივსებოდა. "შენ ისეთი ყოჩაღი ბიჭი ჩანხარ, იქნება, რიყეზე ქვაც იპოვოო" - დაუძახა ყაჩაღმა. თან ისევ ისე იღიმებოდა, სევდიანად, მშობლიურად. "არ გინდათ, ნუ მეუბნებით, სიხარულისგან პურს აღარ შევჭამ დღესო" - გაიცინა ნიკომ, თავისი მოულოდნელი მღელვარება რომ დაემალა როგორმე. "ბიჭოს! შენ მართლა როგორი მიხვედრილი ყოფილხარო - კიდევ უფრო გაიღიმა ყაჩაღმა - ან ბოდბელი იქნები, ან მოხისელი, ან ხორგელი ან ოკრიბელი, ანდა ლაბსყალდელიო". "ვერ გამოიცანით, ბათუმელი გახლავართო" - ცხვირი აუბზუა ნიკომ და გამობრუნდა, წამოვიდა ნიკაპაცახცახებული, გულგასიებული, გულმოკლული, რადგან დარწმუნებული იყო, რაღაცის, მნიშვნელოვანის სათქმელად მოაბრუნა იმან, მაგრამ ბოლო წუთს მაინც გადაიფიქრა, არ მოუვიდა თვალში, არ ჩათვალა ღირსად და, რაც მთავარია, არ ენდო! ისიც ადგა და წამოვიდა. აბა, რა უნდა ექნა?! ფეხებში ხომ არ ჩაუვარდებოდა, გინდა თუ არა, გამანდე შენი საიდუმლო, გინდა თუ არა, მენდეო?! მაგრამ მეორე აღმართიც არ ჰქონდა ათავებული, ცხენების ფრუტუნ-ხვიხვინი რომ გაიგონა, რაღაცნაირად მოულოდნელი, არაბუნებრივი, დამაფრთხობელი, დამაეჭვებელი, და უფრო ადრე ისკუპა ჯაგებში, ვიდრე გაიფიქრებდა, სასწრაფოდ, რამენაირად უნდა გავაფრთხილო ჩემი ყაჩაღიო. გაიფიქრა, მაგრამ ვერ კი შეასრულა. ვერ მოასწრო და იმ ეკლიან ჯაგებში გდია თითქოს აქამდე. მილიციას კი დაემალა, მაგრამ საკუთარ თავს როგორ გინდა დაემალო, უფრო სწორად - საკუთარ სინდისს?! სინდისს ხომ სულ თან დაატარებს კაცი, სულ ალყად არტყია ირგვლივ, როგორც ჯარი - ასაღებ ციხეს. არა, პირიქით, როგორც ასაღები ციხის კედლები - ციხის ერთადერთ დამცველს, რომელიც ამ ციხის კედლებში უნდა ჩაკვდეს, რადგან მხოლოდ ამ კედლებს შორისაა მისი ადგილი, სხვაგან არსად არ ეცხოვრება, მაგრამ იქამდე, ვიდრე ჩაკვდებოდეს, უნდა იბრძოლოს, თავი უნდა დაიცვას, ვიდრე ტყვია-წამალი გაუთავდება, კბილები დასცვივა, ფრჩხილები დაატყდება, ფურთხი გაუშრება. ადამიანი სინდისია. სინდისის გარდა, რაც არ უნდა წაართვა, მაინც ადამიანი იქნება. მაგრამ სინდისი რომ წაართვა და სხვა ყველაფერი დაუტოვო, ვეღარ იქნება ადამიანი. სიკვდილის მერეც ადამიანისგან მარტო სინდისი რჩება. სინდისი იგივე სულია ადამიანისა, ანუ, სული იგივე სინდისია. აქედან თავისთავად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი რამე ყოფილა, სინდისი ყოფილა უკვდავი, ოღონდ, ისეთივე სუფთა, როგორიც თოვლი დევს უშბაზე; ისეთივე მშვიდი, როგორი მშვიდიც კვერცხია ბუდეში და ისეთივე მტკიცე, როგორი მტკიცეც ცვილის გრდემლია, მუყაოს ფარი და პანტის ზარბაზანი, დიახ, ცვილის გრდემლი, მუყაოს ფარი და პანტის ზარბაზანი, რამდენადაც მათი სიმტკიცე უსაზღვრო რწმენისა და შეუვალი გულუბრყვილობის ნაზავია და სხვა არაფერი. ამიტომაცაა, აქამდე ჯაგებში რომაა ჩამალული ნიკო, დაბღორტნილი, დაკაწრული, კურდღელივით გულაბაგუნებული, თუმცა, ახლა ნიკოსა და ნებისმიერ ბიჭს, შეიძლება, გაცილებით მეტი საერთო ჰქონდეთ, ვიდრე ჯაგებში ჩამალულსა და საკუთარ ლოგინში გაშოტილ ნიკოს, ანუ ნიკოს და ნიკოს, მაშინდელი და ახლანდელი გაგებით. იმ ბრიყვმა გოგიამ ერთი კაცი კი მოკლა, მაგრამ არც მეორეს დააყარა ნაკლები დღე: გაორა, ორად გაგლიჯა და ის ორი ნაწილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ერთმანეთს. ახლანდელი (საწოლზე გაშოტილი) ნიკო სიამოვნებით მოკლავს მაშინდელს (ჯაგებში ჩამალულს), სიამოვნებით მოიშორებს, როგორც მუწუკს, მეჭეჭს, სურდოს... როგორც ნებისმიერ ცუდ რაღაცას, ზედმეტს, შემაწუხებელს, მაგრამ უბედურებაც ისაა, არც ერთის გამოკლება რომ არ შეიძლება მთელიდან - ადამიანი ბევრი რაღაცის ჯამია, ბევრი მუწუკისა, მეჭეჭისა, სურდოსი, და ვერაფერზე იტყვის უარს, თუმცა, უარი შეიძლება თქვას, მაგრამ მოშორებით ვეღარ მოიშორებს, რაც გაჩენის დღიდან გადახდენია თავს, რაც

www.Litklubi.ge

შეუძენია და შეუძენინებიათ, რაც ჩაუდენია და ჩაუდენინებიათ - გუშინდელმა ისევე უნდა აგოს პასუხი დღევანდელზე, როგორც დღევანდელმა - გუშინდელზე, ორივემ ერთად კი - ხვალინდელზე. ლეო მოგონილია, ლეო თავის ორივე ბუნებას მშვენივრად ეგუება, ორი ბუნება აქვს, ორნაირი და არა გაორებული, ამიტომ, არც ერთი არ აწუხებს - მაინცდამაინც არც ვაჟკაცობაზე იკლავს თავს და, მაინცდამაინც, არც გოგოობა ეთაკილება, არის თავისთვის მშვენივრად, როცა უნდა ბიჭია, როცა უნდა - გოგო. ნიკო კი, ყოველთვის ბიჭი უნდა იყოს, ბიჭად გააჩინა ღმერთმა და ბიჭად ჩავა სამარეშიც. ამიტომ, მეტი მოეთხოვება, შიშის დაძლევა იქნება თუ ტკივილის მოთმენა. შიშის დაძლევა და ტკივილის მოთმენაა სწორედ ვაჟკაცობა, თორემ, არაფრის შიში თუ არა გაქვს და არავითარი გრძნობა არ გაგაჩნია, არც ადამიანი ყოფილხარ და, აქედან გამომდინარე, არავისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენ, გულადი იქნები თუ მხდალი. შორს წასვლა არ დაგვჭირდება მაგალითისთვის, ნიკოს ბებიაც საუკეთესო მაგალითია ამისა, არადა, რომ შეხედოთ, ხმელი ფოთოლივითაა, ცარიელი სულია, ანუ, ცარიელი სინდისი, მაგრამ განსაცდელი თუ შეხვდა რამე, ერთბაშად გასალკლდევდება, ხმალამოღებულ მტერს წაახდენს, ხმალს უკანვე ჩააბრუნებინებს ქარქაშში, გარეწარსა და ქურდბაცაცას ხომ მთლად მტვრად აქცევს, არაფრად, არარაობად. თან თავსაფარს ისწორებს, ვითომ მშვიდად, დინჯად, აუღელვებლად, ხელები კი უცახცახებს. წვრილი, გადათეთრებული ტუჩებიც უთრთის, მაგრამ შიშისაგან კი არა, შიში უკვე დაძლია, დაძლეული შიშისაგან, სიბრაზისაგან, მრისხანებისაგან. "შენ ჩემს ოჯახთან რა ხელი გაქვს! ხომ არ გგონია, ქალია და მოვერევიო?!" - თან ნელა, ლამის შეუმჩნევლად მიიწევს მტრისკენ, გარეწრისკენ, ქურდბაცაცისკენ. იმის მერე აღარც გამოჩენილა ის ბინძური ნასყიდა. ნიკოს პაპაზე ამბობს, ფარული მიმოწერა აქვს გაქცეულ მთავრობასთანო. იუდა! თუმცა იუდაც არ არის. იუდა იმასთან ქრისტეა. იუდამ დაასმინა და თავი ჩამოიხრჩო, ეს რა ჩავიდინეო, ნასყიდას ხე კი, არც არასდროს ყოფილა და არც არასდროს იქნება. ნასყიდები თავს არ იკლავენ. ნასყიდები თავს უფრთხილდებიან, რადგან უტყუარი ალღოთი გრძნობენ, საჭირონი არიან ცხოვრებისთვის, იციან ცხოვრების მუდამი. კაცმა რომ თქვას, არც უნდა გაუკვირდეს ვინმეს ეს ამბავი. განა ბუნებაში ყველაფერი მშვენიერია?! რამდენი რამეა ამაზრზენი, საზიზღარი, გაუგებარი, მიუღებელი, - ცხოველი იქნება, მცენარე თუ მწერი. ცხოვრება კი ბუნებისგან იღებს მაგალითს, ბუნების მიმბაძველია, კარგის გვერდით ცუდიც უნდა ჰყავდეს, ლამაზის გვერდით მახინჯი. ნასყიდაც ერთი ჩვეულებრივი შანტაჟისტია, რა ნიჭითაც ბუნებამ დააჯილდოვა, იმით შოულობს ერთ-ორ ლუკმა პურს. რა იმისი ბრალია, თუკი მის ხელობას ჯერ კიდევ გასავალი აქვს?! თევზაობა იქამდე არ მოიშლება, ვიდრე თევზი ანკესის ყლაპვას არ მოიშლის. ისიც ასეა, ვიდრე კაცს იმისი შიში და მორიდება არ გაუქრება, ისიც იარსებებს. ათასნაირ სისაძაგლეს უგონებს ხალხს, ფული რომ გამოსძალოს. ყველანი დაშინებული ჰყავს, დამნაშავეა თუ ალალმართალი. ამდენს თუ მომცემ, მოვსპობ ამ საქმესო - არადა, არავინ იცის, რა საქმეზეა ლაპარაკი, შიშით კი ყველას ერთნაირად ეშინია და ყველა ერთნაირად უკუჭავს ფულს. მაგრამ ამათთან მაინც შეცდა, პაპის მაგივრად, ბებიას გადაეყარა. ეს კი, ეტყობა, ვეღარ გაითვალისწინა წინასწარ. "იმიტომ კი არა ვართ მშიშრები, შენიც რომ გვეშინოდეს, შე წუნკალოო" - უთხრა ბებიამ. მერე აღარც გამოჩენილა, აღარც გამოუხედავს აქეთკენ, თუმცა, როგორც ამ ბოლო დროს გამოირკვა, მაინც დაუცანცლავს პაპისთვის ერთი ფუთი ღვინო.

www.Litklubi.ge

უფარაანთ გიორგის კი, ამასობაში, უპოვია მოკლულის ფეხსაცმელი და გვერდულად ჩამოდის სარდაფის კიბეზე. ასაკი მაინც თავისას შვრება. ექიმისა არ იყოს, აღარ არის ძველი ჯანი, დრომ წაიღო, ცხოვრებამ, ოჯახმა (თანაც რა ოჯახმა!), სამსახურმა. ყველასა და ყველაფერს რაღაც მიაქვს, თანაც სამუდამოდ. ადამიანიც ხესავითაა: აყვავდება, კვირტს გამოიტანს, ნაყოფს დაისხამს, დაიკრიფება და გათავდება, დასცვივა ფოთოლი. პოეტისა არ იყოს: ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს. "უბედურ ვარსკვლავზე ყოფილა ჩემი ბიჭი დაბადებულიო - შესჩივის ლეიტენანტს. მოკლულის ტალახშემხმარი ფეხსაცმელი ორივე ხელით უჭირავს, ფოსტის მტრედივით, თითქოს ცაში უნდა აისროლოსო. - თვითონაც ხომ დაიღუპა და დაიღუპა, ჩვენც რამოდენა ცოდვაში ჩაგვყარა, რამოდენა ლოდი აგვკიდა, თითქოს გვაკლდა ბიძამისისგან ან ერთი და ან მეორეო - ჩივის ბებრულად, უმწეოდ. - ჩავკიდოთ უნდა მე და ჩემმა დედაბერმა ერთმანეთს ხელი და გადავცვივდეთ ალაზანშიო". კი, აბა! ჩქარ-ჩქარა თქვას! ერთი თავის დედაბერსაც შეეკითხოს ჯერ, უნდა თუ არა, გათოშილ ალაზანში ჭყუმპალაობა. სულ მაგ ჭკუაზეა. ჯერ არ გადაუხვევია ქმრის სიტყვისთვის და ამ სიბერეში რა ღმერთი გაუწყრება?! არც კი შეეპასუხება ალბათ, რაკი ჩემს ქმარს ასე მიაჩნია, ეტყობა, ასეა საჭიროო, ალბათ ესაა ერთადერთი გამოსავალი, ადამიანმა ხელი რომ აიღოს ცოდვაზეო. ქმარს რომ პატივს სცემს, იმიტომ ფიქრობს ასე და, იმიტომაცაა, აქამდე სული რომ უდგას ქვეყანას, ჯერ კიდევ რომ არსებობს ოჯახი. ბოლოს და ბოლოს, ქალი კაცის მტრად კი არა, მეგობრად გააჩინა ღმერთმა, თანამესაყდრედ, თანამეცხედრედ, თანამდგომად, თანამზრახველად. პაპა ამბობს, ქალის გაბედნიერებული ღმერთმაც ვერ გააუბედურაო, თუმცა, ვეღარც ქალის გაუბედურებული გაუბედნიერებია ღმერთს. მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. ნიკოს პაპას ანდაზა არ დაელევა - რა უნდა მოხდეს, რა უნდა ითქვას ისეთი, ანდაზა ვერ მიუსადაგოს მაშინვე.

- ამ... ამ... ამ... - უყეფს ლეიტენანტი უფარაანთ გიორგის, თითქოს ეთამაშება, ეხუმრება, თითქოს სიცივისა და ბევრი ფიქრისაგან, ჭკუიდან გადაცდა უცებ. სინამდვილეში კი, მღელვარებისაგან ენა ებმის, ვერ აგრძელებს სიტყვას. - ამ კაცს აღარც ჩაცმა უნდა, აღარც დახურვა, - ამბობს ბოლოს. - მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ჩავაცვათ თავის ფეხსაცმელი. ვის რა დაუშავდება, რომელი კანონი დაირღვევა ამით?! - ბრაზდება უცებ.

თავსაც ეკითხება, უფარაანთ გიორგისაც და სარდაფის თაღსაც. თუმცა, თაღი არც გამოჩნდება ალბათ. პირიქით, უფრო მეტი წყვდიადი იქნება იქ შეყუჟული.

- უნდა ეცვას, რატომ არ უნდა ეცვას, ეგ უკვე ყველასთან მართალია. - ამბობს უფარაანთ გიორგი, ფიქრიანი, დაეჭვებული. უყვარს სიტყვის აწონა, თქმამდეც და მერეც. იცის, ყველაფრის თქმა არ შეიძლება, რაც ენაზე მოადგება. ამითაც განსხვავდება თავისი ცოლ-შვილისგან, ანდა, სულაც იმათი შემხედვარე მიხვდა, კარგი რომ არაფერი მოსდევს დაუფიქრებელ, მოუზომავ სიტყვას.

ნელა ადის კიბეზე. ხვნეშის, ოხრავს ბებრულად, ვიდრე აათავებდეს კიბეს და კარს გაიხურავდეს. ლეიტენანტს კი გვამის ფეხთით ჩაუმუხლავს და მეორე ფეხსაცმელსაც აცმევს. თან ელაპარაკება, როგორც ჭირისუფლები ელაპარაკებიან ხოლმე თავიანთ მკვდრებს სასაფლაოზე: ეს რა მიყავი, როგორ დამღუპე, როგორღა უნდა შევხედო შვილს თვალებშიო.

უცებ, მოკლული ბრეზენტს გადაიძრობს, წამოჯდება და ეტყვის: რა გინდა, ადამიანო, რატომ თავს არ გამანებებო.

www.Litklubi.ge

ესეც თქვენი სასწაული! ეტყობა, ავად როა, სხვანაირად ფიქრობს კაცი, სხვანაირად კი არა, უჩვეულოდ, უცნაურად, უფრო თამამადაც, თავისუფლად. აღარაფრის ერიდება, აღარაფრის ეშინია, აღარც წესი ახსოვს, აღარც ადათი, თითქოს რაკი ავადაა, ყველაფერი ეპატიება; კიდევ უარესი - თითქოს რაკი ლოგინში ჩააწვინეს, აღარასოდეს წამოდგება ლოგინიდან, ანდა, თითქოს ლოგინი, ჯადოსნურ ხალიჩასავით, სულ სხვა ქვეყანაში გადაიყვანს, სადაც არც მტერი ეყოლება, არც მოყვარე; სადაც საკუთარი სინდისის გარდა, ვერავინ ვერაფერზე ვერ მოსთხოვს პასუხს, რაზეც უნდა, იმაზე იფიქრებს და რასაც უნდა, იმას წარმოიდგენს. შეუძლია იძახოს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ანდა, პოეტი ვარ მისტიკოსი, წინდები მაქვს ფილტიკოსისო. ამიტომ, არც ლეიტენანტს გაუკვირდება მკვდრის გაცოცხლება - ბრეზენტს რომ გადაიძრობს, წამოჯდება და ჰკითხავს: რა გინდა, ადამიანო, რატომ თავს არ გამანებებო - კი არ შეიცხადებს, რა ხდება, რა ამბავია, ცხადია, თუ სიზმარიო, კითხვას შეუბრუნებს მხოლოდ: შენ თუ იცი, მამა რომ უნდა გავხდე დღე-დღეზეო. მოკლული კი უკვე წამომდგარა, ბრეზენტი მხრებზე მოუხურავს - რაც არ უნდა იყოს, სარდაფში ერთნაირად ცივა ცოცხლისთვისაც და მკვდრისთვისაც - და ბოლთას სცემს, ფეხსა შლის სარდაფის ერთი კედლიდან მეორემდე, ეტყობა, გზაში სახსრები გაუშეშდა, ცხენის ზურგზე გადაკიდებულს. ტკაცატკუცი გაუდის. იღიმება, სიამოვნებს საკუთარი სახსრების ხმა. სხვა არავითარი გრძნობა არა აქვს, მით უფრო ლეიტენანტის მიმართ, არც სძულს, არც ეცოდება, არც... თუმცა, რა გრძნობა უნდა ჰქონდეს მკვდარს ცოცხლის მიმართ?! თუ საერთოდ თავს გაანებებს ცოცხალი, მით უკეთესი, მკვდრისთვისაც, ცოცხლისთვისაც. ტყუილად ხომ არ მიაძახებს ხოლმე ცოცხალი მკვდარს: ჩვენკენ აღარ გამოგეხედოსო. ასეა მკვდარიც. ის უკვე საიქიოს ეკუთვნის და სააქაოსი აღარაფერი გაეგება. აღარაფერი არ უნდა, დამარხვის მეტი. არც აინტერესებს. მართლაც, რა საინტერესოა, რას ფიქრობს მასზე ლეიტენანტი, რას ამბობს ნასყიდა, რას ყვებიან ქალაქში, რა მნიშვნელობა აქვს, რა შეიცვლება მისთვის, მართლა ბაზრიდან მობრუნებული ხალხის გასაძარცვავად იმალებოდა ნასაყდრალში თუ შეყვარებულს უნდა შეხვედროდა იქ; სხვაგან აღარსად ჰქონდა წასასვლელი, რაკი ომიდან დაბრუნებულს, დედ-მამა დახოცილი, ცოლი გათხოვილი, შვილი კი გაძიძავებული დაუხვდა; თუ, როგორც სულელმა ბავშვმა, მისტიკოსმა პოეტმა წარმოიდგინა, ამირანის შვილი იყო, გაცოცხლებული, ზღაპრებიდან გადმოსული და, ძალაუნებურად, ამ აყროლებულ ნასაყდრალს შეაფარა თავი. შეიძლება, თვითონ არც აპირებდა და თავისთავად მოხდა ასე: შემთხვევით შეიხედა ნასაყდრალში, ვის უნთია, ნეტავ, ცეცხლიო, და რადაცნაირად მოეწონა იქაურობა, მიიზიდა, მონუსხა, მოაჯადოვა ძველისა და ახლის, გარდასულისა და გადასატანის უცნაურმა, უჩვეულო შერწყმამ, შერწყმამ კი არა, სიბინძურისა და სიწმინდის თანაარსებობამ... თუმცა, ახლა ამასაც არა აქვს მნიშვნელობა. უკვე მკვდარია, ხოლო, რაკი მკვდარია, სრულებითაც არ აწუხებს, არ ეზოთირება სიკვდილი. მკვდრისთვის სიკვდილი იგივეა, რაც ცოცხლისთვის სიცოცხლე. ოღონდ, ზუსტად არავინ არ იცის, რომელი რომელია - იქნებ, სწორედ სიკვდილია სიცოცხლე, სიცოცხლე კი - სიკვდილი?!

www.Litklubi.ge

მოკლული სარდაფის კუთხეში ჩერდება, მობუზული, ბრეზენტმოხურული (ნახევარი ძირს დასთრევს) და იცინის. "რა გაცინებსო" - უკვირს ლეიტენანტს. რომ გაცოცხლდა, არაფერი - რომ იცინის, ისაა საკვირველი. "მართლაც, რა მაცინებსო" - არანაკლებ უკვირს მოკლულსაც. იცინის კუთხეში ატუზული, დასჯილი ბავშვივით; ბრეზენტმოხურული, ღამის დარაჯივით. მაღლა კი, ქალაქში, ქარი დაძრწის, ყველგან ცხვირსა ყოფს, უპატრონო ძაღლების ხროვასავით ღმუის, წკავწკავებს, გამწარებული დაეძებს რაღაცას, სამუდამოდ, უიმედოდ დაკარგულს თავისივე უყურადღებობის გამო. რა დაკარგვია, ნეტავ? ანდა, თავად ვის დაჰკარგვია?! აღარ უნდა დაწყნარდეს?! პაპა ამბობს, ამერიკელებმა ყუმბარა რომ ჩამოაგდეს იაპონიაში, იმის ბრალია, იმან შეცვალა ბუნებაო. ბებია კი არ ეთანხმება. ბებიის აზრით, გასაკვირი ის იქნება, ამ დროს ქარი რომ არ ქროდეს. ჩემს სიყმაწვილეშიც ასე იყოო - იძახის ჯიუტად. - ძველი აღარაფერი გვწამს, მაგრამ ქარი მაინც ძველებურად უბერავსო. ხალხი სახლებში შეყუჟულა, ლოგინებში ჩათბუნებულა და დამფრთხალი, განაბული ელოდება ქარის ჩადგომას. განაბვაც, გაყუჩებაც, დაცდაც ნიჭია. თუ ვერ დაეწევი, დაჯექი და დაუცადეო - იტყვის ხოლმე პაპა. ის კი, მოკლული, ფეთიანივით გამოვარდა ნასაყდრალიდან: აქა ვარ, მესროლეთო. ახლა კი თვითონვე იცინის თავის სულსწრაფობაზე: ისე გიჟივით გამოვვარდი ნასაყდრალიდან, მგონი, ცოტა შეგაშინეთ კიდეცო. "იცოდე, მე არ დამიბეზღებიხარო" - ეძახის ნიკო ლოგინიდან, პირმოკუმული, მაგრამ მაინც არავის არ ესმის მისი - მოკლული არც იხედება იმისკენ, ლეიტენანტთანა აქვს საქმე და სწორიცაა: ლეიტენანტი ღამეს უთევს სარდაფში, ნიკო კი თავის ლოგინში კოტრიალობს. მოკლული თან იცინის, თან ლეიტენანტს ეხვეწება, თავი გამანებეო, მკვდარსაც დაასვენებენო, მე არც არავის ვამტყუნებ, არც არავის ვუჩივიო, არც მონანიების სურვილი მაწუხებს, არც შურისძიებისაო, უკვე გავასწორე ქვეყანასთან ანგარიშებიო.

- ერთი კი მიკვირს, - აგრძელებს ცოტა ხნის შემდეგ, ისევ სიცილით. - ასე ბრმად, ასე ჰაიჰარად რატომ გამომიყვანეთ წირვა? სახელი მაინც გეკითხათ, იქნებ, არ ღირდა ჩიტი ბდღვნად?!

- მართალი ხარ, - ეთანხმება ლეიტენანტი მხურვალედ. - ამიტომაც ვერ წავსულვარ შინ, სინდისი არ მიშვებს...

- აბა, არ ვყოფილვარ მთლად დაღუპული, - იცინის მოკლული, იქით ამშვიდებს ლეიტენანტს. - ვიდრე ადამიანს სინდისი აუხებს, ყველაფერს ეშველება კიდევ, რადგან მთავარი ის კი არ არის, ღმერთმა ტალახისგან რომ შექმნა ის, არამედ, მთავარია, თავისი სული რომ ჩაჰბერა იმ ტალახს.

- მაინც, ვინა ხარ? რა გქვია? - ფრთხილად ეკითხება ლეიტენანტი, ვითომ სხვათა შორის.

- ტანტრე მქვია, დაკარგულ ვირს დავეძებდი და თქვენს ყეყეჩ გოგიას კი გადავეყარე - იცინის მოკლული.

- მართლა გეკითხები, რა მეხუმრება! - ცხარდება უცებ ლეიტენანტი.

www.Litklubi.ge

მოკლული კი ისევ იცინის: სიმართლისთვის ცოტა დაგვიანებული ხომ არ არისო. სწორედ ამ დროს, ზემოთ, კიბის თავში, სარდაფის კარი ღრჭიალით იღება და მოკლულიც სასწრაფოდ ბრუნდება თავის ადგილას, ბრეზენტს ისევ ზემოდან იფარებს და გულაღმა, გულხელდაკრეფილი წვება გათოშილ ფილაქანზე, როორც იქამდე იწვა, ვიდრე წამოჯდებოდა და ლეიტენანტს ეტყოდა: რა გინდა, ადამიანო, რატომ თავს არ გამანებებო. ლეიტენანტიც ისევ ისე ფეხთით უჯდება ბრეზენტგადაფარებულ გვამს და სარდაფის კიბეს ასცქერის, ყურადღებად, მოლოდინად ქცეული. ცოტა გაღიზიანებულიც, მკვდარი რომ დაუფრთხო ვიღაცამ, შეაწყვეტინა ძლივს გაბმული საუბარი. არადა, შეიძლებოდა, მართლა ეთქვა მკვდარს თავისი ვინაობა, აღსარების ხასიათზე იყო მოსული და, მაინცდამაინც მაშინ მოუნდა უფარაანთ გიორგისაც (კიდევ ერთხელ) თავის გამოჩენა უფროსის დასანახად, ვითომ, ნახეთ, როგორი ყურადღებიანი ვარო, მეც თქვენთან ერთად ვფხიზლობ, მეც თქვენთან ერთად ვათევ ღამესო. "სხვათა შორის, ზედმეტი, თვალშისაცემი თავგამოდებაც ხშირად აფუჭებს საქმესო" - ბრაზიანად ფიქრობს ლეიტენანტი. კიბის საფეხურები კი თანდათანობით ნათდება მოუსვენარი, აფორიაქებული სინათლით. ლეიტენანტი უფარაანთ გიორგის ელოდება, მაგრამ ამჯერად ლამარა ჩამოდის კიბეზე, მისი ფეხმძიმე მეუღლე. ერთ ხელში ჭიქა უჭირავს, მეორეთი კი ხალათის კალთები მოუბოჭავს მუხლს ზემოთ. ხალათის ქვეშ ყვავილებიანი ბამბაზიის შარვალი აცვია. თუმცა, რა ჩანს იმ სიბნელეში, რა აცვია ლამარას ხალათის ქვეშ. რაც აცვია, ის აცვია. ეს კი არ არის მთავარი, მთავარია, ქმარს რომ მოაკითხა, გულმა რომ ვერ გაუძლო და არაფერს არ მოერიდა ამ შუადამისას, არც სიბნელეს, არც ქარს, არც ორსულობას. ქმართან გამოიქცა, იქნებ, როგორ უჭირს, იქნებ, როგორ სჭირდება მეგობრის თანაგრძნობაო. ბარაქალა იმის ქალობას! კიდევ ყოფილან ღირსეული ქალები. ჭრაქის შუქით დაფლეთილი წყვდიადი აქეთ-იქით აწყდება სარდაფის კედლებს. ხან ბრეზენტგადაფარებული გვამის წინ ჩამჯდარი კაცის ჩრდილი (ათმაგად გაზრდილი) გადაირბენს კედელზე, როგორც ეკრანზე, ხან თავად ბრეზენტგადაფარებული გვამისა - დევის საფლავის ბორცვივით უზარმაზარი. ლანდები იწელებიან, გრძელდებიან, ითიშებიან და ერთდებიან ისევ. ლამარა შუა კიბეზე ჩერდება და წინ გადმოხრილი ჩასცქერის სარდაფის იატაკს. "როლანდ. როლანდ" - იძახის გაუბედავად. საკუთარ მუხლებზე ხელებშემოხვეული ლეიტენანტი კიბეზე შეყოვნებულ ცოლს აჰყურებს, გაფაციცებული ასცქერის, თითქოს მისი ცოლი კი არ არის, მის ცოლს ასახიერებს და სწორედ ის ვერ გამოუცვნია ჯერ, თუ ვინ ასახიერებს მის მეუღლეს ასე მშვენივრად (სხვათა შორის, ბათუმის თეატრისგან განსხვავებით, აქაურ თეატრში მთავარია, მსახიობი გამოიცნო - იმას კი არ უსმენენ, რას ამბობს ესა თუ ის მსახიობი, იმაზე კამათობენ, სიკოა თუ გიგუშაო. მსახიობებიც, როლის დაზეპირებაზე მეტად, იმაზე ფიქრობენ, როგორი გრიმი წაისვან, რა ჩაიცვან და დაიხურონ, მაყურებელი რომ დააბნიონ, მაყურებელმა რომ ვერ იცნოს, გაუჭირდეს მაინც მათი ცნობა, და არის ერთი გაბმული, განუწყვეტელი სიცილ-ხარხარი, დარბაზშიც და სცენაზეც, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მსახიობს ეჯობნოს დარბაზისთვის და ხახამშრალი დაეტოვებინოს ბოლომდე). უხმოდ ასცქერის კიბეზე შეყოვნებულ მეუღლეს, რომელსაც ერთ ხელში აპარპარებული ჭრაქი უჭირავს, მეორეთი ხალათის კალთები მოუბოჭავს და მართლაც მსახიობივით იყურება აქეთ, სიბნელისკენ. უკვე ისიც ხედავს თავის ქმარს და ცოტათი მშვიდდება, აღარ ეძახის, აღარ უხმობს. წესით, ახლა ქმარი უნდა შეშფოთდეს, წამოხტეს, შეეგებოს - ოჯახიც თავისებური თეატრია, ცოლქმრობა ძალაუფლებისთვის ომია და ქმარი, თურმე, სულ იმის ცდაშია, ცოლი როგორმე თავის ადგილს მიაჩვიოს, როგორც ლეკვი - თავის ფიჩვებსა და თავის ძვალს. მაგრამ ცოლი სულ განზე იწევს, თურმე, სულ მაღლა და მაღლა იცქირება, და იქამდე არ მოისვენებს, ვიდრე ქმარს მათრახს არ ააღებინებს ხელში, ანდა, ფიჩვზე ფიჩვსა და ძვალზე ძვალს არ დაამატებინებს. გააჩნია, ვინ უფრო მტკიცე აღმოჩნდება ბოლომდე. ასე ყოფილა და ასე იქნებაო - ამბობს პაპა. და მართლაც, "ლამარაო" - შესძახებს ცოლის გულისხმიერებით, ცოლის ერთგულებით შეძრული ლეიტენანტი, სხარტად წამოხტება, კიბეზე აირბენს, ცოლს შეეგებება, სათუთად, ნაზად შემოხვევს ხელს საკმაოდ გამსხვილებულ წელზე და ახლა უკვე ფრთხილად,

www.Litklubi.ge

თითქოს გაუბედავადაც, უკანვე ჩამოჰყვება ახლახან არბენილ საფეხურებს, ცოლთან ერთად, ცოლიანად. თან ეფერება, თან ტუქსავს ცოლს: რამ გამოგიყვანა ამ შუაღამისას ქუჩაშიო; ხომ ხედავ, როგორი ქარიაო; შენთვის გაციება არ შეიძლებაო; თავს უნდა გაუფრთხილდეო; არ მაკლია მე სადარდელიო - თავს გაიქნევს ბრეზენტგადაფარებული გვამისკენ - მაგრამ უცებ ცოლის ნამტირალევ თვალებს დაინახავს და გული მოერღვევა: ნამტირალევი რადა ხარ, ლამარაო! - შესძახებს ხმაათრთოლებული. ჯოყოლაც ხომ ასე ეკითხება თავის ცოლს, ნამტირალევი რადა ხარო, რადგან ძალიან უნდა, უცხო კაცს გლოვობდეს მისი ცოლი, უფრო სწორად, ძალიან უნდა, მისი ვარაუდი გამართლდეს, არ მოატყუოს გულმა, წინათგრძნობამ, რადგან კარგად იცნობს თავის ცოლს და დარწმუნებულია, არაფერი შეეშლება იმას, ისე მოიქცევა, როგორც უნდა მოიქცეს, როგორც თავისი ქალობა უკარნახებს. მერე რაა, რომ უცხოა?! თუ ღირსეული ქალი ხარ, მკვდარი ვაჟკაცი უნდა დაიტირო, ვინც არ უნდა იყოს ის. სიკვდილსა გლოვა უხდება, ლამარა. გახსოვს? ხომ ვისწავლეთ სკოლაში?! სიკვდილსა გლოვა უხდება... მერე? მერე როგორ არის? აღარ მახსოვს. - შუბლზე ითამაშებს თითებს, ამაოდ ცდილობს დიდი ხნის წინათ დავიწყებული ლექსის გახსენებას. "რას უზიხარ აქ, რატომ არ მოხვედი?! - აწყვეტინებს ლამარა. - რაღა არ ვიფიქრე, რაღა არ წარმოვიდგინე... მეშინია, როლანდ! არა, ნუ მეტყვი. ისედაც ვიცი (რა თქმა უნდა, იცის. მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს ალბათ). მაგრამ, რა ჩვენი ბრალია?! რა შენი ბრალია?! რა შენი ბრალია-მეთქი, როლანდ! მომხდარა და კიდევაც მოხდება, მაგრამ მე არაფერი არ ვიცი. არც მინდა, ვიცოდე, როლანდ. მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ვიცი, რისი ცოდნაც მყოფნის. ვიცი, რომ ქალი ვარ, ვიცი, რომ ქმარი მყავს, ვიცი, რომ შვილი მეყოლება. როგორც არ უნდა ეცადოთ, სხვას ვერაფერს შემაგნებინებთ. ტყუილად კი არ მეძახდა მამაჩემი ბენტერას! ჩემი ბენტერა გოგოო - თითქოს უხაროდა, ბენტერა რომ ვიყავი. თითქოს კი არა, მართლა უხაროდა, იმიტომ, რომ მამა იყო და გული შესტკიოდა ჩემზე. ქალი ბენტერა უნდა იყოს, თუ უნდა რომ ქალი იყოს - ცოლი, დედა, დიასახლისი. გეომეტრია და ისტორია რა ჩემი საქმეა, როლანდ! რა ჩემი საქმეა, როდის იყო პომპეუსი საქართველოში! იყო? თუ იყო, თქვენი ბრალია, კაცებისა. მე ბავშვის საფენები უნდა ვრეცხო, შენი წინდები ვკემსო, სადილი დავდგა, სახლი დავგავო და თან იმაზე ვიფიქრო, კიდევ რა გავაკეთო, რა ესიამოვნებათ ჩემს ბატონებს-მეთქი. ქალი მაშინაა ბედნიერი, როცა ქმარ-შვილის ქვეშევრდომია. იმიტომ, რომ ნებაყოფლობითი ქვეშევრდომობა იგივე სიყვარულია. რომ გიყვარს, იმიტომ ემსახურები და არა იმიტომ, ქალის ხვედრი როა ასეთი, როგორც ზოგიერთები ამბობენ. მაგრამ მე არც ვუსმენ და არც მაინტერესებს იმათი ნალაპარაკები. აგერ, ევგენია დუგლაძე სასწავლო ნაწილის გამგეა, პაპიროსსაც ეწევა, ღვინოსაც სვამს, ტოლს არ უდებს კაცებს, მაგრამ, ღვთის წინაშე მაინც უბედურია, მაინც საბრალოა და საცოდავი. ქალი რომ სარკეში ჩაიხედავს და ქალურობის ნასახსაც ვერ აღმოაჩენს იქ, უბედურიცაა და მეტიც. ერთხელ... არ უნდა ვამბობდე, მაგრამ თავგზა მაქვს არეული, ღმერთი მაპატიებს ალბათ - მთვრალს ჩაუხედავს სარკეში და დაუყვირია: ვინა ხარ, რას მიბღვერ ყაძახოო! ქალი რომ შვილს არ იყოლიებს, სხვისას რატომ გაზრდის, ანდა, როგორ გაზრდის?! ქალი ბოროტიცაა, როლანდ, შურიანიცაა. თვითონ თუ არ ჰყავს, ყველანაირად ეცდება, სხვასაც არ ჰყავდეს. ანდა, სხვისას ისე მოაქცევს, საკუთარმა დედამაც ვეღარ იცნოს, საკუთარმა დედამაც აღარ ინდომოს. გააყაჩაღებს, გაასულელებს, საკუთარმა დედამაც რომ თქვას, შენს გაჩენას, მერჩივნა ლეკვი გამეჩინაო. ტუჩებში შემოჰკრავს ბეჭდიან ხელს... თუმცა, რა დროს ესაა, ღმერთმა აცხონოს მამაჩემი, სულ მთლად გამოვბენტერდი, იმის მაგივრად, როგორმე ამოგიტყუო აქედან, როგორმე შინ მიგიყვანო, როგორმე დაგამშვიდო, გაგათბო, დაგაპურო, გუნება გამოგიკეთო - ვდგავარ და ევგენია დუგლაძეს ვჭორავ. კისერი უტეხია! რა ჩემი საქმეა, თუნდაც გალიფე ჩაუცვამს და წვერ-ულვაში დაუხატავს. ჩვენ ჩვენს გზას მივხედოთ, იქ მივიდეთ, სადაც მიგვიყვანს. ხვალ-ზეგ შვილი გვეყოლება, პატარა ბეკეკო, ბაჭია, ფისუნია. გოგო გინდა თუ ბიჭი? არ მიპასუხო. არ მიპასუხო! მაპატიე. რა თქმა უნდა, სულერთია. რასაც ღმერთი მოგვცემს, ჩვენც იმის მადლობლები ვიქნებით. არადა, უკვე არის, უკვე არსებობს. გიცნობს და უყვარხარ კიდეც. მარტო რომ ვართ, სულ შენზე ვლაპარაკობთ. ყველაფერი ესმის, იმიტომ კი არა, ჩემი რომაა, მართლა

www.Litklubi.ge

ესმის. მე რომ ვღელავ, ისიც ღელავს. მე რომ მეშინია, იმასაც ეშინია, მე თუ ძილი გამიტყდა, ვერც ის იძინებს. შენი ჭირიმე, როლანდ, წამიყვანე შინ! წაგვიყვანე. ცუდად ვარ, როლანდ, თავბრუ მესხმის. დღეს ორჯერ შემიღონდა გული, სიმარტოვეში, შიშში, მოლოდინში... ჩემს თავს არ ვჩივი, ამას არ ვატკინო-მეთქი რამე, - კისერზე ეხვევა ლეიტენანტს, ვითომ, მართლა უღონდება გული. ქმარს ატყუებს, აშინებს, ისევ ქმრის სასარგებლოდ, იქნებ, როგორმე მართლა აიტყუოს ამ გათოშილი სარდაფიდან. აიტყუებს კიდეც - ისაა ლეიტენანტის ფასკუნჯი. მარტო ოცნების ამარა ჯერ არავინ ამოსულა ქვესკნელიდან. ოღონდ, საკუთარი ხორცი უნდა შეაჭამო ფასკუნჯს, საკუთარი ბარძაყი უნდა გამოიჭრა საკუთარი ხელით და ასევე საკუთარი ხელით ჩაუდო პირში გაუმაძღარ ფრინველს, თუ გინდა, რომ ქვესკნელიდან ამოგიყვანოს, სამზეოზე ამოხვიდე როდისმე, გაიხედ-გამოიხედო, თავი დააღწიო მარადიულ ნესტსა და წყვდიადს, გულის დამზაფრავ ფიქრებს. მაგრამ სამზეოზე ამოსული, შენც მაშინვე ისეთი გახდები, როგორიც შენს გარშემო მცხოვრები ხალხია. მერე რა მოხდა, რითია ცუდიო - იკითხავ შენ და მართალიც იქნები. პირიქით, ცუდი კი არა, კარგია. შენს გარშემო ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები არიან: პაპაც, ბებიაც, დეიდაც, ძია სანდროც, მარგალიტაც, იოსებაც, გიუკოლაც, ევგენია დუგლაძეც, ვანო მასწავლებელიც, გოგიაც... ყველანი. საერთოდ, ადამიანი ჩვეულებრივია და ასეთიც უნდა იყოს - ჩვეულებრივი - ანუ, ცოტა გულადიცა და ცოტა მშიშარაც, ცოტა გულუხვიცა და ცოტა ძუნწიც, ცოტა კეთილიცა და ცოტა ბოროტიც, ცოტა ჭკვიანიცა და ცოტა ბრიყვიც, ცოტა ბედნიერიცა და ცოტა უბედურიც, რადგან ეს "ცოტა-ცოტაობა" აძლებინებს სწორედ - ბევრი ყველაფერი მავნებელია, ძალიანაც რომ უნდოდეს, ჩვეულებრივი ადამიანი ბევრს მაინც ვერ მოერევა, ვერც სიყვარულს, ვერც სიძულვილს, ვერც სიმდიდრეს, ვერც სიღარიბეს, ასე რომ, მართლა არაფერი დაშავდება, თუკი შენც ჩვეულებრივი ადამიანი იქნები, არ გაამართლებ ძუძუმოშიშვლებული მარჩიელის წინასწარმეტყველებას და, სხვებივით, მარტო საკუთარ მუცელზე იფიქრებ. მართალს ამბობს ლამარა, მომხდარა და მოხდება კიდეც, მაგრამ რა შენი ბრალია და, საერთოდ, რა შენი საქმეა, ვინ ვის კლავს, ვინ ვის ძარცვავს და ვინ ვისი დამქაშია. ერთი ჰიტლერი, ერთი ური ჰიპი და ერთი კაციჭამია ღორი ყოველთვის უნდა იყოს და იქნება კიდეც ამ ქვეყანაზე. ზღაპრებში რაც წერია, ცხოვრებიდანაა აღებული, ოღონდ, კაცს ეშინია სიმართლისა და ათასნაირად აფუჩეჩებს, თავის სივერაგეს მელიას მიაწერს ხოლმე, თავის სიხარბეს - მგელს, თითქოს ასე განიწმინდება, განიკურნება, თვითონ ცხოველივით კარგი გახდება, ცხოველი კი - იმასავით ცუდი. შენი კარგი მე, ჩემი ცუდი შენ. მაგრამ, ვიდრე თავისი ნაკლისა და თავისი სიგლახის დამალვასა და გადაბრალებას არ მოეშვება, ვერც ჰიტლერს, ვერც ური ჰიპსა და ვერც კაციჭამია ღორს მოიშორებს თავიდან. აკი, ლამის მართლა შეჭამა ღორმა მანია ძალო! ისე იყო დაკბენილი, საავადმყოფოში დააწვინეს. შვილი დიდი კაცი ჰყავს თბილისში, ექიმიანად ჩამოვიდა. აქაურ ექიმებს არ ენდო. მაგრამ იმან რა ქნას, ვისაც შვილი დიდი კაცი არა ჰყავს?! ის უნდა ენდოს - სხვა რა გზაა?! იმას კი, დიდ კაცს, მატარებლისთვისაც არ დაუცდია და სწორადაც მოქცეულა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ კახეთის მატარებლის ამბავი: აღმართს რომ შეუდგება, მგზავრები ჩამოხტებიან ხოლმე და გვერდით მისდევენ, როგორც ვირიტაჭკას. თან ხელითაც აწვებიან, ეხმარებიან. ტყუილი ხარჯია და მეტი არაფერი, მაგრამ რა უნდა ქნან? ყველანი მატარებლით დადიან და ისინი ხომ არ გამოირჩევიან ყველასაგან, ვინმეს ხომ არ ათქმევინებენ, ეს რა აჯამი ხალხი ყოფილაო?! დაცინვის რომ არ ეშინოდეთ, დაადგებოდნენ ლიანდაგს და, შეიძლება, მატარებელზე ადრეც ჩამოსულიყვნენ თბილისიდან წნორში. ის კი, დიდი კაცი, ჯერ თელავში ჩაფრინდა თვითმფრინავით, თელავში კი მანქანა იქირავა, მანქანა კი არა, მთელი ავტობუსი (სწორედ იმათ გაიტანეს გზაზე მგელი). მოკლედ, ისე ჩქარობდა, ოღონდ დედას რამე ვუშველოო, არაფერზე დაუხევია უკან. ხოლო, დედა რომ გადაურჩა, ერთი კარგადაც იქეიფა, დოლ-გარმონზე, ქალაქურად. დამკვრელები დაჭმუჭნული თუმნიანების აკრეფას ვერ ასწრებდნენ თურმე, ცალი ხელით ფულსა კრეფდნენ, ცალით დოლსა სცემდნენ და გარმონს ჭიმავდნენ. მაგრამ მანია ძალოს მაინც ვერ შეუფერებია შვილის პატივისცემა და უთქვამს: რაც დამკვრელებს ფული მიეცი, იმის კოპტონი რომ გეყიდა თავის დროზე, იქნება, არც მე შევეჭამე ღორებსო.

www.Litklubi.ge

უცებ მოკლული ისევ გადაიძრობს ბრეზენტს და ფეხზე წამოდგება (ბრეზენტს, ამჯერად, იატაკზე დატოვებს - ერიდება, ბრეზენტმოხურული ეჩვენოს უცხო ქალს). ამის შემხედვარე ლამარას, ვითომ გულის შედონებაც დაავიწყდება და მართლა ორსულობაც: ერთს ისეთს იკივლებს, ღამურები დაფრთხებიან, ერთბაშად გამოერკვევიან ზამთრის ძილქუშიდან და უთავბოლოდ აფარფატდებიან სანახევროდ ჩაბნელებულ სარდაფში. მთელი სარდაფი ღამურებით გაივსება უცებ (ვინ იცის, იქიდან მოფრინდნენ ნიკოანთანაც). წივიან, წრიპინებენ. რა ამბავია? რა მოხდა? ვინ იკივლა? რა სულიერია? ვის შეიძლება ჰქონდეს ასეთი ხმა? ვის შეიძლება არ ეძინოს ამ სიცივეში. წივიან, წრიპინებენ, წრიალებენ. ვედარც ძველი, ჩათბუნებული ადგილებისთვის მიუგნიათ, ვედარც ახლისთვის. ახია! რატომ იუკადრისეს თაგვობა?! ისხდებოდნენ ახლა თავიანთ სოროებში, თბილად, მშვიდად, არხეინად, ღრმად, ღრმად, რაც შეიძლება ღრმად, რაც შეიძლება შორს ხიფათისაგან, ხიფათმა რომ ვერ მიაგნოთ, სანამ თვითონვე არ ჩაუცვივდებიან პირში ხიფათს. თუმცა, ვინ იცის, სად სჯობს, მიწაზე თუ მიწაში? მიწაზეც ის არის, რაც მიწაშია. მიწა კაცად იქცევა, კაცი მიწად. მიწიდან ამოსული მიწას უბრუნდება. მიწა თავისას მოითხოვს, და მაინც, ვიდრე მიწაზე ხარ, მიწაზე ყოფნა ჯობია. მიწა კი გვიყვარს ვითომ, მაგრამ უფრო გვეშინია მიწისა. შიში შეიქმს სიყვარულსაო - ამაზეა ალბათ ნათქვამი. გულგრილობას ვიჩენთ, შიში რომ დავმალოთ. მაგრამ მაინც ყველაფერი კარგად იქნება - ასე უკვალოდ არ ქრებიან ამქვეყნიდან. ჯერ აქ უნდა წარმოადგენდე რაღაცას, მიწამ რომ მიგიღოს, რაღაცა უნდა გააკეთო აქ, ჩაიდინო მაინც. ლექსებს გადამტერებული მასწავლებლის ჯიბრით ყაჩაღად გავარდნა, თანაც ორი დღით, სათვალავშიც არ არის ჩასაგდები.

www.Litklubi.ge

"ნუ გეშინიაო - ეუბნება მოკლული ლამარას. - რაც აქ ხდება, მართლა აქ კი არ ხდება, არამედ - ერთი მშიშარა ბიჭის გონებაშიო". ლამარა ხელს მაინც არ უშვებს ქმარს. ჯერ ისევ ეშინია, მაგრამ უკვე ქალური ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს მოკლულს. თუკი ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტია, ჩვეულებრივი ქალი მშიშარა ბიჭის გონებაშიც ჩვეულებრივი ქალია. "მკვდარი ადგა, აღარ დადგაო - იცინის მოკლული თავის თავზე. - იცით, რომელი ზღაპარი მიყვარდა ბავშვობაში ყველაზე ძალიან? - ეკითხება უცებ ლამარას. ლეიტენანტს ვეღარც ამჩნევს თითქოს (პაპა ამბობს - ქალმა თქვა, ზღვას ცეცხლს წავუკიდებო) - აი, ბავშვი სიკვდილს ცხენს რომ მოპარავს. არ გახსოვთ? არავის მოუყოლია?" "როგორ არა. ალბათ, რა ვიცი". - დაბნეულად პასუხობს ლამარა. "აბა, როგორ მთავრდება?" - სცდის მოკლული (კუზიანმა ქეთომ იცის ასე, ბიბლიოთეკარმა - წიგნს რომ დაუბრუნებთ, აუცილებლად უნდა გკითხოს, როგორ თავდებაო, იმიტომ, რომ ისიც კარგად იცის, ბიბლიოთეკის ყველა წიგნს ბოლო გვერდები რომ აკლია). "რა? რა როგორ მთავრდება?" - ერევა საუბარში ლეიტენანტი. თავს ახსენებს მოკლულს, მეც აქ ვარო. მოკლული კი წარამარა ისწორებს პალტოს საყელოს, თავაზიანობად, გულისხმიერებად, ზრდილობადაა ქცეული. ასე მხოლოდ წინათ, ოდესღაც, უხსოვარ დროს ელაპარაკებოდა მამაკაცი ქალს. მაგრამ ლეიტენანტი, უპირველეს ყოვლისა, თავადაც მამაკაცია, რაც არ უნდა სასიამოვნო იყოს საცქერლად, უცხოს ვერ შეატოვებს ხელში თავის ფეხმძიმე მეუღლეს. უცხო უცხოა, გინდ მკვდარი, გინდ ცოცხალი. სხვანაირად რომ ვთქვათ, უცხო არც მკვდარია სანდო და არც ცოცხალი. "რა და, ზღაპარი. ბიჭმა სიკვდილს ცხენი რომ მოპარა" - ლეიტენანტს პასუხობს მოკლული, მაგრამ ისევ ლამარას შესცქერის სახეში. "არ მახსოვს. არ ვიცი. რა დროს ზღაპრებია" - ამბობს ლეიტენანტი. "მე კი მიყვარს" - ქმრის მაგივრად, მოკლულს ეუბნება ლამარა. "ჩემმა ცხენმა ცაში რომ აგიყვანა, რა დაინახე იქიდანო, ჰკითხა სიკვდილმა ბიჭს. - ლამარას უყვება ზღაპარს მოკლული. - რა დავინახე და, დედამიწა კვერცხისოდენა მოჩანდაო, უპასუხა ბიჭმა. მერე, შე კარგი დედ-მამის შვილო, როგორ გგონია, ამ კვერცხისოდენა დედამიწაზე უცხენოდ ვერ გიპოვიდიო, უთხრა სიკვდილმა. არც ახლა გაგახსენდათ?! თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ის არის, ამ კვერცხისოდენა დედამიწაზე ვერსად რომ ვერ დაემალები სიკვდილს. არა, არც ესაა მთავარი. ეგ კარგია. ცუდია, სიკვდილი რომ სანატრელი გაგიხდება კაცს. არა, მაინც ვერ ვამბობ ზუსტად. ცუდია, როცა მკვდარი ხარ და არკი იცი. რაც მთავარია, სხვამაც არავინ იცის, მკვდარი ხარ თუ რა ხარ. აღარავის ახსოვს, აღარავინ იცის შენი ვინაობა. კაცი ჯერ თავს უკვდება, მაგრამ საბოლოოდ, სამუდამოდ მაშინ კვდება, როცა ყველა დაივიწყებს, როცა ყველასთვის სულერთია, მკვდარია თუ ცოცხალი. მკვდარს თუ გამხსენებელი ჰყავს, თავისი მომავალიც აქვს. გამხსენებელთან ერთად გადადის ხვალინდელ დღეში. ყველაზე მწარე სიკვდილი, სწორედ, უმომავლო სიკვდილია. საშინელებაა. საშინელებაა. ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ. არც შენ იცვლები, არც არაფერი იცვლება შენს გარშემო. ღრუბელი რომ ღრუბელია, ისიც თითქოს ლურსმნითაა ცაზე მიჭედებული. ზიხარ სარკმელთან, გასცქერი სიცარიელეს და ვერ გაგირკვევია, რა უფრო მეტი სიცარიელეა, რასაც გასცქერი, თუ რასაც წარმოადგენ. ძალიან ბევრი დრო გჭირდება, ეს რომ გაარკვიო. დრო კი არ არსებობს, ვეღარ ბრუნავს. წარსულიდან აწმყოში კი გადმოვიდა, მაგრამ ისევ წარსულს რომ დაუბრუნდეს, მომავალი უნდა გაიაროს ჯერ. მომავალი კი არ არსებობს, იმიტომ, რომ არავის აღარ ახსოვხარ და არავინ აღარ გახსოვს. არაფერს აღარ წარმოადგენ: არც დაბადების დღეა შენთვის, არც სიკვდილისა, არც მშობლებთან შეხვედრისა და არც შურისძიებისა, რადგან არც სიცოცხლისა გაგეგება რამე, არც სიკვდილისა, არც მშობლებისა და არც მტრისა - ტიკინა ხარ, სარკმელში გამოდგმული. განა დასანანია ასეთი კაცის სიცოცხლე?" "დასანანია - კი არ პასუხობს, თავისთვის ამბობს ლეიტენანტი, ფიქრში წასული, თითქოს რაღაცას იხსენებს, თითქოს მსგავსი რამ, რაც ეს წუთია მოისმინა, ადრეც გაუგია, ანდა, წაუკითხავს, ოღონდ, სად და როდის, ვეღარ აღუდგენია. - დასანანია - იმეორებს სევდიანი სიმტკიცით. - სიკვდილისთვის ყველა ცოდოა". "ვინმეს რომ დანანებოდა, უშველიდა კიდეც. სიკვდილიდანაც შეიძლება გამობრუნება. ოღონდ, ძალიან უნდა გინდოდეს და არ უნდა დაგეზაროს" - იცინის მოკლული. რაც მართალია, მართალია! თავად ნიკოა მსგავსი სასწაულის მოწმე.

www.Litklubi.ge

ჯერ კიდევ ბათუმში, ჯერ კიდევ ომამდე... ოთხი-ხუთი წლის თუ იქნებოდა, მაგრამ ახლაც ცხადად ახსოვს ის დღე. ხმებიც კი ახსოვს იმდღევანდელი. მაგალითად, ბოლომდე მოშვებული წყლის ხმა, წყლის დგაფუნი აბაზანაში, სადაც, ეს წუთია, ნიკოს თვალწინ გაცოცხლებული, მკვდრეთით აღმსდგარი თევზები დასრიალებდნენ. ის თევზები ერთი საათის წინ ბაზარში იყიდეს იმან და მამამ, დიდხანს იარეს ვერცხლისფრად გადაბრჭყვიალებულ დახლებს შორის, ვიდრე, მაინცდამაინც იმ თევზებს აარჩევდნენ. ისიც ახსოვს, როგორი კმაყოფილი იყო ნავაჭრით. დედასაც არ დაანება თევზების ამოლაგება ჩანთიდან, თუმცა, თვითონ ძლივს ერეოდა საკმაოდ მძიმე და სლიპინა თევზებს და ვიდრე მაგიდამდე მიიტანდა, რამდენჯერმე გაუსხლტა კიდეც ხელიდან. "გაანებე თავი, შენ რაღაზე ისვრებიო" - უთხრა დედამ. მერე წინსაფარი გაიკეთა, თევზის საფხეკი დანა აიღო და უცებ, შეძრწუნებულმა თუ აღტაცებულმა, შესძახა: ცოცხალია, სუნთქავსო! დედის მოულოდნელ შეძახილზე მამაც შემოვიდა სამზარეულოში. ჯერ ისევ საგარეო ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა, წითელი ჰალსტუხი ეკეთა, ფეხები კი ფლოსტებში წაეყარა. ერთ ხელში გაშლილი გაზეთი ეჭირა, მეორე სამზარეულოს გამოღებულ კარს მიაბჯინა და თქვა: რა იყო, რა მოგვიდათ, ორ საწყალ თევზს ვერ უნდა მოერიოთ ორი ადამიანიო. "ნახე, სუნთქავსო" - დანა მიუშვირა დედამ თევზებს. "ძალიანაც კარგი, ესე იგი, ახალიაო" - გაიცინა მამამ. მერე რა ილაპარაკეს, ნიკოს აღარ ახსოვს, იმიტომ, რომ აღარ მოუსმენია იმათთვის, ყურადღებად, მოლოდინად ქცეული დასცქეროდა თევზებს, როდის ამოისუნთქავენო. ერთს მობოშებული, უსიცოცხლო კუდი მეორის თეთრად მბზინავ მუცელზე გადაედო. მერე მამამ აბაზანა წყლით აავსო და თევზები შიგ ჩაყარა. სამივენი იქ იყვნენ, სააბაზანოში, ძლივს ეტეოდნენ, ფეხებში ებლანდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ სამივე ისე შეეპყრო ამ უჩვეულო საქმიანობას, ვერც კი ამჩნევდნენ ერთმანეთს - სამივეს გულისყური აბაზანაში იყო ჩაპირქვავებული, ჩაღრმავებული. თევზები ჯერ ჩვეულებრივი უსულო საგნებივით ტრიალებდნენ, ბრუნავდნენ აქოთქოთებულ, აშხუვლებულ წყალში. მაგრამ მალე, გაცილებით მალე, ვიდრე ელოდებოდნენ, ერთმა პირი დააღო და ლაყუჩები აამოძრავა. ცოტა ხანში ფარფლებიც შეუთრთოლდა, მაგრამ ვერკი გასწორდა, რაღაცნაირად გვერდულად დაცურავდა, ეტყობა, ფარფლები ჰქონდა დაზიანებული. მაგრამ ბოლოს მაინც იმარჯვა, მაინც გაიტანა თავისი და, არა მარტო აღიდგინა წონასწორობა, რამდენჯერმე ხალისიანად შემოუარა აბაზანას, თითქოს გადაზომა, შეამოწმა, შეისწავლა თავისი ახალი ადგილსამყოფელი. ამასობაში, მეორემაც ააცმაცუნა პირი, აამოძრავა ლაყუჩები, იმანაც ჯერ ფრთხილად, გაუბედავად შეათრთოლა ფარფლები და მალე გვერდშიც ამოუდგა თავის მართლაც რომ უცნაური ბედის მოზიარეს. მერე აღარც მოშორებიან ერთმანეთს. გეგონებოდათ, უხილავ უღელში არიან შებმულებიო. წინასწარ შეთანხმებულებივით, ლამის ერთმანეთს მიხუტებულნი, ერთნაირი სიჩქარით ერთნაირად დაცურავდნენ, დასრიალებდნენ, გაწვრთნილებივით, და იმათი შემხედვარე, ვერაფრით დაიჯერებდით, სულ რაღაც ერთი საათისა თუ საათნახევრის წინ მკვდრები რომ ეყარნენ მირიად თანამოძმეთა ქერქლით გადაპრიალებულ დახლზე. "ვერ უყურებ ამათ! რაღა ესენი და რაღა შენ და ელენიცაო" - უთხრა მამამ ნიკოს. დედამ კი წინსაფარი მოიხსნა, თევზის საფხეკ დანას ზემოდან დააგდო და მტკიცედ განაცხადა: სულ რომ მშივრები მოკვდეთ, მაინც არ შეგიწვავთ ამ თევზებსო. თევზები მეორე დღესაც აბაზანაში დასრიალებდნენ. როცა აბაზანა სჭირდებოდათ, ისინი ფეხსაბან ტაშტში გადაჰყავდათ დროებით. მერე კი სადღაც გაქრნენ. ალბათ დედამ ვიღაცას გაატანა და ზღვაში გააშვებინა. "იცით, რა არის მთავარი - ამბობს მოკლული - სიკვდილამდე არ უნდა ვიხოცებოდეთ. სიკვდილს რომ თავისი მიაქვს, ჩვენ მეტი არ უნდა გავატანოთ. მაინც ვერ ზიდავს, ვერ მოერევა, გზადაგზა დაეფანტება, მკვდრები ისევ მიწაზე დარჩებიან, ცოცხლებში აირევიან და თანდათან გამორჩევაც გაჭირდება, აირ-დაირევა ყველაფერი. მერე, გინდაც მკვდარი დაგიგდიათ დაუმარხავი და გინდაც ცოცხალი დაგიმარხავთ. ერთი და იგივეა. - ორივეს ერთდროულად მიმართავს, ლამარასაც და ლეიტენანტსაც, მაგრამ სწორედ ამ დროს, სადღაც ზემოთ, ცოცხლების ქვეყანაში, მამალი დაიყივლებს და სამივენი (ოთხივენი), უნებლიეთ, სარდაფის თაღს მიაჩერდებიან დაძაბულნი. ეს უკვე ნამდვილად მარგალიტას მამალია და არა ელიასი, ნიკოს მახსოვრობის ქანდარაზე

www.Litklubi.ge

კი არა, იოსებას დროგის კოფოზე შეფრენილი, - აგე, აგე! - ცალ ხელს მაღლა სწევს მოკლული, მამლის ყივილისკენ უთითებს ცოლ-ქმარს - თქვენთვის ყივის. თქვენ გეძებთ. თქვენ დააკლდით სათვალავში. იქ არ დახვდით, სადაც ეგულებოდით, სადაც უნდა იყოთ წესით. იმიტომაც ყივის ასე გამწარებული. სანამ არ დაგინახავთ, არ მოისვენებს. აბა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყველაფერი მთავრდება ბოლოს. რა გაეწყობა, ვიდრე არეული ქვეყანა დაწყნარდება და კალაპოტში ჩადგება, ძნელი გასარჩევია მტყუანი და მართალი. გაჭირვება კაცს კიდევ უფრო უარესად რყვნის და აეშმაკებს, რაღას არ იკადრებს, ქვეშ რომ არ მოჰყვეს დასაწყნარებელ, დასალაგებელ ცხოვრებას. მერე კი ნანობს, აქ რომ ჩამოვა, მაგრამ რაღა დროსია, სინანული მაღლა უნდა - ამბობს შემაშფოთებელი, შემაწუხებელი სევდითა და სინანულით. - მოკლულმა ყველას მოგვიკლა გული - ამატებს სიცილით - მერე როგორ არის? მეც აღარ მახსოვს. მოკლულმა ყველას მოგვიკლა გული, თორემ ისე, საგანგაშო არაფერია. ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები ხართ და ასეთებიც უნდა იყოთ, ჩვეულებრივები; ღმერთმა ნუ ქნას, მეტი გესმოდეთ, ვიდრე გესმით; ნაკლები გინდოდეთ, ვიდრე გინდათ. სწორედ თქვენი ცოდნისა და თქვენი სურვილის ეს შეუსაბამობა აწონასწორებს ქვეყანას. ნუ მიეცემით წუხილს. სანამ დროა იცხოვრეთ. იტანჯეთ-მეთქი - მინდოდა მეთქვა".

მამალი კი ყივის, გაბმულად, ომახიანად, მამლურად. რა თქმა უნდა, მარგალიტას მამალია. პირველი ის ყივის ყოველთვის. სხვები მერე აჰყვებიან ხოლმე, ციხის უბნიდან თუ დაბახანიდან. ის კი არა, ნუკრიანელი მამლებიც ამას ელოდებიან. მგონი, მართლა თენდება ავადმყოფობის პირველი და, ამიტომაც, ყველაზე სახიფათო ღამე. უცებ მოკლული მუხლებზე დაეცემა და, ლამარასკენ ხელებგაწვდილი, მხურვალედ, ვნებიანად შეჰღაღადებს: ბოლო სათხოვარი შემისრულეო. ლამარა აიწურება, დაიბნევა. მართლაც, რა გინდა რომ ქნა, როგორ გინდა, ან დასთანხმდე, ან უარი უთხრა მკვდარ კაცს რამეზე?! ბოლოს და ბოლოს, ვალდებულიცა ხარ, შეუსრულო, რაც არ უნდა გთხოვოს. "სიცოცხლის ხმა მომასმენინე უკანასკნელად, დაო, მომავლის ხმა" - ევედრება ბრეზენტის გუბეში დაჩოქილი მოკლული. ლამარა თანახმაა, ოღონდ, ვერ ხვდება, რას თხოულობენ მისგან, როგორ უნდა მოიქცეს, ეს უცნაური თხოვნა რომ შეუსრულოს მოკლულს. დაბნეულად მოღიმარი, ხან დაჩოქილ მოკლულს შეხედავს, ხან განზე გამდგარ ქმარს. მაშინ, თავად მოკლული ჩოქვით ამოვა ბრეზენტის გუბიდან, ჩოქვით მივა ლამარასთან და უკვე საკმაოდ გამობერილ მუცელზე მიადებს ყურს. თითქოს ბავშვები არიან და ექიმობანას თამაშობენ. მოკლულს თანდათან ეღიმება, თანდათანობით ებადრება სახე. "ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი" - იძახის მომავალი სიცოცხლე დედის მუცლიდან. "ბაბლი-ბიბლი-ბებლი-ბუბლი" - პასუხობს უკვე დამთავრებული, გარდასული. ერთმა ჯერ არ იცის ლაპარაკი, მეორემ უკვე აღარ იცის, დაავიწყდა, აღარ სჭირდება. მათ შორის, მეტი თუ არა, ხუთი ათასი წელია, მაგრამ ერთმანეთს მაინც მშვენივრად აგებინებენ. "როლანდ, როლანდ!" იძახის ხმაათრთოლებული, გაბედნიერებული, გაამაყებული ლამარა.

www.Litklubi.ge

მაგრამ, მოკლულისა არ იყოს, ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ავად თუ კარგად, ყველაფერი მთავრდება. ალბათ სიკვდილიც. შეიძლება, სიკვდილის ღამეც გათენდეს როდისმე. "ცხვირს მოვიჭრი, თუ არ თენდებოდესო" - ფიქრობს ნიკო. მართლაც, სარკმლის ჭრილში შავი ხავერდივით მბზინავი წყვდიადის ნაცვლად, ახლა ლურჯად აბურძგნული წყვდიადი დგას. წყვდიადებშიც არის გარჩევა. წყვდიადი, მაინცდამაინც სიკვდილს როდი ნიშნავს, განა სიყვარულიც წყვდიადი არ არის?! არის წყვდიადი დასასრულისა და არის წყვდიადი დასაწყისისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, იმედი ყოველთვის თან უნდა ვიქონიოთ, როგორც ჯარისკაცმა - მათარა, მაღაროელმა - ნათურა, მთამსვლელმა - წრიაპი. იმედი ნუ მოგიშალოს ღმერთმაო - ასე ილოცება კაცი. იმედიანი სიკვდილიც ადვილია. ადვილია, მაგრამ სასიამოვნოაო, მაინც ვერ იტყვით. წევხარ გაშოტილი, რაც მთავარია, გულხელდაკრეფილი და რაც კიდევ უფრო მთავარია, ღამურების დასკინტლული. თუმცა, ნიკო კი არ არის ის - გაშოტილი, გულხელდაკრეფილი და ღამურების დასკინტლული - ის ოდესღაც იყო, ახლა კი ზემოდან დაჰყურებს იმას, როგორც ალი - ნაცარს. მაგრამ ზემოდანაც ვერაფერს ხედავს სახარბიელოს, იმედის მომცემს: ყველას სძინავს, ის კი მკვდარია. პაპა არ ამოსულა. ეტყობა, არ გაუგია ჯერ. მით უკეთესი. ვიდრე წნორიდან ამოაღწევდა, ათჯერ გაუსკდებოდა გული შიშისგან. საშიში კი არაფერია. ეგაა, რომ ვიღაცას სარკმლის თვალი დარჩენია ღია და ოთახში ჰაერი გაყინულა, როგორც წყალი იყინება ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში. შეიძლება, ქარმა შემოგლიჯა სარკმლის თვალი და, ყველა სიკეთესთან ერთად, თუკი სადმე ხმელი ფოთოლი იყო, აქ შემოხვეტა. მკვდარი ფოთლები - მკვდარს. სამართლიანი გადაწყვეტილებაა: გვირგვინს გაიკეთებს, გაერთობა. მაგრამ მკვდარი ფოთლები რატომღაც გაცოცხლებულან, იუკადრისეს ალბათ ფოთლობა, და ღამურებად გადაქცეულნი, წივიან, წრიპინებენ, წივიან. ნიკოს ესმის, ხედავს, გრძნობს, მაგრამ არ იცის, რატომ ესმის, რაც ესმის, რატომ ხედავს, რასაც ხედავს და რატომ გრძნობს, რასაც გრძნობს. ერთი რამე იცის მხოლოდ საფუძვლიანად: რაც ძირს დარჩა, თვითონ იყო, და რაც მაღლაა, ისიც თვითონაა. ბავშვებს კი, თურმე, ღრმა ძილითა სძინავთ. ესეც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, ბავშვი რომ აღარ არის ნიკო, ანდა, კიდევ უარესი - არასოდეს არ ყოფილა. ღრმა ძილისა არაფერი გაეგება. სამაგიეროდ, კურდღელივით თვალდაჭყეტილი ძილის ოსტატია, თითქოს არ იცის, რა წუთს მოუწევს წამოხტომა. ჯერ კიდევ ბათუმში მიეჩვია, დედის დაბრუნებას რომ ელოდებოდა სულ, განუწყვეტლივ: როგორ მოვა, რა ამბავს მოიტანსო. სულ, სულ, განუწყვეტლივ. იმის შიში კლავდა, ადგომა არ დამიგვიანდეს და სხვამ ჩემზე ადრე არ დაიკავოს ნავთისა თუ პირის რიგიო. ამაში გავიდა დრო - შიშში, მოლოდინში, წუხილში. თოვლის პაპას კი ხურჯინში ჩაულპა ნიკოსთვის მისაცემი საჩუქრები, შეეშინდა მიწაზე ჩამოსვლა, ვიდრე მიწაზე ომი მძვინვარებდა. შეეშინდა, მეც არ დამახალონ ტყვიაო. მაგრამ ჩავლილ დროს ქაჯიც ვეღარ დააბრუნებს უკან. ამიტომ, როგორმე, ნიკომაც უნდა მოიკლას წარსულ დროებზე დარდი და, როგორც შეუძლია, მამლისა და ძაღლის არ იყოს, ხელი შეუწყოს გათენებას. იქნება, მართლა დაადგეს საშველი ამ გაუთავებელ ღამეს! მაგრამ ნიკოს რა შეუძლია, რის მაქნისია, როგორ მიეხმაროს ძაღლსა და მამალს, ვერც ერთივით იყეფებს და ვერც მეორესავით იყივლებს. თუმცა, როგორ თუ რა შეუძლია, განა იმათი ხმა რომ ესმის, იმათ ხმას რომ არ უყრუებს, ესეც თავისთავად მიხმარება არ არის?! ისინი ხომ ნიკოს გასაგონადაც ყივიან და ყეფენ?! ნიკოს უყეფენ და ნიკოს უყივიან, პირველ რიგში, რათა როგორმე სძლიოს იმან მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ სიკვდილს; ნიკოს სთხოვენ, ავალდებულებენ, აიძულებენ, ერთხელ და სამუდამოდ გამოფხიზლდეს და დასიზმრებულიდან, წარმოდგენილიდან, მოლანდებულიდან, ნამდვილად ნანახი, ნამდვილად განცდილი და ნამდვილად გადატანილი გამოარჩიოს, მაგრამ საამისოდ ჯერ კიდევ უძლურია ნიკო და ისევ ერთმანეთში ირევა ნასაყდრალიდან გამოვარდნილი ყაჩაღი თუ მკვდარი კუ, გიჟკოლას მამის კუბო თუ სოსნებით გადალურჯებული მინდორი, გოგიას გასისხლიანებული ხელი თუ მგელს გამოკიდებული ავტობუსი, აბაზანაში მოსრიალე თევზები თუ ნუკრიანელი მათუსალა, ბრმების მოხამხამე ქუთუთოები თუ საავადმყოფოს ბინდბუნდში მუზარადივით აელვებული მამის სახე. ნიკოც, ძალაუნებურად, მაგრამ სიამოვნებითაც, დაბორიალობს ამ უცნაურ ფიქრებში, ჩვენებებში, სიზმრებში და,

www.Litklubi.ge

ისევ და ისევ ერთ რამეშია მხოლოდ დარწმუნებული: სულ ერთია, მკვდარია თუ ცოცხალი! ამიტომაც ყივის მარგალიტას მამალი ასე თავგამოდებული, რაინდისა თუ მონადირის ბუკივით - უხმობს, მოუწოდებს, ახსენებს. უპატრონო ძაღლი კი საერთოდ არ გაჩუმებულა, მთელი ღამეა ყეფს, ყველასი და არავისი. ღმერთს რომ არ შესცოდებოდა, თავის დროზე, რა ეშველებოდა უბედურს, როგორ მოიხდიდა ოცდაათწლიან სიცოცხლეს?! ვინ იცის, უკვე ყელში აქვს ამოსული. რამდენი წლის იქნება თქვენი აზრით? ნიკო რომ ჩამოიყვანეს, ეგ უკვე აქ იყო და ძველი მეგობარივით შეეგება, ფეხებში გაუგორდა, მთლად გაუოხრათ საგულდაგულოდ მოპრიალებული იატაკი. გადი, ძაღლო, შე უპატრონოო - ძლივს გააგდო ბებიამ. ესე იგი, ბებიამ უკვე იცოდა, უპატრონო რომ იყო. უფრო მეტიც, შეჩვეულიც იყო იმის უცნაურ გულითადობას; გაბეზრებულიც იყო უკვე იმისი გულითადობით. ამას კი გარკვეული დრო სჭირდება, მით უფრო, ბებიასავით მომთმენი და ლმობიერი ადამიანისთვის, სამი-ოთხი წელი მაინც. იმ სამ-ოთხ წელიწადს კიდევ სამი რომ მივუმატოთ (ნიკომ ხომ უკვე სამი წელი მოათავა აქ), მაშინ, სულ ცოტა, შვიდი-რვა წლისა ყოფილა და, საბედნიეროდ, ბევრი აღარ დარჩენია. მალე დაადგება იმასაც საშველი. მშვიდობით ქვავ და წიხლო. სხვა არც არაფერი ახსოვს, ალბათ. არაფერი. ქვა, წიხლი და გინება. შე უპატრონოო, შე ვერანაო - თითქოს იმის ბრალია, უპატრონოდ რომ დარჩა, არავინ რომ ინდომა, არავის რომ მოუწვა გული იმისმა სიობლემ, საცოდაობამ, წკმუტუნმა და წკავწკავმა. თითქოს ადამიანმა კი არ შეაქცია იმას ზურგი, იმან - ადამიანს. თითქოს ადამიანმა კი არ იუკადრისა ის, იმან - ადამიანი. თუმცა, მაინც არ კარგავს იმედს, როდისმე რომ გალღვება გულგრილობის ყინული. ადამიანი თავის ადამიანობას შეიგრძნობს როდისმე და ჯიბრში კი აღარ ჩაუდგება ცხოველს, შემწედ და მფარველად მოევლინება, როგორც სიძულვილში, ისევე სიყვარულშიც. ამიტომაც ცდილობს, ასე თავგამოდებული, ძაღლობის გამოჩენას - ხან ვის ეზოში ყეფს, ხან ვის სახლ-კარს ურბენს ირგვლივ. მაგრამ, ჯერჯერობით, მაინც ვერ მოიწყო თავისი ძაღლური ცხოვრება, ვერაფრით ვერ მოიპოვა ერთი ხელის დადება საკუთარი ადგილი, ფიჩვი რომ დაეგო და ზედ დაგდებულიყო, თუნდაც გოგიას ბიძასავით, იქ ელოდნა, იქ ელოკა ნაწყალობევი ძვალი, სულ გულისხეთქვაში, სულ შიშში არ ყოფილიყო, ვაითუ პეტრეს არ მოეწონოს, იმის ეზოში რომ ვლოდნი პავლეს გადმოგდებულ ძვალსო. ძაღლსაც უნდა ჰქონდეს ერთი თავისი ადგილი, საკუთარი სითბოთი და საკუთარი სუნით გაჟღენთილი, სადაც დაწვება, დაეძინება და გულხელი დაეკრიფება... გულხელი ნიკოსაც ეკრიფება, მაგრამ დაძინებისა რა მოგახსენოთ. თუმცა, არც მთლად ასეა ალბათ საქმე - შიგადაშიგ, ეტყობა, იმასაც ჩასთვლემს ხოლმე, კიდევ ერთი უცნაური სიზმრის სანახავად. ახლა, მაგალითად, ცარცის ძროხა ესიზმრება. თეთრი კი არა, ცარცისა. ყველაფერი ცარცისა აქვს: რქებიც, ჩლიქებიც... ცარცისაგანაა მთლიანად გამოკვეთილი, ოღონდ, სული უდგას, ცოცხალია და, რაც მთავარია, ნიკოს ჯავრი სჭირს, ნიკოს დასდევს მოსაკლავად. ცარცის რქებს უღერებს, ცარცის თვალებს უბრიალებს, ცარცის მტვერს აფრქვევს ცარცის ნესტოებიდან და ცარცის ჩლიქით ჩიჩქნის მიწას. ირგვლივ, სადამდეც თვალი მიუწვდება ნიკოს, ყველაფერი იმის ნაფშხვენითაა გადათეთრებული. ცარცის ნაფშხვენი თოვლივითა დევს ქვეყანაზე. ნიკო კი, ვითომ, გიგო პაპას ვენახში ემალება ამ ახალ საოცრებას. კარდენახში როგორ აღმოჩნდა, გაურკვეველია, არ უჩვენებია სიზმრის მექანიკოსს, მაგრამ ცხადში რომ დიდი მეგობრები არიან ისა და გიგო პაპა, ეტყობა, სიზმარშიც იჩინა ამან თავი და, მართლაც, გიგო პაპას ვენახი ყველაზე საიმედო თავშესაფარი აღმოჩნდა - ვერაფრით ვერ შებედა ცარცის ძროხამ, შეეშინდა ნაყოფით დამძიმებული, მზით ჩახურებული, კოღო-მუმლით დაბურული ვენახისა, გარეთ ელოდება ნიკოს, სარქენად გამზადებული, ცარცის კბილებს აღრჭიალებს და ცარცის დორბლს აფრქვევს... ათასში ერთხელ, ამოდენა სიმახინჯე, ვენახის ღობეზე მაღლა შეხტება ხოლმე ჰაერში და იქიდან, ჰაერიდან, ჩააშტერებს ნიკოს ბატის კვერცხივით თვალს - აქ არის თუ გამეპარაო. ნიკო კი ვაზის რიგებს შორის დგას და თან ეშინია, თან იცინის, თუმცა, არ იცის, ვერ ხვდება, ვერ აუხსნია, ან საშიში რა აქვს იმ ცარცის ძროხას, ან სასაცილო. ტყუილად ხომ არ ეუბნება ბებია - სიზმრები გიშვრება ყველაფერსო. მაგრამ განა ნიკოზეა დამოკიდებული, რა დაესიზმროს და რა არა?! ბებიას ის აშფოთებს, ნიკოს ყველა სიზმარი ერთნაირად

დაბნეული, ბუნდოვანი, ერთნაირად ძნელი ასახსნელი რომაა - აუხსნელი სიზმარი კი ისევე აფრთხობს და აშინებს, როგორც ბათუმიდან მიღებული დეპეშა, ვიდრე გახსნიდეს და წაიკითხავდეს - მისთვის სიზმარიც, დეპეშასავით, ყოველთვის რაღაცის მაუწყებელია, კარგისა ან ცუდისა, საწყენისა ან გასახარისა, რადგან სათამაშოდ და გასართობად არც ღმერთს სცალია, არც ეშმაკს, სიზმარი კი, აუცილებლად, ან ერთისგანაა ან მეორისგან, ისევე, როგორც ბათუმიდან მიღებული დეპეშა მისი უფროსი ქალიშვილისაგანაა ყოველთვის. ამიტომ, თვითონ თუ გაუჭირდა სიზმრის ამოხსნა, მარგალიტას უნდა დაუძახოს მაშინვე, მარგალიტაა მისი მშველელი, მისი მკითხავი და მარჩიელი, და ისიც, მართლა ჯადოქარივით, დაუყოვნებლივ აქ გაჩნდება ხოლმე - თავშიშველი, მკლავშიშველი, ცეცხლთან ჯდომით ფეხებდაბრაწული - შემოხსნის კარს, გააბდღვრიალებს აქაურობას და ხალისიანი, იმედიანი ხმით იტყვის: როგორი მშიშრები ხართ, ხალხნო, როგორ უნდა იცხოვროთ ასეო...

www.Litklubi.ge

მეორე დღეს გოგიას დედა ესტუმრათ, ძღვენით ხელდამშვენებული, თუმცა, აშკარად ეტყობოდა, კარგ საქმეზე არ უნდა ყოფილიყო მოსული - წარამარა იცინოდა, უმიზეზოდ, თვალები კი, დატყვევებული ტურებივით, აქეთ-იქით დაურბოდა დაცქვეტილსა და დაძაბულ სახეზე. ავადმყოფს ლიმონი მოართვა - პირს გაგიკეთებსო - დეიდას კი ვარდისფერი ატლასის ლიფი - მაგათი დროა ახლა, მაგათ უხარიათ ლიფიცა და ტრუსიკიცო. ბებიას მოერიდა სტუმრის გაწბილება, მით უფრო, რომ არც სტუმრობას იყვნენ იმისგან მიჩვეულნი, არც საჩუქარს; დეიდა ჯერ არ დაბრუნებულიყო სამსახურიდან, ხოლო ნიკო, ლამის წელამდე ამოიწია ლოგინიდან, როგორც წყალბურთელი წყლიდან, გადმოგდებული ლიმონი რომ დაეჭირა ხელში. ამის შემდეგ კი, თავისთავად ცხადია, აზრი აღარ ჰქონდა უარის თქმას. ოღონდ, ბებიისა არ იყოს, ისიც გაღიზიანებული და ცოტა დამფრთხალიც კი ელოდებოდა, როდის გაუმხელდათ სტუმარი სტუმრობის ნამდვილ მიზეზს. საბედნიეროდ, არც იმას გაუწვალებია დამხვდურები დიდხანს. მოამთავრა თუ არა საჩუქრების დარიგება, ანუ, როგორც კი მოქრთამულად დაიგულა ყველანი, ყოველგვარი შესავლისა და შემზადების გარეშე, განუცხადა: იქნება, თქვენმა ბიჭმა ორი სიტყვით დაგვიწეროს, ნამდვილად ჩემმა ბიჭმა რომ მოკლა ნასაყდრალთან ყაჩაღიო.

- რას ამბობ, ადამიანო! - შეიცხადა ბებიამ.

მღელვარებისგან, თავსაფარი მოიხსნა და იმავე წამს ხელახლა მოიხვია.

- მააშ, ქა! - ვერ მიუხვდა სტუმარი და უფრო ხალისიანად გააგრძელა. - არ გვიჯერებენ, ქალო, არ გაუთენდეს ხვალინდელი დღე ჩემს მტერსა და დამაწყევარს. გაგონილა ასეთი უსამართლობა?! - უცებ გაუშინაურდა ბებიას. თუმცა, იმას უკვე უცახცახებდა მჭიდროდ მოკუმული, უარესად დავიწროებული ტუჩები. - ჩემმა მდგმურმა, თავი გაუხმეს, ვინც იმას მასწავლებლობა დასწამა, ეგაო, ლიკიდაციაააო, ვითომ, თქვენ კი არ მოკალით, მილიციამ მოკლა და გვამიც იმას ეკუთვნისაო. გვამს რა თავში ვიხლით, ქალო, განა ჩვენ გვამსა ვთხოულობთ?! აღმასკომმა კიდევ, ეგ ჯერ უნდა დაამტკიცოთო, ასე ზეპირად, ცარიელ სიტყვაზე ვინ დაგიჯერებთო, მაგას უფრო უნდა დამტკიცება, ვიდრე უდანაშაულობასო. გესმის, ქალო?! - მიაჩერდა ბებიას თანაგრძნობის მოლოდინში.

- არაფერიც არ მესმის. - კოპები შეიკრა ბებიამ.

ბევრი აღარაფერი აკლდა, კარისკენ რომ მიეთითებინა, მაგრამ ბოლო წამს მაინც დაზოგა სტუმარი, მაინც მასპინძლობამ გადასძლია და თავისი მოულოდნელი და, ამიტომაც, კიდევ უფრო ძნელად მოსათოკი რისხვა სრულიად უდანაშაულო შვილიშვილს დაატეხა თავზე - ახლავე ჩაყავი ხელები საბანშიო - დაუყვირა ტუჩებგადაფითრებულმა.

ნიკომ მშვენივრად იცოდა, ვის უყვიროდა სინამდვილეში ბებიამისი, მაგრამ ხელები მაინც უსიტყვოდ შეჰყო საბნის ქვეშ და მორთმეული ლიმონიც თან შეიყოლა, ოფლიან მკერდზე დაიგორა და ძალიანაც ესიამოვნა მრგვალი, გლუვი, გრილი ნაყოფის შეგრძნება.

- აი, ჩემი ქალიშვილი მოვა და იმას ვკითხავთ. - თქვა ბოლოს ბებიამ.

- თქვენმა ქალიშვილმა რა იცის, ქაა?! - ყალბად გაიცინა გოგიას დედამ. - ნასაყდრალთან ის იყო თუ ესა?! - თავი გადაიქნია ნიკოსკენ, როგორც ცარიელი ადგილისკენ, თითქოს, დეიდამისივით, არც ნიკო იყო შინ, ანდა, ჯერ არაფერი ეკითხებოდა იმას.

- ალბათ იცის, რახან ვამბობ! - ცივად მოუჭრა ბებიამ.

- რა იყოთ, რა მოგივიდათ, ისე კი არ გთხოვთ... - აიმრიზა გოგიას დედა. დოინჯშემოყრილი, ახლა ღვარძლიანად იღიმებოდა. - ჯერ ჩვენი აგვაღებინეთ-მეთქი. რაკი ღარიბი ვარ, აჯამიც კი არა ვარ, ქალო, ჩვენც ვიცით მადლობის თქმა...

- ნიკო! - ისევ ნიკოს დაუყვირა ბებიამ, მოთმინებადაკარგულმა, გაგულისებულმა.

როგორც პაპა იტყოდა - ნახა დაბალი ღობე. ცხენს ვერაფერი დააკლო და უნაგირს წაუშინა.

- უიმეთ, ეს ვინა ყოფილან, გენაცვათ! - შესძახა გოგიას დედამ და კი არ წამოდგა, წამოვარდა სკამიდან, თითქოს კაბაზე ცეცხლი წაჰკიდებიაო.

www.Litklubi.ge

მაგრამ წესიერად წასულიც არ ეგონათ, ახლა მისი ვაჟიშვილი მოუვარდათ, დედისაგან გაქეზებული - უარით როგორ გამოისტუმრეთ დედაჩემიო. შემოსულიც არ იყო ოთახში, ჩხუბი რომ დაუწყო ბებიას - მე ბათუმი-მათუმი არ ვიციო, თუ ბიჭია, ერთი ჩემი თანდასწრებითაც თქვას, როგორ თუ მე არ მოვკალი ყაჩაღიო.

- მე რაღაზე დამიძახე გუშინ, კაცისმკვლელი ხარო?! - შემოსვლისთანავე უყვირა ნიკოს.

გაიგო თუ არა გოგიას ხმა, ნიკოს გუშინდელმა ელდამ შეუბრუნა და რაკი ველარსად გაიქცეოდა, მაშინვე თავი მოიმკვდარუნა, როგორც განსაცდელში ჩავარდნილმა ვირთხამ იცის თურმე. ისე ძალიან მოუნდა უცებ სიკვდილი, ისე ცხადად წარმოიდგინა, როგორ იქნებოდა კუბოში გაშოტილი, ყველაფრისგან და ყველასაგან სამუდამოდ დაცული, სუნთქვაც მართლა შეეკრა და გულიც მართლა გაუჩერდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თიქოს პარაშუტით ეშვებოდა რომელიღაც სხვა პლანეტიდან და დედამიწა ჯერ კვერცხისოდენადაც არ მოჩანდა. არასოდეს ყოფილა უფრო მარტო. უფრო უმწეო, ვიდრე - წარმოდგენილ კუბოში. კუბომ, უპირველეს ყოვლისა, ყველა გზა მოუჭრა, საძრაობა წაართვა და თვალნათლივ დაანახა, რა პატარა ადგილი სჭირდებოდა საერთოდ, როცა სიკვდილამდე, ვერსად ვერ პოულობდა ადგილს, მთელს სიღნაღში არ ეტეოდა და განუწყვეტლივ გრძნობდა, როგორ ვიწროვდებოდა გალავანი დღითი დღე, ვიწროვდებოდა, ვიწროვდებოდა, რათა ერთ მშვენიერ დღეს ყველანი ერთად მოესრისა თავისი ქვის თითებით. ეტყობა, ადამიანის ფიქრი და ოცნება მოითხოვს სივრცეს და არა თავად ადამიანი; ადამიანი, საჭირო თუ შეიქნა, მაისის ხოჭოსავით, ასანთის კოლოფშიც თავისუფლად ჩაეტევა. ყოველ შემთხვევაში, ნიკო ნამდვილად ჩაეტეოდა ახლა ასანთის კოლოფში და ალბათ უკეთესადაც იგრძნობდა იქ თავს. მაგრამ უკვე გვიან იყო, გოგია უკვე თავზე ედგა და დაჰყვიროდა: მე თუ არ მომიკლავს, აბა, რატომ მეძახდი გუშინ კაცისმკვლელსაო.

- ვა, გოგი?! - რაც შეეძლო მშვიდად თქვა, გულაბაგუნებულმა.

www.Litklubi.ge

თვალი კი არ გაუხელია. ისევ თვალდახუჭული იწვა, მამასავით, როგორც მამამისი - მათი განშორების დღეს. და ასე არა მარტო იმიტომ იქცეოდა, სხვა რომ არაფერი ესწავლა მამისგან, რითაც თავის დაცვას შეძლებდა - თვალდახუჭული უფრო იოლად იჯერებდა, მოსახდენი რომ მომხდარიყო უკვე და წინ აღარაფერი ელოდებოდა, სიკვდილის მეტი. არაფერზე ამბობდა უარს, რაც ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში გადახდენოდა თავს, მაგრამ ეს მაინც არ იყო ყველაფერი. მეტი რაღა გინდაო - შეიძლება, ეკითხა ვინმეს, უფრო ახლობელსა და უფრო კარგად ჩახედულს მისი ცხოვრების სკივრში და, თქვენ წარმოიდგინეთ, უცებ ალბათ თავადაც გაუჭირდებოდა შეკამათება, სიტყვის შებრუნება, რადგან უცებ ვერც ის იტყოდა, რა უნდოდა, რაღას ელოდა კიდევ ცხოვრებისგან - თითქოს ყველაფერი განეცადა, ეგრძნო, ეწვნია, მაგრამ ერთი ცხადია: ვერც ხორცისთვის მიემატებინა რაიმე სასარგებლო და ვერც სულისთვის, ისეთივე უპოვარი დარჩენილიყო, როგორიც მოვლენოდა ამ ქვეყანას. კიდევ უარესი, არათუ მიემატებინა რამე, დედის მუცლიდან გამოყოლილი ნიშან-თვისებებიც, რითაც მისიანები მაინც განასხვავებდნენ სხვებისგან, სამუდამოდ დაჰკარგვოდა, გადაშლოდა სხვა, უამრავი, ცხოვრებისგან შემოჩეჩებული, ერთ წუთას საჭირო და მეორე წუთას დასავიწყებელი ნიშან-თვისებებით, რომლებიც მის წარმომავლობას, მის მეობას კი არ წარმოაჩენდნენ უკეთესად, არამედ, ისეთად გარდაქმნიდნენ ხოლმე, როგორიც გარკვეულ დროსა და გარემოს სჭირდებოდა, უფრო სწორად, როგორიც შეძლებდა დროისა და გარემოს დაძლევას, ანუ - გადარჩენას, ერთხელ კიდევ გადარჩენას, ჯერ გადარჩენასა და მერე ცხოველური ბუნების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რამდენადაც ასე, და მხოლოდ ასე, ძალუძს ნებისმიერ ცოცხალ არსებას, არ მოისპოს, არ გაცამტვერდეს თავად - სხვათა დაზოგვა საკუთარი თავის ღალატია მხოლოდ, მაგრამ ამის აღმოჩენა და აღიარება არათუ საბრძოლველად აღაგზნებდა ნიკოს, არამედ იმის ეჭვსაც უჩენდა, ღირდა თუ არა საერთოდ დაბადება, თუკი სხვანაირად, ანუ, სხვათა დაზოგვით, ვერც თავს გაიტანდა და ვერც სულს დაიცავდა წაბილწვისაგან. მაგრამ მთავარი უბედურება მაინც ის იყო, რომ არავითარ შვებას, არავითარ ტკბობას, არც ხორციელსა და არც სულიერს, არ განაცდევინებდა ყოველი მორიგი გადარჩენა. პირიქით, კიდევ უფრო მძლავრად, დაუნდობლად ეუფლებოდა შიშიცა და სევდაც და, სხვა თუ არაფერი, ისევ შიში და სევდა მოუღებდა ალბათ ბოლოს, თუმცა, იმდენად თავად შიში და სევდა არა, რამდენადაც ამ შიშისა და სევდის სიძულვილი, სიძულვილი, შეიძლება, ბავშვური, მაგრამ... მაგრამ კი არა, სწორედ ამიტომაც, მოურეველი, დაუოკებელი, ყველაფრის გადამწონავი, რადგან შიშისა და სევდის გარდა, სხვა არავითარი გრძნობა არ აკავშირებდა იმათთან, ვინც თავს ერჩია. არ შეეძლო უბრალოდ, ჩვეულებრივად, მარტივად, გაუზვიადებლად და გაუზღაპრებლად ეფიქრა მამაზე, თუნდაც იმიტომ, ჯერ ისიც გასარკვევი რომ ჰქონდა, გადარჩებოდა თუ არა იგი საერთოდ. ასევე არ შეეძლო ბუნებრივი ნეტარებით, შვებითა და რწმენით წარმოედგინა დედა, რადგან გულის სიღრმეში, ყველაზე ბოროტი, ყველაზე არაადამიანური, ალბათ ქაჯური გრძნობით გრძნობდა, დედას რომ აღარ ახსოვდა, არ ეცალა იმისთვის. ასე კი იმიტომ ხდებოდა, ღვთის რისხვა რომ დასტყდომოდა ქვეყანას და, რასაკვირველია, მათ ოჯახსაც - ბედისწერამ მათ ოჯახსაც დაჰკრა თავისი მძიმე ტორი და ნიკოც, როგორც ყველაზე სუსტი და უმნიშვნელო ნაწილი ოჯახისა, იოლად მოწყდა მთავარს, როგორც კუდი მოწყდება ხოლმე ხვლიკს, და აი, ისიც (ანუ ნიკო), მართლაც ხვლიკის კუდივით ფართხალებდა ბედისწერის ბალახებში, შორს, ძალიან შორს მშობლებისგან, იმდენად შორს, თვალსაც ვერ გაახელდა იმათი იმედით, უფრო თამამად რომ შეეხედა თავსდამტყდარი უბედურებისთვის, გაერკვია, მამისაგან ნასწავლი ნებაყოფლობითი სიბრმავის გამო წარმოედგინა მოურეველ საშინელებად, თუ სინამდვილეშიც ასეთი იყო ის, უბედურება, იგივე გოგია, მკვლელის დისშვილი და თავადაც მკვლელი, რომელიც ახლა თავზე ედგა და (ნიკოსაც ეს უფრო აფრთხობდა და აბნევდა ალბათ) ნიკოსაგან ნიკოს თვალწინ ჩადენილი მკვლელობის უარყოფას კი არ მოითხოვდა, არამედ - დადასტურებას.

www.Litklubi.ge

ნიკო კი, გულხელდაკრეფილი, თვალდახუჭული წევს და ეს უკვე იმდენად არაჩვეულებრივი, არაბუნებრივი მდგომარეობაა მისთვის, მართლა მკვდარი ჰგონია თავი - ვითომ სასაფლაოზეც გაუტანიათ უკვე (რაც შეიძლება შორს გოგიასაგან), სასაფლაო კი მწვანეში ცურავს, გაფუებული, გალაღებული სიმწვანე მოსდებია ყველაფერს. ათასნაირ ბუჩქსა და ყვავილს ათასნაირად ფრთამოხატული პეპელა დაჰფარფატებს. დაბურულ ტოტებში ჩიტები ჟივჟივებენ. რამდენადაც ნიკო დაჰკვირვებია, სასაფლაოზე განსაკუთრებულად მკვეთრად ისმის ჩიტის ხმა. ერთი დიდი, გულჭრელა ჩიტი, ალბათ აქაურობის სული, ადგილის დედა, კვიპაროსის კენწეროზე ზის და დროგამოშვებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უსტვენს, თითქოს კი არ უსტვენს, მოკლე, საქმიან ბრძანებებს იძლევა მჭახე და ღონიერი ხმით. გადმოზნექილი ბალახის ღეროზე თვალებგადმოკარკლული მწვანე კალია ირწევა, თითქოს უკეთესად რომ დაინახოს მკვდარი, ესე იგი, ნიკო. ნიკომ უკვე მშვენივრად იცის, რატომ მოხდა ასე, მაგრამ ადრე, სიკვდილამდე, მაინც პატარა ბიჭი იყო, სიცოცხლე სწყუროდა, ღამდამობით მზეთუნახავები ესიზმრებოდა და არც მოყვრისა ესმოდა, არც მტრისა, უფრო სწორად, ცდილობდა შორს დაეჭირა იმათგან თავი, რადგან მოყვარემ მტერი გაუჩინა მხოლოდ, მტერმა კი, პირველ რიგში, მოყვარე მოუსპო, დაუკარგა, გაუცხოვა. და მაინც გზისკენ გაურბის ნიკოს თვალი, იმედი აქვს, ძალიან უნდა, ბოლო წუთას მაინც მოვარდეს დედა, სულზე მოუსწროს, ვიდრე სამარეში ჩაუშვებენ სამარადისოდ, მოვარდეს გააფთრებული, თავზე პატარა შალმოხვეული, როგორც იქ, ბათუმში მოვარდა პურის მაღაზიასთან და სწორედ რომ უკანასკნელ წამს ააწყვიტა მიწას გათოშილი, გონდაკარგული შვილი. მაგრამ, ეტყობა, ამჯერად არ გაუმართლებს მოლოდინი ნიკოს. ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ შეიძლება დედის იმედით სიკვდილი?! ის დრო წარსულს ჩაბარდა. დროც შეიცვალა და ნიკოც. რასაკვირველია, დედაც. სასაფლაოზე კი ყველაფერი მზითაა გაჩახჩახებული. ჩიტები ჟივჟივებენ, პეპლები ფარფატებენ, ყვავილები ათასფრად, ათასნაირად მიმოირხევიან. მოკლედ, იქაურობა საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულსა ჰგავს. ალბათ, ძალიან რომ არ დასწყდეს მიცვალებულს გული, ის კი არ თქვას, სად ვიყავი და სად მომიყვანესო, არამედ - აქ უკეთესი ყოფილაო. მაგრამ ნიკოს არაფერი ეტყობა დამშვიდებისა. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ღელავს, რადაცის, გაურკვევლის, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანის მოლოდინი აგანგაშებს, აფორიაქებს, როგორც მაშინ, საავადმყოფოში, მამასთან გამოთხოვების დღეს. ისეთი გრძნობა გასჩენია, თითქოს ასე გაუნძრევლად წევს გაჩენის დღიდან, გაჩენამდეც, სულ, უსასრულოდ, თითქოს ასე უძრავად წოლაა მისი მთავარი, მისი გამოსარჩევი თვისება და ისიც წევს, თვალდახუჭული, გულხელდაკრეფილი, თუმცა, თვითონაც არ იცის, რატომ ანდა როდემდე უნდა იწვეს ასე. უძრაობისგან მთელი სხეული სტკივა, მაგრამ მაინც ჯიუტად ითმენს ტკივილს. თითქოს ასეა საჭირო, თითქოს განცდილი სიყვარული, გადატანილი შიში და დაკარგული მშობლების ხათრი ავალდებულებს ასე წოლას. ანდა, პირიქით - სწორედ სიყვარულის, შიშისა და ხათრის ჯიბრით არაფრად აღარ აგდებს სიცოცხლეს, ოღონდ, შეგნებულ სიცოცხლეს, დედის საშოდან კი არა, უმწეობის, სიმარტოვის ორმოდან შობილს და სიცარიელის, სიბნელის პურით გამოკვებილს, რომელსაც ჭეშმარიტი სიცოცხლისგან განსხვავებით, რძისა და ცრემლის სუნი კი არ ასდის, არამედ - სინესტისა, დამპალი, დაგლეჯილი ფესვებისა და ცარიელი სოროებისა. მაგრამ იმასაც გრძნობს, ეს მოულოდნელი ჟინი თუ მოთხოვნილება უძრაობისა, ეს ყოვლად უმიზნო და უმიზეზო გაქვავება, თავად მას ანიჭებს გარკვეულ მნიშვნელობას, თავად მას ტვირთავს გარკვეული აზრით, თუნდაც ჯერ ბოლომდე ამოუხსნელი, ჯერ მასავით მოუნათლავი, მაგრამ მაინც მნიშვნელობითა და აზრით, რის გამოც, უფრო მეტი მორიდებით ეპყრობიან მტრებიცა და მოყვრებიც. "რათა წევს ასე თვალდახუჭულიო" - ეკითხება, მისი უჩვეულო დახვედრით, ცოტა არ იყოს, შემცბარი გოგია ბებიას. "ეგ სულ ასეაო" - პასუხობს ბებია. ნიკოს კი აღარ შეუძლია ასე თვალდახუჭული წოლა. კი არ ეხმარება, უარესად აბნევს და აფორიაქებს ეს ნებაყოფლობითი სიბრმავე. დაძაბულობისგან ლამის გული შეუღონდეს. ასე დაემართა მაშინაც, ბათუმში, საავადმყოფოში, როცა მამას ემშვიდობებოდა, ოღონდ, მაშინ მამის ნებაყოფლობითი სიბრმავით იყო დაბნეული, რის გამოც, ყველაფერი კიდევ უფრო უცხო, გაურკვეველი და მიუღებელი ჩანდა

www.Litklubi.ge

მისთვის: თვითონ საავადმყოფოც, ავადმყოფებიც, აწეწილი ლოგინებიც, შეშფოთებული, დამფრთხალი სახეებიც, მოულოდნელი, კანის ამბურძგნავი ხმებიც, უჩვეულო, არაფრის მსგავსი, განუმეორებელი სუნიც... ყველაფერი, ყველაფერი, რასაც მამამისი შეგნებულად უხუჭავდა თვალს. თავად კი, მამის სიბრმავეში ჩაკარგული, არასწორად, გამძაფრებულად აღიქვამდა: თვალდახუჭულ (ალბათ მღელვარების დასაფარავად) მამასაც, უზურგო სკამზე გაუბედავად ჩამომჯდარ დეიდასაც (რომელსაც არაფერი ეტყობოდა "სხვათა გადამრჩენელისა", "ცით მოვლენილი გმირისა" - როგორც მამამ უწოდა იმ დღეს), მხრებზე თეთრხალათმოხურულ დედასაც, რომელსაც აქ, ამ აქოთებულ პალატაში უფრო ხალისიანად და თამამად ეჭირა თავი, ვიდრე შინ, შვილთან... "მარტო დაგვტოვეთო" - თქვა უცებ მამამ და დედაცა და დეიდაც (სხვათა შორის, ნიკოც), მაშინვე მიხვდნენ, ვისთანაც უნდოდა იმას მარტო დარჩენა. მაშინვე ადგნენ და გავიდნენ პალატიდან, მაგრამ ვიდრე კარს გაიკეტავდა, დედამ ერთი წამით მაინც მოხედა ნიკოს, თითქოს რაღაცის თქმაც დააპირა, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ნიკოს მოეჩვენა ასე, რადგან ძალიან უნდოდა, ვიღაცა ჰყოლოდა გვერდით ახლობელი, მისიანი - გულაღმა გაშოტილი, გულხელდაკრეფილი და თვალდახუჭული მამა უცხო იყო, აბნევდა, აფრთხობდა, აშინებდა და მთელი მისი არსება ყრუ-მუნჯის გააფთრებით უჯანყდებოდა ასეთი მამის არსებობას. ის კი აშკარად არსებობდა. შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები ეყარა, მძიმედ სუნთქავდა და, მოულოდნელად, რომელიღაცა კუნთი თუ ძარღვი შეუკრთებოდა ხოლმე სახეზე. საწოლის თავთან, პატარა მაგიდაზე, მისი მაჯის საათი გამალებული ითვლიდა მამა-შვილის ამ უჩვეულო შერკინების, სამუდამოდ შემაერთებელ თუ სამუდამოდ გამთიშველ წამებს. მთელს საავადმყოფოში მამის პატარა საათის წიკწიკი ისმოდა მხოლოდ. საათის გვერდით სიცხის საზომი, წყლიანი ჭიქა და ქაღალდის ხელსახოცში გახვეული (ცუდად გახვეული) კატლეტი იდო - ცივი ქონით თეთრად დათრთვილული. როგორც არ უნდა გასძალიანებოდა ნიკო თავს, როგორ განცდებშიც არ უნდა ყოფილიყო ჩავარდნილი, იმ კატლეტის დანახვაზე მაშინვე ნერწყვი მოადგებოდა ხოლმე პირზე და პალატაში ჩაბუდებულ მისთვის უცხო სუნს, მოულოდნელად, მართალია სუსტად, მაგრამ მაინც საგრძნობლად გამოეყოფოდა ოდინდელი, ხანმოკლე ბავშვობის დროინდელი სუნი აშიშინებული ტაფიდან, ეს წუთია, გადმოღებული კატლეტებისა, თუმცა, თავის დროზე, არასოდეს მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება ამ სუნისთვის და არც ეგონა, თუ ახსოვდა. ამავე დროს, შეგრძნებებზე მაღლა მდგომი მისი გონება გამალებული მუშაობდა; გადაიწვებოდა, გასკდებოდა, თუ ვერ ამოხსნიდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ განმარტოებას, რატომ უნდა გამოერჩია მამას, რატომ უნდა დაეტოვებინა პირისპირ - გასაწყრომად (კი მაგრამ, რა დააშავა?!), თუ შესაქებად, დედას რომ ეხმარებოდა, "მის კისერზე რომ იყო ოჯახი". მაგრამ განა მართლა იმსახურებდა შექებას?! რას აკეთებდა განსაკუთრებულს, რასაც მისი ტოლი ბიჭები არ აკეთებდნენ?! თუმცა, ასევე ადვილი შესაძლებელია, დედას მაინც გაემხილა მამისთვის პურის წიგნაკების დაკარგვის ამბავი და ახლა, მართალია დაგვიანებით, მაგრამ რაკი სხვა, უკეთესი შემთხვევა ალბათ კარგა ხანს აღარ მიეცემოდა, ვალდებულად თვლიდა თავს, საყვედური ეთქვა შვილისთვის, შეეხსენებინა, ის რომ უკვე დიდი იყო, რომ არც გამართლება არსებობს კაცისთვის და არც პატიება (მიუხედავად ასაკისა), როცა იმ კაცს სხვათა ბედი აბარია. მაგრამ თავადაც კარგად იცის, რა დააშავა და რას იმსახურებს - აქამდე იხდის სასჯელს, თვითონვე რომ მიუსაჯა თავს - მესამე თვეა პურის ნამცეცი არ ჩასვლია პირში. თავის წილ პურს ბიძას აძლევს, მამიდის ქმარს, რომელიც, ეგვიპტელ მონასავით, დილიდან საღამომდე ორმოს თხრის შუა ეზოში, თავშესაფრისთვის, და ამ უაზრო, უშედეგო შრომისაგან (რაც უფრო მეტი მიწა ამოაქვს, მით უფრო მეტი წყალი დგება ორმოს ფსკერზე), ქანცი აქვს გაწყვეტილი. ნიკო კი ჩაიზეა ამ ხნის განმავლობაში - მდუღარე წყალი და მარილზე დაწებული თითი - აი, მთელი მისი სარჩო. მაგრამ სხვანაირად ვერ გადარჩებოდა, ასე რომ არ დაესაჯა თავი, ვეღარ ირწმუნებდა, ღირსი რომ იყო სიცოცხლისა და, არა მარტო თვითონ, საერთოდ, ადამიანი. დაძაბულობისგან ყურები უწივის, ოფლადაა გაღვრილი, აღარ იცის, რა იფიქროს, რადგან, რაც არ უნდა იფიქროს, სულ ერთია, არაფერი არ იცვლება ამით. საათი გამალებული წიკწიკებს, თვალდახუჭული მამა

www.Litklubi.ge

უხმოდ, უსიტყვოდ შფოთავს. ოფლის წვეთები აყრია შუბლზე. ერთი წვეთი წარბიდან თვალის ღრმულში ჩაუცურდა, იქიდან ყვრიმალს ჩამოჰყვა და სადღაც, ყურის ძირში ჩაიკარგა. იქნებ ცრემლის წვეთი იყო? არა. ცრემლსა ჰგავდა, ცრემლის გზა გამოიარა და იმიტომ დააეჭვა ნიკო. მამები არ ტირიან. მამები არ უნდა ტიროდნენ. დედა რომ ტირის, ისიც გულსაკლავი სანახაობაა, მაგრამ დედას მაინც უფრო შეეფერება ტირილი, უხდება კიდეც. ცრემლი დედას აძლიერებს, ყოვლისშემძლეს ხდის. მამას კი, პირიქით, ასუსტებს, აკნინებს, ასაცოდავებს, აუფასურებს. ქალის ტირილი კიდევ ერთი, მცირე ან დიდი, ომის მაუწყებელია: რაღაცა უნდა მოხდეს, რაღაცა უნდა შეიცვალოს და, ამიტომაც, ყველაფრისთვის მზად უნდა იყვნენ ყველანი; ხოლო, როცა კაცი ტირის, არაფერს აღარა აქვს აზრი, არც სიმტკიცეს, არც სიჯიუტეს, არც მოთმინებას, არც იმედს, რადგან უკვე ყველა ომი წაგებულია, ხმალი გადატეხილი, მუზარადი გაჩეჩქვილი, ფარი გაგლეჯილი, ცოლი შერცხვენილი, შვილი დამონებული, მოკლედ, ეს უკვე აღსასრულია ოჯახისა, თუ მთელი ქვეყნისა არა. ამიტომაც, ურჩევნია ნიკოს, ეს ბრჭყვიალა, ზანტი წვეთი ოფლისა იყოს და არა ცრემლისა. "მამა - ამბობს გუნებაში - მამა". თითქოს თავს ახსენებს, ყველაზე ახლობელი რომაა ეს თვალდახუჭული კაცი მისთვის, სისხლი და ხორცი, ოდესღაც ერთნი იყვნენ და როდისმე ისევ გამთლიანდებიან ვიღაცის არსებაში. მაგრამ ბრმა შემთხვევის, საქვეყნო უბედურებისა თუ კიდევ სხვა, ნიკოსთვის სრულიად გაუგებარ მიზეზთა გამო ჩატეხილი ხიდი არაფრით არ მთელდება, არ უქრება ნიკოს სიუცხოვის გრძნობა და მაინც ჯიუტად, ბრაზიანად, დაჟინებით იმეორებს გუნებაში - მამა, მამა, მამაო - როგორც ჭურვების ღრიალით დაყრუებული ტელეფონისტი - მოულოდნელად ჩაჩუმებული, მაგრამ უაღრესად საჭირო სადგურის სახელს. პალატაში სამარისებური დუმილი დგას. საათის წიკწიკი ისმის მხოლოდ. არა, ხანდახან, ვიღაც გმინავს კედელთან მიდგმულ საწოლზე, თავზე საბანწაფარებული, რის გამოც, ტიტველი, ჩაყვითლებული ტერფები საბნის გარეთ დარჩენია. მაგრამ საათის წიკწიკიცა და ვიღაცის გმინვაც კიდევ უფრო ამძაფრებს საავადმყოფოს დუმილს და ეს აუტანელი დუმილი ოფლიანი ხელებით თითქოს კისერზე აწვება ნიკოს, ცდილობს მოუდრიკოს კისერი, მაგრამ ნიკოც, როგორც შეუძლია, უძალიანდება, თუმცა, რამე თუ არ მოხდა, მშველელი თუ არ გამოუჩნდა, შეიძლება ვეღარ გაუძლოს და უკანმოუხედავად მიატოვოს აქაურობა, როგორც პაპამისმა სანგარი მიატოვა ერთხელ. თუმცა, ნიკომ უკვე იცის, კარგი ჯარისკაცობა შიშის დაძლევა და მოთმენა რომაა სწორედ - ზიხარ სანგრის ფსკერზე, მუხლებში თავჩარგული, აბოლებ მსხვილად, ჯარისკაცულად, გინდაც გლეხურად გახვეულ წეკოს, მუჭში მოგიმწყვდევია ცოცხალ არსებასავით, სანგრის ფსკერზე დაიჭირე თითქოს, და მართლაც, ისაა იმ წუთას ყველაზე ცოცხალი არსება, მთელს ტანში გაქვს გამჯდარი იმისი სიმხურვალე. მოქაჩავ, აგეწვება ხელისგული, ნეკა თითი, და სასიამოვნოდ დაგებერება ძარღვები, გამაბრუებლად დაგიტრიალდება გულმუცელში მწარე, სქელი, თბილი ბოლი. მიწა გეყრება ჩაქინდრულ თავზე, მტერი ცოცხლად დამარხვას გიპირებს. ხანდახან ქვასაც მოგიკაკუნებს მუზარადზე, შეგამოწმებს, კიდევ ცოცხალია თუ არაო. შენ კი წეკოს ექაჩები და შიშისაგან თვალებდაყვლეპილი, დაზაფრული ფიქრობ: მთავარია, ასე ვიჯდე, მთავარია, არ გავინძრე, მთავარია, მოვითმინოო. ვინც ვერ მოითმინა, თავახდილი, ცხვირპირდაჩეჩქვილი, ყელგაგლეჯილი გდია მიწაყრილზე. ასე რომ, არც გაქცევაა ხსნა. უნდა იჯდე და ითმინო, რაკი სხვა არაფერი შეგიძლია. ნიკოც ზის და ითმენს. მამაც ისევ თვალდახუჭული წევს, თითქოს შვილის მოთმინებას, შვილის ნებისყოფას ამოწმებს (იქნებ, ჩაეძინა?). გასაპარსია. "გასაპარსიაო" - ამჩნევს ნიკოც. ახლა ამჩნევს პირველად და რაღაცნაირი კმაყოფილების გრძნობა უჩნდება უცებ, გინდაც უმნიშვნელო, თუნდაც ასე სუსტი კავშირი რომ დაამყარა მამის სახესთან. ადრე არასოდეს უნახავს გაუპარსავი. იმ უკეთეს დროს, რამდენადაც ახსოვს, სულ ახალი გაპარსული იყო - დილას, შუადღეს, საღამოს - თითქოს ეს წუთია დაბრუნდა საპარიკმახეროდანო. სისუფთავის მძაფრ სურნელს სტოვებდა გზადაგზა. ახლა კი გაუპარსავი წევს, თვალდახუჭული, და, რასაკვირველია, არ სძინავს, რაღაც აწუხებს, იდუმალი, საიდუმლო. ოფლიანი ჩრდილი გადაუვლის ხოლმე სახეზე და თავი ოდნავ შეუქანდება ბალიშზე, თითქოს პალატა დაიძრა უცებ,

www.Litklubi.ge

მატარებელივითო. "ეს კატლეტი შენია. შენ შეგინახე. საგზლად წაიღე, დაგჭირდება" - ამბობს მშვიდად, ოღონდ, ისევ ისე თვალდახუჭული. ნიკო არ პასუხობს, რადგან ძნელი გასარკვევია, მართლა იმას მიმართავს მამა, თუ ბოდავს სიცხიანი. სუნთქვაშეკრული, დაძაბული ზის და, თუმცა, მამის სახეს თვალს არ აშორებს, თვალის უმცირესი, უმნიშვნელო ნაწილით იმასაც ხედავს, თეთრად დათრთვილულ კატლეტს, იმდროინდელ საოცრებას, ნებისმიერი ცოცხალი არსებისთვის საუკეთესო, იშვიათ, შეუცვლელ მისატყუარს. "გესმის?" - ეკითხება თვალდახუჭული მამა. "ხო... დიახ" - დაბნეულად, ფაცაფუცით პასუხობს ნიკო. "კარგად მომისმინე და დაიმახსოვრე" - აგრძელებს მამა, ისევ თვალდახუჭული, თითქოს რცხვენია შვილისა, თვალი ვერ გაუსწორებია შვილისთვის, რაკი ვერ მოუარა და სხვათა საპატრონებელი გახადა. "ჯერ ეს კატლეტი აიღე - ცხარდება უცებ. ხმასაც უწევს. თვალები კი ძველებურად დახუჭული აქვს. - შენია-მეთქი, ხომ გითხარი?! შეინახე". ნიკოს, რა თქმა უნდა, შია, ძველი, უკეთეს დღეთა მოსაგონარი სუნიც აღიზიანებს, მაგრამ დანახვაც აღარ უნდა იმ კატლეტისა. ის კატლეტი რომ აიღოს, თითქოს გაუგონარ ბოროტებას ჩაიდენს, მაგრამ მაინც უსიტყვოდ დგება სკამიდან, ცუდად გახვეულ კატლეტს უკეთესად, უფრო მჭიდროდ ახვევს გაქონილ ქაღალდში, ფრთხილად იდებს შარვლის ჯიბეში და ისევ ძველ ადგილს უბრუნდება. ოღონდ, ახლა უფრო დაძაბული ზის სკამზე, ცალი ფეხი გაშლილი აქვს მთელ სიგრძეზე, კატლეტი რომ არ ჩაეზილოს ჯიბეში. "მეტი არაფერი მაქვს - ამბობს მამა - გახსოვს? ეკითხება უცებ და თანდათან სახე ებადრება, ღიმილის მსგავსი რაღაც დაჰფარფატებს სიცხისაგან დახეთქილ ტუჩებზე (ამასაც პირველად ახლა ამჩნევს ნიკო) - გახსოვს?" - უმეორებს ბავშვური მოუთმენლობით, მღელვარებით. თითქოს თვალებიც უნდა გაახილოსო, შეუკრთნენ, შეუთრთოლდნენ ქუთუთოები. ნიკო თანხმობის ნიშნად თავს უქნევს მხოლოდ და, რატომღაც, ის დღე ახსენდება, ბაზრიდან მობრუნებულებმა, "მკვდარი" თევზები რომ ჩაყარეს აბაზანაში. ხედავს კიდეც გაცოცხლებულ თევზებს - დაწყვილებულნი, ლაღად დასრიალებენ აქოთქოთებულ, აქაფქაფებულ წყალში, დუნედ, თითქოს უხალისოდ, უსურვილოდ ამოძრავებენ კუდებსა და ფარფლებს. შეიძლება, მამა სულ სხვა რაღაცის გახსენებას ავალდებულებდა, მაგრამ არც ერთს არ გასჩენია დაზუსტების, შემოწმების სურვილი, არც იყო საჭირო, რადგან ყველაფერი, რაც იმ წუთას გაახსენდებოდა ორივეს, ანდა რომელიმე მათგანს, აუცილებლად მათ საერთო ცხოვრებასთან იქნებოდა დაკავშირებული. მთავარი კი ეს იყო - გააზრება, შეცნობა, შეგრძნება იმისა, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, საერთო ცხოვრება რომ ჰქონდათ და ორივენი ერთნაირად ბედნიერები იყვნენ, იმდენად ბედნიერნი, შეეძლოთ სასწაული მოემოქმედათ, მკვდარი გაეცოცხლებინათ. სწორედ ამის თქმა სურს ნიკოს მამისთვის, ბედნიერი ვიყავიო, მაგრამ რცხვენია, ეჩოთირება ამ სიტყვის თქმა, თითქოს მიუტევებელი სისუსტე და ქალაჩუნობაა ოდესღაც განცდილი, გადავლილი ბედნიერების აღიარება, თანაც მამასთან, მით უფრო - ავადმყოფთან. მაგრამ გაცოცხლებული თევზების გახსენება მაინც რაღაცნაირად ამშვიდებს, ახალისებს და აღარ ზის ადრინდელივით დაძაბული, დაბნეული. გარემოც შედარებით ასატანი ეჩვენება, თუმცა, ფეხი, რომლითაც განუწყვეტლივ გრძნობს ცივი კატლეტის ამაფორიაქებელ სიმკვრივეს, ისევ ბოლომდე აქვს გაშლილი, თითქოს საერთოდ არ ეღუნება სახსარში. იმასაც გრძნობს, მთავარი სათქმელი ჯერ წინაა, ჯერ არ უთქვამს მამას ის, რის მოსასმენადაც დაიტოვა, მაგრამ უკვე ყველაფრის მოსასმენადაა მზად, დარწმუნებულიცაა, ყველაფერს გაუგებს ამ უცხოდ გაუპარსავ, უცხოდ გაოფლილსა და უცხოდ მშფოთვარე კაცს, რადგან უსიამოდ წამოზრდილი წვერის, სიმწრის ოფლისა და ავადმყოფური შფოთვის მიღმა უკვე მკვეთრად იკვეთება (ან როგორ შეიძლებოდა ამის დავიწყება) უძვირფასესი, უსაყვარლესი, უახლოესი სახე სიკვდილის დამთრგუნველი და სიცოცხლის მომნიჭებელი ჯადოქრისა, სასწაულთმოქმედისა... მამისა! საათი კი წიკწიკებს. კედლისკენ გადაბრუნებული, თავზე საბანწაფარებული ავადმყოფი გმინავს. უსიამოდ აჭყეტენ იმისი გამოყვითლებული ფეხისგულები. ქუსლებზე სოკო მოსდებია თეთრად. ახლა ზურგიც მოშიშვლებია. პერანგის ამხანაგი ჩასჩაჩვია დუნდულების განშტოებამდე. მაგრამ იმისთვის ყველაფერი სულერთია, ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ იცოცხლოს, ოღონდ, ათასში ერთხელ, ასე შემაძრწუნებლად ამოიგმინოს ხოლმე.

www.Litklubi.ge

"მაშ ასე, - ამბობს მამა. - მომისმინე და დაიმახსოვრე". სახე უარესად დანამვია ოფლით, წამონთებია, ეტყობა, სიცხემ აუწია, თანაც, ალბათ ღელავს, დიდ განცდებშია ჩავარდნილი - პირველად ელაპარაკება შვილს, როგორც თანატოლს, თანამზრახველს, თუნდაც, როგორც მამაკაცი მამაკაცს. რაც აქამდე უთქვამთ ერთმანეთისთვის, სერიოზულ საუბრად არც ჩაითვლება, როგორც ბაზარში, დახლებს შორის სეირნობისას, გლეხებთან შევაჭრება, ანდა, სამწვადის დახლიდართან გახუმრება. ეს სხვაა. ამდენს ნიკოც ხვდება და მოუთმენლად ელოდება, მოლოდინადაა ქცეული. ამ ორ წელიწადში იმდენი ნახეს და გაიგეს შვილებმა, ბევრ რამეში გადაასწრეს კიდეც თავიანთ მშობლებსა და მასწავლებლებს. ცოდნას მარტო წიგნი ხომ არ იძლევა, ბოლოს და ბოლოს. მაგრამ ნიკომ ჯერ არ იცის, ეს რომ მავნებელი ცოდნაა, ეშმაკისეულია, ბოროტებას ემსახურება, რადგან, უპირველეს ყოვლისა მშობელსა და მასწავლებელს აკნინებს შვილისა და მოწაფის თვალში, ღვთაებრიობის ელფერს უკარგავს ორივეს, თითქოს ჩვეულებრივი ადამიანი იყოს ან ერთი, ან მეორე, და მართლაც, განა შეიძლება მშობელი გებრალებოდეს, ანდა მასწავლებელს დასცინო?! არ შეიძლება, მაგრამ იძულებული ხარ - ქუჩაში მიღებული ცოდნა გაიძულებს - იცი, იმასაც რომ ისევე შია, როგორც შენ, იმასაც შენსავით სტკივა, ეშინია და ისიც იმავე მიზნით შედის ფეხსადგილში, რა მიზნითაც შენ შედიხარ. "შეიძლება, ადრეა, მაგრამ, ღმერთმა იცის, როდისღა შევხვდებით, - ამბობს მამა. - ახლა თუ ვერ გაიგებ, არა უშავს, ნუ შეშფოთდები. მთავარია, გახსოვდეს. თავის დროზე გაიგებ, მიხვდები". - თვალდახუჭული ლაპარაკობს, ხმა უთრთის, არ ემორჩილება, რის გამოც, სიტყვებს შორის შემაწუხებელი, გამაღიზიანებელი შუალედები ჩნდება უნებურად, არაბუნებრივი, მოულოდნელი. ეტყობა, თვითონაც გრძნობს ამას და კიდევ უფრო უჭირს ლაპარაკი. გაჩერებაც აღარ შეიძლება, როდემდე ისხდნენ ასე უბრად ამ აქოთებულ პალატაში?! დროც განსაზღვრული აქვთ, სულ რამდენიმე საათის შემდეგ, მისი შვილი პირველად უნდა გავიდეს ცხოვრების უსასრულო გზაზე და, ღმერთმა იცის, გაივლის თუ არა ამ გზას ბოლომდე, ანუ, დაბრუნდება თუ არა უკან. ეს მხოლოდ და მხოლოდ მგზავრზეა დამოკიდებული და არა გზაზე. გზას იმიტომ ჰქვია გზა, უსასრულოდ რომ გაგრძელდეს, ყველაფერს მისწვდეს, ფიქრივით, ყველაფერზე გადაიაროს, დრო-ჟამივით, და ისიც პირნათლად ასრულებს აქამდე თავის მოვალეობას - ურჩხულივით შემოხვევია ქვეყანას, საკუთარი კუდი პირში ჩაუდია და მშვიდად სძინავს, რადგან აღარაფერი არსებობს მისთვის მოულოდნელი, დამაეჭვებელი, განუცდელი, გაუთვალისწინებელი. არც ფეხის ხმა აფრთხობს, არც ფლოქვის თქარუნი, არც ჩლიქის ბაკუნი და არც ბორბლის რახრახი - სძინავს სადათას ძილით, რადგან გასარკვევი უკვე გაურკვევია, თავიც იქ უდევს, სადაც ბოლო, - იქ იწყება, სადაც მთავრდება, ხოლო, ვისაც ჯერ ერთიც გასარკვევი აქვს და მეორეც, იქამდე უნდა იაროს, ვიდრე ურჩხულის ხახიდან ისევ ურჩხულის ხახაში დაბრუნდება. მაგრამ განა ამდენს შეძლებს მისი შვილი ერთი ცივი კატლეტის ამარა? უნდა შეძლოს. სხვა გზა არა აქვს. სხვა გზა არა აქვთ. ამიტომ ვალდებულია, ყველანაირად მიეხმაროს გზაზე დამდგარ შვილს, ავადმყოფის ულუფიდან დაზოგილი კატლეტი არ ეყოფა ამ საქმეს; ვერც ნებაყოფლობითი სიბრმავით გაიტანს დიდხანს თავს. უპირველეს ყოვლისა, სიმართლე უნდა იცოდეს შვილმა, ანუ, ის უნდა იცოდეს, უპირველეს ყოვლისა, თუ რას წარმოადგენს მამამისი, ანუ, რა ეკუთვნის და რა არა, რას შეძლებს და რას ვერ შეძლებს, ანუ, პირნათლად გაივლის ცხოვრების გზას, თუ სხვა გაატარებს თავის ჭკუაზე. "არც არაფერს გამადლი, არც არაფერს გავალდებულებ, იცოდე. უბრალოდ, ამის ცოდნა აუცილებელია. არ მინდა არასწორედ იფიქრო ჩემზე, - ამბობს მამა და ცოტა ხნის შემდეგ, სუსტი, ძლივს შესამჩნევი დიმილით აგრძელებს - არადა, სულ ტყუილად გიხეთქავ გულს, სათქმელიც არაფერია. შენც მშვენივრად იცი, ორჯერ ორი რომ ოთხია. მაგრამ მაინც ჩვენს შორის უნდა დარჩეს, დედამ არ უნდა გაიგოს, ეს მარტო ჩვენი, კაცების საქმეა". ნიკო უარესად იძაბება, ისევ უქრება ძლივს აღდგენილი გრძნობა სიახლოვისა, სისხლხორციელი კავშირისა ამ წვერმოშვებულ, ოფლიან, დღის სინათლეზე გამწყრალ ავადმყოფთან. ისევ უწივის ყურები, ისევ ებინდება გონება გაურკვევლობის, უაზრობის სქელი, წებოვანი ბურუსით, ისევ ეუფლება გაქცევის მოურეველი ჟინი, სურვილი, მოთხოვნილება და ისევ უიმედოდ

www.Litklubi.ge

ელოდება დედისა და დეიდის დაბრუნებას, ანდა, ამ მგმინავი მეზობლის წამოჯდომას მაინც, სულერთია რას, ოღონდ, ასე დათრგუნული, ასე დაძაბული აღარ იჯდეს აქ მამის საწოლთან, უმწეობის, განწირულობის სუნით აქოთებულ პალატაში. ხელისგულები ისე გაოფლიანებია, ვედარ დაუბჯენია სკამის კიდეზე - უცურდება, უსხლტება. და უცებ, ის დღე ახსენდება, უფრო სწორად, ის დამე, საავადმყოფოდან დაბრუნებულმა დედამ აბდაუბდად, უთავბოლოდ რომ მოუყვა, სადღაც, ქუჩაში გაგონილ ამბავივით, როგორ დაუპირებია მამამისს საავადმყოფოს სარკმლიდან გადავარდნა და, სარკმელთან ძლივს მიფოფხებული, როგორ გამობრუნებულა უკანვე. "შვილს ვერ ვუღალატეო" - ვითომ ასე უთქვამს მაშინ მამას დედისთვის, მაგრამ დედა ისე ყვებოდა ამ ამბავს (სიცილ-ტირილით), გჯეროდა და არც გჯეროდა, უფრო სწორად, იმის საშუალებასაც გიტოვებდა (გზოგავდა), სისულელედ, მართლა აბდაუბდად ჩაგეთვალა ყველაფერი. მაგრამ თუკი მართლა მოხდა ამგვარი რამ, განა ეს მამის სისუსტეზე მეტყველებს?! პირიქით. ეს მხოლოდ მამის სიძლიერის დადასტურებაა და მეტი არაფერი. ვიღაცის გამო, გინდაც შვილის გამო, უარს ამბობ მარადიულ შვებაზე, სრულ, განუსაზღვრელ თავისუფლებაზე, სიკვდილზე, სადაც არც წვერის გაპარსვაა საჭირო, არც სიმწრის ოფლი გასხამს და არც არაფერი გაშფოთებს... მაგრამ, ღვთის წყალობით თუ ღვთის სურვილით, ლამის უკვე მისული იმ მართლაც რომ ზღაპრული, მართლაც რომ აღთქმული ქვეყნის მიჯნამდე (ნიკომ, უნებურად, სარკმლისკენ გაიხედა, რომელზედაც მარლის ნაჭრები აეკრათ ჯვარედინად), უკანვე ბრუნდები, ახლა უკვე შენი ნებით, ფაცაფუცით, ფართიფურთით გამორბიხარ უკან, ორჯერ გიღონდება გზაში გული, ვიდრე იქიდან გამოაღწევდე, და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იქცევი ასე, შვილის რომ გერიდება, შვილისთვის რომ ვერ გიღალატია, შვილმა არ თქვას: თვითონ თავს უშველა, მე კი უპატრონოდ დამაგდო, შემატოვა პირში ამ კაცისმკვლელ გოგიასო.

- განა არ ვიცი, რაზეცა ხარ ნაწყენი?! - თქვა უცებ გოგიამ და ნიკომ, გაოცებისაგან, თვალები დააჭყიტა. რატომღაც, დარწმუნებული იყო, გოგიას მოსვლაც მე წარმოვიდგინეო. არადა, მისი ღუმელის წინ იჯდა, მის სკამზე. კი არ იჯდა, ბატონკაცურად გადათხლაშულიყო და თავისი დამპალი, დაჭაობებული ჩექმები ღუმელისთვის მიეშვირა გასაშრობად. ისეთი ბუღი ასდიოდა ფეხებზე, პირველად, წესიერად ვერც გაარჩია იმისი სახე. ჩექმის ლანჩაზე ნერწყვში დამბალი პაპიროსის ნამწვი აჰკვროდა. - განა არ ვიცი? - გაიმეორა შემპარავი, ვერაგული არხეინობით, ვითომ ზრდილობის გამო ლაპარაკობდა მხოლოდ, ავადმყოფის გასართობად, მაგრამ დაფარული მღელვარებისგან, ხმა უსიამოდ ეხრინწებოდა წარამარა. - ბოიშვილი ვიყო, ლეომ აიჩემა, მოდი ერთი ჭკუა ვასწავლოთო, თავი რომ მოაქვს ძალიანო. ლეოს ამბავი ხომ იცი? თუ თქვა, გათავდა. არ მოისვენებს. აკი არც მოისვენა. მკლავი ხომ ამოუგდე? ამოუგდე. ველოსიპედი ხომ დაუმტვრიე? დაუმტვრიე. კიდევ აქეთ იბუტები, ვერან?! დიდი-დიდი მუხლი გაგეკაწრა ცოტაზე... - (თვითონ, გადახვეული მარჯვენა, შინნაკეთ თოჯინასავით მიეხუტებინა გულზე და უცებ, რომ არ გცნობოდათ, დებილი გეგონებოდათ, წლები რომ ემატება, ჭკუა კი არა, კაცია და ისევ თოჯინით თამაშობს).

- მართალია, ლეოს ირთავს ცოლადო? - ჰკითხა ნიკომ და სასწრაფოდ დახუჭა თვალები, ისევ ნებაყოფლობით სიბრმავეში შეიკეტა. როგორც, იმ წუთას, ყველაზე საიმედო ციხეში.

- შენა... მართლა და მართლა... ცოტა ენა დაიმოკლე... - დაიბნა, დაბლუვდა გოგია.

- ასე ამბობენ. - თქვა ნიკომ მშვიდად.

თვალები კი დაეხუჭა, მაგრამ გული გამალებით უცემდა.

- მაინც ვინ ამბობს?! - უარესად აიფოფრა გოგია. - იქნებ ჩვენც გაგვაგებინოთ, ფული თუ არ ღირს?!

www.Litklubi.ge

- ვინა და, ლეო ამბობს თვითონ. სხვებთან ისე ვარ, გასართობად, ცოლად კი, თუ წავყვები, მარტო გოგიას წავყვებიო - რაც შეეძლო, მშვიდად თქვა ნიკომ, თუმცა, გული შიშით უსკდებოდა, რამე არ ჩამარტყას, თვალდახუჭულს, თავშიო - ძალიან შევეფერებით ერთმანეთსო - გააგრძელა საკუთარი გამბედაობით გაქეზებულმა. თვალს კი ჯიუტად არ ახელდა მაინც, ბოლომდე რომ ეთქვა სათქმელი, მამისაგან განსხვავებით, არ დაეზოგა მსმენელი. - მე მეგონა, იმის დასანიშნად გინდოდა ბეჭედი, მკვდარს რომ წააძვრე გუშინ თითიდან - მოაყოლა ვითომ სხვათა შორის, მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის მასალად, ადრე ნათქვამის გასამაგრებლად.

მაშინ კი ვედარ მოითმინა გოგიამ, დედამისივით, ისიც უცებ, ფეთიანივით, წამოვარდა სკამიდან და, სადი ხელით, ღუმელის ქვეშ დაყრილ შეშას წაეტანა. მაგრამ, სწორედ ამ დროს ბებია შემოვიდა ოთახში. გოგიამ შეშას ხელი გაუშვა და - ამოხვალ მოედანზეო - ამოიხრიალა სიბრაზისგან ყელგაგუდულმა.

- ილოცე, დიდხანს არ ავდგე ლოგინიდან. - მიაძახა ნიკომ უფრო გულმიცემულმა, მაგრამ არც ახლა გაუხელია თვალი, თუმცა, ძალიან უჭირდა თვალდახუჭული წოლა, კი არ ეხმარებოდა, უარესად აფორიაქებდა ეს ნებაყოფლობითი სიბრმავე, მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული ხერხი თუ მეთოდი გარე სამყაროსთან ბრძოლისა. წარმოდგენილი ყველაფერი (რასაკვირველია, გოგიაც) გაცილებით საშიში და სახიფათო ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში შეიძლებოდა ყოფილიყო.

www.Litklubi.ge

მაგრამ თვითონ რა იცოდა ჯერ, სხვების მსაჯულად რომ დგებოდა?! ხომ შეიძლებოდა, სხვებისთვის ის ყოფილიყო მოსაწონი, რაც მას არ მოსწონდა, ის ყოფილიყო წესი და წესრიგი, რაც მას უწესობად და უწესრიგობად მიაჩნდა?! კანონს ალბათ ერთეულები წერენ, მაგრამ ყოველთვის ის დაუწერელი კანონი მოქმედებს, რომელიც უმრავლესობას აძლევს ხელს. რადაცრადაცები კი ჰქონდა გაგონილი ცხოვრებაზე, დავუშვათ, იმავე პაპისგან, ბებიისგან, იოსებასა თუ ძია სანდროსგან, მაგრამ "გაგონილი" ცხოვრებას კი არ ასწავლიდა - აყვარებდა. თანაც, ის ცხოვრება, რითაც იმათ ეცხოვრათ და რომელსაც, უნებლიეთ, აყვარებდნენ ნიკოს, აღარ არსებობდა, გარდასული, დამთავრებული ცხოვრება იყო და, რაც მთავარია, ვიდაცისგან, უფლებამოსილისგან, უარყოფილიც. ნიკო კი, ჯერჯერობით, უპატრონო ძაღლივით, სხვათა ეზოებში, ანუ, სხვათა ცხოვრებებში ყეფდა, იქ ილოკავდა, იქ იშუშებდა ნატკენ კოჭსა თუ კანჭს და თავისი ფიჩვი და ძვალი, ანუ, საკუთარი ცხოვრება, რასაკვირველია, არ გააჩნდა - ზოგადი, საერთო ცხოვრებიდან, ჯერჯერობით, ვერ გამოეცალკევებინა თავისი წილი, თავისი არჩივი და, ამიტომაც, საერთო, ზოგადი ცხოვრება ერთფეროვანი, ერთნაირად გამოხუნებული მინდორივით გადაშლილიყო მის გარშემო. მინდორი ბზუოდა, ჭრიჭინებდა, კუთავდა, წიოდა, კაკანებდა, წიწინებდა - დანახვით კი ვერაფერს დაინახავდა თვალი: სიცოცხლე ყველანაირად მალავდა თავს. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ტრიალი მინდორი იყო თითქოს, სინამდვილეში კი, ამ თვალუწვდენელ სივრცეზე ათასნაირი მწერი, ქვეწარმავალი, ცხოველი და ფრინველი აშენებდა და ანგრევდა საკუთარ წუთისოფელს, იძენდა და კარგავდა, იყვარებდა და იძულებდა, ივიწყებდა და იმახსოვრებდა, კვდებოდა და ხელახლა იბადებოდა, რადგან ასე ებზუვლა, ეჭრიჭინა, ეკუთა, ეწივლა, ეკაკანა და ეწიწინა მინდორს. ხოლო, მინდვრის შემყურე, მინდვრის საიდუმლოებათა ამოხსნის ჟინით შეპყრობილი ბავშვი, ბავშვი კი არა, თხუთმეტი წლის კაცი, კიდევ უფრო ღრმად ჩაფლულიყო თავის ფიქრებში, კიდევ უფრო ცხადად და ცხოველმყოფელად მოსჩვენებოდა ის, რაც ეჩვენებოდა. მაგრამ ნიკოს მთავარი უბედურება მაინც ის იყო, თავიდანვე რომ ჰქონდა წართმეული ცხოვრების უნარი - ფეხსადგილის ორმოს წარმოდგენილმა ნესტმა და სიბნელემ დააკარგვინა ის, რაც დედის მუცლიდან გამოჰყოლოდა, რაც ჭეშმარიტად მისი საკუთრება იყო, რამდენადაც უამუნაროდ არაფერი იბადება, ეს უნარი დაბადებაშივეა ნაგულისხმევი, გინდა მწერი იყავი, გინდა ადამიანი. მაგრამ ნიკო იქამდე გადმოაგდეს მშობლებმა ბუდიდან, ვიდრე ფრთები შეებუმბლებოდა, ხოლო ტიტველი ფრთებით, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერც ის შეიკავებდა თავს ჰაერში, ადრე თუ გვიან, მიწაზე მოადენდა ბრაგვანს და მოადინა კიდეც. მაგრამ ნიკოს სრულებითაც არ უნდოდა მაშინ მშობლიური ბუდიდან აფრენა - აიძულეს, ასე მოქცეულიყო. უფრო სწორად, მისი მშობლები იყვნენ იძულებულნი, ასე მოქცეულიყვნენ, ვიდრე გალაღებული ომი იმათ ერთადერთ ნაშიერს ბუდიანად ჩამოაგდებდა ტოტიდან. ნიკოს დანაშაული მხოლოდ ისაა, მშობლებს რომ დაუჯერა. მაგრამ, განა ყოველთვის იმას აკეთებს კაცი, რისი გაკეთებაც თავად უნდა?! იმის გაკეთება უფრო ხშირად უწევს, რასაც, მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, არასოდეს გააკეთებდა. და მხოლოდ იმიტომ კი არ იქცევა ასე, ბუნებით რომ მშიშარაა და დამთმობი, უბრალოდ, ნაადრევად, ტყუილუბრალოდ, უშედეგოდ რომ არ დაიღუპოს, რამის გაკეთება თუ არა, თქმა მაინც მოასწროს. ამიტომ, როგორც მარგალიტა ამბობს, სიკვდილამდე უნდა იცოცხლო, არ უნდა დაემონო სიკვდილს, სულ ჯიბრში უნდა ედგე, სულ უნდა ეომებოდე, როგორც ეს ქარი ეომება ქვეყანას, თუკი გინდა, დროზე მიხვდე, რა შეგიძლია და დროზე შეუდგე საქმეს, რომელმაც სიკვდილამდე უნდა შეგინახოს, სიკვდილის მერე კი გამოგაჩინოს. განა ეს ქარიც სულ იქნება? ისიც მოკვდება, ანუ, ჩადგება, ადრე თუ გვიან, მაგრამ იქამდე არ მოისვენებს, ვიდრე ღრუბლებს არ გაჰფანტავს ან არ მოაგროვებს, ვიდრე მიწას არ დაამაკებს ან არ გააბერწებს, ვიდრე წელიწადის ერთ დროს მეორეთი არ შეცვლის, ბოლოს და ბოლოს. ცოტაც და, აისრულებს საწადელს. თებერვალი ბოლო თვეა ზამთრისა. ამიტომ, ყველაზე მკაცრიცაა. აღსასრულის მოახლოება აკაპასებს. იცის, რომ ბოლოა, აღარაფერი ეშველება, და ყველანაირად ცდილობს ქვეყნის გამწარებას, ცდილობს, რაც შეიძლება დიდხანს დაამახსოვროს ქვეყანას თავი. თითქოს იმავე წამს არ დაივიწყებენ, როგორც კი მზე გამოაჭყიტავს ღრუბლებიდან. მაგრამ იქამდე, ჯერ

www.Litklubi.ge

კიდევ დიდი დროა. ხალხი ტყე-ტყე დაძრწის, ფიჩხს აგროვებს. თოვლს კენკავენ გათოშილი შაშვები. იმათ რა უჭირთ, ვისაც გამოულევლადა აქვთ შეშა. იხუხებიან მთელი დღე ღუმელთან. "სკამი უკან დასწი, გო, ცეცხლი არ შეგივარდეს". "რა ძალიან გაგიხურებიათ". ამწინებზე, ნიკოს პაპამაც მოიტანა შეშა. ვიდრე ვირს ჰქონდა აკიდებული, ბევრი ჩანდა, მიწაზე დაიყარა და განახევრდა. "მთლად ნედლიაო" - თქვა პაპამ. "რას ამბობ, კაცო, რცხილაა, ეგეთ შეშას სად იშოვი, თანაც ამ ფასადო" - გაწყრა შეშის გამყიდველი. კარგი რომ იყო, პაპამაც იცოდა, თორემ ისე, მუქთადაც რომ მიეცათ, შინ არ შემოიტანდა. პაპა თუ რამეს იყიდის, კარგს იყიდის მხოლოდ. ცოტას, მაგრამ კარგს. "უსახსრობის გამო კი არ ცხოვრობს ასე, ვედარაფერს შოულობს თავისი გემოვნების შესაფერსაო" - ხუმრობს ხოლმე ბებია, გაბრაზებული თუა პაპაზე. პაპას კი მართლა უყვარს ნავაჭრით თავის მოწონება, ერთი ათჯერ მაინც უნდა დაიტრაბახოს, მე მელოდებოდაო. შეშის გამყიდველი ტანმორჩილი, ჭაღარა გლეხი იყო. დაბამბული, იდაყვებგამოხეული ჯუბა ეცვა. თავზე გაქუცული თუშური ქუდი ეხურა. ადრე მუზარადის ქვეშ იხურავდნენ თურმე მეომრები ამ ქუდს, მაგრამ ეს ადრე იყო - ფოლადის მუზარადი გაქრა, ნაბდის ქუდი კი დარჩა. მაგრამ თუკი მაშინ მუზარადიც ვერ გვიცავდა, ახლა ნაბდის ქუდმა როგორ უნდა დაგვიცვას?! ყურები თითქოს სიცივისგან გაზრდოდა - წითლად ულაპლაპებდა. პაპამ ფული რომ ჩაუთვალა - აგაშენოთო - და ტვირთისგან გათავისუფლებულ ვირს ფულიანი მუშტი დაჰკრა გავაზე. მოკლე სახრე მეორე ხელის იღლიაში ჰქონდა ამოდებული. პაპის წითელ სამთუმნიანს დაცქვეტილი ყური გამოეყო იმის მუშტიდან, თითქოს "ჭიტას" ეძახდა ყოფილ პატრონს. მაინც კარგა ხანს ეყოთ. აქამდე იწვის და ათბობთ შეძლებისდაგვარად. შეიძლება, ესენი ძალიან ვერ ახურებენ ღუმელს, ზოგზოგებივით, მაგრამ ოთახში უფრო თბილა, ვიდრე ცივა. თავდახურულ ტაფაზე გაფუებული, გაბერილი წაბლი ხმაურით სკდება. ვიღაცას მიუცია დეიდისთვის სამსახურში, იმან კი შინ წამოიღო. მიუხედავად თავისი თამამი შეხედულებებისა, მაინც მოერიდა ალბათ გარეთ წაბლის ჭამა, მაგრამ შინ წაბლიც დაავიწყდა და თავიც. დედა-შვილის სტუმრობის ამბავი რომ შეიტყო, ჯერ მხრები აიჩეჩა მხოლოდ, ვითომ, იმათ რატომ არ უნდა მოითხოვონ, თუკი საერთოდ არსებობს ამგვარი ჯილდოო. მაგრამ როცა საბოლოოდ აღიქვა მოსმენილი, ისეთი დღე დააწია ბებიას, გუშინდელი ორომტრიალი მოგონილი იყო - როგორ მოგივიდა და როგორ შემოუშვი შინ მკვლელების ოჯახიო; ან იმათ როგორ გაგვიბედეს და როგორ გაგვრიეს ამ ბინძურ საქმეშიო. ვარდისფერი ატლასის ლიფისთვის ზედაც არ დაუხედავს, გალაკტიონის ლექსების კრებულიც არ გადმოუღია ეტაჟერიდან და, განრისხებულმა, შეიკეტა თავისი ოთახის კარი. თებერვალი კი კბილებს აკაწკაწებს, ცინგლი ჩამოსდის - მთელს ქვეყანაზეა გაგულისებული, აღრენილი - ერთი იმდენი ძალა მომცა, დიდიან-პატარიანად, ყველანი ყინულად ვაქციოო. გულზეა გახეთქილი, დღეები რომ ჩამოაჭრეს, დაამოკლეს. ყველაზე ძალიან კი მარტზე ბრაზობს მაინც, მარტს ვერ იტანს: მაშინვე მოშლის ჩემს კვალსო, ხელახლა გადაამწვანებს აქაურობასო. დიახაც! აბა, ტყუილად იბრძვის ქარი?! ჯერ გაზაფხული უნდა მოაბრძანოს, ვიდრე ჩადგება, ვიდრე მოკვდება. მართლაც, რაღა დარჩა?! ცოტაც და, მობრძანდება გიჟი მარტი. ჯერ ღინღლივით დააჩნდება ეზოებს მკრთალი, წყალწყალა, გაუბედავი სიმწვანე. გამოიღვიძებს ბუნება, სიცოცხლისკენ შემობრუნდება. მინდორი მოიხვნება, ვენახი გაისხვლება. სახნისით ამობრუნებული მიწა შავად შემოგვანათებს, სიღრმის სურნელს შემოგვაფრქვევს სახეში. ორთქლიან ბელტებზე ნაზამთრალი ყვავები დასკუპებულან, დარბაისლურად საუბრობენ: ეს რა ზამთარი იყო, ყვა�ა, ლამის გავთეთრდით, ყვაںა. თებერვალი ბერავსო, მარტი კაბას კერავსო. გამობრძანდება ახალ კაბაში, სიხარულისგან, სიამაყისგან სახეალეწილი, თვალებგაცისკროვნებული, დაბზრიალდება ადგილზე, აიფრიალებს კაბის კალთებს, დაგვანახვებს კოხტა წვივებს. მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, მოლოდინის, იმედისა და ნატვრის მთელი საუკუნე გათავდება, ვიდრე ხე აყვავდება ისევ, ვიდრე კვირტს გამოიტანს, ვიდრე ნაყოფს დაისხამს და ვიდრე ის ნაყოფი მოიწევა და მოილევა. თუმცა, ნიკოანთი არც ხეხილი უქნია ღმერთს. შეიძლება, სხვებს იმათზე დიდი ეზოები არცა ჰქონდეთ, მაგრამ მაისიდან ოქტომბრამდე სულ ნაირნაირი ხილი შემოსდით. ნიკოანთას კი მოწეულიც არ არის წესიერად, მაშინვე

www.Litklubi.ge

მოილევა ხოლმე. ვერც შემოსვლას იგებენ, ვერც მოლევას. იმათმა სინაფმა ორი-სამი ვაშლი თუ გამოიბა, ქვა უნდა გადააბრუნონ, კედელს ჩხირი უნდა ატაკონ. იმათი შვინდი ჭინჭარზე უარესად ისუსხება, ნაყოფი კი ისეთი წვრილი იცის, ცარიელი კურკაა, არაფერი დაგრჩებათ კბილზე. თუთაც უვარგისი უდგათ. სხვები ისე გასისნდებიან ხოლმე თავიანთ თუთებზე (მაგალითად, ვალო ბადალაშვილი), ძლივს ჩამოდიან ძირს. იმათი თუთა კი, კენწეროზე, ისიც აქა-იქ თუ გამოისხამს, მართლა ხილად, და ჩიტმა თუ არ დაგასწროთ, ცხვირწინ თუ არ აგაცალათ, მერე კიდევ ხელი თუ მიაწვდინეთ როგორმე, ტოტი თუ არ მოგიტყდათ - ტუჩის გასასველებლადაც არ გეყოფათ. მაგრამ, მაინც ერთ რამედა ღირს, ათასფრად რომ გადაიპენტება აქაურობა. ნაყოფისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ასე ლამაზად არც ერთი ხე არ ყვავის არსად, სხვის ეზოში. არაფერი სჯობს აყვავებული ხის ცქერას. დარეტიანებული დაბორიალობს ხოლმე ნიკო ეზოში, ფეხებში ებლანდება ხეებს, როგორც მთვრალი ბავშვი უფროსებს. სუნით ძღება და სუნით თვრება. მართლაც, ისეთი მათრობელა სუნი დგას ჰაერში, მთელი ქვეყნის ფუტკრები აქეთ მოისწრაფიან. რა ამბით ყურყუმალაობენ ბებიის სამურაბე ვარდებში - გარეთ დარჩენილ ფეხებს სიამოვნებისგან ჰაერში ასავსავებენ, უფრო ღრმად უნდათ ჩაღწევა სურნელოვან წყვდიადში, ბოლომდე, ძირამდე. აღარაფერი აღარ არსებობს იმათთვის ამ ტკბილი და ბნელი წიაღის გარდა. მერე ჩინური ჟასმინი ამოაფრქვევს თავის ბანგიან სურნელს და ახლა იქითკენ გაქანდებიან შექმნის დიადი სურვილით აზუზუნებული ფუტკრები. უფუტკრო გაზაფხული რაღა გაზაფხულია! მაგრამ, შეიძლება, ერთი ვიღაცა ვედარ მოესწროს გაზაფხულის მობრძანებას. საინტერესოა, შეძლებს თუ ვერა, ამჯერად მაინც, ქეთო მასწავლებელი გამოსათხოვარი სიტყვის თქმას?! ალბათ, ვერა. რაც ამ ორი წლის წინ მოხდა, იგივე განმეორდება. ამ ორი წლის წინ ნიკოს თანასკოლელის დასაფლავებაზე დანით ვერ გააღებინეს პირი, წამალი რომ დაელევინებინათ. იმის მაგივრად, სიტყვით მიემართა მოწაფის კუბოსთვის, ზედ გადაემხო კუბოს, გულშეღონებული. დაუნდობელმასიკვდილმარაუდროოდმიგდომახეგამოვაკლდიამხანაგებსბნელმიწაშიდავ იმარხე. ერთი საცოდავი, პატარა, წვრილთვალება ქალია. თაგვსა ჰგავს რაღაცით, განსაკუთრებით, როცა სკოლის დერეფანში მოცუხცუხებს. შეიძლება, წიგნი ესროლოთ უცებ, გამოედევნოთ. არადა, სიკეთის განსახიერებაა. იმის გაკვეთილზე თუ მოითქვამენ სულს მოწაფეები - რაც უნდათ, იმას აკეთებენ. ის კი წიგნებს ეფარება, მოკუნტული, მობუზული, რცხვენია (შეიძლება, ეშინია კიდეც) თავისი მოწაფეებისა, თითქოს იმის ბრალია, მინებჩალეწილი კარადის თავზე შემოდგმულ გლობუსს ძველისძველი, გაძენძილი, ფრთიანი შლიაპა რომ ახურავს, გიჟი ქალივით; სასწავლო ჩონჩხისთვის მკლავი რომ შეუწყვეტია ვიღაცას; დაფაზე მამაკაცის სასირცხვო რომ ხატია; საკლასო ოთახში მძაღე, ამაზრზენი სუნი რომ დგას სიბინძურისა, სიდამპლისა, მუჭში მოკლული სიყვარულისა. მოწაფეები ჰქვიათ, მაგრამ უკვე კაცები არიან, ოჯახებს ინახავენ, ზოგი მექუდეა, ზოგი ხარაზი, თითები დაჩხვლეტილი აქვთ ნემსითა და სადგისით. მანქანის ძველი საბურავებიდან წაღებს კერავენ (ნიკოსაც იმათი შეკერილი წაღები აცვია), კვირაობით ბოდბისხევის ბაზარში ყიდიან, აღებული ფულის ნახევარს, თუ მთლიანად არა, წნორის ბარაკებში ტოვებენ და გუნებაგადაწმენდილნი, მოისწრაფიან სიღნაღისკენ, ორშაბათის გაკვეთილების მოსამზადებლად, მაგრამ იმდენი და იმდენნაირი გულისხეთქვა უნდა გამოიარონ შინამდე, ნასახიც არ ამოჰყვებათ ხოლმე წნორში განცდილი სიამოვნებისა; გაურკვეველი მოლოდინი ხომ სულ თავბედს აწყევლინებთ, ერთი სიცოცხლე უნდა გაათავონ, ვიდრე დახედავენ, დაათვალიერებენ, განსაკუთრებით, მესამე, მეშვიდე და ოცდამეერთე დღეს. და ესეც თითქოს ქეთო მასწავლებლის ბრალი იყოს, დამფრთხალი, დარცხვენილი ეფარება წიგნებს. მაგრამ განა შეიძლება, ცხოვრობდე და დამნაშავე არ იყო, რამეში მაინც?! შეიძლება, ვინც არაფერს აშავებს, ის უფრო დამნაშავე აღმოჩნდეს ბოლოს. მაგრამ ნიკოსთვის ყველაფერი სულერთია უკვე. განურჩევლობის, გულგრილობის, უგრძნობლობის წყვდიადშია ჩაკარგული. ისეა, როგორც მაისის ხოჭო - ასანთის კოლოფში. პატარაობისას ჯიბით დაატარებდა ასანთის კოლოფში დამწყვდეულ ხოჭოს და ძალიან ეამაყებოდა, ასეთი ძლევამოსილი რომ იყო, ასეთი საუნჯის მფლობელი; მოწყალე ხელმწიფის უბრალოებით ანებებდა ყველას, ყურზე მიედო მისი ასანთის

www.Litklubi.ge

კოლოფი და მოესმინა, როგორ ფხაკუნობდა შიგ წყვდიადის ტუსაღი. ის კი, ტუსაღი, განუწყვეტლივ ფხაკუნობდა. ხმელი, ბუსუსიანი ფეხებით ფხოჭნიდა მუყაოს კედლებს, არ უნდოდა ბნელში ყოფნა. ის, თურმე, იტანჯებოდა, ნიკოს კი უხაროდა. მაგრამ მაშინ არაფერი გაეგებოდა ნიკოს ტანჯვისა. მაშინ ისიც არ იცოდა, წყვდიადი ასანთის კოლოფშიც რომ წყვდიადია. უვიცი იყო, ბატონებო, უვიცობისთვის მაინც შევუნდოთ! თუმცა, არა, სწორედ უვიცობის პატიება არ შეიძლება. გინდაც არც ერთი წიგნი არ ჰქონდეს წაკითხული, იმდენი მაინც უნდა იცოდეს, წყვდიადი ასანთის კოლოფშიც რომ წყვდიადია. და კიდევ - ის ხოჭო მისი ძმა რომ იყო, ხოჭოდ შობილი, ანდა, დროისა და გარემოების გამო ხოჭოდ გარდაქმნილი. ამას არა აქვს მნიშვნელობა, მნიშვნელოვანია, თავიდანვე რომ არ იცოდა ეს და იქამდე ტანჯავდა ძმას, ვიდრე საერთოდ გაიგებდა, რა იყო ტანჯვა, ყველანაირი, ადამიანურიც, ცხოველურიც, ფრინველთა, მწერთა, ქვეწარმავალთა... იმიტომაც იტანჯება ახლა, უფრო სწორად, იტანჯებოდა, ვიდრე მოკვდებოდა. ტანჯვით ამოხდა სული. დედამისს კი ეგონა, ტაშ-ფანდური ექნებოდათ აქ გამართული. თავისი ჭკუით, შვილი გადაარჩინა, სამშვიდობოს გაიყვანა, გაარიდა განსაცდელს. არადა, დააახლოვა, დააჩქარა აღსასრული შვილისა. ზედმეტი ტვირთი მოიშორა, მეორე ხელიც გაითავისუფლა, უფრო მაგრად, ორივე ხელით რომ ჩასჭიდებოდა ქმრის საწოლს. შვილი კი, ნელ-ნელა, თანდათანობით, ერთისა და იმავეს გამეორებით, შეაჩვია, დაარწმუნა, ზედმეტი რომ იყო, ხელისშემშლელი, წასასვლელი. სულ მარტო ხარო, შენთვის დროც აღარ მრჩებაო, უპატრონო ძაღლივითა ხარ ქუჩაში ჩავარდნილიო, ღმერთმა იცის, რას ჭამ და რას სვამო - სულ ასე ეჩიჩინებოდა, სულ ერთსა და იმავეს, რადგან ფიქრით მაინც იქ იყო ყოველთვის, საავადმყოფოში; აქ კი, შვილთან, მშობლის ვალს იხდიდა იძულებით; დაუფიქრებლად, გაუაზრებლად უმეორებდა შვილს ერთხელ და სამუდამოდ აჩემებულ სიტყვებს, რომლებსაც ხშირი გამეორებისგან, საერთოდ დაკარგული ჰქონდათ მისთვის ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა. თან სლუკუნებდა, თავფეხიანად გაწუწული, წვიმაში მოყოლილი, თითქოს გაუბედავად ჩამომჯდარი სკამის კიდეზე, თითქოს გასაქცევად გამზადებული, თითქოს ერთი წამით, რადაცის სათხოვნელად შემოსულა მეზობელთანო, პალტოც არ გაეხადა ჯერ, ჯერ ისევ ასდიოდა საავადმყოფოს სუნი, უსიამო, შემაშფოთებელი, დამთრგუნველი, გამაბითურებელი, ყველაფერთან შემრიგებელი და ყველაფრის გამაუფასურებელი. ის კი სლუკუნებდა, საკუთარ სახლში სტუმარივით ჩამომჯდარი სკამის კიდეზე; ჭუჭყიანი ჭურჭლით სავსე ჩანთა ჯერ ისევ კალთაში ედო და სლუკუნებდა, ტიროდა, ტიროდა თავის უბედურებას, უიღბლობას, ჩაშლილ დღესასწაულს, დანგრეულ ოჯახს, სასიკვდილოდ გადადებულ ქმარს, გადაჩვეულ, გაგარეულებულ შვილს... ტიროდა, ცხარე ცრემლით ტიროდა, მდუღარე, უწყვეტი ცრემლი გამდნარი ბროლივით ჩამოსდიოდა ლოყებზე. ეს მისი ოცნების ბროლის კოშკები დნებოდნენ, დნებოდნენ, რადგან ტყუილად იკავებდნენ უკვე ადგილს, ვიღას ეცალა ბროლის კოშკებისთვის, და ისინიც ეცემოდნენ, იმსხვრეოდნენ, ჯოჯოხეთურ ცეცხლზე ლღვებოდნენ, დნებოდნენ და ცრემლად მიდიოდნენ, მირონად... გაბოროტებულ გულზე რომ მოცხებოდნენ ქვეყანას, იქნებ... მაგრამ რა შეძლო ერთ საბრალო ქალს?! არაფერი. ყოველ შემთხვევაში, მეტი აღარ შეუძლია. ისიც ადამიანია, ბოლოს და ბოლოს. იმასაც ეშინია, იმასაც სტკივა, იმასაც სცივა, იმასაც შია. თუ რამე ჰქონდა, ბაზარში გაიტანა - ქმარს, პირველ რიგში, ქმარს რომ არ მოკლებოდა რამე; "მეორე არ გვინახავს ასეთი მოვლილი ავადმყოფიო" - ასე რომ ეთქვათ ერთმანეთისთვის მკლავებდაკაპიწებულ დასტაქრებს. მაგრამ მეტი აღარ შეუძლია, დაიღალა, ძილი ენატრება, სიკვდილივით ძილი, სიკვდილისხელა... გამგები კი არავინა ჰყავს, ამ ბინძური, ნიკაპდაჭმუჭნული ლეკვის მეტი, მაგრამ სწორედ იმას, ლეკვს, არ უნდა მისი გაგება - გატყიურდა, გადაგვარდა, თავს არიდებს დედის ხელს, აღიზიანებს მოფერება, მიალერსება. მართლა ლეკვივით იღრინება, კბილებს კრეჭს და მისდაუნებურად უჩვენებს დედას ველური წიწმატით ჩამწვანებულ ღრძილებს. "რა ჭამეო" - უკვირს დედას. თუმცა, მაინც ტირის ჯერ, მაინც ვერ შეუკავებია სლუკუნი. ამიტომაც, ძალიან სასაცილოდ გამოსდის, თავისთავად სასაცილო შეკითხვა. თვითონვე ეცინება. თან ტირის, თან სლუკუნებს, თან იცინის:

www.Litklubi.ge

რას გავხარ, რას დამსგავსებიხარ, ბავშვი ხარ თუ ბოჩოლაო. იცინის, იცინის სლუკუნით და სიცილით სლუკუნებს. მართლაც რომ სასაცილოა - ბალახსა ძოვს მისი შვილი, სულ მთლად გაპირუტყვებულა. ვედარც მისი შვილი იკავებს თავს - ძლივს, ტანჯვის ფასად დაძლეული ტირილი უცებ არაბუნებრივ, ამაზრზენ სიცილად იფეთქებას იმის გულ-მუცლიდან, თვალებიდან. ახლა ორივენი იცინიან. დედა ტყუპად ასწევს ხოლმე ფეხებს და ისევ ტყუპად დაჰკრავს იატაკს. ლეკვიც იცინის, კვდება სიცილით, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მაგრამ მაინც მზადაა, დროულად აირიდოს დედის ხელი, მოსაფერებლად წამოღებული, ვითომ უნებურად, შემთხვევით. ძველისძველ ბუფეტში ჭურჭელი წკრიალებს. სარკმლის მინები ზრიალებენ, როგორც საზენიტო ქვემეხების ხმაზე, თუმცა, ამ თვალსაზრისით, მშვიდი დღეა თითქოს, არც ერთ თვითმფრინავს არ გადაუფრენია ქალაქის თავზე. კედლებიდან გაოცებულნი იყურებიან ნაცნობთა თუ უცნობთა, ცოცხალთა თუ გარდაცვლილთა სურათები. ისინი კი იცინიან, იცინიან, თან დაყურადებულნი არიან, თვალს წამითაც არ აშორებენ ერთმანეთს, ფხიზლობენ, რადგან ამ მოულოდნელმა, ავადმყოფურმა, დამაკნინებელმა სიცილმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოშალოს დედა-შვილს შორის ძლივს აღმართული ჯებირი ბედთან შეგუებისა, არ უნდა დაუმსხვრიოს დედა-შვილს ძლივს მორგებული ნიღბები სიმტკიცისა, გამძლეობისა, ამტანობისა... არც ერთს აღარ ეყოფა ძალა, გამთიშავი, გადამრჩენელი ჯებირის აღსადგენად, ახალი ნიღბის გამოსაძერწად. სიცილს კი, რა უჭირს, რას აშავებს! კი, ბატონო, იცინონ, რამდენიც უნდათ, ოღონდ სიცილით ნუ შენიღბავენ თავიანთ ქვენა გრძნობებს. რა საჭიროა?! კარგს არაფერს მოუტანთ, დატანჯვით კი უარესად დაიტანჯებიან ერთადაც და ცალ-ცალკეც, თავთავიანთ კოლოფებში. ჯობს, იცინონ უმიზნოდ, უაზროდ. იცინონ იმიტომ, რომ იცინონ, იმიტომ, რომ შეუძლიათ, იციან, რას ნიშნავს სიცილი, როგორ უნდა გაცინება. ფოტოგრაფი ხომ არავის არ ასწავლის, როგორ გაიცინოს, სამაგიეროდ, ყველას ერთნაირად ეუბნება, გაიცინეო, იმიტომ, რომ გაცინების უნარიც თანდაყოლილია და ყველა ადამიანს ერთნაირად შეუძლია, როცა უნდა, მაშინ გამოიყენოს ეს უნარი, როგორც მოეპრიანება, ანუ, მასზეა დამოკიდებული, როდის და როგორ გაიცინოს. სიცილი კი, ღვთის წყალობით, ბევრნაირი არსებობს: უდროოც, ყალბიც, მწარეც, დამცინავიც, უაზროც, გიჟურიც, უმიზეზოც, უგულოც, ცივიც... ასე რომ, სიცილის არჩევაც შეიძლება, თუკი, რა თქმა უნდა, საერთოდ შეიძლება რაიმეს არჩევა, ერთხელ და სამუდამოდ, ვიდრე ცოცხლობ, ვიდრე ხარ; ძნელი სათქმელია, რადგან ადამიანი განუწყვეტლივ ირჩევს რაღაცას, მაგრამ იმდენად მერყევია მისი ბუნება, ისე მალე ეცვლება აზრი, შეხედულება თუ სურვილი - ბოლოს აღარაფერი შერჩება ხოლმე ხელში.

www.Litklubi.ge

8

- დედი, მგონი გაიღვიძა. - თქვა დეიდამ.

- ძალიანაც კარგი. საცაა ექიმიც მოვა. - უპასუხა ბებიამ და იმავე წამს - როგორ გაოფლილხარო - ჩასჩურჩულა ნიკოს ყურში, თითქოს დეიდისგან დაფარულად, საიდუმლოდ, და ნიკომაც ჯერ ბებიის ხელის სუნი იგრძნო, მერე შეხება - ორივე ესიამოვნა, მაგრამ ჯერ მაინც იქ იყო, ძილ-ბურანში, მტანჯველ ნეტარებაში, და, რაც მთავარია, სრულებითაც არ უნდოდა იქიდან გამოსვლა, გამოფხიზლება. "გაიღვიძე, გენაცვალოს ბებიაო" - ისევ ჩასჩურჩულა ბებიამ, შემპარავად, ვერაგულად, გამომაფხიზლებლად - უსაზღვრო სიყვარულითა და მზრუნველობით ხმაგამთბარმა, ხმაათრთოლებულმა.

ნიკომ ძლივს-ძლივობით, თანდათანობით გაახილა თვალი, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ბებიის მაგივრად დეიდა შერჩა ხელში - დეიდა დასდგომოდა თავზე და დამცინავი სიბრალულით დასცქეროდა, როგორც სურათს დასცქერიან - აი, შე საბრალოვ, ვერცა მხედავ და ვერც გამომეპასუხებიო - მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე: ნიკო ხედავდა კიდეც და, საჭირო თუ შეიქნებოდა, არავის დატოვებდა უპასუხოდ.

დეიდას თავისი "შვილიკო" - განუყრელი გალაკტიონის ლექსების კრებული - ორივე ხელით მიეხუტებინა გულზე. თვითონ ეძახის ასე: ეს ჩემი შვილიკოაო. პაპა კი ნიშნს უგებს, რა თქმა უნდა, ქარაგმულად, ისევ ანდაზის დახმარებით: ქალმა თქვა, შვილი მინდა, ქმარი არაო - ვითომ, "შვილიკო" კარგია, მაგრამ ქალს, პირველ რიგში, ქმარი უნდა ჰყავდესო. დეიდაც ზუსტად ისე იგებს პაპის ქარაგმას, როგორც უნდა გაიგოს და, გაცეცხლებული, შეუტევს ხოლმე: მე რომ გათხოვება მდომებოდა, აქამდე ათჯერ გავთხოვდებოდიო.

www.Litklubi.ge

დიახაც, არ უნდა გათხოვება! და ეს თუ ვინმემ იცის, ნიკომ იცის მხოლოდ. ნიკოა იმისი მესაიდუმლე, ნიკოა იმისი უიღბლო, უცნაური სიყვარულის მოზიარეც და, ვინ იცის, თავიდანვე, სულაც ამ განზრახვით ჩამოიყვანეს ის ბათუმიდან, რაკი, ერთ მშვენიერ დღეს, თვალი აეხილათ და ნათლად დაინახეს, უმწეონი, არაფრისმაქნისნი რომ იყვნენ უმეგობროდ (უნიკოოდ) - ვერც საიდუმლოს დამალავდნენ და ვერც სიყვარულს აიტანდნენ. ამიტომ, ამ სამი წლის წინ, ჩამოადგეს თუ არა მატარებლიდან ფეხი, სიღნაღის ავტობუსს კი არ მიაშურეს იმან და დეიდამისმა, სადაც პაპაც დახვდებოდათ ალბათ, არამედ - სოსოს სახლს, ორივესთვის სრულიად უცხოსა და მიუდგომელს, განსაკუთრებით კი ნიკოსთვის, რადგან ნიკომ იქამდე ისიც არ იცოდა, საერთოდ თუ არსებობდა მსგავსი სახლი ამ ქვეყანაზე. თუმცა, ბოლოს მაინც იმას დააკისრა ბედმა იმ სახლში შესვლა და სამუდამოდ დაამახსოვრა კიდეც, იქიდან მოყოლებული, როცა დეიდის ხათრით, ბრმად, ალალბედზე აათავა იმ სახლის უმოაჯირო კიბე და აივნის იატაკმა ავად, სახიფათოდ, სისხლისგამყინავად გაიჭრაჭუნა ფეხქვეშ. მართალია, დეიდა, ბათუმიდან წნორამდე, მთელი ორი დღე, მხოლოდ ამაზე ელაპარაკებოდა მატარებელში, ათასნაირად უხსნიდა და ასწავლიდა, როგორ უნდა შესულიყო იქ და რა უნდა ეთქვა დამხდურისთვის, მაინც ყველაფერი გაუგებარი და უჩვეულო, საშიში და სახიფათო ეჩვენებოდა იმ დღეს და გრძნობამორეული იმეორებდა გუნებაში: მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობითო, ოღონდ, თვითონაც არ იცოდა წესიერად, ვის ემშვიდობებოდა, რას ემშვიდობებოდა ასე თავგამოდებული, ასე მხურვალედ. ყოველ შემთხვევაში, არავის და არაფერს გაუჩენია მისთვის მისალმების სურვილი. დეიდა გაფაციცებული, აჩურჩულებული ექაჩებოდა მკლავზე და ლამის ბრმასავით მიაკვლევინებდა გზას დაფეთებულ, აჩოჩქოლებულ, მორევივით დატრიალებულ ხალხში. "ფხიზლად იყავი, პაპას არ გადავეყაროთ სადმეო" - აფრთხილებდა წარამარა, რადგან ჯერ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი, პაპა არ სჭირდებოდათ, პაპა ხელს თუ შეუშლიდათ მხოლოდ. ნიკოც უხმოდ ემორჩილებოდა დეიდის ხელს, სხვათა შორის, საკმაოდ მტკივნეულს, და ერთი სული ჰქონდა, ვიდრე აქედან გააღწევდნენ, ვიდრე სათითაოდ გადააბიჯებდნენ, ანდა გვერდს აუვლიდნენ, უხეშად, მაგრამ საიმედოდ, სანდოდ, თითქოს სამუდამოდ, შეკრულ, გაკოჭილ, გადაბმულ ტომრებს, ხურჯინებს, ჩემოდნებსა თუ კალათებს - დარბეული ბარიკადის ნარჩენებივით მიმოფანტულს სადგურის იატაკზე. მიძვრებოდნენ, მიიპარებოდნენ, თითქოს გადასარჩენად კი არ ჩამოსულიყვნენ აქ, აქაურობისთვის უნდა დაეღწიათ როგორმე თავი. ნიკო მართლა ბრმასავით ემორჩილებოდა თავის ასმათს, დანდობილი მიჰყვებოდა წნორის უკუნეთში, გაურკვევლობის ჩახუთულსა და უკიდეგანო მღვიმეში. მიდიოდნენ, მიიპარებოდნენ. ჰაერიც არ იძვროდა, აღარაფერი იყო ირგვლივ, გარდა მტვრის სუნით გაჟღენთილი წყვდიადისა, თითქოს მართლა მიწისქვეშა მღვიმეში იყვნენ, იქ შეესწროთ გადარჩენილებს გადამრჩენელისთვის - პაპასთვის. ნიკოს იმის გარკვევაც უჭირდა, ქუჩაში მიდიოდნენ თუ შარაზე. ფეხქვეშ ფაფუკ მტვერსა გრძნობდა მხოლოდ, ფეხი ლამის კოჭამდე ეფლობოდა მტვერში, თითქოს დიდი ხნის წინ ჩამქრალ ვარსკვლავზე მიაბიჯებდნენ და სიცოცხლის არსებობა დასაშვებიც არ იყო ირგვლივ, თვალის საწიერზე. დეიდა კი იცინოდა, ვერაფრით ვერ დაეოკებინა ნერვიული სიცილი. ეტყობა, მაინც რცხვენოდა ნიკოსი - არც ისეთი დიდი იყო, როგორც დიდობდა. ნიკოსთან მოჰქონდა თავი, ნახე, რა ამბებში ვარ გარეულიო, მაგრამ ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული, სწორად რომ იქცეოდა, კარგ მაგალითს რომ აძლევდა უმცროსს. "ერთი ყლუპი წყალი რომ მომცა, მაშინვე გამივლისო" - ამშვიდებდა და ებოდიშებოდა კიდეც ნიკოს. მაგრამ მტვრის გაუვალ უდაბნოში წყლის ნატამალიც არ არსებობდა, თუმცა, ჭასაც გადააწყდნენ სიბნელეში და ონკანსაც - ჭის ოწინარი, ვედროიანად, მიწაში ჩადუღაბებულ რკინის რგოლზე იყო ჯაჭვით დაბმული, ჯაჭვს კი ჟანგიანი ბოქლომი ეკიდა; ხოლო, ონკანს ვერაფერი გამოსძალეს უსიამო ღრჭიალისა და გულგახეთქილი ობობის მეტი - გამწარებულმა ნიკომ წიხლი რომ უთავაზა მტვრის ზვირთებიდან რკინის გველივით წამოყელყელავებულ ონკანს, იმის სამუდამოდ გამომშრალი ტუჩიდან ობობა ჩამოვარდა და, გრძელ ფეხებზე აფოფრილი, მოუხერხებლად გაიქცა მტვრადქცეულ მიწაზე.

www.Litklubi.ge

ბოლოს, როგორც იქნა, ამოაღწიეს მიწისქვეშა მღვიმედან - უცებ ცა გამოჩნდა, ვარსკვლავებით გადაჭედილი - და ნიკომაც შვებით ამოისუნთქა, თითქოს იქამდე, ცის გამოჩენამდე, სუნთქვას ძალით იკავებდა. მაშინვე ნიავმაც დაუბერა და საიდანღაც დამდგარი, დამყაყებული წყლის სუნი მოიტანა. იმავე წამს, ვარსკვლავების შუქზე, მაზუთის გუბეები გაბრწყინდნენ და ყურისწამღებად აყიყინდნენ ბაყაყები. წინ ლერწმის ტყე ირწეოდა - ხან აქეთ გადაწვებოდა, მთვრალი მხედარივით, ხან იქით. ლერწმები ჩხრიალით ეხეთქებოდნენ ერთმანეთს. მთვარისა და ვარსკვლავების შუქში ოქროსფრად ბზინავდა მათი გაბურძგნული ქოჩრები.

დეიდა ლერწმებში შევიდა. ნიკოც შეჰყვა. ვერაფერს ხედავდა, ხმას მიჰყვებოდა. დეიდა კი ნადირის სითამამით მიიკვლევდა გზას. ეტყობოდა, პირველად არ იყო აქ. "მშვიდობით, მშვიდობითო" - გაიმეორა ნიკომ გუნებაში, ოღონდ, ამჯერადაც არ იცოდა, ვის ან რას ემშვიდობებოდა. უბრალოდ, გადარჩენის (ალბათ) საამური შეგრძნების ნაცვლად, ჯერჯერობით, სევდა და სინანული ჰქონდა ზურგზე მოკიდებული, ქვებით სავსე ტომარასავით, უსახელო სევდა და ასევე უსახელო სინანული, თვითონაც რომ ვერ გაერკვია წესიერად, რისი და რის გამო. "რასაც შენით დათმობ, ვეღარასოდეს დაიბრუნებო" - გაახსენდა, რატომღაც, მამის ნათქვამი და, ერთი წამით, დაინახა კიდეც მამა, თვალდახუჭული, სახეზე ოფლგადამსკდარი. ხელი აუქნია უნებურად, თითქოს ეს მტანჯველი, მაგრამ უკვე მოთხოვნილებად ქცეული ჩვენება, გარედან ესხმოდა თავს და სამუდამოდ არ იყო ჩასახლებული მის გულსა და გონებაში.

www.Litklubi.ge

უცებ დეიდას გადააწყდა. თითქოს დეიდა კი არ ელოდებოდა, გზას უკეტავდა, მტკიცედ გადაეწყვიტა, არ დაეთმო გზა, არ მოეცვალა ფეხი და, მართლაც, მიუდგომელ ციხესავით აღმართულიყო ნიკოს წინ, მოქუფრული, დაძაბული, ხმამაღლა მსუნთქავი, სადავით დაოკებულ ცხენივით. საიდანღაც ნიავს მთვრალი, არეული სიმღერის ნაგლეჯები მოჰქონდა. ირგვლივ ლერწმები ფაჩუნობდნენ, ჩხრიალებდნენ, აწყდებოდნენ ერთმანეთს. "ნიკო, ნიკო, რომ იცოდე, როგორ მეშინიაო" - თქვა უცებ დეიდამ. ნიკომ კი მხრები აიჩეჩა მხოლოდ და მუშტები უფრო ღრმად ჩაიყო შარვლის ჯიბეებში. რასაკვირველია, იმასაც ეშინოდა. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ სიამოვნებდა იქ დგომა - მაზუთის გუბეებში, ბაყაყების ყიყინში, დამაეჭვებლად აჩურჩულებულ, ცუდად ასისინებულ ლერწმებში. რაღაცნაირად თრგუნავდა, აბეჩავებდა იქაურობა და საფრთხის უსიამო წინათგრძნობა უხსენებელივით აცოცდებოდა აძაგძაგებულ ფეხებზე. უხსენებელიც ბევრი იქნებოდა ალბათ იმ ლერწმებში, მაგრამ ნიკოს ესეც უნდა აეტანა, ყველაფრისთვის უნდა გაეძლო, რადგან მარტო დისშვილი კი არ იყო დეიდისა, არამედ მეგობარიც. მეგობრობა კი, სწორედ ატანას, გაძლებას, მოთმენასა და შეუძლებლის შეძლებას ავალდებულებდა. "ერთი ამას დამიხედეთ, ჩაუწყვია ჯიბეში ხელები... ვითომც არაფერი" - გაიცინა დეიდამ. ლერწმები კი ფაჩუნობდნენ, ჩხრიალებდნენ, ჩურჩულებდნენ, გრილსა და ხაოიან ფოთოლს, დარბილებული, დაუძლურებული მახვილივით, ხან დეიდას ჩამოუსვამდნენ სახეზე, ხან ნიკოს, ვითომ შემთხვევით, უნებურად, სიბნელისა და სივიწროვის გამო. "არაფერიც არ მოხდება - თქვა დეიდამ - იკითხავ და გამობრუნდები მაშინვე. რამე ხომ არ გაგიგიათ ახალი-თქო. ჩამოდიან და ჩამოდიან თურმე მკვდრები... მკვდრები რომ ეგონათ თავისიანებს. ამხანაგის ძმა ვარ-თქო. მაშინვე გამობრუნდი. გესმის, ნიკო? გული მეუბნება, ცოცხალიაო. დარწმუნებული ვარ. დარწმუნებული ვარ". უცებ ერთი ხელი ნიკოს ჩასჭიდა მხარში, მეორე ლერწმებში გაყო და თქვა: აგე, იმათი სახლიო. ნიკომაც იმავე წამს დაინახა საკმაოდ დიდი სახლი. სახლი კი არა, სახლის პირქუში ლანდი, ლამის ლერწმებზე წამომართული. "რისი უნდა მეშინოდესო" - თქვა გუნებაში, უფრო თავის დასამშვიდებლად, რადგან მართლა შეაშინა სახლის პირქუშმა, ავად გარინდულმა ლანდმა, ზდაპრული მოულოდნელობით, ზდაპრული სისწრაფით გაჩენილმა მისთვის და ასევე ზდაპრული იდუმალებით აღსავსემ ყველასთვის, ვინც კი შეხედავდა (მაშინ რას იფიქრებდა, სამი წლის მერე ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს, მაინცდამაინც, ეს სახლი რომ გაახსენდებოდა, ეს სახლი რომ წარმოუდგებოდა თვალწინ, როგორც ყველაზე საიმედო თავშესაფარი). დეიდამ ლერწამს ფოთოლი ჩამოახია, კისერზე შემოიჭდო, თითქოს კაბის საყელოს ზომას იღებსო, და ჰკითხა: მართალია, რასაც დედაშენი ამბობს შენზეო? "რას ამბობსო" - შეცბა ნიკო და, უნებურად, ჯიბიდან ხელები ამოიღო, თითქოს უფროსს უნდა მისალმებოდა. გული კი ისე აუფრიალდა, თითქოს სკოლის საპირფარეშოში პაპიროსს ეწეოდა და დერეფანში დირექტორის ხმამ დაიგრგვინა მოულოდნელად. რატომღაც, ელენიცას მკრთალმა აჩრდილმა გაიელვა, ერთი წამით, ლერწმებს შორის. არათუ სხვას, თავადაც გაუჭირდებოდა რაიმე კავშირის გაბმა ამ აჩრდილსა და დეიდის შეკითხვას შორის. ლერწმებზე რაღაცით დაფეთებულმა ჩიტმა გადაიქროლა. ლამის მკერდით წამოსდებოდა მთვარეში მობიბინე კენწეროებს. "დედაშენმა მითხრა, დარდიანიაო, დაიდარდებსო - თქვა დეიდამ. - ჩემსავით ყოფილხარ. მეც დარდიანი ვარ. ასეთი დავიბადე, თურმე, დარდიანი. - გააგრძელა უხალისოდ. აშკარად ეტყობოდა, ფეხს ითრევდა, არ ჩქარობდა ნიკოს გაშვებას, თითქოს ბოლო წუთას დაეჭვებულიყო თავისი ჩანაფიქრის სისწორეში, ანდა ნიკოს ერთგულებაში. - მამაჩემი ამბობს, დარდს მოგცემ, დარდს დაგავიწყებო - დაამატა სევდიანი, ფიქრიანი ხმით. - გაგიგიათ, დარდის დარდით მკურნალობა?! თქვენს საყურადღებოდ, დარდიანო მოქალაქენო! - გახალისდა ისევ. - ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, გარდა შაბათისა და კვირისა. შაბათ-კვირას თვითონვე მიხედეთ თავს. - გაუბრაზდა ვიღაცებს. - მე არ მჭირდება მკურნალობა. დიდი მადლობა მომიხსენებია. დარდიანი მინდა ვიყო. სხვათა შორის, ძალიან მიხდება დარდი. და რაც მთავარია, ყველანი მამჩნევენ. უი, როგორი დარდიანი ხარ, გოგო... მე კი, ძალიან, ძალიან მომწონს ჩემი დარდიანი თავი". - ისევ გადაეფარა ხმაზე ბრაზიანი

www.Litklubi.ge

სევდის ჩრდილი. ნიკოს კი თავისი შორეული, უკვე ძნელად დასაჯერებელი ბავშვობა გაახსენდა, ჯერ კიდევ ომამდელი. იმასაც ზუსტად ასე ეუბნებოდა სადღაც, ბაკურიანსა თუ წაღვერში, ჭროდათვალება, პირთეთრა ქალი, მათი დიასახლისი, როცა ისა და დედამისი, ლამის უთენია, თავიანთი ჭიქებით მიადგებოდნენ ხოლმე რძისთვის. დიასახლისი დაბალ ჯორკოზე იჯდა ძროხის უკანა ფეხებთან, ძროხის კუდი საკუთარი ნაწნავივით გადაეგდო მხარზე და ისე ღონივრად წველიდა ჯიქანს, ნიკოს უკვირდა, როგორ უთმენდა, როგორ უჩერდებოდა ძროხა. ის კი, ძროხა, დიდი, წყლიანი თვალებით შემოსცქეროდა ნიკოს თავისივე რძის ოხშივრიდან, დილის სიგრილიდან, თივისა და ფუნის სურნელიდან და, თითქოს იცნოო, თითქოს გაუხარდა იმის დანახვაო, ფუნაშემხმარ კუდს ნაზად, რბილად სცემდა მწველავის მოხრილ ზურგს. ის კი, მწველავი, პირდაპირ ჭიქაში ჩამოუწველიდა ხოლმე ნიკოს ჩხრიალა, ქაფიან რძეს და თეთრი, დასვრეტილი ქაფით თავმობმულ ჭიქას რომ მიაწვდიდა, აუცილებლად ეტყოდა: აღარ უნდა მოგივიდეს, ბიჭო, ფერი, რას დარდობ ამისთანასო. - "იცი, რატომა ვარ ასეთი? - ჰკითხა უცებ დეიდამ, მაგრამ აღარ დაუცდია პასუხისთვის. - გვიან გავჩნდი და იმიტომ. - გააგრძელა თვითონვე. - დავაგვიანე მობრძანება. არა, მე კი არ დავაგვიანე, ჩემმა მშობლებმა ვერ გამოწირეს, არ დააყენეს საშველი. სხვა დროს გამაჩინეს. მაშინ კი არა, როცა წესითა და რიგით მეკუთვნოდა გაჩენა, არამედ, როცა ცოტათი მაინც დაიმშვიდეს თავად გული და კიდევ ერთი - სულ კი ორი - ბავშვის გაჩენა გაბედეს. დედაჩემს რომ ჰკითხოთ, ბევრი შვილი მინდოდაო. ნუ ამბობენ მაინც! სად ჰქონდათ ბავშვის გაჩენის თავი. ბავშვი რომ გააჩინო, გულადიც უნდა იყო. მე დედაშენზე, დიდი-დიდი, ერთი-ორი წლით უნდა ვყოფილიყავი უმცროსი, თუკი, საერთოდ, უნდა ვყოფილიყავი. სინამდვილეში კი ათი წლითა ვარ უმცროსი საკუთარ დაზე, ათით კი არა, თერთმეტით, დედად უფრო მეკუთვნის, ვიდრე დად. მეორე დედაა - კი არ ესმის ჩემი, ჩემს მხარეზეა, ჩემია, გული შესტკივა ჩემზე. - ბრაზიანად წაჰკრა ხელი გვერდზე მდგარ ლერწამს. ლერწამი ჩხრიალით მიაწყდა დანარჩენებს, ისინიც აჩხრიალდნენ, აფორიაქდნენ და, იმავე წამს, თოვლივით წამოვიდა ზემოდან ლერწმის ქოჩრის ფაფუკი, ბრჭყვიალა მტვერი. - ვიდრე ქვეყანა არ დაწყნარებულა, ჩემს მშობლებს ვერ გაუბედავთ ჩემი გაჩენა, თითქოს უარესად ავრევდი ისედაც არეულ ქვეყანას. - გაიცინა ყალბი, ცარიელი სიცილით. თმასა და მხრებზე ლერწმის "თოვლი" დასდებოდა (ალბათ, ნიკოსაც). - ასე რომ, მე უკვე დაწყნარებული ქვეყნის პირმშო ვარ. სხვათა შორის, შენც. წარმოგიდგენია? მე და შენ მეტი საერთო გვაქვს, ვიდრე მე და ჩემს დას. ის რევოლუციამდე გაჩნდა, ჩვენ - რევოლუციის შემდეგ. მე და შენ დაწყნარებული ქვეყნის ქვეშევრდომები ვართ, თუკი საერთოდ შეიძლება ქვეყნის დაწყნარება. მამაჩემი ამბობს, კაცი მხოლოდ სამარეში დაწყნარდებაო. მართლაც, თუკი დაწყნარებული ქვეყნისა ვარ, რატომაა ჩემთვის ყველაფერი ასე არეული?! - მოაყოლა ფაცაფუცით, სხაპასხუპით, თითქოს უჭირდა ამის თქმა, თითქოს დიდხანს იკავებდა თავს და რაკი ბოლოს მაინც გაებედა, ცდილობდა, აღარაფერი დაეტოვებინა გულში, მეტი ეთქვა, ვიდრე იცოდა, უკეთესად - ვიდრე შეეძლო, უფრო გასაგებად - ვიდრე თავად ესმოდა. - არსებობს ქვეყნად დაგვიანება, მაგრამ ასეთი?! შენ გეუბნები, ნიკო, შეიძლება, ასეთი დაგვიანება არსებობდეს?! კი მაგრამ, რა იცოდა გალაკტიონმა, მე რომ დავიბადებოდი?! ჩვენ რომ დავიბადებოდით - დარდიანები?! მართლა იცი დარდი? ესე იგი, მართალია, რაც დედაშენმა მითხრა?! - იძახდა შეწუხებული, აღელვებული, აფორიაქებული, ხან ცნობისმოყვარეობას აყოლილი, ხან კი ეჭვებით გულგახლეჩილი ქალივით. ლერწმები კი შრიალებდნენ, ჩურჩულებდნენ, ფაჩუნობდნენ და, შიგადაშიგ, ჩხრიალით აწყდებოდნენ ერთმანეთს, გაცელქებული ბავშვებივით, მთვრალებივით. ბრმებივით. - მართალია, აბა, რაა, ამას რაღა კითხვა უნდა! - თვითონვე უპასუხა საკუთარ თავს. - მაგრამ შენ რომ მეტყვი, უფრო მართალი იქნება. - აღელდა უცებ. - მითხარი, გეხვეწები, ნუ დამიმალავ. ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთნაირები. - ჩააცივდა ნიკოს. თან სწრაფად, ფაცაფუცით, დაუდევრად იხვევდა მაჯაზე ლერწმის ფოთოლს, თითქოს დაჭრილი იყო მაჯაში, როგორც ნიკო დაიჭრა, ცოტა ხნის მერე, იმავე წლის ზამთარში, წალდის წვეტიანი ბოლოთი. თითქოს სისხლისაგან იცლებოდა და სასწრაფოდ, რამენაირად უნდა შეეჩერებინა სისხლისდენა. - ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ ყოველთვის - გააგრძელა

www.Litklubi.ge

შეთქმული თანამზრახველის გაიდუმალებული ხმით. - ჩვენ თუ გვეყვარება, სხვებსაც დავარწმუნებთ, სხვებსაც გავაჩუმებთ, თუ კიდევ გაგვიბედეს და გვითხრეს, არ არსებობს სიყვარულიო. - ახლა ცრემლიც გაერია ხმაში, საკუთარმა სიტყვებმა აუჩუყა გული. - შევიკერავ ლამაზ კაბას, სანატრელსა, ფრიალასა... - წაიმღერა ბრაზიანად, უმოტივოდ, თითქოს არ უნდოდა და ავალდებულებდნენ სიმღერას. სინამდვილეში, მოულოდნელი ცრემლის შეკავება სცადა სიმღერით და მაშინვე გააგრძელა - ჩვენებს რომ ჰკითხო, მე თურმე იმასაც ვერ ვარჩევ, გარეთ დღეა თუ ღამე, ზამთარი თუ ზაფხული. მარჯვენა მარცხენაში მეშლება, შავი - თეთრში. ის კი არა, უცხო კაცმა თითი რომ დამიქნიოს, მაშინვე უკან გავეკიდები თურმე, უპატრონო ძაღლივით. ასეთი ვარ. ასეთები ვართ დაწყნარებული ქვეყნის შვილები". - დაამატა ღიმილით, უკვე ჩვეულებრივი, დამშვიდებული ხმით, ვითომ, როგორ არ იცოდი, ანდა აქამდე როგორ ვერ შემატყვე, სულელი რომ ვარო. "შენ ძალიან კარგი გოგო ხარ" - თქვა უცებ ნიკომ და თვითონვე გაშრა, სრულებითაც არ აპირებდა ამის თქმას, საერთოდ, რამის თქმას, მაგრამ, ეტყობა, იმასაც გადასდებოდა დეიდის მღელვარება, დეიდის გამოუთქმელი სევდა-წუხილი. ანდა, დეიდის ნალაპარაკევს საკუთარი სევდა-წუხილი გაეღვიძებინა იმისთვის, საკუთარი გაეხსენებინა, თითქოს დეიდა იმის გულში იჯდა და იმის სათქმელსაც ამბობდა. ამიტომაც წამოსცდა: კარგი გოგო ხარო, მაგრამ დეიდამ მოუყრუა და, ვითომც არაფერიაო, გააგრძელა: "რაც თავი მახსოვს, არაფერი არ შეიძლება ჩემთვის, ყველაფერი მეკრძალება. სულ ერთი და იგივე მესმის - შენ სულელი ხარ და ჩვენ უნდა მოგვისმინოო, შენ რომ გგონია, ისე არ არისო, რაც გინდა, არ უნდა გინდოდესო, ჩვენ უნდა მოგვისმინო, ჩვენ უნდა დაგვაცადო და ისე უნდა მოიქცე, როგორც ჩვენ გეტყვითო. მეც, რაც თავი მახსოვს, სულ იმას ვაკეთებ, რაც არ მინდა, მაგრამ იმათ მიაჩნიათ საჭიროდ! - ცხენივით დაჰკრა ფეხი მიწას. - რომელი სათამაშოც მომეწონა, საშენო არ არისო, რომელი წიგნიც ავიღე, ადრეაო, სადიდოაო. მე თურმე ისიც არ მცოდნია, რაზე ვოცნებობ, რა მტკივა და რა მიხარია. ფეხსადგილში რომ შემიშვან, ჯერ მარგალიტას უნდა ჰკითხონ, მართლა უნდა თუ იგონებსო. თუმცა, ამას არ უნდა გეუბნებოდე... - შეცბა თვითონვე. - მაგრამ მაინც ასე სჯობს. მეგობრებში არაფერი არ უნდა იყოს დაფარული. მეგობრობა მეგობრობად და, ჩემი სისხლი და ხორცია ხარ. დეიდა-დისშვილზე ახლობელი ვიღა უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო ახლობლებიც ვართ - სულიერი ტყუპები ვართ, ერთი და იმავე დროის საშოდან ვართ შობილნი, მე ცოტა ადრე, შენ ცოტა გვიან, მაგრამ მაინც ერთსა და იმავე დროს! თუმცა, შენ რადაც გინდა, იმად ჩამთვალე, ოღონდ, საერთოდ ჩამთვალე რამედ. - ახლა კბილით ძიძგნიდა ლერწმის ფოთოლს. ფოთოლი გრძლად იხეოდა. - მაგრამ სიყვარული მაინც არსებობს! - შესძახა უცებ მგზნებარედ. - ხომ არსებობს?! - შეუღრინა ნიკოს. - შენ თვითონა ხარ ამის მაგალითი. - ლამის სახეში ატაკა თითი. - ჩვენს სამსახურში ყველა ერთნაირად გაიძახის, რას მიქვიაო, რაღა დროს სიყვარულიაო, ეგ უკვე დიდი ხნის მოშორებული და დიდი ხნის დავიწყებული სენიაო, რაღა ეგ და რაღა ციებაო, თუ ჭკუა გაქვს, დრო ატარე, გამოიყენე ეს ცხოვრება, სანამ შეგიძლიაო. მაგრამ როგორ უნდა ვიწამო იმათი, როცა სიყვარულს, არათუ ვგრძნობ, ვხედავ კიდეც. საკმარისია, მარტო დავრჩე, თვალი დავხუჭო, მაშინვე დავინახავ. ჰაერით გაბერილი ბუშტივით მოხტუნავს, მოთამაშებს კენწეროებზე. ხან ერთ ტოტს წამოედება, ხან მეორეს. თითქოს აი, ახლა გასკდება და აი, ახლაო. ის კი მოხტუნაობს კენწეროებზე, უშნოდ გაბერილი, სასაცილო, მსუბუქი, თავისუფალი, თავქარიანი... მიწაზე კი ბავშვები მოსდევენ, ჩვენისთანა სულელი, ჩვენისთანა დარდიანი ბავშვები - მოსძახიან, ეპოტინებიან, მაგრამ ვეღარ წვდებიან. რა ბუშტის ბრალია, ბავშვებმა თუ ვერ მოუარეს?! ანდა, რა ბავშვების ბრალია, თუკი უფროსებს თავის დროზე არც გაუფრთხილებიათ, შეიძლება, ასე მოხდესო?! მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალიცაა, უკეთესად უნდა დაგვება, თოკის ერთი ბოლო გულზე უნდა მიგვენასკვა, ყელზე უნდა დაგვეხვია, უმალ უნდა დავმხრჩვალიყავით, ვიდრე იმას გავუშვებდით, ვიდრე იმას დავკარგავდით. ახლა რაღა დროსია, ახლა ვეღარც კაუჭს გამოვდებთ, ვეღარც ქვით ჩამოვაგდებთ - მაშინვე გასკდება, მაშინვე ჩაიფუშება. თავისით უნდა დაბრუნდეს, როდისმე მაინც. სხვა გზა არ არსებობს.

www.Litklubi.ge

მაგრამ ვიღაცაც ხომ უნდა ელოდებოდეს მიწაზე, აზრი რომ ჰქონდეს დაბრუნებას?! - უცებ საკინძში ჩააფრინდა ნიკოს და ღონივრად შეაჯანჯღარა, თითქოს ნიკოს ზეზეურად დასძინებოდა და აღვიძებდა, ანდა, მთვრალი იყო და აფხიზლებდა, გონზე მოჰყავდა. ნიკოს კი ისევ ელენიცა მოელანდა რატომღაც, მოწყენილი, გაცრეცილი, თითქოს სამუდამოდ ჩაკარგული მწვანედ ხავსმოდებულ ეზოში, შემწვარი თევზის სუნში, ნედლი სალამურის გაუბედავ, დაქსაქსულ ხმებში. - გაიგე, რა გითხარი?! - შეჰყვირა სახეში. - ხოდა, მიდი, ჰკითხე უბედურ დედამისს, რამე ხომ არ გაგიგიათ ახალი-თქო". - მერე მკედრში ხელი ჰკრა, მოიშორა და ღიმილით, უკვე მარტო თავისთვის, დაამატა: თუ უჩემოდ ვეღარ გაძლებს, თუ უჩემოდ თავისუფლება ტყვეობად მოეჩვენება, მაშინ მოვიდეს და წამიყვანოს, სადაც უნდაო. მაგრამ ნიკო უკვე სახლის პირქუში ლანდისკენ გარბოდა და აღარ გაუგია დეიდის ბოლო სიტყვები. ლერწმები კი შრიალებდნენ, ჩურჩულებდნენ, ფაჩუნობდნენ, ჩხრიალ-ჩხრიალით აწყდებოდნენ ერთმანეთს და მთვარის შუქში ოქროსფრად უბზინავდათ გაფუებული, გაფოფრილი ქოჩრები.

სახლი ახლოდანაც უკაცურსა ჰგავდა, ოღონდ, იმის რომელიღაც შორეულ კუნჭულში, აშკარად ცეცხლი ენთო ვიღაცას, ანდა სულაც ჭრაქი, და იმისი მკრთალი, მოუსვენარი გამონაშუქი აივნამდეც აღწევდა. ნიკომ სუნთქვაშეკრულმა გაიარა ავად აჭრაჭუნებული აივანი, სახლში შევიდა და ცოტა ხანს კართან შეყოვნდა, ვითომ, თვალი რომ შეეჩვია იქაურობისთვის, მაგრამ ყველა ოთახში (ნიკოს ეგონა, ლაბირინთში მოვხვდიო - ოთახს ოთახი ენაცვლებოდა, განუწყვეტლივ, ანდა, ისე იყო დაბნეული თავად ნიკო, შიშისაგან ისე ჰქონდა თავგზა აბნეული, ერთსა და იმავე კარში გადი-გამოდიოდა სულ) ერთნაირად ჩახუთული სიცარიელე ხვდებოდა, ანუ, ყველა ოთახი ერთნაირად იყო სავსე გულგრილი, უშფოთველი სიბნელითა და დაოკებული, დაუძლურებული სინათლის უფერული, ძლივსღა მფეთქავი ნაფლეთებით.

www.Litklubi.ge

გონს რომ მოეგო, ახლა უკვე აშკარად სხვა ოთახის ზღურბლზე იდგა და გაოცებისგან პირდაღებული (არ სჯეროდა, როდისმე თუ მიაგნებდა) შესცქეროდა მაგიდაზე აპარპარებულ, შავად ახრჩოლებულ ჭრაქს. მაგიდასთან შაოსანი ქალი იჯდა, ცალი ხელი კალთაში ჩაედო, მეორე მაგიდაზე ჩამოესვენებინა და არანაკლებ გაოცებული ათვალიერებდა მოულოდნელ სტუმარს, სიმარტოვისგან, სიბნელისგან, სევდისაგან გადიდებული თვალებით. ალბათ მოუთმენლად ელოდებოდა, როდის მეტყვის მოსვლის მიზეზსა და ვინაობასო. მაგრამ ნიკოს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უკვე ეთქვა თავისი მოულოდნელი სტუმრობის მიზეზი და ახლა თავად ელოდებოდა პასუხს დამხდურისაგან. ასე დაბნეულები, დამფრთხალები შესცქეროდნენ ერთმანეთს. ოთახში, მთელ სიგრძეზე, კედლიდან კედლამდე, თოკი იყო გაბმული. თოკზე ახალი დაბანილი თოჯინა ეკიდა თმით და ნელა ტრიალებდა, ხან აქეთ, ხან იქით. თოჯინის ქვეშ, იატაკზე, შავად მბზინავი გუბე დამდგარიყო და ნიკომ, უნებურად, ტაშტს დაუწყო ძებნა, რომლეშიც თოჯინა გაებანათ. მაგრამ ოთახში საერთოდ არაფერი იდგა, მაგიდისა და იმ ერთადერთი სკამის გარდა, რომელზედაც თავად მასპინძელი იჯდა და უკვე კუშტად იყურებოდა, უკვე ეჭვი და უნდობლობა ჩასახლებოდა თვალებში. ნიკოს ერთი სული ჰქონდა, როდის გააღწევდა აქედან. მაგრამ იმის დარდიც კლავდა, ასე უარაფროდ როგორ დავბრუნდე დეიდასთანო. ქალი კი დუმდა, ჯიუტად, მყარად, ძველი ციხისა თუ ეკლესიის ნანგრევივით. მერე მაგიდას ხელით დაებჯინა და ნელ-ნელა წამოდგა სკამიდან. ისე დიდხანს დგებოდა, ნიკომ გაიფიქრა, მთლიანად რომ გაიმართება, ალბათ ჭერს აარტყამს თავსო. მართლაც მაღალი ქალი იყო, თუმცა, შავი, გამოხუნებული კაბა ცარიელივით დასთრევდა, თითქოს არცა ჰქონდა სხეული, თითქოს მარტო თავი და ხელები დარჩენილიყო იმისგან, მხოლოდ ის, რაც შვილის სურათის მისაგნებად და გასაწმენდად სჭირდებოდა - თავი და ხელები. რომელიღაც ზღაპრულ არსებას ჰგავდა, არც ბოროტს, არც კეთილს, მაგრამ ბოროტსაც და კეთილსაც ერთდროულად. მაგიდაზე დაგდებული კაბისავე ფერის ჩვარი თან წაიყოლა და კედლისკენ წაფარფატდა, ჰაერის დინებამ წაიღო თითქოს, ნიკომაც პირველად მაშინ შეამჩნია კედელზე დაკიდული სურათი და, ცოტა არ იყოს, შეცბა - თითქოს ვიღაც თავშიშველმა, საყელოგაღეღილმა და სევდიანად მოღიმარმა ბიჭმა სწორედ იმ წუთას გამოიხედა საიქიოს შავჩარჩოიან სარკმელში. უსხეულო ქალი კი დიდხანს შესცქეროდა სურათს, ხან მარჯვნივ გადახრიდა თავს, ხან მარცხნივ, თითქოს ვერ გაერკვია, საიდან უკეთესად გამოიყურებოდა მისი შვილი. მერე რამდენჯერმე შეაორთქლა სურათის მინას, რომელზედაც ჭრაქის მკრთალი ანარეკლი წითლად ლიცლიცებდა, და ნელა, აუჩქარებლად, მონდომებით დაუწყო წმენდა მუჭში მოჭმუჭნული ჩვრით. სრულებითაც არ ადარდებდა, ანდა აღარც ახსოვდა, ვინმე თუ იდგა ზურგს უკან.

www.Litklubi.ge

რა გასაკვირია, ამის მერე მართლა არ უნდოდეს დეიდას გათხოვება?! ამიტომაცაა, ცეცხლი რომ წაეკიდება ხოლმე, როცა მის გულში ჩაუხედავად, თუნდაც იგივე მშობელი, ქალის გზასა და მოვალეობას შეახსენებს - ცოლობას, დედობას, დიასახლისობას... ეს ხომ ყველასათვის ისედაც ცნობილია. თუ ასეთი კეთილები და ყოვლისმცოდნეები არიან, ის ასწავლონ, როგორ გააგებინოს მკვდარს, რისი გაგებაც ვერ მოასწრო სიცოცხლეში; როგორ გაუნელოს სატანჯველი შვილმკვდარ დედას; როგორ შეინარჩუნოს სითბო კარფანჯრებჩამოხსნილ სახლში. თუმცა, კაცმა რომ თქვას, თავის მხრივ პაპაც მართალია. დრო კი იცვლება, მაგრამ ადამიანი მაინც ადამიანად რჩება და ძნელი გასაგებია, რატომ უნდა იყოს ცუდი დღეს და ხვალ, რაც გუშინ და გუშინწინ კარგად ითვლებოდა. ქალი უნდა გათხოვდეს, ქალმა შვილი უნდა გააჩინოს - რად უნდა ამას ჩხუბი და კამათი?! მაგრამ პირდაპირ, "ადამიანურად", არც ერთი არ ამბობს თავის სათქმელს, არც მამა და არც შვილი, თუ იტყვიან, მხოლოდ ქარაგმულად და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასე უკეთესად აგებინებენ ერთმანეთს. პაპას დამთავრებული არა აქვს წესიერად სიტყვა, დეიდა რომ უკვე პირში ეცემა - არა ხარ მართალიო. სამაგიეროდ, ქალიშვილისგან განსხვავებით, ბებია მეტი გულისხმიერებითა და მეტი პატივისცემით ეკიდება პაპის ანდაზებს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, ოჯახის უფროსის აზრი და შეხედულება რომ არის ჩადებული იმ ანდაზებში, ერთნაირად საინტერესოცა და სავალდებულოც ოჯახის ყველა დანარჩენი წევრისთვის, რამდენადაც, რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა მოხდეს, არავინ არ უნდა ხელყოს ოჯახის უფროსის აზრი და შეხედულება, თუკი უნდათ, ოჯახი ერქვათ და არა თავკერძა, თავქეიფა, მარტო საკუთარ გულსა და მუცელს აყოლილი ხალხის თავშესაყარი ადგილი. ამიტომაც დაუყვირებს ხოლმე დეიდას, ქალიშვილს, - დააცადე, თქვასო. პაპაც ამბობს, რადგან ართქმას ოჯახის ღალატად თვლის, ოჯახის ღალატი კი, კიდევ უფრო დიდი, კიდევ უფრო მიუტევებელი დანაშაულია მისთვის, ვიდრე... ვიდრე, ვთქვათ, სანგრის მიტოვება. ოღონდ, თავისი არაადამიანური გულკეთილობისა თუ უაღრესად ადამიანური მშიშრობის გამო, თამამად და შეუნიღბავად, საკუთარ ჭერქვეშაც ვერ გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ, მათი და მხოლოდ მათი ოჯახისთვის საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით - ანდაზას უნდა ამოაფაროს, იგავსა თუ არაკს, ანდა სულაც, სახელდახელოდ, განსაკუთრებულად ამ შემთხვევისთვის გამოგონილ ზღაპარს - მაგრამ ვიდრე იტყოდეს, ვიდრე თქმას გაბედავდეს, ასჯერ უნდა მოკვდეს და გაცოცხლდეს თვითონ, სათითაოდ უნდა აწონოს ყოველი სიტყვა გუნებაში, შეარჩიოს, შეარბილოს, შეალამაზოს, მისი ზღაპრის მომავალი მსმენელისთვის ნაკლებად საწყენი, ნაკლებად მტკივნეული რომ გახადოს ჯერ კიდევ თქმამდე. თან, დატყვევებული ნადირივით წრიალებს ოთახში, წუხს, შფოთავს, განიცდის - ხან სკამს გასწევს გვერდზე, ვითომ, ფეხებში გებლანდებითო; ხან ლამპას ჩააჩოჩებს მაგიდის გულისკენ, ვითომ, წკიპზე დგას და, შეიძლება, გადმოვარდესო; ხან, ღუმელთან ჩაჩოქილი, ცეცხლს "აღვივებს", ებრძვის, ეჩხირკედელავება, ვიდრე თითს არ დაიწვავს და თითის ლოკვით არ წამოდგება ფეხზე. მოკლედ, იმდენს იზამს, მაინც გამოიყვანს ხოლმე მსმენელს მოთმინებიდან, მაინც იმას ათქმევინებს: დააყენე საშველი, მოყევი, თუ ყვებიო. მაგრამ საბოლოოდ აწონილსა და საიმედოდ შენიღბულ სათქმელსაც თავისებურად უნდა თქმა - თქმასაც დიდი ცოდნა უნდა, უარესად რომ არ გააფუჭო საქმე. შეიძლება, კიდევ უფრო მეტად გააღიზიანო და გადაიკიდო მსმენელი. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, დროულად უნდა გადაისროლო ის საერთოდ არარსებულ ქვეყანაში, არარსებულ დროში უნდა გადაიტანო შენი ზღაპარი და ნებისმიერ ბრალდებისგან თავიდანვე დაიზღვიო თავი. ოღონდ, ზღაპრის მოყოლას კიდევ სხვა, დამატებითი, განსაკუთრებული ნიჭი და მომზადება სჭირდება, იმასაც კი მნიშვნელობა აქვს, როგორ დაჯდები, როგორ "მოკალათდები" სკამზე და თავიდანვე როგორ განაწყობ მსმენელს შენს მიმართ. ამიტომაცაა ალბათ, დიდ დროს რომ ანდომებს პაპა სკამზე "მოკალათებას" - თითქოს ასე უნდა გამოიზამთროსო - არც ძალიან ახლოს ღუმელთან, არც ძალიან შორს ღუმელიდან, ოთახის ყველაზე ზომიერ სარტყელში "ბინავდება" თავიდანვე, სიცივისა და სიცხის მიჯნაზე, არც ერთმა უნდა შეაწუხოს მოყოლისას და არც მეორემ. პაპისთვის ყველაფერში ზომიერებაა მთავარი - ზომიერი სასარგებლოა, უზომო კი მავნებელი. განა ხელმოკლეა, ზომიერების

www.Litklubi.ge

გრძნობა აქვს მძაფრად განვითარებული, როგორც ბებია ამბობს ხოლმე, როცა გაბრაზებულია პაპაზე. უზომო უგემურიცააო - ამბობს პაპა და შეშის ქათქათა, ძარღვიან ნაპობს კალთაში იდებს, ლაპარაკისას ხელები დაკავებული რომ ჰქონდეს. თან შეშას ეფერება, თან ყვება: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ერთი ქალიშვილიო. "ერთი თუ ორი?!" - აწყვეტინებს დეიდა. "ერთი ქალიშვილი ჰყავდა, მზეთუნახავი. ხალხი იმის შუქზე პურსა ჭამდაო" - აგრძელებს პაპა, არ ეგება შვილის ანკესზე. "ისემც დაუმშვენდა ცხვირი, - იცინის დეიდა - როგორი ხელმწიფეც მამამისი იყო, თვითონაც ისეთივე მზეთუნახავი იქნებოდაო". "დააცადე, გოგო, რატომ გისწრებს სული" - ღელავს ბებია. პაპის ზღაპარი, რასაკვირველია, შენიღბულად, მისთვისაც რადაცის დავალებაა, რადაცის მითითებაა. ამიტომ, არაფერი არ უნდა გამორჩეს. პაპა კი ყვება, მშვიდად, აუღელვებლად - თუ აღელდა და აჰყვა ქალიშვილს, ეს ბავშვივით გულუბრყვილო და ტიტანივით მომთმენი კაცი, იმავე წამს, ჩვეულებრივ, ქარაფშუტა, უსაქმურ და ბედოვლათ მეზღაპრედ გადაიქცევა. თან ზღაპარს ყვება, თან მუხლებზე დადებულ შეშის ნაჭერს ეფერება. იმ მზეთუნახავ გოგოს ერთი უცნაური სენი სჭირდა თურმე: დღე ისე გავიდოდა, ორ სიტყვას არ იტყოდა გადაბმულად. თუ ძალით არ გამოგლეჯდნენ ხელიდან, იჯდა და წიგნს კითხულობდა. როგორც არ უნდა ეთვალთმაქცათ გაიძვერა გადიებს, წამლად ვერ წამოაცდევინებდნენ რამეს. მამასაც არ უმხელდა რას ფიქრობდა, რა აწუხებდა, რა უნდოდა. "რადიო ხომ არა ვარ, გაუჩერებლად ვილაპარაკო დილიდან საღამომდეო" - მხრებს იჩეჩავს დეიდა, დამცინავად წარბებაჭიმული, ღიმილშეკავებული, ვითომ, დიახაც რომ მიკვირს თქვენი ასეთი უსამართლო საყვედურიო. "ბალიშის ქვეშ წიგნი ედო სულ, წიგნით ათენ-აღამებდა" - ყვება პაპა. დეიდა კი, კიდევ უარესად ჭიმავს წარბებს: რა ვქნა, მომკალით და ვერ გავიგე, წიგნმა რაღა დაგიშავათო. "შენ თავზე რატომ იღებ ყველაფერს, შენ ხომ მსახურობ კიდეც" - ამშვიდებს ბებია. პაპა კი ხელმწიფის ქალიშვილის მისამართით ამბობს: წიგნს იმიტომ კითხულობდა სულ, საქმე რომ არ გაეკეთებინაო. მაგრამ საქმეს ვინ გააკეთებინებდა ხელმწიფის ქალიშვილს?! პირიქით, ძიძა-გადიები სულ იმას ეხვეწებოდნენ ალბათ, იმღერე და იცეკვეო, თუ გინდა ყირაზე დადექი, ოღონდ ასე უბრად ნუ ზიხარო, სანამ დრო გაქვს, გამოიყენე ცხოვრებაო. დარდს ნუ მოეკვლევინებიო, სადარდელი უნდა თქვა, თუ გინდა რომ ცოტა მოგეშვას გულიდანო. "მაგრამ, საქმეში ხართ! - ყვება პაპა - კიდევ უფრო მეტად მუნჯდებოდა დღითი-დღე. მთელ სასახლეს უფრთხობდა ძილს იმისი დუმილი. საგონებელში ჩავარდნილი ხელმწიფე ხან ერთ გვერდზე დაწვებოდა, ხან მეორეზე. აღარ იცოდა, რა ეღონა, როგორ ეშველა შვილისთვის, რა წყალში ჩავარდნილიყო. აღარც მეფობა უნდოდა, აღარც სიცოცხლე. დავიკრეფ გულხელს და ვიწვები ასე, ვიდრე მოვკვდებიო - იმეორებდა გულში. მისი ქალიშვილი კი დუმდა. მთელ სასახლეს, მთელ სახელმწიფოს ძვალ-რბილში უვლიდა, აფორიაქებდა, თავზარს სცემდა იმისი დუმილი. აგერ ნახავთ, რამე კიდევ უფრო დიდი უბედურება თუ არ დაგვატყდება თავზეო - ასე ლაპარაკობდა თურმე ხალხი იმ სახელმწიფოში. "ხა, ხა, - ნერვიულად იცინის დეიდა - თქვენ რისი გეშინიათ?! პირველები თქვენ გაიქცევით. თუმცა, არა, თქვენ რატომ უნდა გაიქცეთ, თქვენ რა გჭირთ გასაქცევი, მე წავალ, მე გადავიკარგები აქედან, თუკი ასე გაღიზიანებთ და გაუბედურებთ". - იცინის, უკვე სიბრაზეშეპარული, მაგრამ ჯერ კიდევ უსმენს ზღაპარს, ჯერ კიდევ აინტერესებს, როგორ დამთავრდება მდუმარე გოგოს ზღაპარი. "ხელმწიფეს, რა თქმა უნდა, არ უნდოდა სასახლის ამბების გარეთ გატანა, მაგრამ უკვე დამალვასაც აღარ ჰქონდა აზრი, მთელმა სიღნაღმა... ჰმ, ჰმ... მთელმა სახელმწიფომ იცოდა ეს ამბავი - აგრძელებს პაპა - ხელმწიფეც ადგა და გამოაცხადა, ასე და ასეა ჩემი საქმე და ვისაც როგორ შეგიძლიათ, მომეხმარეთო. რაც სახელმწიფოში ჯარა ექიმი, მაჯისშემტყობი, მკითხავი თუ მჩხიბავი იყო, სასახლეში მოუყარეს თავი". "უიმე, ექიმთან ხომ არ მიპირებთ წაყვანას?! - ისევ ვერ ითმენს დეიდა. - ან იქნებ, უკვე, უექიმოდ დამისვით დიაგნოზი?! - იღიმება ორჭოფულად - ვინ იცის, გიჟი გგონივართ! - ხმას უწევს უნებურად, რადგან, მოულოდნელად, თვითონაც რომ არ იცის რატომ, გულისამაჩუყებელი თანაგრძნობა ეუფლება საკუთარი თავის მიმართ - არ უნდა რომ გიჟი იყოს, ეშინია გიჟობისა, გიჟებისაც. გიჟკოლა რომ ესტუმრებათ ხოლმე, შინიდან მიდის, ვერ უყურებს, არ

www.Litklubi.ge

შეუძლია, თუმცა, ის უბედური, სხვაზე მეტს არაფერს აშავებს. ღმერთმა დაიფაროს. ღმერთმა ნუ ქნას. მაგრამ თვითონვეა ყველაფერში დამნაშავე, თვითონ აზვიადებს ყველაფერს, ბუზს აქლემად ხდის და უარესად იღიზიანებს თავს, როცა სხვა, იმის ადგილას, საერთოდ არ მიაქცევდა ყურადღებას არც ბუზსა და არც აქლემს. ძველს ახლის შიშით ითვალწუნებს, ახალს ძველის ჯიბრით ეკურკურება, სინამდვილეში კი არც ერთისა გაეგება რამე, არც მეორისა. თანაც, რაკი ასე ამბობს, ასედაც ფიქრობს ალბათ მალულად, გულის სიღრმეში. ასე რომ, მთლად უსაფუძვლოდ არ ამბობს, რასაც ამბობს. - გიჟიც ვარ და გიჟზე უარესიც. - აგრძელებს შემცბარი, შეწუხებული და კიდევ უფრო გაბრაზებული, ამჯერად, არა მარტო უფროსებზე, არამედ საკუთარ თავზეც. - თქვენს ჭკუაზე რომ დავდივარ აქამდე, თქვენ რომ გიფრთხილდებით... გაახილეთ თვალი, რა ხდება ქვეყანაზე. ჩემი ტოლი გოგოები მაღალ ქუსლებზეც დგანან, ცეკვებზეც დადიან და ღამეებსაც ათენებენ სუფრაზე. ჩემთვის არ შეიძლება მხოლოდ. ჩემთვის არაფერი არ შეიძლება. მარტო საანგარიშოს ჩხაკუნი. იმიტომ, რომ გიჟი ვარ, გიჟკოლას ამხანაგი. დედას არ ეწყინოს, მამას არ შეეშინდეს. გიჟის მეტი ვიდა ფიქრობს ასე! ჭუჭულაშვილმა უშანგიმ არ გაიგოს, ცალტვინაანთ სერგომ არ დაინახოს, ევგენია დუგლაძემ არ თქვას... ბარემ რაღა! ბარემ რაღა! კი მაგრამ, ვინ რა უნდა თქვას?! ვის მოუბრუნდება ენა სხვის გასამტყუნებლად, ერთმანეთზე უარესები არიან ყველანი. თქვენღა დარჩით ასეთი უ-უ-უ-უ - ვერ პოულობს უცებ საჭირო სიტყვას. - უ-უ-უნდილები. დიახ, სწორედაც რომ უნდილები! თორემ აქამდე თქვენც იმათნაირები გახდებოდით. რაო, რა გითხრათ თქვენმა მეგობარმა ექიმმა?! გიჟიაო?! სულით ავადმყოფიაო?! თბილისში, კამოს ქუჩაზე თუ კიდევ უფრო შორს, სურამშიო?!" "ნინო, ნინო" - უყვირის, აფრთხილებს, აფხიზლებს ბებია. პაპა კი ისევ ზღაპარს ყვება, დაბნეულობისგან, ვედარ მოუბამს თავი, ვერაფრით ვერ უთქვამს, რის გამოც დაიწყო საერთოდ ამ წყეული ზღაპრის მოყოლა. ქალიშვილის დასამშვიდებლად, ქალიშვილის გულის მოსაგებად, რაც შეუძლია "არბილებს", "აშალაშინებს" ზღაპარს - არაფერი სჭირდა საექიმო იმ გოგოსო - ამატებს სასწრაფოდ - არც თვალი აკლდა, არც ტანი, ეგ იყო, რომ დუმდა, გულს არ უხსნიდა არავისო. "ისე, შენზე ვერ იტყვის კაცი, უთქმელიაო, ლაპარკს არ აცლი უფროსს" - მაინც ბრაზდება უცებ, მაგრამ თვითონვე არაფრად აგდებს საკუთარ სიბრაზეს და აგრძელებს მოყოლას: შუადამისას საწოლში წამოჯდებოდა თურმე და იჯდა ასე, გარინდებულ-გაოგნებულიო. "მითვალთვალებთ?! ღამითაც მითვალთვალებთ?" - გულს ასკდება დეიდა. მაგრამ ადარც პაპა უთმობს, არ სცალია იმისთვის, როგორმე უნდა მოამთავროს უკვე ყველასთვის უინტერესო ზღაპარი. "მაგრამ, სადაც ექიმი უძლურია, იქ მარჩიელია ძლიერი - ყვება ფაცაფუცით. - ერთი კი შეუხედავს მარჩიელს გოგოსთვის და უთქვამს..." "აი, თურმე რა ყოფილა! ვაი, სირცხვილო! მარგალიტას უმკითხავია. უკეთესი ვერავინ ნახეთ?! გზა ამომივიდა თუ სიკვდილი?! - იცინის სიბრაზისგან ტუჩებგადათეთრებული. - აღარ მინდა, მადლობელი ვარ, ყელამდე ვარ თქვენი ზღაპრებით. - ყვირის უცებ. ბრაზიანი, დაუნდობელი წკიპურტით იშორებს შუბლზე ჩამოვარდნილ თმას, თითქოს თმას ეტკინება და ერთხელ და სამუდამოდდ მოიშლის ამ უმსგავსო ჩვეულებას. - თვითონვე მოვუვლი ჩემს თავს, როგორმე - ამბობს უკვე ფეხზე წამომდგარი, თავის ოთახისკენ დაძრული, ორივე ხელით გულზე მიხუტებულ "შვილიკოსთან" ერთად. მაგრამ პაპა რომ დაადევნებს, არ გაინტერესებს მაინც, რა თქვა მარჩიელმაო, წამით შეყოვნდება გამოღებულ კარში, სანახევროდ უკვე თავის ოთახში შესული, მხარსზემოდან გამომზირალი პაპისკენ, ხარბი, დაუოკებელი ცნობისმოყვარეობით თვალებანთებული, მაგრამ წინასწარ უარმყოფელი, წინასწარ გამაცამტვერებელი მარჩიელის ნებისმიერი პასუხისა, და პაპა რომ მოაყოლებს, სულმოუთქმელად - მარჩიელმა თქვა, თქვენს ქალიშვილს გათხოვების დრო მოსვლიაო - გაცოფებული, გააფთრებული, გაცეცხლებული, ისეთი ძალით შეიჯახუნებს კარს, ღუმელზე შემოდგმულ ჩაიდანს ხუფი მოძვრება და ჟღრიალ-ჟღრიალით დაბზრიალდება იატაკზე. ნიკოც მაშინვე დააჭყეტს თვალს.

- რა იყო, ბიჭო, ძილად ხომ არ უნდა იქცე?! - უღიმის დეიდა.

www.Litklubi.ge

წიგნი ისევ ისე, ორივე ხელით მიუხუტებია გულზე, ოღონდ, ახლა სხვა კაბა აცვია, სხვანაირად აცვია, რადგან მაშინ, როცა პაპა ამ ზღაპარს უყვებოდა, ზამთარი იწყებოდა მხოლოდ. ახლა კი იწურება, ზამთრის ბოლო თვეა, კაპარჩხინა თებერვალი. ნიკო, რა თქმა უნდა, სცნობს დეიდას, მაგრამ ძილს ვერ მორევია, თვითონაც ვერ გაურკვევია, როდის ღვიძავს და როდის არა. უკუღმართია და იმიტომ, იმისთვის ყველაფერი შებრუნებულადაა, როცა სხვებს სძინავთ, ის ფხიზლობს, უპატრონო ძაღლივით, ხოლო, როცა სხვებს ღვიძავთ, თავისთავად ცხადია, ის ძილადაა მივარდნილი.

- გაიღვიძე, გაიღვიძე. - დაჰყვირის დეიდა.

- გამანებე თავი, ხომ ხედავ, მღვიძავს... გავიღვიძე. - ლუღლუღებს თვალზე ლიბრგადაკრული ნიკო. ძლივს ატრიალებს ენას, მთვრალივით.

- გაანებე, გოგო, თავი. ნუ დააფეთებ. - ექომაგება ბებია ნიკოს.

- შენ არ მითხარი, გააღვიძეო?! თქვენ არ ბრძანეთ, ექიმი უნდა მოვიდესო! - უყვირის დეიდა ბებიას. წიგნი ახლა წინ გაწვდილი უჭირავს, ორივე ხელით, ხატივით.

დიახაც რომ ხატია. ერთ დღესაც ვერ გაძლებს უიმწიგნოდ. მარგალიტა მოგონილია. მარგალიტას დასცინის, მაგრამ თვითონ უარესი მარჩიელია - წიგნით მარჩიელობს - სულს ამოხდის ხოლმე ნიკოსაც, ბებიასაც და, თუ შინაა, რა თქმა უნდა, პაპასაც, ვიდრე არ უმკითხავებს. თანაც, მარგალიტასგან განსხვავებით, ერთხელ კი არა, უთვალავჯერ, ვიდრე სტრიქონ-სტრიქონ არ ამოკენკავს მთელ წიგნს, ბოლომდე, ფსკერამდე. ამ წიგნში ყველა ჩვენგანის ბედი წერიაო - ამბობს მღელვარედ, რწმენით, ვიდრე თქვენგან დასახელებულ გვერდსა და სტრიქონს მონახავდეს. რაც მთავარია, თან თავაზიანად მიმართავს ყველას - დედასაც, მამასაც, ნიკოსაც - ზრდილობის განსახიერებაა პირდაპირ, ყურადღებიანი, მომთმენი, დამთმობი, ვერ გაიგებთ, მართლა სერიოზულად ეკიდება ამ საქმეს, თუ სერიოზულად ხუმრობს. "ორას თექვსმეტი გვერდი ბრძანეთ, არა?! ზემოდან მეშვიდე სტრიქონი, არა?! ახლავე, ახლავე, ჩემო ბატონო. აი, ისიც! იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია... ოჰო!" "იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია" - ნიკოც იმეორებს თავითვის და კედლისკენ გადაბრუნებული, თავზე საბანწაფარებული ავადმყოფის უსიამოდ გამოყვითლებული ფეხისგულები ახსენდება რატომღაც - ჩაჩაჩული საცვალი, გაოფლილი დუნდულები...

- სიმარ-სირთლა-სინა-სიხე-სიის-სიკა-სიცი? - ეკითხება დეიდა.

- ვინ კაცი?! - უკვირს ნიკოს.

- სიმეც-სივნა-სიხე-სიმა-სიგრამ-სისა-სიხე-სიარ-სიუჩ-სიან-სიდა-სიცხე-სინზე-სიიყ-სიო-სიპირ-სირქვე-სიგა-სიდა-სიკი-სიდუ-სილი - გამალებული ეჩურჩულება დეიდა, ალბათ ბებიამ რომ არ გაიგოს.

- სად ნახე, როდის?! - უარესად უკვირს ნიკოს. გაოცებისგან ლოგინში წამომჯდარა.

- დაწექი, დაწექი, ახლავე! - უყვირის დეიდა და ცალი ხელით (მეორეთი წიგნი მიუხუტებია გულზე) ძლივს აწვენს უკანვე. - რამ გადაგრია?! როგორ იქცევი?! ხომ არ გგონია, ვინმე გიშველის?!

- აბა, რატომ გამაღვიძეთ?! - ბრაზდება ნიკო.

- მთელი კვირაა გაღვიძებთ, ძილის გუდავ, გონში ვერ ჩაგვიგდიხარ. - იცინის დეიდა.

- ბებო, ბებო. - ეძახის ნიკო ბებიას. - უთხარი რა, თავი გამანებოს.

- გაიღვიძე, გენაცვალე, ექიმი უნდა მოვიდეს. - პასუხობს ბებია.

- ეგ ხომ ვიცით. ეგ ხომ უკვე ვთქვით. ეგ ხომ ყველასთვის ცნობილია - ბუზღუნებს, ბურდღუნებს პირზე საბანწაფარებული ნიკო.

დეიდა იცინის, მაგრამ ყალბად, მხოლოდ ხმით, სახე დაძაბული აქვს, მოუთმენელი მოლოდინი აღბეჭდვია სახეზე. თვალსაც არ ახამხამებს, თვალგაშეშებული დასჩერებია ნიკოს და ნიკომაც უკვე იცის, უფრო სწორად, ხვდება, გრძნობს, რას ჰკითხავს, რისი გაგება აინტერესებს დეიდამისს.

- მამაჩემს გავდა. მამა მეგონა უცებ. - ამბობს იქამდე, ვიდრე დეიდა ჰკითხავდეს რამეს.

www.Litklubi.ge

მაგრამ დეიდას აშკარად არ აკმაყოფილებს ნიკოს თითქოს ამომწურავი პასუხი, თითქოს უფრო მეტს მოელის ნიკოსაგან, თითქოს ნიკო უკეთესად თუ გაიხსენებს, თავს თუ ძალას დაატანს, უფრო თუ მოინდომებს, სწორედ იმას იტყვის, რის გაგონებასაც თავად ელოდება. გულზე წიგნმიხუტებული უჩოქებს საწოლთან და, რაკი მათი თავები უკვე ერთ სიბრტყეზე არიან, ლამის სახესთან მიუტანოს თავისი დაძაბული, რაღაცის მომლოდინე, რაღაცის მოიმედე სახე, თითქოს უნდა ემთხვიოსო, როგორც მორწმუნე - მისი რწმენის განსახიერებას, და იმდენად ძლიერია მორწმუნის მისწრაფება, მორწმუნის სურვილი, ნიკოც მთელი არსებითა გრძნობს ამ მისწრაფებასა და სურვილს. გრძნობს, ხედავს, ესმის, როგორ მიიწევენ მისკენ დეიდის გათოშილი, გაშეშებული ტუჩები და უნებურად იძაბება, იბურძგნება, ეკალი აყრის ტანზე, თითქოს დიდი დანაშაული, ჯოჯოხეთური ცოდვა იყოს დეიდის კოცნა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ნათესაური კოცნა კი არ არის - ამას დიდი მიხვედრა არ უნდა - არამედ მორწმუნის ძღვენიცაა, მონის ხარკიცა და მლიქვნელის ქრთამიც, ერთდროულად. ნიკოს კი არც ერთი მათგანი არ ეკუთვნის, რადგან არ დაუმსახურებია, უფრო ზუსტად, ამჯერადაც უმწეოა, ამჯერადაც ვერაფერში გამოადგება დეიდას, ვერ გაუმართლებს იმედს, ვერ უშველის თავის ასმათს, რომელმაც თავიდანვე ალბათ სულაც ამ განზრახვით ჩამოიყვანა ბათუმიდან, რადგან ტანმა უგრძნო, ქალური ჭკუით განსჭვრიტა, სანთლითაც რომ ვერ იპოვიდა სხვაგან ნიკოსავით ერთგულ ადამიანს. ხოლო, იმდენად სჭირდებოდა სწორედ ასეთი ადამიანი, არც ომს მოერიდა, არც გზას, არც არაფერს... და როგორც კი მარტო დარჩნენ მატარებელში, ანუ, როგორც კი უცხო ხალხში აღმოჩნდნენ ერთმანეთის ამარა, მაშინვე შველა სთხოვა, მაგრამ ისე სწყეროდა გადარჩენა, ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, შეეძლო თუ არა ნიკოს საერთოდ ვინმეს შველა. მართალია, ნიკოც დიდობდა (სხვა რა გზა ჰქონდა?!), გაუქრობლად ქაჩავდა პაპიროსს, მაგრამ წესიერად ისიც ვერ გაიგო, რას სთხოვდნენ, რას ავალებდა დეიდა, რატომ უნდა ეკითხა ვიღაც შვილმკვდარი ქალისთვის - მკვდარი რომ გეგონათ, შემთხვევით, ცოცხალი ხომ არ აღმოჩნდა თქვენი შვილიო. მაგრამ იმდენს მაინც ხვდებოდა, თუ რა შემზარავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ აბდაუბდის გარკვევას დეიდამისისთვის, პირველად რომ გაიგო ვიღაცისგან, ომში ისევე სწრაფად იზრდებიან ბავშვები, როგორც ზღაპარშიო, სიხარულისგან, მგონი, მართლა აიყარა ტანი, რადგან ბავშვობა (გაბითურებული ბავშვობა!) უკვე ყელში ჰქონდა ამოსული, ტკბილივით მოყირჭებული კი არა, ამჟავებული საჭმელივით შეზიზღებული, და მთელი არსებით, მთელი შეგნებით მიისწრაფოდა დიდობისკენ, როგორც ქანცგაწყვეტილი ცხენი - თავლისკენ. განსაკუთრებით კი იმ დღის მერე, პურის მაღაზიის წინ, სიცივისგან გათოშილი, ლამის გონდაკარგული, დედამ რომ მოასულიერა, უფრო სწორად, ხელმეორედ რომ გააჩინა ქუჩაში, ბათუმურ თოვლ-ჭყაპში, დაკეტილი მაღაზიის კედელთან, უკვე სხვანაირი, გაუმჯობესებული, უფრო გამძლე და ამტანი ყველაფრისა. მაგრამ მაშინ, წნორში, შემაშფოთებლად აჩურჩულებულ ლერწმებში, მართლაც რომ სადიდო, მისი ძალ-ღონის, მისი შესაძლებლობებისა და მისი გონებისთვის ყოვლად შეუფერებელ საქმეში ჩათრეულს, სრულებითაც აღარ უნდოდა, დიდი ყოფილიყო, იმის იმედით, ანდა, კიდევ უარესი, იმის მეშვეობით გაერკვია ვინმეს, თუნდაც დეიდას, თავისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. არადა, სწორედ იქ, ცუდად, უსიამოდ აჩურჩულებულ ლერწმებში იგრძნო, ერთბაშად შეიგნო როგორღაც, ამიტომ რომ იყო საგანგებოდ ჩამოყვანილი ბათუმიდან, იქამდე რომ დაევალებინა მისთვის დეიდას ამ საქმის აღსრულება, ვიდრე თავად ჩაჯდებოდა მატარებელში, ორ მატარებელს გამოიცვლიდა და, ბათუმში ჩამოსული, მაშინვე უკან გამობრუნდებოდა, უკვე ნიკოსთან ერთად, რადგან სხვა, უკეთესი, უფრო სანდო, არავინ ეგულებოდა, თავისი გიჟური განზრახვა, თუნდაც ჟინი, აჩემება გაენდო და არა მარტო გაენდო, აღსრულებაც იმისთვის დაევალებინა. თან ისე ჩქარობდა, ისე ღელავდა და განიცდიდა, თითქოს ერთი დღით თუ შეყოვნდებოდნენ სადმე, აღარც ის ავად ასისინებული ლერწმები დახვდებოდათ ძველ ადგილას, აღარც მაზუთის გუბეები, აღარც მაზუთის გუბეებში აყიყინებული ბაყაყები და, რაც მთავარია, აღარც ის პირქუში, გულმუცელგამოცლილი სახლი. მაგრამ მაშინ ნიკომ თავი შეირცხვინა, ვერ გაუმართლა დეიდას, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც დეიდის ჩანაფიქრი

www.Litklubi.ge

იმსახურებდა უკეთეს დასასრულს და, ბოლოს და ბოლოს, გინდაც გაებედა ნიკოს შვილმკვდარ დედასთან გამოლაპარაკება, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა ამით - ის, შვილზე უფრო მკვდარი, სიტყვით იმდენს ვერც იტყოდა ალბათ, რაც უსიტყვოდ თქვა - ასე რომ, ლერწმებში მომლოდინე დეიდას ნიკო მაინც ხელცარიელი დაუბრუნდებოდა და ვერაფრით განუმტკიცებდა თითიდან გამოწოვილ იმედსა და ვარაუდს.

ახლაც იგივე მეორდება, ახლაც ვერ შველის დეიდას და ახლაც იმავე მიზეზით: არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რის ცოდნასაც დეიდა ავალდებულებს. მართალია, ერთი წამით მოჰკრა იმის სურათს თვალი, მაგრამ ისეთი გაურკვეველი ბინდბუნდი იდგა ოთახში და ისე იყო გაოგნებული თავად, ერთნაირი უსინდისობა იქნება მისგან უარყოფაცა და დადასტურებაც იმისა, რაც მტკიცედ, საფუძვლიანად არ იცის. მართლაც, როგორ უთხრას დეიდას, ნასაყდრალთან მოკლული კაცი, ნამდვილად იყო, ანდა, ნამდვილად არ იყო შენი შეყვარებულიო - ომის პირველსავე წელს დაღუპული თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული წნორელი სოსო, იგივე ზდაპრული მზეჭაბუკი, რომელიც, ერთ მშვენიერ დღეს, სიღნაღში უნდა ამოვიდეს ვითომ და, მაინცდამაინც დეიდას ჰკითხოს: სად არის, ქალიშვილო, სასტუმრო ამ დასაქცევ ქალაქშიო.

თავისი ერთდღიანი სიყვარულის ამბავიც მატარებელშივე გაანდო დეიდამ ნიკოს, თავისი ყველაზე დიდი საიდუმლო, როგორც თვითონვე უწოდებს - "თავისი ცხოვრების აზრი" - და, თუმცა, იმის მერე ბევრი უთანხმოება მოსვლიათ ერთმანეთში, ბევრჯერ წაჰკიდებიან ერთმანეთს, არ ყოფილა შემთხვევა, როცა ერთს სინანულით ეკბინო თითზე, ვის ვანდე ჩემი საიდუმლოო, მეორეს კი, "მტრის" საიდუმლოს ცოდნა ბოროტად გამოეყენებინოს იმავე "მტრის" წინააღმდეგ. ამიტომაცაა, აფორიაქებული, შეწუხებული, იქამდე რომ ეუბნება დეიდას - მე ხომ იმას არ ვიცნობდიო - ვიდრე დეიდა აკოცებდეს.

დეიდა მაშინვე ფეხზე დგება, კაბის კალთას იფერთხავს მუხლებთან, მერე წიგნს ორივე ხელით იხუტებს გულში და ამბობს: მე კი ღრმადა ვარ დარწმუნებული, თქვენ რომ ნასაყდრალთან კაცი მოკალით, სოსო იყოო.

- კარგი, გოგო, აღარ დაიღალე?! - ეძახის ბედია.

- სოსო იყო. ჩემთან მოდიოდა. - ჯიუტად იმეორებს დეიდა.

- კარგი, - ეხვეწება ბებია. - რადა შენი გადარევა უნდა, ისედაც შეშინებულია.

- დარწმუნებული ვარ, დარწმუნებული ვარ! - ყვირის დეიდა, როგორც მაშინ ყვიროდა, წნორში, ლერწმებში, მაგრამ მაშინ, ცოცხალიაო, ამტკიცებდა ჯიუტად, ახლა კი, გინდათ თუ არა, ის მოკლეს, ის ამოატარეს ცხენზე პირქვეგადაკიდებულიო.

- ის გირჩევნია, პირი დააბანინო ბიჭს. ექიმი უნდა მოვიდეს. - მშვიდად ამბობს ბებია. მოგონილი, ნაძალადევი სიმშვიდით შვილის მრისხანების განელებას ცდილობს, როგორც ექიმს უნელებს ხოლმე წყალს ხელის დასაბანად.

- მკვდარიც არ მაჩვენეს! - ბობოქრობს დეიდა.

(როგორც მერე შეიტყო ნიკომ, დეიდამისი ლამარასთან მისულა და უთხოვია, შენს ქმართან მიშუამდგომლე, იქნება გვამი მაჩვენოს ერთი წამითო. მაგრამ მილიციაში გვამი აღარ დახვედრიათ, უკვე თბილისში ყოფილა გადაგზავნილი. ლეიტენანტი, ლამარას ქმარი, ძალიან შეწუხებულა, უკვე ვეღარაფრით დაგეხმარებითო, და ალბათ დეიდის დასამშვიდებლად, დაუმატებია: ჩემი აზრით, ის კაცი აქაური არ უნდა ყოფილიყოო. ისე, როგორც დეიდას მოსჩვენებია, აშკარად უხაროდა თურმე და არც მალავდა თავის სიხარულს, რამდენჯერმე უთქვამს კიდეც, დიდი ტვირთი მომეხსნა მხრებიდანო, რადგან გვამი, თბილისში გადაგზავნამდე (ესეც იმას მოუყოლია დეიდისთვის), გიჟკოლას მოუპარავს და ჩუმად დაუმარხავს, დაკარგული მამის სანაცვლოდ, მაგრამ მილიციას, რასაკვირველია, მაინც მიუგნია და, ბოლოს და ბოლოს, მშვიდობით გადაუგზავნია თბილისში).

www.Litklubi.ge

- სოსო იყო, რა თქმა უნდა, სოსო იყო. - შფოთავს, წუხს, იტანჯება დეიდა. - მაშინვე მიგრძნო ტანმა. ქალაქზე არც ამოეტარებინათ ჯერ, მე რომ უკვე ვიცოდი. ხელები გამიშეშდა უცებ, წიგნიც ვეღარ გადავფურცლე, ვერაფრით ვერ დავძარი ფურცელი ადგილიდან და სულელივით ვიმეორებდი, ო, არ ველოდი ქალბატონო მე თქვენგან ღალატს-მეთქი, თითქოს მე კი არ ვამბობდი, ის მეუბნებოდა მე, მე მდებდა ბრალს ღალატში და აღარ ვიცოდი, როგორ, რანაირად მემართლებინა თავი, როგორ გამეგებინებინა, არასოდეს, არასოდეს, ფიქრშიაც რომ არ მიღალატია მისთვის. ვეგდე ასე, წიგნით ხელში, საწოლზე, წელმოწყვეტილი, მეც იმის სიკვდილით მოვკვდი თითქოს, და მოშლილი პატეფონივით ვიმეორებდი, ო, არ ველოდი, ო, არ ველოდი, ო, არ ველოდი-მეთქი. მაგრამ მარგალიტამ რომ დამიძახა, წამო, შევხედოთ, ყაჩაღი მოუკლავთო, გიჟივით წამოვვარდი საწოლიდან, წინდა არ ამომიცვამს ფეხზე, თავშალი არ მომიხვევია, გამოძევებული ცოლივით თავშიშველი, ფეხშიშველი გამოვვარდი ქუჩაში. რას მოჩანჩალებ, გამოადგი ფეხიო - მეძახდა მარგალიტა, მე კი სირბილისგან გული ამოვარდნაზე მქონდა, სულს ვეღარ ვითქვამდი, რომ არ წავქცეულიყავი, კედლებს ვებჯინებოდი, კედლებს ვეჩურჩულებოდი, სოსო მოკლეს, სოსო მოკლეს-მეთქი - ამბობს დეიდა, აღგზნებული, სახეარეული, გულში წიგნჩახუტებული, თითქოს წიგნი კი არა, მართლა შვილიკო იყოს, უკანონო შვილიკო, სოსოსი, მოტოციკლზე ჩასახული, თავბრუდამხვევი ქროლვისას, უკიდეგანო ცაში, და ამიტომაც, ერთი წამითაც არ შეიძლება იმისთვის ხელის გაშვება, მაშინვე გაფრინდება, რადგან დედ-მამის კი არა, უსასრულო სივრცეში გადაკვეთილი ორი ოცნების, ორი სურვილის, ორი იმედის პირმშოა და საფრენადაა საერთოდ გაჩენილი, უფრო ზუსტად, ფრენა იცის, ფრენა შეუძლია მხოლოდ.

www.Litklubi.ge

დეიდას ერთი დობილი ჰყოლია წნორში და როგორც იმ ასაკის გოგოებს ახასიათებს საერთოდ, ერთმანეთზე ამოსდიოდათ თურმე მზე და მთვარე. ვიდრე ტექნიკუმს დაამთავრებდნენ, იმასაც სიღნაღში უცხოვრია, ოთახი ჰქონია ნაქირავები, მერე კი, ხან ის ამოდიოდა დეიდასთან სტუმრად, ხან დეიდა ჩადიოდა იმასთან - დილის ავტობუსს ჩაჰყვებოდა, საღამოსას ამოჰყვებოდა - და ეს, არცთუ ისე შორეული და რთული მგზავრობა (ავტობუსში ყველანი ცნობდნენ და, რასაკვირველია, ისიც მშვენივრად იცოდნენ, ვისთან მიდიოდა წნორში, ანდა, ვისგან ბრუნდებოდა წნორიდან, უფროს დასავით, კეფაზე თმადაგრაგნილი და, შეძლებისდაგვარად, დიდურად ჩაცმული), სავსებით აკმაყოფილებდა მის პატივმოყვარეობას, ანუ, საკმარისზე მეტი იყო, თავისი დიდობა და დამოუკიდებლობა დაემტკიცებინა მშობლებისთვის. უფრო ზუსტად, ჯერ საკუთარი თავისთვის, მერე კი მშობლებისთვის და საერთოდ ყველასთვის, სხვებისთვის. მაშინ ჯერ კიდევ იმ ასაკში იყო (ახლა ამბობს, ბებერი ვარო), როცა დობილზე ძვირფასი, ახლობელი, სანდო და საიმედო არავინაა ქვეყანაზე, როცა ისაა, არა მარტო შენი ფიქრის, არამედ მთელი შენი იმჟამინდელი ცხოვრების წარმმართველი, ცხოვრებისა, რომელიც ჯერ არც მშობლების მეთვალყურეობიდან გამოსულა მთლიანად და არც მომავალი თანამგზავრის ჩრდილში შეყუჟულა სამუდამოდ. ამიტომაცაა, მშობლის არსებობა ისევე რომ გაღიზიანებს, როგორც წყალს - ჯებირისა, ტუსაღს - ბორკილისა, ჯარისკაცს - ტრიბუნალისა, ხოლო მომავალ თანამგზავრზე ფიქრი, პირველ რიგში, სწორედ იმ ჯებირის დანგრევას, იმ ბორკილის გაწყვეტასა და იმ ტრიბუნალის გაუქმებას გავალდებულებს, ანუ, ბავშვური, სამარცხვინო ჩვევების (დედასთან ძილი, ქუხილის დროს თავზე საბნის წაფარება, უცხო ხალხში დამუნჯება) დროულად მოშორებასა და ყველაფრისთვის (რაღა არ შეიძლება შეემთხვას ჩვენს დროში ქალიშვილ ქალს) მზადყოფნას. შენც, როგორც ერთი რიგითი მონა ბუნებისა და დროისა, გააფთრებული ანგრევ ჯებირს, ეჯაჯგურები ბორკილს, ეურჩები ტრიბუნალს, ანუ, მშობლების ავად თუ კარგად გაკვალულ გზაზე კი არ მიდიხარ, ამ გზიდან გადასვლას ცდილობ განუწყვეტლივ, განზე მიიწევ, წუმპეჩამდგარ თხრილებში, გაუვალ ეკალბარდებში, ნახნავსა და უხნავში - ზუსტად იმ სულელი ბურვაკივით, პაპამ და ნიკომ ძლივს რომ ამოიყვანეს ბოდბისხევის ბაზრიდან და იმის დევნაში, თვითონაც თავფეხიანად ამოიგანგლენ ტალახში, ერთმანეთზე უარესად დაბღორტნილ-დალილავებულნი. ამ დღეში არიან შენი მშობლებიც, რადგან იმათი ღრმა რწმენით, გასათხოვარი ქალი შინ უნდა იჯდეს, შინ უნდა დაელოდოს ბედს, ერთი კი არა, ათი დიპლომი რომ ედოს უჯრაში, იმიტომ, რომ... "იმიტომ, რომ - მაინც გაცხარდებოდნენ ხოლმე ისინი - იმიტომ, რომ მერე გინდაც მოედანზე იყვირო, ვეღარავის გააგებინებ, მართალი თქვეს შენზე, რაცა თქვეს, თუ მოგიგონესო". შენც, დაახლოებით იმავე აზრისა ხარ გულის სიღრმეში, მაგრამ ასაკისა და დროის მოთხოვნილებათა შესაბამისად, იძულებული ხდები, საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა, შეახსენო, შეაგნებინო "შეუგნებლებს", სხვა დრო რომაა ახლა, სხვანაირად რომ ფიქრობს ხალხი და, უბრალოდ, შეუძლებელიცაა იმათი (მშობლების) ადათ-წესებით ცხოვრება, თუნდაც იმიტომ... "თუნდაც იმიტომ, აღარავის რომ აღარ სჯერა ხვალინდელი დღისა, ყველას რომ დღეს უნდა ყველაფერი, თავისი წილი. დღეს. დღეს. დღეს. ხვალ, ეშმაკმა იცის, რა იქნება". - ბორგავ, გულს ასკდები, ომობ და ამ მძიმე, დროისაგან თავსმოხვეულ ომში, მხოლოდ დობილია შენი გამგები, შენი ერთადერთი მოკავშირე. არადა, უბრალოდ, ისიც შენს დღეშია, იმასაც ისევე სჭირდები შენ, როგორც შენ გჭირდება ის, ისიც შენსავით ბრმად, ჯიუტად, შიშნარევი ნეტარებით მიისწრაფის იდუმალისკენ და თუნდაც მარტო ამის გამო, ყოვლად მიუტევებელი დანაშაულია, არ გააცილო დობილის ნათესავი ბიჭი, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ომში მიდის და ადვილი შესაძლებელია, ვეღარასოდეს დაბრუნდეს უკან, გაუთხოვრად დააქვრივოს თავისი შეყვარებული (ომში მიმავალ ბიჭს, არ შეიძლება, შეყვარებული არ ჰყავდეს), ასე რომ, დობილის ნათესავიც რომ არ იყოს იგი, მაინც უნდა გააცილო, გულისხმიერება უნდა გამოიჩინო იმის მიმართ, თანაგრძნობა გამოუცხადო წინასწარ, როგორც ზოგადად გოგომ ზოგადად ბიჭს.

www.Litklubi.ge

ამიტომაც იყო ალბათ, ასე ახლოს რომ მიიტანა დეიდამ გულთან დობილის ლამის ჩვეულებრივი შემონათვალი: ამა და ამ დღეს, ნათესავ ბიჭს ომში ვაცილებთ და, თუ მოახერხებ, ჩამოდიო. დეიდა ამბობს - არ შემეძლო არ ჩავსულიყავი, რადგან უკვე ვიცოდი, იმ დღეს რომ უნდა გადაწყვეტილიყო ჩემი ბედიო. ამდგარა და დანიშნულ დღეს მართლაც ჩასულა წნორში, რათა იქ, მტვრისა და კოღოს საბუდარში, მშვიდად და უდრტვინველად შეჰგებებოდა თავის ბედსა თუ ბედისწერას. თუმცა, მაშინ, ჯერ კიდევ საკუთარი არსება უფრო აინტერესებდა, ვიდრე სხვა ვინმე, ანდა, სხვა რამე. ჯერ კიდევ იმ ასაკში იყო, როცა სული და გონება უჩვეულო, შემაწუხებელი, შემაშფოთებელი და თანაც, რა დასამალია, სირცხვილის გრძნობის აღმძვრელი ფიქრებითაა გამოტენილი, ხოლო ამ ფიქრების გამხელა ისევე ძნელია, როგორც არგამხელა, რადგან გამხელა მკვლელობის თანაფარდია, არგამხელა კი - თვითმკვლელობისა; გამხელის შემთხვევაში ყველაფერ იმას უპირისპირდები, რითაც იქამდე გიცხოვრია, არგამხელის შემთხვევაში კი - საკუთარ თავს, საკუთარ არსებას, საკუთარ ბუნებას. აქედან გამომდინარე, ამგვარი ფიქრების არსებობა უკვე თავისთავად გაიძულებს, გულჩათხრობილი გახდე სწორედ იმათთან, ვინც ნამდვილად შენიანია, ვისიც გაჩენის დღიდან გჯეროდა და დაუფიქრებლად ენდობოდი; სამაგიეროდ, გულახდილობისა და ნდობის სურვილს გიჩენს იმის მიმართ, ვისაც შემთხვევით უნდა გადაეყარო საერთოდ და ადვილი შესაძლებელია, სულ სხვა ვინმე აღმოჩენილიყო ის, მაინცდამაინც, წნორში რომ არ ჩასულიყავი, მაინცდამაინც იმ დღეს. მშობელს იდუმალების ბურუსი უკვე მოშორებული აქვს, უკვე კარგა ხნის გამოსულია იმ ასაკიდან, რომელშიაც შენ იმყოფები ახლა და, ამიტომაც, აღარ გჯერა იმისი, აღარ ენდობი, რადგან იმისთვის დამთავრებულია, რაც შენთვის ჯერ არც დაწყებულა.

www.Litklubi.ge

დაახლოებით ასე ფიქრობდა დეიდაც, როცა წნორისკენ მიისწრაფოდა, ვიღაც, მისთვის სრულიად უცნობი ბიჭის გასაცილებლად და, შეიძლება, უკვე უყვარდა კიდეც ის ბიჭი, მაგრამ მაშინ, ავტობუსში, არც კი დაფიქრებულა ამაზე, ამაზე მერე ფიქრობდა, როცა ბიჭი უკვე მკვდარი იყო, ის კი, ღამღამობით, საწოლში მოკუნტული (წამომჯდარი კი არა, როგორც პაპის ზღაპარში, არამედ - მოკუნტული, შეციებული, უპატრონო ლეკვივით), ვინ იცის, მერამდენედ, მისხალ-მისხალ იხსენებდა იმ ერთადერთ საღამოს და ყველაფერს, რაც კი, რამეთი მაინც, უკავშირდებოდა იმ ერთადერთ საღამოს, რამეთი მაინც განაპირობებდა და ადასტურებდა იმ ძნელად დასაჯერებელი საღამოს არსებობას, როცა, თურმე, უყვარდა და არ იცოდა, მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა, როცა საერთოდ არაფერი გაეგებოდა ჯერ სიყვარულისა და თუკი მაინც ფიქრობდა სიყვარულზე, ისიც თავისი უფროსი დის ჯიბრით, რადგან თვითონაც უნდოდა, მაინცდამაინც ისეთივე სახელოვანი კაცი შეჰყვარებოდა, როგორიც მის უფროს დას უყვარდა, იმასაც მაინცდამაინც ნიკოსნაირი ბიჭი გაეჩინა და, რაც მთავარია, აქედან, ამ ქვის ბუდიდან, რაც შეიძლება შორს წაეყვანა ისიც ქმარს, ნებისმიერ სხვა ქალაქში - თუკი ბათუმში არ შეიძლებოდა ორივე დის ცხოვრება - უფროს დასავით, მხოლოდ და მხოლოდ სტუმრად რომ ჩამოსულიყო მშობლებთან, თანაც, ათასში ერთხელ, ისიც ზაფხულობით. უფროსი და არა მარტო უყვარდა, მოწონდა კიდეც, ცდილობდა, ყველაფერში იმას დამსგავსებოდა, თმასაც იმასავით ატარებდა, მაგრამ, როცა დაზე ფიქრობდა, რატომღაც, ყოველთვის იბოღმებოდა კიდეც, თითქოს ის იყო მისი მთავარი მეტოქე, მთავარი კი არა, ერთადერთი, თითქოს ასე, უფროს დასავით, ერთ-ერთს უნდა ეცხოვრა მხოლოდ და, რაკი მისი უფროსი და უკვე "ასე" ცხოვრობდა, აღარ შეიძლებოდა იმასაც გაემეორებინა იგივე, თუნდაც, ცოტა მოგვიანებით. მერე კი, როცა მისი უფროსი დის შესაშური ბედნიერება, ყველასათვის მოულოდნელად, ჩვეულებრივ უბედურებაში გადაიზარდა უცებ, ცოტას მორჩა თავი მოიკლა (არც ეს დაუმალავს ნიკოსთვის: მთელი თვე ბალიშის ქვეშ ვმალავდი ძია სანდროს დაგრეხილ თოკსო), რადგან ეჭვიც არ ეპარებოდა, მისი სულმოკლეობისა და შურიანობის ბრალი იყო სიძის ავადმყოფობაცა და ომიც. ამას რომ ეგონა, სამოთხეშიაო, მისი უფროსი და შუაგულ ჯოჯოხეთში იდგა თურმე; ეს რომ იცინოდა, ჩემი ლამაზი და ნებიერი დაიკო თითის თითზე დამკარებელი არ არისო, გააფთრებული იბრძოდა თურმე ორი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად: ერთი ხელი მომაკვდავი ქმრის საწოლისთვის ჩაევლო, არავინ გაათრიოს განწირულთა, გადადებულთა პალატაშიო, მეორეთი კი შვილის გამოტყუებას ცდილობდა შიშის, შიმშილის, სიცივის, უიმედობისა და უპატრონობის ელდიდან. სულო ცოდვილო და, დეიდას ესეც შურდა. მშიერის მოუთმენლობით ელოდებოდა და ნთქავდა ბათუმიდან მოსულ წერილს, დეპეშას, ნებისმიერ ცნობას, რადგან აღფრთოვანების, მოწიწებისა და სიამაყის აღმძვრელი შურით შურდა უფროსი დისა და თითონაც უნდოდა, ჰყოლოდა ვინმე, ვისთვისაც იომებდა, დამდაბლდებოდა და ამაღლდებოდა კიდეც, ახალგაზრდობაზეც, ქალობაზეც აიღებდა ხელს, მოურჩენელი სენის ჯაჭვსაც აულოკავდა და მსხვერპლადაც შეეწირებოდა დაუფიქრებლად. ასე რომ, ვიდრე დობილის ნათესავ ბიჭს გაიცნობდა, დასა და სიძეზე ლაპარაკი სავსებით უკმაყოფილებდა საერთოდ სიყვარულზე, როგორც ზოგად გრძნობაზე, ლაპარაკის ძნელად მოსარევ სურვილს. "ნუ გამიწყალე, გოგო, გული შენი დითა და სიძითო" - ეტყოდა ხოლმე მოსმენილით აფორიაქებული დობილი, მაგრამ დეიდას არ შეეძლო არ ელაპარაკა, ისევე როგორც დობილს არ შეეძლო, არ მოესმინა მისთვის. ისინიც უკვე ქალები იყვნენ თითქმის, უფრო სწორად, მზად იყვნენ დასაქალებლად და იმასაც გრძნობდნენ, ყოველ წუთას შესაძლებელი რომ იყო, მათ გულებშიც ეფეთქა სიყვარულს, ხოლო, რაკი წინასწარ არ იცოდნენ, რა სისულელეებს ჩაადენინებდათ სიყვარული, სიყვარულის ძალასა და სიდიადეზე გაუთავებელი ლაპარაკით, თითქოს მათ მიერ ჯერ კიდევ ჩაუდენელი, მაგრამ აუცილებლად ჩასადენი სისულელეების გამართლებასაც ცდილობდნენ იმათ წინაშე, ვისაც მომავალში, სიყვარულის სახელით ჩადენილი სისულელეების გამო, შეეძლო გაეკიცხა ისინი. უფროსი დის წამხედურობით, უფროსი დის ჯიბრით, უფროსი დის მომხიბვლელი ბედნიერებისა და არანაკლებ მომხიბვლელი უბედურების ზემოქმედებით, კიდევ უფრო თავგანწირული, შლეგი, დაუდეგარი და ღვთაებრივად ყველაფრის მომცველი ვნება

www.Litklubi.ge

მწიფდებოდა მის არსებაში, მაგრამ თვითონ ჯერ არაფერი გაეგებოდა იმ ვნებისა, რადგან ჯერ არც დობილის ნათესავ ბიჭს იცნობდა, თუმცა, დობილის ნათესავი ბიჭის გაცნობაც არ იყო საკმარისი, მთლიანად რომ ჩაწვდენოდა იმ ვნების საიდუმლოს, სიდიადეს, ძლიერებას - საამისოდ უფრო მეტი იყო საჭირო, გაცილებით მეტი: დობილის ნათესავი ბიჭის სიკვდილი - ყველა ოცნების ჩამფერფლავი, ყველა გზის ჩამკეტავი, ყველა იმედის გამწბილებელი და მაინც პატივსაცემი, მოსარიდებელი, მოსაფერებელი, რამდენადაც ცოცხლისთვის სიკვდილი ძვირფასი მკვდრის განსახიერებაა და მეტი არაფერი. ადვილი შესაძლებელია, მსგავსიც არაფერი განეცადა დეიდას, დობილს რომ არ დაეპატიჟნა იმ დღეს; ხმა რომ ვერ მიეწვდინა შემთხვევით. რასაკვირველია. დეიდა თავიდანვე ღელავდა, რაღაცნაირად აფრთხობდა კიდეც ჯერ კიდევ უცნობ ბიჭთან შეხვედრა, რომელსაც მაშინვე უნდა გამოთხოვებოდა და, როგორც მალე გამოირკვა, სამუდამოდაც. ავტობუსშიც ძირითადად თავს იმშვიდებდა, მე იმ ბიჭთან რა მესაქმება, მე ჩემს დობილს ვცემ პატივს, ჩემს დობილთან მივდივარ სტუმრად ჩვეულებრივადო. მაგრამ ტანი უგრძნობდა, ჩვეულებრივი სტუმრობა არ გამოუვიდოდა ამჯერად. რაღაცის, გაურკვევლის მოლოდინი გულის კოვზთან ადგა, გადაცდენილ კურკასავით, სულის მოთქმა უჭირდა ფარდალალა, ბრეზენტის სახურავიან ავტობუსში, მაგრამ რაც მერე გადახდა თავს, ბევრად აღემატებოდა ყოველგვარ მოლოდინს, ყოველგვარ ვარაუდს. ავტობუსი კი მშვიდად, მართლაც რომ ჩვეულებისამებრ მიუყვებოდა სპირალივით დახვეულ გზას, საკუთარი სუნით გაბრუებულ კაკლის ხეებს, კუნელის, ბროწეულის, ასკილისა და მაყვლის ბუჩქებით გადაჭრელებულ ფერდობებს და არაფერი ხდებოდა უჩვეულო, მოულოდნელი, განსაკუთრებული, არც ავტობუსში და არც ავტობუსს გარეთ. მხოლოდ ის იყო სხვანაირად აფორიაქებული, თუმცა, გარეგნულად ალბათ არაფერი შესტყობია - ჩვეულებრივად იჯდა, წელგამართული, ქარისათვის სახემიშვერილი. ქარიც ჩვეულებრივად უწეწავდა თმას, ყელ-კისერზე ებუბუნებოდა და კიდევ უფრო მჭიდროდ ატმასნიდა კაბას სხეულზე, თითქოს ავტობუსის დანარჩენი მგზავრების დასანახად: აი, შეხედეთ, დარწმუნდით, როგორ დაქალებულა, თვალსა და ხელს შუაო. დეიდას კი ერთნაირად ერიდებოდა, როგორც დამალვა, ისევე გამოჩენა საკუთარი სიმწიფისა და რაღაცის, ჯერ კიდევ გაურკვევლის, რაც მთავარია, მისთვის უაღრესად მნიშვნელოვანის მოლოდინით დამფრთხალი, ვერაფრით მორეოდა თავს, ვერაფრით დაემშვიდებინა გული, თმა, ხელები... ხან მკერდზე შემოტმასნილ კაბას ისწორებდა, ხან აწეწილ თმას. ეგონა, ყველანი იმას უყურებდნენ და ერთი სული ჰქონდა, როდის გადავიდოდა ავტობუსიდან. ასე გულაფრიალებული მიადგა თავის დობილს. მაგრამ იქ კიდევ უფრო დარია ხელი მღელვარებამ. კრიჭაშეკრული იჯდა მაგიდასთან, ყაყაჩოსავით სახეაბრიალებული, გულაბაგუნებული და თვითონვე გიჟდებოდა გულში: რა ჭირი მეცა, როგორ ვიქცევიო. ვერც დაილაპარაკა, ვერც პირი დააკარა რამეს, თითქოს ჭირის სუფრაზე მოეწვიათ. "განა ტყუიან ჩვენები, არა ხარ ხალხში გამოსაჩენიო" - ასკდებოდა გულს, საკუთარ უხასიათობაზე აღრენილი. განა არ უნდოდა, არ გამოსდიოდა ადამიანურად მოქცევა. ვერ ახერხებდა, ჩვეულებრივად, უბრალოდ, თავისუფლად და, რაც მთავარია, გულისაუჩუყებლად შეეხედა თავგადახოტრილი, სევდიანად მოდიმარი ბიჭისთვის. ამიტომაც, კიდევ უფრო მეტად იქცევდა სხვათა ყურადღებას. რაკი თავიდან ქათმის ფეხიც არ გადაიღო, ზრდილობისთვის მაინც, ახლა, რაც რამე იყო სუფრაზე, იმას სთავაზობდნენ; რაკი ტუჩიც არ დააკარა ჭიქას, უნდა დაცალოო, აძალებდნენ აქეთ-იქიდან, წამსვლელის სადღეგრძელო მაინც უნდა დაილიოს ბოლომდეო; და რაკი კრინტიც ვერ დაძრა, ვერც სალამი თქვა და ვერც მადლობა, გალაკტიონის ლექსის წაკითხვას სთხოვდნენ, გაგებული გვაქვს (ალბათ დობილისგან, რა თქმა უნდა, დობილისგან. სულ იმისი სიცილი ედგა ყურებში), კარგად კითხულობთ თურმეო. მოკლედ, აღარ ეგონა, როდისმე თუ მოედებოდა ბოლო ამ უაზრო, სამარცხვინო ტანჯვა-წვალებას. მაგრამ ყველაზე მეტად, თავგადახოტრილ ბიჭზე მეტადაც, ალბათ დობილის სიცილი აფრთხობდა მაინც (დეიდა ამბობს: იმ დღეს დამთავრდა ჩვენი დობილობაო, რაღაცნაირად, თავისთავად, უმტკივნეულოდ ამომივარდა გულიდანო), რადგან იქამდე არ გაუგონია ასე ხმამაღლა, ასე არასასიამოვნოდ, ასე ყალბად, და, ამავე დროს, ასე გამომწვევად გაეცინოს ვინმეს. "შეხედეთ, შეხედეთ, როგორ შეიფერა ქათინაურიო" - იცინოდა

www.Litklubi.ge

დობილი და დამფრთხალი, გაკვირვებული დეიდა, ერთი წამით რომ შეხედავდა ხოლმე სახეში, გაქვავებულ, დაძაბულ, არაბუნებრივად გაბრწყინებულ თვალებს აწყდებოდა თურმე, ლამის სიძულვილით სავსეს, თითქოს რაღაცისთვის უწყრებოდნენ, ანდა რაღაცას ავალდებულებდნენო. დეიდა კი წუხდა, შფოთავდა, უარესად აღიზიანებდა საკუთარი მიუხვედრელობა, ვიდრე მაგიდაზე ჩამოდებული ხელი არ აუძაგძაგდებოდა ისევ, ალბათ დაძაბულობისგან, და უარესად დამფრთხალი, რა მემართება, რა ამბავია ჩემს თავსო, აძაგძაგებულ ხელს მაგიდის ქვეშ არ დამალავდა სასწრაფოდ. მუხლებს შორის იმწყვდევდა თურმე, კიდევ რომ არ ჩაედინა რამე იმას, ხელს, მასთან შეუთანხმებლად, უზრდელი და გაუგონარი ბავშვივით.

მერე, თვითონაც რომ აღარ ახსოვს, როგორ მოხდა, ისა და დობილის ნათესავი ბიჭი მარტო მისეირნობდნენ შუკაში. ჯერ აკაციის ყვავილის მძაფრი სუნი იგრძნო, თურმე, და მერედა აღმოაჩინა საკუთარი თავი უცხო ბიჭის გვერდით. "რა დროს სიცივეა, ამ გაგანია ზაფხულშიო" - ეუბნებოდა ბიჭი, თუმცა, დეიდას არც სცოდა და, რამდენადაც ახსოვს, არც ბიჭისთვის შეუჩივლია, მცივაო. დაბინდულ შუკას აკაციის ხეები მოუყვებოდნენ ორივე მხარეს. ბინდში უფრო მძიმე და უფრო ხორციანიც ჩანდა აკაციის ყვავილის თეთრი მტევნები. დეიდა კარგად იცნობდა წნორს, მაგრამ უცებ ვერ მოუსაზრებია, სად იყვნენ, სად გაიყვანდათ ეს დაბინდული და დაბანგული შუკა. ღობესთან ძაღლი იდგა და, კბილებდაკრეჭილი, ბრაზიანად იღრინებოდა. მართალია, ამათკენ არც იყურებოდა, თითქოს შეგნებულად არიდებდათ თვალს, მაგრამ აშკარად ამათზე ბრაზობდა, ამათი მოულოდნელი გამოჩენა არ სიამოვნებდა. "რა იყო, მურა, რა დაგიშავეთ, რატომ გვიბრაზდებიო" - დაუძახია ბიჭს და ძაღლისკენ წასულა. დეიდა კი, შიშისაგან, ადგილზე გაშეშებულა. ვერც ახლა ამოუღია ხმა, ბიჭი რომ გაეჩერებინა. ბიჭი კი ავად აღრენილ ძაღლთან მისულა, მუხლებზე ხელებმიბჯენილი, მისკენ დახრილა და ძველი ნაცნობივით მოუკითხავს - რას შვრები, როგორა ხარ, რა ხდება ქვეყანაზეო. მერე ცხვირწინ ჩასცუცქებია და რამდენჯერმე თავზე ხელიც გადაუსვამს. ძაღლი მაინც იღრინებოდა თურმე, მაგრამ ძნელი სათქმელია, ისევ სიბრაზისგან, თუ ახლა უკვე სიამოვნებისგან. დეიდა კი ისევ იქ მდგარა, სადაც შიშს გაუშეშებია, მომუწული ხელებიც ისევ პირზე ჰქონია მიჭერილი, მაგრამ ბიჭს რომ დაუძახია, მოდი, გაიცანიო, მაშინვე იმათკენ წასულა, თითქოს დაძახებას ელოდებოდა მხოლოდ. ბიჭს ძალით გაუღებინებია ძაღლისთვის პირი, ლამის შუაზე გაუხევია და დეიდისთვის უთქვამს: თუ გინდა, ჩაუყავი პირში ხელიო. დეიდას ჯერ კიდევ მომუწული ხელები მაშინვე ზურგს უკან დაუმალავს, თითქოს ძალით ჩააყოფინებდნენ ძაღლის ხახაში. "ეს რა სულელი ბიჭი ყოფილაო" - გასცინებია თან გუნებაში საომრად მიმავალ თანამგზავრზე. ბიჭს კი ძაღლისთვის თავი გაუნებებია და წამომდგარა. მაგრამ ძაღლს ახლა თავისით დაუღია პირი, ღონივრად, მთელი ტანით გაწვართულა, ერთი გრძლად დაუწკმუტუნებია და, დამცხრალი და დასევდიანებული, ღობის ძირში მიგდებულა თავისთვის.

www.Litklubi.ge

ჩიტები ჟივილ-ხივილით იბუდებდნენ ხეებზე. აქა-იქ ისევ თეთრად კრთოდნენ აკაციის ყვავილის მძიმე, ხორციანი მტევნები. სადღაც ორთქლმავალს შეუკივლია, რაღაცნაირად, სუსტად, გაუბედავად, თითქოს ორთქლმავალი კი არ იყო მართლა, ორთქლმავალს ბაძავდა, ორთქლმავლობდა. "ისედაც დამაგვიანდა, ახლავე სიღნაღში უნდა ავიდეო" - უთქვამს უცებ დეიდას. ეტყობა, ორთქლმავლის ხმამ გზა გაახსენა, იმისი გზა კი, ჯერჯერობით, მხოლოდ სიღნაღისკენ მიდიოდა. "სულ რომ ფეხით მომიწიოს ასვლაო" - დაუმატებია გუნებაში, ალბათ თავის გასაქეზებლად. სიღნაღის ავტობუსი დიდი ხნის წასული იყო უკვე, მაგრამ ღრეჯვის ხიდთან გავიდოდა და რამე გამოჩნდებოდა, ანდა, მართლა ფეხით წავიდოდა, ბოლოს და ბოლოს, მოკლეზე, ნასაყდრალზე გავლით. საშიში კი იყო ღამე მარტო სიარული (ფიქრშიაც არ დაუშვია, თავგადახოტრილი ბიჭი თუ გააცილებდა, თუნდაც იმიტომ, იმის გასაცილებლად რომ იყო ჩამოსული თვითონ წნორში), თანაც ტყე-ღრეებზე, მაგრამ, რახან თქვა, თქვა, და საერთოდაც, წასვლა ერჩივნა, ისე ჰქონდა თავგზა აბნეული, იმდენად უჩვეულო იყო ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა. უფრო სწორად, რაც ხდებოდა, არაბუნებრივად ხდებოდა. მართალია, რაღაცნაირად ამშვიდებდა, ეიმედებოდა კიდეც ამ უცხო ბიჭის სიახლოვე, მაგრამ უსიამო ეჭვსაც უჩენდა - თითქოს ისე არ იქცეოდა ის, როგორც უნდა მოქცეულიყო - თუმცა არ იცოდა, როგორ იქცეოდნენ, საერთოდ, ასეთ დროს კაცები, ყველანი ასეთები იყვნენ, თუ ეს გამოირჩეოდა სხვებისგან. ერთხელ კი უთხრა დობილმა, ყველანი ერთნაირად მშიშრები და მატყუარები არიანო. მაგრამ ეს არც მშიშარა ჩანდა - ძაღლებს ძალით აღებინებდა პირს - და არც - მატყუარა - ზრდილობის გამოც არ უთქვამს დეიდისთვის, მომწონხარო, ცოლად უნდა შეგირთოო, შენი გულისთვის ციდან მზეს ჩამოვხსნი და ქვიდან წყალს გამოვადენო. თუმცა, მთლად გულგრილი არ იყო ალბათ დეიდის მიმართ, რადგან დეიდას რომ უთქვამს, სიღნაღში უნდა ავიდე სასწრაფოდო, რატომღაც ისიც აჩქარებულა, აღელვებულა (დეიდა ამბობს: ერთბაშად ფერი დაეკარგაო, თითქოს შიგნით, გულ-მუცელში, ძალიან ეტკინა რაღაცაო), უცებ წინ გადასდგომია და ორივე ხელი მკლავებში, იდაყვებს ზემოთ ჩაუვლია. თითქოს ასე თუ არ შეაჩერებდა, დეიდა იმავე წამს სირბილით შეუდგებოდა სიღნაღის აღმართს. კარგა ხანს მდგარან ასე, ენაჩავარდნილები, დაზაფრულები (დეიდა ამბობს: თითქოს ერთი სიკვდილით მოვკვდით ორივენი, ერთსა და იმავე დროსო). სხვათა შორის, დეიდას არც ის სცოდნია, თვითონ როგორ უნდა დაეჭირა თავი, როგორ იქცევიან ასეთ დროს ქალები, ხელს აშვებინებენ კაცს, თუ იცდიან, კიდევ რას მოიმოქმედებს ის, ანდა, რას იტყვის მაინც. ჩუმად შესცქეროდა თურმე, ერთიანად დაძაბული, გაქვავებული, უნებურად წელში გაზნექილი. ვერაფრით ვერ მიმხვდარა, ეს ის დიადი წამი რომ იყო, რომელსაც ლამის გაჩენისთანავე ელოდება ყველა გოგო და, ფიქრში, ოცნებასა თუ სიზმარში, ათასჯერ, ათასნაირად წარმოდგენილი, მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ დგება სიცოცხლეში. ვერ მიმხვდარა, კოცნას რომ უპირებდა ბიჭი, მაგრამ მაინც მოუსწრია თავის გვერდზე გაწევა და თავგადახოტრილი ბიჭის გათოშილი, ათრთოლებული ტუჩების გაუბედავი, გულისამაჩუყებლად ბრმა, მოულოდნელი შეხება ჯერ ნიკაპზე უგრძვნია, მერე კი ყელზე (ასე სულელურად ჩაგვემტვრა ხელში პირველი და უკანასკნელი კოცნაო - ამბობს დეიდა). "გამიშვი... გამიშვით ხელიო" - გაბრაზებულა უცებ, მაგრამ თავგადახოტრილ ბიჭზე კი არა, ისევ საკუთარ უხასიათობაზე, ბიჭს კი უფიქრია, მე მიბრაზდებაო და მაშინვე გაუშვია ხელი, შეტრიალებულა და გაქცეულა, მაგრამ გაქცევამდე, ყელაწეული შეხვეწნია, არ წახვიდე, ახლავე მოვალ, მე თვითონ აგიყვან სიღნაღში მოტოციკლითო.

www.Litklubi.ge

მერე ყველაფერი მართლა სიზმარს ჰგავდა, თავბრუდამხვევ, სულისშემხუთავ სიზმარს. დეიდას ახლაც კი უჭირს, მშვიდად, თანამიმდევრულად გაიხსენოს ყველაფერი, რა რას მოჰყვა, როდის რა ითქვა და რატომ, რადგან არაფერს არაფერი არ მოჰყოლია და არაფერი არ თქმულა არაფრის გამო, უბრალოდ, არსებობდა უსასრულო სამყარო და იმ სამყაროში არსებობდნენ ისინი, ორნი, ორნი, ერთარსებად ქცეულნი, ერთი ძალით გასროლილნი სამყაროს უსასრულობაში. ამიტომ, ყველაფერი იმდენად ბუნებრივად გამოიყურებოდა, თითქოს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, სხვანაირად მომხდარიყო, ანდა, თქმულიყო რამე. ყველაფერი სიზმრისეული აუცილებლობითა და დამაჯერებლობით იყო გაჟღენთილი და ეჭვსაც არ ბადებდა, ახსნა და გამართლება თუ დასჭირდებოდა როდისმე, არა სხვათა, არამედ თავად დეიდის თვალში. ისეთი შეგრძნება ჰქონია, თითქოს ისა და თავგადახოტრილი ბიჭი არასოდეს არარსებულ საერთო ბუდისაკენ მიფრინავდნენ არარსებულ ცაში. მღელვარებისგან სუნთქვაშეკრულს, გული გამოუთქმელი, გამაოგნებელი ნეტარებით ებერებოდა თურმე. ხან თავი ფასკუნჯი ეგონა და ეს თავგადახოტრილი, განწირული ბიჭი ქვესკნელიდან ამოჰყავდა თითქოს, ოღონდ, ზურგზე კი არ შემოესვა, როგორც წესია, როგორც ზღაპრებში წერია, ზურგში ჩაფრენოდა ბრჭყალებით, რადგან ბიჭს კი არ ეთხოვა, მიშველეო, როგორც ზღაპრებში ხდება, იმას მოეტაცნა ბიჭი, რადგან მარტო იმან იცოდა, გადასარჩენად რომ ჰქონდა იმ ბიჭს საქმე. ბიჭი კი პირიქით ფიქრობდა, თუნდაც იმიტომ, ბიჭი რომ იყო, თვითონ რომ მართავდა მოტოციკლს და, რაც მთავარია, იქამდე განუცდელი, ჭეშმარიტი მამაკაცური სიამაყით გრძნობდა, როგორ უსაზღვროდ ენდობოდა ეს შემთხვევითი თანამგზავრი, როგორი რწმენითა და იმედით ეტმასნებოდა მორკალულ ზურგზე და ისიც, თითქოს ზურგზე ცეცხლი წაჰკიდებიაო, კუდიანი ვარსკვლავივით მიქროდა ზაფხულის დაბანგულ ბინდბუნდში, ნაპერწკლების ფრქვევითა და ყურისწამღები ღრიალით, თუხთუხით, ტკაცატკუცით. დეიდას კი, თბილი, უჩინარი ქარი სუნთქვას უკრავდა, თმას უწეწავდა, კაბაში უძვრებოდა და რადაცის, ისევ გაურკვევლის მოლოდინით დაძაბულ სხეულზე ელამუნებოდა, თამამი, თავხედი, საამური - აიძულებდა, აღექვა საკუთარი სხეულის სისავსე, სრულყოფილება, სილამაზე, შემაძრწუნებელი სიცხადით ეგრძნო საკუთარი ბუნების იდუმალება და სიძლიერე, არამთლიანად, არასაიმედოდ დაფარული თხელი, მსუბუქი, ქარისათვის ადვილად ასაფრიალებელი, ადვილად შესაღწევი ქსოვილით. "სოსო, სოსო, სოსო" - ზედიზედ იმეორებდა ბიჭის სახელს გუნებაში, აღტაცებული, გაკვირვებული, დამფრთხალი და მოხიბლული ამ სახელის ჟღერადობით, უბრალოებით, სიზუსტით - თითქოს სახელი კი არ იყო, არამედ, ზედმეტი სახელი, დარქმეული კი არა - შერქმეული, გარეგნობის, ხასიათის, ჩვევებისა და თვისებების საფუძველზე, შინ კი არა, გარეთ, სკოლაში, ქუჩაში. თავგადახოტრილს, კისრისა და კეფის შესაყართან, უფრო გარკვევით ეტყობოდა პატარა ღრმული და რამდენი თვალში მოხვდებოდა დეიდას, სიბრალულით გული მოეწვებოდა თურმე. ერთი სული ჰქონია, სახელი დაეძახა ბიჭისთვის, რადგან მთელი არსებით გრძნობდა, ამ სახელით სამუდამოდ და საბედისწეროდ დაკავშირებოდა უკვე იმას, როგორც თევზია მეთევზესთან დაკავშირებული გადაყლაპული ანკესით. ამ უცნაური შეგრძნებით შეცბუნებულსა და გაოგნებულს, უნდოდა, თვალნათლივ დარწმუნებულიყო, მართლა რომ არსებობდა მათ შორის ამგვარი კავშირი, მაგრამ ეს ტკივილისწინა შეცბუნება და გაოგნება იყო, ტკივილი ჯერ არ დაწყებულიყო, და როგორც მოულოდნელად ჭვალგამჯდარ კაცს ეშინია ღრმად ამოსუნთქვისა, დეიდასაც ისე ეშინოდა თავგადახოტრილი ბიჭის სახელის ხმამაღლა წარმოთქმა, თითქოს, როგორც კი პირიდან ამოუშვებდა, მაშინვე ურჩხულად გადაიქცეოდა და პირველ რიგში მას შთანთქავდა. ეშინოდა, უჭირდა, უძნელდებოდა, როგორც ბავშვს პირველი ნაბიჯის გადადგმა, ანდა, თვალნატკენს - თვალის გახელა. მოტოციკლი კი მიქროდა, მიტკაცუნობდა, მიღრიალებდა. თავგადახოტრილი ბიჭი ხანდახან უკან იხედებოდა და რაღაცას უყვიროდა დეიდას, მაგრამ დეიდას არაფერი ესმოდა და ყრუმუნჯივით უღიმოდა პასუხად, ბიჭს კი არა, ბიჭის ზურგს, ბიჭის კეფას, გულისამაჩუყებელ ღრმულს კეფისა და კისრის შესაყართან. მოტოციკლის გრძელი სინათლის მეორე, შორეული ბოლო ჰაერში ირწეოდა, თავს ახლიდა უკაცურსა და ჩათვლემილ გზას, ნაწილ-ნაწილ აღვიძებდა და ნაწილ-ნაწილ გამოჰყავდა წყვდიადიდან ჩამოღარული

www.Litklubi.ge

ფლატეები, მტვერშეფრქვეული ბუჩქები თუ გარინდებული კაკლის ხეები. მოტოციკლი კი მიქროდა, მიღრიალებდა, მიტკაცუნობდა - თამამი, თავხედი, გამომწვევი, ხმაურიანი, დაუდგრომელი - მოსახვევი მოსახვევს ენაცვლებოდა და, სამწუხაროდ, ყოველ წუთას ახლოვდებოდა სიღნაღი, ქვის ბუდე, ოღონდ, მათი საერთო ბუდე კი არა, მათი გამთიშავი, რადგან ყველაზე ნაკლებად სწორედ იმ ბუდეში შეეძლოთ ერთად ყოფნა. იმ ბუდის ბინადრებს თავისი საკუთარი, ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული წარმოდგენა ჰქონდათ ყველაფერზე და რაც დეიდისთვის იმ წუთას სულის გამოღვიძება, ვნებათა ჭიდილი და უდიადეს გრძნობათა მარადიულობის კიდევ ერთი დადასტურება გახლდათ, იმათ, შეიძლება, სასაცილოდაც არ ყოფნოდათ, ანდა, კიდევ უარესი, წარმოუდგენელ უწესობად, მომაკვდინებელ ცოდვად ჩაეთვალათ იმავე დეიდისთვის. ამის ბრალიცაა, ალბათ, ისევ შიშმა რომ წამოუარა, როგორც კი გალავნის თაღში შეგრიალდა მოტოციკლი და ისე ღონივრად, გამეტებით ჩამოქაჩა ხალათის სახელო თავის თავგადახოტრილ რაინდს, ლამის ჩამოახია - გამიჩერე... გამიჩერეთ, უკვე მოვედიო - ჩასძახა ყურში და იქამდე გადმოხტა მოტოციკლიდან, ვიდრე მოტოციკლი საბოლოოდ გაჩერდებოდა. - დიდი მადლობელი ვარ თქვენიო - თქვა მშვიდად, უგულოდ, ხაზგასმული, თვალშისაცემი და ამიტომაც, დამცინავი თავაზიანობით. მაგრამ, ერთი წამით, მაინც შეყოვნდა უცებ, რადგან სწორედ ამ დროს, ქუჩის ნათურის შუქზე შავად გაიელვა მოტოციკლის კრიალა, გაფუყულმა ბაკმა და გაუაზრებლად დაწყდა რაღაცაზე გული, რაღაცა დაენანა, რაღაც ეწყინა, თითქოს ძალით გადმოესვათ მოტოციკლიდან. "თქვენი თუ შენიო - უკითხავს ბიჭს. - ჩვენი მადლობელი ხარ, თუ ჩემიო" - და დეიდას ახლა იმისთვის შეუხედავს სახეში, იმისთვისაც ერთი წამით, დაბნეულს, გაკვირვებულს, თითქოს ვერ ხვდებოდა, რას ეკითხებოდა ბიჭი, ანდა, თითქოს საერთოდ პირველად ხედავდა ამ ბიჭს. "ჩვენ ხომ უკვე ძველი მეგობრები ვართო" - გაუღიმია ბიჭს სევდიანი, გულისამაჩუყებელი ღიმილით და დეიდაც მაშინვე, ელდანაცემივით, შეტრიალებულა, ლამის სირბილით დაშვებულა ცარიელ ქუჩაზე. "ნახვამდისო" - დაუძახია ბიჭს. "ნახვამდისო" - გაუმეორებია დეიდასაც, ოღონდ, თავისთვის, გუნებაში, არც უკან მოუხედავს და არც ფეხი შეუნებელია. შავად მბზინავი მოტოციკლი კი ადგილზე თუხთუხებდა, ბორგავდა და ხანდახან შეიღრენდა კიდეც, თითქოს ერთი სული ჰქონდა, როდის მოსწყდებოდა მიწას...

www.Litklubi.ge

ნასაყდრალთან მოკლული ყაჩაღის დამარხვა გიჟკოლამ ჯერ კიდევ მოედანზე გადაწყვიტა, როცა ის (მოკლული), ცხენზე პირქვე გადაკიდული ამოატარეს ქალაქზე, თავად კი, მხარზე ბარგადებული, ხალხის აღელვებულ, ატორტმანებულ ზღვაში იდგა და მოულოდნელად მიღებული გადაწყვეტილებით გახარებული, გულუბრყვილოდ ფიქრობდა: მამაჩემს თუ ვერ ვპოულობ, ამის მადლს ხომ მაინც მოვიკიდებო.

იმდენად იყო საკუთარი განზრახვით მოხიბლული, არც მისი აღსრულება მოსჩვენებია ძნელად, მით უფრო იქ, მოედანზე, ხალხის ზღვაში ჩაკარგულს, როცა გარშემო ყველას ერთნაირად ეცოდებოდა ცხენის ზურგზე პირქვე გადაკიდული ყაჩაღი და ყველა ერთნაირად განიცდიდა, დედამისსაც რომ არ ეცოდინებოდა იმისი საფლავი, თუკი, რასაკვირველია, საერთოდ ჰყავდა დედა.

გიჟკოლა, პირველ რიგში, თავისთავად ცხადია, მილიციაში მივიდოდა და ყაჩაღის დამარხვის ნებართვას ითხოვდა, რაზედაც, მისი ღრმა რწმენით, მილიცია სიამოვნებითაც დასთანხმდებოდა, თუნდაც იმიტომ, ზედმეტ საზრუნავს რომ აიცილებდა თავიდან. კაცის მოკვლა პატარა საქმე არ არის, მაგრამ კაცის დამარხვასაც ბევრი უნდა, გაცილებით ბევრი, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ამ საქმეში გამოუცდელ კაცს. გიჟკოლამ კი, ღვთის წყალობით, ეს მაინც იცოდა, სხვა თუ არაფერი, ჯერ მარტო იმდენი საფლავი გაეთხარა საკუთარი ხელით, ერთ სიღნაღს დამარხავდა თავისუფლად.

მამის ძებნაზე, რა თქმა უნდა, არც მომავალში აიღებდა ხელს, მაგრამ მამის მონახვამდე, ამ უცხო კაცს მიხედავდა მამის სახელზე და მამამისსაც უფრო მიუვიდოდა მისასვლელი. მაგრამ მოედანზე, აღელვებული, აფორიაქებული, აყაყანებული ხალხის ზღვაში შედგენილი გეგმის განხორციელება არც ისეთი იოლი აღმოჩნდა ბოლოს - იმდენნაირი დაბრკოლების გადალახვა დასჭირდა, თავიდანვე რომ სცოდნოდა, იქვე, მოედანზევე აიღებდა ხელს ამ "გიჟურ" განზრახვაზე - არ ყოფილა ჩემი საქმეო - იტყოდა თავიდანვე და, ბედსშეგუებული, დამშვიდებული დაბრუნდებოდა შინ. არადა, იმ საღამოს სული ამოართვა ცოლს - მე ასე გადავწყვიტე და შენც უნდა მომეხმაროო - ეჩიჩინებოდა თავგამოდებული, რადგან მართლა სჯეროდა, უპატრონო მკვდრის გაპატიოსნება სამუდამოდ ამოიყვანდა ორივეს ცოდვიდან და, რაც მთავარია, სხვებიც აღარ წაწყმდებოდნენ მათი მიზეზით. იმდენად იყო დარწმუნებული, თავად ღმერთისგან რომ ჰქონდა ჩაგონებული ამის გაკეთება, ბოლოს ცოლიც დაარწმუნა (თუკი, ჩვეულებისამებრ, არ თვალთმაქცობდა ის, ასე არ იშორებდა თავიდან), ცოლიც დაიყაბულა, ჭირისუფლად რომ დაუდგებოდა უპატრონო მკვდარს და იმას მიაგებდა, რაც უგულობისა და უხასიათობის, კი ბატონო, გინდაც, ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო, ვერ მიეგო მამამთილისთვის. და მაინც შფოთვასა და ღელვაში გაატარა ის ღამე. ცოლს რომ ეგონა, როგორც იქნა ჩაეძინაო, სწორედ მაშინ წამოჯდებოდა ხოლმე საწოლში, რათა ბედნიერი მიჯნურის მგზნებარებით, ვინ იცის მერამდენედ ეთქვა: აბა, მეტი რა ვართ, მეტი რა შეგვიძლია, ხორცი არ იჭმევა ჩვენი და ძვალიო.

www.Litklubi.ge

წესიერად არც იყო გათენებული, მხარზე ბარგადებულმა და სახეგაბადრულმა, მილიციის კარი რომ შეაღო, მაგრამ, სამწუხაროდ, ლეიტენანტი ადგილზე არ დაუხვდა, ხოლო, ულეიტენანტოდ ამ საკითხს, რასაკვირველია, ვერავინ გადაწყვეტდა. "ერთი ფეხით გაგასწროო" - უთხრა მორიგე მილიციელმა. მაგრამ მეტითაც რომ გაესწრო იმას, გიჟკოლა მაინც უნდა დასწეოდა - რაკი თქვა, ბოლომდეც უნდა მიეყვანა საქმე, გადადება არ ივარგებდა, მით უფრო, რომ საქმე მკვდარს ეხებოდა, და, არათუ ყოველ დღეს, ყოველ საათსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. "საით წავიდაო" - ჰკითხა მორიგე მილიციელს, თუმცა, საითაც არ უნდა წასულიყო ლეიტენანტი, მაინც უნდა გაჰკიდებოდა. "შინ წავიდაო" - უთხრა მორიგე მილიციელმა. მერე უფრო დაკვირვებით შეხედა სახეში და დაამატა: თუ ცეცხლი არ გიკიდია, იქნება, აცალო გამოძინება, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავსო. "სწორედაც რომ ცეცხლი მიკიდიაო" - რატომღაც გაიცინა გიჟკოლამ. ოდნავადაც არ შეუფერხებია მორიგე მილიციელის გაფრთხილებას, პირიქით, გაუხარდა კიდეც, საძებარი და სადევარი რომ არ გაუხდა ლეიტენანტი, შინ იყო, აქვე, ექვსიოდე სახლის იქით. ცოცხალი ადამიანი ნახევარი საათით ადრე დაიძინებდა თუ გვიან, არაფერი დაშავდებოდა, მკვდრის უპატრონოდ დაგდება კი, ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა. გარდა ამისა, ეჭვიც არ ეპარებოდა, განზრახვას მოუწონებდა ლეიტენანტი და, როგორი უძინარიც არ უნდა ყოფილიყო, უმალ შეაქებდა - გული გქონია, ადამიანი ყოფილხარო - ვიდრე უსაყვედურებდა - შინ რას მომივარდი, ძილი მაინც დაგეცლია, მკვდარი სად გაიქცეოდაო. თუ უსაყვედურებდა, შეიძლება, ის ესაყვედურებინა, წუხელვე რომ არ გაუმხილა თავისი გადაწყვეტილება, რის გამოც, იმ უპატრონო მკვდარმა სიკვდილის პირველივე ღამე მარტომ გაატარა მილიციის გათოშილ სარდაფში. ეს კი, გიჟკოლას თვალსაზრისით, დიდი ცოდვა იყო, და არა მარტო მისთვის, არამედ ყველასთვის, ცოცხლებისთვის საერთოდ. ასე ფიქრობდა გიჟკოლა და ასე იმიტომ ფიქრობდა, ცოტა სხვაზე მეტი რომ იცოდა მკვდრისა, მკვდრისგან ჰქონდა გამწარებული მთელი ცხოვრება და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მის მიმართ გამოჩენილი, თუნდაც უნებლიე, უყურადღებობისა თუ გულგრილობის გამო. ვინც არ უნდა ყოფილიყო ნასაყდრალთან მოკლული კაცი, პირველ რიგში, ადამიანი იყო და, თუნდაც მხოლოდ ამიტომ, ასევე პირველ რიგში, ადამიანურად დამარხვას იმსახურებდა. აი, ასეთი ფიქრები უტრიალებდა ლეიტენანტის სახლისკენ მიმავალ გიჟკოლას და, ამიტომაც, არც დროს დაგიდევდათ, არც გარემოებას, ანუ, სრულებითაც არ ერიდებოდა ძლივს ჩაძინებული კაცის ლოგინიდან წამოყენება. მაგრამ, საბედნიეროდ, ლეიტენანტი ეზოში დაუხვდა და, რაც მთავარია, არაფერი ეტყობოდა უძინარობისა და დაღლილობისა. წელსზემოთ გაშიშვლებულიყო და კიბის უკან, მოფარებულში, შეშას აპობდა. კედლის გასწვრივ ლამაზად დაწყობილ შეშაზე მიგდებული მისი ხალათი ცარიელ სახელოებს აფრიალებდა. ეზო თეთრი ნაფოტებით იყო მოფენილი.

ორივეს გულწრფელად გაუკვირდა ერთმანეთის დანახვა: გიჟკოლას ლეიტენანტი ლოგინში ეგულებოდა, ხოლო ლეიტენანტი ეჭვადაც ვერ იაზრებდა, რა საქმე შეიძლებოდა ჰქონოდა იმასთან გიჟკოლას, თანაც ასე საჩქარო, ასე გადაუდებელი.

- გამარჯობა, კოლა, საით გაგიწევია?! - დაასწრო სალამი, უნებლიეთ აღელვებულმა, და, ცულის ტარზე დაბჯენილი, დაკვირვებით მიაჩერდა მხარზე ბარგადებულ, ქარისაგან უშნოდ გაჩეჩილ და მაინც ხალისიანად თავაღერილ გიჟკოლას, გამალებული რომ მოაბიჯებდა მისკენ.

- შენთან მოვდივარ, როლანდ, გაგიმარჯოს, შენი კარგი გულის ამბავი რომ ვიცი. - თქვა გიჟკოლამ და შორიახლოს გაჩერდა.

- მობრძანდი... კი ბატონო... შინ შევიდეთ... - კიდევ უფრო აღელდა ლეიტენანტი და შეშებზე დაგდებულ ხალათს დასწვდა.

- არა, კაცო, შინ რა გვინდა, აქვე გეტყვი. - გაიცინა გიჟკოლამ, ვითომ, ამდენ შეწუხებად არ ღირს ჩემი სათხოვარიო.

www.Litklubi.ge

- ბრძანე, კოლა, ბრძანე. - იოლად დაყაბულდა ლეიტენანტი, რადგან, თვითონაც რომ არ ელოდებოდა, ისე გააკვირვა და ააღელვა გიჟკოლას გამოცხადებამ. თავიდანვე არ ესიამოვნა იმისი დანახვა, მართალია, ბრმად, გაუაზრებლად, უსაფუძვლოდ, მაგრამ მაინც გუშინდელი ამბავი გაახსენდა რატომღაც და - ესეც გამოკითხვას დამიწყებსო - წინასწარ შეიშინა თავი. გარდა ამისა, გუშინდელი დღისა და წუხანდელი ღამის შემდეგ, აღარაფრად ვარგოდა - არც მასპინძლად, არც მრჩევლად, არც მშველელად - ნერვები ისედაც დაწყვეტაზე ჰქონდა და, ადვილი შესაძლებელია, იოლად დაეკარგა წონასწორობა, უხეშად მოეშორებინა თავიდან დაუპატიჟებელი სტუმარი, ანდა, კიდევ უარესი, ლაპარაკში აჰყოლოდა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, გიჟკოლას რაღაც სცოდნოდა, მისთვის საინტერესო, გუშინდელთან დაკავშირებული, სულაც ვინაობა ნასაყდრალთან მოკლული კაცისა. ასე რომ, თვითონ კი უკვირდა, რა მაღელვებსო, მაგრამ სრულებითაც არ იყო გასაკვირი ეს ამბავი, რამდენადაც საკმარისზე მეტი მიზეზი არსებობდა ერთი კაცის ასაღელვებლად.

- აი, კაცო, გუშინდელი ამბავი... - დაიწყო გიჟკოლამ და შეყოვნდა, შეფერხდა, შებორძიკდა, ვეღარ გააგრძელა სათქმელი, თუმცა, გუშინდლიდან, იმდენჯერ გაემეორებინა გუნებაში, იმდენნაირად გადაელაგ-გადმოელაგებინა, ეგონა, უთქმელადაც გაუგებდნენ, პირველსავე სიტყვაზე ყველასათვის ნათელი გახდებოდა, თუ რა ღვთისნიერი საქმე განეზრახა. ახლა კი გაოგნებული იდგა, პირზე ღიმილშეყინული, და აღარ ახსოვდა, რისთვის რა მოეყოლებინა.

- ხო, ცუდი ამბავი მოხდა, მართალი ხარ. - მიეხმარა უარესად გულაფრიალებული ლეიტენანტი. ცულის ტარი ბარძაყზე მიიყუდა, შეშებზე მიგდებული ხალათი აფრიალებული სახელოთი დაითრია და სწრაფად გადაიცვა.

- რას იზამ, მოხდა. - თქვა გიჟკოლამ ფიქრიანად. - უარესიც ხდება ამ დალოცვილ დედამიწაზე. - დაამატა ცოტა ხნის მერე, გეგონებოდათ, სამძიმრის სათქმელადაა მოსულიო.

ერთი წამით, ასე იფიქრა ლეიტენანტმაც და მხოლოდ მაშინდა გაახსენდა, ამ თმაწვერგაჩეჩილ, ზურგზე პერანგგამობერილსა და მხარზე ბარგადებულ კაცს მთელი ქალაქი გიჟს რომ ეძახდა. რასაკვირველია, გიჟსაც შეიძლებოდა სცნობოდა ყაჩაღი, მაგრამ იმის სიგიჟე ერთი წამითაც არ უნდა გამორჩენოდა მხედველობიდან თავად. ამიტომაცაა, გაწბილების მაგვარი გრძნობა რომ დაეუფლა უცებ და პირველად შეხედა სტუმარს მშვიდი, განურჩეველი ცნობისმოყვარეობით. მისი სტუმარი კი მარადიულ მგზავრსა ჰგავდა, რაღაცის საკითხავად თუ რაღაცის სათხოვნელად შეყოვნებულს ერთი წუთით, თვითონაც რომ აღარ ახსოვს, საიდან მოდის და საით გაუწევია, უკვე სულერთია იმისთვის, სად აღმოჩნდება ხვალ, ანდა, თუნდაც, ერთი საათის შემდეგ, და თუკი მაინც არ ანებებს თავს ამ უაზრო, უმიზნო ხეტიალს, მხოლოდ იმიტომ, უკვე ცხოვრებაც რომ აღარ შეუძლია სხვანაირად - ინათებს თუ არა, დაუნანებლად მიატოვებს ერთი ღამის თავშესაფარს - ნესტიან თხრილსა თუ ეკლიან ბუჩქნარს, დამპალი თივის ზვინსა თუ აქოთებულ ნასაყდრალს - და მხარზე ბარგადებული, თმაწვერგაჩეჩილი, თავისთვის აბუზღუნებული, სამოთხიდან გამოძევებული ღმერთივით, მიდის, მიდის, ვიდრე შეუძლია, ვიდრე ერთხელ კიდევ დაუღამდებოდეს.

www.Litklubi.ge

გიჟს კი იმიტომ ეძახიან, მამის საფლავს რომ დაეძებს სულ. აჩემებული აქვს, თუ ვერ ვიპოვე, ყველანი წავწყმდებითო. ლამის მთელი კახეთი გადათხარა უკვე, მაგრამ, ჯერჯერობით, უშედეგოდ, მამის კუბოს ნასახსაც ვერ მიაკვლია ვერსად. ამბობენ, ცოლმა დაუმალაო. ვითომ, უეჭვიანია მკვდარ მამამთილზე, იმას მეტ ყურადღებას აქცევს ჩემი ქმარი, ვიდრე მეო, და საერთოდ მოუსპია, გაუქრია იმისი კვალი. ჯერ საფლავზე გასვლას უშლიდა თურმე ქმარს - მკვდარს თავი გაანებე, ცოცხლებს მოგვხედე, თუ რამე შეგიძლიაო. ჩვენში რომ ვთქვათ, არაფერს ამბობდა ახალსა და უჩვეულოს, რასაც სხვა ცოლები არ იტყოდნენ და გიჟკოლასაც, ძალაუნებურად, ცოტათი მოუკლია მკვდარი მამისთვის ყურადღება: ერთხელ მართლა არ გასულა საფლავზე, მეორედ სანთელი არ აუნთია, მესამედ საკურთხი დავიწყნია - უფიქრია, მაინც მამაა, გამიგებს, მაპატიებსო, მაგრამ, ერთ მშვენიერ ღამეს, თავად მკვდარი მამა დასდგომია თავზე: კი აიღე ჩემზე ხელი, მაგრამ ადგილი მაინც გამომიცვალე, აღარ შემიძლია, წყალში ვწევარო. გიჟკოლა, დაფეთებული, გაოგნებული წამომჯდარა საწოლში და ცოლი გაუღვიძებია: ადე. ჭრაქი წამოიღე, მამაჩემი უნდა ამოვთხაროო. პირველად მაშინ უფიქრია ცოლს, ხომ არ გაგიჟდაო, რადგან იქამდე სავსებით ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა - დამჯერი, თვინიერი, მშრომელი და, რაღა თქმა უნდა, არც გიჟს ეძახდა ვინმე. ის კი არა, ხატვაც ეხერხებოდა თურმე - დააყენებდნენ კედელთან, აუხვევდნენ თვალს, ხელში ცარცის ანდა ნახშირის ნატეხს ჩაუდებდნენ და იმასაც ხან საადგომო ბატკანი გამოჰყავდა კედელზე, ხან კუდაპრეხილი ქალთევზა, ხან კი, ნისკარტებით გადაბმული, წყვილი მტრედი (ერთს მიმატების ნიშანს დაუსვამდა თურმე, მეორეს - გამოკლებისას, ვითომ, ერთი დედალია, მეორე კი მამალიო). ვერაფრით რომ ვერ დაუმშვიდებია სიზმრით შეშინებული ქმარი, ცოლს უფიქრია, წავყვები და სანამ სასაფლაოზე გავალთ, გადაუვლის, აბა, რა იქნებაო, სუფთა ჰაერი მაშინვე გამოაფხიზლებსო. გასულან სასაფლაოზე. ცოლს ჭრაქი სჭერია ხელში, ქმარს - ბარი (მერე აღარც გაუგდია ის ბარი ხელიდან). ცოლი ყვება, შიშისაგან ლამის სული ფეხებში გამპარვოდაო. მართლაც, როგორი საქმეა, შუაღამისას სასაფლაოზე გასვლა, თანაც გიჟკოლას თანხლებით?! ზოგ საფლავზე თურმე ცეცხლი ენთო და საფლავიდან ამოსული მკვდარი ზედ ხელებს ითბობდა, მაგრამ იმათ ფეხის ხმაზე, უსიამოდ იმრიზებოდა და ცეცხლიანად, ისევ საფლავში იმალებოდა. ვირთხასავით თავით ხტებოდა შავად პირდაღებულ საფლავშიო - ყვება გიჟკოლას ცოლი. მოკლედ, ერთი სიკვდილი გაუთავებია, ვიდრე მამისა და მამამთილის საფლავთან მისულან. თვითონაც მკვდარი ყოფილა, ოღონდ, დაუმარხავი, დამარხვაღა ჰკლებია მხოლოდ (რა ცოტა ჰკლებია იმასაც! დამარხვაა სწორედ ძნელი, თორემ, სიკვდილს რა უნდა, პანტაპუნტით იხოცება ხალხი). გიჟკოლას მამის საფლავი გაუთხრია, თან თხრიდა, თან ტიროდა თურმე, მამი, მოვდივარ, ნუ გეშინიაო. ცოლი ჭრაქს უნათებდა და, რასაკვირველია, ისიც ტიროდა: რას სჩადი, ადამიანო, გონს მოდი, სად გაგონილა მკვდრის შეწუხებაო. არც მკვდრის დავიწყება გაგონილაო - აფთარივით უღრენდა თურმე, ბარზე დახრილი გიჟკოლა ქვემოდან. თავზე მთვარე დანათოდათ, ვარსკვლავები გაფაციცებულნი ჩამოსცქეროდნენ თავიანთი მიუწვდომელი, წაუბილწავი სიმაღლიდან. ქვეყანას კი ეძინა, არავის ეცალა იმათთვის. გაუთხრიათ საფლავი და კუბო, მართლაც, სანახევროდ წყალში მდგარა. აგე, დარწმუნდი, ნახე შენი თვალითო - ამოუძახნია გიჟკოლას ცოლისთვის მამის საფლავიდან. მაგრამ ვერც ახალ საფლავს შესჩვევია მამამისი, ისევ გამოსცხადებია სიზმარში შვილს და ისევ შეუჩივლია: ცოლიც კარგია, ოჯახიც, მაგრამ მეც მომხედეთ ხანდახანო; მზე არ მადგება სრულებით, ყინულის ლოდათა ვარ ქცეულიო. გიჟკოლასაც ისევ წამოუგდია ლოგინიდან აბუზღუნებული ცოლი, ისევ უტაცნია ბარისთვის ხელი და ისევ გადაუსვენებია მამის ჭირვეული ცხედარი. მაგრამ ერთი თვეც არ ყოფილა გასული ამ ამბიდან, ისევ რომ დასდგომია თავზე მკვდარი მამა და უსაყვედურებია: ასე როგორ უნდა დაგიმონოს ცოლმაო, რა დაგიშავეთ ასეთი, ამ სატანჯველში რომ ჩამაგდეთო. რა სატანჯველი, რის სატანჯველიო - დაბნეულა, დამფრთხალა გიჟკოლა. რა სატანჯველი და, შენმა ცოლმა გველის ბუდეში ჩაგადგმევინა ჩემი კუბოო, გველები მჭამენო. საწყალ გიჟკოლას ერთი ისეთი დაუბღავლია ძილში (კიდევ კარგი, მაშინ ჯერ ისევ ბათუმში იყო ნიკო), მთელი სიღნაღი გარეთ გამოფენილა. გიჟიც იმ ღამეს შეურქმევიათ,

www.Litklubi.ge

თუმცა, ცოლის გარდა, სხვებსაც დაუმოწმებიათ (ამჯერად, სხვებიც წაჰყოლიან სასაფლაოზე), გიჟკოლას მამის კუბო მართლა გველებში რომ მდგარა. ნახევარიც ვერ დაუხოცავთ. ასისინებულნი, ჯაგარაშლილნი (განა გველს ჯაგარი აქვს?!), კბილდაკრეჭილნი ამოცვენილან საფლავიდან. მერე ომი დაწყებულა და გიჟკოლაც გაუწვევიათ. იქ მოგიყვანენ ჭკუაზეო - მისძახოდა თურმე ცოლი. მაგრამ ომიდან კიდევ უფრო გაგიჟებული დაბრუნებულა - მამა დამეკარგაო - მოთქვამდა თურმე ხმით, მოტირალი ქალივით. მართლაც, გაუთხრიათ საფლავი და აღარაფერი დახვედრიათ შიგ - არც ფერფლი, არც ნაცარი. მას მერე ასე დადის, მხარზე ბარგადებული, მამის ერთგული, დაუზარელი, მარადიული მესაფლავე. ბარის განუწყვეტელი ხმარებისგან, ხელისგულებზე კოჟრები აქვს გაჩენილი. თუ ვერ ვიპოვე, წავწყმდებით ყველანი, დაიღუპება ქვეყანაო - ჩივის საგონებელში ჩავარდნილი, სულის ძირამდე შეწუხებული. დაინახავენ თუ არა, აუცილებლად უნდა ჰკითხონ სიღნაღელმა ლაზღანდარებმა, იპოვე თუ ვერაო. აპამპულებენ, დასცინიან, თავს ირთობენ: როგორც გინდა იპოვე, შენს გამო, ჩვენც რატომ უნდა ჩავცვივდეთ ჯოჯოხეთშიო - საყვედურობენ, ტუქსავენ ყასიდად. ის კი გულწრფელად განიცდის, შფოთავს, იტანჯება, ერიდება ხალხისა, მართლაც, რატომ უნდა დაისაჯონ ჩემი უყურადღებობის გამოო, და, როგორც შეუძლია, ებოდიშება, ამშვიდებს, პირობას აძლევს თანამოქალაქეებს და, თქვენ წარმოიდგინეთ (რა თქმა უნდა, კეთილი განზრახვით), ატყუებთ კიდეც - არხეინად იყავით, დედამიწაში გავივლი და მაინც ვიპოვიო; მამაა, ბოლოს და ბოლოს, ქინძისთავი ხომ არ არისო. აძლევს გალაზღანდარების საშუალებას და ისინიც ალაზღანდარებენ. ზამთარ-ზაფხულ თავშიშველი, გულგაღეღილი დადის. ჯერ კაჟივითაა, მაგრამ გულ-მუცელზე მაინც გაუჭაღარავდა ბალანი, გაუბედავად შეაცოცდა თითქოს სიბერე. ვაი, შენ ჩემო თავოო - მუშტს მიირტყამს ხოლმე საფეთქელზე. რომც არ იცნობდეთ, მაინც იტყვით გიჟიაო. ერთდროულად, გლახასავით საცოდავიცაა და ავაზაკივით საშიშიც. სიგიჟე აღონიერებს - სულ აღგზნებულია, ცმუკავს, წრიალებს... მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით, ღრმად, შიგნით, ამღვრეული თვალების ფსკერზე, სხვა კოლაცაა - დაქანცული, მოტეხილი, დასევდიანებული, გაბითურებული, დამფრთხალი, სასოწარკვეთილი. თვითონ ამბობს, გიჟი კი არა ვარ, ჯოჯოხეთის მეშინიაო, მამის დამკარგავს, ღმერთი არ შემიწყალებსო, არადა, სიკვდილშიც თუ არ დაისვენა ადამიანმა, როგორ უნდა გაძლოს, ანდა როდემდე გაძლებსო. ნიკოანთას განსაკუთრებულად უყვარს მისვლა. კარგად მღებულობენ იქაო - იტყვის ხოლმე ამაყად. თუმცა, იმის მოსვლა და დეიდის შინიდან გაქცევა ერთია, ოღონდ, თვითონაც ვერ გაურკვევია, რა მიარბენინებს, შიში თუ სიბრალული, რადგან გიჟკოლას, თავის დღეში არავისთვის არაფერი დაუშავებია (თუმცა, ერთხელ ნიკოც დაიფრინა პარკის აუზიდან - პარკის დარაჯად მუშაობს შეთავსებით - მაგრამ პარკსა და აუზს კი არ უფრთხილდება, ბავშვებმა არ აუტეხონ რამე თავსო). მიიჩოჩებს სკამს აივნის მოაჯირთან, მოაჯირზე მკლავს ჩამოდებს და იჯდება ასე, თვალგაშტერებული, რაღაცას მიჩერებული ეზოს სიღრმეში. ზის და ფიქრობს თავისთვის. მერე ადგება, მადლობას გადაუხდის მასპინძლებს "კარგი მიღებისთვის", თავის პირაპრიალებულ ბარს ისევ მხარზე გაიდებს და წავა, დაიკარგება კარგა ხნით. მშრალი ოფლისა და გამოფიტული მიწის სუნს დატოვებს აივანზე. ეგ არის და ეგ მთელი მისი სტუმრობა. უკანასკნელად, სადღაც, უკრაინასა თუ ბელორუსიაში, სანგრის ფსკერზე ჩათვლემილს გამოსცხადებია მამა და უთქვამს: შენ აქ ომობ, მე კი უპატრონობით გავმწარდიო; რაც წახვედი, არც ჭიქა ამვსებია და არც ჯამიო; სანთელი რომ სანთელია, ისიც აღარავის აუნთია ჩემს სახელზეო; დამადლებულ ლუკმას მირჩევნია, აქ მსახურად დავუდგე ვინმეს, მაგრამ ჩემი დავიწყება ხეირს არც თქვენ დაგაყრითო, აგერ ნახავთ, უჩემოდ, რა შორს წასწევთ ცხოვრებასო. გიჟკოლას მაშინვე დაუპირებია დაბრუნება, უთქვამს კიდეც თავისი უფროსისთვის, ასე და ასეა ჩემი საქმე და უნდა გამიშვა, მერე გვიან იქნებაო, მაგრამ ვინ გამოუშვებდა იმ გაგანია ომიდან. ნელზიაო, გიჟს დაგიძახებენო - აუხსნია უფროსს. გიჟს ისედაც მეძახიანო - გასცინებია გიჟკოლას მწარედ. მაინც ნელზიაო, ესე იგი, არ შეიძლებაო, დაეტიე სადაცა ხარ, თორემ, საგიჟეთი სანატრელი გაგიხდებაო - გაბრაზებულა უფროსი. ომის დამთავრებამდე გიჟკოლას თვალს ძილი აღარ მიჰკარებია თურმე, მაგრამ ტრიბუნალზე მეტად, მამის

www.Litklubi.ge

გამოცხადებისა შინებია, რა ვუთხრა, რა პირით შევხედოო, და, მართლაც, როგორ ეთქვა მკვდრისთვის, ახლა ისეთი დროა, შენთვის აღარავის სცალიაო, ჩვენ თუ ვითმენთ, შენც როგორმე მოითმინე უწყლობაც, უჭმელობაც და უსინათლობაცო. დაბრუნებულა თუ არა ომიდან, ცოლი მიუსიკვდილებია - ასე რამ გაგიქვავა გული, მკვდარი როგორ გამიქციე, შე არაადამიანოო. იმის მერე, ასე მხარზე ბარგადებული დადის და დაეძებს ამის ცხედარს...

ლეიტენანტი გამალებული იკრავდა ხალათის ღილებს. წელან, ვიდრე შეშას აპობდა, სცხელოდა კიდეც, ახლა კი ერთიანად აეტანა სიცივეს. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და დაპობილ შეშას დაუწყო მოგროვება, იქნება, ასე მაინც ეგრძნობინებინა გიუკოლასთვის, მთლად უსაქმოდ რომ არ იდგა დილაუთენია ეზოში და იმასაც, გიუკოლასაც, თუკი მართლა ჰქონდა რამე სათქმელი, დროულად გამოეწირა. მაგრამ მოთმინება არ ეყო, მკლავზე დაწყობილი შეშა ისევ მიწაზე დაყარა, წამოდგა და ჰკითხა: რა იყო, კოლა, რა გაგჭირვებიაო?!

- როლანდ, ჩვენი ბიჭი ხარ, ნუ გამაწბილებ... - აღელდა უცებ გიუკოლა.

- ჯერ თქვი, შე დალოცვილო. - ნაძალადევად გაუღიმა ლეიტენანტმა.

- ის კაცი უნდა დამითმო - მიახალა გიუკოლამ პირდაპირ. - დავმარხავ, მოვუვლი. რაც მამაჩემს დავაკელი, იმას გავუკეთებ. კაცი არ ვიყო, თუ სანიმუშოდ არ მოვუარო. იქნება, მოდიოდეთ და ცქერით ტკბებოდეთ... - დაამთავრა ფაცაფუცით, ბედნიერების ღიმილით სახეგაბადრულმა.

ლეიტენანტს მაშინვე მოეშვა გულიდან გაურკვევლობის ბასრი ბრჭყალები. ერთბაშად დაცხრა და დამშვიდდა. მაგრამ, მეორე წუთას, თვითონაც რომ აღარ ელოდებოდა, ისე გაღიზიანდა უცებ, ალბათ მოლოდინის გაწბილებისთვის, არასწორი ვარაუდისთვის და, ცოტა არ იყოს, უხეშად შეუყვირა სათხოვნელად მოსულ გიუს, გეკადრება, ამ ხნის კაცსაო?!

- ჯარში მაინც არ იყო ნამყოფი. - დაამატა გაგულისებულმა.

- რა ვთქვი, კაცო, ამისთანა?! - დაფრთხა, დაიბნა გიუკოლა და, რატომღაც, ბარი შეათამაშა მხარზე, თითქოს სწორად არ ედო და გაისწორა. თან, დაეჭვებული ნადირის სიმარდით, ეზო მოათვალიერა, თითქოს მის ნათქვამს კი არა, ვიღაცის მოულოდნელ გამოჩენას გაეღიზიანებინა ლეიტენანტი და თვითონაც იმ ვიღაცის აღმოჩენას ცდილობდა.

- არც იფიქრო. - მოუჭრა ლეიტენანტმა მკაცრად. - არ შეიძლება. - დაამატა ცოტა ხნის შემდეგ, უფრო რბილად, შემრიგებლურად. - ჩვენს ნებაზე ხომ არ არის... სახელმწიფო წყვეტს ამ ამბავს. - განუმარტა, შეძლებისდაგვარად, ნაკლებად რომ სტკენოდა გიუკოლას გული და, რაც მთავარია, ნაკლებად დაედანაშაულებინა იგი. - შემო, თითო რაღაცა გადავკრათ... ღილისა. - დაამატა გულწრფელად, მაგრამ ისევ მოულოდნელად გაღიზიანებულმა, რადგან ფეხმძიმე ცოლის შეწუხებული სახე დაუდგა უცებ თვალწინ და იმის ძალად განაზებული ხმაც ჩაესმა: სადა მაქვს, როლანდ, სტუმრის თავი, ამ დილაუთენია?! იქითა ვარ მისახედი...

მაგრამ გიუკოლას არც გაუგია ლეიტენანტის დაპატიჟება - თავაღერილი იდგა და ცას გასცქეროდა. ქარსაც არ აქცევდა ყურადღებას. ქარი კი, ხან თმას უჩეჩავდა, ხან მხარზე გადებულ ბარზე ეკონწიალებოდა, ეთამაშებოდა, გაცელქებული ბავშვივით. ის კი, გაოგნებული იდგა და ცას ასცქეროდა, თითქოს ციდან ელოდებოდა ახსნა-განმარტებას და, მართლაც, ცაში თუ არა, სადღა გაარკვევდა, რატომ უხდებოდა ნებისმიერ ღვთისნიერ საქმეს ამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მიწაზე.

- ეგ რა მითხარ, კაცო. - თქვა ბოლოს. - წავწყმდებით, მე და ჩემმა ღმერთმა, და ახიც იქნება ჩვენზე. - მუშტი გამეტებით მიირტყა საფეთქელზე. - დამარხულისთვის ვერ მოგვივლია, დასამარხი ვერ დაგვიმარხავს. - ჩაიბურტყუნა თავისთვის, თითქოს უცებ დამცხრალმა, ფარხმალდაყრილმა.

www.Litklubi.ge

ეზოდან ისე გადავიდა, არც კი დამშვიდობებია ლეიტენანტს, იმიტომ კი არა, გაბრაზებული რომ იყო იმაზე, უბრალოდ, აღარ ახსოვდა იგი, უფრო სწორად, აღარ სჭირდებოდა. პირიქით, ლეიტენანტი ზედმეტიც იყო უკვე მისთვის და, ამდენად, ხელისშემშლელიც, რადგან ლეიტენანტთან საუბარმა განზრახვაზე კი არ ააღებინა ხელი, მოედანზე, ხალხის ყაყანში ნაჩქარევად შედგენილი გეგმის შეცვლა აიძულა მხოლოდ. ახლა კიდევ უფრო მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არ დაეხია უკან და, რაკი წესიერი, კანონიერი გზით არ ხერხდებოდა მისი ღვთისნიერი განზრახვის აღსრულება, თუნდაც, უწესო, უკანონო გზით აღესრულებინა იგი. მთელი ის დღე მხოლოდ ამაზე ფიქრობდა, მაგრამ მარტო გადაწყვეტილების მიღება, რა თქმა უნდა, არ კმაროდა, ჯერ ის უნდა გაერკვია, თუ რამდენად შეესაბამებოდა მისი გადაწყვეტილება მის შესაძლებლობებს, ანდა, პირიქით, ანუ, მარტო, სხვათა დაუხმარებლად, უფრო ზუსტად კი, მიუხედავად სხვათა წინააღმდეგობისა, მოახერხებდა თუ ვერა ამ გადაწყვეტილების აღსრულებას. მილიციიდან, გვამის კი არა, ქაღალდის სამაგრის მოპარვაც წარმოუდგენელია, არათუ მარტო მისთვის, გამოცდილი, თავზეხელაღებული ქურდისთვისაც, მაგრამ სხვა გზა ნამდვილად არ არსებობდა, ვერც ჩიტად იქცეოდა, გისოსებიანი სარკმლიდან რომ ჩაფრენილიყო მილიციის სარდაფში და ვერც მიწისქვეშა ხვრელის გათხრას მოასწრებდა, რადგან, რაც არ უნდა დაოსტატებული ყოფილიყო ამ საქმეში, ხვრელის გაყვანამდე, მკვდარს ათჯერ მაინც გადაგზავნიდნენ თბილისში. მოკლედ, ამგვარი, ყოვლად უჩვეულო და ყველანაირად შემაძრწუნებელი ფიქრებისგან, ლამის თავი გახეთქოდა. ცოლის ხილაბანდიც წაიჭირა თავზე, მაგრამ შვება მაინც არ უგრძვნია. ცოლიც, რაც შეეძლო, ამშვიდებდა, აფხიზლებდა, აბრუნებდა მიწაზე, მაგრამ უშედეგოდ, აღარაფერი აღარ არსებობდა იმისთვის, გარდა მილიციის სარდაფში ჩაკეტილი გვამისა და საკუთარი განზრახვისა: როგორმე ჩაეგდო ის გვამი ხელში და ადამიანურად დაემარხა, როგორმე კი არა, უსიკვდილოდ, რადაც არ უნდა დასჯდომოდა. ასე, გაუნელებელ შფოთვასა და გულისხეთქვაში, გაიარა დღემ. მაგრამ ღამე კიდევ უფრო ძნელი გასაძლები აღმოჩნდა. ლოგინში კი ჩაწვა, მაგრამ უნებლიეთ, ჩვეულების, წესის გამო, როგორც ქათამი იბუდებს ხოლმე საქათმეში, დაღამებისთანავე. დაძინება არც უცდია და თვალს თუ ხუჭავდა, მხოლოდ იმიტომ, უკეთესად ეფიქრა. "სხვა გზა არა მაქვსო" - შესჩიოდა ხშირ-ხშირად ცოლს, თითქოს ცოლი განზრახვას თუ მოუწონებდა და მხარში ამოუდგებოდა, არათუ შერბილდებოდა ჩასადენი დანაშაული, ჩასადენადაც უფრო ადვილი გახდებოდა. მაგრამ ცოლს იმისი ხმის გაგონებაც აღარ უნდოდა, აღარაფერი აღარ უნდოდა, თავს თუ გაანებებდა საერთოდ. შამფურივით ტრიალებდა აწეწილ, გაუხეშებულ, გაუგემურებულ ლოგინში და თავბედს იწყევლიდა.

შუაღამე გადასული იყო, დაფეთებული რომ წამოვარდა გიჟკოლა საწოლიდან, საგუშაგოზე ჩაძინებული ჯარისკაცივით, და მგზნებარედ შესძახა: თუ ღმერთს უნდა, ვერაფერი დამიდგება წინაო. მის ცოლს, ეტყობა, მაინც მოეხერხებინა დაძინება და, ამჯერად, ქმრის ხმა ჩაესმა მხოლოდ, უაზრო და უშინაარსო, ნებისმიერ ღამეულ ხმასავით. პირი გააწკლაპუნა და ნელ-ნელა, ოხვრითა და კრუსუნით, იცვალა გვერდი ლოგინში. გიჟკოლა კი უკვე მილიციისკენ მიაბიჯებდა, მხარზე ბარგადებული და თმაწვერგაჩეჩილი. ცარიელ ქუჩებში ქარი დაშლიგინებდა მხოლოდ. ქალაქს რახანია ეძინა, თავის ბავშვებიან-ბებრებიან-სნეულებიანად.

www.Litklubi.ge

უცებ, გიუკოლას ზურგს უკან ვიღაცამ გადაიხარხარა და გიუკოლა ელდანაცემი შემობრუნდა. ქარმა კი, ამასობაში, დრო იხელთა და, მოუხერხებლად გაჩერებულს, ბარი გადაუგდო მხრიდან. ბარის პირმა უსიამოდ გაიწკრიალა ქვაფენილზე და ნაპერწკალი გაყარა. გიუკოლამ შეიგინა და ბარი ისევ მხარზე გაიდო. ქუჩა ცარიელი იყო, მხოლოდ ქუჩის ხეები ყრუმუნჯებივით უხმოდ სცემდნენ ერთმანეთს შიშველი, გაფშეკილი ტოტებით. მაგრამ გააგრძელა თუ არა გიუკოლამ გზა, ზურგს უკან ისევ გადაიხარხარა ვიღაცამ და დაუყვირა: სად მიიპარები, შე მართლა გიუოო. მალე იმ ვიღაცას სხვებიც აჰყვნენ და ახლა მთელი ქალაქი მიჰყვიროდა თითქოს: დაიჭირეთ, არ გაუშვათ, გიუიაო. გიუკოლაც, უნებურად, ფეხს უჩქარებდა, თითქოს მართლა მოსდევდა ვიღაც, და მილიციასთან უკვე გულამოვარდნილმა მიირბინა, ფეხიც არ შეუნელებია, არცკი დაფიქრებულა, როგორ ვქნა, როგორ შევიპარო უფრო შეუმჩნევლადო და, კი არ შევიდა, შევარდა მილიციაში, დევნილი ნადირი რომ შევარდება სოროში, და როგორც მალე გამოირკვა, არც არაფერი სჭირდა თურმე საჭოჭმანო - მორიგე მილიციელი (ან გრძელო, ან ნესვა, ან არამინდარა, თუ ისევ უფარაანთ გიორგი არა), მაგიდაზე გადამხობილიყო, სახე საკუთარ ხელებზე დაედო და ეძინა, თავთით ტელეფონი ედგა. ლოდივით კუშტი და მდუმარე, და ერთი შეხედვით, ძნელი დასაჯერებელიც იყო, ის ტელეფონი, ზარივით თუ წკრიალებდა და კაცივით თუ ლაპარაკობდა.

გიუკოლამ ცოტა ხანს უყურა მორიგე მილიციელს, აბა, გაიღვიძებს თუ არაო, მერე კი შებრუნდა და სარდაფისკენ წავიდა, თამამად თავაღერილმა გაიარა საკმაოდ გრძელი დერეფანი და უშეცდომოდ მიადგა საჭირო კარს, თითქოს, სულ ცოტა, კვირაში ერთხელ მაინც უწევდა იქ ჩასვლა. სარდაფის კარს დიდი ბოქლომი ეკიდა, მაგრამ ლამის თავისთავად გაიხსნა და გიუკოლას რომ არ ემარჯვნა, ძირს დავარდებოდა. გიუკოლამ ბოქლომი ჰაერშივე დაიჭირა, ფრთხილად დადო კედლის ძირში და კარს მიაწვა. კარი ღრჭიალით გაიღო. ალბათ ყველას შეაკრთობდა ეს მოულოდნელი და უსიამო ხმა, კიდევ უფრო გაიდუმალებულ-გაზვიადებული ღამის სიჩუმისგან, მაგრამ გიუკოლას წარბიც არ შეუხრია და დაუფიქრებლად, ალალბედზე, გუმანს მინდობილი დაეშვა აგურის კიბეზე. მხარზე გადებული ბარი წარამარა უხვდებოდა გაუჩინარებულ კედელზე. სარდაფში, რასაკვირველია, ბნელოდა, მაგრამ რაღაცას მაინც გაარჩევდა კაცი - სუსტი, აკონწიალებული შუქი ჩამოდიოდა ქუჩიდან - ასე რომ, არც გიუკოლას გასჭირვებია ბრეზენტგადაფარებული გვამის პოვნა. პირველ რიგში, ბარიანი ხელი გაითავისუფლა, გვამს ბრეზენტი გადახადა, სარდაფის იატაკზე გაფინა და გვამი ზედ გადაიტანა. ისე ფრთხილად ირჯებოდა, თითქოს შიშობდა, გვამმა არ გაიღვიძოსო. მერე გვამი რამდენჯერმე მჭიდროდ გადაახვია ბრეზენტში, ბართან ერთად, მხარზე გაიდო და სარდაფიდან ამოვიდა. სარდაფის კარმა ისევ უსიამოდ გაიღრჭიალა, მაგრამ არც ამჯერად მიუქცევია გიუკოლას იმისთვის ყურადღება, რადგან ახლა უფრო ღრმად იყო დარწმუნებული, ღმერთის ნებას ასრულებდა და ვერაფერი აღუდგებოდა წინ. მართლაც, მორიგე მილიციელისგან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, მაგიდაზე თავჩამოდებულს ეძინა თავისთვის, მშვიდად. გიუკოლა კი უკვე გამალებული, გახარებული, გაამაყებული მიაბიჯებდა სასაფლაოსკენ, თავის ტვირთიანად. ვიღაცები ისევ მოჰყვიროდნენ, რაღას არ ეძახდნენ, რანაირად აღარ აგინებდნენ და წყევლიდნენ, დასცინოდნენ და ემუქრებოდნენ, მაგრამ მოხედვის ღირსადაც არ თვლიდა იმათ და უდრტვინველად მიაბიჯებდა. უფრო სწორად, არაფერი ადარდებდა, ქარის გარდა. ქარი უშლიდა მხოლოდ. ხან წინიდან დაეძგერებოდა და ნაპერწკლებს გააყრევინებდა თვალებიდან, ხან კი ტვირთს გლეჯდა ხელიდან, ტვირთზე ეჯაჯგურებოდა, არ ანებებდა თითქოს, და გიუკოლაც, გაცოფებული, ჯარასავით ტრიალებდა ადგილზე, თავიდან რომ მოეშორებინა როგორმე ეს თავხედი მაიმუნების ჯოგი და მშიერი ძაღლების ხროვა.

www.Litklubi.ge

ასე, ტანჯვა-წვალებით, გააღწია ქალაქიდან. მაგრამ ქალაქგარეთ კიდევ უფრო გალაღდა და გათავხედდა ქარი, კიდევ უფრო ძნელი მოსაშორებელი შეიქნა - სულის მოთქმასაც აღარ აცლიდა, ზურგში აწვებოდა, აკივლებულ-ახარხარებული, და ტვირთიანად მიაძუნძულებდა თავდაღმართში. "დასწყევლოს ღმერთმაო" - შფოთავდა, ბრაზობდა, ოფლად გაღვრილი, გულამოვარდნილი, აქოშინებული გიუკოლა და გარბოდა, ბრმად, ალალბედზე, ქარის უხეშ ძალას დამორჩილებული. იმასღა ფიქრობდა, არ წავიფორხილო, გვამი არ დამივარდესო. სასაფლაო ისე გაიარა, ფეხი არ შეუნელებია, თუმცა, გინდაც სდომებოდა, ვერ მოახერხებდა ფეხის შენელებას ალბათ. ქარი, ერთდროულად, იმასაც მიერეკებოდა და გააფთრებული დაჰდმუოდა ყველა საფლავს. მკვდრები, ვინ იცის, გასუსულები იწვნენ და გულის ფრიალით ელოდებოდნენ, როდის გადაივლიდა, როდის დაცხრებოდა, როდის მიეცემოდათ კიდევ საფლავებიდან ამოსვლისა და ცეცხლის დანთების შესაძლებლობა. ქარი კი სრულებითაც არ აპირებდა ჩადგომას, გამწარებული ეჯაჯგურებოდა რკინის ღობეებს, არყევდა ქვის ჯვრებს, თავს მიწაზე ახლევინებდა გაგიჟებულ კვიპაროსებს და ისინიც (კვიპაროსები) ამაოდ ცდილობდნენ საკუთარი ფესვების დაწყვეტას, მიწის მარადიული ტყვეობიდან გათავისუფლებას. ამაოდ. ამაოდ. ამაოდ. გიუკოლამ კი წინასწარ იცოდა, სადაც უნდა დაემარხა თავისი მკვდარი და ახლა ყველანაირად ცდილობდა, იქითკენ გადაეხვია, როგორმე, ხელიდან გამოსცლოდა (თავის ტვირთიანად) თავაშვებულ ქარს. ადგილი დიდი ხნის წინ ჰქონდა შერჩეული, სასაფლაოს ქვემოთ, მთის ფერდობზე, ხევის მხარეს, სადაც არავის მოუვიდოდა აზრად დაკარგული გვამის ძებნა, თუმცა, ის ადგილი თავიდან მამისთვის შეერჩია, მამისთვის უნდოდა, მაგრამ მამა ჯერ მოსანახი ჰყავდა და ისიც საკითხავი იყო, მონახავდა თუ არა საერთოდ.

გიუკოლამ ბრეზენტში გახვეული გვამი მიწაზე რომ დაასვენა, მერედა იგრძნო, როგორ დაღლილიყო, მაგრამ დასასვენებლად სად ეცალა, მაშინვე ბარს დასწვდა და საფლავის თხრას შეუდგა.

ქარი აქაც კარგად უბერავდა. ისეთი ძალით დაეძგერებოდა ხოლმე, მუშაობით გართულს, დროულად რომ არ ჩაკუნცხულიყო და მიწაში ჩასობილი ბარის ტარს არ ჩასჭიდებოდა, ხევში გადაჩეხავდა ალბათ. მაგრამ ქარი, ადრე თუ გვიან, ჩადგებოდა, დაწყნარდებოდა და ქვეყანაც თვალში გამოიხედავდა ისევ.

ძალიან ლამაზი სანახავი იყო აქაურობა კარგ ამინდში, დღისით. რამდენჯერ გამოსულა გიუკოლა და, წარმოდგენილი საფლავის გვერდით წამოწოლილს, რამდენჯერ უოცნებია იმ ბედნიერ დღეზე, როცა, ბოლოს და ბოლოს, მიაგნებდა შემომწყრალი მშობლის კუბოს და ახლა უკვე სამუდამოდ დააბინავებდა ამ ლამაზ ფერდობზე. აქედან ხევი არ ჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, განსაკუთრებით კი ზაფხულობით, როცა ირგვლივ ყველაფერი მწვანეში აცურდებოდა ხოლმე, თითქოს ნახევარკუნძულის უკიდურეს ქიმზე იდექით და, გადადგამდით თუ არა ნაბიჯს, მზით აბრჭყვიალებულ უსასრულო სივრცეში ატივტივდებოდით მაშინვე.

www.Litklubi.ge

ახლა კი თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. ქარი გიჟკოლას სახეში მიწას აყრიდა და ბარს სტაცებდა ხელიდან. არასოდეს გასჭირვებია ასე საფლავის გათხრა. არათუ ეხერხებოდა, ძვალ-რბილში ჰქონდა უკვე გამჯდარი ეს საქმე, მაგრამ ამ უკუნეთში და თანაც ასეთ ქარში, მართლაც რომ უაზრო თავგამოდებას ჰგავდა მისი შრომა, სიცივისგან გამკვრივებული მიწა წარამარა ისხლეტდა ბარის პირს. ის კი, მაინც ჯიუტად ებრძოდა მიწასაც და წყვდიადსაც. გონების თვალით შემოხაზულ ფართობზე იდგა და ყველანაირად ცდილობდა, არ გაემრუდებინა კვალი, რადგან, ორმოსაგან განსხვავებით, საფლავს თავისი განსაკუთრებული სახე აქვს და, ვინც არ უნდა შეხედოს, მაშინვე უნდა მიხვდეს, ჩვეულებრივი ორმოა, თუ საფლავი. გიჟკოლაც საფლავს თხრიდა და არა ორმოს, რაც, მოჩვენებითი სიმარტივის მიუხედავად, არც ისეთი ადვილი მისაღწევი იყო ამ ყიამეთში. დაძაბულობისგან ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, მკლავები დაწყვეტაზე ჰქონდა, ბარის ტარი მიწის კედლებზე უხვდებოდა მოულოდნელად და ხელისგულებზე ტყავი ეყვლიფვებოდა. "იცი მაინც, ვის უთხრი საფლავს ასე თავგამოდებულიო" - ჩამოსძახოდნენ ზემოდან ვიღაცები, ის კი, უკვე წელამდე იდგა საფლავში, ნიკოს ექიმივით აქოშინებული, და ჯიუტად თხრიდა მიწას, არავის არ უსმენდა, რადგან მარტო მან იცოდა, ვისთვის თხრიდა სამარეს, ვისი დაუმარხაობა იყო ყველაზე დიდი ცოდვა. ისიც იცოდა, მადლს რომ შვრებოდა - ბოლოს და ბოლოს, მამის საფლავს უთმობდა უპატრონო მკვდარს, დაუმარხავი რომ არ დარჩენილიყო, და კმაყოფილებისგან თვითონვე ეღიმებოდა. ასე გაღიმებული თხრიდა მიწას. ხანდახან, ბრეზენტში გახვეული გვამისკენაც გააპარებდა ხოლმე თვალს, ღრმად დარწმუნებული, კმაყოფილი რომ იყო ისიც. ასე რომ, მიუხედავად ქარისა და სიბნელისა, კეთილი, ნათელი გრძნობები ბატონობდნენ გიჟკოლას გულსა და გონებაზე, რის გამოც, კიდევ უფრო აუცილებელიცა და მომხიბვლელიც ხდებოდა ის, რასაც აკეთებდა, ანუ, ქვადქცეული მიწის თხრა, ბრმად, ალალბედზე, გადატყაული ხელებით... გათოშილი ქარი მახვილის პირივით გაუვლიდა ხოლმე გაოფლილ ბეჭებში, იმას კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მზე აცხუნებდა, ფუტკრები დაბზუოდნენ და ჭრელი პეპლები დაჰფარფატებდნენ თავზე. ყველა სიკეთესთან ერთად, დასამარხიც (ტანით გრძნობდა), ძალიან ემადლიერებოდა მას, დამმარხველს, ხოლო დამმარხველი (ანუ, თვითონ), თავის მხრივ, ასევე ძალიან ემადლიერებოდა ბედს, მაინცდამაინც იმისთვის რომ დაევალებინა ამ კეთილშობილი საქმის აღსრულება. არათუ იცოდა, მთელი არსებითა გრძნობდა, სიკეთეს სჩადიოდა, სავალდებულო, აუცილებელ ნაბიჯს დგამდა ადამიანობისკენ მიმავალ გზაზე და, რაღა თქმა უნდა, ძალიან ეამაყებოდა ისიც, მისი მადლობელი რომ იყო დასამარხავი. ეს უჩვეულო განცდები და შეგრძნებები, უნდოდა თუ არა, ისევ სიცოცხლისკენ შემობრუნებას ავალდებულებდნენ - მკვდრის დაბინავება თავისთავად უკვე სიცოცხლის სამსახური იყო, რადგან შრომას, დაღლას, ოფლის მოდენას მოითხოვდა მისგან, საკუთარი სხეულის აღქმასა და შეგრძნებას აიძულებდა, იმის შეგრძნებასაც და შეგნებასაც, რა შეეძლო და რა არა, ახლა კი არა, საერთოდ. გარდა ამისა, ის თუ საფლავს უთხრიდა მკვდარს, მკვდარი ვიღაცას ადგილს უთავისუფლებდა მიწაზე და თუკი ის ვიღაცა სხვას ვერაფერს მოიპოვებდა ცხოვრებაში, უკიდურეს შემთხვევაში, ყოველთვის შეეძლებოდა მკვდრის დანატოვარ სიცარიელეში ჩადგომა. საფლავის გაჭრა, მართალია, უჭირდა, მკლავები აწყდებოდა, ხელისგულებზე ბებერები ასხდა, მაგრამ მაინც მხნედ და ხალისიანად გრძნობდა თავს. უკვირდა კიდეც, რატომა ვარ ასე კარგადო, ხომ არ ვკვდებიო, რადგან ამ ორიოდე საათის წინ არ ეგონა, თავი თუ არ გაუსკდებოდა, არ ეგონა, კიდევ თუ შეძლებდა ფეხზე წამოდგომას. ახლა კი, ენით გამოუთქმელი შვებით ავსილს, ეამაყებოდა, მოსწონდა საკუთარი ხელით გახთრილ საფლავში დგომა. იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სწორად ვთხრიო, ერთი-ორჯერ ჩაწვა კიდეც შიგ, გულხელდაკრეფილი, და თუმცა ქარი ზემოდან მიწას აყრიდა, სიამოვნებდა ასე წოლაც, თითქოს ცივი, ფხვიერი მიწა კი არ ეყრებოდა, მზე უჭყიტინებდა თვალებში, სინათლის თავხედი, მოუშორებელი ლეკვები ზედ აბობღდებოდნენ, სახეს ულოკავდნენ, ეთამაშებოდნენ... ადამიანის ეს სამარადისო სამყოფელი თავიანთი მძაფრი სუნით გაეჟღინთათ და ჭრელი, ფრთამოხატული პეპლებიც დაფარფატებდნენ ირგვლივ, ხმელ ფოთლებთან ერთად, ყველას და ყველაფერს აქეთ

www.Litklubi.ge

მოუწევდა თითქოს გული, იმიტომ, რომ უანგაროდ გაეჭრათ იმისთვის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა და, რაც მთავარია, იმისი ხელით - ვისთვისაც საფლავის გაჭრა არსებობის გამართლება იყო და არა საარსებო საშუალება. ამიტომაც რჩებოდა ყველას მაინცდამაინც ამ საფლავზე თვალი, ყველას თავისთვის უნდოდა, არა მე უნდა ჩავწვე შიგ და არა მეო - ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს. ლამის მთელი სიღნაღი ჩატეულიყო ამ პატარა ღრმულში და, მართლაც, განა მხოლოდ ერთი კაცი ეტევა სამარეში?! რამდენნაირი სიყვარული და სიძულვილი, რამდენნაირი გამოვლილი გზა, ქალაქი და სოფელი, ხმა და სახე ჩაჰყვება ხოლმე თან იმ ერთ ადამიანს, რადგან ერთი ადამიანი არასოდეს არ არის ერთი, უფრო სწორად, ერთი უთვალავი რაღაცის ჯამია. ასე რომ, იმ საფლავში გიჟკოლაც სამუდამოდ ჩარჩებოდა, რამდენადაც იმასაც ეკავა გარკვეული ადგილი, თუნდაც უმნიშვნელო, დასამარხის ხსოვნაში; ბოლოს და ბოლოს, ის იყო მისი ერთადერთი ჭირისუფალი, ის უნდა გამოთხოვებოდა უკანასკნელად (და სამუდამოდაც) ცხოვრების სისასტიკისა თუ ადამიანური გულგრილობის ამ მორიგ მსხვერპლს და ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, მაინც უნდა დაერწმუნებინა, არავითარი წვლილი რომ არ მიუძღვოდა თავად ამ სისასტიკეესა და გულგრილობაში, გაემხნევებინა - არ შეგეშინდესო, ჭკუა დაერიგებინა - ასე და ასე მოიქეციო, დაენუგეშებინა - ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ყველანი მანდ მოვალთ ბოლოსო. აი, რა მძიმე, ძნელი, მაგრამ საპატიო ვალდებულება ეკისრა გიჟკოლას და, საცა სამართალია, ნაკისრ ვალდებულებას, ჯერჯერობით, კარგადაც ასრულებდა გიჟის კვალობაზე.

მთელი ღამე ხალისიანად შრომობდა, მაგრამ ცოტათი რომ ინათა, ელდა ეცა - უშნოდ პირმორღვეული ორმო ამოეთხარა, საფლავის მაგივრად. ღრმად კი ჩასულიყო მიწაში, მაგრამ მთლად სწორად ვერ გაეჭრა გონების თვალით შემოხაზული საფლავი, კიდეები დაკლაკნილი და არათანაბარი გამოსვლოდა. სამაგიეროდ, ქარისაგან საიმედოდ იყო დაცული, ზემოდან თუ გადაურბენდა და მიწას თუ წააყრიდა თავზე. მაგრამ ამის ატანა უსასრულოდ შეიძლებოდა. თავზე მიწის დაყრას სანგრებში მისჩვეოდა და ახლაც, თითქოს სანგარში ჩაუსვამთო, უდრტვინველად მიგდებულიყო საფლავის კუთხეში. ქანცგაწყვეტილს, თვალები თავისთავად ეხუჭებოდა. მართალია, საფლავს გასწორება უნდოდა, მაგრამ ამასაც მოევლებოდა. მთავარი საქმე უკან მოეტოვებინა და აღარაფერი ჰქონდა ასაჩქარებელი, ეკუთვნოდა, დაემსახურებინა ერთი-ორი წუთით დასვენება, ოღონდ, არაფრის დიდებით არ უნდა დასძინებოდა აქ, თორემ, ადვილი შესაძლებელია, ვინმე დასდგომოდა თავზე და ამდენი ნაშრომ-ნაღვაწი წყალში ჩაჰყროდა. დაცინვა კიდევ ცალკე - ქვეყანას შეუყრიდნენ სიღნაღელი ლაზღანდარები: ამ მართლა გიჟმა, მკვდარი მაღლა დატოვა, საფლავში კი თვითონ ჩაწვაო. მართლაც, თვითონ მშვენივრად მოკალათებულიყო საფლავში, მკვდარი კი ქარისთვის მიეგდო. ერთხელაც არ დაუხედავს, ერთხელაც არ გამოლაპარაკებია, არადა, მთელი ღამე იმისთვის იღვწოდა თითქოს. ვინ იცის, თავბედს იწყევლიდა ის უბედური, ეს ვის გადავეყარეო. იმიტომ, რომ მადლს თუ შვრები, მარილიც უნდა მოაყარო - ცოტა ხნით, საერთოდ უნდა დაივიწყო შენი თავი, არ არსებობ ვითომ, როგორც არ უნდა გეძინებოდეს და როგორც არ უნდა გტეხდეს გაშეშებული, გათოშილი სხეული. "აი, სამამდე დავთვლი და წამოვდგები მაშინვეო" - თავს იტყუებდა საკუთარი მიუხვედრელობითა თუ უნებლიე უყურადღებობით შეწუხებული გიჟკოლა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოს მაინც ჩაეძინა და საკმაოდ გრძელი სიზმარიც ნახა.

www.Litklubi.ge

ვითომ, ქელეხს უხდიდა უპატრონო მკვდარს. რადგან დამამარხინეთ, ბარემ ბოლომდე მეცით პატივიო - გახარებული ეპატიჟებოდა თანამოქალაქეებს. თან, გაცოფებული ცოლი გვერდზე გაჰყავდა და არწმუნებდა, ასე უფრო იოლად გამოვიდოდნენ, უფრო იაფი დაუჯდებოდათ, რაკი სიღნაღში მაინც არაფერი დაიმალებოდა და უქელეხოდ დამარხულ მკვდარს არავინ გაუჩერდებოდათ საფლავში. თვითონაც ესღა ადარდებდა ვითომ სიზმარში და ამიტომაც იყო, თვალშისაცემი, გადამეტებული თავგამოდებით რომ ეპატიჟებოდა ყველას. თან გული შიშით უსკდებოდა, ვინმე არ გამორჩენოდა, ცალტვინაანთ სერგო, ანდა, კიდევ უარესი - ნასყიდა. მთელ სიღნაღს იმათ ეზოში მოეყარა თავი. თავდაფასებულნი, აქაოდა, მართლაც დიდი პატივია ჩვენგანო, საუბარ-საუბრით მიედინებოდნენ სუფრისკენ. სუფრა კი, დიახაც, არნახული, არგაგონილი გაეშალა გიჟკოლას - ამ გაჭირვების ჟამს, ნემსის ყუნწში გამძვრალიყო, ურიის ვალში ჩავარდნილიყო, დაგირავებულიყო და გაუჩინარი გაეჩინა - ვერავის მოუბრუნდებოდა ენა იმის სათქმელად, ეს ჩვენი საკადრისი ქელეხი არ არისო. იმდენი პურ-მარილი ეყარა სუფრაზე, ას წელიწადს რომ ეცოცხლა ნასაყდრალთან მოკლულ ყაჩაღს, თავზე გადაუვიდოდა, მაინც ვერ შეჭამდა ალბათ. თვალგამძღარი ხალხიც სიამოვნებისგან ხორხოცობდა - შეკრული შუბლი იხსნებოდა, შეჭმუხნული წარბი იშლებოდა, მოკუმული პირი ყურებამდე იხეოდა და სააშკარაოზე გამოდიოდა საომრად გამზადებულ კბილთა მოელვარე მწკრივები. ჭამა სირცხვილი არ არისო - თვითონვე უთქვამს კაცს, წინასწარვე მოუმარჯვებია ეს, დიახაც რომ ყოველწუთას სახელმძღვანელო სიბრძნე და, ამჯერადაც, უსირცხვილოდ თქვლეფდა ყველაფერს, დიდი ხვეწნა არ სჭირდებოდა, იცოდა ჭირისუფლის პატივისცემა და, ამიტომ, არც თავპატიჟს იდებდა. ერთმანეთზე ეხვავა თეფში, მათლაფა და ლანგარი. კერძი კერძში იღვრებოდა, იზილებოდა, ითქვლიფებოდა. მაგრამ პირველი სიმაძღრისგან გაოფლილი, ხელპირ გაპოხილი ხალხი მაინც განურჩევლად ნთქავდა, მუსრს ავლებდა პურ-მარილის სიმძიმისგან წელში ჩაზნექილ სუფრას - ქშენითა და ქსუტუნით, ტუჩების წკლაპუნითა და კბილთა ღრჭიალით. "თქვენ შეგემატოთ, რაც იმას დააკლდა, თქვენ იცოცხლეთ, თქვენ იხარეთ და თქვენ იმრავლეთო" - ლოცავდა მადლიერი გიჟკოლა. ისინი კი დასცინოდნენ, ალაზღანდარებდნენ და უზომო ჭამითა და სმით აღგზნებულნი, თან ერთმანეთშიც საუბრობდნენ "დარბაისლურად", ვითომ, ტეტიები ხომ არა ვართ, უბრად ვისხდეთ სუფრასთანო. გიჟკოლამ არ იცოდა, რომელი ერთისთვის დაეგდო ყური, თუმცა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, მაინც ვერ გაარჩევდა, ვინ რას ამბობდა. მხარზე ბარგადებული, დაძაბულობისგან ლოყებს ბერავდა და გაგულისებული ფიქრობდა: ალბათ გიჟი რომ ვარ, იმიტომ არ მესმის ამათი ლაპარაკიო. არადა, ყურთასმენა აღარ იყო, ყველა ერთად ლაპარაკობდა, ერთმანეთს არ აცლიდნენ თითქოს ლაპარაკს:

www.Litklubi.ge

...ცოდო კია მაგრამა ვინ იცის ვინ ოხერია შენ ეგა თქვი აი ახლა ისეთი დროა შვილს ვერ ენდობა კაცი იცით რა მითხრა გუშინ ჩემმა ვაჟიშვილმა ამ ოთახში თუ საქმე აღარა გაქვთ ნება მიბოძეთ ღამე ნებისა გისურვოთო გესმით თუ საქმე აღარა გაქვთო ნება მიბოძეთ ღამე ნებისა გისურვოთო არც მეტი არც ნაკლები გამომაპანღურა ზრდილობიანად აი როგორები არიან ახლანდელები ჩემთვის რომ კარგი მინდა დალოცვილო იმიტომა ვარ სხვისთვის ცუდი ჩემთვის ჩემთვის სულ შენს თავზე ხომ არ უნდა იფიქრო ცოტა გვერდზეც გაიხედე იქნებ კვდება ვიღაცა კვდება და მოკვდეს ძაღლი მიაკვდა სულში უპატრონო ჩემი თავიც მეყოფა სიღნაღში რა დამალულა ეგ რომ დამალულიყო აქლემს ჰკითხეს კისერი მრუდე რატომ გაქვსო და იცით რა უპასუხა სხვა რა მაქვს სწორეო ბავშვობაში კევს ძალათი აღეჭვინებდნენ თურმე და იმიტომა აქვს ასეთი თეთრი კბილები რას ამბობ კაცო კბილები სადღა აქვს ეტყობა მე სხვაზე ვამბობ ამიტომ ჯერ ჩიჩია გადაიღეთ და მერე ისაუბრეთ ეგეთი საწყალი ხალხი მეორე არ იქნება ქვეყანა რომ შემოიაროთ ერთხელ მკვდარი გაუცივდათ და სანამ დამარხავდნენ სამი დღე და ღამე ცინგლსა წმენდდნენ რაც რამე ჰქონდათ შინ ჩასაცმელ-დასაგებ-დასახური ცხვირსახოცებად დაუხევიათ რას აწვალებ მაგ ბიჭს-მეთქი ჰა რას აწვალებ-მეთქი არ მომიყვანო მანდ-მეთქი და აბა ბიჭიო სადა ხედავ შე ბრუციანო ბიჭსაო ეს ჩემი საცოლეაო იმის საცოლე კიდევ თურმე ბაყაყს უკნიდან ლერწამს შეურჭობს გაბერავს და ქუჩა-ქუჩა ბურთივით დააგორებს ვინა და ქალაბიჭა ლეო აფსუს აფსუს პაპამისს ვაგონებით ჩაჰქონდა თბილისში ღვინო თოფიანი ჯარისკაცი უნდა გაეყოლებინათ თან ეგ არ დაგავიწყდეს და ვიღაცა ყოფილა ომიდან დაბრუნებული კარგად თუ გააძღობ უკნიდან სულ ღველფებს ისვრის თურმე ქვემეხივით ჭექს და ქუხს აბა ესაა სამართალი კაცი ტრაკიდან ცეცხლს აფრქვევდეს და მშიერი დადიოდეს ეს გიჟი რომ დაგვძახის იხარეთ და იმრავლეთო როგორ უნდა გავმრავლდე ჩემი ცოლი ატკაზზეა გამრავლება ორი გზითა ხდება ვერან ორნაირია სქესობრივი და ვეგეტატიური გაიგე ვერაფერიც ვერ გაიგე სახეზე გაწერია დაახამხამე ბიჭო თვალი რა იყო ძვალი ხომ არ გაგეჩხირა აი მაგალითად მარგალიტას ყვავილი ვეგეტატიურად მრავლდება პატარა რამე რომ მოაციცქნო და დათესო ისეთივე ყვავილი ამოვა ჩემი თუ არ გჯერა აგე სანდროს ჰკითხე რა ჰქვია სანდრო მარგალიტას ყვავილს მოიცა ვერან სირცხვილია რახან ბრმაა განა ყურშიც არ ესმის ცუდს რას ვამბობ ვითომ ყვავილის სახელს ვკითხულობ უკულტუროები ხართ უკულტუროები ქალბატონო ევგენია პატივცემულო ევგენია ამხანაგო ევგენია იქნებ თქვენ მაინც შეგვაწიოთ ერთი სიტყვა არა ძმაო მაგარი ქალია მცოდნეც ვაუკაცურიც არავის შეეშალოს რამე შენ ძვირფასო ჩვენო მამავ ჩვენთვის არ ხარ ჯერაც მკვდარი იმიტომ რომ პატიოსნად შეასრულე შენი ვალი მამა კი არა ის არ გინდა ბიჭი იყო ახალგაზრდა მე მამაჩემზე ვამბობ და საერთოდ ეს სათითე ვინ დამიდგა საბნის შესაკერად ხომ არ მომიყვანეთ აქ დაიცა კაცო ქელეხში ხარ ცოტა მოუჭი ბროჭსა ხოდა ქელეხში თუ ვარ მით უფრო მეტი არ უნდა დავლიოთ დარდი ხომ უნდა გავიქარვოთ ღვინითა იმის ცოლი ამბობს მე არაფერში მარგიაო თავისი საოხრე მკვდარი გველივით უდევს მუცელზეო მე ჩემო ძმაო სხვისი არაფერი მინდა ჩემი სუნი დამმარხავს როცა შეწუხდებით მომაყრით მიწას აბა რა იქნება მაჩვინე რას წერ მაგ რვეულში-თქვა და მომირბენინებდა მაშინვე იმისთანა ლექსები ჰქონდა რომე თქვენი მოწონებული უნდა გვასახელო თქვა და უხაროდა ნამეტანი ჩაეცინებოდა ხოლმე ასე ა მიირთვი ძვირფასო მიირთვი თავის შეკავებას აზრი აღარა აქვს სწორედ წინა ჭიქაში ჩაგიყარე დარიშხანი ოჰ დედაკაცო არარაობა უნდა გერქვას შენ ჯოჯოხეთის კარიბჭევ ძმათა საფლავო აჰა ძმაო გიგუშა ეძახე რითია უშანგიზე ნაკლები ძმათა საფლავზე გამახსენდა იცოდი უფარაანთ მდგმური საფლავიდან რომ ამომძვრალა ერთი უნდა მოგასმენინო რეებს ყვება ჰიტლერი იცით რას ამბობდა ხალხის მოსპობა თუ გინდათ პირველ რიგში ოჯახი მოუსპეთო აქ მაინც დაისვენე ადამიანო სულ ჩხუბი გაგონილა აბა გამოიცანით რა უნდა მოისპოს პირველად მსხალი თუ მატლი ნუ აჩქარდებით იცოდეთ ბევრმა სახელოვანმა კაცმა წაიტეხა კისერი ვერაგული შეკითხვაა სიღნაღმა რა ცოტა სახელოვანი კაცი მისცა ქვეყანას ამიტომ ჩვენც შევიკავოთ თავი ნაადრევი დასკვნებისგან სხვა თუ არაფერი ერთ სუფრაზე ვსხედვართ რად უნდოდათ ამდენი მწვანილი საბალახოდ დაგვიძახეს რათა მწვანილი სუფრის ბოზიაო ესე იგი

www.Litklubi.ge

ალამაზებს სუფრასო მომაწოდე თუ ძმა ხარ ერთი ბღუჯა ნიახური აქეთ რაც იყო გადავძოვე დაგვიანებული ხომ არ არის-მეთქი აფსუს ბიჭო განა ჩემი კაცობა ნიახურზე ჰკიდია ხალხი უნდა გაირყვნასო მეტი რაღა უნდა გაირყვნას შე მამაცხონებულო კიდევ იცით რას ამბობდა ჰიტლერი ხალხს უნდა დაუმალოთ საბოლოო მიზანიო წინ იყურე თუ კაცი ხარ შეირგე სასმელ-საჭმელი ხალხი მაინც ვერ გაიგებს გინდაც არ დაუმალო აბა თუ იცით ყველაზე ძნელი რა არის რა არის და დაკეცილი ქოლგა ჩაყლაპო გახსნილი კი გამოიღო არა რათა ჩვენშიც იყო ოჯახი სტუმარიც იცოდნენ მტერიც და მოყვარეც ერთხელ პატარაობისას აღარც მახსოვს როდის ვიყავი პატარა დიდედამ წამიყვანა ვიღაცასთან იმდენი ქოლგა და კალოში ეწყო იმათ აივანზე გეგონებოდათ იარმუკა გაუხსნიათო დალიე და დადგი თასი გატყუებენ მოგპარავენ არ დადგა სმა თუა სმა იყოს ვისაც რა უჭირავს ხელი არ გაუშვას ბრმა შემთხვევას რა ვუთხარი თორემ ახლაც იქ ვიქნებოდი ჩემს ფაშფაშასთან იმისი ქმარი რომ დაგვადგა თავზე მეორე სართულიდან ვისკუპე დედიშობილამ თირკმელები ახლაც დაწეული მაქვს შემთხვევით არ კვდებიან ძმაო შემთხვევით იბადებიან ამიტომ ხერხი უნდა იცოდე ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი დროულად უკან დახევა გამარჯვების საწინდარიაო მოდი ონან შენს დიდ სეხნიას გაუმარჯოს ის რომ არა ერთმანეთს დავჭამდით და თუ თქვენს შორის კიდევ დარჩება ვინმე პატიოსანი იმას უკვე თქვენ თვითონაც მოუვლით უჩემოდაცო რა ტყუილად იშლი ნერვებს რაღა დროს ჰიტლერია თავი დაგვიკრა რახანია ბენზინი მიუსხამთ და დაუწვავთ როგორც ეკადრებოდა ვინც არაფერს არ აშავებს ის უფრო დამნაშავეაო კარგი ადამიანო აქ მაინც დაასვენე ტვინი აქამდე სად იყავი ხალხმა ომი რომ მოათავა შენ მერე მოახტი ბედაურს ჯერ სადა ხართ ჯერ სადა ხართ კიდევ ბევრჯერ გამიხსენებთ ქვეყანასთან ომი ადვილია ერთ კაცთან გადი დასარტყმელად თუ ბიჭი ხარ ევა გოგო შენ გეუბნები ევა-მეთქი ბატონო ბრძანეთ გისმენთ რა ფეხებს მომჭამს ვითომ შენი აცაბაცა ქმარი მეხი კი დაგაყარეთ ტლინკებს არ დამაყრი რამე რომ იყოს კომში კომში კომარი გავაგოროთ ყომარი სამართალი თუ არ არის კამათელი ხომ არის არა ძმაო ჩვენს დროში კაცს თუ ფული აქვს სიმართლე არ დაეკარგება ონან ძველო აბა მოიხედე ეგრე უნდა დიიიახ ჩემო ბატონო ეგრე უნდა თან იმისი სახელი უნდა იძახო ვინც გულითა გწადია ევგენია ევგენია ევგენია დუგლაძე არცა ვსწავლობ არცა ვშრომობ ვეკითხები გუნებასა თუ რის გადაბრუნება სჯობს თუ რის გადაბრუნებასა დალიე და დადგი თასი ოღონდ ხელი არ გაუშვა აღარ დაგიბრუნებენ ის კი არა შავი პილპილი მომპარა ვიღაცამ სპეციალურად ქელეხისთვის გამომიგზავნა დისწულმა თბილისიდან მარტო ბოთლი რადა ღირდა თავი ეხუფებოდა ცეცხლად შხამად ჯიბეში ჩაეპნას მომპარავსა თასი რას მიქვია გობს დავეწაფები ისეთ გუნებაზე ვარ გობში ჩამისხით ეგ შაბიამნიანი ღვინო და ჩემი თეფშიც შიგ ჩაცალეთ არა უშავს მუცელშიც ერთად არ იქნებიან შენც კარგა მსხვილად ფქვამ აი მოდით ყანაღსაც გაუმარჯოს და იმის დამმარხველსაც კარგა ხანია ასე არ მისიამოვნებია მე ვუთხარი ამ პატეფონს რომ უსმენ დღედაღამე-მეთქი რუსული მაინც გესმოდეს-მეთქი რუსული თუ არ მესმის იმის ხმა ხომ მესმისო ასე არა თქვა ასე არ ამბობს მართალია ასე ამბობს მაგრამ ცოტა მეც მაცალეთ ძლივს ტვინიანი ძვალი შემხვდა ცოტა ზრდილობა იქონიეთ ნაომარ კაცს მეტი პატივისცემა უნდა კი მაგრამ შენ ხომ გერმანიაში არ ყოფილხარ ვინა მეეე მა სად ვიყავი თქვენი ჭკუით არა თქვა ახლა მეც გერმანელ ქალსა ვყავდი დამალულიო ვახახახა ხოხოხოხო ხიხიხიხი ხეხეხეხე დავიხოცე ხალხნო სიცილით მარგალიტა სიღნაღსკაია აქაც რომ ჩადგა ერთი მათლაფა განა ღმერთი გიწყენს ხელი დამიგრძელდა ამდენი გადმოწოდებით ნეტა ის გერმანელი დედაბერი ძალიან დედაბერი იყო აი ჩვენი მასწავლებელი რომ შეუფარებია რატომ არა გჯერათ ხალხო ასე როგორ უნდა იცხოვროთ იქნებ ჯერ არ იღუპება ქვეყანა ფუი დასწყევლოს ღმერთმა ალალ კაცს გესმით ალალ კაცს თურმე თავთით სანთელი უნთია ფერხთით კი ცხვარი უბია ეგ საკენკი სხვას დაუყარე ალალი კაცი რას მიქვია ყველა ერთნაირია ააფრინე ალალიო რაც არ არის არ არიო შენ კი ღმერთს ტყუილად სცოდავ იოსებ ცხენები გყავს დროგი გაქვს თავლა კიდევ თავლად დასამარხადაც გეყოფა და ოხრადაც დაგრჩება ხოდა მასწავლებელი თუ ხარ ონანისა არ იყოს რაღაცა უნდა ასწავლო ბავშვსა რაღა გაგიჟება უნდათ ისედაც დასაბმელები არიან ვეღარ დავლაპარაკებივართ მაშინვე

www.Litklubi.ge

პირში გვეცემიან ხოლმე ასე თუ ხდებოდა თქვენ სად იყავითო თქვენ ის მითხარით ცეცხლწაკიდებული ფარა თუ გინახავთ როდისმე უბრალო ვინმე არ გეგონოთ ერეკლეს ეკიპაჟი კართან მელოდება აბა წასულიც არ გვეგონები უკანვე რომ მობრუნდები აქ ამდენი მუქთი საჭმელი ეყაროს შინ მშვიდად რა დაგაძინებს რაო რას ამბობდი ცეცხლწაკიდებული ფარაო ვერაფერს ნახავთ უკეთესს მით უფრო დამით ახლა მთაში ასე უსწორებენ თურმე ერთმანეთს ანგარიშებს ბენზინს მიასხამენ ფარას და ცეცხლს წაუკიდებენ ცხვარი კი არ გაიფანტება ამდენი ტვინი ვინ მისცა კიდევ უფრო შეიკვრება და ბრუნავს ბრუნავს გაგიჟებული ცეცხლის მორევი ბეეე ბეეე ბეეე ნავთის პერანგი მაცვია ცეცხლის ღილებიანი გეხვეწებით აღარ შემიძლია მეც თუ მოვკვდი რაღა ქელეხია ხალხნო...

რაც უნდათ, ის ილაპარაკონო - ფიქრობდა გიჟკოლა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, დიდხანს ვეღარ აიტანდა იმ ხალხის ცქერას, იმათ უაზრო ლაპარაკს, იმათ ღორმუცელობას. არადა, ასე კარგად თავმობმული საქმე მართლაც წყალში ჩაეყრებოდა, თავს თუ ვერ მოთოკავდა როგორმე. თუმცა, ჯერ მაინც ეფერებოდა, ელაქუცებოდა ნათქვლეფით გასისინებულ სტუმრებს და ისინიც, ჩვეულებისამებრ, დასცინოდნენ, ალაზღანდარებდნენ, იმისი პურ-მარილით მაძღრები, ახლა იმისი სიგიჟით ირთობდნენ თავს და ესეც ჩვეულებრივი ამბავი იყო იმათთვის, ყველაფრიდან, თუნდაც სხვისი ჭირიდან, რაღაცას უნდა გამორჩენოდნენ თავიანთთვის სასარგებლოს, რადგან ეს ის ხალხი არ იყო (შეიძლება, აღარ იყო - ომმა შეცვალა), სხვისი სადარდელი ედარდა და სხვისი უბედურებით ძილი დაეფრთხო. რაკი გაჩენილიყვნენ და მეორედ აღარ გაჩნდებოდნენ, მოსწრებაზე იყვნენ, ყველაფერი ერთად უნდოდათ. მააშ, ჩემო ბატონო, ჩემთვის რომ კარგი მინდა, იმიტომა ვარ სხვისთვის ცუდი. მაგრამ გიჟკოლას მაინც კვერცხი უნდა ეგორებინა იმათთვის, თუკი უნდოდა, საფლავში მშვიდად დაეყენებინათ მისი მკვდარი. ორ ცეცხლს შუა იდგა, ვიღაცის სახედარივით, და ვერ გადაეწყვიტა, რომელში ჩამწვარიყო, ჩაფერფლილიყო მთლიანად - ყველაფერი ბოლომდე მოეთმინა, უპატრონო მკვდრის ხათრით, თუ საერთოდ, ზოგადად ადამიანობის სახელით, ყველანი დაეფრინა, ლეშით გამძღარი სვავებივით. "იცოდე, მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო" - გადაუჩურჩულებდა ხოლმე ცოლს. ცოლი კი უარესად ასკდებოდა გულს - ან რას ეპატიჟებოდი, ან რას ერჩი ამ პატიოსან ხალხსო.

ასეთ განცდებში იყო ჩავარდნილი საფლავის ფსკერზე ჩაძინებული, სიცივისგან მოკუნტული გიჟკოლა. რაც შეეძლო, თავს ძალას ატანდა, ყველაფერი ჭკვიანურად რომ გაეკეთებინა, მაგრამ ბოლოს მაინც მისმა სიგიჟემ სძლია მის სიჭკვიანეს - ახორხოცებულ, აზრიალებულ სუფრას პირაპრიალებული ბარი მოუღერა და იყვირა: აბა, გამასწარით, სიცოცხლე თუ არ მოგბეზრებიათო. თან თვითონვე განიცდიდა გულში, რა ამბავია ჩემს თავს, რა მართლა გიჟივით ვიქცევიო. შიშისაგან გაქვავებული სუფრა თვალებდაყვლეპილი, ჩაუყლაპავი ლუკმით ლოყაგამობერილი შესცქეროდა ბარმომარჯვებულ მასპინძელს, ხოლო, სუფრასა და მასპინძელს შუა ჩამდგარი ცოლი ხან სტუმრებს ებოდიშებოდა - გვაპატიეთ, არ გეწყინოთ, ხომ იცით, რომ გიჟიაო - ხან კი ქმარს აფრქვევდა დორბლს - დღესვე წაგიყვანონ და დაგაბან, აღარა მაქვს შენი თავიო. სწორედ ამ დროს გამოეღვიძა, მაგრამ, სიცივისგან მოკუნტული, ცოტა ხანს კიდევ ეგდო საფლავის ფსკერზე, ვიდრე საბოლოოდ გამოფხიზლდებოდა, ვიდრე ვითომ მექელეხეთა ხმები ისევ ქარის მომაბეზრებელ, უკვე ყელში ამოსულ ხმად არ გაერთიანდებოდა.

საფლავიდან რომ ამოვიდა, უკვე კარგად იყო გათენებული. ქარმა მაშინვე მიწა შეაყარა სახეში და იმანაც ბუზღუნ-გინებითა და თმა-წვერის ფერთხვა-ფერთხვით შეაქცია ზურგი ქარს.

www.Litklubi.ge

ბრეზენტში გახვეული გვამი მშვიდად იდო მურაკის ბუჩქებთან. გაფარჩხულ, ხორკლიან ტოტებს აქა-იქ კიდევ შერჩენოდა თითო-ოროლა გამოზამთრებული, ნადირს გადარჩენილი, სიმწიფისგან ჩაშავებულ-ჩაბადაგებული ნაყოფი და გიუკოლას მაშინვე ნერწყვი მოადგა პირზე, ძალიან მოუნდა უცებ პირის გასველება. მაგრამ დიდხანს იწვალა და კარგადაც დაიბღორტნა ხელები, ვიდრე საწადელს აისრულებდა. სათითაოდ იწოდებდა ქარისაგან აწრიალებულ ტოტებს, მაგრამ ნაყოფი შეხებისთანავე წყდებოდა ყუნწს და უიმედოდ იკარგებოდა ჩამჭკნარ, ჩაყვითლებულ ბალახსა და ნეშოში. ბოლოს, როგორც იქნა, მაინც ჩაიგდო ხელში სანატრელი ხილი და ვიდრე პირში ჩაიდებდა, თითქოს ეფერებაო, ხელისგული ფრთხილად გადაუსვა თეთრად დამტვერილსა თუ დაორთქლილ ნაყოფს. ველური ხილის წვენმა მაშინვე უხეშად დაუშუშხა ტუჩები, მაგრამ გიუკოლას მაინც ესიამოვნა და, გამოცოცხლებულმა, მხარსზემოდან გასძახა ბრეზენტში გახვეულ გვამს: არ გეწყინოს, ცოტა მრუდე რომ გამომივიდა შენი საფლავიო. თუმცა, გვამისთვის, რასაკვირველია, სულერთი იყო, როგორ გამოიყურებოდა მისი საფლავი. ანდა, გიუკოლაზე უკეთ იცოდა, დიდხანს მაინც არ გააჩერებდნენ იქ.

გიუკოლამ მურაკის კურკა საფლავში ჩააგდო, ისევ ბარს დასწვდა და, რამდენადაც შეძლო, ჩაასწორა საფლავის კიდეები. ქარისაგან თმაწვერგაჩეჩილი, მიწაში ამოგანგლული, ხალისიანად აკეთებდა, რასაც აკეთებდა და, ამდენად, სრულებითაც არ შეესაბამებოდა მისი შესახედაობა მის გუნება-განწყობილებას. ქარი კი ძველებურად უბერავდა, გიუკოლასაც ძველებურად უპირებდა ხევში გადაჩეხვას, მაგრამ გიუკოლა დროულად ჩაუკუნცხდებოდა ხოლმე და ერთხელ კიდევ ხელმოცარული ქარი ხევგაღმა მიბუბუნებდა, სულის მოსათქმელად, ძალ-ღონის მოსაკრებად, უკან გამოსაბრუნებლად. ხოლო, მუშაობით გართულ გიუკოლას ისევ ჩაესმოდა წუხანდელი არეული, აღელვებული ხმები - კივილი, ყვირილი, ხარხარი - მაგრამ როგორც კი გაილურსებოდა და სუნთქვაშეკრული მიაყურადებდა, მხოლოდ ქარის ზუზუნი ისმოდა ისევ. ქარი კი ნამდვილად იყო და, თანაც, ყველგან - ხან ერთ ფერდობს მიასკდებოდა, გაგულისებული, ხან მეორეს და, იმავე დროს, ერთდროულად ედგა ფეხი ხევს გაღმაც და ხევს გამოღმაც. გიუკოლა კი შრომობდა, არც ქარს ეპუებოდა, არც დაღლილობას. ერთხელაც არ შეჰკითხვია თავს, ისევ ამაო ხომ არ არის ჩემი შრომაო. დარწმუნებული იყო, ღვთისნიერ საქმეს აკეთებდა, მაგრამ, ეტყობა, არ ეწერა უპატრონო მკვდრის მადლის მოკიდება, რამდენადაც, როგორც ლეიტენანტმაც უთხრა, ის გვამი სახელმწიფოს ეკუთვნოდა და თვითნებურად ვერავინ მიითვისებდა, ვერავინ დამარხავდა თავის ჭკუაზე, მით უფრო, ასე საიდუმლოდ, ასე უჩუმრა. მაგრამ გიუკოლა არც ფიქრობდა ამაზე, მისთვის მთავარი იყო, რაც შეიძლება კარგად მოება თავი საქმისთვის და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებდა. მერე სადღაც ვირი აყროყინდა, საიდანღაც ბოლის სუნი მოიტანა ქარმა, მაგრამ ის მაინც შრომობდა და საფლავის ბორცვი ლამაზად რომ შემოკვერცხა, უკვე ისე იყო გათოშილი, თითები ერთმანეთთან ვეღარ მიჰქონდა. ბარი ძლივს ამოიდო იღლიაში და წამოვიდა, უკან აღარც მოუხედავს, თითქოს არც არაფერი ეგულებოდა უკან. შინ კი ისეთი სახით შევიდა, თითქოს დიდგორიდან ბრუნდებოდა, ნაალაფარით დატვირთული. "ეძებონ ახლა, რამდენიც უნდათო" - ამაყად უთხრა ცოლს, ბარი კუთხეში ააყუდა და ღუმლის მილს შემოხვია გათოშილი ხელები. მაგრამ მილი ჯერ კიდევ ცივი იყო, მისი ცოლი ახლა ანთებდა ცეცხლს და, ღუმლის წინ ჩაცუცქულმა, ისე, სხვათა შორის ჰკითხა - სად ბრძანდებოდიო - რადგან დიდი შეტყობა არ უნდოდა, აშკარად ცის ქვეშ რომ ჰქონდა გათენებული ღამე - გაბურძგნული თმა-წვერიდან მშრალი მიწა ცვიოდა.

გიუკოლამ აღარ იცოდა, რანაირად გაბღენძილიყო - ძალიან მოსწონდა თავი და ძალიანაც ეამაყებოდა, გამარჯვებული რომ დაბრუნებულიყო, ერთი კაცისთვის არცთუ ისე იოლი ომიდან. ჯერ მარტო მილიციიდან გვამის გამოპარება რად ღირდა! ხოდა, ისიც ამაყობდა, საფუძვლიანად, სამართლიანად - გათოშილ თითებს ღუმელის ცივ მილზე ათამაშებდა და სასაცილოდ ბერავდა ლოყებს. "გინდაც მამა დამემარხოსო" - ეუბნებოდა ცოლს. "სანამ ვირის აბანოში არ ამოგაყოფინებენ თავს, იქამდე არ მოისვენებო" - პასუხობდა ცოლი.

www.Litklubi.ge

ღუმელი ნელ-ნელა აგუგუნდა. ჰაერის თბილმა ნაკადმა ღუმელის მილში დაგროვილი ძველი ჭვარტლი შეარხია, შეაშრიალა. გამოღვიძებული თუნუქი რამდენიმე ადგილას გატკაცუნდა.

- რათა, ქალო, რას ვაშავებ ამისთანას?! - კიდევ უფრო გაიღიმა გიუკოლამ და მაშინვე, სულგრძელი კაცის თავმდაბლობით, დაამატა: მე არაფერი მეკითხება, მე მხოლოდ ღმერთის ნება-სურვილს ვასრულებო.

- წადი, დაწე, გიუსა გავხარ. - უთხრა ცოლმა.

გიუკოლას საფლავში კი ეძინა, მაგრამ ერთი კარგი გამოძინება ნამდვილად მოუხდებოდა. ამიტომაც უხმოდ დაეთანხმა ცოლს და ჩადენილით კმაყოფილი, მიღწეულით ბედნიერი, დასაძინებლად გავიდა მეორე ოთახში.

ცოლი ღორის სალაფავს ამზადებდა და რაღაცას ბურტყუნებდა თავისთვის. ალბათ, ჩვეულებისამებრ, თავის ბედისმწერალს წყევლიდა, მაინცდამაინც გიუკოლას რომ გადაჰყარა და სხვა ვერავინ გამოიმეტა იმისთვის. მაგრამ ბალიშზე თავმიდებულ გიუკოლას ცოლის ბუზღუნზე ტკბილად ეღიმებოდა, თვალები თავისთავად ეხუჭებოდა და მთელი არსებით გრძნობდა, როგორ მიითრევდა ძილი თავის უფსკერო, უკედლებო ბუნაგში. ისიც სიამოვნებით მიჰყვებოდა, მოსაჩვენებლადაც არ უძალიანდებოდა, იოტის ოდენადაც არ ცდილობდა წინაღმდეგობის გაწევას, რადგან, იმ წუთას, მართლა აღარაფერი უნდოდა ძილის მეტი. პირველად გრძნობდა თავს ვალმოხდილად და, აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, ბედნიერადაც, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა მისი ბედნიერება - მოულოდნელად მოვლენილი, მოულოდნელადვე გაქრა. მაგრამ იმ წუთას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სილის საათი იყო, ჯერ კიდევ შორეული ბავშვობიდან დამახსოვრებული, და მისი არსების მოაზროვნე და მგრძნობიარე ნაწილი, საგანგებოდ არწყულ სილასავით, უხმოდ, შეუფერხებლად გადადიოდა შუშის ერთი ბურთულიდან მეორეში. ის იყო, მთლიანად უნდა ჩაცლილიყო ქვედა ბურთულაში, ლეიტენანტის ხმა რომ შემოესმა და კი არ შეეშინდა, გული დაწყდა, იმდენად ხანმოკლე ეჩვენა ბედნიერების განცდა, ამ განცდის მოლოდინთან შედარებით. "მოვიდა აღსასრულიო" - გაიფიქრა, რატომღაც, ძილ-ღვიძილში მყოფმა, და ახლა უკვე ძალით დახუჭა თვალი, როგორმე რომ შეეკავებინა მოულოდნელად დამფრთხალი და გასაქცევად გამზადებული ძილი. გულდაწყვეტილი, უფრო ზუსტად კი, გაწბილებული იწვა და გაღვიძებას, გამოფხიზლებას სიკვდილი ერჩივნა. კი ესმოდა ცოლისა და ლეიტენანტის ლაპარაკი, მაგრამ სანახევროდ ჯერ იქ იყო მაინც, ძილის ნეტარ სამეფოში, აქაური, ცხადში ჩასმენილი ხმებით აღძრულ ჩვენებებში, და, ჯერჯერობით, თვითონაც ვერ გაარჩევდა წესიერად, რა უფრო შეესაბამებოდა სინამდვილეს, რაც ესმოდა თუ რაც ეჩვენებოდა.

"სად ბრძანდება შენი ქმარიო" - ჰკითხა ლეიტენანტმა მის ცოლს. "სად უნდა ბრძანდებოდეს, სძინავსო" - უპასუხა მისმა ცოლმა. "რა დროს ძილია, ღამე რას მიკეთებდაო" - არ მოეშვა ლეიტენანტი. "ღამე შინ არ გახლდათო" - წამოსცდა მის ცოლს. "აბა, სად იყოო - აღელდა ლეიტენანტი - ცოლმა არ უნდა იცოდე, სად დადის შენი ქმარი ღამღამობითო?!" მაგრამ მის ცოლს აღარ უპასუხია, ეტყობა, მიხვდა, ზედმეტი რომ თქვა და ახლა ენას კბილს აჭერდა.

- სამაგიეროდ, ჩვენ ვიცით, სად იყო და რას აკეთებდა! - ხმას აუწია ლეიტენანტმა, ალბათ გიუკოლას გასაგონად, თავისი ნებით რომ გაეღვიძა იმას, ვიდრე ძალით გააღვიძებდნენ. - ის კაცი, მკვდარია თუ ცოცხალი, სახელმწიფოს საკუთრებაა. - იყვირა, კიდევ უფრო ხმამაღლა. - ხომ ვუთხარი?! ხომ ავუხსენი?! ახლა ადგეს და აგოს პასუხი. - მოსჭრა მკაცრად.

- როლანდ, შენი ჭირიმე, - დაიბნა, დაფრთხა გიუკოლას ცოლი. - ეგ ხომ გიჟია... სად გაგონილა, გიჟის დაჭერა...

- გიჟია თუ ჭკვიანი, მკვდარი დააბრუნოს - მოლბა ლეიტენანტი.

www.Litklubi.ge

გიჟკოლას ესმოდა იმათი ლაპარაკი, მაგრამ ძილბურანში იყო ისევ და ვერ გამოფხიზლებულიყო ბოლომდე. მაგრამ იქ, ქვედა ბურთულაში, თავისი არსების საუკეთესო ნახევარში, ვითომ, ლეიტენანტის ხმის გაგონებისთანავე, სხარტად წამოხტა საწოლიდან, დაუპატიჟებელ სტუმარს გამოხედა და გადაჭრით უთხრა: გინდაც მომკლა, მაინც ვეღარ დაგიბრუნებ მკვდარსო. ძლივს სიკეთე დამითესავს ამ ქვეყანაზე და ჩემივე ნებით როგორღა უარვყოფო - შესცინა ვითომ სახეში. კი მაგრამ, ის ხომ ჩემი მკვდარიაო - ყასიდად გაიცინა ვითომ ლეიტენანტმაც. აბა, რას ამბობ, შენი მკვდარი კი არ არის, მამაჩემია და, როგორც მომესურვება, ისე დავმარხავ მამაჩემსო - უსინდისოდ იცრუა ვითომ გიჟკოლამ. რას მიედ-მოედები, რამ გაამამაშენაო - სიმწრისაგან სახე დაეღრიჯა ვითომ ლეიტენანტს. დიახაც, მამაჩემიაო - არ გატყდა ვითომ გიჟკოლა. აბა, დაადეთ ამ ცრუპენტელას ბორკილიო - იყვირა ვითომ მოთმინებიდან გამოსულმა ლეიტენანტმა. გრძელომ და ნესვამ, ვითომ, აქეთ-იქიდან მაშინვე ხელები გაუკავეს გიჟკოლას, არამინდარამ კი ძველი, ჟანგით შეჭმული ბორკილი შეაბა. გიჟკოლა ბორკილის სიძველემ უფრო გააკვირვა ვითომ, სად გამოჩხრიკესო, ალბათ ამირანი თუ ჰყავდა ღმერთს ამ ჯაჭვით დაბმულიო. რასა შვრებით, სად გაგონილა, გიჟის დაჭერაო - გამოენთო ვითომ გიჟკოლას ცოლი. გიჟკოლა კი ვითომ ეხვეწებოდა: გაჩუმდი, თავს ნუ იმცირებ, მაგათ იკითხონ, თორემ, ჩვენ მართლები ვართ ღმერთის წინაშეო. მაგრამ ცოლს ვითომ არ ესმოდა მისი და კიდევ უფრო გააფთრებული იცავდა ქმარს: რას ერჩით, რა დაგიშავათ, ნახეთ, რას უგავს ხელებიო. დაანახე, კაცო, დაინახონო - მუჯლუგუნს კრავდა ვითომ გიჟკოლასაც, მაგრამ გიჟკოლას, რატომღაც, რცხვენოდა თავისი დაკოჟრილი, ჭუჭყიანი, მურაკის ბუჩქებზე დაკაწრული ხელების გამოჩენა და, რაც შეეძლო, მალავდა, მუცელზე იჭერდა, ბორკილებიანად. მისი ცოლი კი, სიბრაზისგან, ვითომ უკვე ცეცხლებს ყრიდა თვალებიდან და მთელი ხმით გაჰყვიროდა: ჩვენს ქვეყანაში გიჟი ხელშეუხებელიაო. თან, თმაგაწეწილი, კაბამოჩაჩული, შავსა და მზეზე გამოხუნებულ თავსაფარს მალიმალ ააფრიალებდა ხოლმე, მეკობრეების დროშასავით. რა დიდ საქმეს კიდევ ეგ მიკეთებსო - უარესად ბრაზდებოდა ვითომ ლეიტენანტი - მე შენ გეტყვი, ვენახის ბარვითა აქვს ხელები გადატყაულიო. გიჟკოლა კი ბორკილებს აჩხრიალებდა და მწარედ ეცინებოდა. და მართლაც, თუკი თავად არ ესმოდათ, როგორ აუხსნიდა, როგორ გააგებინებდა, მამის კუბოს ძებნა ვენახის ბარვაზე იოლი საქმე რომ არ არის და, რასაკვირველია, არაფერი სცხია თამაშისა, როგორც იმათ ჰგონიათ, არამედ, უწმინდესი და უკეთილშობილესი ვალია, როგორც ყველასთვის ერთად, ისევე ყველა მათგანისთვის ცალ-ცალკე. მაგრამ იმათ ან არ ესმოდათ, ან არ უნდოდათ ამის გაგება - წაიყვანეს და ჩააგდეს მილიციის სარდაფში. სარდაფი კი ვირთხებით იყო ვითომ სავსე და ახლა იმათ არ მისცეს გიჟკოლას დაძინების საშუალება - როგორც კი ჩათვლემდა, მაშინვე სახეზე შეაცოცდებოდნენ ვითომ და ნესტოებში უყოფდნენ პატარა, გათოშილ დრუნჩებს. "რა ვქნა, მამაჩემო, აღარ შემიძლია მეტიო" - უნდოდა ებღავლა გიჟკოლას, მაგრამ სწორედ ამ დროს, ვიღაცამ სამჯერ დაუძახა ვითომ: კოლა, კოლა, კოლაო. გიჟკოლა მოულოდნელობისაგან ვითომ გაშტერდა, გაოგნდა და სარდაფის თაღს მიაჩერდა, რადგან ხმა აშკარად ზემოდან მოესმა. დიდხანს იყო ასე გაშტერებულ-გაოგნებული, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოითმინა ვითომ და სარდაფის გათოშილ წყვდიადში გაუბედავად იკითხა: რომელი ხარო.

- მე ვარ, მამაშენი. - უპასუხა ვითომ ხმამ

- მამაჩემი?! მამი! - დაიბნა ვითომ გიჟკოლა უარესად. - სადა ხარ, კაცო, დამენახე!

- აბა, როგორ დაგენახო, როცა მე ცაში ვარ, შენ კი ქვესკნელში. - დაუძახა ვითომ ხმამ.

- ცაში რას აკეთებ? - გაუკვირდა ვითომ გიჟკოლას.

- კაცს რომ მიწაზე აღარ დაედგომება, მკვდარი იყოს და ცოცხალი, იმის ადგილი ცაშია, - უპასუხა ვითომ ხმამ. - შენც აქ უნდა ამოხვიდე, რადგან მიწაზე აღარც შენ დაგედგომება. ხომ ხედავ, რაც არ უნდა გააკეთო, შენი ყველაფერი მაინც გიჟობა ჰგონია ხალხს. - დაამატა ვითომ ბოლოს.

- კი მაგრამ, ფრთები ხომ არა მაქვს, ამოვფრინდე, - გაიცინა ვითომ გიჟკოლამ.

- ვინ გითხრა, რომ არა გაქვს?! - ჰკითხა ხმამ.

www.Litklubi.ge

გიჟკოლამ, უნებურად, ხელი მოისვა ვითომ ბეჭებზე, ამ სიბერეში, მართლა ხომ არ ამომივიდა ფრთებიო, მაგრამ რაკი ვერაფერი აღმოაჩინა იქ, გაეღიმა. "შენც მე მატყუებო" - თავი გადაუქნია გუნებაში მამას, წყენით კი არ სწყენია, რადგან მამა იმიტომაცაა მამა, ყველაფრის უფლება რომ აქვს და თავის შვილს, უნდა გააპამპულებს, უნდა ერთს კარგად გატყეპავს.

- რატომ არა გჯერა, რასაც გელაპარაკები, - დაუძახა ვითომ ხმამ. - დაიქნიე ხელები და ამოფრინდები.

გიჟკოლამაც ვითომ დაიქნია ხელები და, ღმერთო დიდებულო, ვითომ მართლა აფრინდა ჰაერში, მაგრამ გამოუცდელობისაგან, მანძილი კარგად ვერ გამოზომა თვალით და სარდაფის თაღს აარტყა თავი. დარეტიანებულმა, კარგახანს იტრიალა თაღის ქვეშ, გიოსიანი სარკმლის ძებნაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერადაც უმტყუნა თვალის ზომამ და იმდენი იწვალა და იფართხალა ამაოდ, ვიდრე ფრთა არ გაეხლართა შიგ. ასე, სარკმლის გისოსში ფრთაგახლართული და დასაკლავი ქათამივით ამაოდ აფართხალებული, იპოვეს ვითომ ბოლოს.

www.Litklubi.ge

განრისხდა, მაგრამ რას განრისხდა ვითომ ლეიტენანტი - გიჟობა გიჟობად, მაგრამ ფრენაც თუ დამიწყო ახლა, სადა ვსდიო, სადა მაქვს მაგის თავიო - უყვიროდა ვითომ თავის ბიჭებს. ხოლო, ყვირილით რომ გული იჯერა, მოედანზე (ყველას დასანახავად, სხვასაც რომ არ გასჩენოდა მსგავსი სურვილი), რკინის პალო ჩაასობინა ვითომ იმათ და გიჟკოლა ჟანგიანი ბორკილის ჯაჭვით ზედ დააბმევინა - ახლა იფრინოს და იფრთხიალოს რამდენიც უნდაო. ასე დააბეს ვითომ გიჟკოლა მოედანზე, მთელი ქალაქის თვალწინ. მაგრამ ქალაქს რა უჭირდა! ხმა რომ გავარდა, გიჟკოლას ფრენა დაუწყია და დაუბამთო, მთელი ქვეყანა მოაწყდა ვითომ სიღნაღს. ყველას აინტერესებდა მფრინავი კაცის ნახვა. სიღნაღელი ლაზღანდარები ხომ ფეხმოუცვლელად იდგნენ მოედანზე და იქამდე არ შეეშვებოდნენ ხოლმე გიჟკოლას, ვიდრე, პალოს გარშემო სირბილით, საბოლოოდ არ გამოაცლიდნენ ქანცს. რაც მთავარია, ვითომ ერთი-ორი დღე კი არ გრძელდებოდა ეს ამბავი, არამედ - წლების მანძილზე, და ზამთარ-ზაფხულ ცის ქვეშ ეგდო ვითომ, საბრალო გიჟკოლა, ნადირივით შიშველი (როდემდე გაუძლებდა ტანსაცმელი, ანდა, ვიდა მოუტანდა ძველის მაგიერს), თმაწვერგაბურძგნული, და მნახველები რასაც გადმოუგდებდნენ, იმით ედგა სული. ცოლი მარტო იმიტომ თუ მოდიოდა, ერთხელ კიდევ რომ გაეთათხა, ერთხელ კიდევ მოეგო იმისთვის ნიშნი - აი, რა გიყო მამის კუბოს ძებნამო; მკვდარი კი არა, ცოცხალი მშობელი აღარ უნდა არავისო - იცინოდა ღვარძლიანად. ის კი, გიჟკოლა, ძაღლივით დაბმული და ძაღლივით მოწყენილი იჯდა პალოსთან, საკუთარ მუხლებში პირჩარგული, რადგან სხვანაირად ვერც ცოლს დაემალებოდა და ვერც ქვეყანას. მაგრამ დრო ვითომ გადიოდა და ვითომ ისიც ეჩვეოდა ასეთ ცხოვრებას. მალე აღარც სირცხვილის გრძნობა აწუხებდა, აღარც თავმოყვარეობა - ძაღლური მოუთმენლობით, ფაცაფუცით ნთქავდა დაობებული პურისა თუ სუნდაკრული ხორცის ნაჭრებს, ძღვნად რომ მოჰქონდათ მისთვის ცნობისმოყვარე მნახველებს, თუმცა, ბევრი არაფერი რჩებოდა იმ ძღვენიდან, რადგან იქამდე, ვიდრე ის, მნახველების ხათრით, კიდევ ერთხელ "მიფრინავდა", ხოლო, მნახველები თვალგაფაციცებულნი და პირდაღებულნი შესცქეროდნენ იმის მორიგ "გაფრენას", სიღნაღელი ლაზღანდარები ძღვენის უმეტეს ნაწილს (რამდენადაც, ამასობაში, მოასწრებდნენ), უკან-უკან აჩოჩებდნენ ფეხებით, არც თვალშისაცემად შორს რკინის პალოდან, მაგრამ ზუსტად იმდენი მანძილით, პალოზე გამობმულს, ხელი რომ ვერ მიეწვდინა და როცა შიმშილით შეწუხებული, მაგრამ თვალისზომით ერთხელ კიდევ მოტყუებული გიჟკოლა ამაოდ წაეტანებოდა ხოლმე, ამაზრზენი მანჭვა-გრეხითა და ხითხითით აწყდებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო მატულობდა მნახველთა რიცხვი და, თავისთავად ცხადია, იმასაც მეტი საჭმელი რჩებოდა, ყოველ შემთხვევაში, შიმშილით არ მოკვდებოდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ცნობისმოყვარეთა ლეგიონები, მოისწრაფოდნენ მფრინავი კაცის სანახავად და რაკი მფრინავი კაცი პალოზე ჯაჭვით გამობმული ხვდებოდათ, კიდევ უფრო უმტკიცდებოდათ რწმენა, ნამდვილად რომ ფრინავდა იგი. "აბა, გვაჩვენე ერთი, როგორ დაფრინავო" - ეძახდნენ აქეთ-იქიდან ალყაში მოქცეულ გიჟკოლას და ისიც ჯერ ძუნძულით შემოურბენდა ვითომ პალოს, თითქოს ქანის ასაღებად, მერე, ხელების გამალებული ფართხუნით, ჰაერშიც შეხტებოდა, თითქოს მართლა უნდა აფრინდესო, მაგრამ მიწაზე დაგრაგნილი ჯაჭვი ვითომ ჟღრიალ-ჟღრიალით გამოედევნებოდა უკან, ბებერი ქოფაკის სიზანტით, თანდათან გაიშლებოდა, გაიჭიმებოდა, ერთს ღონივრად მოქაჩავდა და ისევ მიწაზე ჩამოაგდებდა ვითომ. ხალხიც ვითომ იცინოდა, ერთობოდა და დაჟინებით მოითხოვდა, ერთხელ კიდევ, თავიდან გაემეორებინა გიჟკოლას ყველაფერი, ანუ, ერთხელ კიდევ გაფრენილიყო და ისიც ერთხელ კიდევ "მიფრინავდა", ერთხელ კიდევ ენარცხებოდა მიწაზე და, ძაღლური სულსწრაფობით, ერთხელ კიდევ ნთქავდა "გაფრენის" საზღაურს - დაობებულ პურსა და აყროლებულ ხორცს. ღამღამობით კი, მარტო დარჩენილი, ისევ ძაღლივით შეჰყმუოდა ცას - აღარ შემიძლია, ამიყვანე, როგორმე, შენთანო. მაგრამ ციდან აღარავინ პასუხობდა. ეტყობა, მამამისმა ასე იყარა ჯავრი მშობლისდამკარგავ შვილზე და ახლა, ვითომ, აღარაფერი აინტერესებდა იმისი. ის კი ცას შეჰყმუოდა ჯიუტად და ჯაჭვს აჩხრიალებდა (ამის წარმოდგენაზე, გიჟკოლას ცრემლმა მოუღიტინა ყელში და ძალიან შეეცოდა თავი). ვითომ, იმისი

www.Litklubi.ge

ყმუილი და ჟანგიანი ჯაჭვის განუწყვეტელი ჩხრიალი ხალხს ძილს უფრთხობდა და, ვითომ, ბუზღუნ-ბუზღუნით გამოეფინებოდნენ ხოლმე აივნებზე - რით ვედარ ჩაძაღლდა ეგ ოხერიო. მაგრამ, საბედნიეროდ, დრო ვითომ გადიოდა და გიჟკოლაც ვითომ დღითი დღე ბერდებოდა, სუსტდებოდა, ბრმავდებოდა, ზეზეურად ლპებოდა, ილიას მკვლელივით, და მალე, არათუ გაფრენა, ოდნავი განძრევაც აუტანელ ტკივილს აყენებდა, თვითონაც ვერ იგებდა, როდის კარგავდა და როდის იბრუნებდა გონს მნახველთა ხორხოცსა და გნიასში. მნახველებს ესეც ართობდათ, მფრინავი კაცის უძლურობაც თავისებურად საინტერესო სანახაობა იყო. გიჟკოლას კი, ვითომ, ერთი სული ჰქონდა, როდის მოკვდებოდა და მობუზული, მოწყენილი, იმასღა განიცდიდა, მამამისივით, ისიც უპატრონო მკვდარი რომ იქნებოდა. "ნუთუ, მკვდარსაც არ მომხედავს ჩემი ცოლიო, - ვითომ, გაჰკრავდა ხოლმე გულში მწარედ. - ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ მამამთილი არა ვარ იმისთვისო". და, ვითომ, ამ მწარე ფიქრში დანთქმულს აღმოხდა კიდეც ბოლოს სული. მნახველები გაწბილებულნი გაბრუნდნენ ვითომ უკან, რაკი, ერთ მშვენიერ დღეს, მფრინავი კაცი მკვდარი დაუხვდათ. მოკუნტული ეგდო პალოსთან, უშნოდ გაბურძგნული, დაიარებულ-დალილავებული, ამაზრზენიცა და საცოდავიც ერთსა და იმავე დროს. თუმცა, მნახველები მაშინვე არ გაბრუნებულან, ჯერ იფიქრეს, დასძინებიაო, და, თავიანთი ჭკუით, გაღვიძება დაუპირეს, პურისა და ხორცის ნაჭრებს ესროდნენ ვითომ, აგინებდნენ, დასცინოდნენ, ემუქრებოდნენ - გაბრაზდება და გაბრაზებულს უფრო აღარ დაეზარება წამოდგომაო, მაგრამ მკვდარს რაღა წამოაყენებდა, ისინი კი, წინასწარვე ისე განწყობილიყვნენ გასართობად, სალაზღანდაროდ, არც დაეჭვებულან, ხომ არ მოკვდაო, და "ძღვენით" რომ ვერაფერს გახდნენ, ახლა ქვა დაუშინეს გვამს, მაგრამ ქვაც უძლური იყო სიკვდილთან, ვერც ქვა გამოიყვანდა გიჟკოლას საუკუნო ძილიდან. მნახველებმაც, როგორც კი დარწმუნდნენ, მართლა მომკვდარაო, მაშინვე გაანებეს თავი, მაშინვე ამოიგდეს გულიდან და მალე მოედანზე მარტო მისი ცოლიღა დარჩა, მოშორებით ჩაცუცქული, თვალებზე თავსაფარჩამოჩაჩული და გულისგამაწვრილებლად აზმუვლებული. "აი, რა გიყო შენმა სიგიჟემო" - ამოიძახებდა ხოლმე ათასში ერთხელ. ის კი მოკუნტული ეგდო საკუთარი შარდით ატალახებულ მიწაზე და, ხრწნაგამჯდარს, ნაწილ-ნაწილ ჩამოსდიოდა, ვითომ, ხორცი (ამის წარმოდგენაზე, გიჟკოლამ ხვნეშით და ოხვრით იცვალა საწოლში გვერდი. ხოლო, მეორე გვერდზე გადაბრუნებულს, აღარც აზმუვლებული ცოლი დაუხვდა მოედანზე). ასე დარჩა ვითომ გიჟკოლა სრულიად მარტო მთელს ქვეყანაზე, რადგან ასეთია სამართალი მშობლისა, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მშობლის საფლავის მომშლელი, თავადაც ვერ ეღირსება დამარხვას, იმიტომ, რომ მშობლის საფლავი თავისებური, შეიძლება, უცნაური განძთსაცავიცაა შთამომავლისთვის, რამდენადაც განძი, ამ შემთხვევაში, სხვა არაფერია, თუ არა მიწიერი სიმშვიდე და მარადიული სასუფეველი. ასე რომ, მიწამ მისაღები მიიღო, დრომ განსაკურნი განკურნა, მაგრამ (იმდენად არ უნდოდა გამოფხიზლება), ამით მაინც არ დამთავრებულა გიჟკოლას თავგადასავალი: ახლა, ვითომ იმისმა ჩონჩხმა დაიწყო ფრენა და ცნობისმოყვარენიც ისევ მოაწყდნენ, ვითომ, აქაურობას. განსაკუთრებით, ვითომ ქარიან ამინდში იყრიდა ბევრი ხალხი თავს, რადგან ქარს, ვითომ, იოლად აჰქონდა იმისი ჩონჩხი ჰაერში და აგუგუნებულს, აჩხრიალებულს დააფრენდა პალოს გარშემო, ვიდრე ისევ მიწაზე არ დაანარცხებდა ბოლოს, რის გამოც, რასაკვირველია, ჩონჩხიც ირყეოდა ნელ-ნელა, იშლებოდა და ყოველი გაფრენის შემდეგ სულ უფრო ნაკლებად ჰგავდა ჩონჩხს. ბოლოს კი, ბორკილის ჟანგიან რგოლში ჩარჩენილ წვივის ძვალსღა არაკუნებდა, ვითომ, ქარი.

"ადე, გვაჩვენე, სად დამარხე ყაჩაღიო" - სწორედ ამ დროს წაჰკრა ხელი ლეიტენანტმა და გიჟკოლა დაფეთებული წამოჯდა საწოლში.

- გესმის, კოლა?! - დაიხარა მისკენ ლეიტენანტი. - იცოდე, თბილისში წაგიყვან, კამოზე... მერე შენს თავს დააბრალე ყველაფერი. - დაემუქრა არადამაჯერებელი სიმტკიცით. უძილობისგან თვალები ამოღამებოდა. წვერმოშვებული კიდევ უფრო გამხდარი ჩანდა. ერთი გამოძინება ალბათ სიცოცხლეს ერჩივნა იმასაც.

- ახლავე, ახლავე. - დაფაცურდა გიჟკოლა. საწოლიდან წამოხტა და ჯარისკაცული სიმარდით გაუყარა შარვლის ტოტში ფეხი.

www.Litklubi.ge

- სად მიგყავთ, ეგ უბედური, ეგ ხომ გიჟია... არ შეიძლება მაგის დაჭერა - შემოვიდა ოთახში მისი ცოლი.

- არც არავინ იჭერს, ქალო, დამშვიდდი. საფლავს გვაჩვენებს და მობრუნდება. - უთხრა ლეიტენანტმა. - ხომ, კოლა?! ხომ გვაჩვენებ?! - ჩაეკითხა გიჟკოლას ბავშვური უნდობლობითა და მოუთმენლობით.

- ახლავე, ახლავე, - ბურდღუნებდა გიჟკოლა, რადაცნაირად ჩამქრალი, მოტეხილი, გადასხვაფერებული.

www.Litklubi.ge

ცოტა ხნის მერე, როცა ბრეზენტში გახვეული გვამი მილიციელებს ამოაწოდა ხელმეორედ გათხრილი საფლავიდან, თვითონ საფლავის ფსკერზე ჩაჯდა და გულამოსკვნილი აზლუქუნდა. თან ტიროდა, თან ერთი ხელით მიწას ბოჭავდა და მეორის პეშვზე იყრიდა. გეგონებოდათ, თამაშობს, ერთობაო. იმის ჯამფილასავით პეშვზე სწრაფად იზრდებოდა ფხვიერი მიწის უფერული ბორცვი, მაგრამ მალევე ჩამოიქცეოდა ხოლმე, რათა ხელახლა ამოზრდილიყო. ხოლო, ზევით, მიწაზე, მის მომლოდინე მილიციელებს გაანჩხლებული ქარი ძვალ-რბილში უვლიდათ და წამი საუკუნედ ეჩვენებოდათ უკვე. "ადე, კოლა, სირცხვილია, მივდივართო" - გაუბედავად ჩასძახა საფლავს გიუკოლას საქციელით, ცოტა არ იყოს, შემცბარმა ლეიტენანტმა, მაგრამ გიუკოლას აღარც სირცხვილი ახსოვდა, აღარც ქვეყანა, საკუთარი ხელით გათხრილ საფლავში იჯდა და ტიროდა, რადგან ძლივს ნაპოვნსა და ძლივს დაბინავებულ "მშობელს" ისევ კარგავდა და, ვინ იცის, რამდენი ხნით, თუკი სამუდამოდ არა. ცოტაც და მართლაც სიგიჟედ იქცეოდა ყველას თვალში მისი ენით უთქმელი ბედნიერებაც, უანგარო სიკეთეც, ცოდვიდან ამოსვლის იმედიც, ქარში გვამიანად სირბილიცა და სიბნელეში მიწის თხრაც - ყველაფერი, რაც არც ისე დიდი ხნის წინ განეცადა და რისი შემაშფოთებელი შეგრძნებაც ჯერ კიდევ არ გამოსულიყო მთლიანად მისი არსებიდან. მისი ამაო ბედნიერება, ამაო სიკეთე, ამაო იმედი, ამაო შიშსა და შრომასთან ერთად, ბრეზენტში გახვეული, უკვე მილიციელებს გაედოთ მხარზე და ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა საგანგებოდ მისთვის, და რაც მთავარია, სიყვარულით გახთრილ სამარეში. ამიტომაც, ტიროდა ასე გულამოსკვნილი, მთელი ხმითა და მთელი გულით. ქვეყანაზე განრისხებულს, საკუთარი თავი ებრალებოდა და ერთი თვალიდან თუ მრისხანების ცრემლი სდიოდა, მეორედან - სიბრალულისა. "შეგვიცოდე, კოლა, ჩვენც ხალხნი ვართო" - ეძახდნენ ზემოდან გათოშილი მილიციელები, მაგრამ იმას არ შეეძლო სხვანაირად, ვინ იცის, რამდენი ხნის დაგროვილ ცრემლს, რაკი გზა ეპოვნა, ვეღარაფერი შეაჩერებდა, ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე არ ჩამოიცლებოდა. "დამაყარეთ მიწა, ხალხნი არა ხართ, ცოდო-მადლი აღარა გაქვთო" - შეჰღმუოდა ქვემოდან მილიციელებს და, მართლაც, რაღა იყო მისი სიცოცხლე, თუკი ერთი ჩვეულებრივი, თუნდაც სავალდებულო სიკეთის ჩადენაც არ შეეძლებოდა. "ოი, მამაჩემოო - მოთქვამდა თავღია საფლავში ჩაკარგული. - ოი, რა მწარე ყოფილა ამაო შრომა და იმედიო". ზევით კი, მიწაზე, მხარზე გვამგადებული მილიციელები დაბნეულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს. სიცივე სიცივედ, მაგრამ აღარ იცოდნენ, რა ეღონათ, როგორ მოქცეულიყვნენ, სიგიჟედ ჩაეთვალათ გიუკოლას ეს უცნაური გამოხდომა და ძალით ამოეთრიათ საფლავიდან, თუ გიუკოლას გულკეთილობისა და ადამიანურობის არანაკლებ უცნაურ გამოხატულებად, და, მიუხედავად აუტანელი სიცივისა, დაეცლიათ იმისთვის გლოვა. ქარსაც უარესად აღიზიანებდა თითქოს ადამიანის ტირილი და თავგზააბნეული აწყდებოდა აქეთ-იქით, აკივლებული, აწივლებული ახტებოდა პირღია საფლავს, რის გამოც, კიდევ უფრო შორიდან, ლამის მიწის გულიდან მოისმოდა ეს მართლაც რომ შემაკრთობელი, შემაძრწუნებელი ხმა. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა ლეიტენანტმა საფლავიდან ამოღებული მიწის ბორცვზე ჩაიმუხლა, ლამის ჩაეკიდა საფლავში და მღელვარებისგან ხმაგაუხეშებულმა, დაუტატანა: ძალით ამოგიყვანოთ, თუ როგორაა შენი საქმეო. გიუკოლაც მაშინვე წამოხტა, რადგან, ერთი წამით, ისევ ცხადად დაუდგა თვალწინ, როგორ სასაცილოდ ფართხალებდა მილიციის სარდაფის გისოსიან სარკმელში ფრთაგახლართული. ის კი არა, შეშფოთებულმა, ხელიც ამოაწოდა ლეიტენანტს, მომეხმარე ამოსვლაშიო. მეორე ხელით კი ცრემლიან სახეს იხოცავდა. "რა იყო, კოლა, რას გვერჩი, უნდა დაგვაციო, მაინცდამაინცო" - დაუძახა არამინდარამ. გრძელოსა და ნესვას ბრეზენტში გახვეული გვამი ეჭირათ და, ამიტომაც, პირველები ისინი დაიძრნენ. იმათ არამინდარა მიჰყვათ, ხელი რომ შეეშველებინა ამხანაგებისთვის, საჭიროების შემთხვევაში. აქსუტუნებული, ცრემლითა და მიწით პირმოთხუპნული გიუკოლა ლეიტენანტმა წინ გაუშვა და თვითონ ბოლოში მოექცა ამ უცნაურ პროცესიას. მიდიოდა და ფიქრობდა: მართლაც, რა უცნაურია ცხოვრება, რამდენნაირი ადამიანია ამ ქვეყანაზეო. გიუკოლას კი თავისი დილანდელი ჩვენება ახსენდებოდა ისევ, მამამ რომ ჩამოსძახა, ვითომ, ციდან, დაიქნიე ხელები და ამოფრინდებიო. ისიც გაახსენდა, როგორ

ალივლივდა უცებ ჰაერში, როგორ აარტყა სარდაფის თაღს თავი... მაგრამ ხომ შეიძლებოდა, იგივე მომხდარიყო ცხადშიც, თუკი ყველაფერს ზუსტად ისე შეასრულებდა, როგორც მამამ დაარიგა ჩვენებაში?! რატომ არ შეიძლებოდა ვითომ, ცხადშიც გაფრენილიყო, თუკი ჩვენებაში ფრინავდა?! განა ჩვენებაში თვითონ იცვლებოდა?! განა ისეთივე გიჟკოლა არ იყო, როგორიც ცხადშია?! ოღონდ, რაც მართალია, მართალია, ჩვენებაში გამბედაობაც მეტი ჰქონდა და თავსაც მეტს ავალდებულებდა. მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი ალბათ მაინც ის იყო, მამის სიტყვისა რომ სჯეროდა და მამის მითითებას რომ ასრულებდა დაუფიქრებლად. ხოდა, წესიერად დამთავრებულიც არ ჰქონდა ეს ფიქრი, ხელები ფრთებივით რომ დაიქნია, რამდენჯერმე, ზედიზედ, და ისე იოლად, ისე მსუბუქად მოსწყდა მიწას, აღარც გაჰკვირვებია, თითქოს ასე ფრენა-ფრენაში გაეტარებინა მთელი სიცოცხლე. ერთი წუთის წინ ცოცხლად იმარხავდა თავს, ქვეყანას იკლებდა მოთქმა-ტირილით, ახლა კი, ხელებაფართხუნებული და სუნთქვაშეკრული, არარსებულ ცაში დალივლივებდა, რომელიღაც უშნოდ გაბურძგნული და მოუქნელი ფრინველივით. "მოკითხეთ ახლა ამას ჭკუაო" - გაეცინა გუნებაში უკან მიმავალ ლეიტენანტს.

www.Litklubi.ge

ექიმი, ვინ იცის, მოვიდა და წავიდა კიდეც, ნიკოს კი არაფერი გაუგია, ისევ წაიღო ბურანმა, ფიქრმა, სიზმარმა. თუმცა, არა, არავითარ შემთხვევაში, თვითონ თუ ვერ გაიგებდა, ბებია და დეიდა გააგებინებდნენ. არც თავად ექიმი გამოაპარებდა თავის მოსვლას. "აბა, დღეს როგორა გრძნობს თავს ჩვენი ყაჩაღი?! ოხ, ბოდიში, ყაჩაღი კი არა, ყოჩაღი. ყოჩაღი მინდოდა მეთქვა". ძნელია იმის არშემჩნევა. მთელი სახლი აფორიაქდება ხოლმე: სკამები ჭრაჭუნობენ, ფარდები ფრიალებენ, წიგნები თავისთავად იფურცლებიან - საბერველივით სუნთქავს, მაგრამ პაპასავით გულჩვილი, გულკეთილი კაცია. განგებ იბღვირება, ავადმყოფებს აშინებს, არ გათამამდნენ და მთლად არ დაკარგონ ექიმის ხათრი და მორიდებაო. "ექიმისა თუ არ გჯერათ, მარტო წამალი ვერ გიშველით". ლაპარაკიც გემრიელი იცის. თან ქოშინებს, ხიხინებს, თუმცა, სულ ერთსა და იმავეს ამბობს და სულ ერთსა და იმავეს აკეთებს. ისუნთქე. არ ისუნთქო. ისუნთქე. არ ისუნთქო. აბა, თუ ჩაახველებ. ყოჩაღ. რაღა შენ და რაღა ბაში-აჩუკი. აბა, ერთხელაც გავაღოთ პირი. უფრო. უფრო მეტად. ბეეე, ბეეეეე-მეთქი, შე დედალო, თხამ როგორ უნდა გაჯობოს?! მაგრამ ეს "ერთი და იგივე" ყოველ მოსვლაზე ახლებურად გამოიყურება და ახლებურად ჟღერს, რადგან შენ აღარა ხარ ისეთი, როგორიც გუშინ იყავი. ის კი არ უნდა შეიცვალოს (ღმერთმა ნუ ქნას!), შენ უნდა შეგცვალოს იმან, ექიმის "ერთმა და იგივემ" შენ უნდა მოგაბრუნოს სიცოცხლისაკენ, ყველაზე მარტივი ხერხებით, უმარტივესად უნდა წარმოგიდგინოს ცხოვრების სურათი, როგორც "დედაენაში" დახატულმა რთველმა, მკამ ანდა ზამთარმა - გული რომ მოგიბრუნდეს ცხოვრებაზე და თუ იქამდე არ გიყვარდა, შეგიყვარდეს კიდეც, დაგენანოს იმის დათმობა, თორემ, მარტო წამალი მართლა ვერაფერს გიშველის. და აი, ერთხელ კიდევ შემოდის ისიც შენს ოთახში, აქოშინებული, ახიხინებული. ადმართში ქოშინი უვარდება. ამიტომაც ამბობს ხოლმე, შემოსვლისთანავე, მკურნალო, განკურნე თავი შენიო. ჯანი მიაქვს დროს, დაო ჩემო, მაგრამ შენ თუ იცი, რას მიაქვს დრო? რასა და, უაზრო ფიქრსა და ოცნებას. კაცი საომრადაა გაჩენილი, ერთი წუთით არ შეიძლება იმის გაჩერება, მაშინვე ხავსი შეაცოცდება გულზე, სულ რაღაცას უნდა ეჭიდებოდეს, მიათრევდეს, ანგრევდეს, აშენებდეს. დაწოლილი შორს ვერ წავა. ვერც ოცნებით მოიწევს პურს. შიშსაც უნდა შეეჩვიოს. ჩვენს დროში შიში საშიში არ არის, მაგრამ ფილტვების ანთებისა კი რა მოგახსენოთ. შემოვა თუ არა ოთახში, მაშინვე სახსრებმოშლილ სკამზე ჯდება და ბარძაყებზე ხელებდაბჯენილი, იატაკს დასცქერის, თითქოს რაღაცა, პატარა, ძნელად შესამჩნევი ნივთი დავარდნია და იმას ეძებსო. ფერი წასვლია, სახე მორღვევია. ასაკიც თავისას შვრება. უკვე მართლა დროა, თავად განკურნოს მკურნალმა თავი თვისი. მაგრამ თანდათანობით, სუნთქვა უმშვიდდება, ფერი უბრუნდება და ისიც ისევ მზადაა სხვათა მისახედად, გადასარჩენად. ჯერ კი იღიმება, ექიმის გადამდები, გამამხნევებელი ღიმილით. ღიმილით იუწყება (რაკი ჯერ კიდევ უჭირს ლაპარაკი), ყველაფერი კარგად იქნებაო, რადგან სწორედ ამის გაგონებას ელოდებიან მისგან, ამის დადასტურებას, არც ის აყოვნებს და ვიდრე ლაპარაკის უნარი დაუბრუნდებოდეს, ღიმილს ალაპარაკებს, ექიმის ღიმილს, ცრემლით, ტკივილით, ტანჯვითა და სიკვდილით გასპეტაკებულს, განწმენდილს, გასალკლდევებულს, საუკუნეთა მანძილზე დადგენილს, მასწავლებლის სახისა არ იყოს, დაკანონებულს და აი, ბოლოს, ამ საბრალო, სნეული მოხუცის ტუჩპირზედაც დადუღაბებულს ავადმყოფის რწმენითა და იმედით, ისევ ავადმყოფთა გასამხნევებლად, გამოსაბრუნებლად, გამოსაცოცხლებლად. მერე ფეხზე სხარტად წამოდგება, ხიხინ-ქოშინით გაიხდის პიჯაკს, თავის ჭრაჭუნა "ცხენს" მოახურავს, ვითომ, არ შეგცივდესო, ოფლიანს ქარმა არ დაგკრასო, თვითონ კი, ისევ ხიხინ-ქოშინით, მკლავებს დაიკაპიწებს და ბებიას გასძახებს: სადა ხარ, ჩემო პირისფარეშოო. ბებიასაც უკვე ყველაფერი წინასწარვე აქვს გამზადებული: ტაშტიც, განელებული წყალიც, საპონიც, პირსახოციც. ერთ ხელზე პირსახოცი გადაუკიდია, მეორეში ქეთლი უჭირავს და სახეში შეჰფოფინებს ექიმს. დიახაც, დაუდგება პირისფარეშად. რატომაც არა?! რა სათაკილოა ექიმის სამსახური?! სათაკილო კი არა, პატივია. გინდა ექიმისთვის დაგიბანინებია ხელი და გინდა ღმერთისთვის. თავისებურად ექიმიც ღმერთია - რამდენი ჰყავს ჩვენისთანა გაჭირვებული, რამდენია იმის მოიმედე, რამდენი ელოდება მოუთმენლად! ექიმიც გრძნობს, აქ რომ აფასებენ, პატივს სცემენ, სწამთ და სჯერათ მისი, და დინჯად, გემრიელად ისაპნავს ხელებს.

www.Litklubi.ge

თან ღიმილგარეული ხმით ეკითხება ბებიას, როგორ იყო, ლეჩაქის ნაკუწით რომ გიპოვა ჩემმა მეგობარმაო (ესე იგი, პაპამ). უკეთეს დროს იხსენებენ, საუბრობენ თავისებურად, ძველებურად. პაპაც ყვება ხოლმე ამ ამბავს, ნასადილევს, კვარტიანის გამოწრუპვის შემდეგ, ბებიის გასაბრაზებლად - ეგ პირველი შემთხვევა არ იყო, სულ ასე გარშემო მივლიდა, ვიდრე ხელში ჩამიგდებდაო. აიქროლებდა და ჩაიქროლებდა ჩემი სახლის წინ, ვიდრე მოთმინებიდან არ გამომიყვანა და ვიდრე მეც უკან არ გამოვედევნეო. ბოლოს, აუცილებლად უნდა დაამატოს: ქალი ისეთი ჯიუტია, თავისას მაინც გაიტანსო. ბებია კი თავს იკლავს, ტყუილიაო, ნეტავი, ვის რად სჭირდებოდი, ვიცოდი კი შენი არსებობაო. მაგრამ, ასეა თუ ისე, ყველა ზღაპარი მოგონილია ამ ამბავთან. ეტყობა, ადრე თავად ცხოვრება იყო ზღაპრული. ქალიშვილი ქალი ისე აიქროლებდა და ჩაიქროლებდა, ცხენზე ამხედრებული, შენი სახლის წინ, ვითომც არაფერი. ახლა ქალიშვილი ქალი მოტოციკლზე რომ დაინახონ, გათავდა, მაშინვე გამოუყვანენ წირვას, ეგ ყოფილა, რაც ყოფილაო. ძველად კი წესი იყო ცხენით სიარული, კაცისთვისაც და ქალისთვისაც. ლამაზი სანახავიც იქნებოდა ალბათ ამხედრებული, გრძელკაბიანი, ჩიხტაკოპიანი ქალი. ქალებს თავიანთი განსაკუთრებული უნაგირიც ჰქონიათ. ხოდა, ერთხელ, ლეჩაქი გამოუდია ნიკოს ბებიას ნიკოს პაპის ეზოდან გადმოშვერილ ტოტზე. თვითონ ჭენებ-ჭენებით გაუგრძელებია გზა - მაშინდელი ქალები ძალიან უფრთხილდებოდნენ ლეჩაქს, რადგან ლეჩაქი მათი სიწმინდე-პატიოსნების სიმბოლო იყო - ლეჩაქის ნაკუწი კი ხის ტოტისთვის შეუტოვებია, გამოწვევის, მიწვევისა თუ რაღაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნის მაუწყებელი ნიშანივით. ლეჩაქის ნაკუწსაც იქამდე უფრიალია და უბუბუნია ტოტზე, ვიდრე პაპას არ შეუმჩნევია, არ ჩამოუხსნია ტოტიდან და, იმიანად, არ გამოდევნებია უკან მისი ბაღის ტოტზე ლეჩაქშეხეულ ქალიშვილს. სდია, სდია და პირდაპირ იმათ სახლს მიადგა თურმე კარდენახში. ბებიის გახვითქული ცხენი ჯერ კიდევ ეზოში დაჰყავდა ბიჭს (შეიძლება, სულაც გიგო პაპას). იგონებს ყველაფერსო - იძახის ბებია, მაგრამ თვალები ისე აუციმციმდება ხოლმე, თითქოს ისევ ის დრო დაბრუნებულაო, თითქოს ეს წუთია ცხენიდან ჩამომხდარს, სხვა ცხენის ფრუტუნზე გზისკენ გაუხედავს და პაპა დაუნახავს, ხელში მისი ლეჩაქის ნაკუწით. სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო - პაპას აჯავრებს ექიმი. თავს დააბრალოსო - იცინის ბებია. ნიკოს ჯერ ვერც ამჩნევენ თითქოს, ჯერჯერობით, საერთოდ არ აინტერესებს თითქოს ექიმს იმისი ასავალ-დასავალი, ხელებს დინჯად ისაპნავს, ისრესს, თითქოს ძლივს ეღირსა წყალი და საპონიო, თან ბებიას ემასლაათება, რაც არ უნდა იყოს, იმათ უფრო ესმით ერთმანეთის, ორივენი ძველები არიან, ორივეს ახსოვს ძველი დრო, რაც მთავარია, ერთმანეთის ბავშვობაც ახსოვთ, ეს კი იგივე თანამზრახველობაა, თანაც რამე, თუნდაც უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში კი არა, თავად ცხოვრებაში, წარსულიან-აწმყოიან-მომავლიანად. ამიტომაც, ბევრი აქვთ გასახსენებელი - საერთო ნაცნობები, გარდაცვლილნი, დაკარგულნი, დარჩენილნი. მკვდარს შენდობა უნდა, დაკარგულს - თანაგრძნობა, დარჩენილს - შექება, გამძლეობისთვის, სიჯიუტისთვის. დინჯად ისაპნავს ხელებს და დინჯად ემუსაიფება ბებიას. ნიკო კი, გატრუნული უსმენს. აინტერესებს, მაგრამ, რატომღაც, რცხვენია კიდეც, თითქოს სხვის სარკმელში იყურება. ის დრო სჯობდა, ჩემო დაო, ყველასთვის. შენი ქმრისთვისაც. სჯობდაო?! აღარ არის, საწყალი. ამოიხრჩო იმ დასაქცევ წნორში. სუფთა ლოგინი იმან აღარ იცის და ცხელი კერძი. თავი გაიყიდა ჩვენი გულისთვის. რას იზამთ, რას იზამთ. ასეა ცხოვრება. ცხოვრება ომია, დაო ჩემო, თუ სუსტი ხარ, დაიღუპები. სხვას უნდა მოუცალო ადგილი. შენი ნებით არ მოცლი, ძალით მოგაცლევინებენ. იცოცხლე და იდღეგრძელე, ასე გემრიელად ვერსად დაგაბანინებენ ხელს. კარგი, ერთი! ნეტავი რამე შემეძლოს. ის კი უკვე ხელებს იმშრალებს ღუნღულა პირსახოცით, ისევ დინჯად, ისევ აუჩქარებლად, ისევ გემრიელად - თითქოს ავადმყოფის გასასინჯად კი არ მოსულა, ავადმყოფს უნდა აჩვენოს, აი, როგორ უნდა ხელის დაბანაო. იმის წასვლის შემდეგ, მთელ სახლში რაღაცნაირი, იმედიანი, დამამშვიდებელი დუმილი ჩამოვარდება ხოლმე. ყველაფერს სისუფთავის სუნი ასდის - საპნისა, განელებული წყლისა, გაუთოვებული პირსახოცისა და, გინდა-არგინდა, ძალაუნებურად, შენც უკეთეს დღეებზე ფიქრობ; თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, უარესი რომ აღარ გახსოვს, ან აღარ ელოდები უარესს. პირიქით, ახლა

www.Litklubi.ge

კიდევ უფრო მეტადა ხარ მზად, განწყობილიც, უარესთან შესახვედრად. ბოლოს და ბოლოს, როგორც მოვა, ისევე წავა. ერთი კარგი დღე კი, კარგად დასამახსოვრებელი ერთი წუთი, ტანჯვის საუკუნეს გადაგვატანინებს. თანაც, იმდენი კარგი გახსოვს უკვე, დიდხანს გეყოფა ცუდთან საომრად, დიდხანს გამოიზოგავ ობლის კვერივით, ყაჩადის ტყვია-წამალივით, ტუსადის სანთელივით... და გინდაც ადარაფერი გადაგხდეს თავს, რაც გადაგხდომია, ისიც ეყოფა ერთ ნებისმიერ სიცოცხლეს, რადგან წლების რაოდენობით კი არ განისაზღვრება, თურმე, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, არამედ - მახსოვრობის მარაგით; ამიტომ, მთავარი ის კი არ არის, თხუთმეტისა ხარ თუ ას თხუთმეტისა, არამედ - რამდენი გახსოვს, კარგიც და ცუდიც. ასე რომ, თხუთმეტი წლის ბიჭს, შეიძლება, ნუკრიანელ მათუსალაზეც მეტი ჰქონდეს ნაცხოვრები. ხოდა, აბჯარივით გადაიცვამ შენს მოგონებებს და, რაკი ექიმმა ბრძანა, არ იკითხოსო, არ დაიღალოსო, ფიქრის როსინანტზე ამხედრებული, ერთხელ კიდევ შებრუნდები გამოვლილ ცხოვრებაში. რას ნახავ უკეთესს?! რითი გაირთობ თავს უკეთესად?! შენიანებიც ყველანაირად შეგიწყობენ ხელს, უფრო სწორად, სიტყვა-სიტყვით შეასრულებენ ექიმის დანაბარებს, სათოფეზეც არ დაგანახვებენ წიგნს, ხმასაც არ ამოგაღებინებენ, დაღეჭილს ჩაგიდებენ პირში ლუკმას და, შეიძლება, დაგაბან კიდეც საწოლზე, საერთოდ რომ არ გაინძრე. შეიძლება, ბანგიც შეგაპარონ "კატების ლიმონათში", დღეში სამჯერ რომ გასმევს დეიდა სუფრის კოვზით და თვითონაც იჭყანება. თუმცა, ბანგი ალბათ ისედაც ურევია იმ საზიზღრობას, რადგან მაშინვე ყინწი მოგწყდება ხოლმე, მაშინვე ზურგზე მოგიგდებს ხოლმე კუდიანი დედაბერი და წაგაცუხცუხებს სიზმრებისა და ჩვენებების ზდაპრულ სამეფოში. შენც აღარ გინდა, გამოფხიზლდე, გამოიღვიძო, გამოერკვე, სულ იქ გინდა დარჩენა, გაღიზიანებული, გაბოროტებული ქვეყნის ხმებით დამფრთხალი, დაძაბული და მაინც ტკბილი ძილის ზვირთებში. ვერ ამოყურყუმალავებულხარ ტკბილ-მწარე ბადაგის ზღვიდან და ყასიდად, ზერელედ დაეძებ საკუთარ არსებას საკუთარ არსებაში, უფრო იძულებული, ვიდრე მოწადინებული, რადგან თავზეხელაღებული მყვინთავი კი არ ხარ, ჩაძირული ხომალდის გაძარცვა რომ განუზრახავს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი ხარ, უფრო სწორად, ერთადერთი პატრონი და ქომაგი დანგრეული ოჯახისა და ყველაფერი უნდა სცადო, კიდევ ერთი დღე რომ გამოსტაცო ცხოვრებას. რაც ხელში მოგხვდება, ის ამოგაქვს ზღვის ფსკერიდან - ბალახი, ღრუბელი, ნიჟარა - ხან კი - არაფერი, და ყურებაწივლებული, თვალებჩასისხლიანებული, ფართხაფურთხით რომ ამოყვინთავ დამფრთხალი, დაფეთებული ძილის ტყვიისფერი ზვირთებიდან და დაბუჟებულ ხელს გაშლი, წყალწყალა სილა ჩამოგეწუწება ხოლმე გაფარჩხულ თითებს შორის. არაფერი გაგაჩნია საკუთარი, მხოლოდ და მხოლოდ საფრთხისა და გარდაუვალი უბედურების მოლოდინი, რომელიც კი არ გიქრება დროთა განმავლობაში, დღითი დღე კიდევ უფრო გიმძაფრდება, თუმცა, ომიც რახანია დამთავრდა და მამაც რახანია საწოლსაა მიჯაჭვული. მაგრამ მოლოდინის ეს შემაწუხებელი შეგრძნება უფრო ადრე გაგიჩნდა შენ, ვიდრე ომი დაიწყებოდა და ვიდრე მამას საავადმყოფოში წაიყვანდნენ სანიტრები. ამ სისხლისგამყინავი, სულისამწეწავი მოლოდინით იყო შეპყრობილი ყველაფერი. უფროსები ჩუმად, ლამის ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ, რაც შეიძლება უხმაუროდ გაეკეთებინათ ნებისმიერი საქმე. ერთ ადგილას მოულოდნელად გაშეშებულნი, ქანდაკების მოთმინებით მიაყურადებდნენ ხოლმე, კაცი ჩაივლიდა ქუჩაზე, ეტლი თუ იშვიათი მანქანა. არადა, ჯერ კიდევ გუშინ, ნიკოს მამიდაშვილების წყალობით, მეორე არ მოინახებოდა მთელს ბათუმში უფრო ხმაურიანი და მხიარული სახლი. სხვა თუ არაფერი, მთელი დღე არ გაჩუმდებოდა ხოლმე პიანინო - კვნესოდა, მოთქვამდა, ქვითინებდა თორმეტი ხელით ნაცემ-ნაგვემი. ახლა კი, ერთბაშად ათვალწუნებულს, მოემუწა შავი პირი და, თითქოს ისიც რადაცას ელოდებაო, ზურგით აჰკვროდა კედელს. ხოლო, ეს საყოველთაო, საერთო, სულიერ და უსულო საგანთა გამაერთიანებელი მოლოდინი განსაკუთრებით ღამით იყო ძნელი ასატანი, რადგან მთელი დღის დუმილითა და უძრაობით დაქანცული საგნები ღამღამობით თავისთავად იწყებდნენ ხმაურს, თავისთავად იცვლიდნენ ადგილს და მოლოდინით დამუხტულ სიჩუმეში ხან კარი გაჯახუნდებოდა შემაშფოთებლად, ხან სკამი გაჭრაჭუნდებოდა და ხან

www.Litklubi.ge

რომელიღაც მობოშებული, მოთმინებადაკარგული სიმი ამოიგმენდა პიანინოს შავბნელ სიცარიელეში. დილით კი ყველა რაღაცას დაეძებდა - კბილის ჯაგრისსა თუ თმის სამაგრს, საათსა თუ ბეჭედს - და გამწარებული ირწმუნებოდა, წუხელაც იქ დავდე, სადაც საერთოდ ვდებო. "აბა, სიარული უსწავლია და ეგა�ო" - ღვარძლიანად იცინოდა მამიდა. თავისთავად ცხადია, შენც ჩართული იყავი ამ მოლოდინში, გრძნობდი, განიცდიდი, ექვემდებარებოდი კიდეც იმის დამთრგუნავ, დამაკნინებელ ძალაუფლებას და აღარ ჭირვეულობდი, როცა დედა მღელვარე სიმშვიდით, დაბნეული ყურადღებით გაწვენდა ლოგინში (თითქოს გრძნობდი, ხვალ და ზეგ ესეც სანატრელი გაგიხდებოდა), და მკაცრად, ბრაზიანად გვევდრებოდა, არაფერზე აღარ გეფიქრა, სასწრაფოდ დაგეხუჭა თვალები და სასწრაფოდ დაგეძინა, რადგან, თურმე, არავის აღარ ჰქონდა შენი თავი. "აღარ შემომიყვანო, იცოდეო" - ნაზად დაგემუქრებოდა შუქის ჩაქრობამდე და დიდ ოთახში გავიდოდა თვითონ, სადაც თითქოს მხოლოდ იმიტომ იკრიბებოდნენ უფროსები, თავიანთი დაბნეული, უაზრო და უთავბოლო ლაპარაკით, უარესად რომ გაედიზიანებინათ შენი ისედაც გაღიზიანებული ცნობისმოყვარეობა. რა თქმა უნდა, არ გესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, ამდენის მიხვედრა არ შეგეძლო ჯერ, მაგრამ გრძნობდი (კანი აგებურძგნებოდა ხოლმე რატომღაც), თავს რომ არ იქცევდნენ, გასართობად რომ არ ეცალათ იმათ - რაღაცაზე კამათობდნენ განუწყვეტლივ, რაღაცაზე ვერ თანხმდებოდნენ ვერაფრით და ვერც შეთანხმდებოდნენ ალბათ, რადგან ყველას ერთდროულად უნდოდა თავისი აზრის გამოთქმა - კი არ ლაპარაკობდნენ, ლაპარაკს არ აცლიდნენ ერთმანეთს... ესე იგი, შენც ასე მიგაჩნია, არა?!. მე ეგ არ მითქვამს, მე ვთქვი, ასე თქვეს-მეთქი... ...კი მაგრამ, სიმართლე ხომ არსებობს, თავისთავად, მიუხედავად ყველაფრისა... ...ახლა სხვა დროა, ჩემო კარგო, ხანდახან, შენც უნდა დათმო ცოტა... და შენც, თანდათანობით, ცოტცოტაობით, ყველაფერს თმობდი. "წადი, ტურავ, დაიკარგე აქედანო" - გულნატკენი, გულაჩუყებული უმღეროდი საკუთარ თავს, რადგან დედას აღარ ეცალა შენთვის, არ ჰქონდა შენი თავი, და სხვა ყველაფერთან ერთად, რითაც ასე მომხიბვლელი, ასე გამორჩეულად ძვირფასი იყო შენი ხანმოკლე ბავშვობა, უკეთესი დრო შენი ცხოვრებისა, წითლად გაბურძგნული ტურაც, თუკი, რასაკვირველია, რამე ეცხო ტურისა, რამეთი მაინც ჰგავდა ტურას შენს მიერ წარმოდგენილი და, მხოლოდ და მხოლოდ დედის სიმღერის ბინადარი, უცნაურად სასაცილო, უცნაურად საბრალო არსება - სამუდამოდ იკარგებოდა ტყეში, სოროში, მოუსავლეთში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო უბედურება, ჯერ კიდევ ერთად იყავით ყველანი. ეს ჯერ კიდევ ბედნიერებისკენ ბრმა ლტოლვა იყო, ბედნიერების შენარჩუნების ამაო სურვილი და არა უბედურება, ომობანა და არა ომი. ქუჩაში ცხენოსანი ჯარი ჩაივლიდა ხანდახან და იმისი მძაფრი, შემაშფოთებლად სასიამოვნო სუნი ადიდებულ ზღვასავით ჩადგებოდა ეზოებში, სახლებში... ანდა, თვითმფრინავი ნელი ზუზუნით გადაივლიდა ქალაქზე და მთელი ცა თეთრი, პაწაწკინტელა ფთილებით გადაიპენტებოდა ერთბაშად - თეთრი, პაწაწკინტელა ფთილები მალე პარაშუტებად გადაიქცეოდნენ და ერთმანეთის მიყოლებით ჩაცვივდებოდნენ ზღვაში. მაგრამ უკვე ისე გაგჯდომიათ ძვალ-რბილში ავის მოლოდინი, აღარც ნამდვილი ომის დაწყება გაჰკვირვებია ვინმეს, აღარც თავსდამტყდარი ნამდვილი უბედურება. ეგ იყო, რომ იმავე წამს დამთავრდა, გაუქმდა და გაუფასურდა ყველაფერი, რითაც იქამდე სულდგმულობდით, რაზეც იქამდე თვალი და ხელი მიგიწვდებოდათ და რასაც იქამდე საერთოდ არ ედო თქვენთვის ფასი. ამიტომაც არ გაგაჩნია არაფერი საკუთარი, უპოვარი ხარ, ის ერთი ბეწო ადგილიღა ადასტურებს შენს არსებობას, გაურკვევლობის წყვდიადში რომ გიკავია და უსასრულო, უკიდეგანო სამყაროს ტოლფარდია შენთვის, რადგან თავისუფლად ეტევა ზედ მთელი შენი ცხოვრება, ყველაფერი, რაც შენიანებს, შენიანად, დღემდე გადახდენიათ და ჯერ კიდევ უნდა გადახდეთ თავს - ისაა ერთადერთი დასაშვები და სასურველი ადგილი, სადაც ყოველ წუთას მზადა ხარ ნებისმიერ უბედურებასთან საბრძოლველად და სადაც, მიუხედავად ყველაფრისა, ანდა, სწორედ ყველაფრის გამო, შემაძრწუნებლადა ხარ ბედნიერი, და თუკი იმას მაინც შეგინარჩუნებენ, მადლობელი იქნები, დიდი მადლობელი იქნები ბედისა, ქვეყნისა, ხალხისა, ყველასი და ყველაფრისა -

www.Litklubi.ge

ჯერჯერობით, ეს შეგიძლია მხოლოდ, მარადიული მადლობის თვალაუწვდენელ, დამაყრუებლად მოგუგუნე კოცონს შეემატო, შეეკეთო ფიჩხივით, ნაფოტივით. ამიტომ, უსიტყვოდ უნდა მიიღო, რასაც ცხოვრება გიწყალობებს, თვალდახუჭულმა უნდა მიიღო, რადგან მაინც ვერ აუქცევ გვერდს იმას, რაც არ გსიამოვნებს და მაინც ვერ მიეახლები იმას, რაც გსურს. დედა ახლა კი არ გაძინებს, გაღვიძებს მხოლოდ - უკვე დროა, ჩემო დიდო კაცოო - ჩაგჩურჩულებს ყურში დამცინავი სიბრალულით, გაღიზიანებული თანაგრძნობით, რადგან თვითონაც გამწარებულია, თვითონაც სულ გაქცევაზეა, თვითონაც სულ უგვიანდება საავადმყოფოში. გარეთ კოკისპირულად წვიმს, ნაცრისფერ, დაბურულ წვიმას ძლივს გამოარღვევს ხოლმე პორტის შორეული ღმუილი, თითქოს კბილატკივებული დათვი გამოვარდა ტყიდანო. საზენიტო ქვემეხის ჭურვის ნამსხვრევებით ჩალეწილი კრამიტი ვეღარ აკავებს წვიმას. ჭერი ათასნაირად დაკლაკნილი გველების, პირდაღებული ურჩხულებისა თუ ეშვიანი დევების მსგავსი ლაქებითაა მოფენილი. დედის ხმაში სასაცილოდ გაბურძგნული, ეშმაკურად თვალებაწრიალებული ტურა კი არ დაცუხცუხებს ძველებურად, გამჭვარტლული ნავთქურა ბუუტავს და ცარიელი, ჟანგით ძირგამოჭმული ქვაბი ჟღრიალებს. შენც მაშინვე იღვიძებ, ფაცაფუცით დგები საწოლიდან, შიშველი ფეხები წესიერად, მთლიანად ვერ დაგიდგამს გათოშილ იატაკზე. სიჩქარეში არასწორად იბნევ ღილებს, მაგრამ ამის გამოსწორება მერეც შეიძლება, ნავთის რიგში, პურის რიგში, უცხო ხალხში, ახლა კი, ამის დრო არ არის, ახლა მთავარია, დედამ არ შეგატყოს, უპირველეს ყოვლისა, იმას რომ გაურბი, იმას რომ არიდებ თავს, რადგან აღარ გახსოვს, როგორ უნდა მოექცე დედას. არ იცი, რა ამბავია შენს თავს, არ იცი, რატომ მოხდა ასე, არ იცი, რადგან არ უნდა იცოდე - ამის ცოდნა კიდევ უფრო უარესად დაგასუსტებს, მშიერს ამოგხდება სული, მშიერს დატოვებ შენს იმედზე დარჩენილ ხალხსაც. ირგვლივ იდუმალი სიბნელეა, შენ კი პატარა, უმნიშვნელო ნაწილი ხარ იდუმალი სიბნელისა. სიბნელიდან მოსული სიბნელეს უბრუნდები და, ამიტომაც, ბრმად, უფიქრელად, გვერდჩაჭყლეტილი ბიდონივით, უნდა მიეხეთქო ყველაფერს, რაზედაც მიხეთქება შეიძლება, ხორცის შეტოვება, ძვლის მიმსხვრევა, ტვინის მინთხევა, რადგან მხოლოდ ბნელი ტკივილი (თუ მტკივნეული სიბნელე?!) აქცევს შენს სიცოცხლეს სინამდვილედ, მხოლოდ ის დაგიდასტურებს, ნამდვილად რომ არსებობ, ნამდვილად რომ თვითონა ხარ, თუნდაც საკუთარი თავისთვის მაინც. შენც ბრმა ტკივილისა თუ მტკივნეული სიბნელის მონა ხარ და ეს მონობაც შთამომავლობითა გაქვს მიღებული. ამიტომაც დგები სიტყვის შეუბრუნებლად დილაუთენია, სანახევროდ მძინარე, სანახევროდ მშიერი, სანახევროდ გათოშილი - ნავთისა თუ პურის რიგის დასაკავებლად - და არასოდეს დაგიჩივლია ჯერ, არასოდეს დაგიხევია უკან, რადგან არც არაფერი გიბიძგებს ურჩობისკენ, არაფერი გიღვიძებს ამბოხის ჟინს - ყველა რაღაცაზეა მიბმული, როგორც მამაშენი საწოლზე; ყველა რაღაცას დაეძებს, როგორც დედაშენი წამალსა თუ ერთ მათლაფა ბურღულს, და ამით ამოიწურება ნებისმიერი სურვილი, ესაა ცხოვრების მიზანი და ესაა მწვერვალიც, რომელიც გნებავთ ოცნებისა. და შენც, ყელზე ძილის ქვაშებმული, ისევ შლამში აფათურებ ხელებს, თვალ-მარგალიტს დაეძებ, შენი ჭკუით, რომელმაც ბედნიერება უნდა მოუტანოს ყველას, უკლებლივ ყველას, ვისაც პურზე მეტად, ნავთზე მეტად სჭირდება ბედნიერება. ხელისცეცებით უვლი გარშემო ბავშვობის ჩაძირულ ხომალდს, ხომალდის ჩონჩხს, წყალმცენარეებით გაკოჭილს, მედუზებისა და კიბორჩხალების საბუდარს, საიდანაც განძი უკვე გაუზიდავთ ვიღაცებს და ახლა მხოლოდ წვრილი ლიფსიტები გამოსხლტებიან ხოლმე, როგორც ჩანავლებული, ჩასაქრობად განწირული ცეცხლის უკანასკნელი ნაპერწკლები. შენ კი თვალდახუჭული მამის ხმა გიდგას ყურებში - რასაც შენი ნებით დათმობ, ვეღარასოდეს დაიბრუნებო - და უფრო მეტი გააფთრებით დაეძებ მოულოდნელად, მართლაც, თვალსა და ხელს შუა გამქრალ ბავშვობას, თითქოს მაინცდამაინც ბავშვობას ეხებოდა მამის ნათქვამი, ანუ, იმას, რისი შენარჩუნებაც სრულებითაც არ იყო შენზე დამოკიდებული. მაგრამ ერთადერთი ნათელი და სრულყოფილი შეგრძნება, მამის პალატაში რომ დაგეუფლა, სწორედ ბავშვობასთან განშორების შეგრძნება იყო - თითქოს მამის პალატაში, ცივი კატლეტის სუნით გაბრუებულსა და ბნელი, მტანჯველი სიყვარულის თოკებით გაკოჭილს, უჩინარმა დასტაქრებმა

www.Litklubi.ge

ბავშვობა ამოგჭრეს გულიდან. მაგრამ შენ ტკივილი არც გიგრძვნია, რადგან დიდი ხნის შეგუებული იყავი თურმე იმის დაკარგვას, ტანით იცოდი, უიმისოდაც რომ შეძლებდი ცხოვრებას, როგორც უგლანდებოდ და უბრმანაწლავოდ, და იქამდე შეგეშინდა უიმისოდ დარჩენისა, ვიდრე უიმისობას შეიგრძნობდი, იქამდე შეგეცოდა უიმისოდ დარჩენილი თავი, ვიდრე გაარკვევდი, რა გჭირდა შესაცოდი. ხოლო შიშისა და სიბრალულის ასეთი ნაძალადევი შეუღლებით გაჩენილმა მრისხანებამ, მშობლის სიყვარულზე კიდევ უფრო ბნელმა და მტანჯველმა გრძნობამ, მთის მდინარის მორევივით აქაფებულმა, ადუღებულმა, თავფეხიანად ჩაგითრია უცებ თავის გათოშილ წიაღში და, ამიტომაც იყო, დაუნანებლად რომ მიატოვე შენი ბავშვობის ქალაქი, ის კი არა, ერთი სული გქონდა, როდის დაიძვრებოდა მატარებელი, როდის მოგაშორებდა იქაურობას - თითქოს შენი მრისხანება გადასდებოდა მთელ სადგურს, თითქოს შენი მრისხანება დაარბენინებდა აქეთ-იქით ბუდემოშლილ, აფორიაქებულ ხალხს და, მართლაც, ბრმად, უაზროდ აწყდებოდნენ ყველანი ერთმანეთსაც და ყოველ ნაბიჯზე, თითქოს განგებ, თითქოს მოძრაობის კიდევ უფრო შესაფერხებლად დახვავებულ ბარგსაც. რაც მთავარია, ყველა ვალდებულად თვლიდა თითქოს თავს, მაინცდამაინც დედისთვის გაეკრა მხარი, ლამის ზედ მიეგდო მატარებელზე, ვითომ, აქ რას უდგახარ, შენც იქ ადი, სადაც შენი შვილიაო. მაგრამ დედა ვერც ამჩნევდა იმათ, ორივე ხელით საკუთარი პლაშის საყელოზე ჩამოკონწიალებული, ამოგცქეროდა და, ვინ იცის, მერამდენედ გიმეორებდა ერთსა და იმავეს, ერთსა და იმავეს: აბა, შენ იცი, როგორ მოიქცევიო; პაპა და ბებო არ გააბრაზოო; ნინო დეიდას დაუჯერეო... და ალბათ, შენი არ იყოს, იმასაც ერთი სული ჰქონდა, როდის დაიძვრებოდა ეს გულქვა, გულგრილი, დაბრმავებული, დაყრუებული მატარებელი, მატარებლის ფიტულივით რომ გარინდებულიყო ლიანდაგზე, თითქოს არც შეეძლო და არც აპირებდა დაძვრას. შენ ვაგონის სარკმლიდან დედას გადმოსცქეროდი და, შენი სიკერპისა და სიჯიუტის წყალობით, ელენიცას მწვანედ დახავსებული ეზო გედგა თვალწინ, რა თქმა უნდა, თავად ელენიცაც, ნესტიან სიმწვანეში ჩაკარგული, აკვარიუმის თევზივით სუსტი და მფრთხალი არსება, რომელსაც ეზოდან ცხვირის გამოყოფისაც ეშინია, რადგან დარწმუნებულია, ბოშები მოიტაცებენ მაშინვე. თვითონ ჩაინერგა თუ უფროსებმა ჩაუნერგეს ეს შიში, მართლა არასოდეს გინახავს ეზოდან გადასული მთელი თქვენი უსიტყვო ნაცნობობის მანძილზე. ახლაც უსიტყვოდ შესცქერი, მშობლებზე განრისხებული, იმას აფრქვევ ცეცხლს თვალებიდან და ისიც, ჩვეულებისამებრ, დაბნეულად, მკრთალად იღიმება. ამით ამოიწურება მთელი თქვენი ურთიერთობა, მთელი თქვენი სიყვარული, ძირითადად უფროსების შეთხზული, მაგრამ არც მთლად უსაფუძვლოდ, რადგან ღამღამობით მოულოდნელად წამოუჯდებოდი ხოლმე დედას საწოლში და აღგზნებული, აღელვებული ეკითხებოდი, როგორ ან რატომ იტაცებდნენ, თუკი მართლა იტაცებდნენ ბოშები, ბავშვებს. "დაიძინე, თორემ, ტურას გავატან შენს თავსო" - გიწყრებოდა ძილგამკრთალი დედა და შენც თავიდანვე გზააბნეული იძინებდი, რადგან სიზმარში, ბოშები კი არა, ვითომ, წითლად გაბურძგნული ტურა იტაცებდა ელენიცას. ელენიცას დედა სიზმარშიც თევზსა წვავდა, როგორც ცხადში, ნავთქურასთან იდგა და მკლავებდაკაპიწებული, წლიდან წლამდე, თითქოს ერთსა და იმავე თევზს აბრუნებდა ტაფაზე გაქონილი დანის წვერით. ელენიცას მამა სიზმარშიც სალამურებს თვლიდა და სიზმარშიც ათასნაირად აწივლებდა, აკვნესებდა, აკისკისებდა ჯერ კიდევ ნედლსა და ყელგაუხსნელ ლერწამს. ასე რომ, არავინ უშლიდა ტურას ელენიცას მოტაცებას. შენ ყვიროდი მხოლოდ, მაგრამ ხმა არ ამოგდიოდა ყელიდან; შენ მისდევდი მხოლოდ ტურას, მაგრამ ფეხს ვერ ძრავდი ადგილიდან. გულაბაგუნებულსა და გაოფლილს გამოგეღვიძებოდა ხოლმე და ახლაც, გულაბაგუნებული და გაოფლილი, უაზროდ იმეორებ გუნებაში: ელენიცა, ელენიცა, ელენიცაო - იქ რომ არ იყო, სადაც ხარ, იმას რომ არ განიცდიდე, რასაც განიცდი და, რაც კიდევ უფრო მთავარია, სადღაც, სულის სიღრმიდან ვერაგულად დაძრული ცრემლი რომ შეაჩერო როგორმე. ბაქანზე კი ჭიანჭველასავით ირევა წამსვლელი და მომსვლელი, დამხვდური და გამცილებელი. ვიღაცას გული შეღონებია და, ზედ რომ არ იაროს ხალხმა, კედლისკენ გაუჩოჩებიათ. თავთით ხუთი წლის გოგო უზის, რაღაცით გავსებული, პირამოკემსილი ნაჭრის პარკი ჩაუხუტებია გულში და მშვიდად, უჩუმრა ელოდება,

www.Litklubi.ge

როდის შეძლებს დედამისი წამოდგომას. რატომდაც, წარამარა, იმათკენ გაგირბის თვალი. უფრო სწორად, საითაც არ უნდა გაიხედო, გულშეღონებული ქალი და მისი პარკჩახუტებული შვილი გებლანდება თვალებში. მატარებელი კი ჯიუტად დუმს. თითქოს ლიანდაგზე კი არა, კვარცხლბეკზე იდგეს, ყველა ვალმოხდილი, დაქანცული, ქანცგაწყვეტილი მატარებლის ძეგლად. და მაინც ერთი სული გაქვს, როდის დაიძვრება, გულაბაგუნებული ელოდები, როდის დაიკივლებს ორთქლმავალი. მაგრამ არც დედაშენია უკეთეს დღეში - ხან თმიდან ამოცოცებულ ჩხირს ისწორებს ვითომ, ხან პლაშის ჯიბეში დაეძებს ვითომ რადაცას, მაგრამ მერე ისევ პლაშის საყელოს ჩამოეკიდება ორივე ხელით და ამოგხედავს ცრემლჩამდგარი თვალებით, უსაფუძვლოდ, სულელურად მოიმედე, იქნებ, აღარ დამხვდეს, იქნებ, უკვე წავიდაო. მაგრამ ისევ იქ რომ დახვდები, მატარებლის სარკმელში გადმოკიდული, დაბნეულად გიღიმის და ისევ ჭკუის დარიგებას გიწყებს, ათასჯერ ნათქვამს გიმეორებს ისევ, რადგან აღარაფერი აქვს სათქმელი. უაზროდ გიღიმის, თვალები კი ცრემლით უბრწყინავს. შენც აღარ იცი, ვერ გაგირკვევია, რა გრძნობები გიფლეთენ გულს, მაგრამ მეტის გაძლება კი ნამდვილად აღარ შეგიძლია, ცოტაც და, ბავშვივით აღრიალდები, თუმცა, ბავშვი აღარა ხარ, მამის პალატაში დატოვე ბავშვობა სამუდამოდ და, სხვა თუ არაფერი, პარკჩახუტებულ გოგოსთან მოგეჭრება თავი, მშვიდად, უჩუმრა, დიდივით რომ ელოდება დედის გაცოცხლებას. გამობრუნებას. მატარებელი რომ დაიძრა, მხოლოდ მაშინ იგრძენი შვება. არასოდეს, არაფერი არ გაგხარებია ასე ძლიერ, ასე აზრიანად. კეფაზე დაგრაგნილი თმა დედას ხელით ეჭირა და მორბოდა, მატარებელს მოსდევდა, ზედ აწყდებოდა აფუსფუსებულ, აქოთქოთებულ ხალხსა თუ ყოველ ნაბიჯზე დახვავებულ ბარგს, და მორბოდა, მორბოდა, მორბოდა... და ასე ირბენს სულ, რადგან ბავშვობა პირმოუკრავი, მოუშუშებელი, მოურჩენელი ჭრილობაა, საიდანაც დანარჩენი სიცოცხლე სისხლივით იღვრება განუწყვეტლივ. შენ კი გგონია, როგორც იქნა, დააღწიე თავი ბავშვობას, დაჭრილი გამოგიყვანა მოწყალების დამ (თუნდაც დეიდამ) ბავშვობის ბრძოლის ველიდან (ასე ფიქრობ კინოების გავლენით), და შენს ნებაზე მიგიშვეს, დაგაგდეს, დაგტოვეს (როგორც გინდა, ისე გაიგე) დანარჩენი ცხოვრების უფრო ვრცელ მინდორზე. ჯერ გიხარია, მოგწონს კიდეც, დაჭრილი რომ ხარ (ყველა პატივს სცემს, ყველა მოწიწებით შესცქერის დაჭრილს), კი არ მოკვდი, დაიჭერი, თანაც მსუბუქად. მაგრამ დაიძვრება თუ არა შავად გამჭვარტლული, ჩაბინძურებული, ფანჯრებაფიცრული, აქოთებული მატარებელი, რომელმაც ბავშვობის ბრძოლის ველიდან, ეს წუთია, გამოგიყვანა ამ ტრიალ მინდორზე, მაშინვე მიხვდები, მაშინვე იგრძნობ, მაშინვე იწვნევ, როგორც გადარჩი, რა გელოდება წინ. და მართლაც, როგორ გინდა სისხლის დენა შეიჩერო! გინდა ხავსი დაიდე ჭრილობაზე, გინდა მიწა დაიყარე, მაინც არ არის საშველი. ირგვლივ სიცარიელეა, უენო, უკიდეგანო, სადღაც, შორს, მაზუთის გუბის ბაყაყები ყიყინებენ. სადღაც, კიდევ უფრო შორს, მთვრალი მგელკაცები ყმუიან. შენს გარშემო კი ყველაფერი სისხლითაა მოთხვრილი, შენივე სისხლით - ბალახიც, ქვებიც, ბუჩქებიც. მთელი ტყე წითლადაა გადაბრიალებული. ცარიელ ტომარასავით გდიხარ მიწაზე. ყველა თავის ხეს ჩასცუცქებია. შენ კი იმის თავიც აღარ გაქვს, დაიყვირო: მიშველეთო. თუმცა, გინდაც დაიყვირო, დაცინვის მეტს, ვერაფერს გამორჩები გარემოს. შენს ხმას დაგიბრუნებს უკანვე, ოღონდ სასაცილოდ გადასხვაფერებულს: მისველეთ! მისველეთ! მისველეთ! ყველა თავის ხესა ჭრის, გამალებით აკაკუნებენ წალდებს. ხეები თრთიან, შხუიან, უხმოდ კივიან, გვიშველეთო, და შენც ხესავით უხმოდ კივი - მიშველეთ, მიშველეთ, მე, შეიძლება, პოეტი გამოვიდე, ხალხო, მიშველეთ. მე, სეიძლება, ფოეთი ქამოვიდე ქალქო - გაჯავრებს, დაგცინის გარემო. წყლის ნაპირას რიყეზე კი ქალი პერანგს ირეცხავს. წყალი. წყალი. - გაჰყვირი, ხესავით უხმოდ. ცკალი. ცკალი. - გეპასუხება გარემო. ცარცის ძროხა კი თავზე დაგდგომია და ცარცის რქებს გიღერებს, ცარცის კბილებს გიღრჭიალებს, ცარცის მტვერს გაფრქვევს ცარცის ნესტოებიდან და ცარცის ჩლიქით ჩიჩქნის ცარცით გადათეთრებულ მიწას. ბებო, ბებო - ეძახი ბებიას. - სიზმარში, ვითომ, ცარცის ძროხა დამსდევდაო. მარგალიტა, მარგალიტა - ეძახის ბებია მარგალიტას. - რას უნდა ნიშნავდეს ცარცის ძროხა სიზმარშიო. აბა, რა მოგახსენოთო, - წუხს მარგალიტა. - ძროხა საერთოდ კარგია, მაგრამ ცარცისა, არასოდეს გამიგიაო.

www.Litklubi.ge

ყულაბა თუ იქნებოდაო. შენც იტყვი, მარჩიელი ვარო - ცხვირს უბზუებს დეიდა მარგალიტას. როდის ვთქვიო - იცინის მარგალიტა. - დასწყევლოს ღმერთმა მკითხავი და მარჩიელიო. არადა, მართლა იცის მკითხაობა. ამ საქმეშიც პირველია. აღარ მახსოვს, დამავიწყდაო - გაიპრანჭება ხოლმე, მაგრამ ყველანი რომ შეუჩნდებიან (ყველას უყვარს მკითხაობა, თავისი ბედისა და მომავლის შეტყობა), ბოლოს მაინც გატყდება ხოლმე და ეშმაკურად მომღიმარი, სასიამოვნოდ მოგიღუტუნებს ხელისგულზე ფუნჩულა თითით: ეს სიცოცხლის ხაზიაო, ეს სიყვარულისაო, ეს ბედისაო. იმ წუთას ყველას სჯერა იმისი და საყდრის გლახებივით ხელგაშვერილნი ელოდებიან თავიანთ რიგს. გაიღე მოწყალება, მარგალიტავ, ცუდი არაფერი გვითხრა, ისედაც არ გვაკლია. ყველანი ღელავენ გულში, თან კი - ისემც შენ რა გითხრაო - დასძახიან ყასიდად, განსაკუთრებით ქალები, თუმცა, მელიადასიზმრებული ქათმებივით, შფოთავენ, წრიალებენ, ადგილს ვეღარ პოულობენ, გადიან და გამოდიან, ხან ცივ წყალს დაისხამენ კოკურიდან, ხან აივნის მოაჯირს გადაეყრდნობიან, ეზოს წყვდიადში შერგავენ აფორიაქებულ თავებს. შეიძლება, იმათი ამგვარად გამძაფრებული მგრძნობიარობა იმისი ბრალიცაა, ეს "ხელზე მკითხაობა" ზაფხულობით რომ ხდება უმთავრესად, როცა აივანზე საღამოს ჩაის მიირთმევენ და ისე შეჰყვებიან, ისე გაერთობიან ხოლმე, შუაღამე კარგახნის გადასულია, ბებია ხელს რომ შემოიკრავს ლოყაში, მომიკვდეს თავი, ჯერ ბავშვისთვის (ე.ი. ნიკოსთვის) არც კი დამიგიაო. ირგვლივ კი ზაფხულის ღამე ფშვინავს, ბაგაზე დაბმულ ძროხასავით. პურის ფერი დაჰკრავს ყველაფერს. რა სჯობია ზაფხულს - ივნისი თიბავს, ივლისი მკის, აგვისტოს მიმინო უზის ცერზე, ხორბლითა და ქერით დასუქებულ მწყრებზე ნადირობს. ხოლო, წყლის ნაპირას, რიყეზე, ქალი პერანგს ირეცხავს... და მაინც, ისე არსად იგრძნობა ზაფხული, როგორც ნიკოანთ აივანზე, განსაკუთრებით ღამით, ცაცხვების, ჟასმინის, ბებიის სამურაბე ვარდების სურნელითა და მარგალიტას იდუმალი, მთრთოლვარე ხმით გაჟღენთილ წყვდიადში. გავარვარებულ ნათურას ღამის პეპლები ეხვევიან, ეთამაშებიან. საიდანღაც მახარობელა შემოფრინდება უცებ, გამეტებით მიეხეთქება კედელს, ჭერს, ისევ კედელს, მაგრამ ვერც აქ ნახავს, ვისაც ეძებს, ვისაც უნდა მიახაროს რაღაცა, და, უარესად დაფეთებული, გავარდება, ჩაიკარგება ზაფხულის ღამის უკუნეთში. სადღაც, შორს, ალბათ ნუკრიანს ზემოთ, ჭოტი ყვირის. დროგამოშვებით, მოულოდნელად, შემაკრთობლად. შენიანი ამოაგდეო - ეპასუხება ბებია, უბოროტოდ, სხვათა შორის, ყოველ შემთხვევისთვის. ბნელში ჩაფლული ხეხილი ფაჩუნობს, შრიალებს. ცაზე ვეება, კრიალა ვარსკვლავები ჩახჩახებენ, თითქოს ეს წუთია, სველი ჩვარი გადაუსვია იმისთვის ვიღაცასო. ის ვიღაცაც აქ არის თითქოს, სადღაც აქვეა, ოღონდ არ ჩანს, ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ გამოჩნდება, უნდა გამოჩნდეს როდისმე. სუნთქვა კი ისმის - მშვიდი, ზომიერი. სული შიშნარევი ნეტარებით ივსება, თუმცა, არც შიშის მიზეზი არსებობს თითქოს, არც ნეტარებისა, ჩვეულებრივად სვამენ საღამოს ჩაის აივანზე. ერთი-ორი მეზობელიც ურევიათ: მარგალიტა - აუცილებლად. უმარგალიტოდ არც საღამოს ჩაის აქვს გემო, ჩვეულებრივი ღარიბული ვახშამი იქნება და მეტი არაფერი, სულის ჩასაბრუნებელი, სამარხულო. ხანდახან იოსებაც შემოესწრებათ - შუქს გამოჰყვება ხოლმე ჩახუთული თავლიდან და მოულოდნელად მოადგება აივნის მოაჯირს ეზოდან, თმაში თივის ბულულჩარჩენილი, ნამძინარევი, ცალ მხარეს ლოყადაჭმუჭნული, - საღამო მშვიდობისა, ხალხო, გაამოთ პურ-მარილი. "შენ გაგისკდა გულიო" - მიაწყევლის შემკრთალი მარგალიტა. ბებიას კი, რატომღაც, ეცოდება ასეთი იოსება, არაამქვეყნიური, მიუხედავად, თავლიდან გამოყოლილი მძაფრი, უაღრესად სიცოცხლისეული სუნისა, დაბნეული, უმწეო, თითქოს, ეს წუთია, ბუდიდან გადმოვარდნილაო, თუკი შეიძლება, ორმოცდაათს მიტანებული კაცი ბარტყად წარმოვიდგინოთ, თავლა კი - ბუდედ. საწყალოო - დასძახის ბებია. - ვინ იცის, აღარც გახსოვს, როგორ უნდა დაჯდე მაგიდასთანო; მოდი, ისე მაინც დაჯექი, ისე მაინც დაიჭირე ხელში ფინჯანიო. იოსებაც გრძნობს, ბებიას რომ ეცოდება და გრძნობამორეული ეუბნება: სად გაჩნდი, როგორ გაჩნდი, ვინ გაგაჩინა ასეთი ღვთისნიერი ადამიანიო. ხანდახან, შეიძლება, ექიმიც დაეწვიოთ საღამოს ჩაიზე და მაშინ, რასაკვირველია, ძირითადად, გარდასულ ამბებს იხსენებენ. უფრო ზუსტად, უფროსები იხსენებენ, ნიკო კი იმახსოვრებს. სვამენ ღარიბულ ჩაის, უფერულს,

www.Litklubi.ge

უგემურს. ნამცხვრის ნაცვლად, მოგონებებს მიირთმევენ. იხსენებენ, თუ როგორ სვამდნენ ადრე საღამოს ჩაის, როგორ უნდა "მოერთოთ" ჩაი, ანუ, ჩაისთან ერთად, კიდევ რისი მოტანა შეიძლებოდა ან არ შეიძლებოდა სუფრაზე; როგორ უწევდა ანგარიშს ყოველგვარ წვრილმანს ძველი ხალხი; როგორ მიჰქონდა ყველაფერი გულთან; როგორი გულისხმიერები იყვნენ სხვების მიმართ (ახლა, არც მიიხედავენ, იქნებ, ვინმე კვდება გვერდზეო), როგორი გულუხვები... იმიტომ რომ, წელი მოსდევდათ, ჩემო დაო, ანდა, ჩემო ძმაო, გააჩნია, ვინ ყვება და ვის მიმართავს. მე შენ გეტყვი, იმაზე იდარდებდნენ, სად რა ვიშოვოთო. ყველაფერი გამზადებული მოსდიოდათ. შეუთვლიდი და მოგართმევდნენ. იქით გეტყოდნენ კიდევ მადლობას. ხალხიც კარგი იყო და ცხოვრებაც კარგი ჰქონდათ. კი ბატონო, თუნდაც პირიქით იყოს, არაფერი დაშავდება, მით უფრო, არაფერი შეიცვლება - ცხოვრებაც კარგი იყო და ხალხიც. ცოტას აჭარბებენ ალბათ, გაჭირვება აპოეტებთ, როლში შედიან, ეშხზე მოდიან, მონადირეებისა და მეთევზეებისა არ იყოს, მოხუცებსაც უყვართ ტრაბახი და გაზვიადება. ნიკომაც იცის, ომამდე ცხოვრება კარგი რომ იყო, სხვას რომ თავი გავანებოთ, ბათუმში, მათი ქუჩის კუთხეში, ბორბლისხელა ბუბლიკები ცხვებოდა, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია ახლა, მაღაზიაში შეხვიდე და მარტო ათნაირი ძეხვი ეკიდოს, სამნაირი ხიზილალა ეწყოს კასრებით და ხუთნაირი ყველი. ჟასმინის ბუჩქები კი კიდევ უფრო მძაფრ სურნელს აგზავნიან აივნისკენ, თითქოს ნიკოს ჯიბრით, ის რომ გააბრუონ უარესად და, გაბრუებულს, გაცივებულ ჩაისთან ერთად, უფრო იოლად შეაპარონ ყველაფერი, რაც იმ წუთას მის გარშემო არსებობს, ხდება, იგრძნობა, იგულისხმება - რაც არის, მაგრამ აღარ იქნება მალე და რაც, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უნდა დაინარჩუნოს ნიკომ, დაიმახსოვროს ხვალისთვის (იქნებ, არ კვდება!), ზეგისთვის, საერთოდ, მომავლისთვის (ხომ ხედავთ, მოგონებებით ცხოვრობს ხალხი, რაც უფრო მეტი აქვთ მოსაგონარი, მით უფრო მეტი გაჭირვების ატანა შეუძლიათ), როგორმე, იმანაც უნდა მიიხატ-მიიწეროს გულზე, როგორც სატუსაღოს კედელზეა იქ გამოვლილი ტუსაღების ხელით მიხატულ-მიწერილი, ვინ იცის, რამდენნაირი ფიქრი, ოცნება, ნატვრა თუ სურვილი. ცარცის ძროხაც ეს არის ალბათ, ამას უნდა ნიშნავდეს - გარდასულ, მკვდარ ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ ხსოვნაშიღა არსებობს, არც არაფერს გაძლევს, არც არაფერს თხოულობს შენგან, მაგრამ განუწყვეტლივ გახსენებს, შენამდეც რომ იყო ცხოვრება და შენს მერეც რომ უნდა იყოს. მოკლედ, ძროხა კია, მაგრამ ცარცისა, გამოფიტული, დაშლილი, მტვრად ქცეული, მკვდარი მინერალებისგან შედგება და, თავისთავად ცხადია, ვეღარც ხბოს მოიგებს, ვეღარც რძეს მოიწველება. ნიკოს კი იმიტომ დასდევდა სიზმარში, უფრო ფხიზლად, უფრო ფრთხილად რომ იყოს ნიკო, რადგან, როგორც ვანო მასწავლებელი ამბობს, ომი კი არ დამთავრდა, დაიწყო, უარესია მოსალოდნელი. აი, რას ნიშნავს ცარცის ძროხა, და არა მარტო გარდასულ ცხოვრებას განასახიერებს იგი, არამედ მომავალსაც, წარსულსაც და მომავალსაც - ორივეს, ერთნაირად მკვდარს, რადგან ერთი უკვე იყო, მეორე ჯერ არ ყოფილა და საკითხავია, იქნება თუ არა. ერთი უნიკოოდ წავიდა, მეორე უნიკოოდ მოვა, თუ მოვა, ის კი, ნიკო და ნიკოსნაირები, დღევანდელები, ამ ორი ცარციანი ნაპირის, ყოფილისა და არყოფილის საზღვრად დგანან, მათ შორის არიან მოქცეულნი და, ამიტომაც, როგორც ვანო მასწავლებელი ეჩიჩინებათ, მეტის ცოდნა მართებთ, თუნდაც ცოტა იმაზე მეტისა, ვიდრე იციან. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც უნდა იცოდნენ, ძროხა, თუკი ნამდვილია, ხბოს იგებს და რძეს იწველება; ხოლო, გიგო პაპას ვენახი ერთგვარი თავშესაფარია მათი მორიგი, თუნდაც ბავშვური განსაცდელის ჟამს. მარტო იქ ვერ შებედა ცარცის ძროხამ, იმიტომ, რომ ვენახი იგივე სიცოცხლეა, ხოლო სიკვდილს, თუკი ვინმესი ერიდება, სიცოცხლისა ერიდება მხოლოდ. ეი, ბათუმელო! ვიდრე ჩემს ვენახში მიდგას ფეხი, არც მტრისა მეშინია, არც მოყვრისა - ასე იცის თქმა გიგო პაპამ. თუშური ქუდი ახურავს, პატარა, მზეზე გამოხუნებული. ქოჩრის ქვემოდან იყურება, თვალები ეშმაკურად უჟუჟუნებს: მოდი, ერთი ესეც უნდა გაგასინჯო - ეძახის ნიკოს, ქვევრთან ჩამუხლული. პირდაპირ ორშიმოთი აწვდის ღვინოს. - სამი წლისაა, აი! მამაშენს უყვარდა ჩემი დაყენებული ღვინო. აფსუს, აფსუს. - მერე კი, უფრო დინჯად, თანაგრძნობით, ტოლივით - არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება. უნებურად თითის წვერებზე იწევი, გულზე რომ არ ჩამოგეღვაროს ღვინო

www.Litklubi.ge

ორშიმოდან. მარნის ჭერზე ნივრისა და ხახვის გალები ჰკიდია. დასამწნილებელი კიტრი და პამიდორი კუთხეში დაუხვავებიათ. შიგადაშიგ, წვრილი, მუშტისხელა, ზოლიანი საზამთროც გამორევია. აყალოს გრილ ბელტებზე თოხი გდია. თოხის ტარზე მრგვალი, ბორბლისხელა ფიქალი მიწოლილა. თავმოხდილი ქვევრიდან ზანტად, მდორედ, უხალისოდ ამოდის ღვინის სული, გათავისუფლებული, შვებანაგრძნობი, მაგრამ ვითომც არ უნდა გათავისუფლება, მარნის ჭერის დანახვა, ვითომ, თავგადაგოზილ ქვევრში ურჩევნია. ღვინის სულითაა იქაურობა გაჟღენთილი. ქვევრში ჩავარდნილი კრაზანა სველ ფეხებს ამაოდ ასავსავებს. ეგრე იცის ნუნუამ! ბრუნავს, ბუბუნებს ჩამუქებული, ვერაგულად მბზინავი სითხე. აბა, ერთი ჩაიმუხლე, რა ცხენივით დგახარ! არა უშავს, ცოტა დაგესვაროს შარვალი. სამაგიეროდ, კაცი გამოხვალ. ვინც ახლა ამ მზეს ვერ ეფიცხება, მოდი, იმათ გაუმარჯოს. თონის ძირში თიკნის თავ-ფეხი ყრია, საკუთარ ტყავზე. ტყავის შიდაპირი ჯერ კიდევ სველია, თვალის უპესავით. გუშინ იყო რთველი. სახლი ჯერ კიდევ აფორიაქებულია, მაღლდება, კედლებს განზე სწევს, ჭირნახული რომ დაიტიოს. ბარაქა, ბარაქა, თქვენს ოჯახს! ჯერ კარგა ხანს ვერ დაწყნარდებიან. პატარა ამბავია?! კიდევ ერთი დიდი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გადაიხადეს და, თანაც, გაუმარჯვდათ. კიბის საფეხურზე გაჭყლეტილი მტევანი გდია, მტევანს ფუტკარი ახვევია. დაბზუიან ტკბილ, მათრობელა წვენს. ქეიფობენ თავიანთებურად. თუთის ძირას სახედარი დგას, კისერმოღრეცილი იყურება სახლისკენ, თითქოს თავისივე სიბრიყვის, თავისივე ვირული ხასიათის გამო, უმიზეზოდ გაბუტვია პატრონებს და ახლა მოუთმენლად ელოდება, როდის აპატიებენ, როდის შემოირიგებენ მასზე ბევრად ჭკვიანი და, ამიტომაც, გამგები, მიმტევებელი ადამიანები. გაუშვი, მცემონ, შემაგინონო - ფიქრობს თავისთვის. მარანიცა და სახლიც ყურძნითაა სავსე. კედლებზე, სადაც კი ლურსმნის მიჭედება შეიძლება, ყველგან ჩხა, აკიდო თუ ჯაგანი ჰკიდია. გიგო პაპას ახალგაზრდობის სურათი წესიერად აღარცა ჩანს. ოცდახუთი წლისაა. კისერდაბერილი. ორივე ხელის ცერები წვრილ ქამარში ჩაუყვია - ვინც ბიჭია, დამეჭიდოს. - ახალი დაბრუნებულია გერმანიიდან. ტყვედ იყო ჩავარდნილი, ოდონდ, პირველი ომის დროს. დანკემაინეჰერ. დანკემაინეჰერ. ეს იცის მხოლოდ გერმანულად. არა, კიდევ ფროილენი იცის. თავის ცოლს დასძახის - ეი, ფროილენ, შენ გეუბნები. ფროილენ, გოგო. ჩემს ფროილენს თავის დროზე ფეხი რომ არ მოეტეხა, აქამდე ათჯერ გამექცეოდა. არც ახლაა გვიან. დამაცადე, ღმერთია მოწამე - უღრენს ფროილენი, ანიკო ძალო. ფროილენ, მოიხედე-მეთქი. გახსოვს, ვენახში... მოიცა, სხვას ვამბობ. აი, ჩემი ქვისლები რომ გვეწვივნენ სტუმრად. ხოდა, მე და ჩემი ფროილენი იმ ღამეს ვენახში დავრჩით. მა, სად უნდა დაგვეტია იმოდენა ხალხი?! დილიდანვე რომ ჭიქაში ხარ ჩავარდნილი, იმიტომაც გასულელებს ეშმაკი, ღმერთია მოწამე - უღრენს ანიკო ძალო. ჩემსას ვსვამ, ჩემ ოფლსა ვსვამ, ვენაცვალე, დაილოცოს ვაზის ძირი. ჩაიმუხლე-მეთქი, ბიჭო, აქაოდა, ბათუმელი ვარო, ძირს აღარ უნდა დაიხედო?! მამაშენი პირველად რომ ჩამოვიდა ჩვენს მხარეში, კაცი ვერ იპოვეს იმისი დამთრობი. ბოლოს, ერთი მღვდელი მოუყვანეს, მაგრამ ისიც დაათრო. მთვრალი შინამდე მიაცილა, დილით კი მოიკითხა, როგორ ბრძანდებით, მამაო, ნაღვინევზეო. მღვდელი თავწაკრული მჯდარა გაუშლელ საწოლზე, მღვდლობაც დავიწყნია და ზრდილობაც, წადი, შენი იმერელი დედაც ვატირეო, შეუგინებია ნიკოს მამისთვის. ძალიან ახლოს მიუტანია გულთან თავისი მარცხი. მღვდელი კი იყო, მაგრამ კახელიც იყო, კარგ მსმელად ითვლებოდა და თავი მოსწონდა. წადი, შენი იმერელი დედაც ვატირეო. გვირაბს იქით კახელები ყველას იმერელს ეძახიან. ღვინის სულით გაბრუებული ქვეყანა კი ბზრიალებს, თითქოს კარუსელია. ოდონდ, კარუსელის ყველა ეტლში თავწაკრული მღვდელი ზის და მოღუშული, განაწყენებული უყურებს ნიკოს. მამის ჯავრი შვილზეც გადადის, ნიკო კი მამამისის შვილია. ნიკოს ეცინება, იცინის, ვერ შეუკავებია თავი. კარგით, გეყოფათ, ბავშვს მაინც ნუღა ასმევო - იძახის ფროილენი. ნიკოს უნდა, მშვიდად დაელაპარაკოს ანიკო ძალოს, მშვიდად აუხსნას, ბავშვი რომ აღარაა, ომმა ბავშვი რომ არ იცის, ომში ისევე სწრაფად რომ იზრდებიან ბავშვები, როგორც ზღაპარში, მაგრამ უკვე თუთის ძირას დგას და გაბუტულ სახედარს ეხვევა კისერზე. სახედარს თივისა და ოფლის სუნი ასდის, გამოვლილი ვენახებისა, გზებისა, ვირული სიჯიუტისა და სიბრიყვისა. ისუსხება,

www.Litklubi.ge

თითქოს გასამზეურებლად ღობეზე გადაფენილი ხალიჩა იყოს და არა ცოცხალი, ნაზთვალება არსება. ამასობაში კი, უკვე დაღამებულა. ორღობეში სხვა სახედარი ორთვალას მოარახრახებს. ვენახში შეგვიანდნენ და ახლა შინისკენ მიეჩქარებათ. ყველას შინ უნდა, იმიტომ, რომ არაფერი არ სჯობია შინ დაბრუნებას. ბატებისთვისაც კი. ბატებო, ბატებო, შინ, შინ! ორთვალა კი ბნელში გაუჩინარებულ ქვებზე სხლტება, უარესად რახრახებს. "ნელა, ვერან" - ვირს უწყრება პატრონი. ვირიც უსიტყვოდ იტანს უსამართლო საყვედურს. ვირი რომ ვირია, ისიც არ ტყუის ყოველთვის. მაგრამ მაინც თავჩაღუნულმა უნდა მოითმინოს ყველაფერი. მა, რის ვირია! ხვნეშის, იძაბება, მეტი მონდომებით ეზიდება ორთვალას. ერთი, როდის გამოჩნდება იმათი ეზო, სხვებისნაირი, მაგრამ მაინც რაღაცით გამორჩეული; რაღაცით კი არა, სუნით - თავისი სუნი აქვს იმ ეზოში დატოვებული და ახლა საკუთარი სუნისკენ მიისწრაფის. მივა, ჩადგება საკუთარ სუნში და გათავდა, დილამდე თავისუფალია, უნდა ხალხზე იფიქრებს, უნდა - ვირებზე. უკვე დაღამებულა. ღამეა. პურის ხარიხაზეც ჯაგნები ჰკიდია. რომელიღაც მტევანს ვენახიდან ჭრიჭინა გამოჰყოლია და ჭრიჭინებს, ჭრიჭინებს გაუთავებლად. იმისთვის სულერთია, ვენახში იქნება თუ აქ. არც კედელზე მიკაკუნება შველის, არც ლამპის მინათება. გიგო პაპა საცვლების ამარა დაბორიალობს ოთახში, უკრაინელ კაზაკსა გავს თეთრ ნიფხავ-პერანგში. ხელში ანთებული ლამპა უჭირავს და ხან ერთ კედელს მიანათებს, ხან მეორეს. ნავთის სუნსა ტოვებს გზადაგზა. ეტყობა, ლამპიდან ეღვრება ნავთი. ერთიანად ამოგვბუგავს, ეს არდასარჩენი, ღმერთია მოწამეო - ბუზღუნებს სიბნელეში ანიკო ძალო. ბოდიში. მომითმინეთ. ერთი, დამენახვეთ, სადა წევხართ - დაბანცალებს გიგო პაპა. თვითონვე ეცინება საკუთარ სიმთვრალეზე. და მაინც სახლი მზის თბილი სუნითაა გაჟღენთილი. მზის სუნი ჭარბობს ყველანაირ სუნს. კედლებზე, ჭერზე უზარმაზარი ლანდები დაბორიალობენ, გიგო პაპებივით. ფხუკუნით, ვიშვიშით, მოჩვენებითი ბუზღუნითა და მუქარით იბუდებენ ქალები ბნელ კუთხეებში. წამით, მოულოდნელად გამოკრთებიან ხოლმე გაფუებულ, გადასხვაფერებულ საგნებს შორის, მკლავმოშიშვლებულნი, მხარზე თმაჩამოშლილნი, თავადაც გადასხვაფერებულნი, თითქოს ერთბაშად დასრულებულნი, დამსხვილებულნი, ფართე, ხალვათად შეკერილ ღამის პერანგებში, და ისევ წებოვან, თბილსა და სასიამოვნოდ მოგუგუნე წყვდიადს უერთდებიან. ეი, ბათუმელო! ხომ არ დაგეძინა. ერთი, უნდა გელაპარაკო. რა დროს ლაპარაკია, ადამიანო, დაგვასვენე. ბოდიში, მომითმინეთ. დამენახვეთ მაინც, სად წევხართ. სხვას არ მივუწვე შემთხვევით. იცოდე, არ გამომიყვანო მოთმინებიდან, ღმერთია მოწამე. ხოდა, იმას გეუბნებოდი - წლები არ მამახსოვრდება-მეთქი. აი, როდის რა მოხდა. იმ სურათს ხომ ხედავ? ოცდახუთისა ვარ. ჩვიდმეტისა ვიყავი, მამაჩემი მეუბნება, იმის სულს ვენაცვალე, ჭიგოები მოიტანეო. ცხრა კაცი წავიყვანე. მამას ვეუბნები, მეათე მე ვარ, რა წავიღოთ-მეთქი. მე რას მეკითხებიო, რაც გინდა ის წაიღეო. ღვინო გალაპარაკებს, შე უბედურო, ღვინო. დააძინე ეგ ბავშვი. არა ვარ ბავშვი, ანიკო ძალო, აღარა ვარ, ნაინ, კაპუტ ბავშვი, ფროილენ. კარგი ტიკი გავავსე, ვედროიანი კი არა, ექვსი ჩაფი ჩავიდა. არაყი ერთი ხელადა არ გვეყოფოდა. ნახევარი ვედრო არაყი გვინდა-მეთქი, იმის სულს ვენაცვალე. გინდა და წაიღეო. ჩვენც ავდექით და წავედით. ფეხი იქამდე უნდა მომტეხოდა, ვიდრე შენ გადაგეყრებოდი, ღმერთია მოწამე. დამაცა, დედაკაცო. ტყეში რომ შევედით, პირწმინდად, აბა, მიდი, ვისაც შეგიძლიათ. მაშინ თავადებსაც მიჯნები ჰქონდათ ტყეში. თავის ტყეში რომ ენახე, მოვიდოდა, აბა, საბუთიო, ნებართვა თუ გაქვს, ტყეს რომ აჩანაგებო. მოკლედ, ყარაული მოვიდა, ტყის მცველი. ორი ურემი გამოგვიხსნა. ამ დროს, ბედად, მამაჩემიც არ დაგვადგა თავზე! აბა, მარდად, სუფრა გააწყეთო, მეუბნება ჩუმად. ჯერ ხურჯინები ამოგვალაგებინა. ეს იმ კაცს გაუმარჯოს, საქმეზე დამდგარს ხელს რომ არ შეუშლისო. შენა ხარ, პატარქლიანთოო, ხელი მოუჩრდილა ყარაულმა. მე გახლავართო. თავისი ნაფურთხი აალოკინა. კაცს რა ვუთხარი, თავის ნაფურთხს რომ ალოკავს. ადე, დაწე, მამა გიცხონდება, რამდენს ლაპარაკობ, ასე როგორ უნდა აგიყოლიოს ღვინომ. დამაცადე, დაგინახო. ეი, ფროილენ, დანკენმაინეჰერ. მტევნები კი ლამპის შუქზე ალისფრად ბზინავენ. ბროწეულის ფოთოლი სარკის ნამტვრევივით ბრჭყვიალებს. ჭრიჭინა კი ჭრიჭინებს, ჭრიჭინებს გაუთავებლად. დილით ლოგინშივე უნდა დაგალევინო არაყი, ერთბაშად რომ მოგარჩინოო - ეძახის

გიგო პაპა ნიკოს, მაგრამ უკვე შორიდან, რომელიღაც ბნელ კუთხეში დგას, ბანცალებს, ხითხითებს, ეტყობა, იპოვა ცოლი, ის კი, სირცხვილისგან დამუნჯებული, სუნთქვაშეკრული წევს. ხო, კარგი, იყუჩე, იყუჩე, მადლი უფალსა. შენი სახელის ჭირიმე, ღმერთო. თუხარსადმე.

www.Litklubi.ge

მერე ნიკო ვანო მასწავლებელმა მოინახულა და ეს იყო ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მთელი მისი ავადმყოფობის მანძილზე, ოღონდ, რასაკვირველია, კიდევ უფრო მეტად გაიხარებდა, დედამისიც რომ შესწრებოდა შემთხვევით ამ ამბავს, დედამისსაც ენახა, როგორ უყვართ და აფასებენ მის შვილს ასევე საყვარელი და დასაფასებელი მასწავლებელი. მართალია, ვანო მასწავლებელი ყველას ჭირისუფლად ითვლება, მაგრამ მაინც დიდი პატივია მისგან ამგვარი ყურადღებისა და გულისხმიერების გამოჩენა ერთი რიგითი, ანუ, საშუალო მოსწრებისა და საკმაოდ შელახული ყოფაქცევის მოწაფის მიმართ. ამავე დროს, ვანო მასწავლებლის მოსვლა იმასაც ადასტურებდა, ევგენია დუგლაძის აზრს საერთო აზრად რომ არ თვლიდა სკოლა და ჯერ კიდევ რომ არსებობდნენ პედაგოგები, რომლებსაც მოწაფის ცოდნისა და შესაძლებლობების გარდა, არანაკლებ აინტერესებდათ მოწაფის სულში ჩახედვაც, მოწაფის პირად ცხოვრებაში გარკვევაც. ეს კი, ნებისმიერ მოწაფეს და მათ შორის, რასაკვირველია, ნიკოსაც, უპირველეს ყოვლისა, პატივისცემის გრძნობას უღვიძებდა, როგორც საკუთარი თავის, ისევე დამფასებლის, კეთილმოსურნის მიმართ. ორდენი რომ გადაეცათ, ისე არ გაუხარდებოდა, ისე არ გაბედნიერდებოდა ალბათ, როგორც მასწავლებლის მოულოდნელმა სტუმრობამ ააღელვა და გააბედნიერა. სხვათა შორის, ხმაზევე შეატყო ბებიას, რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ამბავი რომ ხდებოდა მის ცხოვრებაში, მაგრამ მაინც შეყოვნდა ძილ-ბურანში, მაინც გაუჭირდა უფრო სწრაფად გადასვლა აღდგენილი დროიდან მიმდინარე დროში, რადგან როცა ოთახისკენ გადმობრუნდა, ბებია აღარ იყო ოთახში, ვანო მასწავლებელი კი უკვე სკამზე იჯდა, ღუმელთან, ფეხი ფეხზე გადაედო და მთელ სიგანეზე გაშლილ გაზეთს ათვალიერებდა. არადა, თითქოს იმ წუთას დაუძახა ბებიამ, გადმობრუნდი, სტუმარიაო. ვანო მასწავლებელს მხოლოდ ერთმანეთზე გადადებული ფეხები და ხელის მტევნები მოუჩანდა, მაგრამ ნიკო ყასიდადაც არ შეჰკითხვია თავს, ნეტავი, ვინ არის ეს, გაზეთს ამოფარებული კაციო. ცნობით კი იცნო მაშინვე, ოღონდ, ვერაფრით ვედარ გაიხსენა უცებ, რა ურთიერთობა ჰქონდა იმასთან "სიკვდილამდე", როგორ უნდა დაეჭირა, საერთოდ, იმასთან თავი, რისი თქმა შეეძლო და რისი არა. ამიტომაც, სტიქიური, გაოცებული სიხარული, იმავე წამს, შიშნარევ დაბნეულობაში გადაეზარდა და ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან ჯერ არც ანგარიშგასაწევი და, რაც მთავარია, არც მთლად ნათელი იყო მისი შეგრძნებები, ჯერ კიდევ არ იყო წესიერად გამობრუნებული სააქაოს და მისი საკუთარი, მის მიერ აღდგენილი დრო სრულებითაც არ შეესაბამებოდა მიმდინარე დროს, კალენდრისას, და ის ორი კვირა, რომელიც უკვე გაეტარებინა საწოლში, ადვილი შესაძლებელია, ჯერ არც დამდგარიყო კალენდარზე, ანუ, ერთნაირად ტოლფარდი ყოფილიყო მისთვის, როგორც ერთი ჩვეულებრივი წამისა, ისე ერთი გაუთავებელი საუკუნისა.

www.Litklubi.ge

ისეთი მოწიწებით შესცქეროდა სტუმარს, თითქოს ჩვეულებრივი (თუნდაც, არაჩვეულებრივი) მასწავლებელი კი არ იყო ისტორიისა, არამედ, მოულოდნელად გაცოცხლებული, მკვდრეთით აღმსდგარი რომელიღაც ისტორიული პიროვნება. თუმცა, ასედაც იყო ალბათ, ოღონდ, ნიკოცა და სხვებიც, ჩვეულებრივი ადამიანური სიბეცისა და ყველაფრისადმი ჩვეულებრივი ცხოველური უნდობლობის გამო, ფიქრშიაც ვერ დაუშვებდნენ, ყოველდღიური, სავსებით ბუნებრივი, ცხოვრებისეული ურთიერთობა რომ ჰქონდათ ისტორიულ პიროვნებასთან - იცნობდნენ, ესალმებოდნენ, ელაპარაკებოდნენ, პირში უცინოდნენ, ზურგს უკან კი ჭორავდნენ, დასცინოდნენ ან იბრალებდნენ - მოკლედ, იმასაც ზუსტად ისევე ექცეოდნენ, როგორც დანარჩენ ქალაქს, რადგან გაზეთში კი არ წაეკითხათ, რადიოში კი არ მოესმინათ იმისი თავგადასავალი, თვითონვე შეეკოწიწებინათ, უფრო სწორად, ზოგი იმისგანვე მოესმინათ, ზოგი სხვისგან, რაც მოსმენილს, დამაჯერებლობას თუ არა, წონასა და ფასს აშკარად უკარგავდა მათ თვალში. იგივე ამბავი ან კინოში, ან თეატრში რომ ენახათ, შეიძლება, მთავარი გმირის განმასახიერებელი მსახიობი ხელით ეტარებინათ, რაღა არ მიეწერათ იმისთვის, კერპადაც გაეხადათ, მაგრამ საკუთარი მონათხრობის გმირს ვერც იმაზე მეტ პატივს სცემდნენ, რამდენსაც საერთოდ ომის ნებისმიერი მონაწილე იმსახურებდა და ვერც იმაზე ნაკლებს, რაც მათ თანამოქალაქეს, თანაც, მათი ბავშვების მასწავლებელს ეკადრებოდა. კაცმა რომ თქვას, წესიერად არც არავის მოესმინა ვანო მასწავლებლის თავგადასავალი, რადგან თვითონაც არ მოუყოლია არავისთვის თავიდან ბოლომდე, თანამიმდევრულად. ათასში ერთხელ, სიტყვას თუ მოაყოლებდა რაღაცას თავისი ცხოვრებიდან, რის საფუძველზეც მერე უკვე თავად ქალაქი ქმნიდა ამ მართლაც რომ წმინდანივით ნაწამები კაცის ახალ ბიოგრაფიას, რასაკვირველია, თავისი მოსაზრებებისა და იმჟამინდელი გუნება-განწყობილების შესაბამისად. მაგრამ, როგორც არ უნდა გადაესხვაფერებინათ, შეეცვალათ, შეეტრიალებინათ სხვადასხვა დროს, სხვადასხვანაირად მოსმენილი ამბავი, ბოლოს მაინც ერთნაირად მძიმე და სამწუხარო გამოდიოდა. მართლაც, როგორი წარმოსადგენია, საკუთარი და სხვათა სისხლით ატალახებულ საფლავში წოლა?! თანდათანობით სული გეხუთება. როდემდე შეიკავებ სუნთქვას?! არადა, ჰაერის ყოველ ჩასუნთქვაზე ფილტვები ტალახით გევსება. ხოლო სხვათა, შენთან ერთად დახვრეტილთა გაშეშებული გვამები, ეკალბარდებივით, გეღობებიან, თითქოს ძალით გაკავებენ, შეგნებულად გიშლიან საფლავიდან ამოსვლას - თუ ჩვენთან ერთად დაიხვრიტე, ჩვენთან ერთად უნდა დარჩე ბოლომდეო - მაგრამ შენ, განა არ გინდა იმათთან დარჩენა, არ შეგიძლია, უფლება არა გაქვს, რადგან დახვრეტამდეც და დახვრეტის მერეც, წამითაც არ გაგნელებია სიკვდილზე ბევრად შემზარავი წინათგრძნობა სიკვდილზე ბევრად შემზარავი უბედურებისა. მთელი არსებითა გრძნობ, რაღაცა ძნელად წარმოსადგენი, ძნელად მოსარევი განსაცდელი დასტყდომია თავს შენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანებს, რომლებიც თითქოს სამშვიდობოსა გყავს დატოვებული, ომისაგან შორს, კავკასიონის გადაღმა, თავიანთ მშობლიურ ქალაქში, მაგრამ დახვრეტის მერეც, ისევე როგორც დახვრეტამდეც, მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ უშველო იმათ, თავს კი არა, იმათ, შენზე უარეს განსაცდელში ჩავარდნილებს საკუთარ ჭერქვეშ, როგორ, რანაირად მიაწვდინო ხმა ლამის ქვეყნის მეორე ბოლოდან, კიდევ უფრო შორიდან, ვიდრე ამქვეყნიური საზომებით შეიძლება წარმოიდგინო - საერთო საფლავიდან - რომელშიაც აგერ უკვე მთელი საათია წევხარ, ელოდები, როდის მიწყდება ნებისმიერი სიცოცხლის დამადასტურებელი ხმა, ხელმეორედ რომ იშვა თავად, ბალახივით ამოხვიდე საკუთარი საფლავიდან.

www.Litklubi.ge

თვითონ ამბობს, არც მიფიქრია რომ მოკვდებოდიო, ჩემი თავი საერთოდ არ მახსოვდა, არც დახვრეტამდე, როცა ჩვენივე ხელით ამოთხრილ საფლავთან ჩაგვამწკრივეს, და არც დახვრეტის შემდეგ, როცა ნაუცბათევად ამოვსებული საფლავიდან, როგორც იქნა, ამოვბობდდიო. საფლავიდან რომ ამობობდებულა, რომელიღაც ლეშიჭამია ნადირი დაუფრთხია - ის ზემოდან თხრიდა თურმე მიწას, როგორმე რომ ჩაეღწია გვამებამდე - გულგახეთქილი გადახვეწილა ღამის უკუნეთში და ისიც, ვანო მასწავლებელიც, გაუაზრებლად გაჰკიდებია უკან. თვითონ ამბობს, იმან გადამარჩინაო, რომ არ გავკიდებოდი, ახლაც იქ ვიქნებოდიო. დაფეთებულ ნადირს მისდევდა, თურმე, ორი ტყვიით დაჭრილი, სისხლიანი ტალახით ფილტვებამოვსებული, დაბრმავებული, ყურებამოგლესილი, ნესტოებდახშული. ტალახს აფურთხებდა და მირბოდა, გულამოვარდნილი მისდევდა თოვლზე შავად დამჩნეულ ნაკვალევს. თუმცა, შეიძლება, არავითარი ნაკვალევი არ არსებობდა სინამდვილეში და თვითონვე წარმოიდგინა ყველაფერი, იქიდან რომ გამოედწია. მაგრამ, საფლავიდან თავდაღწეულმა, ახლა ორმოში ამოჰყო თავი, ცოცხლად დაიმარხა ისევ და ახლა უფრო დიდი ხნით, თანაც, ნებაყოფლობით. ენა, რა თქმა უნდა, ყველაფერს ადვილად იტყვის, მაგრამ მტერმა გაძლო კარტოფილის შესანახ ორმოში მთელი ზამთარი - თაგვივით ჩუმად, გაუფაჩუნებლად, გაუნელებელ შიშსა და მოლოდინში. კი არ წევხარ, გდიხარ ნესტით გაფუებულ ჩალაზე, ღონემიხდილი, სიცხიანი, და თვალდაუხამხამებლად ასცქერი ასახდელ ჭერს - არ იცი, როდის აიხდება და, რაც მთავარია, არ იცი, ვინ ახდის ამჯერად, ისევ შენი შემფარებელი დედაბერი, თუ მტერი, შენი ერთხელ უკვე დამხვრეტი. ორმოში კი დღისითაც ისევე ბნელა, როგორც ღამით, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა თურმე - სიცოცხლის გულისთვის, სიცოცხლის სახელით - სიბნელესაც, სინესტესაც, სიცივესაც, სიბინძურესაც, ტკივილსაც, შიშსაც... ყველაფერს, რისიც არ ითქმის სახელი. და შენც უკვე სულ უმნიშვნელო, თმასავით წვრილ განაბზარსაც ამჩნევ ასახდელ ჭერზე - ისაა შენი სულის კარიბჭე - სააქაოშიც და საიქიოშიც ამ გზით უნდა გადახვიდე მხოლოდ, სხვა გზა შენთვის აღარ არსებობს, იმის მეშვეობით უკავშირდები ყველაფერს, მოულოდნელად გადარჩენილ სიცოცხლესაც და ყოველ წუთას მოსალოდნელ სიკვდილსაც. ის გინარჩუნებს დროის შეგრძნებასაც, რადგან, იშვიათად, მაგრამ მაინც უნდა აიხადოს აუცილებლად, თუნდაც ერთი წამით, იმდენი ხნით, პურის, წყლისა თუ წამლის ჩამოწოდებას რომ სჭირდება. შენც მაშინვე გაბრმავებს დღის სინათლის უმნიშვნელო, ოთხკუთხედი ნამტვრევი, ჭერის ახდისთანავე რომ დაგეცემა ხოლმე სახეზე, მომწყდარი ლოდის სიმძიმით, და დარეტიანებული, როდის-როდის არჩევ ჯერ დედაბრის დამჭკნარ, იდაყვამდე გაშიშვლებულ ხელს, რომელიღაც მტაცებელი ფრინველის ფეხივით რომ ჩაფრენია ასახდელი ჭერის კიდეს, მერე კი დედაბრის გაწყალებულ თვალებს, მიხრწნილობის, გარდაუვალი აღსასრულის მაუწყებელი ცრემლით მარად სველსა და წითლად აპრიალებულ ქუთუთოებს. "რატომ მშველი, მე ხომ მტერი ვარ, რატომ ქვეყანას არ გააგებინებო" - ეკითხებოდა თურმე ვანო მასწავლებელი, ის კი ყასიდად გამწყრალი, ვითომ შუბლშეკრული, ბავშვურად ღიმილშეკავებული, თავისივე რეცეპტით მოდუღებულ წამალს ჭიქით ჩამოაწოდებდა და კი არ ეტყოდა, უბრძანებდა, დალიეო. ასე რომ, მთელი ზამთრის განმავლობაში, უფრო ზუსტად კი, დედაბრის სიკვდილამდე, თუ რამე იცოდა ქვეყნისა, იმ დედაბრისგან იცოდა, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო ცოდნა იყო, იმდენად ყავლგასული და დრომოჭმული, არც არაფერს აძლევდა, არც არაფერს ართმევდა. დედაბერი იმას ამბობდა, რაც მარტო თვითონ ესმოდა, რითაც მარტო თვითონ ცხოვრობდა, ამიტომ, ბევრი არაფერი გაეგებოდა ამ ქვეყნისა, რადგან ბევრი არაფერი ესაქმებოდა იმასთან. მოგონებებითღა ედგა სული, შვილის საფლავივით უხილავსა და ხელმიუწვდენელ წარსულს ელოლიავებოდა მოგონებებში და მთელი მისი სატკივარი, სადარდელი და საფიქრალი იმ საფლავსვე აჭკნებოდა ზედ.

www.Litklubi.ge

იმ დედაბრის შვილი ცხრაასთვრამეტში საქართველოში ყოფილა და იქვე გარდაცვლილა სამხედრო ლაზარეთში. მაგრამ სიკვდილამდე ბევრს იწერებოდა თურმე იქაურ ამბებს და, დაუსწრებლად, დედისთვისაც შეუყვარებია, როგორც თვითონ უწოდებდა, "ღმერთისაგან მიტოვებული სამოთხე". თავად ხომ სხვა აღარაფერი ხსომებია, იმ უცხო, შორეული, თითქმის არც არსებული ქვეყნის ჭირ-ვარამის მეტი. იმისი სახელი ამოუკვეთია გულზე და იმისი სამსახური დაუსახავს ცხოვრების მიზნად. იქაური პოეტების ლექსებიც კი უთარგმნია და ვარსკვლავებივით უთვალავ ტაძართა და ციხე-კოშკთა ნანგრევების აღნუსხვაც დაუწყია, მაგრამ საქართველოს სხვა, არცთუ მრავალი, გულშემატკივრის მსგავსად, არც იმას დასცლია ჩანაფიქრის განხორციელება და მოულოდნელად გარდაცვლილა, მაინცდამაინც იმას დასტაკებია მუცლის ტიფი თუ რაღაც ესპანური სახადი. "საქართველოს და ქართველთა გადარჩენა ყველა კეთილშობილი ადამიანის უწმინდესი ვალიაო" - ასე ამთავრებდა თურმე საქართველოდან გამოგზავნილ ყველა წერილს, როცა მართლაც რომ დიდ ეჭვს იწვევდა საქართველოს გადარჩენა, ძნელი დასაჯერებელი იყო, თავს რომ დაანებებდნენ ძველი მტრები, რომლებსაც უკვე არაერთხელ ჰქონდათ ნაგემი იმისი ტკბილი ჩიჩია და სანახევროდ ლამის შეეჭამათ კიდეც, ხოლო, რაც გადარჩენოდათ, იმას ნიკოს პაპისნაირი ჯარისკაცებიღა იცავდნენ. "შვილის ანდერძის აღსრულების საშუალება მომცა ღმერთმაო" - ასე ეუბნებოდა თურმე ის დედაბერი ვანო მასწავლებელს, უძლურობისგან აკანკალებული და, რომელიღაც მტაცებელი ფრინველის ფეხის მსგავსი ხელით, ასახდელი ჭერის კიდეს ჩაფრენილი. და მართლაც, რა უნდა ეფიქრა სხვა, როგორ უნდა აეხსნა სხვანაირად, როგორ არ მიეღო ღმერთის ნება-სურვილად ვანო მასწავლებლის გამოცხადება, როცა ოცდახუთი წლის წინ გარდაცვლილ შვილს თავად გაუღვიძებია თურმე იმ ღამეს, უხეშად, დაუდევრად წაუკრავს ხელი და უთქვამს: გახედე, მოვიდაო. ისიც მაშინვე წამოვარდნილა საწოლიდან, მაშინვე გამოუღია კარი და, როგორ გგონიათ, ვინ მდგარა კართან, თოვლის კორიანტელში გახვეული?! ვინა და, ქართველი! მაინცდამაინც ქართველი და მაინცდამაინც გადასარჩენი - დევნილი, დაჭრილი, ტანსაცმელშემოფლეთილი, თავშიშველი, ფეხშიშველი, გათოშილი, მშიერი და, რაც მთავარია, მკვდრეთით აღმდგარი, საფლავიდან ამოსული, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

www.Litklubi.ge

თვითონ ამბობს, ერთი სული მქონდა, როდის შევძლებდი სიარულს, როდის მივაწვდენდი ჩემიანებს ხმასო. რადგან სიკვდილზე შემზარავი წინათგრძნობა ვერც ორმოს ნესტიანმა სიცივემ მოუსპო, თურმე, და ვერც გერმანელი დედაბრის უანგარო მზრუნველობამ. მაგრამ მაინც უფრო ადრე წამოსულა იქიდან, ვიდრე ელოდებოდა, ვიდრე თავს მომზადებულად ჩათვლიდა საერთოდ სადმე წასასვლელად. ამის მიზეზი კი მისი შემფარებელი დედაბრის მოულოდნელი (!) სიკვდილი გამხდარა. სკამზე დაჯდომადა მოუსწრია, საბრალოს, დამჯდარი მომკვდარა სამზარეულოში. არაფრით რომ აღარ ახდილა ჭერი, რაღაც, ამის მაგვარი ვარაუდი ორმოს ბინადარსაც გასჩენია, მაგრამ ერთბაშად მაინც ვერ გაუბედავს ორმოდან ამოსვლა, მაინც დაცდა უმჯობინებია, რადგან ადვილი შესაძლებელია, ორმოდან უნებართვოდ ამოსული, ისევ მტერს ჩავარდნოდა ხელში. დრო კი გადიოდა. უფრო სწორად, აღარ გადიოდა, წყვდიადში საერთოდ აღარ იგრძნობოდა, აღარ არსებობდა თითქოს, რადგან იქამდე, ასე თუ ისე, ბნელში მოწეული თუთუნივით, მეტ-ნაკლებად, მაინც ინარჩუნებდა ზემოქმედების უნარს, თუნდაც არათანაბარ მონაკვეთებად დაყოფილი, ასახდელი ჭერის მეშვეობით, მაგრამ ახლა, რაკი ჭერი ყრუდ, უიმედოდ დაგმანულიყო, იმასაც დაჰკარგვოდა თავისი მთავარი თვისება - აღნიშვნა და დადასტურება რაღაცის დამთავრებისა და რაღაცის დაწყებისა. ნესტით გაფუებულ ჩალას ჭამდა თურმე და ელოდებოდა, არკი იცოდა - რას. მაგრამ გვამის სუნს, ბოლოს და ბოლოს, ორმოშიც რომ ჩაუღწევია, გიჟივით ამოვარდნილა იქიდან. მარტო იმის შეგრძნებას, მკვდრის იმედზე რომ ყურყუტებდა, ვინ იცის, რამდენი ხანი, წყვდიადში, ერთბაშად ფრთები შეუსხამს იმისთვის. ხოლო, პირველი, ვინც ორმოდან ამოსულს დაუნახავს, ის დედაბერი ყოფილა - სკამზე მჯდარა, კალთაში ხელებჩაყრილი, ოთახში ჭვარტლის შავი ნაფლეთები დაფრინავდნენ თურმე. ეტყობა, ნავთქურას იქამდე ებოლა, ვიდრე ნავთი ამოიწვებოდა. ის კი, ეს წუთია ორმოდან ამოსული, ჯერ ქვაბებს მივარდნია, ქვაბებს დარევია შიმშილისგან გამხეცებული. თვითონ ამბობს, ვგრძნობდი, ვიცოდი, მესმოდა, ცუდად ვიქცეოდი, მაგრამ იმ წუთას სხვანაირად არ შემეძლო, ვერაფრით ვერ მოვერიე თავსო. იმასაც არ უკვირდებოდა თურმე, რას ჭამდა, ოღონდ რამე ჩასვლოდა დამპალი ჩალის წვენით სავსე კუჭში. თან მიცვალებულს შესცქეროდა და თან ტაფაზე დანახშირებულ კარტოფილს ფხეკდა თურმე ფრჩხილებით. ერთ ქვაბში მწვანედ ჩაობებული პურისთვის მიუგნია და ისიც შეუჭამია. თან თვალს ვერ აშორებდა თურმე სკამზე ჩამომჯდარ მიცვალებულს. მიცვალებულიც იმას შემოსცქეროდა თითქოს, მისკენ თავმობრუნებული და მისი საქციელით გაოცებული, ენაჩავარდნილი, ჭაღარა თავი ჭვარტლის შავი ნაფლეთებით ჰქონია გადაპენტილი. ცოტა რომ სული მოუთქვამს და უკეთესად დაჰკვირვებია დამჯდარ მიცვალებულს, ლოყაზე და კისერზე კატისა თუ ვირთხის ნაკბილარებიც შეუმჩნევია და იმავე წამს ცუდად გამხდარა. ხავსმოდებული წყლით სავსე ქოთანი მიუყუდებია მაშინვე, ნახევარი ზედ გადაუსხამს, მაგრამ ვეღარაფერი უშველია დამყაყებულ წყალს და მეორე წუთას, ქოთნის ნამტვრევებში დაჩოქილი, ორივე ხელით მაგიდის კიდეს ჩამოკონწიალებული, ღმუილით არწყევდა თურმე, არა მარტო კარტოფილის ნახშირსა და პურის ობს, ფაცაფუცით ჩანთქმულს, შეთქვლეფილს უძლურობის, უგონობის ჟამს, არამედ ყველანაირ გესლსა და ბალღამს, წლობის განმავლობაში დაგროვილს მის სულსა და გონებაში, დაძალებულს, შემოპარებულს, შემოთავაზებულს ჩვეული სივერაგითა და სისასტიკით თავად ცხოვრების მიერ. ამაზრზენად დაბუშტულსა და ამაზრზენად ლორწოვან ნარწყევში დაჩოქილი, მაგიდის ქვემოდან, ახლა მიცვალებულის ფეხებს ხედავდა მხოლოდ, უფრო სწორად, კოჭს ზემოთ, წინდიანად გამოჭმულ ხორცს, და კიდევ უფრო ძლიერ ეკრუნჩხებოდა გულ-მუცელი, კიდევ უფრო მწარედ ღმუოდა, გმინავდა, იხრჩობოდა, მაგრამ როგორც არ უნდა ეომა თავთან, როგორც არ უნდა დაეხუჭა ისედაც დაბრმავებული, სიმწრის ცრემლით ამოშანთული თვალები, მაინც ხრწნაგამჯდარი იარის მოლურჯო-მოწითალო სისველეს ხედავდა მხოლოდ, თავადაც ის სისველე შემოსდგომოდა თითქოს ირგვლივ, იმ სისველეში იყო თითქოს დაჩოქილი.

www.Litklubi.ge

მაგრამ, როგორც თვითონვე ამბობს, მთავარი უბედურება მაინც შინ ელოდებოდა თურმე. შეიძლება ამიტომაც, კიდევ დიდხანს ვერ მოუხერხებია შინ დაბრუნება, თითქოს გადამწყვეტი, საბოლოო დარტყმის წინ, ბედისწერაც იცოდებდა, ზოგავდა თავის მარადიულ მსხვერპლს. კარტოფილის ორმოდან თავდაღწეული, ისევ ტყვეთა ბანაკში მოხვედრილა, იქიდან კი, როგორც მრავლის მნახველი და გადამტანი, ნიურნბერგის პროცესზე გადაუგზავნიათ მოწმედ. მაგრამ მოსახდენი უნდა მომხდარიყო და მომხდარა კიდეც - ბოლოს და ბოლოს, შინ დაბრუნებულს, შვიდი წლის გოგო გახდომია უცებ ავად, ერთ საღამოს სისხლი წასკდომია ცხვირიდან და ვერაფრით შეუჩერებიათ, ექიმებს უთქვამთ, ჩვენ უმწეონი ვართო, ჩვენ კი არა, სასწაული თუ არ მოხდა, ამ სენთან ბრძოლა, ჯერჯერობით, ამ სენის სასარგებლოდ მთავრდება ყველგან, გინდა მოსკოვი იყოს, გინდა პარიზიო. მაგრამ რაკი მოსკოვი წამოსცდენიათ ექიმებს, იმას მაინც წაუყვანია ბავშვი მოსკოვში. რაკი თუნდაც იოტისოდენა იმედი არსებულა, იმასაც, ბუნებრივია, თავი ვალდებულად ჩაუთვლია, ყველაფერი ბოლომდე ეცადა. აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?! ექიმები გულს ასკდებოდნენ თურმე, რა სისულელე ჩავიდინეთ, რატომ გავუღვიძეთ ცრუ იმედიო. არადა, სხვა მხრივ, კიდევ უარესი იქნებოდა, მოსკოვში რომ არ წასულიყო, მთელი სიცოცხლე ვერ აპატიებდა თავს, მთელი სიცოცხლე არ დაელეოდა ათასი "იქნებ" და ათასი "ვაი თუ". მაგრამ მოსკოვში ბავშვი ლამის უკვე მკვდარი ჩაუყვანიათ. თვითმფრინავში ორჯერ ჩაკვდომიათ ხელში, მაგრამ როგორღაც უმარჯვნიათ და ხელიდან გამოუტაცნიათ სიკვდილისთვის. ჩაყვითლებულ-ჩაშავებული, ძლივს ახელდა თურმე თვალს და, რაკი ლაპარაკი არ შეეძლო, ძალისძალად იღიმებოდა, მშობლებისთვის რომ ენიშნებინა, ნუ გეშინიათ, არ მოვმკვდარვარ, ჯერ ცოცხალი ვარო. მშობლებმა კი აღარ იცოდნენ, რა ეღონათ, ასე ცაში გამოკიდებულებს, როგორ ეშველათ ერთადერთი შვილისთვის, ვისთვის მიეყიდათ სული, ვის დასდგომოდნენ მონებად, ერთი ყოვლად უდანაშაულო ბავშვის სიცოცხლის საფასურად. "რა ვქენი, რატომ ფეხები არ მომტყდა, თავის ლოგინში მაინც მომკვდარიყოო" - ხორცებს იჭამდა თურმე დედა. მამას კი საერთოდ დაჰკარგვია განსჯის უნარი. სამაგიეროდ, მთელი არსებითა გრძნობდა, სრულიად ახალი, თავზარდამცემად ახალი ცხოვრება რომ იწყებოდა მისთვის, გარდასულზე კიდევ უფრო მკაცრი და დაუნდობელი, კიდევ უფრო დიდი ტკივილების მომნიჭებელი, რადგან გარდასული, მიუხედავად ყველაფრისა, მეტ-ნაკლებად გასაგებიცა და მეტ-ნაკლებად მისაღებიც იყო მისთვის - საერთო საფლავის ატალახებული მიწის სიმძიმითაც, კარტოფილის ორმოს წყვდიადის გამთოშავი სიმყრალითაც, დამპალი ჩალის წებოვანი წვენითაც - ახლისა კი, ჯერჯერობით, არაფერი გაეგებოდა, არაფერი აკავშირებდა იმასთან, შვილის უეცარი და უსაშველო სენის მეტი. გარდასულ ცხოვრებაში ის მაინც იცოდა, როდის როგორ მოქცეულიყო, ვის დამალვოდა და ვისთვის ეთხოვა შველა, ახლა კი, გაოგნებული, ფარხმალდაყრილი შესცქეროდა მომაკვდავ შვილს, შესცქეროდა, როგორ იფერფლებოდა იმისი სიცოცხლე, ყოველ წამს როგორ ახლოვდებოდა აღსასრული, როგორი გარდაუვალი, ხელშესახები ხდებოდა სიკვდილი და მაინც უძრავად, უმოქმედოდ იჯდა და შესცქეროდა, როგორ მოსდევდა თვითმფრინავს სიკვდილი - ფრთების ტყლაშუნით, სისინ-წივილით. ჯოჯოხეთის ცეცხლში გამოვლილს, ათასჯერ დახვრეტილს, ათასი ყულფიდან ჩამოხსნილს - აზრის ნატამალიც არ უღვიოდა თავში, არაფერს ეუბნებოდა გული, არაფერს კარნახობდა ალღო. მხოლოდ იმის შიში ჰქონდა, თვითმფრინავს არ შემთხვეოდა რამე, თითქოს მიწაზე ყველაფერი თავისთავად გადაწყდებოდა და აუცილებლად მისი შვილის სასარგებლოდ, რადგან იქამდე ფიქრშიაც არ დაუშვია, ისიც სიკვდილის ქვეშევრდომი რომ იყო, ვისთვისაც თავად ცოცხლობდა, ვის გამოც არ ეპუებოდა და არ ურიგდებოდა სიკვდილს, ვისი მხოლოდ წარმოდგენაც კი, თუნდაც სულ უკანასკნელ წამს, არათუ სიცოცხლის ჟინს, სასიცოცხლო ძალებსაც აღუდგენდა ხოლმე მაშინვე.

www.Litklubi.ge

საავადმყოფოში სულ ორი დღედა უცოცხლია გოგოს და ის ორი, უბოროტესი, უმკაცრესი, მაგრამ, ამავე დროს, საოცრად ცოცხალი, ტევადი, მოძრავი, ათასნაირი, ძნელად დასაჯერებელი ფიქრის, აზრის, იმედის, ოცნების გამჩენი და მომსპობი, გარდამქმნელი და გამაპამპულებელი დღე, სამივენი, მართლაც რომ ერთ არსებად ყოფილან ქცეულნი. პატარა, წალოსავით პალატაში, სადაც ერთადერთი საწოლი მდგარა, ხან დედა უქშევდა თურმე სიკვდილის ანგელოზს, ხან მამა; ერთი რომ ბავშვის საწოლთან იჯდა, მეორე კიბის ბაქანზე დაძრწოდა, გალიაში დატყვევებული მგელივით, ანდა, ლიფტის წინ ჩაცუცქული და ლიფტის კარს მიყურადებული - ვინმე არ დამადგეს თავზე, არ გამიბრაზდეს და არ გამაგდოს აქედანო - პირმოკუმული ყმუოდა, ისევ მგელივით. მაგრამ, მგლისგან განსხვავებით, კაცმა თითქმის არასოდეს არ იცის ზუსტად, ვისზე ან რაზე უნდა იძიოს შური. სამაგიეროდ, თუკი მგელს სუსტი მახსოვრობა აქვს და მალე ავიწყდება თავისი უბედურება, კაცმა ამ უბედურებით უნდა გალიოს დარჩენილი წუთისოფელი, სიკვდილამდე არ უნდა დაივიწყოს და ვერც დაივიწყებს, რადგან მახსოვრობა იგივე სასჯელია, ბუნებისგან დადგენილი, უვიცობისთვის, უმეცრებისთვის, მიუხვედრელობისთვის. ხოლო, თუ გაწყრა ღმერთი და დაივიწყა, ეს უკვე საყოველთაო უბედურების ნიშანია და, პირველ რიგში, ადამიანის გადაგვარების მაუწყებელი. ვანო მასწავლებელი, რა თქმა უნდა, არც ფიქრობდა შურისძიებაზე, რადგან ყოველმხრივ ჩვეულებრივი ადამიანი იყო და არც იმან იცოდა, ვისზე უნდა ეძია შური. შეიძლება, მთელი კაცობრიობაც კი იყო დამნაშავე, საერთოდ რომ არსებობდა ასეთი სენი, მაგრამ გამორჩეულად ვერავის დაადებდა ხელს, გინდა თუ არა, შენა ხარ ჩემი შვილის მკვლელიო. იდგა კიბის ბაქანზე და პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა თურმე, როგორმე რომ მოესპო პირში მოულოდნელად გაჩენილი სიკვდილის ამაზრზენი გემო. ამ დროს, ექიმი გამოსულა დერეფნიდან და მკლავში მკლავი გამოუდია, მეგობრულად, შინაურულად, წამო, ცოტა ხანს, ბაღში ჩავიდეთო. ისიც მაშინვე მიმხვდარა, რისი მაუწყებელი იყო ექიმის ამგვარი გულითადობა, მაგრამ თავი შეუკავებია, არ უთქვამს, ბაღში რა მინდა, ბარემ აქვე მითხარი, რა ამბავია ჩემ თავსო. დაბნევით კი მაინც დაბნეულა - ათასჯერ დაკითხული, ათასჯერ ნაწამები, ამჯერად, ბავშვივით აღელვებულა, აფორიაქებულა, თუმცა, იქამდეც სცოდნია, არავითარი იმედი რომ არ არსებობდა მისთვის. პაპიროსი კიბის მოაჯირზე დაუსრესია, დაჭმუჭნული ნამწვავი გაზეთის ნაგლეჯში გაუხვევია და ჯიბეში ჩაუდია, მოაჯირზე დარჩენილი შავი ფერფლისთვის კი სული შეუბერავს და, გულაფრიალებული, მუხლებაკანკალებული, ჩაჰყოლია ექიმს საავადმყოფოს ბაღში. თითქოს ბაღში უფრო იოლად, უფრო ბუნებრივად შეიძლებოდა იმის თქმა, რის თქმასაც, ჯერჯერობით, ვერ უბედავდა ექიმი, ანუ, რის სათქმელადაც ექიმი ემზადებოდა და რის მოსასმენადაც იმას ამზადებდა. არადა, უკვე ყველაფერი ისედაც ნათელი იყო ორივესთვის, თავს იტყუებდნენ უბრალოდ, ბავშვური გულუბრყვილობით უხუჭავდნენ თვალს უბედურებს, თითქოს თვალდახუჭულნი, თავადაც უჩინარნი იქნებოდნენ მტრისთვის. ექიმს გვერდით მოუსვამს ცისფრად შეღებილ მერხზე და ჯერ პაპიროსი შეუთავაზებია. თვითონაც ბევრს ეწეოდა და ბოლოს ყოველ ჩასუნთქვაზე ხმამაღლა ასლოკინებდა თურმე. "მიყვარს, გულს რომ ხვდება ბოლიო" - დამსვენებლის უდარდელი, მსუბუქი ხმით მოუყოლებია სლოკინისთვის, თითქოს სხვა არც არაფერი ჰქონია სათქმელი, თითქოს მართლა დასასვენებლად და თავის შესაქცევად ჩამოსულიყო ბაღში. იმასაც, ვანო მასწავლებელს, მაშინვე თამბაქოზე გაუბამს ლაპარაკი, იმის კვლევა დაუწყია, რომელი თამბაქო რომელს სჯობიაო, მაგრამ გულში, დამფრთხალი და ნირწამხდარი, გაწბილებული და გალახული ფიქრობდა თურმე: ნუთუ, ამდენჯერ იმიტომ გადავრჩი მხოლოდ, ესეც რომ განმეცადაო. ამ დროს, მათი მერხის წინ ბავშვებს ჩაუვლიათ. თავიანთებურად მოეღურტულებდნენ თურმე, მოლაპარაკობდნენ ბავშვურად აღელვებულნი, აღგზნებულნი, თავგამოდებულნი. თავიანთი თოჯინები ჰყოლიათ ბაღში გამოყვანილი სასეირნოდ - ვითომ დედიკოებს, ვითომ შვილიკოები. ექიმს კი ხელი გაუშვერია ჩავლილი ბავშვებისკენ და უთქვამს: ეგენი, სუყველანი, განწირულები არიან, ვერც ერთი ვერ გავა აქედან ცოცხალიო. და თითქოს ამ სიტყვების უტყუარობის დასადასტურებლად, ზუსტად იმ სართულზე, სადაც ვანო მასწავლებლის გოგო წოლილა, სარკმლის მინა უცებ ჭახანით გამსკდარა და

www.Litklubi.ge

სარკმელში ლამის მთელი ტანით გადმოკიდებულ ექთანს განწირულის ხმით დაუყვირია: დაიჭირეთ, არ გაუშვათ, მკვდარი ბავშვი მოიტაცესო. ექთანის ხმა, ავად აელვებულ მინის ნამტვრევებთან ერთად, მომწყდარ ლოლუასავით ჩაზრიალებულა, ჩაფშხვნილა, ჩანთქმულა განწირული ბავშვებითა და სულელი, უდარდელი ჩიტებით ჩამყუდროვებულ ბაღში. ჯერ თითქოს უარესად გაუმძაფრებია ათასნაირი საჭმლისა და წამლის სუნით გაბრუებული დუმილი, მაგრამ მეორე წუთას, მთელი ამხელა შენობა, თავის ბაღიანად, უცებ ამოძრავებულა, აჩოჩქოლებულა, ახმაურებულა, აღელვებულა, აფორიაქებულა - ცეცხლწაკიდებულ სკასავით. სადღაც ზედიზედ გაჯახუნებულა კარი, საიდანღაც ვიღაცები გამოქცეულან, ფლოსტების ტყაპატყუპით, სადღაც ვიღაცის ჯერ კიდევ ცოცხალ ბავშვს დაუწივლია, ცივად, გამყინავად, თითქოს თაგვი შეუგდეს საბნის ქვეშო. "დაიჭირეთ", "არ გაუშვათ", "მოიტაცაო" - გაჰყვიროდნენ კედლები, დერეფნები, კიბეები, პალატები, ბაღის ბილიკები და ხეივნები, მაგრამ მაინც არავინ არ იცოდა წესიერად, ვინ უნდა დაეჭირათ, ვის ვინ მოეტაცა. ამ მოულოდნელი ალიაქოთით შეშინებული ბავშვები (თავადაც განწირულნი) და არანაკლებ შეშინებული მათი მშობლები, ნათესავები თუ მომვლელები - ქანდაკებებივით გაშეშებულნი მდგარან ბაღის სხვადასხვა კუთხეში, სადაც ელდას მოესწრო იმათთვის. ვანო მასწავლებელი ამბობს, მაშინვე მიგრძნო გულმა, ჩემს თავს რომ იყო რაღაც ამბავიო. ძლივს აუღწევია პალატამდე, კიბეები დაფეთებული, დაბნეული ხალხით ყოფილა გაჭედილი, ერთმანეთში არეულა ექიმი და ავადმყოფი, მომვლელი და მნახველი. იმას კი აღარც მომაკვდავი შვილი დახვედრია პალატაში, აღარც ცოლი. თეთრი, წინწკლებიანი თავსაფარი უპოვია მხოლოდ, იატაკზე ეგდო თურმე, საწოლის ფეხთან. ეტყობა, მის ცოლს დავიწყებოდა სიჩქარეში, როცა მკვდარ ბავშვს აცმევდა და მთელი გულისყური, ალბათ, კარისკენ ჰქონდა, ვინმემ არ შემომისწროსო. ვინმემ კი არა, იმან, ჩემმა ქმარმა და ამის მამამო. ექთანს რომ დაუნახავს, უარესად აკივლებულა: ეს რა მიყავით, რატომ დამღუპეთ, მკვდარი ბავშვი როგორ მომტაცეთო. არ იყო ჩემი ბავშვი მკვდარიო - უყვირია ვანო მასწავლებელს ექთნისთვის, მაგრამ ის თავისას გაიძახოდა თურმე: დავიღუპე, მომხსნიან, მკვდარი ბავშვი მომტაცესო. არ ყოფილა მკვდარიო - ახლაც იძახის ვანო მასწავლებელი, მაგრამ მიწამ უყოთ პირი თუ ცამ, იმათ კვალს ვეღარსად მიაკვლია. ვინც მაჩუქა, იმან წამართვაო - იტყვის ხოლმე რაღაცნაირად, არამიწიერად სახეგაბრწყინებული. ძალიან მადლობელია ცოლისა, დარწმუნებულია, მისი გულისთვის მოიქცა ასე. ბედისაგან აბუჩად აგდებული, იმან დაზოგა მხოლოდ, როგორც შეეძლო, ისე დაზოგა, თავისგან აკმარა გადატანილი ტანჯვა-წვალება და არ ანახვა შვილის სიკვდილი. შვილის მაგივრად კი ფუყე იმედი მიაჩეჩა ხელში. "როგორც ჭირვეულ ბავშვს - საჩხრიალოო" - ამბობს თვითონვე.

ახლა კი, ვითომც არაფერიო, ერთი ჩაახველა და გაზეთს იქიდან უთხრა ნიკოს: აბა, მოყევი, რა შეგემთხვა ნასაყდრალთანო.

გაზეთიდან თავიც არ აუღია, თითქოს მხოლოდ გაზეთის წასაკითხად იყო მოსული და საამისოდ სხვაგან ვერსად ნახავდა უკეთეს ადგილს. ფეხი ფეხზე გადაედო და ფეხსაცმლის წვერზე ცეცხლის გამონაშუქი ულიცლიცებდა, თითქოს დიდი, ყვითელი პეპელა დაჰფრენიაო.

- მე ხომ მომკლეს, პატივცემულო მასწავლებელო... არ იცოდით? - შეუბრუნა კითხვა ნიკომ და საბნის ქვეშ ისე გაიწვართა, ფეხები აუძაგძაგდა.

www.Litklubi.ge

- "მე ხომ მომკლეს" - გამოაჯავრა ვანო მასწავლებელმა. - დიდი ამბავი! აი, მეც დამხვრიტეს, მაგრამ მაინც ცოცხალი ვარ. ვარ თუ არა ცოცხალი? როგორ გგონია? - გახედა ერთი წამით გაზეთს ზემოდან. ნიკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და, რატომღაც, თვალები დახუჭა, მამასავით. იმავე წამს, თვალდახუჭული მამის ოფლით დაცვარული სახეც დაინახა და ერთბაშად დამშვიდდა, სამშვიდობოს გასული კაცივით. მოსწონდა, თვითონაც მამასავით რომ იწვა, თან კი, ცნობისმოყვარეობისაგან სული მისდიოდა, აინტერესებდა, მიაქცევდა თუ არა ყურადღებას ვანო მასწავლებელი, შეეკითხებოდა თუ არა თავს, რატომ წევს ეს ბიჭი ასე თვალდახუჭულიო. - დამმარხეს და მაინც მიწაზე დავდივარ - გააგრძელა იმან, ისევ გაზეთში თავჩარგულმა. თითქოს კი არ ესაუბრებოდა, გაზეთს უკითხავდა ნიკოს, სხვათა ამბებს აცნობდა გაზეთიდან. - იცი რატომ? - აღელდა უცებ. ხელები მუხლებზე დაუშვა. გაზეთი შრიალით მოიჭმუჭნა. - იმიტომ, რომ ვერ დამაჯერეს, ჩემი მოკვლის უფლება რომ ჰქონდათ. მთავარი კი ესაა. ტყვია კი არ კლავს, არამედ უფლება. ამიტომაც ცდილობს ყოველთვის მტერი შენი მოკვლის უფლების მოპოვებას, ამიტომ დაგცინის, გთათხავს, გჭორავს, გაკნინებს სხვათა თვალშიც, ათას სისაძაგლეს გაბრალებს, ვიდრე თოფს მოგიშვერდეს, რადგან ჯერ შენ უნდა დაგარწმუნოს, არაფრად რომ აღარ ვარგიხარ, მადლიც რომ იქნება შენი სიკვდილი. აი, როგორც ბიჭებმა იცით ჩხუბამდე, წადი, შე დედალოო, ქვეშაფსიაო, ქალაბიჭაო. ცოტა მშიშარა თუ ხარ, შეიძლება, მართლა დაიჯერო, ქვეშ ვიფსამო, ქალაბიჭა ვარ, ლეოსავითო. ხოდა, ამის დაჯერება და დაღუპვა ერთია. აღარ დააყოვნებს ის საბედისწერო წამიც, როცა თვითონვე გაამართლებ საკუთარ სიკვდილს. მერე კი აღარაფერი უნდა შენს ამოძირკვას - ერთს მოგქაჩავენ და დამპალი კბილივით ამოვარდები ბუდიდან. ოღონდ, ეს სხვანაირი სიკვდილია, ჩვეულებრივი, ყველასათვის სავალდებულო სიკვდილი იმასთან სახსენებელიც არ არის. კი არ მოკვდები, გაქრები, უკვალოდ, უნაშთოდ, და არა მარტო შენ, შენიანებიც, მთელი შენი მოდგმა, ცოცხლებიან-მკვდრებიანად. ამიტომ, არასოდეს არ უნდა წამოეგო მტრის გადმოგდებულ ანკესს. სხვათა შორის, მირიად ანკესში შეიძლება იმის გამოცნობა, იმდენად ძველია, იმოდენა ჟანგი ადევს. ჯერ კიდევ პომპეუსი თევზაობდა იმ ანკესით მტკვარზე, თავისავე აშენებული ხიდიდან. მაგრამ შენ მაინც არ უნდა დაიჯერო, ღირსი რომ ხარ სიკვდილისა, ვიდრე შენიანი არ გეტყვის, ნამდვილად შენი გულშემატკივარი (ნიკომ ისევ დაინახა თვალდახუჭული, ოფლით სახედაცვარული მამა და, მისდა გასაოცრად, ცივი, თეთრად დათრთვილული კატლეტის მძაფრი სუნიც იგრძნო უცებ). არც დაიჯერებ, თუკი გწამს და მტკიცეცა ხარ, დავუშვათ, როგორც... რა შეიძლება იყოს სიმტკიცის, შეურყევლობის სიმბოლო? ცვილის გრდემლი, მუყაოს ფარი, პანტის ზარბაზანი... ნუ გეღიმება, რწმენა სწორედ ეს არის - ცვილის გრდემლზე გამოგაჭედინებს მახვილს, მუყაოს ფარით დაგიცავს მტრის მახვილისგან, უკანასკნელ წამს პანტის ზარბაზანს მოგაშველებს და მტერს თუ ვერ მოგასპობინებს სამუდამოდ, შენ მაინც გაგამხნევებს ცოტა ხნით. ასე რომ, თუ რწმენა და სიმტკიცე გაქვს, პომპეუსი კი ვერ მოგსპობს, კიდევ უფრო გაგაძლიერებს, გაგწრთვნის, გამოგაწრთობს. თვალის დახუჭვა კი დანაშაულია...

- თუკი მეშინია?! - გააწყვეტინა უცებ ნიკომ, მისთვისაც მოულოდნელად, და საკუთარი საქციელით შეწუხებულმა, კიდევ უფრო მაგრად დახუჭა თვალები.

- მით უფრო, - მაშინვე უპასუხა ვანო მასწავლებელმა, თითქოს ელოდებოდა ასეთ შეკითხვასო. - მით უფრო, რადგან შიშია სწორედ გაურკვევლობის მამა. თვალდახუჭული, გაურკვეველს ვერ გაარკვევ. თვალი უნდა გაახილო, ბოლომდე, მთლიანად. თვალები იმიტომა გაქვს, რომ გაახილო! - რატომღაც გაცხარდა ვანო მასწავლებელი, როგორც სკოლაში იცოდა, ახალი გაკვეთილის ახსნის დროს. - როცა ხედავ, ქვეყანა უფრო ლამაზია და ნაკლებად საშიში. - მოამთავრა გაგულისებულმა და ხელები, გაზეთიანად, ისევ მუხლებზე დაუშვა, წასასვლელად მოემზადა თითქოს.

www.Litklubi.ge

- მე ხომ მართლა მოვკვდი, ბატონო მასწავლებელო - უარესად შეწუხდა ნიკო, შეეშინდა, მართლა არ წავიდეს ვანო მასწავლებელიო. თუმცა, მაინც არ გაუხელია თვალი. - დეიდაჩემმა წამალი გადამასხა შემთხვევით და იმან გამომაბრუნა, თორემ... - გააგრძელა ძველებურად, მოგონილი უდარდელობით.

- კი ბატონო, ეგეც ვიცით, - არ დაამთავრებინა ვანო მასწავლებელმა. - გვიამბო დეიდათქვენმა. თითქოს ჩემი გოგოც გინახავს... რას იზამ! იმედი კი მომისპე, მაგრამ მაინც ასე სჯობს. ადამიანმა ყოველთვის უნდა იცოდეს სიმართლე. თუ სიმართლე არ იცი, არც ადამიანი ხარ, როგორც მოცურავე ვერ იქნები, თუკი ცურვა არ გეცოდინება. კარგი, ჩემო ბატონო, ახლა კი ცოტა გონებაც წავავარჯიშოთ, არ დაგვიობდეს ლოგინში. აბა, გვიპასუხეთ, ვინ იყვნენ მსოფლიოში ყველაზე სახელოვანი მონა ქალები?!

- დეზდე და ლიზა. - სხარტად უპასუხა ნიკომ და გაეღიმა.

- ხა, ხა, ხა, ხა. - გულიანად გაიცინა ვანო მასწავლებელმაც. - ესე იგი, საშიში არაფერია, - გააგრძელა სიცილით. - ტვინი ნორმალურად მუშაობს, ზუსტად რეაგირებს ყველაფერზე. როცა იცი, რომ პომპეუსი პომპეუსია, ნაკლები უბედურებაა, ვიდრე, როცა ვერ გაგირჩევია პომპეუსი პაპისაგან. ისე, კაცმა რომ თქვას, ორივე პ-ზე იწყება. პ-ომპეუსი, პ-აპა. აბა, ახლა გამოჩენილი ადამიანები ჩამომითვალე პ-ზე.

- პომპეუსი. - თქვა ნიკომ.

- ეგ ხომ ვთქვით, - მოიღუშა ვანო მასწავლებელი. - თუმცა, არც ესაა შენი ბრალი, - გააგრძელა მოღუშულმა. - რაც არ უნდა იყოს, ერთ-ერთი პირველთაგანია, პირველი კი, ყველაფერი ტკბილად ამახსოვრდება კაცსაც და ხალხსაც, ჭირი იქნება თუ ლხინი.

- პეტრე პირველი. - თქვა ნიკომ. თან ეცინებოდა და საბანს იფარებდა პირზე.

- სწორი ხარ. კიდევ? - დაინტერესდა ვანო მასწავლებელი, თითქოს ამასაც არ ელოდებოდა ნიკოსგან.

- პიპინ მოკლე. - არ დააყოვნა ნიკომაც.

- მართალია. აბა, კიდევ თუ გაიხსენებ ვინმეს?! - შუბლი გაეხსნა ვანო მასწავლებელს.

- პეჩორინი.

- აჰ! ეგ ლიტერატურული გმირია. ისტორიაში არავითარ როლს არ თამაშობს. - ისევ მოიღუშა ვანო მასწავლებელი.

- მაშინ, პაგანინი. - თქვა ნიკომ საბნის ქვეშ, შეკავებული სიცილისგან დაბოხებული ხმით.

- დიახაც! - გაუხარდა ვანო მასწავლებელს. - და პაგანინი ატირდება სკრიპკის პროფილით... ასე არ არის? საყვარელ დაისს დამიფარავს მისი ყბაყურა... რაც კარგია კარგია. ამბობენ, პოეტებს შავი ძვალი აქვთო. ალბათ იმიტომაც შეჭამენ ხოლმე ცოცხლად, ვერ ითმენენ, აინტერესებთ, მალე უნდათ გაიგონ, მართალია თუ არა. ხოდა, თუკი ასეა, ახლა რომელიმე მწერალიც დამისახელე პ-ზე.

- პ-ზე?!

- დიიიიახ, პ-ზე.

- მწერალი. - ჩაფიქრდა ნიკო. - ქართველი თუ საერთოდ? - იკითხა მართლა დაინტერესებულმა.

- საერთოდ, - ჩაიბურდღუნა გაზეთს დაჩერებულმა ვანო მასწავლებელმა.

- პ-პ-პ-პ... პანაიტ ისტრატი! - გაუხარდა ნიკოს.

- სხვა? სხვა არავინ გახსენდება? - გაზეთს ჰკითხა ვანო მასწავლებელმა, უგულოდ, უინტერესოდ.

www.Litklubi.ge

- პანაიტ ისტრატი. - გაიმეორა ნიკომ, მოულოდნელად აღელვებულმა, ალბათ უფრო იმიტომ, მისი საყვარელი წიგნი რომ გაახსენდა უცებ, ლამის თავიდან ბოლომდე. გაახსენდა, როგორ მიცურავენ სამნი მდინარეზე. გოგოს ტრუსიკში ღორის ბუშტი უდევს, თუკი მის რომელიმე სატრფოს გაუჭირდება, მიეშველება, იმიტომ, რომ ორივე ერთნაირად უყვარს. ვერაფრით აურჩევია. იმიტომაც ჩაიჩეხა ბოლოს თხრილში. არც აქეთ, არც იქით. შუაში. ბნელ თხრილში. ისინი კი ფორთოხალს დაატარებენ ქუჩა-ქუჩა, პატარა ურიკით, და, თავიანთი ჭკუით, ბავშვობას დაეძებენ. სულელები. რასაც შენი ნებით დათმობ, ვეღარასოდეს დაიბრუნებ.

- ეგეთი მწერალი - არც გამიგია. - მშვიდად თქვა ვანო მასწავლებელმა. - თანაც, პანაიტი ალბათ სახელია და არა გვარი. მაშინ, პარმენ ლორიამ რა დააშავა, ანდა პანტელეიმონ ჩხიკვაძემ? მაგრამ, გავანებოთ ამას თავი. პრუსტზე რას იტყვი? პრუსტი, პასკალი, პო, პლატონი, პეტრარკა... პუშკინი, ბოლოს და ბოლოს. - თან გაზეთს კეცავდა ნელა, აუჩქარებლად.

- რაც არ ვიცი, არ ვიცი. - აღიარა ნიკომ და, უკვე დამცხრალი, ისევ ძველებურად გაირინდა, საბნის ქვეშ გულხელდაკრეფილი.

- ეგ არ არის დანაშაული, - თქვა ვანო მასწავლებელმა და რამდენჯერმე გაკეცილი გაზეთი პიჯაკის ჯიბეში ძლივს ჩაიჩარა. - დანაშაულია, როცა არ იცი და არც გაღელვებს შენი უვიცობა. კიდევ უფრო მძიმე დანაშაულია, როცა არ იცი და ჯიუტად გაიძახი, ვიციო. ეს კი ჩემგან გქონდეს სახსოვრად, ოღონდ, უფრო მონდომებისთვის, ვიდრე ცოდნისთვის. - მოაყოლა უცებ და მარჯვენა ხელის ცერა თითი უკან გაიშვირა მხარს ზემოდან.

ნიკომ თვალი გააყოლა იმის თითს და, ღმერთო დიდებულო, ლიმონის ხე დაინახა - ხის ყუთში ჩარგული, თეთრად გადაპენტილი, ყვითლად დახუნძლული, მწვანედ გადახასხასებული. დამალული ბავშვივით, გატრუნული, სუნთქვაშეკრული და გაფაციცებული იდგა კუთხეში, თითქოს ელოდებოდა, რას იტყოდა, როგორ მოიქცეოდა ნიკო მის დანახვაზე. ნიკო ჯერ გაოცდა, მერე დაიბნა, მერე აღფრთოვანდა და, კი არ წამოჯდა ლოგინში, რასაც, წუთის წინ, ფიქრშიაც არ დაუშვებდა, გიჟივით წამოვარდა ლოგინიდან. ფეხშიშველი იდგა გათოშილ იატაკზე და ძირსმოთრეულ საბანს, უნებურად, ოფლიან მკერდზე იფარებდა. "დაწექი, დაწექი, თორემ, მომკლავენ თქვენებიო" - იცინოდა არანაკლებ აღელვებული ვანო მასწავლებელი. მღელვარებისგან, ბეჭედი წაეძრო თითიდან, მაგრამ რაკი ამჯერად გახურებულ ღუმელთან იჯდა და არა მასწავლებლის მაგიდასთან, აღარ იცოდა, რა ექნა ბეჭდისთვის, როგორ მოქცეულიყო, ღუმელზე გაეგორებინა, როგორც მაგიდაზე დააგორებდა ხოლმე სკოლაში, თუ ისევ თითზე წამოეცვა.

ლიმონი იოსებას დროგით მოიტანა ალბათ. იოსება შემოატანინებდა აქაც. ვინ იცის, როგორ გაუწყალა გული ბებიას - პატარძალი მოგიყვანე, მაღარიჩი შენზეაო - მაგრამ ნიკოს არაფერი გაუგია, ღრმად ეძინა, ღრმად იყო ჩაფლული თავის სიზმრებსა და ჩვენებებში; ახლა კი, მართლაც რომ პირდაღებული შესცქეროდა ყველაზე საოცარ სიზმარსა და ჩვენებას, ყველაზე სასურველ სტუმარს, სიზმრიდან და ჩვენებიდან კი არა, სიცხადიდან მოვლენილს.

- თქვენ? თქვენ? თქვენ? - გაიძახოდა უაზროდ, ხის სიმშვენიერით მონუსხული და ადამიანური გულუხვობით შეძრული.

მაგრამ ვანო მასწავლებელი მაინც ხვდებოდა, რისი თქმა უნდოდა იმას და მოგონილი არხეინობით პასუხობდა: რას იზამ, ეს ყოფილა ქალის მამის ბედიო; აქ არის ამისი ადგილი და, იმედი მაქვს, შენ უკეთესად მოუვლიო. ლიმონის ხე კი ბუბუნებდა, კისკისებდა, ბრწყინავდა და ყვითელგულა ყვავილს აფრქვევდა, ასეთი კარგი მიღებით გახარებული.

www.Litklubi.ge

ამ მოულოდნელმა და მართლაც რომ ღვთაებრივმა საჩუქარმა სულმთლად დაუკარგა ნიკოს მოსვენება. რაზე უნდა ეფიქრა, ხის იდუმალი გაფაჩუნება, ანდა, სუსტი, თითქოს ძალით შეკავებული სურნელი რომ არ ჩაწვდენოდა უცებ და მაშინვე ფეთიანივით გადმობრუნდებოდა ხოლმე ხისკენ, მართლა აქ არის, თუ ესეც მე წარმოვიდგინეო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უცხო ადამიანი იყო სახლში, უცხო, მაგრამ სასურველი, მომხიბვლელი, რომელიც თავისი უჩვეულო გარეგნობითა და უცნაური ჩვევებით, არა მარტო ყურადღებას იპყრობდა, დაძაბული მოკრძალებისა და მოწიწების გრძნობასაც უჩენდა ყველას. ბებიამ ხომ აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ მოევლო და მიეხედა იმისთვის. ნიკო აღარც ახსოვდა. არა მარტო აეღელვებინა ამ მართლაც უჩვეულო საჩუქარს, ცოტა დაეფრთხო კიდეც, ვაი თუ, ისე ვერ მოვუაროთ, როგორ მოვლასაც პატრონთან იყო მიჩვეულიო. თითქოს ხე კი არ ეჩუქებინა იმათთვის ვანო მასწავლებელს, ცოცხალი ბავშვი მიებარებინა. სტუმარი, რა თქმა უნდა, მადლობებით გაისტუმრა ალბათ, მაგრამ შემობრუნდა თუ არა ოთახში, გულშეღონებული დაეშვა სკამზე - რა წყალში ჩავვარდე, რა მეშველება, როგორ უნდა გავწვდე ამხელა ხესო. ხე კი, ზრდილი, წესიერი ბავშვივით, უხმოდ იცდიდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ახალი პატრონები, მოიწონებდნენ და შეიფარებდნენ, თუ დაიწუნებდნენ და უკანვე გააბრუნებდნენ ამ სიცივეში. ბებია წუხდა, შფოთავდა და ასე, წუხილითა და შფოთვით ცდილობდა "საერთო ენის" გამონახვას მის ჭერქვეშ თავშეფარებულ ხესთან. ხან ეფერებოდა, ელოლიავებოდა, ვითომ მართლა მიბარებული ბავშვი იყო იგი, ხან კი, გულდათუთქული, შესტიროდა - ეცოდებოდა, ასეთი ლამაზი, ასეთი გამორჩეული. მაგრამ როგორც არ უნდა დალაპარაკებოდა ხეს, მაინც, აუცილებლად, იოსებას ლანძღვით უნდა დაემთავრებინა იმასთან ლაპარაკი, რადგან იოსებას აბრალებდა ყველაფერს - ისა მყავს მოსაკლავი, იმან მომირახრახა დროგით ამოდენა ცოდვაო. დეიდამ კი, ხის დანახვაზე, კარგა ხნით დაკარგა ლაპარაკის უნარი. სამსახურიდან მობრუნებული, შინაურებთან საკინკლაოდ განწყობილი, კარშივე გაშეშდა და, ენაჩაყლაპული, შესცქეროდა, თითქოს თავშეკავებულად, მორცხვად, მაგრამ მაინც ამაფორიაქებლად მობუბუნე საოცრებას. ბებიას ერთ ხელში ცოცხი ეჭირა, მეორეში აქანდაზი და, ვინ იცის, მერამდენედ გვიდა იატაკს მობუბუნე ხის გარშემო. "ერთი კაცი ამას სჭირდებაო" - შესჩივლა ქალიშვილს. "აბა, რას ამბობო" - გაუწყრა ქალიშვილი. ხე კი, მომქმედი ვულკანივით, თავისი მობუბუნე წიაღიდან განუწყვეტლივ აფრქვევდა ყვითელგული, სიფრიფანა, გამჭვირვალე ყვავილს და გეგონებოდათ, რაც ქვეყანაზე პეპელაა, ყველას აქ, ნიკოანთას მოუყრია თავიო.

- ცოდვაში არ ჩავცვივდეთ-მეთქი. - მაინც ცდილობდა ქალიშვილის გადაბირებას ბებია.

- რას ამბობ, დედი, რას ამბობ, აბა, რას ამბობ. - უაზროდ იმეორებდა მისი ქალიშვილი, ჯერ იევ გაოგნებული, ჯერ ისევ ხეს მიშტერებული.

- მოვიდეს მამაშენი და იმან გადაწყვიტოს. - ვერ მშვიდდებოდა ბებია, თითქოს უკვე საკუთარი შვილივით არ უყვარდა ის ხე და თითქოს ვინმეს დაანებებდა ცოცხალი თავით.

- რა ლამაზია, ღმერთო ჩემო, რა საცოდავი. - იძახდა დეიდა.

ნიკო კი ლოგინიდან უთვალთვალებდა ბებიისა და დეიდის ვნებათა ღელვას და სიამაყისგან ისე ებერებოდა გული, თითქოს მისი დამსახურება იყო, საერთოდ რომ არსებობდა ბუნებაში ამგვარი საოცრება.

www.Litklubi.ge

www.Litklubi.ge

მაგრამ, იმავე დროს, მასწავლებლის საჩუქარმა დიდ საგონებელშიც ჩააგდო ნიკო, თავსატეხ გამოცანად ექცა და, რაც არ უნდა ეწვალა, მაინც ვერ გაერკვია, აცდუნებდნენ თუ აბრიყვებდნენ, ამხნევებდნენ, ახალისებდნენ თუ კიდევ უარესად თრგუნავდნენ. და მართლაც, რატომ უნდა ეჩუქებინა ვანო მასწავლებელს, მაინცდამაინც ლიმონის ხე, მისი "გოგოს მაგიერი", თავს რომ ერჩივნა და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, მაინცდამაინც ნიკოსთვის, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, ერთი რიგითი მოწაფე იყო და მეტი არაფერი. მართალია, ისტორია უყვარდა, ვალო ბადალაშვილთან შედარებით, იცოდა კიდეც, მაგრამ ამისთვის რატომ უნდა დაესაჩუქრებინათ და, თანაც, ასე უცნაურად, სწორედაც რომ უცნაურად, რადგან ვერც ფიქრისთვის გაერთმია თავი, ვედარც სიზმრისთვის - სიცხიანი ბოდვა და აბდაუბდა მოგონილი იყო იმის ამუამინდელ გაწამაწიასთან. ოღონდ, ცხადში იყო თუ სიზმრად, ძალიან უნდოდა, ღირსი ყოფილიყო საჩუქრისა. რაღა თქმა უნდა, თავისი ნებისმიერი ნაკლის გამართლება (როგორც ადრე იქცეოდა ხოლმე), ახლაც შეეძლო, მაგრამ გამართლებული, გინდაც ნებადართული ნაკლით (ასე კი ახლა ფიქრობდა პირველად), შეიძლებოდა, სიბრალული და მოწყალება გამოეძალა სხვებისთვის - ზიზღთან და დაცინვასთან ერთად - საჩუქარი კი არავითარ შემთხვევაში. მაგრამ იმას საჩუქარი უნდოდა სწორედ, თანაც დამსახურებული, და ასე მწვავედ ალბათ იმიტომაც განიცდიდა ამ ამბავს, თავის სიცოცხლეში პირველად რომ ღირსებოდა საერთოდ საჩუქარს. აქამდე არავის არ ეცალა მისთვის და არც არავის მოსვლია აზრად, რაიმე ეჩუქებინა. საჩუქარი იმ წუთას გამომჟღავნებული ყურადღება კი არ არის მხოლოდ, ანუ, იმის გაცემა, რაც იმ წუთას შენ გაქვს, მაგრამ სხვას უფრო სჭირდება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მრწამსის, გრძნობის, შეიძლება, სულაც რაიმე განზრახვის განმტკიცებისა და შორეულ მომავალში გადატანის სურვილია, რასაც, უბრალოდ, არ შეიძლება, ნდობა და რწმენა არ ედოს საფუძვლად. ამიტომაც ასკდებოდა გულს, ამიტომაც იჭყლეტდა ტვინს, ამიტომაც დაეძებდა გამალებული გზებს, სასწრაფოდ რომ მოეშორებინა ყველა ნაკლი, განწმენდილიყო ყველა უნებლიე თუ უმეცრული ცოდვისგან და ერთნაირად კარგი ყოფილიყო ყველასთვის. ეს სურვილიც ახალი იყო მისთვის, პირველად გასჩენოდა, ყოველ შემთხვევაში, აქამდე არასოდეს უფიქრია მსგავსი რამ, აქამდე არასოდეს არ სდომებია ასე მტკივნეულად, ასე მტანჯველად, ასე უსაშველოდ, ყველასთვის ერთნაირად, მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც, კარგი ყოფილიყო - დედიკოს შვილიკო კი არა, კარგი შვილი, კარგი შვილიშვილი, კარგი დისშვილი, კარგი მეგობარი, კარგი ამხანაგი, კარგი მოწაფე და, რაც მთავარია, კარგი ბიჭი, მხოლოდ და მხოლოდ ბიჭი და არა ისიც და ისიც, ვიდაცების მსგავსად. მაგრამ ასე რომ ფიქრობდა, ყველაზე ძალიან იმისი ეშინოდა (თუმცა, თვითონაც ვერ იტყოდა, რატომ), გოგიას ამხანაგად არ გამოეყვანა ვინმეს, არ ეთქვა, რითი ჯობია გოგიასო. თუ გოგიას ჯილდო არ ეკუთვნის, ამას რატომ ეკუთვნის საჩუქარიო, იმან თუ კაცი მოკლა, ეგეც ხომ იქ იყო, რატომ არ შეუშალა ხელიო. მოწმე რომ ხარ, რადაცნაირად მონაწილეცა ხარ ყველა საქმისა, მკვლელობა იქნება თუ ქორწილი... იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ როგორც ვანო მასწავლებელი ამბობს, ვინც დანაშაულს უყურებს თვითონაც სჩადის დანაშაულს, ქურდობის მოწმე თვითონაც ცოტათი ქურდია, გარყვნილების მოწმე თვითონაც ცოტათი გარყვნილია და, აქედან გამომდინარე, მკვლელობის მოწმეც თვითონაც ცოტათი მკვლელია, რადგან როცა იცი, რა როგორ კეთდება, გინდაც არ გააკეთო, მაინც, გინდაც გაგეკეთებინოს. შეიძლება მართლა ასეა, მაგრამ გოგიასთან იმის გათანაბრება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დიდი უსამართლობა იქნებოდა და უმალ ფილტვების ანთებას შეიბრუნებდა და იმას მოეკვლევინებოდა, ვიდრე დაუშვებდა, მსგავსი აზრი მართლა გასჩენოდა ვინმეს. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, გოგია თვითონ თხოულობდა ჯილდოს, თანაც კაცის კვლაში, იმას და დედამისს, ვინ იცის, ატალახებული ჰქონდათ მილიციისა და აღმასკომის კარი, ნიკოს კი ოცნებაშიც არ დასცდენია, ნეტავი, მე მაჩუქოს ვანო მასწავლებელმა თავისი ლიმონიო, თუმცა, იმავე ვანო მასწავლებელს (რასაკვირველია, გარდა უანგარო, ურყევი მეგობრობისა), მამაშვილური გრძნობაც ჰქონდა თითქოს მის მიმართ. ამიტომ, პირველ რიგში, სწორედ იმისთვის უნდა დაემტკიცებინა თავისი სიკარგე, ანუ, არაფერი რომ ჰქონდა საერთო გოგიასთან და ნამდვილად იმსახურებდა საჩუქარს, არა მარტო

www.Litklubi.ge

მონდომებისთვის, არამედ ცოდნისთვისაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ავად იყო, ჯერ კიდევ არ გამონელებოდა სიცხე და, ჯერჯერობით, ისევ შფოთიან ძილ-ღვიძილში, ისევ სიზმრებსა თუ ჩვენებებში ახორციელებდა თავის მტკიცე გადაწყვეტილებას. დიახაც, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ესწავლა, გაეგო, ამოეხსნა, მიმხვდარიყო, რისი სწავლა, გაგება, ამოხსნა და მიხვედრა, უბრალოდ, ევალებოდა კიდეც, როგორც, თუნდაც, მამამისის შვილს, პაპამისის შვილიშვილს, ვანო მასწავლებლის მოწაფესა და მეგობარს. წიგნს აღარ აგდებდა, ვითომ, ხელიდან. მშიერის მოუთმენლობით ნთქავდა, ვითომ, გაცდენილ, გამოტოვებულ მასალას. იმის გარკვევას კი არ ცდილობდა, ძველებურად, სხვებს გაესწროთ იმისთვის თუ ის ჩამორჩენოდა სხვებს, არამედ, წიგნში მიძვრებოდა თავით, როგორც თხუნელა სოროში, წიგნს ჩაჰკირკიტებდა სულ, "ქოჩორა თურინჯს" კი არა, სახელმძღვანელოს, რადგან ჯერ ის უნდა გაერკვია, ვინ იყო, რისი ღირსი იყო და მერე განეცადა სხვათა განსაცდელი, მერე ეტირა სხვათა ცრემლით. მარტო იჯდა, ვითომ, ცარიელი მერხების ზღვაში, მარტოდმარტო სახელმძღვანელოებს შორის და ის თუ ვერ შეჭამდა იმათ, ისინი შეჭამდნენ ცოცხლად, თავფეხიანად. გადაფურცვლაც უძნელდებოდა გამოტოვებული მასალისა, არათუ წაკითხვა, მით უფრო კი - სწავლა, ათვისება, შესისხლხორცება, მაგრამ მაინც უნდა ესწავლა, შეეთვისებინა, შეესისხლხორცებინა, თუნდაც იმიტომ, პომპეუსი პაპაში რომ არ არეოდა. მართალია, ყველას ჩამორჩა (დავუშვათ, ავადმყოფობის გამო), მაგრამ ყველამ გაასწრო კიდეც. და აი, მარტო იჯდა ახლა ცარიელი მერხების ზღვაში, ნესტით გამომპალ კედლებში, ჩამორჩენილი მოწაფე, ყველასა და ყველაფერს ჩამორჩენილი, უმეცრების მავთულს გადამწყდარი სიზარმაცის ღამეში, გაურკვევლობის სველ ბალახებში ჩამოვარდნილი... თვითონაც დაიჭირა ერთხელ ბათუმის ბაღში ჩამოვარდნილი, ფრთამოტეხილი მწყერი და ძნელი სათქმელია, რომელს უფრო მძლავრად უცემდა გული, მწყერს - შიშისაგან, თუ იმას - სიხარულისგან. ახლა კი თვითონაა მწყერის დღეში, სხვების გასახარად, დუგლაძეების გასახარად, და ახიცაა, რადგან ყაჩაღად კი არ უნდა გავარდნილიყო, ანუ, კი არ უნდა გაქცეოდა უსამართლობას, კიდევ უფრო უკეთესად უნდა ესწავლა, ანუ, ნიშნი უნდა მოეგო უსამართლობისთვის. ყაჩაღად გავარდნა დუგლაძეების წისქვილზე ასხამს წყალს, უფლებას აძლევთ დუგლაძეებს, კიდევ უფრო ამაყად განაცხადონ: ჩვენ არ დავუშვებთ, მოწაფემ სკოლაში ლექსები წეროს და სიყვარულზე იფიქროსო. ამიტომ, დუგლაძის ჯიბრით უნდა ისწავლოს თუნდაც, იცოდეს, გაერკვას, განათლდეს, ყველაფერზე საკუთარი აზრი ჰქონდეს და, რაც მთავარია, შეეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა, ასხვავებდეს ჯილდოსა და საჩუქარს, ყოველ შემთხვევაში, ჯილდოს გულისთვის არ მოკლას და საჩუქრის გულისთვის არ მოინანიოს. საგინებელი, მუქარის წერილი კი არ უნდა მისწეროს შეურაცხმყოფელს, როგორც უკვე მოიქცა ერთხელ, არამედ მშვიდად და ნათლად აუხსნას, განუმარტოს, დაარწმუნოს, რომ ნებისმიერი ლექსი, გინდაც ბავშვურად სუსტი და გულუბრყვილო, უპირველეს ყოვლისა, ადამიანური სევდითა და სიხარულით აღძრული ფიქრის, განცდის, სურვილისა თუ მისწრაფების გამოხატულებაა და ჯერ დამწერის ადამიანობას ადასტურებს, მერე კი იმის ნიჭიერებასა თუ უნიჭობას. მაგრამ რაც არ უნდა უნიჭო იყოს ლექსი, მაინც ვერც ერთი ცხოველი ვერ დაწერს იმას, გარდა ადამიანისა, როცა ლექსების რვეულის დახევა მარტო ადამიანს როდი შეუძლია. და აი, ზის ცარიელი მერხების ზღვაში, სახელმძღვანელოში ცხვირჩარგული. ცალხელა ჩონჩხი ცარიელი ღრმულებით მისჩერებია. ისიც თანაუგრძნობს, თითქოს. კარადაზე შემოდგმულ გლობუსს კი, რატომღაც, დღეს მისი ქუდი ახურავს. "ისწავლე სწავლის მძებნელო. ისწავლე. ისწავლე. ისწავლე". - რამდენი ხანია ეძახის, აფრთხილებს მოტაცებული მოძღვარი ცხრა მთის იქიდან, მაგრამ აქამდე ნიკოც სხვებივით უყრუებდა, ანდა, ერთ ყურში შეშვებულს მეორედან ისევ გარეთ უშვებდა. "თუ უვიცობა მაინცდამაინც არ გაწუხებს, თავს ძალას ნუ დაატანო" - ეუბნება ვანო მასწავლებელი და თან მაგიდაზე დააგორებს თითიდან წაძრობილ ბეჭედს. ასე იცის ხოლმე: თან გაკვეთილს ხსნის, თან ბეჭედს დააგორებს მაგიდაზე, თითქოს ბეჭედი იგორებს, იგორებს და ერთხელაც იქნება, დაკარგულ ცოლ-შვილთან მიიყვანს. მაგრამ ბეჭედი წრიულად დაგორავს, გაუბედავად, კანკალით, ოდნავ გვერდზე გადახრილი, თითქოს

www.Litklubi.ge

პირველად მიგორავდეს თავის სიცოცხლეში; მერე ცოტა ხანს ადგილზე დაბზრიალდება, ერთს სუსტად გაიწკრიალებს და დაეცემა. საკლასო ოთახში ისეთი მძაღე სუნი დგას, პატრონი რომ გყავდეს, აირწინაღი უნდა გეკეთოს. მაგრამ მოწაფისთვის სხვა გზა არ არსებობს, მოწაფის გზა ტანჯვის გზაა. ამიტომ იტანჯება ნიკოც. იმის მაგივრად, ლოგინში იწვეს - ხომ თქვა ექიმმა, ახლა უნდა გაფრთხილებაო - საცვლების ამარა, საკლასო ოთახში ზის და ძაგძაგებს. ისე ცივა, ცალხელა ჩონჩხს ჩხრიალი გაუდის. ის კი ზედიზედ ნთქავს სახელმძღვანელოებს. გაძღა ცოდნით, აბოყინებს, მუშტს ირტყამს გულზე, მაგრამ არც სახელმძღვანელოები ილევა და არც იმას ემატება რამე. ყელში ამოუვიდა უკვე ერთი და იგივე "კერძები" - ეგვიპტეო, საბერძნეთიო, რომიო, შუასაუკუნეებიო... რა თქმა უნდა, ამის ცოდნაც თავისთავად კარგია, მაგრამ, ეტყობა, გადამწყვეტი არ არის პირადად მისი არსებობისთვის. იმიტომაც არ ემატება არაფერი და არც მოემატება, ვიდრე საკუთარი სულისა და საკუთარი ბედის, საკუთარი თავგადასავლის სათავეს არ მიაკვლევს. ჯერ ის უნდა იცოდეს, რასაც დანარჩენი მსოფლიოსთვის, შეიძლება, არავითარი ღირებულება არა აქვს, მისთვის კი ფასდაუდებელი განძია - რატომ არის პაპამისი, მაინცდამაინც მისი პაპა, რატომ არის მამამისი, მაინცდამაინც მისი მამა და რატომ არის თავად, მაინცდამაინც ნიკო. შემთხვევითობაა ეს ყველაფერი თუ კანონზომიერება, ბედნიერებაა თუ უბედურება, ღირსებაა თუ სირცხვილი. განა საინტერესოზე მეტი არ არის, თუნდაც იმის გარკვევა, რატომ მაინცდამაინც შენა ხარ შენ და არა სხვა ვიღაცა?! თუმცა, ამის გარკვევა იმიტომაცაა აუცილებელი, მთელ შენს ოჯახს, მთელ შენს ჯილაგს, მთელ შენს მოდგმასა და მთელ შენს ხალხს, დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, კიდევ სხვა, საკუთარი, განსაკუთრებული ცოდვაც რომ ადევს - მამის მკვლელობა - და ამდენად, დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, ყველაფერი მეტი მოეთხოვება - მოთმენაც, ატანაც... ცოდნაც! შენ კი ჯერ არაფერი არ იცი პუნიკური ომებისა, პომპეუსისა თუ ჯვაროსანთა ლაშქრობების მეტი. ეს კი თითქმის არაფერია, უაღრესად კერძო, საკუთარ თავგადასავალთან შედარებით, რადგან მხოლოდ ის, კერძო და საკუთარი, ადასტურებს და ამართლებს კიდეც, მაინცდამაინც, შენს არსებობას და, ამდენად, უიმისოდ არც არაფერი გესაქმება დანარჩენ მსოფლიოსთან.

"ის მაინც თუ იცი, სიღნაღი რას ნიშნავსო" - ეკითხება უცებ ვანო მასწავლებელი. ნაომარი მაზარა მხრებზე მოუსხამს, ეტყობა იმასაც სცივა, და თან ბეჭედს დააგორებს მაგიდაზე. არათითზე მკვეთრად ეტყობა ნაბეჭდარი მკრთალი ზოლი.

- სიღნაღი?! - იმეორებს ნიკო. არასოდეს არ დაფიქრებულა ამაზე.

- დიიიახ, სიღნაღი, სიღნაღი. - რატომღაც, ბრაზდება ვანო მასწავლებელი. - მოდი და აჩუქე ახლა ამას რამე. - ეუბნება ადგილზე დაბზრიალებულ ბეჭედს. - სიღნაღი იმას ნიშნავს, რასაც შენ დაეძებ, რასაც ყველანი დავეძებთ, შენც, მეც, ყველანი... სიღნაღი თავშესაფარს ნიშნავს თურქულად. - ამბობს უკვე მშვიდად, ჩვეულებრივი ხმით.

- დიახ, - ეთანხმება ნიკო.

www.Litklubi.ge

არ ახსოვდა, თორემ, იმანაც იცოდა. სიღნაღი ყოველთვის თავშესაფარი იყო. მტერი რომ შემოესეოდათ, რაც გარშემო სოფლებია, სულ აქ შემოცვივდებოდნენ ხოლმე, დედა-წულიანად, საქონლიანად. ერთხელაც რომ შემოცვენილან გალავანში და კარი ჩაურაზავთ, ვიღაც მაღაროელ ქალს მერეღა შემოურტყამს სახეში მუშტი, ჩვილი დამრჩა აკვანშიო. გამიშვით და გამიშვით, მეც იქ უნდა მოვკვდეო - აქეთ-იქით აწყდებოდა თურმე თავზარდაცემული, გულადუღებული. ვერაფრით რომ ვერ გაუჩერებიათ და გაშვება გადაუწყვეტიათ, სწორედ ამ დროს დაუძახიათ მეციხოვნეებს - აკვანი მოაქვთო. მართლაც, აცვენილან გალავანზე და რას ხედავენ: ვიღაცა ლეკი თავის კოჭბროლა ცხენს მოათამაშებს შარაზე. უნაგირზე კი აკვანი შემოუდგამს. ერთი ხელი აკვნისთვის ჩაუვლია - მაგრად, საიმედოდ უჭირავს, მარტო საჩხრიალო ქანაობს გამალებული, აქეთ და იქით, აქეთ და იქით. - მეორე ხელით კი ცხენს უმოკლებს აღვირს, გაქაფულ ლაგამს აღეჭვინებს და ისიც, ცხენიც, ყელმოღერილი, სადღაც გვერდზე იყურება, თითქოს თვალს არიდებს სიღნაღს, რცხვენია გალავანზე გადმომდგარი ხალხისა. თან მოცეკვავს შარაგზის მტვერში. სამტროდ რომ არ მოდის, იმის მხედარს სახეზე აწერია. ცალ ლოყაზე, წარბის ბოლოდან ნიკაპის წვერამდე, ძველი ნახმლევი თუ ნახანჯლარი ჩასდევს, მაგრამ კი არ იბღვირება, იღიმება. ჩამოუშვით თოკი, წაიყვათ თქვენი მჩხავანა ბალღიო - ასძახის მეციხოვნეებს. მეციხოვნეები ჩქარ-ჩქარა, ფაცაფუცით ჩაუშვებენ თოკს. ლეკი თოკის ბოლოს აკვანზე გამოაბამს, რამდენჯერმე განასკვავს, მოქაჩავს კიდეც, შეამოწმებს, საიმედოა თუ არაო, და მერეღა გაუშვებს ხელს. აკვანი ნელა, ბზრიალ-ბზრიალით წავა მაღლა, დედისკენ. გალავანზე გადმომდგარმა ხალხმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს - ხან ლეკს ჩახედავენ, ხან ერთმანეთს შეაჩერდებიან სახეში. სჯერათ და არცა სჯერათ სასწაულისა, უნდათ და არც უნდათ მტრის სიკეთის დანახვა. რატომ დაგვიბრუნე ბავშვიო. - ჩასძახიან ლეკს. ლეკი იღიმება, მათრახის ბოლოთი იშორებს გალავნის ხორკლიან კედელს, ზედ რომ არ მიაგდოს მოუსვენარმა, დაუოკებელმა ცხენმა. ცოტანიღა დარჩით და აფსუსია თქენისთანა კარგი ხალხის გაწყვეტაო - ასძახის გაოცებულ, დაეჭვებულ, გაღიმებულ სახეებს.

"შენ იგონებ ყველაფერსო" - აუჯანყდება ხოლმე ვალო ბადალაშვილი ნიკოს, თითქოს რამე მნიშვნელობა ჰქონდეს, ვის მოგონილ ამბავს ისმენს. განა ყველა ამბავი ვიღაცის მოგონილი არ არის?! "გინდა დაიჯერე, გინდა არაო" - მოკლედ მოუჭრის ხოლმე ნიკო, უარესად რომ გაუღიზიანოს ცნობისმოყვარეობა. სხედან გალავანზე, მხედართმთავრებივით ჩასცქერიან ველური ბროწეულების ლაშქარს, ადამის დროიდან რომ შემოწყობიან ციხეს, თვითონაც რომ აღარ ახსოვთ, როდის აქეთაა, რაც აქ დამკვიდრდნენ სამუდამოდ, რადგან აღარც ის ახსოვთ, საიდან მოვიდნენ და, ამიტომ, აღარც წასასვლელი აქვთ სადმე, თავზე საყრელადა აქვთ დრო, სწორედ იმისთვისა აქვთ დრო, აქ რომ ისხდნენ, წითელი ყალიონები აბოლონ და მშვიდად, აზიური მოთმინებით, აუღელვებლად დაელოდონ, როდის დაემხობა უკანასკნელი გოდოლიც. სხვათა შორის, სიღნაღის მოსახლეობა, როგორც სხვა ქალაქებსა და სოფლებში, კი არ მრავლდება, არამედ იცვლება, როგორც გარნიზონი ციხეში. ადათ-წესებიდან ესდა შემორჩა ციხისა - ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან, ენაცვლებიან ერთმანეთს - ვინც იომა, დაისვენოს, ვინც ისვენებდა, იომოს. ზედმეტი ხალხისთვის ადგილი არცა რჩება, იმიტომ, რომ თავიდანვე არ დააცალეს წესიერად გაზრდა და დამკვიდრება, თავიდანვე ქვის გალავნით შემოასაღვრინეს ადგილ-სამყოფელი, საარსებო, სულის მოსათქმელი სივრცე, რადგან გაჩენამდეც გადასარჩენად ჰქონდა საქმე სხვათა გადამრჩენელს; გაჩენისთანავე მიუვარდნენ მოსასპობად, დუღაბიც არ შეშრობოდა წესიერად, უკვე დანგრევა რომ დაუპირეს, ემანდ, ნიკომ არ შეაფაროს მერე თავიო. ასე რომ, იმის კედლებში თავშეფარებული ხალხივით, თავადაც სულ ბეწვზე ეკიდა, სულ შიშში ათენ-აღამებდა და, ლილიპუტისა არ იყოს, დარჩა ასე პატარა, ნაადრევად ზრდაშეწყვეტილი. მართლაც რომ ქვის ბუდეა, არც მეტი, არც ნაკლები, ოღონდ, სხვა ნებისმიერი ბუდისგან იმითაც განსხვავდება - და ესაა ალბათ მისი მთავარი გამოსარჩევი ნიშანი - აქ კი არ იჩეკება და გასაფრენად აქ კი არ ფრთიანდება ბარტყი, არამედ, სხვაგან გამოჩეკილი, მაგრამ რატომღაც ვერდაფრთიანებული, აქ აფარებს ბოლოს თავს.

- დიახ, თავშესაფარს ნიშნავს. ვიცოდი. - იმეორებს ნიკო.

www.Litklubi.ge

- მე რა გითხარი, რა გითხარი დღეს! - უყვირის ვანო მასწავლებელი.

www.Litklubi.ge

შეშინებული ბეჭედი უფრო ადრე ეცემა, ვიდრე ქანის დაკარგვის შემდეგ დაეცემოდა. გდია, თავს იმკვდარუნებს ლითონის წრე - მარადიულობის, უსასრულობის, ერთი და იგივეს სიმბოლო. ცხოვრების გზასავით, სადაც იწყება, იქვე მთავრდება. არც თავი აქვს, არც ბოლო. ოღონდ, გზისგან განსხვავებით, ის ადამიანის თითს შემოჭდობია, განუწყვეტლივ ახსენებს ადამიანს, გამოსავალი რომ არ არსებობს, მარადიულობის, უსასრულობის, ერთისა და იმავეს ტყვეობაში რომ ამოხდება ბოლოს სული. მაგრამ ახლა მთავარი ისაა, რა უთხრა დღეს ვანო მასწავლებელმა ნიკოს. ღირსი თუ ხარ სიცოცხლისაო - აი, რა უთხრა. შეიძლება, ამ სიტყვებით არა, მაგრამ ასე გამოვიდა იმის ნალაპარაკევიდან. და ძალიანაც სწორი უთქვამს, ასე თუ უთქვამს. რა დროს ჯვაროსნების ლაშქრობებია, როცა ჯერ მთავარიც არ გაურკვევია თურმე. სასწრაფოდ უნდა გაარკვიოს, ღირსია თუ არა სიცოცხლისა. ამიტომ, სასწრაფოდ უნდა წარსდგეს მსაჯულების წინაშე, სულთქმის ციხეში, იქ ეტყვიან სიმართლეს, არავინ დაუწყებს ფერებას, წკაპ, და ძირში შეაჭრიან ცხვრის საკრეჭი მაკრატლით ენას, ანდა მკლავს. გააჩნია, როგორ შეხედავენ მის საქციელს მსაჯულები, უნებლიე დამსმენელად მიიჩნევენ თუ უნებლიე მკვლელად. მოკლედ, ნასყიდას ამხანაგად გამოიყვანენ თუ გოგიასი. "ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნასო" - აფორიაქებული იმეორებს გულში და გარბის, თავქუდმოგლეჯილი, თითქოს იცოდეს, საითაა სულეთი, სად დგას სულთქმის ციხე. უფრო სწორად, თითქოს მართლა იდგეს სადმე სულთქმის ციხე, მისი სულისა და არსების გარეთ. "სასწრაფოდ, სასწრაფოდო" - დაჰყვირის თავს აღგზნებული, გაღიზიანებული ამ ორი შესაძლებელი, თუნდაც, მის მიერ დასაშვები ბრალდებით. იცის და არც იცის, სად გარბის; იცის და არც იცის, რატომ გარბის; უფრო გრძნობს, ვიდრე იცის, მაგრამ დარწმუნებულია, სწორად იქცევა. ყოველ შემთხვევაში, იშვიათად თუ ჰქონია ასე ღრმად, ასე ბოლომდე გააზრებული თავისი საქციელი. მირბის, მირბის, მიისწრაფის წინ. ვიღაცები ხვდებიან, ნაცნობებსაც ჰგვანან, უცნობებსაც, მკვდრებსაც და ცოცხლებსაც. ნასაყდრალთან მოკლული კაცივით, ყველას ერთნაირად, უთქმელი სევდა ჩასწოლია თვალებში, ყველას სიძველის ფერი გადაჰკრავს სახეზე, სხვა დროს, სხვა გარემოში ნაცხოვრები ხალხისა. შეშუპებული, ჩალურჯებული ხორცი გადასკდომიათ, მაგრამ იმავე დროს, ცოცხლებიც არიან, მოდიან, მოლაპარაკობენ. არა, კი არ მოდიან, ერთ ადგილას დადიან წრიულად, როგორც ვანო მასწავლებლის ბეჭედი დაგორავს მაგიდაზე. ვინ იცის, რამდენი ხნის გაუხდელი ტანსაცმელი ზედ შემოფლეთიათ. შმორისა და ობის სუნი ასდით, ვინა ხართო - ეკითხება გაკვირვებული, სირბილისგან გულამოვარდნილი ნიკო შეუჩერებლად და უცნაური, თავისი უტყუარობით შემაძრწუნებელი წინათგრძნობა ეუფლება უცებ: დარწმუნებულია, წნორელი სოსოც ურევია იმათში, დეიდამისის შეყვარებული, ერთდღიანი სიყვარულის რაინდი. შენ თვითონ ვინა ხარ, სად მირბიხარ, აღარ არის მაქეთ ქვეყანაო - ეძახიან ისინი, უკვე ჩავლილს. მაგრამ ნიკოს არ სცალია გასაჩერებლად, ჯერ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გასარკვევი, ჯერ ის უნდა გაიგოს, აქვს თუ არა გამოსაჩენი პირი, არა მარტო ცოცხლებთან, არამედ მკვდრებთანაც. ასე რომ, ერთხელ კიდევ უნდა აპატიოს დეიდამ, ამჯერადაც ვერ გამოადგა, ვერ მიეხმარა სიმართლის დადგენაში, მაგრამ იმიტომ კი არა, გულგრილი და უყურადღებო რომაა დეიდის უბედურების მიმართ, არამედ იმიტომ, ჯერ თავისი სიმართლეც რომ გასარკვევი აქვს, ჯერ საკუთარი უბედურების ასავალ-დასავალიც ვერ გაუგია. მირბის, მირბის, მიისწრაფის, წინ კი აღარაფერია მართლაც, ბოლისფერ სიცარიელეში მიფრინავს თითქოს, შეიძლება, მიცურავს - ძნელი გასარკვევია ესეც. მიწას კი ნამდვილად ვეღარ გრძნობს ფეხქვეშ. უფერული, გამოცარიელებული სივრცე შემოსდგომია ირგვლივ. "იქით და იქით, კიდევ უარესი იქნება ალბათო" - გაიფიქრა ნირწამხდარმა და გამობრუნება დააპირა, მაგრამ, მეორე წამს, ხრეშმოყრილ ბილიკზე მიაბიჯებდა უკვე ვიღაც ჩია, მელოტ კაცთან ერთად. იცოდა და არც იცოდა ვინ იყო ის კაცი, მაგრამ, რაც კიდევ უფრო საკვირველია, სრულებითაც არ უკვირდა, საიდან, როგორ აღმოჩენილიყო იმ კაცის გვერდით. იქაურობა ბათუმის ბაღსაც ჰგავდა და სიღნაღის პარკსაც. ასე რომ, მართლა არაფერი ჰქონდა თითქოს შესაშფოთებელი. მხოლოდ ის აწუხებდა, კაცზე მაღალი რომ იყო თავად (ასაკით ბევრად იმაზე უმცროსი) და, რაც შეეძლო, იხრებოდა

www.Litklubi.ge

მხრებში. კაცი კი ლაღად, თამამად მიბაკუნობდა თავის მწვანე სამფლობელოში და არც არაფერი აწუხებდა, არც არაფერი ეჩოთირებოდა, გარდა ზომაზე მეტად, ანდა ზომაზე ნაკლებად გაკრეჭილი ბუჩქისა, ბილიკებზე არათანაბრად მოყრილი ხრეშისა, უადგილო ადგილას ამოსული ბალახისა. ყინწმოწყვეტილი, ღეროზე ჩამომჭკნარი ყვავილისა... არაფერი გამოეპარებოდა მის გამჭრიახ თვალს, თუმცა, მოტიტვლებული თავ-კისერი კუს ფეხივით დანაოჭებოდა უკვე. ხელები ზურგს უკან გადაეჯვარედინებინა და კაუჭივით მოკაკულ შუა თითზე ოქროს პაწაწკინტელა გასაღები ჩამოეცვა ოქროსივე რგოლით. პაწაწკინტელა გასაღები თავისთვის მიქანაობდა და, მზის სხივებში მოხვედრილი, ისე თვალისმომჭრელად გაბრწყინდებოდა ხოლმე, თითქოს მინიატურული ნაღმი ფეთქდებოდა უხმოდ.

ბილიკის გასწვრივ, ხავერდოვან ჩრდილებში, მწვანედ შეღებილი, გრძელი მერხები იდგა, მერხებზე კი ნიკოს კბილა, ნიკოსნაირი ბიჭები ისხდნენ, რაღაცნაირად მომჩვარულნი, მოშვებულნი, როგორც ჩვეულებრივი ავადმყოფები - რომელიმე ჩვეულებრივი საავადმყოფოს ჩვეულებრივ ბაღში. ისედაც ეცვათ - ავადმყოფებივით - ჩაფართხუნებული პიჟამოები და გრძელი, ქამრიანი ხალათები. შიშველი ფეხები კი ფლოსტებში წაეყოთ. "ესენი სახელოვანი ხალხის შვილები არიანო" - თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა თავკისერდანაოჭებულმა კაცმა და ცხვირში გაიცინა, რატომდაც. ნიკოსაც მაშინვე გაუნათდა გონება, ერთბაშად გაერკვა ყველაფერში, რადგან, იმავე წამს, ვანო მასწავლებლის ნათქვამიც გაახსენდა - ამქვეყნიურ სიამეთა მძებნელი, აუცილებლად, ქაჯის სამოთხეში ამოყოფს ბოლოს თავსო. ამ მოულოდნელი აღმოჩენით შემცბარმა და აღელვებულმა, უნებურად, ისევ მასპინძლისკენ გააპარა თვალი, უფრო სწორად, არ ენდო საკუთარ თვალს, რადგან იქამდე სულ სხვანაირად ჰყავდა ქაჯი წარმოდგენილი და, ცოტა არ იყოს, რაღაცნაირად გაწბილებული დარჩა, არაფრით რომ არ გამოირჩეოდა ის ჩვეულებრივი ადამიანისგან.

www.Litklubi.ge

სახელოვანი ხალხის შვილებს დღეში სამჯერ აჭმევდნენ - დილას, შუადღეს, საღამოს - ხოლო, ჭამიდან ჭამამდე, რაც მოეპრიანებოდათ, იმას აკეთებდნენ. არც შეშის დაპობას ავალდებულებდათ ვინმე, არც კარტოფილის გათლას. ყირაზე რომ დამდგარიყვნენ, არავინ დაუშლიდათ. არც დამძრახველი ჰყავდათ ვინმე, არც ჭკუის დამრიგებელი. ქაჯიც ამიტომ უყვარდათ ალბათ: რა უნდა მომხდარიყო, ან გაწყრომოდა ვინმეს, ან საყვედური ეთქვა ვინმესთვის. სათქმელი თუ ჰქონდა რამე, ფირფიტაზე წერდა წინასწარ და ძირითადად გრამოფონს ალაპარაკებდა, გრამოფონის მეშვეობით აწვდიდა სახელოვანი ხალხის შვილებს თავის აზრებსა და შეხედულებებს. ამიტომაც იყო ალბათ, სრული თანხმობა და სიმშვიდე რომ სუფევდა მის სამოთხეში. ყველას ყველაფერი თავზესაყრელი ჰქონდა, ყველას ყველაფერი მოსწონდა, არც მშობლის დარდი აწუხებდა, არც უპატრონო მკვდრისა და, რაც მთავარია, ვერაფერს დააყვედრიდა, ანდა, ვერაფერს დაუწუნებდა მეორეს, რადგან ყველანი ერთნაირები იყვნენ, არც სიბრიყვით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, არც სიჭკვიანით. ერთნაირები იყვნენ და ცხოვრობდნენ ასე ერთნაირად, ანუ, არხეინად, უზრუნველად, უფიქრელად. ერთნაირად გადაწვებოდნენ მერხებზე, ერთნაირად გადააგდებდნენ უკან თავებს და იქამდე უთვალთვალებდნენ ღრუბლებს, ვიდრე თვალი დაეღლებოდათ, ანდა, ვიდრე ჩიტი ჩაასკინტლავდათ თვალში. ლამაზად გაკრეჭილ ბუჩქებში ჩიტები ჟივჟივებდნენ, ათასნაირ ყვავილს ფუტკარი დაჰბზუოდა, პეპელა დაჰფარფატებდა. ხმელი ფოთლებითა და წყალმცენარეთა დაკლაკნილი, უსიცოცხლო ღეროებით მოფენილი წყალი, დატყვევებული ჯადოსნური ფრინველივით დგაფუნობდა აუზში, მწვანე ფრთებსა სცემდა აუზის კიდეებს, რის გამოც, აუზის გარშემო მიწა ყოველთვის ატალახებული იყო. მაგრამ ქაჯის სამოთხის მთავარი ღირსშესანიშნაობა, რასაკვირველია, დიდყურა გრამოფონი გახლდათ, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, თავისთავად იქოქებოდა (ნიკოს პატეფონი ჰქონდა ბათუმში და მკლავი მოწყდებოდა ხოლმე იმისი ქოქვით. მამა საავადმყოფოში იწვა, დედა მამას ადგა თავზე, ის კი, იქნება, დრო გავიყვანო როგორმეო, პატეფონს აღრიალებდა). ოღონდ, ქაჯის გრამოფონი, კი არ მღეროდა, მხოლოდ და მხოლოდ ლაპარაკობდა, უფრო სწორად, დროგამოშვებით აცნობდა "სამოთხის" ბინადრებს აქაურობის ბატონ-პატრონის აზრებსა და შეხედულებებს. ჯერ დამტვერილი, მზის სიმხურვალით დაბრეცილი ფირფიტა ახრიალდებოდა ხოლმე და მალე, ახრჩოლებული ნეშოს კვამლივით, მთელ "სამოთხეს" მოეფინებოდა ქაჯის შემპარავი, დაშაქრული, ღიმილნარევი ხმა. ქაჯი არაფერს ამბობდა ჭკვიანურს, საერთოდ არაფერს ამბობდა - ესეც ერთგვარი გართობა იყო მხოლოდ - მაგრამ ყველანი ისეთი ყურადღებით უსმენდნენ, თითქოს ქვეყანა დაიქცეოდა, ერთი სიტყვაც რომ გამორჩენოდათ. არადა, ლამის ერთმანეთთან დაუკავშირებლად ისროდა სიტყვებს, იმას ამბობდა, რაც იმ წუთას მოადგებოდა ენაზე და იმდენად დიდი უაზრობა, აბდაუბდა, აბრაკადაბრა გამოსდიოდა, ნებისმიერ აზრს ამოიკითხავდა შიგ მოწადინებული მსმენელი. მაგრამ თუ ვინმეს ეცინებოდა, ისევ ქაჯს ეცინებოდა საკუთარ ნაბოდვარზე, თანაც ორივე ქაჯს ერთდროულად, მოლაპარაკესაც და მსმენელსაც, ფირფიტაზეც და მიწაზეც. ერთი ფირფიტაზე რომ გაიცინებდა, მეორე, გაკრეჭილ ბუჩქს ამოფარებული, ღიმილით გადააქნევდა ხოლმე თავს. სხვათა შორის, ნიკომაც ბევრი იწვალა, ვიდრე გემოს გაუგებდა ქაჯურ ლაპარაკს - ხმა ესმოდა, ცალკეულ სიტყვებსაც არჩევდა, აზრი კი ვერ გამოჰქონდა, ვერავითარი - მაგრამ როცა მიხვდა, ესეც ჩვეულებრივი თავშესაქცევი თამაში იყო, ძალიან მოეწონა და სიამოვნებითაც უსმენდა ყოველთვის. "ხი-ხი-ხი და ხა-ხა-ხაო - იცინოდა ქაჯი ფირფიტაზეც და სამოთხის ხრეშმოყრილ ბილიკზეც - აბადელია, აბადელია, კაცის ჩიჩია გემრიელია. სხვა რა გითხრათ, ჩემო კარგებო, თუ ბავშვის ტაკუნების გამოხოცვა არ შეგიძლიათ, ნურც გააჩენთ. არ ჯობია, არ გაჩნდეს, ვიდრე საკუთარი განავალში ჩაიხრჩოს?! ხა-ხა-ხა და ხი-ხი-ხი". და ასე გადიოდა დრო. უფრო სწორად, არ გადიოდა. არაფერი იცვლებოდა ქაჯის სამოთხეში, აუზი ძველებურად დგაფუნობდა, ფირფიტა ძველებურად ტრიალებდა და ქაჯის პაწაწკინტელა გასაღებიც ძველებურად უხმაუროდ "ფეთქდებოდა" სამოთხის ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში. ხოლო, ნიკო დანარჩენებს დამსგავსებოდა და სიყვარულში გადაზრდილი შიშით შესციცინებდა თვალებში ქაჯს, ვერც ქვეყნიერებაზე მომხდარ ცვლილებებს

www.Litklubi.ge

ამჩნევდა, ვერც დრო-ჟამის დინებას. ყველა სურვილი უმალვე უსრულდებოდა, თანაც, იქამდე, ვიდრე გარკვეულ სურვილად ჩამოუყალიბდებოდა და საბოლოო სახეს მიიღებდა. ასე რომ, თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, რა არ უნდოდა, უნდოდა თუ არა, საერთოდ, რამე. ყველაფერი ხელის გაუნძრევლად მოსდიოდა და ისიც ბედნიერი იყო, იშნოვებდა მშობლის ნებაყოფლობითი სიბრმავით დამსახურებულ ბედნიერებას და ტკბებოდა, ნეტარებდა, ვიდრე მშობლები არ დაესიზმრებოდა ისევ.

მამა სიზმარშიც თვალდახუჭული იწვა ვითომ, დედა კი თავთით ეჯდა, თეთრხალათმოხურული. უცებ ნიკოს გამოხედა მხარს ზემოდან, დაწყლულებულ ტუჩებზე თითი მიიდო და უთხრა: აი, რა მიყო მამაშენის ჯაჭვის ლოკვამ, შენ კი უკანასკნელი კატლეტიც შეუჭამე ავადმყოფსო. ამ უცნაური, მაგრამ მაინც ცხოვრებისეული ჩვენებით გაოგნებულ ნიკოს ისიც არ გაუგია, თუ როგორ მოიტოვა უკან ქაჯის სამოთხე. ხოლო, გონს რომ მოეგო ცოტათი, წიწამურის ჭალაში იყო უკვე და ბუჩქებში ჩამალული, კურდღელივით გულაბაგუნებული შესცქეროდა ილიას მკვლელებს.

ისინი ოთხნი იყვნენ: გოგიას ბიძა, ქალაქელი, ცალთვალა და წვეროსანი. ოთხივენი თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი. ქალაქელს, თოფის გარდა, "სმიტისა და ვესსონის" დიდი რევოლვერიც ეკიდა ქამარზე. "გამაგებინეთ მაინც, რატომ ვკლავთ იმ პატიოსან ადამიანსო" - თქვა წვეროსანმა. "პატიოსანსო?!" - წამოიწია ქალაქელი. "ხო, კარგით, ისე ვთქვი, ნუ იცით ხოლმე სიტყვაზე გამოკიდება" - დაფრთხა წვეროსანი. ბალახის ხმელი ღერები ჰქონდა წვერში ჩარჩენილი. გოგიას ბიძა და ცალთვალა ჩუმად ისხდნენ, გაშტერებულები, ჩაფიქრებულები. თოფები ჩაეხუტებინათ და ელოდებოდნენ. მესამე დღეა, აქ არიან, ტყეში. ძილი იმათ არ იციან და დასვენება. წესიერად ისიც კი ვერ დაადგინეს, როდის უნდა გამობრუნებულიყო ილია თბილისიდან. ხოდა, გვერდები აღარა აქვთ მიწაზე გდებით. ყველა სიკეთესთან ერთად, გველის მარწყვმა კუჭი აუშალა გოგიას ბიძას და მოულოდნელად წამოვარდება ხოლმე, დაფეთებული. ქამარს ბოლომდე არ იკრავს, შარვლის ჩახდა რომ არ დაუგვიანდეს და თავი არ მოეჭრას ამხანაგებში. "მამაშვილობას, ცოტა შორს წადიო" - დაადევნებს ხოლმე ქალაქელი სიცილით. "მაგას შიშის ფაღარათი სჭირსო" - იცინის ცალთვალაც. ნიკო შფოთავს, წუხს, გულს ასკდება - იცის, რაც უნდა მოხდეს, მაგრამ გინდაც არ ეშინოდეს, გინდაც ოთხივეს შემჭმელი იყოს, მაინც ვერაფერს გააწყობს, იმ უბრალო მიზეზის გამო, მის გაჩენამდე რომ მოხდა, რაც ახლა ხდება და რაც რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდება მის თვალწინ. "რატომ შფოთავ, რა გაწუხებს, გენაცვალოს ბებიაო" - ჩაესმის ხანდახან ბებიის ჩურჩული, საიდანღაც, ძალიან შორიდან, ძალიან გაუცხოვებული, და თავადაც უკვირს, რა აშფოთებს, რა აწუხებს - რაც ახლა მის თვალწინ ხდება, ანუ, რაც ჯერ კიდევ მის გაჩენამდე მოხდა, კიდევ მრავალჯერ მოხდება ალბათ, რადგან რაც ხდება, ერთხელ კი არ ხდება, არამედ, სამარადისოდ. და აი, ჩახუთულ, ჩახურებულ ჰაერში მოახლოვებული ეტლის ზანზალაკები გაიწკრიალებენ უცებ და, აჩოჩქოლებულ მკვლელებთან ერთად, ისიც დაძაბული მიაჩერდება გზას.

www.Litklubi.ge

გზაზე ილიას ეტლი მოდის, მოისწრაფის აღსასრულისკენ. კოფოზე ორნი სხედან: მეეტლე თედო და მსახური იაკობი. თედოს მღელვარებისგან, მოლოდინისგან გული უფრიალებს, იცის, პირობის თანახმად, სადღაც აქ, წუთი-წუთზე უნდა გამოცვივდნენ ბუჩქებიდან მისი ამხანაგები. ცოტა უკვირს კიდეც, აქამდე რომ არ გამოუცვივდნენ. საცაა გასცდებიან წიწამურს. "გადაიფიქრეს თუ რა ოხრობააო" - ფიქრობს აგანგაშებული. - "ა-აჩუ, თქვენ სამგლეებოო" - დაჰყვირის ცხენებს. ცხენებს მუცლები უბუყბუყებთ, მცხეთაში დალიეს წყალი, დამძიმდნენ, მაგრამ მაინც თავგამოდებულნი ეწევიან ეტლს. ხელნა ჭრაჭუნობს, იაკობი კი, პირიქით, დამშვიდებულია, ცოტათი მოეშვა გულზე. შინ არიან თითქმის, აქ ალბათ ვეღარავინ გაუბედავთ თავდასხმას. ყაზახების საგუშაგოც აქვეა. ორ ნაბიჯზე. თოფი მუხლებზე უდევს და, დამშვიდებული, გუნებაგამოკეთებული, თითებს ათამაშებს თოფის გრილ ლულაზე. ვერაფრით ვერ წარმოიდგენს, ორი წუთის მერე, პირქვე რომ ეგდება მკვდარი. ეტლში ილია მისვენებულა, მეუღლის გვერდით. სერთუკის გულის ჯიბეში იმასაც უდევს რევოლვერი. არეულია ქვეყანა. თუმცა, ვერც კი წარმოუდგენია, როგორ უნდა ესროლოს ადამიანს, გინდაც, საკუთარ მკვლელს. უბრალოდ, სიამოვნებს იმისი უხეში, დაძაბული სიმძიმის შეგრძნება და თავი მოსწონს შინაურებთან - კარგი რევოლვერია, მაუზერისა. ცხენებს გაოფლილი მკერდები უბზინავთ მზეზე. სადღაც გვრიტი კუთავს. ჭრიჭინები ჭრიჭინებენ. აქა-იქ ყვითლად ანათებს იელის ბუჩქი. ეტლის ორივე მხარეს თბილი ჰაერი ბუბუნებს. "ჩვენ ახლა დაგვხოცავენ, - მშვიდად ფიქრობს ილიას მეუღლე. დილიდან აწუხებს ავი წინათგრძნობა, მაგრამ ვერავინ დაარწმუნა მაინც, ვერავის გადასდო თავისი შიში და მღელვარება და თავად დამშვიდდა ბოლოს, თითქოს შეეჩვია კიდეც მოსალოდნელ განსაცდელს და ახლა, ვიდრე მოსახდენი მოხდებოდეს, უბრალოდ, თავს უყრის მთელი დღის ნაფიქრალს. - ასეა ალბათ საჭირო, - აგრძელებს ხანმოკლე შეყოვნების შემდეგ, - მთავარია, არ შემეშინდეს. ასე სჭირდება ალბათ ჩვენს ქვეყანას. დავლპით, დავობდით მონობაში... ხალხს შავი თეთრისგან ვეღარ გაურჩევია, მტერი მოყვრისგან... თუ რამე არ მოხდა, მართლა დავიღუპებით, გათავდება ყველაფერი. - ფიქრობს მშვიდად, დინჯად, აუღელვებლად, როგორც ილიას მეუღლეს ეკადრება. - ჩვენ თუ მართლა რამეს წარმოვადგენთ ჩვენი ხალხისთვის, იქნება, კიდევ შესძრას იმის დადამბლავებული გული ჩვენმა სიკვდილმა, დღისით, მზისით, შარაგზაზე... მტერი, რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობს, მაგრამ ასეც შეიძლება მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვის - და ცოტა ხნის შემდეგ, ოდნავ შემცბარი, გულაჩუყებული - იხარე ორსავე სოფელსა შინა. დიდი მადლობელი ვარ შენი, მეუღლეობისთვის, მეგობრობითვის, და... მშვიდობით, მშვიდობით... ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება" - ფაცაფუცით, მაგრამ მაინც იმედიანად ამთავრებს ფიქრს ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა. თან ამაყად წელგამართული ზის საქართველოს მამის გვერდით, თავშიშველი (შლიაპა ქარმა მოსტაცა, როგორც კი გამოვიდნენ თბილისიდან), გულსავსე სიკეთით, სათნოებით, სასოებით და მადლიერი ბედისა, ცხოვრებისა, ყველასი, ღმერთისაც და კაცისაც, ყველაფრისთვის - თუნდაც, ასე, დღისით, მზისით, შარაგზაზე სიკვდილისა საამაყო, სათაყვანო მეუღლის გვერდით.

www.Litklubi.ge

სწორედ ამ დროს, ბუჩქებიდან მკვლელები გამოცვივდებიან და ეტლს გადაუდგებიან წინ. მეეტლე თედო, დაბნეულობისგან, მათრახს გადაუჭერს ცხენებს. "რასა შვრები, ძაღლის შვილოო" - დაუყვირებს წვეროსანი და აღვირზე ჩამოეკიდება ცხენს. მსახური იაკობი ალალბედზე, დაუმიზნებლად გაისვრის თოფს, კოფოდან გადმოხტება და ბუჩქებისკენ გაიქცევა, მაგრამ ბუჩქებამდე არმისული, ერთს წაიფორხილებს და პირქვე წაემხობა მიწაზე. "დამჭრა, მაგ შობელძაღლმაო" - კბილებს აღრჭიალებს წვეროსანი და მიწაზე დაგორავს, ორივე ხელით საკუთარ ფეხს ჩაფრენილი. გოგიას ბიძა ეტლთან მიირბენს და სავარძლიდან სანახევროდ წამომდგარ ილიას მკერდში დაახლის ტყვიას. "უგნურებოო" - კი არ ყვირის, ჩურჩულებს ილიას მეუღლე, შეძრწუნებული, გაოცებული, მაინც შეძრწუნებული და მაინც გაოცებული, თუმცა, სწორედ ამის მოლოდინი აწამებდა დილიდან. გოგიას ბიძა თოფის კონდახს ატაკებს სახეში და ოდნავ უკან დაიხევს მაშინვე, მოეცლება ილიას მკერდშეგლეჯილ სხეულს. სხეული მიწაზე ენარცხება, ყრუდ, მძიმედ, თითქოს საყდრის ლოდი ჩამოვარდაო. მაჯიდან წამძვრალი მანჟეტი მრუდე ბორბალივით მიგორავს გზაზე. "არ დამტოვოთ, ბიჭებო, მსუბუქადა ვარ დაჭრილი, რბილში გამიარაო" - ღრჭიალებს, წკავწკავებს, წკმუტუნებს წვეროსანი. ქალაქელს ილიას საკვოიაჟი უჭირავს ხელში. ილიაცა და მისი მეუღლეც შარაგზაზე ყრიან, ეტლის უკანა ბორბალთან. გოგიას ბიძა თავზე დასდგომია და თვალგაშტერებული დასცქერით. "შენ, ბიჭო, რა უსისხლო ვინმე ყოფილხარ" - სიცილით ეუბნება ქალაქელი. გოგიას ბიძას ჰგონია, დასცინიან, მშიშრობას სწამებენ და ილიას ცოლს კიდევ რამდენჯერმე გამეტებით ჩაარტყამს სახეში თოფის კონდახს. "მომეცა, ბიჭო, საყურეები მოვხსნა ჯერა" - ეუბნება ცალთვალა. ის კი ჩუმად დასცქერის დახოცილებს, ეშინია დალაპარაკებისა, იცის, ხმა უმტყუნებს და კიდევ უფრო შერცხვება, სულ მთლად მოეჭრება თავი. ეს სამი დღეა, ისედაც გააპამპულა ფაღარათმა, მთელი ტყე ააყროლებინა, წინ და უკან დაარბენინებდა, ხელზე მოსამსახურე ბიჭივით. გაცოფებულია ფაღარათზე და, თავისი ჭკუით, იმასაც უსწორდება, როცა საბრალო ქალს თოფის კონდახით უჩეჩქვავს სახეს. ცალთვალას ფეხი შეუხვევია წვეროსანისთვის და ახლა ჯოხს უთლის ყავარჯნად. ანასხეპი ფოთოლი სისხლის გუბეში ცვივა. ნიკოც ისე შეუძრწუნებია სანახაობას, საფრიდან გამოსულა და გაოგნებული დაბორიალობს - ხან დახოცილებს გადააწყდება, ხან მკვლელებს ებლანდება ფეხებში. "ეს ვიღას დაჰკარგვიაო - იცინის ქალაქელი - ვისი ხარ, ბიჭუნაო" - ეკითხება ნიკოს ყალბად ხმადათაფლული. მაგრამ ნიკო პირდაღებული დაბორიალობს, როგორც უცხოელი ტურისტი დიდებული ტაძრის ნანგრევებში. საზარელი სანახაობაა, მაგრამ თავს ძალას ატანს, აიძულებს, რადგან აქედანვე, დაბადებამდე უნდა შეაჩვიოს სიმართლისთვის თვალის გასწორებას, ახლა თუ აარიდა თვალი, სამუდამოდ დაბრმავდება, ანუ, ერთხელ და სამუდამოდ მიეჩვევა სიმართლისთვის თვალის დახუჭვას. "აი, რა გვიყო მტერმა - ეუბნება ყალბად დასერიოზულებული ქალაქელი. - ხომ იცი, ვინც არის?! - ეკითხება ყალბი სიამაყით. - ხოდა, დაიმახსოვრე. უნდა დაიმახსოვროთ მომავლებმა თქვენი ძია ილია, პაპა ილია. არა, რათა, რამ გააპაპა, - თვითონვე ეღიმება თავისსავე ოხუნჯობაზე. - ის ყველა ჩვენგანის მამა იყო, დიდისაც და პატარისაც. - აგრძელებს ყალბი მღელვარებით. - აბა, თქვენ იცით, როგორ მოუვლით, როგორ არ მოშლით მამის საფლავსა და სახელს" - ყალბი გულითადობით არიგებს ჭკუას ნიკოს და მიდის. ხელში ილიას საკვოიაჟი უჭირავს, თოფი მხარზე ჰკიდია, ყაჩაღურად, თავდაღმა, ლულით მიწისკენ. ცალთვალას კი სამი თოფი აუკიდია - თავისი, წვეროსნისა და იაკობის - თან ცალ ხელს წვეროსანს აშველებს. ფეხშეხვეული წვეროსანი უხეშად გასხეპილ ჯოხს ებჯინება და გაუბედავად, ნელა მისდევს ამხანაგის ხელს. უკვე წელამდე შესულან ბუჩქებში. ცოტაც და, სამუდამოდ ჩაინთქმებიან, ჩაიკარგებიან უმეცრების, უვიცობის, თავსმოხვეული თუ ნებაყოფლობითი სიბრმავის უკუნეთში. "აბა, შენ იციო" - ერთხელ კიდევ დაუძახებს ქალაქელი ნიკოს და დახოცილებთან ჩაჩოქილ გოგიას ბიძას თავში წამოჰკრავს ხელს: ადე, წავიდეთ, რამ გაგაშტერაო. უცებ ილიას გატეხილ სათვალეს დაინახავს, მაშინვე დაიხრება, მკვდარი მწერივით, ორი თითით აიღებს მიწიდან, აზიზად მიიტანს თვალთან და ნიკოსკენ შემობრუნებული, განგებ დაწვრილებული ხმით დაიწრიპინებს: წამოდექით, ბატონებო, სასამართლო მობრძანდებაო.

www.Litklubi.ge

ნიკოს კი, სიბრაზისგან, უმწეობისგან, ლამის გული გაუსკდეს. დაბადებული მაინც იყოს, რამე რომ მოიმოქმედოს. თუ ვერ გაუსწორდება, შეაკვდება მაინც ამ უგულო, უსისხლო, სინდისგარეცხილ ავაზაკებს. მაგრამ არ არის, არ არსებობს ჯერ და ისევ სხვათა წარსულში გარბის გამწარებული. უფრო სწორად, გამწარებული გამორბის სხვათა წარსულიდან, თესლის ბნელსა და იდუმალ გზას მოჰყვება არარაობიდან სიცოცხლისკენ, რათა იშვას, დაიბადოს, აღმოცენდეს და თავიდან დაიწყოს ყველაფერი. "დიახ. თავიდან. ერთხელ კიდევ" - ამბობს გუნებაში, მკაცრად, მტკიცედ, ჯიუტად. ჯარი კი ზლაზვნით, უხალისოდ ამოდის ძლივს ჩათბუნებული სანგრიდან, ბუზღუნით ეწყობა სანგრის გასწვრივ, გამოუძინარი, შეციებული. ამთქნარებს, ახველებს, იქექება... ზურგი მტრისთვის მიუშვერია. შავად პირდაღებულ სანგარში შრიალით ინთქმება ირიბი, სწრაფი თოვლი. მხრებზე მაზარამოგდებული, ხელჯოხიანი გენერალი ნელა მიდის ჯარის წინ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ჩერდება, ათვალიერებს, სახეში აკვირდება ჯარისკაცებს, აბა, თუ ვიცნობ, რომელია პაპაჩემიო, მაგრამ როცა არ არის, როგორ იცნობს, და გაკვირვებული კითხულობს - კი მაგრამ, პაპაჩემი სად არისო?! პაპათქვენი რახანია გაიქცა, ვინ იცის, ლოჭინს იქნება უკვე გამცდარიო - ხრინწიანად იცინის ჯარი. თოვს. თოვს. თოვს. ირიბი, მშრალი თოვლი კისრისტეხით ინთქმება ცარიელ სანგარში, თითქოს იმისთვის დაეცალოს ჯარს. სანგრიდან კი ჯანდივით ამოდის ჯარის დანატოვარი სითბო და სუნი. "კარგი, გამოფხიზლდი, რა ძილქუში გეცაო" - სადღაც, სხვა სამყაროში, დაიჩურჩულებს ხოლმე ბებია და მართლაც, ნიკოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, ბებიამდე რომ მიაღწიოს, ჯერ, საერთოდ, სხვა დროშია გადავარდნილი, პაპის მიერ ოდესღაც მიტოვებულ სანგარში გარბის ვითომ, სანგრის ფსკერზე ჩამდგარ წუმპეში მიტოპავს და ჯერ არაფერი გააჩნია საკუთარი, გარდა სიცოცხლისა.

www.Litklubi.ge

ცოცხალი კი იყო, მაგრამ ჯერ გასარკვევი ჰქონდა, ნამდვილად რომ გადარჩენილიყო და ღირსიც რომ იყო სიცოცხლისა. ამიტომაც გარბოდა ასე თავქუდმოგლეჯილი, უმისამართოდ, ალალბედზე, გარკვევის, ამოცნობის, მიხვედრის ჟინსა და სურვილს აყოლილი. მინდობილიც. უცებ, ვიღაცამ ამოიგმინა, იქვე, ყურის ძირში, თითქოს იმასაც ნიკოს ბალიშზე ედო თავი და ახალმა ჩვენებამ მდორე მდინარესავით ჩაიარა ნიკოს თვალწინ. ტყლაშ. გაეტყლაშუნა ნიკოს მახსოვრობის კედელს. ტყლაშ. ტყლაშ. და მამამ თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, ქუთუთოები შეუთრთოლდა, მაგრამ მაინც არ გაახილა თვალი. არც ნიკოს შეუნელებია ფეხი. პირიქით, ახლა უფრო სწრაფად გარბოდა, უფრო თავქუდმოგლეჯილი, უფრო განრისხებული, უფრო მეტად ჩავარდნილი საგონებელში. მაგრამ არაფერი არ ჩანდა ირგვლივ, თვალის საწიერზე, მით უფრო კი - სულთქმის ციხე. "სად არის, სად არისო" - ეკითხებოდა გამოცარიელებულ სივრცეს, უკვე გაღიზიანებული, მოთმინებადაკარგული. "სადაც შენა ხარო" - პასუხობდა გამოცარიელებული სივრცე ვანო მასწავლებლის ხმით, "სად? სად? სად?" - უარესად ღიზიანდებოდა ნიკო. "კი მაგრამ, სად გგონია თავიო" - არანაკლებ ღიზიანდებოდა უხილავი ხმა. მართლაც, სად ჰგონია ნიკოს თავი?! სულთქმის ციხეშია რახანია. უკეთესად რომ დაჰკვირვებოდა, თვითონაც მიხვდებოდა აქამდე. უდუღაბოდ ამოყვანილ კედლებში ქარი თავისუფლად გადი-გამოდის. წივის. ზუზუნებს. მოულოდნელად ყვავი დაიჩხავლებს ხოლმე, ჭოტი შეჰკივლებს, ტურა გადაიხარხარებს. სხვა მხრივ, სრული სიჩუმეა. აქ ღამეული ხმებიც სიჩუმედ ითვლება. რაც არა ჩანს, არც ხმაურობს. ქვის მაგიდასთან ქვის სავარძლები დგას, მსაჯულებისთვის. ქვის შანდლებში ძლივსღა ფეთქავენ ჩამწვარი სანთლები. კედელში დატანებულ ხვრელთან, რომელიც კარის მაგივრობასაც სწევს ალბათ, მახვილიანი ჩონჩხი დგას, უფრო რაღაცის მისანიშნებლად, ვიდრე ვინმეს შესაშინებლად - გათავდა, მოგვეჭრა ყველა გზაო - ანდა - აღარაფრის დამალვა არ გაგივა, აქ ყველაფერი ისევე შიშვლდება, როგორც მე და ჩემი მახვილიო. თუმცა, თავისუფლად შეიძლება, სულ სხვა რაღაცას ნიშნავდეს მახვილიანი ჩონჩხი. საშიში კი ნამდვილად არაფერია. ადამიანია საშიში და არა იმის ჩონჩხი. ერთი მკლავმოწყვეტილი ჩონჩხი ხომ ნიკოს სკოლაშიც დგას, ფეხმოუცვლელად, მაგრამ არავინ არ იცის, რა მიზნითა და დანიშნულებით. ეგაა, რომ ყველა ხელს ართმევს. ვანო მასწავლებელმა დაამკვიდრა ეს წესი. პირველად რომ შემოვიდა გაკვეთილზე, ჯერ იმას ჩამოართვა ხელი, ძველი ნაცნობივით, და მერედა მიესალმა კლასს. იმის მერე ყველა ვალდებულად თვლის თავს, დღეში ორჯერ - მოსვლისას და წასვლისას - თვითონაც ჩამოართვას ხელი ჩონჩხს. ჩონჩხიც, ხელის ყოველ ჩამორთმევაზე, ერთიანად ჩხრიალებს და ისე აცანცარებს მობრეცილ თავს, გეგონებათ, სალამს სალმითვე პასუხობსო. არავინ იცის, ცალხელა ამოიღეს საფლავიდან თუ მერე შეაწყვიტა ვიღაცამ მკლავი. ალბათ მერე შეაწყვეტდნენ - ვინმეს შეშინება თუ გინდათ, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებთ. ჩონჩხის მკლავი პალტოს სახელოში გექნებათ დამალული და, ვისი შეშინებაც გინდათ, იმას გაუწვდით, ხელის მაგივრად. გამარჯობათ. გამარჯობათ. რა მოგივიდა? რა ფერი გადევს? არ იცოდი, მკვდარი რომ ვარ?! უყვართ მოწაფეებს ასეთი გართობა და არც არავისზე ნაკლები ბრიყვები არიან, ხოლო, თუკი მკვდარი ცოცხალზე მეტია, მაშინ აქაც, სულეთშიც, ბრიყვი ჭკვიანზე მეტი ყოფილა. მაგრამ ნიკოს ამის გასარკვევად არ სცალია ახლა, სამსჯავროს წინაშეა წარმსდგარი. გულაბაგუნებული, სუნთქვაშეკრული ელოდება განაჩენს. "რა ბრალი მიგიძღვის ოჯახისა და ქვეყნის წინაშეო" - ეკითხება უხილავი ხმა. რა ბრალი მიგიძღვის... რა ბრალი მიგიძღვის... რა ბრალი მიგიძღვისო... - იმეორებენ უდუღაბო, ფარღალალა კედლები, ერთმანეთს გადასძახიან მეციხოვნეებივით. კი მაგრამ, რა ითვლება დანაშაულად?! რომელი ერთი ჩამოთვალოს ნიკომ?! "ჩემი ყველაზე დიდი დანაშაულია", - იწყებს ხმაათრთოლებული, ნიკაპმობრეცილი, და ჩუმდება, რადგან მართლა არ იცის, რა თქვას, რა გაიხსენოს. არაფერი არ ჩაუდენია აქამდე თურმე - არაფერი! - და, ჯერჯერობით, ესაა ალბათ მისი ყველაზე დიდი დანაშაული, თუკი არაფრის ჩადენაც შეიძლება დანაშაულად ჩაითვალო.

www.Litklubi.ge

"რა ითვლება დანაშაულადო?!" - კითხულობს ამ უეცარი, მოულოდნელი აღმოჩენით აღელვებული, დაძაბული, დაინტერესებული. რა ითვლება... რა ითვლება... რა ითვლება... - იმეორებენ კედლები. ნიკო კი პასუხს ელოდება, გულგაჩერებული, ყურებაწივლებული. ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა, რას იმსახურებს, ლიმონის ხესა თუ ცხვრის საკრეჭ მაკრატელს. როცა იცი, ისიც დიდი შვებაა. "რამე თუ მიგითვისებია სხვისიო" - ისმის ყველა მხრიდან ერთდროულად. "ამერიკული ჟილეტიო" - დაუფიქრებლად პასუხობს ნიკო, თითქოს შეკითხვაც წინასწარ იცოდა და პასუხიც წინასწარ ჰქონდა მომზადებული. "ჟილეტი?!" - უკვირს უჩინარ ხმას, თავისთვის კითხულობს, ხომ არ მომეყურაო, ეტყობა, არ ელოდებოდა ასეთ პასუხს. "ხო... დიახ. - უდასტურებს ნიკო. - შარშან მოიტანეს ამერიკული ტანსაცმელი, ომში წასულთა ოჯახებისთვის. დეიდამ წამიყვანა, ჩენც გვეკუთვნისო, თუმცა, დეიდა გაუთხოვარია. იმისი შეყვარებული დაიღუპა ფრონტზე" - უხსნის, როგორც შეუძლია. ხა, ხა, ხა, ხა - იცინიან კედლები - ხა, ხა, ხა, ხა... ნიკო კი დაბნეული იღიმება, რა ვთქვი ასეთიო. თავაწეული იყურება აქეთ-იქით, მაგრამ ვერაფერს ხედავს, ერთმანეთზე უდუღაბოდ დაწყობილი ქვების მეტს. საკვამურებში ქარი სისინებს, მახვილიანი ჩონჩხი ხელდაკრულ დაირასავით შეიჩხრიალებს ხოლმე, უცებ ჭოტი შეჰყვირებს, ტურა კი გადაიხარხარებს, ანუ, სამარისებური სიჩუმეა ირგვლივ, სიკვდილისეული, სულეთისეული. ხმაც, ეტყობა, ისვენებს, სიცილის შემდეგ. გულიანად იცინოდა. ნიკოსაც გადასდო, ცოტაც და, ნიკოც ახარხარდებოდა, სულელივით, მარტოდმარტო, უდუღაბო კედლებს შორის მომწყვდეული. "ეგ არ არის დანაშაული" - ამბობს ბოლოს ხმა. არ არის... არ არის... არ არის... დანაშაული... შაული... - გუგუნებენ კედლები. "სხვა? სხვა არაფერი გახსენდება?" - ეკითხება ხმა და, იმავე წამს, ქაღალდის ხელსახოცში ცუდად გახვეული, ცივი, თეთრად დათრთვილული კატლეტი ახსენდება ნიკოს. უკვირს კიდეც, აქამდე როგორ არ გამახსენდაო, რადგან თვითონ ამას თვლის თავის ყველაზე დიდ ცოდვად - ავადმყოფის, გინდაც მამის კატლეტის მითვისებას, შიმშილობისა და უკიდურესი გაჭირვების ჟამს. "არც ეგ არ არის დანაშაულიო - ფიქრსაც არ აცლის ნიკოს უჩინარი ხმა - ეგ დანაშაული არ არის, არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში - იმეორებს აღელვებული, თითქოს ერთი წამით დაეჭვებული საკუთარ სიმართლეში. - ძველ საბერძნეთში, - აგრძელებს უკვე ჩვეულებრივად, მბრძანებლურ-დამყვავებლურად, - ძველ საბერძნეთში ყველაზე დიდ დანაშაულად მამის ქონების განიავება ითვლებოდა, მაგრამ მამის კატლეტი, დიახაც, უნდა შეჭამოს შვილმა. კარგად მოქცეულხართ ორივენი. - ამთავრებს ხმა ღიმილგარეული. "აბა?! - უკვირს ნიკოს. - აბა, რა ითვლება თქვენთან დანაშაულად?! რა არ უნდა ჩამედინა?!" "რა არ უნდა ჩაიდინო" - უსწორებს ხმა. "რა არ უნდა ჩავიდინო?" - იმეორებს ნიკო. "არასოდეს არ მიითვისო, რისი მითვისებაც არ შეიძლება - ამბობს ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ხმა. - სხვისი აკვანი, ანდა, სხვისი საფლავი; სხვისი წუხილი, ანდა სხვისი სიხარული; სხვისი სალოცავი, ანდა, სხვისი საგოდებელი". "არა. არასოდეს" - ამბობს ნიკო, მტკიცედ, მღელვარედ, ყაზბეგის გმირივით, და უცებ, დამწვარი რეზინის სუნი სცემს ცხვირში - თურმე, სულთქმის ციხეში კი არა, ნასაყდრალში დგას, ვიღაცის დანატოვარ ცეცხლთან, და ნაპერწკლიანი ჯოხით ჩხრეკს ნაღვერდალს. სრულებითაც არ უკვირს, ან სულთქმის ციხე სად გაქრა, ან მე როგორ აღმოვჩნდი აქაო. თითქოს, ასედაც უნდა მომხდარიყო. თითქოს იქ იყო მისი ადგილი. მაშინვე იცნო იქაურობა, დაბეჯითებით შეეძლო ეთქვა, სწორედ იქ, იქიდან რომ დაიწყო ამ ერთი თვის წინ, მისი უსასრულო, არსაიდან არსაით მიმავალი გზა. ეს კი, თავისთავად, რაღაცას ნიშნავდა უკვე - წრე შეკრულიყო და ჩავლილ დროს, ამ ერთ თვეში განცდილ-გადატანილი, ძველი, გატეხილი ბორბალივით მიეყუდებინა ნიკოს სულის კედელთან. ვიღაცის დანთებული ცეცხლიც ჩანავლებულიყო, მაგრამ ჯერ კიდევ წითლად იჭყიტებოდა შავი ნაცრის ბზარებში. ცეცხლის დამნთებს რეზინის ნაკუწები მოემარაგებინა "შეშად", მაგრამ, ეტყობა, უფრო ადრე წასულიყო აქედან, ვიდრე აპირებდა, ვიდრე "შეშის მარაგი" გამოელეოდა. მყრალი ბოლი გველივით მიიკლაკნებოდა ჩამოქცეული თაღისკენ და ნათაღარის დამახინჯებულ წრეში უჩინარდებოდა უკვალოდ, ქარის ხელში ჩავარდნილი. წინ კარის ჭრილი მოჩანდა.

www.Litklubi.ge

თავად კარი აღარ იყო, დროს შეეჭამა, ანდა, რეზინის ნაკუწებისა არ იყოს, ისიც შეშად ეხმარათ ვიღაცებს. სიზმრებიდან, ჩვენებებიდან, ზღაპრებიდან მომავალმა ნიკომ შიშითა და მღელვარებით გაჰყო თავი კარის ჭრილში და თვითონაც რომ არ ელოდა, ისე ესიამოვნა, უაღრესად ნაცნობი გარემო რომ გადაეშალა თვალწინ. გარეთ ქარი იყო მარტო - გამალებული გადარბოდა გაქუცულ, მეჩხერ ბალახზე და ჯიუტად, ზმუილითა და ქშენით აწვებოდა ხორკლიან, ძვლადქცეულ მკერდზე ტიტველ ჯაგნარს, თითქოს გადაჩოჩებას უპირებდა ძველი, ღმერთისაგან მიჩენილი ადგილიდან. შორს თეთრად ელავდნენ ნიაღვრებით ჩამორეცხილი, ჩამოღარული ფლატეები. ისეთივე ფერის გზა მაღლა-მაღლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიუყვებოდა ჯაგნარს. ხოლო, სულ ზევით, მთის კინკრიხოზე, ქვის ბუდესავით იდო პატარა, გალავნიანი ქალაქი, თავმორღვეული სამრეკლოთი. "სიღნაღი თავშესაფარს ნიშნავსო" - გაიფიქრა და უცებ შესცივდა, თბილი ლოგინიდან წამომდგარივით შეაძაგძაგა სიცივემ. ქარს ჯერ კიდევ შერჩენოდა ზამთრის სუსხი. მიწა ისე იყო გაყინული, გამკვრივებული, ბარს არ მიიკარებდა. ვერც ვერავინ შეებრძოლებოდა ალბათ, გიუკოლას მეტი. ნასაყდრალში შებრუნდა და ჩანავლებული ცეცხლი გააღვივა, გააჩაღა. რეზინის ნაკუწებიც ბლომად დააყარა ზემოდან. ბოლი უფრო გასქელდა, გამუქდა, გამწარდა, მაგრამ ცეცხლის სიმხურვალე მაინც ვერ იგრძნო ნიკომ. სხვანაირი, იმქვეყნიური სიცივით იყო თითქოს გამსჭვალული და, უბრალოდ, სიამოვნებდა ცეცხლთან დგომა. აყროლებულ ცეცხლთან იდგა და ხმელი ჯოხის წვერით ნაღვერდალს ჩხრეკდა. სწორედ ამ დროს, ნასაყდრალში თვითონვე შემოიხედა გარედან და მოულოდნელობისაგან შეკრთა, თითქოს არ ელოდა, ვინმე თუ დახვდებოდა ნასაყდრალში, თუმცა, თავიდან, ბოლი რომ შეამჩნია, მაშინვე ის იფიქრა, ვიღაცებს ცეცხლი დაუნთიათ და ალბათ მეც გამათბობენ ცოტასო, მაგრამ ცეცხლთან უცხო (!) რომ დაინახა, მაინც შეცბა, შეყოვნდა კართან, თითქოს მოერიდა (ანდა, შეიძლება, შეეშინდა კიდეც) უცხოსი. შემოდიო - ხელი დაუქნია ცეცხლთან მდგარმა კართან შეყოვნებულს. ისიც შემოვიდა და სიცივისგან დაკრუნჩხული, გაშეშებული თითები პირდაპირ ცეცხლში შეჰყო. მაგრამ სითბო ვერც იმან იგრძნო, თითები კი მაშინვე გაემურა. ვინა ხარ, საით გაგიწევიაო - ყასიდად ჰკითხა ცეცხლის ჩხრეკით გართულმა ცეცხლში ხელებშეყოფილს. მართალი რომ ვთქვა, დედა მომიკვდება, ტყუილი რომ ვთქვა, მამაო - შესცინა ცეცხლთან ჩაკუნცხულმა, ცეცხლში ხელებშეყოფილმა, და კიდევ უფრო ღრმად შეჰყო ცეცხლში ხელები. ცეცხლს სრულებითაც არ ჰქონდა ძალა. არა თქვა ახლა, ამირანის შვილი ვარო - დამცინავად გადმოხედა ცეცხლთან მდგარმა თავისი ერთთვიანი სიკვდილის სიმაღლიდან, როგორც საგვარეულო კოშკიდან ფეოდალი გადმოხედავდა თავის ქვეშევრდომს, და ნაპერწკლიანი ჯოხი კი არ შეუჩიჩხინა, ატაკა ნაღვერდალს, როგორც სტიმული - სახედარს. ცეცხლმა ჩინჩხლები გაჰყარა, ნაცარი წამოიშალა. ცეცხლთან ჩაკუნცხულმა თავი გვერდზე გასწია, ჩინჩხლებსა და ნაცარს სახე გაარიდა და თქვა: ვითომ რითი არა ვარ ამირანის შვილიო. მაგრამ უცებ ბოლი გადასცდა და იძულებული შეიქნა, წამომდგარიყო. გამურული ხელები შარვალზე შეიხოცა და ხველებ-ხველებით გააგრძელა: მამაჩემი ლოგინსაა მიჯაჭვული, დედა კი თავზე ადგას, ჯაჭვს ულოკავსო. მე თუ მკითხავთ, არაფერია მაგაში სატრაბახოო - თქვა ცეცხლისმჩხრეკელმა, მოულოდნელად გაღიზიანებულმა, და ნაპერწკლებდასეული ჯოხი ახლა სივრცეს აძგერა, დაშნასავით. ჯოხს, ნაცართან ერთად, მკრთალი, პაწაწინა ნაპერწკლებიც სცვიოდა. ნაპერწკლები მიწამდე ჩასვლასაც ვერ ასწრებდნენ, ჰაერშივე ქრებოდნენ. ის კი ჯიუტად ჩხვლეტდა ჰაერს, როგორც მოფარიკავე - წარმოდგენილ მოწინააღმდეგეს სამედიცინო დარბაზში, თითქოს მეორეს ეუბნებოდა, არა ხარ, არაფერი არ ხარ, შენი უაზრო, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკიანადო.

www.Litklubi.ge

- მომისმინე, - ამბობს უცებ და თვითონვე ხვდება, მამასავით რომ თქვა ეს სიტყვა, "მომისმინე", ზუსტად ასე თქვა მამამაც საავადმყოფოში, მათი განშორების დღეს. მაგრამ ამას თუ გამოეკიდა ახლა, ვედარაფერი უთქვამს და ეგაა, რადგან, ჯერჯერობით, რასაც ამბობს სხვისას ამბობს და სხვასავით ამბობს, დავუშვათ, ისევ მამასავით, ანდა, ვანო მასწავლებელივით, მაგრამ არც ესაა ცოტა - მოსმენისა და დამახსოვრების უნარი, სხვა თუ არაფერი, სწორედ საკუთარი სათქმელის აღმოსაჩენადაა აუცილებელი, ის მიგახვედრებს მხოლოდ, რის სათქმელადა ხარ მოწოდებული თავად. - მომისმინე, - იმეორებს მაშინვე, ახლა უფრო მტკიცედ, მაგრამ მღელვარებისგან ჯერ კიდევ ხმაათრთოლებული, იმ ჯარისკაცივით, იძულებული რომაა, დროებით აღასრულოს დაჭრილი თუ დაღუპული მეთაურის მოვალეობა. - მომისმინე! ჩვენ ახლა მოკვდებით. უფრო სწორად, ერთ-ერთი ჩვენგანი მოკვდება, უარესი უკეთესის გულისთვის. შეცდომით, შემთხვევით თუ დამსახურებულად, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ქვეყანას ამით არაფერი დააკლდება, ვერც გაიგებს, რადგან სინამდვილეში, ჩვენთვის მოკვდება მხოლოდ, ჩვენ მოგვიკვდება, ჩვენს სულში, ჩვენს სინდისში მოკვდება და მხოლოდ იმიტომ, სიცოცხლის ღირსი რომ გახდეს დარჩენილი, გაიზარდოს, გაღონიერდეს, დაკაცდეს, ბოლოს და ბოლოს, გაიგოს ამ ქვეყნის ავანჩავანი. კი არ განუდგეს ქვეყანას, გადაარჩინოს, გამოაბრუნოს, როგორც ჩვენმა მშობლებმა გამოაბრუნეს ბაზარში ნაყიდი თევზები. ჩენსავით გულნატკენნი, გაბრაზებულნი, გაწბილებულნი ბევრნი არიან. დღითი დღე კიდევ უფრო მეტნი გახდებიან. აგერ ნახავ, ხვალ და ზეგ ქვიშასავით წალეკავენ ყველაფერს, ყველაფერს, რისი წალეკვაც შეიძლება. კალიასავით მოედებიან ქვეყანას, გადაძოვენ, გადაატიტვლებენ, გააუდაბურებენ საკუთარ სამშობლოს - რაღა სხვამ, რაღა პომპეუსმა და ჰიტლერმა, ბარემ ჩვენვე, ჩვენი ხელითო. და თუ ღმერთი გაწყრა, თუ არავინ გააჩერათ, თუ არავინ გამოუჩნდათ ნამდვილად გულშემატკივარი, შემბრალებელი, გამგები და მიმტევებელი, მტერს რომ არ უქნია, იმას დამართებენ თავს. იცოდე! გახსოვდეს! გეშინოდეს!

- მეშინია. მეშინია და დედა მენატრება. წყალს წაუღია ყველაფერი. - ამბობს ბოლნაყლაპი, ხელებგამურული.

- ძალიანაც კარგი, - აწყვეტინებს "დაშნიანი", აყროლებულ ჰაერთან "მოფარიკავე". - უნდა გეშინოდეს. დედა უნდა გენატრებოდეს. თუ დედა არ გენატრება და არც არაფრის გეშინია, სიცოცხლეს ფასი არ ჰქონია შენთვის. დედის მონატრებაა ადამიანობა, შიშის დაძლევაა გმირობა. ამიტომაც, რაც კი ცუდია ჩვენში, დროისაგან თავსმოხვეული, შიშით გახრწნილი, შიმშილობით დაუძლურებული, სიმარტოვით გაქვავებული - მოიკვეთება, სამუდამოდ. ჩვენს თვალწინ მოკვდება, რადგან ჩვენც გავიგოთ, ვიგრძნოთ, ვიწვნიოთ სიკვდილის ძალა, დაუნდობლობა, და თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ დარჩენილს, გადარჩენილს. არ დავანებოთ სიკვდილს, მტერს, წყვდიადს... ვიდრე შეგვეძლება, ვიდრე კბილი შეგვრჩება, ფრჩხილი, ფურთხი, გოჯი არ დავთმოთ ჩვენი სულისა, სინდისისა, სიყვარულისა, სიძულვილისა... ანუ, არასოდეს მივატოვოთ სანგარი, ოღონდ, ის სანგარი, სადაც განგება ჩაგვსვამს; და კიდევ ერთი, მადლობა ღმერთს, გამახსენდა! არასოდეს, არასოდეს, არასოდეს, გესმის?! რაც არ უნდა მოხდეს, ვინც არ უნდა გიბრძანოს, დაგაძალოს, გთხოვოს, შემოგაჩეჩოს - არ მიითვისო, რაც არ გეკუთვნის, რისი მითვისებაც არ შეიძლება.

www.Litklubi.ge

მაგრამ მეორე, ბოლნაყლაპი, ხელებგამურული, უკვე სიღნაღისკენ გარბოდა და, ყელში ცრემლგაჩხერილს, უკან მოხედვისაც ეშინოდა, უკანვე რომ არ მიბრუნებულიყო, აღრიალებული, თავის უბედურ, ტანჯულ, გაწბილებულ, უგულებელყოფილ წარსულთან, თავის ბავშვობასთან, რომელიც, ვინ იცის, ნასაყდრალის კარში იდგა და სევდიანად მომღიმარი გასცქეროდა თავის გამგრძელებელს, თავის მომავალს. მაგრამ იმას, მომავალს, მეორე აღმართიც არ ჰქონდა ათავებული, ცხენების ფრუტუნ-ხვიხვინი რომ შემოესმა და უფრო ადრე ისკუპა ბუჩქებში, ვიდრე გაიფიქრებდა, მე უნდა გადავრჩე, მე აუცილებლად უნდა გადავრჩეო. მისი თხუთმეტწლიანი წარსული კი აყროლებულ ცეცხლთან მიბრუნებულიყო, რომელიც მართლა ვინმეს გასართობად კი არ ენთო, არამედ სიცივესთან შესაგუებლად, მარადიულ სიცივესთან, სიკვდილთან. იცოდა, გრძნობდა, სწამდა - აღარაფერი აკლდა აღსასრულამდე. მალე, ძალიან მალე უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, ანუ, დაწყებულიყო სრულიად ახალი ხანა მის ცხოვრებაში, ხანა გადარჩენილი, გააზრებული, გამიზნული და, ამიტომაც, აუცილებელი, გარდაუვალი, სავალდებულო სიცოცხლისა. უკვე მოუთმენლად ელოდებოდა იმ დიადსა და უწმინდეს წამს, როცა ერთხელ ბრმად შობილი, მეორეჯერ უკვე შეგნებულად, საკუთარი ნებით, ტკივილამდე თვალგახელილი დაიბადებოდა და ახლა უკვე ჭეშმარიტად სამარადისოდ შეერთდებოდა, შესისხლხორცდებოდა ცხოვრების დაუნდობლობითა და სისასტიკით ორად გაგლეჯილი მისი არსება. მართლაც, თითქმის მაშინვე, ვიდაცამ (დავუშვათ, იმავე ლეიტენანტმა, როლანდმა, ლამარას მეუღლემ) დაუძახა გარედან: დაგვნებდი, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქსო. იმისთვის კი, სწორედ წინააღმდეგობის გაწევას ჰქონდა აზრი. დანებება ისევ სიკვდილის პირქუშ სამეფოში ხეტიალს ნიშნავდა, უაზრო სიზმრებისა და ჩვენებების გახანგრძლივებას, თუნდაც რამდენიმე დღით, რამდენიმე საათით, მაგრამ ის სიცოცხლეს ეკუთვნოდა უკვე და აღარაფერი გაეგებოდა სიკვდილისა. იმიტომაც იყო, თავაღერილი რომ გავარდა ნასაყდრალიდან, რაკი არ დავნებდები, ისინიც იძულებულნი იქნებიან, მესროლონო, და ასედაც მოხდა, რადგან ვიდრე ნასაყდრალიდან გამოვარდებოდა, მოალყეებში ისიც წინასწარ გამოარჩია, ვინც ნაკლებად დაინდობდა და იოლად გაიმეტებდა, თუნდაც თავისი სიხარბისა და თავისი სილაჩრის გამო. ლეიტენანტმა მაშინვე კი დაიყვირა - არ ესროლოთო - (მიხვდა ალბათ, რაშიც იყო საქმე), მაგრამ გოგია რისი გოგია იქნებოდა, ასეთ მშვენიერ შემთხვევას თუ გაუშვებდა ხელიდან, ჩახმახის გამოკვრამდე, იმაზე კი არ იფიქრებდა, რაც არ უნდა იყოს, ადამიანია და, ვაითუ, მაინც მომკითხონ პასუხიო, არამედ - ნეტავი, ჯილდოს მომცემენ თუ არაო. მაგრამ ჯილდოს რაში მისცემდნენ, როცა თავად სიკვდილი გაბათილდა - ერთი ნიკო თუ მოკვდა, მეორე დაიბადა. "დაბადებული" გონიერების ფრთებზე ეკიდა ცაში და სიბრალულის ცრემლით თვალებდაბლანდული ჩამოსცქეროდა "მკვდარს". "მკვდარი" პირქვე ეგდო მიწაზე, ხელებგადაშლილი წამოხდილი პალტოს კალთას მოტეხილ ფრთასავით უფრიალებდა ქარი, თითქოს, ეს წუთია, ციდან ჩამოვარდნილაო, ეს წუთია, დაენარცხა მიწას თავისივე უგნურობის, გაუგონრობის, სულსწრაფობის გამოო. სინამდვილეში კი, ისინი ახლაც ერთნი არიან, განუყოფლები, ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთს ავსებენ. ერთ დასრულებულ, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ აზრს, მცნებასა თუ სახეს წარმოადგენს, რაც მიწაზე დარჩა და რაც ცაშია, ოღონდ, მთელის უკეთესი ნაწილი გონიერების ფრთებზე ჰკიდია, უარესი კი პირქვე გდია მიწაზე.

www.Litklubi.ge

გოგია ჯერ ისევ მუხლებზე იდგა, სახე და ხელები სისხლით ჰქონდა მოთხუპნული. არამინდარას ხმელი ბალახი მოეგლიჯა და იმით წმენდდა სისხლს. გოგიას მამა და ნესვა დაფეთებულ ცხენებს დასდევდნენ. ლეიტენანტი და გრძელო მკვდარს დასდგომოდნენ თავზე. ის კი, "დაბადებული", ყველას მაგივრად მიფრინავდა უკიდეგანო ცაში, ყველას მაგივრად, ვინც ქვის ბუდეში გამოეკეტა ბედს, ქვის ბუდიდან ამოფრენის საშუალება კი წაერთმია. მიფრინავდა, მიფრინავდა - სუნთქვაშეკრული, ეკალდაყრილი, თვალებაცრემლებული, მაგრამ მიწას კი არ შორდებოდა, კიდევ უფრო მძაფრად გრძნობდა მიწას, კიდევ უფრო აუცილებელი ხდებოდა მისთვის მიწის არსებობა, რადგან, ასე ცაში გამოკიდული, საერთოდ არაფერს წარმოადგენდა, არც მტრისთვის, არც მოყვრისთვის, არც წარსულისთვის, არც მომავლისთვის. გაფრენა გააზრებული გადაადგილებაა სივრცეში, ოღონდ, მიწიდან მიწამდე, მიწა არა მარტო ბიძგის მიმცემია, დამაგვირგვინებელიცაა გაფრენისა და, ამიტომაც, მიწაზე დაბრუნების უფლების წართმევა, გაფრენის უნარის წართმევაზე ნაკლები სისასტიკე როდია. ხოდა, ისიც უკვე მიწას ჩამოსცქეროდა - დაღლილი, გათოშილი, ცრემლით დაბრმავებული - უკვე იმაზეღა ფიქრობდა, დაშვებისას, ხის ტოტებს არ წამოვედოო, ხრამში არ ჩავიჩეხოო, ეკალბარდებში არ გავიხლართოო. უკვე ესმოდა მიწის მძიმე სუნთქვა, მიწის მძაფრი სუნი სცემდა ცხვირში და სუნთქვაშეკრული ელოდებოდა (როგორც ოდესღაც, ლეოს ველოსიპედზე ამხედრებული), როდის დაასკდებოდა, როდის გადაიყვლეფდა მუხლებსა და იდაყვებს იმის ოღროჩოღრო, ხორკლიან ზედაპირზე. მერე ძლივძლივობით წამოდგა, როგორც შეძლო, ჩამოიფერთხა ტანსაცმელი და, გულამოვარდნილი, ასლუკუნებული, კბილებაკაწკაწებული წავიდა ღრეჯვის ხიდისკენ, იქნება, სამადლოდ, ვინმემ ამიყვანოს სიღნაღშიო, საიდანაც, ეს წუთია, "ჩამოფრენილიყო" აქ. პაპას, რა თქმა უნდა, ვერ დაენახვებოდა, ასე დაბღორტნილ-დაგლეჯილი. გულს გაუხეთქავდა მხოლოდ და იქით გაუხდებოდა მისახედი; ისედაც გაწამებულს, უარესად გააწამებდა ამაო ფუსფუსითა და ვიშვიშით; თვითონაც მოკვდებოდა და ამასაც ამოხდიდა სულს, ვიდრე დაწვრილებით გამოკითხავდა, გამოარკვევდა და, ბოლოს და ბოლოს, ირწმუნებდა, მართლა რომ გადარჩენილიყო და სხვა, კიდევ უარესი განსაცდელი არ ელოდებოდა მის შვილიშვილს. მის შვილიშვილს კი, ბებიის მეტი, ვერავინ უშველიდა ახლა და ისიც, გუმანს მინდობილი, ბრმად, ალალბედზე, მიისწრაფოდა მშველელისკენ...

www.Litklubi.ge

www.Litklubi.ge

მერე ავტობუსში იჯდა და თვითონაც არ იცოდა, ეძინა თუ ეღვიძა, გონზე იყო თუ უგონოდ. ქანცგაწყვეტილი მისვენებულიყო ბოლო სკამზე, თითქოს შორეული წარსულიდან, უხსოვარი დროიდან ბრუნდებოდა და დასიზმრებულს ჰგავდა ყველაფერი: შავად გალურსული გზაც, აწივლებული, აღმუვლებული, ახარხარებული ქარიც - თავისუფლად რომ გადი-გამოდიოდა ფარღალალა, ბრეზენტის სახურავიან ავტობუსში - თავად ავტობუსიც, ბორძიკით, ყანყალით, ღრჭიალით რომ მიუყვებოდა გზას, და ავტობუსის მგზავრებიც, ჩაყუჟულნი, ჩაკარგულნი თავიანთ პალტოებსა თუ შალებში, დაბამბულ ჯუბებსა თუ ომგამოვლილ ფარაჯებში. შემაშფოთებელი სიმშვიდე დაუფლებოდა ყველას, სიმშვიდე კი არა - რინდი, თითქოს იქ არ მიდიოდნენ, სადაც უნდოდათ და, ამიტომ, სულერთი იყო, სად წავიდოდნენ. ანდა, კიდევ უარესი, თითქოს საერთოდ არ იცოდნენ, თუ მიდიოდნენ. თითქოს ავტობუსში კი არ ისხდნენ, რომელიღაც უცნაური, უშველებელი, პრეისტორიული ცხოველის საშოში ჩასახულიყვნენ ერთდროულად, ერთმანეთზე ასხმულიყვნენ, თუნდაც, ვალო ბადალაშვილის მოკლული კუს კვერცხებივით, და, მიუხედავად უკიდურესი სიახლოვისა, სისხლხორციელი ნათესაობისა, ჯერ კიდევ არ ახელოდათ ერთმანეთის დასანახი თვალი. ჯერჯერობით, ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩნეული დედის მუცელში, ერთმანეთი რომ არ ამოეგუდათ, არ ამოეზილათ, გადამრჩენელი ალღოს კარნახით, და ჯერ უნდა დაბადებულიყვნენ, ჯერ უნდა მოსწყვეტოდნენ დედის მუცელსაც და ერთმანეთსაც (ანუ - ავტობუსიდან უნდა გადმოსულიყვნენ), რათა დაენახათ, ეცნოთ, ეგრძნოთ, შეჰყვარებოდათ ანდა შეძულებოდათ თავიანთი ტყუპისცალები. არაბუნებრივად მოკუნტულები (ჩანასახთა მსგავსად), არაბუნებრივად მობუზულები და მობრეცილები - ალბათ სიცივის გამო - ისეთივე უცხონი და იდუმალნი იყვნენ ისინი ნიკოსთვის, როგორც ნიკო იმათთვის. თუმცა, არც გარეგნობითა და არც ჩაცმულობით გამოირჩეოდნენ ისინი ნებისმიერი ავტობუსის ნებისმიერი მგზავრებისგან. ჩვეულებრივები იყვნენ. ჩვეულებრივად ნამდვილები, რაც მხოლოდ და მხოლოდ იმაში არწმუნებდა ნიკოს, თავადაც რომ ნამდვილი იყო, ნამდვილად ავტობუსში იჯდა და ნამდვილად შინ მიდიოდა: ან ბათუმში (ანუ, დედასთან და მამასთან), ანდა - სიღნაღში (ანუ, ბებიასთან და დეიდასთან). თუმცა, ეს თითქმის ერთი და იგივე იყო, ოღონდ, იმ წუთას, ნიკოს, ძილ-ღვიძილში მყოფს, მაინც ბათუმში ერჩივნა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, ბათუმში, ანუ, ბრძოლის ველზე, უფრო შორს იქნებოდა იმ განსაცდელისგან, სიღნაღში, ანუ, თავშესაფარში რომ დასტყდომოდა თავს. ამის ბრალიცაა, ალბათ, წარამარა რომ ელანდებოდა ქვითკირის ღობეზე ტოტებგადმოწყობილი ლეღვის ხე; თითქოს ბათუმური ჭიშკრის ჭრიალიც ჩაესმოდა ხოლმე და, უნებურად, იძაბებოდა, როგორც ოდესღაც, საავადმყოფოში გვიანობამდე შერჩენილი დედის მომლოდინე. მაგრამ ჯერ ისიც არ იცოდა წესიერად, რომელი ნაწილი იყო მთელისა, უკეთესი თუ უარესი, ცოცხალი თუ მკვდარი და, აქედან გამომდინარე, ცოცხლების თანამგზავრი თუ მკვდრებისა. მაგრამ, ასედაც და ისედაც, ჯერ საშოს ბინადარი იყო მხოლოდ, უგნური, უგრძნობელი ნაყოფი, რომელიც სრულებით არ არის ვალდებული, არც მოწოდებული, გაარკვიოს, რა გზით, რანაირად მოხვედრილა, მაინცდამაინც ამ საშოში და სად აღმოჩნდება, სად გაახელს თვალს იქიდან თავდაღწეული. არც ნიკო იწუხებდა თავს ამაზე ფიქრით. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმისთვის, თვითონ, თავისი სურვილით, შეგნებულად ჩამჯდარიყო ავტობუსში, თუ გზაზე აეყვანათ გონდაკარგული. ეს ბედისწერის ავტობუსი გახლდათ და ბედისწერამ უკეთ იცოდა თავისი საქმე. ბედისწერას უნდა გაერკვია, ერთხელ და სამუდამოდ, ღირდა თუ არა საერთოდ, იმის ხელმეორედ დაბადება, მართლა შეიძლებოდა, მთელის უკეთესი ნაწილი ყოფილიყო ის, თუ მისი მეორე სიცოცხლეც, გაჭრილი ვაშლივით, მსგავსი და ტოლფარდი იქნებოდა პირველისა, ანუ, ისევ ზედმეტი ტვირთი იქნებოდა თავისიანებისთვის, თუ რაღაც ახალი, ყველასათვის საჭირო და საინტერესო აზრისა და დანიშნულების მტვირთველი, ძველებურად, მხოლოდ მოწმე, თუ მონაწილეც ყველაფრისა, რაც მის გარშემო, შეიძლება უიმისოდ, მაგრამ აუცილებლად მის გამოც მოხდებოდა. უფრო უბრალოდ რომ ვთქვათ, ახლა უნდა გარკვეულიყო მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, რას აირჩევდა, როგორ მოიქცეოდა, სულ ასე ძილ-ღვიძილში გაატარებდა ცხოვრებას, ანუ არარსებული ავტობუსის მგზავრად დარჩებოდა სულ, თუ იმდენი სიმტკიცე

www.Litklubi.ge

მაინც აღმოაჩნდებოდა, მკვლელისთვის ეთქვა მკვლელი ხარო და, რაც მთავარია, ყველანაირად დაემტკიცებინა, ყველანაირად ეგრძნობინებინა, თუკი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, სრულებითაც აღარ მეშინია შენიო, მით უფრო, რომ მართლა აღარ ეშინოდა და ერთადერთი გრძნობა, რაც კიდევ ჰქონდა იმის მიმართ, სიბრალულის გრძნობა იყო, რადგან სიბრალულს იმსახურებდა მხოლოდ, თუკი იმის სანუკვარი ფიქრი, ოცნება და იმედი მაინცდამაინც ვიღაცის სიკვდილიდან უნდა ამოზრდილიყო და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იქნებოდა ის ვიღაცა, ილია ჭავჭავაძე თუ უსახელო, უსახლკარო, უნათესაო უცნობი. მაგრამ ნიკოს ჯერ მხოლოდ ავტობუსში ჯდომა ევალებოდა, ცხოვრებისკენ რომ შემობრუნებულიყო ისევ, ნელ-ნელა, თანდათანობით და, რასაკვირველია, საკუთარი სურვილით. ევგენია დუგლაძის ჩაფრებს კი არ უნდა გამოეთრიათ ამ ავტობუსიდან, როგორც ერთხელ, თავისი ჭკუით, ყაჩაღად გავარდნილი გამოათრიეს გამოქვაბულიდან, არამედ, თავად უნდა გასჩენოდა დაბრუნების, გამობრუნების სურვილი, თავად უნდა გაეკეთებინა არჩევანი არაფერსა და ყველაფერს შორის, ძალა უნდა დაეტანებინა თავისთვის, კეთილი უნდა ენება და იქამდე არ აეღო საძულველი წიგნიდან თავი, ვიდრე იმ წიგნის ბნელსა და იდუმალ ფსკერზე საკუთარ სიბეცეს, სიპატარავესა და სიბეჩავეს არ დაინახავდა. მოკლედ, ბობოქარი, მკაცრი და დაუნდობელი ბედისწერის გამოტყორცნილი, ჯერჯერობით აქ, ბენზინის სუნით გაჟღენთილი ავტობუსის წიაღში უნდა გამოშუშებულიყო, როგორც ამირანი - ფურის ფაშვში, ვიდრე ხელმეორედ, და ახლა უკვე საბოლოოდ, დაიბადებოდა.

ავტობუსი კი მიდიოდა, მიბორძიკობდა, ქშენითა და ღმუილით ნთქავდა დროსა და სივრცეს. უხილავ ორმოებში ეზანყებოდა, მოუხერხებლად იქნევდა აჭრიალებულ კუდს გაუთავებელ მოსახვევებში და სუსტი, მბეუტავი სინათლით დაეძებდა ბოლისფერ წყვდიადში გაუჩინარებულ გზას. თითქოს ალალბედზე მიდიოდა, საკუთარი ძრავის წყალობით კი არა, ქარის ტალღებს მინდობილი. მძღოლიც თითქოს იმიტომ ჩაფრენოდა საჭეს, ბიძგებისგან თავი რომ შეეკავებინა. ბრეზენტის სახურავი ურჩხულის კუდივით იტალღებოდა, ტყლაშუნობდა და ერთი სული ჰქონდა, როდის აიშვებდა თავს, როდის აიტაცებდა ცაში ავტობუსს, თავის მგზავრებიანად. ხოლო ბათუმი, ანდა, სულაც სიღნაღი, იმის მაგივრად, მოახლოვებულიყო, უკან-უკან იხევდა მალულად. სიბრაზისგან, უმწეობისგან აღრიალებულ ავტობუსს კი, ლამის გული გასკდომოდა. ქარს მიჰქონდა იქაურობა. ერთმანეთში გადაეზილა მიწა, წყალი და ჰაერი. მაგრამ მაინც ვერაფერი არღვევდა ავტობუსის ბინადართა სიმშვიდეს, გულგრილობას, რინდს; არავინ ჩქარობდა ავტობუსიდან გადასვლას, თითქოს ქვეყანაც არ დაბადებულიყო ჯერ და ისიც საკითხავი იყო, ფეხის დასადგმელი მიწა მაინც თუ დახვდებოდათ ავტობუსიდან გადმოსულებს.

უცებ ნიკომ ზუსტად ის მგელი დაინახა (ერთი წამითაც არ დაეჭვებულა ამაში), ერთი წლის წინ, ზუსტად ამ გზაზე რომ გაიტანა, ამან თუ არა, ზუსტად ამისთანა ავტობუსმა. მაშინ ავტობუსს თბილისელი ექიმი მოჰყავდა ვარო ძალოს გადასარჩენად და, შეიძლება, სიჩქარეში ვერც კი დაინახა მგელი, ანდა, ისე გვიან შენიშნა, ვეღარ აარიდა თავისი საზარელი ბორბალი. ასე ფიქრობდა ხოლმე ნიკო, მაგრამ ეს უკვე იმდენად ძველი ფიქრი იყო მისთვის, იმდენჯერ ჰქონდა ნაფიქრი, სრულებითაც აღარ გაჰკვირვებია, ერთხელ უკვე გატანილი მგლის დანახვა. სამაგიეროდ, დანახვისთანავე, ყველაფერი, რაც დავიწყებული ეგონა, უფრო სწორად კი, რის დავიწყებასაც, რინდითა და თვლემით, აქამდე ამაოდ ცდილობდა თურმე, უხეშად გამომაფხიზლებელი სიცხადით გაახსენდა ერთბაშად: ტყვიით დაფშვნილი ბათქაშიც, დამფრთხალი ცხენებიც, დაჩოქილი გოგიაც, სისხლით ჩამოშავებული ცხენის თეძოცა და ცხენზე ხურჯინივით გადაკიდული ყაჩაღიც...

www.Litklubi.ge

მგელი კი ავტობუსის წინ გარბოდა, თითქოს ავტობუსის სინათლეს, როგორც მარჯვედ ნასროლ ქამანდას, გამოეთრია თავისი სიკვდილიდან, თავისი სიმარტოვიდან, მიუსაფრობიდან. ჯერ უკანა ფეხები და გაბურძგნული კუდი გამოჩნდა მხოლოდ, მერე - ნახევარი ტანი, მერე კი მთლიანად მოექცა მოცახცახე სინათლის ნაკადში. ბალანი ბღუჯა-ბღუჯა ეკიდა ჩაცვენილ ფერდებზე. სინათლეში მომწყვდეული, რაღაცნაირად ზანტად, უშფოთველად, უხალისოდ, მკვდრული განურჩევლობით გარბოდა, თითქოს ავტობუსს კი არ გაურბოდა, წინ მიუძღვოდა, გზას ასწავლიდა, ანდა, გზიდან გადაჰყავდა, ხევში უპირებდა გადაჩეხვას და ცდილობდა, თვალთახედვიდან არ დაჰკარგვოდა ავტობუსის მგზავრებს, პირველ რიგში კი - მძღოლს.

სუნთქვაშეკრული, დაძაბული, ავტობუსის ძაგძაგს აყოლილი ნიკო ორივე ხელით ჩაფრენოდა წინა სკამის საზურგეს. დარწმუნებული იყო, მარტო იმას ეჩვენებოდა მკვდრეთით აღმდგარი მგელი, მაგრამ ვიღაცამ რომ დაუძახა მძღოლს, მოეშვი, იქნება უპატრონო ძაღლიაო, უარესად აღელდა, უარესად აიტანა ძრწოლამ. მძღოლმა ერთი კი მოიხედა უკან, ბრიყვულად გაღიმებულმა და, კისერდაგრძელებული, მკერდით მიაწვა საჭეს, თითქოს ასე უფრო ააჩქარებდა მანქანას, საკუთარ ძალასაც მიუმატებდა მანქანის ძრავას.

ავტობუსი ღრიალით მისდევდა მგელს. მგელი კი, დაეფრთხო თუ გაეოგნებინა ავტობუსის ხმასა და სინათლეს, არც ცდილობდა გვერდზე გახტომას. ალბათ ერთხელ კიდევ მობეზრებოდა სიცოცხლე, ერთხელ კიდევ დაეძლია ცხოველური შიში, დაეკარგა ცხოველური სიფრთხილე, ცხოველური ალღო თავდაცვისა და შეგნებულად უვარდებოდა ავტობუსს ბორბლებში. ანდა, თითქოს მხოლოდ იმიტომ აღმდგარიყო მკვდრეთით, ნიკოსთვის რომ ეთქვა თავისებურად, რამდენჯერაც არ უნდა დაიბადო, ბოლო მაინც ერთიაო. მანძილი კი ყოველ წამს მცირდებოდა მგელსა და ავტობუსს შორის. "ცოდოა, რას გიშავებსო" - ისევ დაუძახა მძღოლს ვიღაცამ, მაგრამ ცალყბად, უგულოდ, შეიძლება, მძღოლის კიდევ უფრო გასაქეზებლადაც. კაცი ხომ იმას უფრო ეტანება, რასაც აუკრძალავ და დაუშლი. "მოსახვევში თუ არ გამისხლტა, ჩემიაო" - კბილებში გამოსცრა მძღოლმა. მოხედვის დრო აღარ იყო. მღელვარებისა და დაძაბულობისგან თმა აბურძგვნოდა კეფაზე. ნიკომ ჯერ ყრუ ბიძგი იგრძნო, მერე კი წინ წავარდა უეცრად, თითქოს უკნიდან ხელი ჰკრა ვიღაცამ, ვიღაცამ კი არა, ქარმა, როგორც იქ, ნასაყდრალთან, უპატრონო ძაღლივით რომ გააქცია ყაჩაღისკენ. ხოლო, დამუხრუჭებული მანქანა უკანა ბორბლებზე მოცურდა და სანიშნო ბოძების მთელი მწკრივი მოთხარა. ფარების სინათლემ ჩამორეცხილი, ჩამოღარული ფერდობი გაანათა. "შენი დედა... ცოტას მორჩა, ხევში გადაგვყარაო" - შეიგინა მძღოლმა. მანქანა ნელ-ნელა გასწორდა. ფერდობზე ჩამოსრიალებულ სინათლეში შიშველმა, შავად მბზინავმა ტოტებმა გაიელვეს. მძღოლმა ძრავა გამორთო და მანქანიდან გადავიდა. ნიკოც მაშინვე წამოდგა, თუმცა, ჯერ არ იცოდა, რატომ უნდა გადასულიყო ავტობუსიდან, რა უნდოდა, რას აპირებდა. ანდა, შეიძლება, უკვე იცოდა, მაგრამ ჯერ თავს არ უტყდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ავტობუსიდან გადასვლა მის ხელმეორედ დაბადებას ნიშნავდა და, ამდენად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ პირველ ნაბიჯს მთელი მისი დანარჩენი ცხოვრებისთვის.

www.Litklubi.ge

მძღოლი უკანა ბორბალთან მიმდგარიყო და თან წყვდიადში გაუჩინარებულ გზას გაჰყურებდა მხარს ზემოდან, სადაც მკვდარი (ორჯერ მკვდარი) მგელი ეგულებოდა. ნიკოს შესცივდა და მკლავები მოისრისა. გზისპირა ხევიდან წყლის ჩხრიალი ისმოდა. ხევში ჩაგუბებულ სიბნელეს სინესტისა და მტვრის სუნი ასდიოდა. ერთი წუთით ქარიც ჩამდგარიყო, ავტობუსივით გაშეშებულიყო ისიც, თითქოს ისიც სულის მოსათქმელად, გადატანილი მღელვარებისა და დაძაბულობის გასანელებლად. ანდა, თითქოს კიდევ ერთი ბუნების შვილის გაუთვალისწინებელ, მოულოდნელ სიკვდილს გაეშეშებინა და უძრაობით, დუმილით გამოხატავდა თავის წუხილს, სიბრალულს, თანაგრძნობას. ხოლო, ბუნების შვილი გზაზე ეგდო, საკუთარი სისხლის გუბეში ცხვირჩაყოფილი. "წამო, წამომაღებინე, ფული ფულად და, იქნება, გაზეთშიც გამომწერონო" - უთხრა მძღოლმა ნიკოს. ხრინწი გარეოდა ხმაში, მღელვარებისა, სიამაყისა. აშკარად უხაროდა, გამარჯვებული რომ გამოსულიყო ამ მოულოდნელი ნადირობიდან, მაგრამ განცდილს უფრო დაეთრგუნა, ვიდრე დაეკმაყოფილებინა. როგორც ქალთან პირველად ნამყოფი ბიჭი, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, კი არ ამოხსნა მისთვის ესოდენ მიმზიდველი და მტანჯველი საიდუმლო, უარესად გაეხლართა შიგ, რადგან მთელი მისი ცოდნა, რაც ქალთან შეხვედრამდე შეეკოწიწებინა, მხოლოდ ჟინის მოსაკლავად აღმოჩნდა საკმარისი, რამაც, თავის მხრივ, სიცარიელის, უძლურობისა და სინდისის ქენჯნის მსგავსი შეგრძნება გაუჩინა. ღამე კი მშვიდად შფოთავდა, მშობიარე ძროხასავით; უხმაუროდ ხმაურობდა, ჯადოქრის მანქანასავით - უამრავი სიკვდილისა და სიცოცხლის, ბედისა და უბედობის, ტკივილისა და შვების, გამართლებისა და გაწბილების გამომჭედავი თავის ბნელ წიაღში.

- რას გაშტერდი, ვერ გაიგე, რა გითხარი?! - დაუძახა მძღოლმა ნიკოს.

ნიკო პირველად მაშინ დააკვირდა მძღოლს და ელდა ეცა: გოგია შერჩა ხელში. "მეც არა ვთქვი, ვინ არის ეს უჯიგროდ შობილიო" - მწარედ გაეცინა გუნებაში.

- არ გამოვა ეგ ამბავი. - უთხრა ხმამაღლა, აგდებულად.

- რათა?! გეშინია მკვდარი მგლისა?! - გაიღრიჭა გოგია.

- შენ გგონია, მართლა მგელი მოკალი?! - შეუბრუნა კითხვა ნიკომ.

გოგიამ გამოვლილ გზას გახედა უნებურად, გამოვლილ წყვდიადს, სადაც მკვდარი მგელი ეგდო და ელოდებოდა. ერთი წამით მაინც წამოეგო ეჭვის ანკესზე, მაგრამ მალევე დაიხსნა თავი.

- წილში გინდა გაგიყვანო?! - ჰკითხა ნიკოს, უარესად გაღრეჭილმა.

- ფაფუ, შენი ჯილდო, გოგია, ფაფუ, შენი გაზეთი! - სახეში შესცინა ნიკომ.

- ვითომ რატომაო?! - ხმაში აჰყვა გოგია, მაგრამ უკვე შემცბარი, ისევ ეჭვის ანკესზე წამოგებული, ამჯერად უფრო საფუძვლიანად. - რა იყო, რა ფასს იდებ, უცხოს შეაშველებენ ხელსა... - გაიბრძოლა, მტკივნეული, შემაწუხებელი ანკესის მოსაშორებლად. მაგრამ ანკესი კიდევ უფრო ღრმად ჩაესო ხორცში. - მაშ, შენი აზრით, ძაღლი გავიტანე, არა?! - კი არ ჰკითხა, შეევედრა, მომეხმარე ეჭვის გაფანტვაშიო.

- კაცის მკვლელო, გოგიავ! - იყვირა ნიკომ, როგორც იქ, ნასაყდრალთან, ჯაგნარში.

- რა გაბღავლებს, ბიჭო, ბატკნიანი ცხვარივითა - ნაძალადევად გაიხუმრა შემცბარმა გოგიამ, დაცინვით დაუყვავა, ვითომ, როგორც უფროსმა უმცროსს.

- კაცის მკვლელო! - ისევ იყვირა ნიკომ და ნიკაპი აუცახცახდა, ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და, როგორც იქნა, მაინც ამოღერღა სათქმელი, სძლია ამ თანდაყოლილ სისუსტესაც - მკვდარ კაცს თითიდან ბეჭედი წააძრე, ერთხელ გატანილი მგელი კი მეორეჯერ გაიტანე...

- შენ, ძმაო, შარზე ხარ, ვიღაცა ხარ. - უარესად აიფხორა გოგია. - ბათუმი-მათუმი არ ვიცი მე, ერთი თუ ავაფრინე.

მაგრამ ნიკოს სრულებითაც აღარ ეშინოდა იმისი, ზიზღნარევი სიბრალულის გრძნობა გასჩენოდა უცებ ამ ბნელი, ხარბი, დაუნდობელი არსების მიმართ, ეცოდებოდა, როგორც ცეცხლში ჩავარდნილი გველი შეეცოდებოდა, ანდა, დასნეულებული და სამზეოზე თავისი ნებით ამოსული ვირთხა.

- სიწა-სიდი-სიშე-სიძღნე-სირო - უთხრა, რაც შეეძლო მშვიდად, გარკვევით, მაგრამ გოგიამ მაინც ვერაფერი გაიგო:

www.Litklubi.ge

- რაო?! - დაყვლიპა თვალები.

- წადი, შე ძღნერო-მეთქი - უთარგმნა ნიკომ, ისევ მშვიდად, ისევ გარკვევით, როგორც მასწავლებელმა მოწაფეს, და ისეთი შვება იგრძნო უცებ, თითქოს ყელში გაჩხერილი ძვალი ამოეღო, ბოლოს და ბოლოს.

- ე-ეეე?! - უარესად გაშტერდა, გაცეცხლდა გოგია.

- ნაბიჭვარო! - მიახარასავით მაშინვე ნიკომ, კიდევ უფრო თამამად, კიდევ უფრო მეტი ხალისით, ჯერ განუცდელი, ენით უთქმელი, ზღაპრული, სიზმრისეული შვებითა და სიხარულით ყელამდე სავსემ. რაც მთავარია, მთელი არსებით გრძნობდა, ღირსი რომ იყო ამ შვებისა და სიხარულისა. უჩვეულოდ თამამი, უჩვეულოდ თავისუფალი, რადაცნაირი, განურჩეველი მიმტევებლობით შესცქეროდა უმწეო სიბრაზისგან უარესად გასაცოდავებულ გოგიას.

გოგია კი, ვითომ გამალებული იკრავდა შარვლის ერთხელ უკვე შეკრულ ღილებს და თან მართლა გამალებული ფიქრობდა ალბათ, როგორ მოქცეულიყო, როგორ გადარჩენოდა შერცხვენას, როგორ მოესპო ეს მოულოდნელი, ყოვლად გაუთვალისწინებელი დაბრკოლება თითქმის უკვე განაღდებულ ჯილდოსკენ მიმავალ გზაზე. დამცინავი, ღვარძლიანი ღიმილი პირზე შეჰყინვოდა, აწრიალებული, აფორიაქებული თვალები შუბლზე ესხდა და ყველაფერი ერჩივნა ამ ნიკაპდაჭმუჭნულსა და ტუჩებაცახცახებულ ბიჭთან ლაპარაკს.

- ადი, დაჯე, სიღნაღში გასწავლი, როგორ უნდა ჩემთან ლაპარაკი - უთხრა ბოლოს, მკაცრი, საქმიანი მიმტევებლობით, როგორც უფროსმა უმცროსს.

www.Litklubi.ge

ნიკოს აღარც ახსოვდა ავტობუსი, უნებურად, იქითკენ გაიხედა და გაოცებისგან პირი დააღო. როგორ გგონიათ, ვინ ისხდნენ ავტობუსში?! ვინა და, ვინცა ჰყავს თავისიანი, ახლობელი, ვისაც იცნობს საერთოდ, ვისაც სიხარული ან ტკივილი მიუნიჭებია მისთვის როდისმე. ყველანი იქ ისხდნენ: დედაც და მამაც, ბებიაც და პაპაც, დეიდაც და მამიდაც (თავის დადა-დოდო-ტატუ-ნია-მია-ნატულიანად), მარგალიტაც და ძია სანდროც (თავის ფიდო-ნოე-აბეიანად), ლეიტენანტიცა და ლამარაც, იოსებაცა და გიჟკოლაც (თავის ბარიანად), ექიმიცა და ვანო მასწავლებელიც, უფარაანთ გიორგი (თავის მეუღლიანად) და მღვდელიც (თავის ქალიშვილიანად), გიგო პაპაც და ანიკო ძალოც, ევგენია დუგლაძეც, ქეთო მასწავლებელიც, კოტე მასწავლებელიც, ნესვაც, გრძელოც, არამინდარაც, ვალო ბადალაშვილიც და, რასაკვირველია, ელენიცაც - ოღონდ, თითქოს ცვილისაგან ჩამოესხათ ყველანი, უაზროდ, უშუქოდ, უინტერესოდ იყურებოდნენ ნიკოსკენ, როგორც არაფრისკენ, სიცარიელისკენ. ეგ იყო, რომ ხანდახან, ბებიის ხმა ჩაესმოდა, ფრთხილი, გაუბედავი - ნიკო, ნიკო, გამოფხიზლდი, ექიმი უნდა მოვიდესო. ეტყობა, ეს ხმაც აღიზიანებდა და იმანაც ძალიან იმოქმედა, არაფრად რომ არ აგდებდნენ, მეორედ შობილს, თავისიანები, რადგან ფიქრშიაც არ გაუვლია იქამდე, რაც მაშინ, მისდაუნებურად წამოსცდა: ყველანი დამნაშავეები ხართო - დაუყვირა ავტობუსს და მერე თვითონაც აღარ იცოდა, რას სჩადიოდა. ბებია ახლა მთელი ხმით დაჰყვიროდა, გამოფხიზლდი, გეხვეწებიო, თვითონ, კი გაშმაგებული სცემდა წიხლებით ავტობუსის უზარმაზარ ბორბალს. "აი, თქვენი პრემია, აი, თქვენი გაზეთი, აი, თქვენი ჯილდოო" - გაჰკიოდა შეშლილივით და ჰაერით გაბერილსა და ქვასავით გამკვრივებულ სიცარიელეზე ინაყავდა მთელი ძალით, მთელი სიშმაგით, მთელი სიბრმავით მოქნეულ ფეხს. მაგრამ საბოლოოდ რომ გამოფხიზლდა, აღარც ავტობუსი იყო, აღარც გოგია - საკუთარ ლოგინში იწვა, ბნელ ოთახში და იმდენად იყო გაბედნიერებული, გულაჩუყებული თავისი პირველი "გმირობით" (რა თქმა უნდა, ბრჭყალებში), ძალიანაც რომ მოენდომებინა, მაინც ვერარ იფიქრებდა სიკვდილზე. პირველად დაეძლია შიში (თუნდაც ოცნებაში, ფიქრში, ზმანებაში), რასაც კი არ გაეყოყოჩებინა, სიამაყის გრძნობით აევსო; კი არ გაემკაცრებინა, პირიქით, კიდევ უფრო დამთმობი, კიდევ უფრო გულისხმიერი გაეხადა იგი და, პირველ რიგში, თავისიანების მიმართ, რომლებსაც, ამ რამდენიმე წუთის წინ, უკიდურესი სისასტიკით გაუსწორდა, თუნდაც, ავტობუსის ბორბლის მეშვეობით, მაგრამ, ახლა უკვე მართლა იცოდა დაძლეული შიშის ფასი და უკვე ისიც იცოდა, თუ რატომ გაუხარდა ამ ათი წლის წინ დედას მისი მომავალი "დიდი კაცობა", თუნდაც ფულის გულისთვის, თუნდაც ხელობადქცეული სიკეთის გამო აღთქმული ძუძუმოშიშვლებული ბოშა ქალისგან. ავტობუსის ბორბლის ცემა, რასაკვირველია, დიდკაცობად არ ჩაითვლებოდა (მით უფრო ოცნებაში, ფიქრში, ზმანებაში), მაგრამ უფრო ძნელი დასაჯერებელია, "დიდკაცობაში" გაქცევა, გალაჩრება, ავტობუსის ბორბლის ქვეშ ჩავარდნა ეგულისხმა თუნდაც იმ ძუძუმოშიშვლებულ ბოშა ქალს, ნებისმიერ ბავშვს რომ უწინასწარმეტყველებდა იმავეს მანეთად, დაუფიქრებლად შემოსვამდა დიდების კვარცხლბეკზე; მით უფრო - დედას, რომელმაც სამი წლის უნახავ შვილს ცხვირპირიდან სისხლი ადინა, მხოლოდ იმიტომ, იმ სამი წლის განმავლობაში, დედ-მამას მოწყვეტილი, გზას ამცდარი მისი შვილი, თურმე, სწავლაშიც მოიკოჭლებდა და ყოფაქცევაშიც; და, თავისთავად ცხადია, მით უფრო - მამას, რომელმაც, რაკი სხვა არაფერი ებადა, საავადმყოფოს ცივი კატლეტი გაატანა საგზლად ცხოვრების გზაზე პირველად გასულ შვილს. იგივე ითქმის ბებიასა და პაპაზეც (სხვათა შორის - დეიდაზეც), რადგან არც ისინი იდგამდნენ წელებზე ფეხს იმიტომ, ნიკოს მთელი სიცოცხლე კუკუმალაობა რომ ეთამაშა გოგიასთან.

www.Litklubi.ge

აი, როგორი ფიქრები უტრიალებდა უკვე ნიკოს თავში, მაგრამ ერთ წუთას რომ უხაროდა, მეორე წუთას თავზარს სცემდა საკუთარი სიმკაცრე, დაუნდობლობა, უგულობა, უმადურობა და მთელი არსებით, მთელი შეგნებით, ისევ ბავშვობაში შებრუნებას ცდილობდა, ვითომ უკვე სამუდამოდ დავიწყებულ ბავშვობაში, საიდანაც შემთხვევით, მოულოდნელად, გაუთვალისწინებლად და ნაადრევად ამოვარდნილიყო ადამიანური სისასტიკის, ადამიანური უმეცრების, ადამიანური უმწეობისა და ადამიანური შიშის წყალობით. ბავშვობისკენ მიისწრაფოდა, რადგან უკვე ნამდვილად აღარ იყო ბავშვი და ყველაფერი იმდროინდელი, ანუ, უკვე განცდილი, მართლაც რომ ბავშვურად პატარა და უმნიშვნელო მოჩანდა ამჟამინდელთან, ჯერ განსაცდელთან, ჯერ გადასატანთან შედარებით, რის გამოც, ნებისმიერი, უკვე გადატანილი სიმწარე ახლა ტკბილად მოსაგონარი გამხდარიყო მისთვის. ამიტომაც მიისწრაფოდა ბავშვობისკენ. უფრო სწორად, ბავშვობაში გადატანილი ყველაზე მწარე ტკივილისკენ. მიისწრაფოდა, როგორც ბრმა ლეკვი - დედის ძუძუსკენ, დედის სუნით აღგზნებული, მაგრამ უმწეო იმ ძუძუს მისაგნებად. "ჭიტაო" - ხან საიდან ჩაესმოდა დედის ხმა და ხან საიდან, როგორც ოდესღაც, უკეთეს დროს, ბათუმის ბაღში, ხმელი ფოთლების გვირგვინით თავდამშვენებულს. ახლა ხომ გაიგე, რა ყოფილა სიყვარულიო - ეძახდა დედა. ის კი, ნადირის სულსწრაფობით, ნადირის სიშმაგით გარბოდა ბავშვობისკენ, ბავშვობის თოვლში... ბავშვობის ხვავრიელი, სველი თოვლით გადათეთრებულიყო ირგვლივ ყველაფერი. ის კი, ვითომ, პურის მაღაზიის წინ იყო ატუზული და ელოდებოდა, იქნებ, ვინმემ, ღვთისნიერმა, გამომიჩინოს დაკარგული პურის წიგნაკებიო. ისევ მისთვის ყველაზე საზარელ, მაგრამ უკვე გატკბილებულ განცდებში გადავარდნილს, ბათუმური, წყლით გაბერილი ფიფქები ჩასდიოდა კისერში. იდგა და ურნას შესცქეროდა. ურნის კიდეზე კი პაპიროსის სველი, გატყლაპნილი ნამწვავი ბოლავდა, გამომწვევად, მაცდურად, მაგრამ იმას ვერც იმ ნამწვის აღება გაებედა - შიშის, უბედურების მძაფრი, შემარყეველი შეგრძნებით გაოგნებულს, არც განძრევა შეეძლო, არც ხმის ამოღება. ასე უნდა მდგარიყო, ურნასავით, ისიც ნაფურთხითა და ნამწვით უნდა დაემარხათ გამვლელებს, რადგან პურის წიგნაკები დაკარგა და სიკვდილის განაჩენი გამოუტანა თავისიანებს. ასე უნდა მდგარიყო და ეკანკალა, იმის ნებაც არ უნდა მიეცა თავისთვის, მაღაზიაში შეერბინა ერთი წამით, თოვლი მაინც ჩამოებერტყა, ხელებზე მაინც დაეორთქლა. გაუნძრევლად უნდა მდგარიყო, როგორც საპურჭყებელს, სანაგვეს შეეფერება, უფრო ადვილად რომ მოახვედრონ მიზანში ფურთხიცა და ნამწვიც. ასე უნდა მდგარიყო, ვიდრე მთლად არ გაეპარებოდა გათოშილი, აწკავწკავებული სული, ვიდრე აღარ შეეძლებოდა სახლის, ხის, გამვლელის გარჩევა. აი, იმ ახრჩოლებული, სხვისი ნერწყვით დამბალი ნამწვის აღება მაინც რომ შესძლებოდა, იქნება... მაგრამ არა, არც ეს შეიძლებოდა. მიტევება, შეღავათი, დათმობა არ არსებობდა იმისთვის. თუ არ შეიგნებდა, თუ არ მოინანიებდა, თუ თვითონვე არ გამოუტანდა საკუთარ თავს ყველაზე მკაცრ განაჩენს (აკი, გამოუტანა!), მიწაც არ მიიღებდა იმის გვამს, მკვდარი თაგვივით ეგდებოდა მაღაზიის კედელთან, თოვლ-ჭყაპით გაბერილი. მაგრამ, ნუთუ მართლა ასეთი მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინა?! იქნებ, პურის წიგნაკები კი არ დაკარგა, მოპარეს?! მაინც არ შეიძლება იმის გამართლება?! არ შეიძლება. არ შეიძლება, რადგან დედამ, პურის წიგნაკები რომ ჩააბარა, რაკი თავად მომაკვდავ ქმარს ადგა თავზე საავადმყოფოში, დილიდან შუაღამემდე, თუ დილიდან დილამდე არა, თან ისიც უთხრა: აბა. ახლა შენ იცი, ჩემო დიდო კაცოო. ჩვენი სული შენს ხელშიაო. თოვლი კი განუწყვეტლივ ედება დაბეჩავებულ სხეულზე, უარესად უქინძრავს კისერს, უარესად ექაჩება მიწისკენ. ახლა, გინდაც მისცეს თავს ნება, მაინც ვედარ შევა მაღაზიაში, გასათბობად. ფეხებს საერთოდ დაავიწყდა, რას ჰქვია ნაბიჯი, სიარული... თანაც, მაღაზია უკვე დაკეტილია ალბათ. ქუჩა უარესად ჩამობურულა. მოპირდაპირე სახლის კედელი საბოლოოდ გაითქვიფა თოვლსა და ბურუსში. აღარც გამვლელი ჩანს. მარტოა. მხოლოდ პაპიროსის ნამწვი ბოლავს ურნის კიდეზე და მხოლოდ ის ადასტურებს, კიდევ ვიღაცა რომ არის, ანდა, კიდევ ვიღაცა რომ იყო ამ მკვდარ, თოვლში ჩამარხულ ქალაქში. არ გამართლდა ბავშვური გულუბრყვილობით, ბავშვური პატიოსნებით შეკოწიწებული იმედი - არავინ

www.Litklubi.ge

გამოუჩინა პურის წიგნაკები. არავის შეეცოდა. არავინ ჰკითხა: რას უდგახარ აქაო. არც ახლა კითხულობს ვინმე იმის ამბავს. ღირსი არ არის და იმიტომ, დიდი კაცი კი არა, პაპიროსის ნამწვია. თანაც, ის კი არა, ჯერ კიდევ რომ ბოლავს ურნის კიდეზე, არამედ, ჩამქრალი, გასრესილი, ტალახსა და ნერწყვში გადაზელილი. მაგრამ მართლა არავინ კითხულობს იმის ამბავს?! მართლა არავინ შეწუხდა, სად არის აქამდეო?! მიუხედავად ამ დიდი დანაშაულისა, მართლა არავის ეცოდება?! მართლა განუდგა ქალაქი?! არ შეიძლება. არ შეიძლება! არ შეიძლება!!! მაშინ, საერთოდ რა საჭიროა პური? მაშინ, არც ის არის სიცოცხლის ღირსი, ვისაც პურის წიგნაკები არ დაუკარგავს დღეს. თუკი შიმშილი ყველაზე ძლიერი გრძნობაა, თუკი შიმშილს შეუძლია ყველაფერი დაგავიწყოს, მაშინ გულდასაწყვეტიც არაფერია. მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ არის. ხსნაც არსებობს და მიტევებაც. ამით არის სწორედ, ეს მტანჯველი, საზარელი განცდები ესოდენ ძვირფასი და დაუვიწყარი ნიკოსთვის. იცის, რითი მთავრდება, რადგან ბევრჯერ აქვს გადატანილი... და აი, ისიც - მხსნელი და მიმტევებელი! თანდათანობით გამოდის ბურუსიდან. მხრებით მოარღვევს ბურუსს. უპალტოოდ, უბოტებოდ... თავზე პატარა შალმოხვეული. ვერც ის გრძნობს სისველესა და სიცივეს, არც იმას ეშინია ცარიელი, ჩაბნელებული, ჩამკვდარი ქალაქისა, რადგან საავადმყოფოდან დაბრუნებულს, შვილი არ დაუხვდა შინ. ვიდრე იმას არ იპოვის, ვიდრე იმას არ გაათბობს, ვიდრე იმას არ დაამშვიდებს, ამ პატარა ქალაქს კი არა, მთელ დედამიწას მოივლის ასე, უპალტოოდ, უბოტებოდ, თავზე პატარა შალმოხვეული... "ჩემო დიდო კაცო, ჩემო დიდო კაცოო" - ეხვევა, კოცნის, ფერთხავს შვილს. შვილი კი, ნაპირზე ამოგდებული თევზივით, ტყუილუბრალოდ აბჩენს პირს, მაინც არ ამოსდის ხმა, მაინც ვერ უთქვამს, მარტო ამ წამის განსაცდელად რომ ღირდა პურის წიგნაკების დაკარგვა, შიმშილი. შიმშილით სიკვდილი. დედა ეხვევა, კოცნის, სულს უბერავს გათოშილ ტუჩებში, ძალით ახელინებს თვალს, ცდილობს, ხელში აიყვანოს, როგორმე ააწყვიტოს მიწას, დააბრუნოს მიწაზე, მაგრამ შვილი ხელიდან უსხლტება, თევზით სავსე ბადესავით, ანდა, ურნასავით, თითქოს გადასარჩენად კი არა აქვს საქმე, დედას ეთამაშება ძილის წინ. ასეა თუ ისე, საგანგაშო აღარაფერია, დედა იმასთანაა, ერთადერთი იმედი, რომელიც არ წბილდება, ერთადერთი ხსნა, რომელიც ნამდვილად არსებობს. ერთხელ კი არა, ერთხელ და სამუდამოდ გადამრჩენელი, ყველაფრის მიმტევებელი (გარდა უვიცობისა და უზნეობისა).

www.Litklubi.ge

მერე პირქვე იწვა საკუთარ საწოლში (ოღონდ. ახლა უკვე სიღნაღში), იღლიებამდე პერანგაჩაჩული, ძმრისა და სპირტის სუნით გაჟღენთილი, და ცალი თვალით ხედავდა სკამზე დაწყობილ სამკურნალო ქილებს, ვიღაცის ხელში აპარპარებულ ჩირაღდანს და ქარში აწრიალებულ, ჩაშავებულ, ჩამუქებულ კვიპაროსს, მისკენ რომ იხრებოდა თანდათან და ბებიის სახეს იღებდა. "დედა სად არისო" - გულწრფელად გაუკვირდა ნიკოს. "არ გაინძრე, ეს ბოლიაო" - უთხრა ბებიამ, ქილას ალი გამოავლო და ზურგზე დააწება. ნიკო უნებურად დაიძაბა. ქილამ, ცეცხლზე გამთბარი ტუჩებით, ნიკოს ხორცი მტკივნეულად შეიწოვა და ამ უცნაური კოცნით აფორიაქებულს, რატომღაც, გული აუჩუყდა, ცრემლი მოაწვა ყელში. "ჩქარა ქენი, დამეწვა თითებიო" - თქვა დეიდამ და გაიცინა. ნიკოს ესეც ესიამოვნა, რაღაცნაირად დამშვიდდა - აი, ცუდი სიზმრიდან რომ გამოფხიზლდებით და თურმე შინა ხართ, თქვენს ლოგინში. ბებია კი სათითაოდ იღებდა ქილებს სკამიდან და ყოველი ქილის დაკვრის წინ ერთნაირად ამბობდა: არ გაინძრე, ბოლიაო. "ნუ გააწვალეთ ბიჭი, ხალხნო. ცოდოაო" - თქვა მარგალიტამ და იმისმა მოჟღურტულე, თითქოს ცეცხლზე გამთბარმა ხმამ ხომ სულ მთლად ამოუტრიალა ნიკოს გულ-მუცელი. ლამის შაქარივით ჩადნა ოფლიან ლოგინში. "როცა მოვრჩები, თუ მოვრჩებიო..." - დაიწყო და მაშინვე დაავიწყდა, რის თქმას აპირებდა. მარგალიტამ გაიცინა, თითქოს მარტო იმან გაიგო მისი აბდაუბდა. დეიდას ლურჯად აპარპარებული ჩირაღდანი ეჭირა ხელში და განგებ ათრთოლებული ხმით იძახდა: სანთელი, ჩემი სული სანთელიო. ნიკომ თვალები დახუჭა და თეატრის ჩაბნელებული დარბაზის ლურჯად მობიბინე სიგრილემ სასიამოვნოდ მოუთათუნა სახეზე. სადღაც ზარბაზანმა დაიქუხა. ფოსტის თავზე საზენიტო ტყვიამფრქვევი აკაკანდა. აქ კი არა, ბათუმში. ჭურვის ნამტვრევმა კრამიტი ჩალეწა. ნიკო უნებურად დედას მიეტმასნა. "ხო. აქა ვარ. რისი გეშინია, სულელო" - ჩასჩურჩულა დედამ. დაუკარიო - შეეხვეწა ნიკო, ყელაწეული. დედამ ერთი კი გამოხედა გაკვირვებულმა, და შიმშილობის გამო გაყიდული პიანინოსკენ წავიდა. უფრო სწორად, იმ ადგილისკენ, სადაც პიანინო იდგა გაყიდვამდე. იატაკს ჯერ კიდევ მკვეთრად ეტყობოდა პიანინოს გორგოლაჭებით დამჩნეული ღარები (ახლა სადღაა ამისთანა ინსტრუმენტიო - თქვა პიანინოს ამწყობმა. პიანინო კი არა, ინსტრუმენტიო, და ნიკოს, რატომღაც, გული გაებერა სიამაყისგან, თუმცა, ის ინსტრუმენტი იმათ აღარ ეკუთვნოდათ, უკვე გაყიდული იყო და სწორედ მყიდველს ჰყავდა მოყვანილი პიანინოს ამწყობი). ღია სარკმელში ფორთოხლის მწვანე რტოებმა გაიელვეს. "მოგხსნა თუ კიდევ გაუძლებო" - უთხრა ბებიამ ნიკოს. "ჯერ იყოს, დედი, რა გეჩქარებაო" - თქვა დეიდამ. მარგალიტამ გაიცინა, თბილი, მოჟღურტულე ხმით. კედელზე ზურგით აკრულმა ელენიცამ ცას გაუღიმა და თქვა: სწორედ ახლა გავიფიქრე, მოვიხედავ და ნიკოს დავინახავო. არადა, არასოდეს უთქვამს მსგავსი რამე; წესიერად არც დალაპარაკებიან ერთმანეთს. "ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს. ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს" - იძახდა დეიდა. "კარგი რა, გოგო. გასკდა თავიო" - ბუზღუნებდა ბებია. "ტყუილია-მეთქი, ტყუილია!" - შემაძრწუნებლად დაიყვირა დეიდამ. ნიკომ თვალი გაახილა და ოთხი ბრმა დაინახა - გვერდში ამოსდგომოდნენ ერთმანეთს და ერთნაირად მომღიმარნი, ერთნაირად ახამხამებდნენ ქუთუთოებს. თითქოს ნიკოს სანახავად კი არ მოსულიყვნენ (როგორ უნდა დაენახათ ბრმებს?!), ნიკოს რომ არ დანახვებოდნენ, უფრო რომ გაეადვილებინათ ნიკოსთვის ცხადში დაბრუნება: აი, ჩვენც აქა ვართ. ესე იგი, ქვეყანაც თავის ადგილზეა და საგანგაშო არაფერია. "მპაო" - დაიძახა ამ დროს ქილამ და სასიამოვნოდ მოსწყდა ნიკოს ზურგს. "ახლა თუ ნიავმა დაჰკრა, უარესიაო" - დაიჟღურტულა მარგალიტამ. "არა უშავს. გაუძლებს, მაგარიაო" - თქვა ძია სანდრომ. დანარჩენმა ბრმებმა კიდევ უფრო გაიღიმეს, სახეებზე შუქი მოემატათ. "მპა", "მპა" და კიდევ "მპა" - ზედიზედ სწყდებიან ნიკოს ხორცში ჩამკვდარი ქილები. წითელი, შუაში თეთრად ამობურცული წრეები აჩნდება ზურგზე. კი არ ხედავს, გრძნობს, იცის, ასე უნდა იყოს. რომელიღაც მამიდაშვილის ზურგზე უნახავს ადრე, ბათუმში. სკამზე ახლა, სამკურნალო ქილების ნაცვლად, მაწვნის ქილები აწყვია - თეთრი, გრილი. დასვრეტილი, ჩაყვითლებული ნაღებით თავმობმული. მაგრამ მაწვნის შეჭმა კი არ უნდა, მაწვნის ქილის შეტყუებას ცდილობს საბნის ქვეშ. ქილის ჩახუტება უნდა. ცხელა. იწვის. წაიღებს ხელს ქილებისკენ, სკამი,

ქილებიანად, უკან გაჩოჩდება, გაერიდება. წამოიღებს ხელს უკან და სკამიც, ქილების წკრიალით, წამოყვება. "მოუსვენარო, მოუსვენარო" - ყასიდად ტუქსავს ბებია. "ჩვენია, გადარჩა, რაკი თამაშობის გუნებაზეაო" - ამბობს ძია სანდრო. "ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს. ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს" - იძახის დეიდა. მარგალიტა იცინის. ბრმები ისევ ისე იღიმებიან. ისევ ისე ერთნაირად ახამხამებენ ქუთუთოებს, თითქოს გაწვრთნილი პეპლები უზით თვალებზე, თვითონ ვერაფერს ხედავენ, მაგრამ სხვას რომ შეუძლია მათი დანახვა, ესეც დიდი ამბავია. "ერთ კვირაში კვიცივით ირბენსო" - ამბობს იოსება და იმავე წამს მთელ სახლს ეფინება იმისი სუნი: მხურვალე, ამაფორიაქებელი, ბუნდოვანი - თავლის სუნი, სიცოცხლის სუნი...

www.Litklubi.ge

ეს კი ნამდვილად პაპაა - ღვინოზე ლაპარაკობს: ღვინო მოუხდებოდა ამ ლობიოსა და წნილსაო. რადა თქმა უნდა, პაპაა. მადლობა ღმერთს! ჩხირი კედელს! გაუბედავს, ბოლოს და ბოლოს, შვილიშვილის მონახულება. ეშინია ავადმყოფობისა. ავადმყოფებისაც. პატარაობისას, დედა და დეიდა ავად რომ გახდებოდნენ, ოთახში ვერ შემოდიოდა თურმე, კართან იჯდა და ტიროდა. მშიშარაა, მაგრამ თავისიანებისთვის ცეცხლში ჩადგება, თოკით დაეკიდება, არაფერზე დაიხევს უკან - იცის, არ იცის, ეხერხება, არ ეხერხება - თუ საჭირო, გააკეთებს, მოკვდება და შეუძლებელს შეძლებს. მაგრამ რად გინდათ, რაც სხვას გმირობად ჩაეთვლებოდა, იმას მაინც მშიშრობად ეთვლება. "შიშმა შეგაძლებინაო" - ეტყვის ხოლმე ბებია და არც ის უძალიანდება, არც ის დებს თავს გმირობაზე - ეგრე იყოს, რა გაეწყობაო - იცინის დაღლილი, გაოფლილი და, რაც მთავარია, მშვიდობით დაბრუნებული შინ. ერთხელ, ნიკომ და პაპამისმა, მეზობლის ვირით, ხორბალი წაიღეს წისქვილში დასაფქვავად. შუაღამისას დაბრუნდნენ იქიდან, გათოშილები, ცოცხალმკვდრები. ბინძური, ეკლიანი ქარი ქროდა ხევში, ქარი კი არა, ქარიშხალი. ნიკოს არ ეგონა, თუ არ გაიგუდებოდა. პაპასაც სციოდა, მობუზული მოდიოდა, გვერდულად, პალტოს საყელოში ჩამძვრალი. ცინგლის წვეთი ეკიდა ცხვირზე. მოიხოცავდა, ისევ დაეკიდებოდა, მოიხოცავდა, ისევ - საცირკო ნომერი იყო თითქოს, მაგრამ ვის ჰქონდა სიცილის თავი. მოუხერხებლად მოდენიდა ვირს. არ იყო იმის საქმე, მაგრამ რას იზამდა, მისიანებს შიოდათ. მოდენიდა ვირს და სულ მამაზე ელაპარაკებოდა ნიკოს. ხევში ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ვირის ფეხის ხმას მიყვებოდნენ, ასე მიიკვლევდნენ გზას, გზა თუ ეთქმოდა. წყალდაწყალ მიტოპავდნენ. ფეხები მუხლებამდე სველი ჰქონდა ნიკოს. ალბათ პაპასაც. ქარი ყინულად ქცეულ ღორღსა და მიწას აყრიდათ სახეში. ნიკო ძლივს იკავებდა თავს, ძაღლივით რომ არ აყმუვლებულიყო სიმწრისაგან. პაპა კი მამაზე ელაპარაკებოდა: კარგი კაცია მამაშენიო, არ გაუმართლა, ავადმყოფობამ დაჩაგრა, თორემ კიდევ უფრო შორს წავიდოდაო. თავისებურად, შენიღბულად არიგებდა ჭკუას შვილიშვილს, ვითომ, კარგი მამის შვილი რომ ხარ, თავი არ უნდა შეირცხვინოო (მაშინ ნიკო ახალი დაბრუნებული იყო ყაჩაღობიდან, მთელი სიღნაღი იმაზე ლაპარაკობდა), ჩემი თუ რამე არ მოგწონს, ეგ სრულებითაც არ გაძლევს ნებას, შენც ცუდი იყო, რადგან მაგალითი, ჩემგან კი არა, მამაშენისგან უნდა აიღოო. ქარიშხალი კი ღმუოდა, სახეში აყრიდათ ღორღსა და მიწას. ნიკო მუხლებს ქვემოთ ვერ გრძნობდა ფეხებს. თითქოს სისულელე იყო ამ მეორედმოსვლაში წესიერებაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც გულისყურით უსმენდა, რაღაცნაირად სიამოვნებდა, ათბობდა კიდეც პაპის ხმა და ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა ქარიშხლის ღრიალში. თითქოს პაპა ჭკუას კი არ არიგებდა, თავის გასაჭირს შესჩიოდა. უნდოდა კიდევ მეტი და მეტი ეთქვა პაპას, თუმცა ვერც დრო შეერჩიათ შესაფერი და ვერც ადგილი ამგვარი გულითადი ლაპარაკისთვის.

- აფსუს, ჩემი მეღვინეთუხუცესი, - ამბობს პაპა. - ფეხზე რომ იყოს, ხომ უცებ მოარბენინებდა... რა უნდა, აქვე არ არის?! - იქეზებს თავს.

- აქვეა და წადი. ბოთლი გარეცხილი დგას განჯინაში. - პასუხობს ბებია.

- წავალ კიდეც. - ამბობს პაპა, თითქოს ვინმეს ჯიბრით, თითქოს ვინმე შეეცილება, ან ცოლი, ან შვილი. ანდა, თითქოს თვითონ ეტყვის ან ერთსა და ან მეორეს, კვარტიანი დაიჭირე და სარდაფიდან ღვინო მომართვიო. ნიკო სხვაა. ნიკო ბიჭია - ყველაფერი უნდა იცოდეს, ყველაფერს უნდა მიეჩვიოს თავიდანვე. თავიდანვე კი არა, დროზე ადრე. რადგან დროზე ადრე დააკაცა ცხოვრებამ. ამიტომაც ეძახის მარტის მამალს, ნაადრევას. თან, არ ეწყინოსო, თავგამოდებული იფიცება, მარტის მამალი ჩვეულებრივზე მკვირცხლიცაა და ყოჩაღიცო. მაგრამ ასეა თუ ისე, უმალ საერთოდ გადაეჩვევა ღვინოს, ქალს კი არ გაუშვებს ღვინოზე. სხვები რომ უშვებენ, ისიც ვერ მოუნელებია, იმასაც განიცდის; აფორიაქებული, გაგულისებული მობრუნდება ხოლმე იქიდან, სარდაფიდან. გესმით?! არა, მე თქვენ გეკითხებით, გესმით, რა ხდება?! ქალი ღვინის სარდაფში დგას და იმ ყვინტლიან მიკიტანს ეღრიჭება, ჩემმა ქმარმა შემოგითვალა, პატარიდან ჩამოუსხიო. ფუი, ახლანდელ ქალებს. "კაცებსაც" - ცეცხლს შეუნთებს ხოლმე ბებია. პირველ რიგში კაცებსო - ეთანხმება პაპა. - იმისი ქმარი დილიდანვე ილბობს გულს, ეს ბელადისაო, ეს გამარჯვებისაო, ეს შინმოუსვლელთაო... ცხოვრება კი მიდის, მიდის, ხალხნო!

www.Litklubi.ge

- მომაწოდე, ერთი ეგ კვარტიანი. - ეძახის ბებიას, საკუთარი ნალაპარაკევით აღგზნებული.
- რა მოწოდება გინდა, განჯინაში დგას-მეთქი. არ მცალია. - პასუხობს ბებია.
- იიიი-ჰ, ხელით შესანახებო. - ბუზღუნებს პაპა.

www.Litklubi.ge

განჯინაში ცარიელი ბოთლები წკრიალებენ. ღუმელს ბუბუნი გაუდის. ესეც პაპის დამსახურებაა - უყვარს ღუმელის გახურება. უმატებს და უმატებს შეშას. დალოცვილო, შეშა თუ არ დაიწვა, სულ იქნება, ჩვენ კი სულ ვერ ვიქნებით. ღუმელის ქვეშ ვიღაცის წინდები შრება, შეშაზე გადაფენილი. ნიკოსი ნამდვილად არ არის. რამდენი ხანია, წინდა არ დასჭირვებია. ამოდენა ძილი უარესად არ დაასუსტებსო - ვიღაცას ეკითხება განჯინაში თავშერგული პაპა. განჯინა ხმას აყრუებს, აბოხებს: ბამოდენა ბილი ბუარესად ბარ ბაასუსტებს?! ვიდრე პაპა პალტოს იცვამს, კვარტიანი მაგიდაზე დგას და მშვიდად ელოდება. წესიერი, დამჯერი შვილიშვილივით. ტაში მიჰყავს პაპას და უხარია, მაგრამ მოთმინებაც ყოფნის, მშვიდად იდგეს ერთ ადგილას, არ იცქმუტოს ცხენივით. ბავშვი რომ იყოს, იტყოდით, ბოთლივით მშვიდად დგასო. და აი, უკვე ქუჩაში არიან ორივენი, ბოთლიცა და პაპაც. პაპა ორი თითით მიაკონწიალებს კვარტიანს. თითქოს შინიდან კი არ მოაქვს, ქუჩაში უპოვია და თავად არაფრად სჭირდება, უბრალოდ, იპოვა და აიღო, ქუჩაში რომ არ გდებულიყო, ვინმეს ფეხი არ წამოეკრა. თანაც, მშვენიერი ბოთლია. რატომ უნდა დაიკარგოს? მართლა ქუჩაში ხომ არ ყრია ამისთანა ბოთლები? პაპაზე ხნიერიცაა მგონი. პაპას ქუჩის რცხვენია. თორემ ასე კი არ წააპროწიალებდა ამ ბოთლს, მართლა შვილიშვილივით ჩაიხუტებდა გულში. შეიძლება, ეშინია კიდეც, არ წამართვას ვინმემო და იმიტომაც მიაპროწიალებს ასე, აგდებულად, ვითომ, რა წასართმევია ცარიელი ბოთლიო, ვითომ, თუკი ვინმე წამართმევს და გამათავისუფლებს ამისგან, მადლსაც იზამსო. მიდის. მიისწრაფის ღვინის სარდაფისკენ - დღეს კარგი დღე აქვს, საზეიმო - დიდი ხანია, შინ არ ყოფილა, არ უსადილია ადამიანურად. უღვინო სადილი კი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, სადილი არ არის. რაც მთავარია, შვილიშვილს საშიში არაფერი სჭირს. ვიდრე შინ მივიდოდა, ჯერ ექიმთან შეიარა, იმას მიადგა პირდაპირ წნორიდან, კალათიანად; ის კალათი მარგალიტამ მოიტანა მერე, ექიმს გამოეტანებინა, დარჩაო. მაგრამ პაპას კალათი კი არ დარჩენია, დაუტოვებია, შერცხვენია, რატომღაც, უკანვე წამოღება, ვერ უთქვამს სიყრმის მეგობრისთვის, შენ კი არ მოგართვი ძღვენი, ოჯახს წამოვუღე რაღაც-რაღაცები, ჩემი გაჭირვებისაო. მართლაც გაჭირვებისაა ყველაფერი, რაც იმ კალათით ამოაქვს წნორიდან - კვირაობით, თვეობით მოგროვილი. თუმცა, თავად ყოველთვის დიდი ამბით მოაქვს და წინასწარ უხარია, თავისიანებს რომ გაახარებს. მოუყვება დაზეპირებულ გზას და, სიღნაღში ამოსვლამდე, ათასჯერ უნდა გადათვალოს და შეამოწმოს გუნებაში, რა მოაქვს, რა უშოვია. დიდი ვერაფერი, მაგრამ არარაობას მაინც ჯობია. სამი, ოთხი ცალი ზღმარტლი, ბაღისა - ცოლისთვის, ყურადღების ნიშანი. ბებიას უყვარს ძალიან. აუცილებლად უნდა გაფცქვნას. თან იცმუცნება, თან რამე ამბავს იხსენებს. ზღმარტლთან დაკავშირებით: "შამაჩემს ედგა ვენახში", ანდა, "გავიხედე და, კალათით ზღმარტლი არ მოუტანია!" ერთი კილო წყლად წასული ყველი. ყველი უნდა ტიროდეს. ყველი უნდა ტიროდეს, ადამიანო. თვალში ცრემლი თუ არ უდგას, ის რა ყველია. კარგი ერთი, მამა გიცხონდება, ცრემლი ყველს კი არა, ხალხს გაუშრა. ორი-სამი შოთი, უკვე საკმაოდ გაფშეკილი. ერთი კონა ნიორი. ბევრ რამეს უხდება. ერთი ქილა მაწონი, კამეჩისა. წნორში კარგი მაწონი იცის. იქნებ, ესიამოვნოთ-მეთქი. მოდის, მოუხარია შინისკენ, მაინც მოუხარია, რაც არ უნდა ცოტა მოჰქონდეს, ხელცარიელი არ მიუვა თავისიანებს. მაყვლის ბუჩქში ჩიტი უსტვენს (თუ ზაფხულია). ისიც სტვენით ეპასუხება. ეი, ჩიტუნია, შე საბრალო, შენა. მაყვლის ბუჩქს იმდენი მტვერი შეფრქვევია, თავის თავს აღარ ჰგავს. თითქოს ვიღაცას განგებ მოუტანია მტვერი და შეუყრია, არავინ მიიწოდოსო. გული არ მიგივათ, დაგეზარებათ, ჯოხი აიღოთ და მიიწოდოთ, ნადირისა და ყაჩაღის (ოდესღაც ბერ-მონაზვნებისაც) სარჩო. მაგრამ ყაჩაღს სხვა რა გზა აქვს?! თითის წვერებზე აწეულა და ისე იწოდებს მაყვალს. პაპას მეორე ხელში გადააქვს კალათი, თვალში რომ არ მოხვდეს ყაჩაღს. თან ფეხს უჩქარებს. მაგრამ სალამი ღვთისაა, სალამი ყველას უნდა უთხრა, ვინც კი გზაზე შეგხვდება. "გამარჯობაო" - ეუბნება ყაჩაღის ზურგს, დაძაბული, გულაბაგუნებული. მწარეა, ლამის უკვე შინ მიტანილი კალათის დაკარგვა. რაც უფრო ცოტა დევს შიგ, მით უფრო მწარეა. "გაგიმარჯოსო" - ეუბნება ყაჩაღი მაყვლის ბუჩქებს. არ სცალია მისახედად. ლურჯადა აქვს მოთხუპნული ტუჩ-პირი. რა ქნას, ისიც ადამიანია, შია. ასე ყვება პაპა, გინდა

www.Litklubi.ge

დაუჯერეთ, გინდა არა. როგორც გენებოთ. იმისთვის კი სულერთია, სინამდვილით გაიხეთქავს გულს თუ წარმოდგენილით. ასე რომ, გინდაც იგონებდეს, ერთი შიში მაინც გადატანილი აქვს, გინდაც მართლა შემთხვეოდეს ეს ამბავი. რაღას არ იფიქრებს, რაღას არ წარმოიდგენს გზაზე დამდგარი, კალათით ხელდამძიმებული კაცი. მოდის, ვინ იცის, მერამდენედ მოუყვება ყელში ამოსულ გზას, ზეპირად იცის ყველაფერი, რაც გარშემო გადაშლილა, ხმის გამცემი, გამამხნევებელი კი გვერდით არავინა ჰყავს. გზამაც იცის მგზავრის ბუნების შეტყობა და, თუკი მხდალი და მოუთმენელი ჩაიგდო ვინმე ხელში, გაიწელება, გაიწელება, უარესად გაგრძელდება. მაგრამ როგორც არ უნდა გაგრძელდეს, ბოლოს ყველაფერი მთავრდება. ორასი, სამასი, ჰა, ოთხასი მეტრიც და წყარო გამოჩნდება. მოულოდნელად იელვებს, გამოანათებს, გადმოანათებს თიხის ღარიდან. ქვეშ, ზამთარ-ზაფხულ, პატარა სიმწვანე უგია, როგორც ტახტის წინ - ფარდაგი, პირდაპირ მიწაზე რომ არ დადგას შიშველი ფეხი. ის კი მოდის, მოისწრაფის შინისკენ. ნადირის შიში, ყაჩაღის შიში, ათასნაირი შიში მოსდევს, მოსდევს, მოყმუის, მოსძახის, ფეხს აჩქარებინებს არარსებული ქვეყნის ყოფილ ქვეშევრდომსა და გამოუცხადებელი ომის დეზერტირს. ხანდახან, ისეთი გახვითქული მოვა ხოლმე, ბოლი ასდის. ბებია ძლივს ხდის ოფლიან პერანგს. თითქოს ძალით ხდის. გეგონებათ, უთოფოდ ძარცვავს, ანდა, კიდევ უარესი, ცოცხლად ატყავებსო. თან ორივენი იცინიან, ჩუმად, თავიანთთვის. მარტო იმათ იციან, რატომ იცინიან. შეიძლება, ის ავადმოსაგონარი ღამე ახსენდებათ, თავფეხიანად ტალახში ამოგანგლული რომ გამოეცხადა ცოლს, ჯარიდან გამოქცეული. ისეთი დასვრილი იყო, შინ არ შეიშვებოდაო - ყვება ბებია - ძლივს დავამსგავსე ადამიანსო. პაპაც აღიარებს, არაფერი მეცხო ადამიანისაო, შვილის ავადმყოფობის ამბავი რომ შევიტყვე, იმან მაიძულა ადამიანობისკენ შემობრუნება, თორემ, უკვე ტალახი ვიყავიო. რაც რამე ჰქონიათ შინ (ბევრი არაფერი), ფეხსადგილში ჩაუყრია: ვერცხლის ქამარ-ხანჯალი თუ მონოგრამიანი ყანწები, ხავერდის ყდიანი საოჯახო ალბომი თუ ნახატებიანი, ნიკოს დედის ხელით აკინძული, საყმაწვილო ჟურნალები. თვითონაც არ იცოდა თურმე, რას სჩადიოდა. ის ღამე სირბილში გაუთენებია, ჯერ ექიმს დაეძებდა, მერე კი ავადმყოფი შვილის საწოლსა და დარაბით დაგმანულ სარკმელს შორის დარბოდა თურმე გაუჩერებლად. წინ და უკან - ხან შვილის სუნთქვას მიაყურადებდა, ხან ქვეყნის ხმებს. ვის რად უნდიხარ, ნეტავიო - ეუბნებოდა თურმე ბებია - მეტი საქმე არა აქვთ ბოლშევიკებს, სულ შენ დაგეძებენო. ბებია თუ გაბრაზებულია, აუცილებლად, ის შორეული ღამე უნდა გაუხსენოს პაპას. იცის, ყველაზე მეტად, იმის გახსენება არ უყვარს და, მართლაც, მოკალით და ნუ ალაპარაკებთ იმდროინდელ ამბებზე. რაღა დროსია, წარსულს ჩაბარდაო - გაიბრძოლებს ხოლმე უმწეოდ. ერთი ნასყიდასაც ჰკითხეო - არ ინდობს ბებია. ნასყიდა პაპაზე ამბობს, ფარული მიმოწერა აქვს გაქცეულ მთავრობასთანო. უფრო სწორად, ასე ამბობდა, ვიდრე პაპა ერთ ფუთ ღვინოს მიართმევდა "ფეშქაშად". ეს აბრაზებს ალბათ ბებიასაც, ძაღლი ფეხს არ მიუშვერს, შენ კი აღარ იცი, როგორ სცე პატივიო. ქუჩაში რომ გამოჩნდება, ბავშვები ქვას ქვაზე სცემენ: ნასყიდა მოდის, ნასყიდა მოდისო. ცუხცუხით გამოედევნება ხოლმე აქსუტუნებული. სულ სურდო აქვს, სულ ცინგლი ჩამოსდის. ბავშვებს კი მისდევს, მაგრამ სრულებითაც არ უკვირს, რატომ მაბრაზებენო. რომ მიაფურთხოთ, არც ის გაუკვირდება. ჯერ სახეს მოიწმენდს და მერე იტყვის, არა უშავს, ფურთხი ლაქას არ ტოვებსო. იცის, ყველასთან პირშავადაა, მაგრამ არ აწუხებს ეს ამბავი, თითქოს ასედაც უნდა იყოს და ასე რომ არ იყოს, ის იქნებოდა შემაშფოთებელი. პაპა ამბობს, მე რომ კოჭს ვთამაშობდი, ეგ უკვე ნასყიდობდაო. მენშევიკების დროს ციხეში უმუშავნია ზედამხედველად. ხის ქოშები სცმია და იმ ქოშების ბაკაბუკზე სცნობდნენ თურმე პატიმრები - არიქა, დამალეთ, თუ რამე გაქვთ, ნასყიდა მოეთრევაო. ფულსა და საჭმელს პარავდა პატიმრებს. იმათ წერილებს ჯერ კითხულობდა, მერე ხევდა, თუმცა, წინასწარ ჰქონდა აღებული ფეხის ქირა წერილის გაგზავნაში. მენშევიკები რომ გაქცეულან, ახლა ის დაუჭერიათ, ახლა ის გამხდარა პატიმარი, მაგრამ, როგორც თვითონვე ამბობს, ბევრი არაფერი დაუკარგავს, ისევ ციხეში დარჩენილა, თანაც, ახლა უკვე სხვათა მეთვალყურეობის ქვეშ. უკეთესიც იყოო, არაფერი მევალებოდა, ღორივით გავსუქდიო. მუქთად მაჭმევდნენ და მუქთად მასმევდნენო. მენშევიკების დროს, ჯერ მარტო ფულის

www.Litklubi.ge

თვლამ დამტანჯაო, ბაზარში რომ წავსულიყავი, სულ ცოტა, ორი ფაეტონი ფულის წასაღებად უნდა დამექირავებინაო. ისემც დაუმშვენდა ცხვირი! ალბათ არცა მჯდარა ფაეტონში. ისა, კაცო, ქსუტ. შენ ისეთი ფხიანი ხარ, ქსუტ. ქსუტ. საიდუმლო ვენახებიც გექნება, ქსუტ, მთავრობისგან დამალულიო - უთქვამს პაპისთვის. პაპას კი, მრავალმნიშვნელოვნად გაუცინია (თან, ვინ იცის, შიშისაგან გული უსკდებოდა, მართალი არ ეგონოს ვინმესო) და უპასუხნია: შენ ხილი იხილე, მებაღეს რას ჰკითხულობო. პაპა მშიშარა კია, მაგრამ კეთილიცაა. ბევრი რამე სიკეთითაც მოსდის. ეგეც ღმერთის გაჩენილიაო - იტყვის ხოლმე ნასყიდაზე. - ვინ იცის, მე რომ ღვინო მივართვი, პირველად მაშინ იგრძნო თავი ადამიანადო. ყველა ეცოდება, მარტო კარგი აქვს გუნებაში, ფუტკრისა არ იყოს, თუ ბზუის - თაფლს აგროვებს, თუ ჩუმადაა - თაფლზე ფიქრობს. რა იმისი ბრალია, თუ გასავალი აღარა აქვს სიკეთეს, თუ ყოველთვის ვერ გამოატანინებს ნაყოფს, როგორც არ უნდა მოინდომოს. ერთხელ, ლოთის გამოსწორებაც უცდია, მაგრამ, როგორც ბებია ამბობს, იმის მერე თვითონ მიჩვეულა ღვინის სმას. თავად ლოთის ცოლს უთხოვია იმისთვის, მღვდლისთვის და ექიმისთვის, მიშველეთო, იქნება, თქვენს სიტყვას მაინც გაუწიოს ანგარიშიო. ისინიც ამდგარან და წასულან, ხათრი ვერ გაუტეხიათ ლოთის ცოლისთვის, რადგან ლოთის ცოლს დიდი იმედი ჰქონია იმათი, უფრო სწორად, იმათი იმედიდა ჰქონია - რაც არ უნდა იყოს, ერთი მღვდელია, მეორე ექიმი, მესამე კი პატიოსანიო. ხოდა, ერთ მშვენიერ დღეს, თავზე რომ დასდგომია ეს წმინდა სამება, ეს სამშვიდობო, სასიკეთო ტრიუმვირატორი, ლოთი სიხარულისგან გადარეულა, რას იფიქრებდა, იმის გამოსასწორებლად თუ იყვნენ მოსულნი, ისეთი სუფრა გაუშლევინებია ცოლისთვის (ცოლს ყველაფერი წინასწარ ჰქონია მომარაგებული), მკვდარს მოუვიდოდა თურმე ნერწყვი. მოკლედ, ციბრუტივით დაბზრიალებულა საწყალი ქალი, იქნება რამე გვეშველოსო. თან, სტუმრებს თვალს უშვრებოდა თურმე, ქმრის ზურგსუკან, აბა ახლა თქვენ იცითო. თანდათანობით კი დაეჭვებულა, კი აღარ მოსწონებია გაუთავებელი სადღეგრძელოები, მაგრამ თავიდან მშვიდად ყოფილა, ვინ იცის, ფიქრობდა, ალბათ ასეა საჭიროო, ნასწავლი ხალხია, არ შეეშლებათო. შუაღამემდე მაინც გაუძლია ასე, ორ ცეცხლს შუა, ეჭვითა და იმედით, მაგრამ შუაღამეც რომ გადასულა, ხოლო, მისი ქმრის გამოსასწორებლად მოსულ ხალხს მისი ქმრის ქება-დიდების მეტი არაფერი დასცდენიათ სუფრაზე, მაშინ კი გაცოფებულა, მაშინ კი დაურტყამს მუშტი მაგიდაზე - თქვენ უარესი ლოთები ყოფილხართო. იქიდან გამოყრილები, ჯერ მღვდელთან წასულან, მღვდელთან გაუგრძელებიათ ქეიფი, მღვდლიდან ექიმთან გადაუნაცვლებიათ, მაგრამ უკვე ნიკოანთას რომ მომავლებულან, ლოთს ფარ-ხმალი დაუყრია, აღარ წაჰყოლიათ, მე თქვენი აყოლა ხელს არ მომცემსო, ერთი ავადმყოფი კაცი ვარ, ამდენი სად შემიძლიაო. ბებია ყვება კარგად ამ ამბავს. ხუმრობით ყვება, მაგრამ თან იმ საბრალო ლოთის წილი ცრემლიც უბრწყინავს თვალში. ჩუმჩუმელა ოხუნჯია, შენიღბული. ვითომ ბუზს არ ააფრენს, ფოთოლივით დაფარფატებს, მაგრამ სიტყვას, თუ საჭიროა, არც სიმწარეს დააკლებს, არც სიტკბოს. რაც მთავარია - არც მარილს. ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, არც იცის, ოღონდ, რასაც იტყვის, მადლიანად იტყვის, მარილიანად. ისეთი სიტყვა მოადგება ხოლმე უცებ პირზე, ყველაფერი თვალწინ დაგეხატებათ, თითქოს კი არ გესმით, ხედავთ. ანდა, უფრო ზუსტად, კიდეც გესმით, კიდეც ხედავთ. კიდევ უფრო ზუსტად, არა მარტო გესმით და ხედავთ, თქვენც საქმეში ხართ გარეული, მონაწილე ხართ ამბისა. აივანზე ჩაის სვამენ, ის კი ვითომ სხვათა შორის, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვება ლოთის გამოსწორების ამბავს. ვიღაცამ გაიხსენა ალბათ და ძალიან შეეხვეწნენ, მოყევი, როგორ იყოო. თავისით არ მოყვებოდა. ერთი წამით არ ჩერდება სუფრასთან უსაქმოდ, რაღაცა უნდა გაიტანოს, ან რაღაცა უნდა შემოიტანოს, ვერ მოუსვენია, მაგრამ რას გაიტანს, როცა ისედაც არაფერი დევს მაგიდაზე (იქამდე არაფერი გეტკინოთო - ასე ილოცება ხოლმე მთვრალი იოსება - ვიდრე გული საგულეში ჩაბრუნდებოდეს, შაქარი - საშაქრეში, კარაქი - საკარაქეში, რძე - სარძეველში, მარილი - სამარილეში, პილპილი - საპილპილეში, თუთუნი - სათუთუნეში და ფული - საფულეშიო), ან რას შემოიტანს, როცა არაფერი ეგულება განჯინაში. ძვალ-რბილში გამჯდარი ჩვეულება დაატარებს აქეთ-იქით, დაცლილ ფინჯანს ან ძირს დავარდნილ კოვზს თუ გაიტანს, საგულდაგულოდ გარეცხილ-გამშრალებული

www.Litklubi.ge

უკანვე რომ შემოიტანოს. თითქოს ერთი წუთით თუ გაჩერდა, ყველაფერი აირევ-დაირევა. თითქოს კი არა, მართლა აირევა ყველაფერი. როგორც გულის გაჩერება არ შეიძლება, ისე - იმისი. შემოვა, ერთ-ორ სიტყვას კიდევ იტყვის, ცოტათი წინ წასწევს ამბავს და მაშინვე გაბრუნდება. მსმენელები კი სიცილით იხოცებიან, ეძახიან, ეხვეწებიან, ნუ გვაწვალებ, ბარემ თქვი, დააყენე საშველიო, მაგრამ იმან უკეთ იცის თავისი საქმე, ვიდრე მოყოლას გააგრძელებდეს, ჯერ სუფრაზე უნდა გაასწოროს რაღაცა, ადგილი მაინც უნდა შეუცვალოს რამეს, ან თეფშს, ან ჩაიდანს, თითქოს სუფრას ლაზათი მიემატება ამით. თან წარბსქვემოდან, პაპას გასცქერის, ამოწმებს, ხომ არ სწყინს ჩემი ლაპარაკიო. სხვასთან, გინდაც იოსება იყოს ის სხვა, ზედმეტს არაფერს აკადრებს თავის მეუღლეს. რა იოსებას საქმეა, რას იტყვიან ისინი ერთმანეთში. იოსებამ იმას მოუსმინოს, რაც კიდევ უფრო აამაღლებს პაპას მის თვალში. როგორ იყო, რომელი აუხირდით იმ უბედურსო - ეკითხება პაპას, პაპასაც იმოწმებს, არ გეგონოთ, ჩემგან ვამატებდე, ანდა, ვიგონებდე რამესო. პაპა კიდევ მუხლზე ხელს ირტყამს და თავს აქეთ-იქით აქნევს, ვითომ, რა მახსოვრობა აქვს, საიდან ახსოვს ასე წვრილად ყველაფერიო. არ ბრაზდება. ან რატომ უნდა გაბრაზდეს, მართალს ყვებიან. ასე იყოო - იძახის თვითონაც - ჩვენ ჩვენი ვცადეთო. ღმერთმა ხომ იცის, არც იმისი ღვინო გვინდოდა, არც იმისი კიდევ უფრო გალოთებაო.

www.Litklubi.ge

მოკლედ, თვითონაც რომ არ ეგონა, ისე გაუხარდა ნიკოს პაპის დანახვა. ახლა მოუთმენლად ელოდება, როდის მობრუნდება ღვინის სარდაფიდან და, დრო რომ გაიყვანოს, თავსა სცდის - პაპის რამდენ ანდაზას გაიხსენებს, პაპის დაბრუნებამდე. პაპამისი ხომ ანდაზების კრებულია, ფეხზე მოარული. ნიკოსთვის კი ანდაზების გახსენება ერთგვარი თამაშია, ოღონდ მარტო გასართობი კი არა, გასანათლებელიც - რაც უფრო ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე ანდაზას, უფრო მეტი ესმის. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, გამეორება ცოდნის დედაო. გარდა ამისა, ვანო მასწავლებლის არ იყოს, შეამოწმებს კიდეც, მართლა ხომ არ დაუობდა გონება ამდენი წოლისგან. მაშ ასე: ვალის მომატებას, ლუკმის მოკლება სჯობიაო. ძნელია, მაგრამ სწორია. უსწავლელი ქვაზე დაჯდა, ქვა ქვას დაემატაო. ეს ჩემზეა ნათქვამიო - გაედიმა ნიკოს. ღარიბის სიმდიდრე ბავშვებიაო. ბავშვები და არა ბავშვი, გინდაც ნიკო. სისუფთავე სილამაზის ბადალიაო. ლაჩარი ულმობელიაო. რაც მართალია, მართალია. გოგია ულმობელია. იმისი ქალაბიჭა დამქაშიც. მაგრამ ბოლოს ხომ მაინც უტირა ნიკომ დედა?! ნეტავი გენახათ, რას ჰგავდა. ვაიმე, მკლავი, ვაიმე, მკლავი, ვაიმე, მკლავი. ვინ იცის, ფიქრობდნენ, დროზე ვასწავლოთ ჭკუა ამ ბათუმელსაც და მერე ვუპარტყუნოთ თავში, რამდენიც მოგვეპრიანებაო. ნიკოს დანაშაული ის არის, მაშინვე რომ ვერ მიხვდა, რას უპირებდნენ. თუმცა, ალბათ მიხვდა კიდეც, მაგრამ უკან აღარ დაიხია, შიში არ შემატყონო, შერცხვა მშიშარა გამოსულიყო მისი წაქცევის, მისი გამწარების მოსურნე ხალხის თვალში. კი არ გააბრიყვეს, თავი გაიბრიყვა, თავისი მშიშრობა რომ დაემალა. მარტის მამალი კი არ არის, ჩვეულებრივი მამლაყინწაა. მხოლოდ იმასდა ნატრობდა, მალე მოხდეს მოსახდენიო. აძაგძაგებული, ათრთოლებული ველოსიპედის საჭე ხელიდან უსხლტებოდა. თითქოს ჩანჩქერს ჩაჰქონდა უფსკრულში. სახეში ცხელი, ხორკლიანი ქარი სცემდა, თვალებიდან კი ნებაყოფლობითი სიბრმავის ცრემლი სდიოდა და მაშინვე ზედ აშრებოდა გავარვარებულ ლოყებზე. ჩანჩქერი შხუილით, გუგუნით, ღრიალით მიჰქროდა თავქვე, თავდაღმა, და იმასაც თან მიიყოლებდა დაუმსახურებელი, დამაკნინებელი ტკივილისა და გადარჩენილი, შეულახავი ღირსებისკენ. ისე, კაცმა რომ თქვას, ნიკოზე მეტად, მტერი დაზარალდა: იმის ველოსიპედი დაგრეხილ-დაჭეჭყილი ეგდო გზაზე, წინა ბორბალში თოკჩახვეული, თავად კი, ფრთადაგლეჯილ კალიასავით დაჩოჩავდა ბალახებში, ვაი დედა, მკლავიო. დღე-მეხვალიე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო. ამას თავის თავზე უნდა ამბობდეს პაპა, რადგან ნამდვილად რომ დღე-მეხვალიეა, არაფრით არ გააკეთებს დღეს, რისი გაკეთება ხვალაც შეიძლება. ის კი არა, სკამს რომ ადგილი შეუცვალოს, მთელი დღე უნდა იფიქროს და იშფოთოს. როცა სიტყვა ხშირდებაო, მაშინ საქმე მცირდებაო. ვის გაუგონია ლხინი უტირალი და ჭირი უცინარიო. ნიკოს უთხრა, ამას მერე გაიგებ, ცხოვრებას რომ გამოცდიო, მაგრამ ნიკოს ახლაც მშვენივრად ესმის, ერთი ცხოვრება უკვე მოთავებული აქვს და იმიტომ. ხვალ წვიმა მოვაო და დღეს ჭამ თვალი დაითხარაო. ეს კი ნამდვილად ბებიაზეა ნათქვამი - წავა-წამოვა და შემოირტყამს ლოყაში ხელს, რა ეშველება ამ ბიჭს, სკოლას რომ დაამთავრებსო. კი მაგრამ, რა დროს სკოლის დამთავრებაა ჯერ?! ევგენია დუგლაძესაც ჰკითხოს, აძლევს თუ არა საერთოდ სიმწიფის ატესტატს?! იქნებ, მგლის ბილეთი უფრო ემეტება ნიკოსთვის?! აკი, ცოტას მორჩა, მართლა მგლად აქცია! ისა და ვალო ბადალაშვილი ორი დღე და ღამე მგლის სოროში ცხოვრობდნენ. თვითონ გამოქვაბულს ეძახდნენ, მაგრამ, ვინ იცის, მართლა მგლის მიტოვებული სორო იყო, შეიძლება, სულაც გზაზე გატანილი მგლისაც. ძლივს შედიოდნენ და გამოდიოდნენ, როცა სჭირდებოდათ, ზემოდან კი იმდენი მიწა ეყრებოდათ, ეძინათ თუ ეღვიძათ, თვალდახუჭულები იწვნენ, მკვდრებივით, ერთმანეთს მიხუტებულნი, როგორც ტყუპები - დედის საშოში, ანდა, უფრო ზუსტი იქნება, როგორც ფარაონისა და მისი მეუღლის მუმიები საერთო სარკოფაგში. ერთი ხვრელის შემყურე, თაგვიც ცოდოაო. ისინი კი, ორნი შეჰყურებდნენ ერთ ხვრელს. ხვრელში შეაძვრინათ ევგენია დუგლაძემ. დროზე რომ არ დაეჭირათ, ერთხელაც იქნებოდა, ორივენი ამოიხრჩობოდნენ იმ სივიწროვეში. ხანდახან ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს მარტო ისინიღა დარჩენილიყვნენ მთელს ქვეყანაზე და, მაშინ, დასანახად ეჯავრებოდათ ერთმანეთი. ლამის კბილებით ჩაფრენოდნენ ერთმანეთს ყელში. კბილის მიწვდენა არ გაუჭირდებოდათ, საჭიროზე ახლოს იყვნენ საამისოდ:

www.Litklubi.ge

ერთმანეთის მხურვალე, ბრაზიანი, შიშნარევი ამონასუნთქი ხვითქივით გადასდიოდათ სახეზე. შენი ბრალია ყველაფერიო - იღრინებოდა ვალო ბადალაშვილი - ლექსები დაგიხიეს, თორემ, შენც ვაჟა-ფშაველა მყევხარო. გეშინია და იმიტომ ლაპარაკობ ასეო - არ ზოგავდა ნიკოც. მერე, კარგა ხნით ხმაჩაწყვეტილები, ისევ ღამეს უსმენდნენ, ისევ ცდილობდნენ, სუნთქვაზე შეეტყოთ ერთმანეთისთვის გუნება-განწყობილება. აჭრილი, აწრიალებული წყვდიადი კი დაფეთებული ბრუნავდა ხვრელში, როგორც ბოლი ამოქოლილ ბუხარში. სადღაც, ახლოს, თითქოს ყურის ძირში, აფთარი გადაიხარხარებდა, ანდა, კლდეს მომწყდარი ქვა შხუილით ჩაფხრეწდა ჰაერს ხევამდე და ვალო ბადალაშვილს ისევ წამოუვლიდა ხოლმე შიში და სინანული. "შენი ბრალია, შენი ბრალია ყველაფერიო" - ჩასჩურჩულებდა მდელვარედ, ფაცაფუცით. გულამოვარდნილი, თითქოს, ეს წუთია, საიდანღაც, ძალიან შორიდან მოურბენია ამის სათქმელადო. "თავმოყვარეობა უნდა გვქონდეს-მეთქი, თორემ, ღმერთი შეგვაძვრენს ხვრელში, თუ ევგენია დუგლაძე, ეს რა ჩვენი ბრალია" - ამბობდა ნიკო, უკვე დამცხრალი, შემრიგებლური ხმით, თითქოს ებოდიშებოდა მეგობარს, მაგრამ ბოლომდე მაინც არ აღიარებდა, დამნაშავე რომ იყო იმის წინაშეც და საერთოდაც. თუმცა, უკვე თვითონაც ნანობდა, ასე სულელურად რომ გამოვიდა ყველაფერი და უკვე თვითონაც იმ ფარული იმედით ელოდებოდა განთიადს, აუცილებლად რომ მოაგნებდნენ ევგენია დუგლაძის ჩაფრები. სამაგიეროდ, ვალო ბადალაშვილისაგან განსხვავებით, უკვე შეგნებული ჰქონდა ისიც, დიდი, საბედისწეროდ დიდი გარდატეხა რომ მომხდარიყო მის ცხოვრებაში, ანუ, ცხოვრების ყველაზე ურთულესსა და, იმავე დროს, ყველაზე უმარტივეს გაკვეთილს რომ შესწრებოდა უნებურად, შემთხვევით, მხოლოდ და მხოლოდ დახეული ლექსების წყალობით - ურთულესს, თავისი ხელშესახები სიმარტივით და უმარტივესს, თავისი თვალშისაცემი სირთულით, რადგან ეს იყო გაკვეთილი უსიტყვოდ აზრის გამოთქმისა, უძრაობით მოძრაობის განსახიერებისა და უმწეობით სიძლიერის დადასტურებისა. ყაჩაღი აუცილებლად მძარცველს ხომ არ ნიშნავს, ბოლოს და ბოლოს?! როგორც ვანო მასწავლებელი ამბობს, ერთ დროს მთელი გურია ყოფილა გავარდნილი ყაჩაღად, იმიტომ კი არა, რაც მომეპრიანება, ის ვაკეთოო, პირიქით, ჩემთვის ვიცხოვრო მშვიდად და პატიოსნადო, თავიც შევინახო და ღირსებაც შევინარჩუნოო. ყაჩაღიც გლეხივით ცხოვრობდა თურმე, ისიც გლეხივით საწყალი ყოფილა, ყაჩაღობამდე რაც იცოდა, ყაჩაღობაშიც იმას აკეთებდა: საყანე მიწას გამოკაფავდა სადმე, მიუდგომელ ადგილას, დაბურულ ტყეში, და წლიდან წლამდე, ხნავდა, თესავდა, თოხნიდა, მარგლავდა. სოფელს რომ გაუჭირდებოდა, ყაჩაღთან მიდიოდა თურმე სიმინდის სასესხებლად. თავისი თხაც ჰყოლია და ქათამიც. ზოგი ძირდალოცვილ ვაზსაც მიუშვებდა თურმე ხეზე და იყო თავისთვის, არ აწუხებდა ქვეყანას, უნდოდა ლექსს დაწერდა, უნდოდა თავგადასავალს. ყველაფერი ჰქონდა ერთი გლეხის კვალობაზე, მაგრამ ბოლოს მაინც მიაგნებდა სახელმწიფო, მოიმწყვდევდა ალყაში, ჯერ ტყვიებით დაცხრილავდა, კარდალს ცეცხლზე მუპირქვავებდა, ვაზს აუჩეხავდა, თხას და ქათამს დაუფრთხობდა, მერე კი, ჩაკუნცხული და მუხლებზე შაშხანაგადებული, ერთ სურათსაც გადაიღებდა ტყვიით დაცხრილულსა და ფეხშიშველა ყაჩაღთან, უკეთეს დღეთა მოსაგონარად, და, ასე და ამგვარად, დამთავრდებოდა კიდევ ერთი ყაჩაღური ცხოვრება. იმათ კი, ნიკოსა და ვალო ბადალაშვილს, მართლაც რომ სულზე მიუსწრეს ევგენია დუგლაძის ჩაფრებმა. თორემ, ერთი დღეც რომ დაეგვიანებინათ, მერე ქაჯიც ვეღარ იპოვიდათ - იმოდენა თოვლი მოვიდა სწორედ იმ დღეს, ხალხი სახურავებიდან ჩადიოდა სახლებში. ისინი რომ შეიპყრეს, უკვე თოვდა. სიღნაღში რომ ამოიყვანეს, უკვე კარგად იდო თოვლი. მთელ ქალაქში საზეიმო ჟრიამული იდგა, ვედროებით ეზიდებოდნენ წყალს ქუჩების გასასიპად, მოახრიგინებდნენ ციგებს, გამალებულები იმაგრებდნენ ფეხზე თვითნაკეთ, თუნუქამოკრული ხის ციგურებს. გოგოები სახეზე ჩანთააფარებულნი გამოდიოდნენ სკოლიდან, დანებებულნი, ბედს შეგუებულნი - აბა, იქ ხომ არ ისხდებოდნენ დილამდე, გათოშილ სკოლაში, ცალხელა ჩონჩხის იმედით. ხელყუმბარებივით მოშხუოდნენ ჰაერში წყალში ნადები გუნდები. მოკვლით, შეიძლება, არ მოეკლა, დარეტიანებით კი მაგრად დაარეტიანებდა ნებისმიერ გოგოს პირველიდან ბოლო კლასამდე. ხელი მომე, გო, ვეცემი. ხელი გახმეს მსროლელისა. მარტო ნიკოსა და

www.Litklubi.ge

ვალო ბადალაშვილისთვის არ არსებობდა ზამთრის სიამენი. ისინი ჯერ მოჰყავდათ, ჯერ ახალი შეპყრობილები იყვნენ და ჯერ ნასაყდრალსაც არ გამოსცდენოდნენ. ამიტომ, ჯერ არც ქალაქს ახსოვდა ისინი. მაგრამ ვიღაცამ რომ დაიყვირა, ყაჩაღები მოჰყავთო, მთელი ქალაქი, ციგებიან-ციგურებიანად, ფლატეებზე გადმოეფინა. ყველაზე წინ კი ევგენია დუგლაძე იდგა, ნაპოლეონივით, გულხელდაკრეფილი, და ზემოდან გადმოსცქეროდა დატყვევებულ მეამბოხეებს. რომელიღაც იდაყვთან ნიკოს წერილს უფრიალებდა ქარი. პირველად რომ წაუკითხავს ის წერილი, ვეღარ ამოუსუნთქავს, კოტე მასწავლებელი მთელი საათი მუშტსა სცემდა თურმე ზურგში. "ამის დამწერი, ამის დამწერს, ამის დამწერმაო" - შეშლილივით გაიძახოდა თურმე და ხან ერთ კლასში შეაფრიალებდა ნიკოს წერილს, ხან მეორეში. ახლა კი, კუშტ, პირქუშ, მიუდგომელ ციხესავით გადმომდგარიყო ფლატეზე. თოვლის ფიფქებში გახვეული. სადღაც, ქვემოთ, მის ფეხებთან, მისი ჩაფრები მის შეურაცხმყოფელს მოათრევდნენ. ერთმანეთს არ აცლიდნენ, ერთმანეთზე ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: დავიჭირეთ, მოგვყავს, ჰე-ჰე-ჰეიო. არ ელოდებოდნენ, ასე იოლად თუ ჩაიგდებდნენ ხელში ყაჩაღებს - ვალო ბადალაშვილმა გამოქვაბულამდე ამოსვლაც არ აცალა, თვითონ ჩაეგება, გახარებული. ახლა კი, ძალაუნებურად, ევგენია დუგლაძის გასაგონად, აზვიადებდნენ თავიანთ დამსახურებას, უფრო მეტად რომ გაენაღდებინათ წლის ბოლოს ქების სიგელები. ნიკოც, ევგენია დუგლაძეზე მეტად, იმის ჩაფრებზე ბრაზობდა, რადგან ევგენია დუგლაძე თავის საქმეს აკეთებდა, ისინი კი სხვისას. სწორედაც რომ არ იყო მათი საქმე ნიკოს დევნა, მაგრამ ნიკოს სიბრაზისგან ისე ჰქონდა ყბა მოღრეცილი, ენას ვერ ატრიალებდა პირში, თორემ, თვითონ იცოდა, რასაც ეტყოდა. თუ მოწაფე ხარ, ან უნდა ისწავლო, ან არ უნდა ისწავლო გაკვეთილი, ყაჩაღის დაჭერა კი შენი საქმე არ არის. ამისთვის არსებობს როლანდი, უფარაანთ გიორგი, ნესვა, გრძელო, არამინდარა... მაგრამ, საქმეში ხართ! - ჰე-ჰე-ჰეი, დავიჭირეთ, მოგვყავსო - გაჰყვიროდნენ მთვრალი მაყრებივით. ისე იყვნენ მოწადინებულნი, თავგამოდებულნი, ნიკოსი კი არა, საკუთარი დედების თმით მოთრევა რომ ებრძანებინა იმათთვის ევგენია დუგლაძეს, არც იმაზე დაიხევდნენ უკან. სამაგიეროდ, ფრიადოსნები არიან, თითით საჩვენებლები, სტიმულის მიმცემები, თუმცა, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, თავად იმათ ატაკებდა ნიკო სტიმულს ერთ ადგილას. მაგრამ შეპყრობილსა და უმწეოს, ისდა დარჩენოდა, შეჰგუებოდა ბედს. ოღონდ, მაინც უკან რჩებოდა ფეხები, სიკვდილი ერჩივნა სიღნაღში ასვლას, არ ეგონა, თუ არ გაუსკდებოდა ყელში გაჩხერილი გული, თითები თავისთავად ეკრუნჩხებოდა, მაგრამ ევგენია დუგლაძის კი არ ეშინოდა, თავისიანების რცხვენოდა - ბებიის, პაპის, დეიდის - გადამრჩენლების, რადგან ყაჩაღად გავარდნამდე, ერთი წამითაც არ დაფიქრებულა, რამოდენა ტკივილს აყენებდა მარადიული სიყვარულით, მარადიული ერთგულებით, მარადიული ნდობით დაბეჩავებულ იმათ გულებს, რა ძნელად მოსაშორებელ ლაქას სცხებდა სიღნაღელი ლაზღანდარების თვალში იმათ სახეებს, სამუდამოდ შემცბართ და გაოცებულთ ნიკოს უმადურობით. ერთი წამით არ უფიქრია, სულმდაბალი ქონდრისკაცი და ჩვეულებრივი ქურდბაცაცა ვარო, როცა კვირისმარაგ პურსა და დამარილებული ბურვაკის უკანასკნელ ბარკალს დებდა ტომარაში და როცა, ტომარამოკიდებული, ფეხაკრეფით მიიპარებოდა საკუთარ ეზოში. ერთხელაც არ შეყოყმანებულა, ერთხელაც არ შეჰკითხვია თავს, მამამისის შვილს, ჰქონდა თუ არა ამის უფლება. ის კი არა, ჭიშკარმა არ გაიჭრიალოსო, ტომარა ღობეზე გადააგდო და თვითონაც თან გადაჰყვა. ამაზე მერე დაფიქრდა, როცა გაკოჭილი მოჰყავდათ ევგენია დუგლაძის ჩაფრებს და გახარებულნი გაჰყვიროდნენ: დავიჭირეთ, ჰე-ჰე-ჰეი, მოგვყავსო. სხვათა შორის, ბურვაკის ბარკალიც იმ ჩაფრებმა შეუჭამეს და ასედაც უნდა მომხდარიყო ალბათ, უფრო სწორად, ესეც ახი იყო ნიკოზე, რადგან თავისიანებსაც მოაკლო და ვერც თვითონ მოიხმარა - იმან და ვალო ბადალაშვილმა, ორი დღის განმავლობაში, ორი ლუკმაც ვერ მოაციცქნეს, ისე ჰქონდათ კრიჭა შეკრული - იმათ კი იმწამსვე გამოუყვანეს წირვა და ასე დასრულდა თავიდანვე თარსად დაწყებული, მრავალი უსიამოვნების მომტანი ბურვაკის თავგადასავალი. მართალია, მარგალიტამ თქვა, სიზმარში ღორის ყიდვა სიმდიდრეაო, მაგრამ ცხადში ყველაფერი პირიქით აღმოჩნდა. ჯერ იყო და, ნიკომ და პაპამისმა ძლივს ამოიყვანეს წნორიდან, ლამის თან გადაყვნენ - პაპამ ხელი

www.Litklubi.ge

გაიკაწრა, ნიკომ შარვალი გაიხია - დაღლილობისგან ფეხზე ვეღარ იდგნენ, წესიერად გზაზე არც უვლიათ, უგზოდ ამოჭრეს ტყე-ღრეები იმის დევნაში. იმას კი სულ გაქცევაზე ეჭირა თვალი, სულ განზე იწევდა, სულ ბუჩქებში, თხრილებში, ხვრელებსა და სოროებში მიძვრებოდა, თხუნელასავით, და თოკი ისე გააბინძურა, ხელი არც მოეკიდებოდა. იმისი ერთი უკანა ფეხი ხან პაპას ეჭირა, ხან ნიკოს, მაგრამ სამი ფეხითაც ორივეზე სწრაფად გარბოდა, ჭყიოდა, ჭყვიტინებდა და იმათაც თან მიითრევდა. მერეც, ვიდრე დაკლავდნენ, ნერვები დააწყვიტა ყველას. სტუმარი ხომ ვეღარ შემოსულიყო ეზოში - საკბენად ეტანებოდა, გიუივით, მთვრალივით, ეშმაკმა იცის, რასავით. ვერ ამოყორეს ვერაფრით, მთელი ეზო გადაუჩიჩქნათ დინგით, ყველაფერს ჭამდა, რაზედაც კბილი მოუხვდებოდა, ჭერმის ნერგიც შეჭამა, ჟასმინის ბუჩქიც, ბებიის სამურაბე ვარდებიც, ფარდაგიც, სარეცხის თოკიც, კრუხის საბუდარიც, ცულის ტარიც, პაპას ძველი ჩექმებიც (ალბათ ჯარისკაცობის დროინდელი, იმდროინდელტალახშემხმარი), და დროზე რომ არ დაეკლათ, იმათაც შეჭამდა. მაგრამ, რად გინდათ, უჯიშო გამოდგა, რადაცნაირი, ცარიელი ჯაგარი იყო; რომ გაფუფქეს, აღარაფერი დარჩა იმისგან, წვიმით დამხრჩვალ ვირთხასავით ეგდო ფიცარზე. დასერილი და დამარილებული, ერთ პატარა ქვაბში ჩაეტია მთლიანად. სხვებმა აღარ იციან, სად რა ჩატიონ, კასრებიც აღარ ყოფნით, ის კი პატარა ქვაბში ჩაეტია, ხუფი თავისუფლად ეხურებოდა. ხოლო, იმის ბოლო ბარკალი სხვებმა შეთქვლიფეს, მუსრი გაავლეს უცებ, სუნიანად, ძვლიანად (თუმცა, ბარძაყის თეთრად ქათქათა ძვალი ლეოს ეჭირა, განტელივით, და თავსზემოთ იქნევდა: დავიჭირეთ, მოგვყავს, ჰე-ჰე-ჰეიო!) და კიდევ იქით შეედავნენ ბარკლის კანონიერ პატრონს, ყაჩაღად თუ გადიოდი, ხორციც მეტი უნდა წამოგეღო საგზლადო. ნიკოც თავჩაღუნული ისმენდა იმათ საყვედურს და იმასღა ცდილობდა, როგორმე გაესწორებინა მობრეცილი, აცახცახებული ნიკაპი. კარგო და ტკბილო - ჩემო სასახლეო. თავის დროზე დალეული შხამიც კი ტკბილიაო. სიჩქარეში ძაღლმა ბრმა ლეკვები დაჰყარაო. მაგრამ პაპა სად არის აქამდე?! შეხვდა ალბათ ვიღაცა. ვერ ეტყვის, მეჩქარებაო, შვილიშვილი არ მინახავს მთელი თვეაო. ფულისა ჯოჯოხეთსაც კი ეშინია - არ დამანგრიოსო. ფული პატარა ღმერთიაო. სწორია. მართალია. ანგელოზს გაყაჩაღებს და ყაჩაღს გააანგელოზებს. გაგონილა, ქა?! ჩემმა კაცი მოკლა და არაფერი, მადლობაც არ უთქვამთ. კაცი მგელზე მეტი მაინც აღარ ღირს?! მაინც ფული ჯობია უფულობას. სიძულვილიც სიყვარულივით ბრმააო. აქედან გამომდინარე, სიყვარული იგივე სიბრმავე ყოფილა. სიბრმავე კი არ სჭირს, სიბრმავეა თავად. რასაც სიბრმავე ჰქვია, ის არის სიყვარული და რასაც სიყვარული ჰქვია, ის სიბრმავეა. თუ კაცს ბედი აქვს, მოზვერიც დაუმაკდებაო. ვინც არ გაიქცევა, არც წაიქცევაო. მთლად ასე არ არის: პაპა გაიქცა და წაიქცა, მამა არ გაიქცა და მაინც წაიქცა, ნიკო წაიქცა და მერე გაიქცა. გოგიას გაექცა, იმ საბრალო კაცისმკვლელს. ჯოხს რომ აიღებენ, ქურდი კატა გაიპარებაო. იმიტომაც ასმევენ კატების ლიმონათს. მაგრამ თავიდანვე თაგვის შაქარი რომ მიეცათ, აჯობებდა. აჯობებდა?! სიტყვამ ცხრა კარი უნდა გაიაროსო. ორღობეში სანიფხვე საკაბედ გავიდაო. ოქროს ქალამანი რომ გეცვას, მაინც ქალამანიაო. ობოლი თავის ჭიპს თვითონვე მოიჭრისო. ობლის მამა ღმერთიაო. ვისაც გული არა სტკივა, იმას ცრემლიც არა სცვივაო. პატიოსან კაცს გაცვეთილი ჩოხა აცვიაო, მაგრამ ახლა უმრავლესობას გაცვეთილი და დაკონკილი აცვია. იმ დღეს ექიმი ხუმრობდა, პატიოსანი კაცი მომკვდარიყო, ვითომ, და არ იცოდნენ, როგორ დაემარხათო. ახლა ყველას ერთნაირად მარხავენ. გინდა პატიოსანი იყავი, გინდა უპატიოსნო, გინდა დიდი მამაძაღლი, გინდა პატარა - წინ დროშა, უკან ორკესტრი. ცამპარამპა-ცამპარამპა-რამპამპა. ჯანმრთელობის ფასი ავადმყოფობამ იცისო. სხვისმა გაკეთებულმა გული მატკინა, ჩემმა - წელიო. ქორი ქორსა ჩეკს, ძერა ძერუკასაო. დავთესე თხილი, მოვიდა თხილი, რაც მამა იყო, ის მისი შვილი. ასე თუა, ნიკოც კარგი კაცი უნდა გამოვიდეს. უფრო სწორად, შეიძლებოდა, გამოსულიყო კარგი კაცი, წესიერად რომ წარმართულიყო მისი ცხოვრება, გოგიებსა და ლეოებს რომ არ გადაჰყროდა. გოგიას ჭიები ჰყავს. სკოლის ფეხსადგილში დაჰყარა ერთხელ, ჭიები კი არა, ლამის გველები - თეთრი, გრძელი, ქამრის სიგრძე. რამპამპა. დაჰყრის, ისევ გაუჩნდება. არ შველის არაფერი, არც მოხალული, არც მოხარშული. იმას კი არ ჰყავს ჭიები, ჭიებს ჰყავთ ის. ჭიების ბუდეა. ნიკოს ბებიასაც სთხოვეს წამალი,

www.Litklubi.ge

მაგრამ ვერც იმან უშველა. არადა, ყველას მშველელია. ვინმემ თუ რამე დაიჩივლა, გადაშლის თავის კარაბადინს, ბედისმწერლის დავთარივით, და რომელი ბალახი თუ ყვავილი გინდათ, იქ რომ არ ეწეროს. ასურული ნიახურიო, ცერეცოო, კამაო, გუნდაო, ვაციწვერაო, მრავალძარღვაო, წყავიო, წუნწუბიო, ხაშხაშიო, ვარდიო, ბოლოკის ძირიო, რევანდიო, თურინჯიო, გვირილაო, ზაფრანაო, ქონდრის ხეო, მოცვიო, გუნდრუკიო... სულ მე გიკმიოთ გუნდრუკი?! როდემდე, როდემდე?! გავიდა ცხოვრება. ჩემი ტოლი გოგოები მაღალქუსლა ფეხსაცმელებსაც იცვამენ და არც პუდრსა და პომადას იკლებენ... სუნბულიო, ლენცოფაო... ლენცოფა ხომ არ დაგილევია შენ?! როგორ ელაპარაკები მამას?! როგორ ელაპარაკები-მეთქი მამას?! ...ასკილიო... ნიკოს თავისი წონა ასკილი ექნება დაკრეფილი. ჩამოვიდა თუ არა ბათუმიდან, მაშინვე ასკილის საკრეფად გააქანეს ტყეში. მთელი სკოლა, მასწავლებელ-მოწაფიანად ტყეში იყო გალალული. ფრონტს სჭირდებოდა ასკილი. ბავშვებს ღუდუდოები ეყარათ ტანზე. ქავილი კლავდათ, ლამის კანი ჩამოებღორტნათ ფრჩხილებით. ხელები მარტო ასკილის საკრეფად კი არ მოუცია ღმერთს, არამედ, აქავებულის მოსაფხანადაც... კუნელიო, ქარქვეტაო, მთის პიტნაო, აბზინდაო, მწარე ნუშიო, ხუთფურცელაო, შარინამაო, თეთრი ყაყაჩოო, და კიდევ ათასი და ათასი. ისეთი ლამაზი სახელები აქვთ, სულ რომ იმეოროთ, არ მოგწყინდებათ. გინდაც "ყვავილნარი" გითამაშიათ. თუმცა, ნიკოანთ "ყვავილნარი" ხელში აღარც აიღება. ძაღლსა და მამაძაღლს მიაქვს, ვითომ ერთი საღამოთი გეთხოვებიან და დიდი მადლობა უნდა გადაუხადო, ერთი თვის მერე თუ დაგიბრუნეს. ძალიანაა ეს თამაში გავრცელებული სიღნაღშიც. წვეულება ხომ, უიმისოდ, წარმოუდგენელია. "კულტურულობად" ითვლება. ყოველ შემთხვევაში, წერა-კითხვა მაინც უნდა იცოდე, თამაშში რომ ჩაერთო. მაგრამ უფრო დიდი უბედურება ისაა, პოეტობა რომ უნდა ყველას, ყველას პოეტი ჰგონია თავი, როგორც კი ფანქარს აიღებს ხელში. ომმა მართლა გაამრავლა პოეტები, იმიტომ, რომ ძირფესვიანად შეარყია ადამიანის გული და გონება, დაუფეთა ოფოფები. ისეთ რამეებს ჩაამატებენ ხოლმე, რომ განახათ, გული მოგიკვდებათ. გარჩევაცა ჭირს - ზოგს ხელი სრულებით არ უვარგა, ეტყობა, ახალი ნასწავლი აქვს წერა, ზოგი კი განგებ, სილამაზისთვის, თავის გამოსაჩენად ახუჭუჭებს ასოებს. ნიკოანთ "ყვავილნარში" ძირითად ტექსტს უკვე ჩამატებული სჭარბობს. ნეზაბუდკა: ჩვენ ბოდიში, ფეხსაცმელი ხომ არ გიჭერთ, ანდა, კიდევ უარესი: რამაშკა: (ქართულად აღარ კადრულობს, ვითომ, ძაااალიან კულტურული ვარო). ქალბატონო ევა, სადაც მეტყვით შევალ. პოეტობა პოეტობად და, თუ ვინმემ უნდა თქვას კაცი ვარო, ამის დამწერმა უნდა თქვას პირველ რიგში. ქინქლა არ ეტყვის კოღოს. ცალტვინაანთ სერგოსი არ იყოს, ვეღარ გაიგებთ, რა ამბავია, რა ხდება. არაფერი არ ხდება ისეთი, რაც უთვალავჯერ არ მომხდარა და უთვალავჯერ არ მოხდება კიდევ, ვიდრე ამქვეყნად კვდება და იბადება ადამიანი. როგორც ბუნებაში დღეს ღამე ენაცვლება და პირიქით, ასევე ადამიანის ცხოვრებაში ამაღლებას დაკნინება მოსდევს, განათლებას გამოტვინება, გაკეთილშობილებას გაპირუტყვება... და ასე იქნება სულ, რადგან სული ერთნაირად ტკბილია, გინდა გაადამიანებული მხეცი იყავი, გინდა გამხეცებული ადამიანი. სამაგიეროდ, ყველას უყვარს სხვის კუბოსთან ფუსფუსი - აბა, ეს არ გამოგვრჩეს და აბა, ისაო - მაგრამ გვამის აყროლებამდე, ვიდრე სუნს აუშვებდეს. იმიტომაც წააყრიან ხოლმე მაშინვე მიწას, მიწაში ჩატკეპნიან ღრმად, ღრმად, რაც შეიძლება ღრმად, როგორც თვალიდან შორს, ისევე გულიდან. გალია ყველა ერთია, ოქროსი იყოს, გინდა ხისაო. ერთ ცხვარსაც მწყემსი უნდა და ათსაცო. დარდს მოგცემ, დარდს დაგავიწყებო. კაცისთვის თამაშობა, თაგვისთვის სულთაბრძოლაა. ერთმა ღორმა ჯავახეთი ამოაგდოო, მაგრამ საინტერესო არ არის, ვინ არის ის ერთი "ღორი", ანდაზად რომ დარჩა ხალხში?! სანთელი ქვეშ არ გაინათებსო. არც არაფერი სჭირს სანთელს ქვეშ გასანათებელი. აი, ზოგიერთ ადამიანს კი არ აწყენდა ქვეშიდან განათება. ბევრი რამე გამომზეურდებოდა, საგულდაგულოდ გადამალულ-მიჩქმალული. სანთელი ისაა, რაცაა. იწვის და ანათებს. სხვებს უნათებს, თვითონ დნება, ქრება. ტყუილად კი არ ამბობენ კარგ ადამიანზე, სანთელივითაა. მარგალიტას უთხრა ერთხელ მღვდელმა, სანთელივით ქალი ხარო, მადლსა შვრები, ბრმებს რომ პატრონობო. მაგრამ

www.Litklubi.ge

მარგალიტა, რატომღაც, გაუბრაზდა - ეს სიტყვები ჩემს ქმარს უფრო ეკუთვნისო. მართლა თუ რამე ძალა გაქვს, იმაზე ილოცეო. ნიკო და ვალო ბადალაშვილი შემთხვევით შეესწრნენ იმათ ლაპარაკს - სკოლიდან გამოპარულები, ეკლესიის უკან ისხდნენ, კედლის ძირში, და მზეს ეფიცხებოდნენ. ჯერ გაიტრუნენ, მაგრამ მერე ისეთი რამე მოისმინეს უნებურად, გამოჩენისა უარესად მოერიდათ. მარგალიტა ტიროდა კიდეც (ყველაზე მეტად ამან გააოცა და შეაშფოთა ნიკო). კარგი, ქალო, გეყოფაო - ამშვიდებდა მღვდელი. მარგალიტა კი ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ, ჩემს ქმარზე ილოცე, ყველაზე ცოდო ის არისო, თქვენ ხომ არ იცით, რა სანახავია, ბრმა რომ ტირისო. სიზმარში ეგონა ნიკოს თავი, გაოცებული შესცქეროდა ვალო ბადალაშვილს და, ტუჩებზე თითმიდებული, ანიშნებდა, არ გაინძრე, ხმა არ ამოიღოო. არასოდეს არ მოუსმენია მარგალიტასგან მსგავსი რამ. მარგალიტა, რასაც ყვება, სიცილით ყვება. სხვებს ამშვიდებს და ამხნევებს იქით და იმის გულში ჩაუხედავი, ვერც იფიქრებს, როდისმე, რამე საწყენი და სადარდელი თუ შეხვედრია ამ ლამაზსა და მხიარულ ქალს. თავის თავგადასავალსაც სიცილით უყვება სხვებს, თითქოს, რაც თავს გადახდენია, ყველაფერი ერთნაირად სასაცილოა. სხვათა გასართობადაა გამიზნული და არც იმის სულში ტოვებს კვალს, არც იმის სახეზე. არადა, კარგად რომ ჩაუკვირდეს კაცი, ერთი, ჩვეულებრივად უბედური ქალია ისიც. ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილა, ძმებს რომ გაუთხოვებიათ ვიღაც სიღნაღელ ფოტოგრაფზე. მოუშორებიათ თავიდან. ხან ერთი რძალი დაუკაკუნებდა თურმე იატაკზე ქოშს, ხან მეორე. თვითონ კი იმაზე ეცინება, ისიც რომ არ სცოდნია ჯერ წესიერად, რატომ უნდა დაწოლილიყო ლოგინში ვიღაც უცხო კაცთან ერთად. ის ფოტოგრაფი ჯიბიდან გავარდნილი გარეწარი აღმოჩენილა ბოლოს: ჩუმად უღებდა თურმე მარგალიტას სურათებს და მერე, დუქან-დუქან, ბაზარ-ბაზარ, ვაგონ-ვაგონ ყიდდა, ვიდრე ციხეში არ უკრეს თავი. მარგალიტას კი იმაზე ეცინება, ძალიან გრძელი ფრჩხილი რომ ჰქონია იმას ნეკა თითზე და მარილსაც იმით იყრიდა თურმე კერძში და ყურსაც იმით იჩიჩქნიდა. თავად მარგალიტა ვექილს გადაურჩენია, გაუმართლებია, ქმრის თუნდაც ბრმა თანამზრახველად კი არა, ქმრის სიხარბისა და გარყვნილების მსხვერპლად გამოუყვანია და ისე შესულა როლში, მთელი დარბაზი უქვითინებია, მოსამართლიან-მსაჯულებიანად. მოკლედ, როგორც მარგალიტა იცინის, იმდენი უომია, ვიდრე მარგალიტას ქმარი ციხეში არ გაუშვია, თავად კი, ქმრის მაგივრად, არ შესწოლია მარგალიტას ლოგინში?! ხელით იყო შესანახიო - იცინის მარგალიტა. - უჩემოდ ჩაისაც ვერ დაიშაქრავდაო. სიღნაღში რომ მოუწევდა ჩამოსვლა, ისევ რომელიმე პროცესზე, აუცილებლად მარგალიტასთან ჩერდებოდა თურმე, როგორც "საკუთარ ოჯახში". ერთი პირი საცვალი, საშინაო ფლოსტები და კბილის ჯაგრისი მარგალიტასთან ჰქონია დატოვებული. მაგრამ ერთხელ ცუდად გამხდარა და სასწრაფოდ გაუქცევია მარგალიტა ფოსტაში, ჩემს ცოლს შეატყობინე, ჩამომაკითხოსო. მარგალიტა კი იმაზე იცინის, არ ვიცოდი, ვისი სახელით გამეგზავნა დეპეშა, ჩემი თუ იმისიო. ამდგარა და, ჩვეულებისამებრ, ისევ ძია სანდროსთვის უკითხავს, როგორ მოვიქცეო. ძია სანდროს შესჩიოდა თურმე თავის ჭირ-ვარამს. სხვა არავინ ჰყოლია ახლობელი, გულშემატკივარი. ძმები იმის ამბავსაც არ კითხულობდნენ თურმე. ძია სანდროს წყლით სავსე თითბრის ჯამი ედო მაშინაც მუხლებზე, შიგ პურს აწებდა და უსმენდა. არაფერს მეუბნებოდაო - იცინის მარგალიტა - თითქოს, მაინცდამაინც ჩემით უნდა მივმხვდარიყავი, იმის იქით გზა რომ არ მქონოდაო. ხოდა, მიხვედრილა კიდეც. ერთხელაც მისულა და უთქვამს: რაღა შენს დაგრეხილ თოკს დავეკიდო, ბარემ შენ დაგეკიდები კისერზეო. ძალიან კარგი, მაგრამ ამდენი ხანი მართლა რად უნდა ერთი ბოთლი ღვინის ყიდვას?! აქამდე ათჯერ მობრუნდებოდა კაცი, არათუ ღვინის სარდაფიდან, არამედ, ნუკრიანელი მათუსალას "დუქნიდანაც". აი, იქიდან კი მართლა ძნელია თავის დაღწევა. თუ შეცდი და მოიკითხე კიდეც, გათავდა, აღარ მოგეშვება - რატომ მეკითხები, რამეს ხომ არ მატყობ ცუდსაო. მეტი რაღა უნდა შეეტყოს, ცას ხომ არ გამოეკერება?! ვინცა ჰყავდა ახლობელი, ყველა ინაცვალა. დედ-მამის სახელებიც აღარ ახსოვს. შარვალს მაშინ ჩაიხდის ხოლმე, როცა უნდა აიწიოს. თუ ეტყვიან, ბრაზდება, არ სიამოვნებს. შენმა მზემ და შენმა თავის გახეთქვამ. დააკუტებს, დაადამბლავებს, ღრანჭს მოუქცევს სიკვდილი, მაგრამ ბოლო წუთას მაინც სხვას წაიყვანს იმის მაგივრად. თითქოს ჯერ კიდევ არ ამოუღია იმას, ვინ იცის, როდის

www.Litklubi.ge

ჩადებული თავნი. და ისიც ზის ღრანჭმოქცეული, კარღია ოთახში, დუქანი რომ ჰგონია თავად და ობობის მოთმინებით ელოდება არარსებულ მუშტარს. აგეეე, თუ აღარ შეიძლება ვაჭრობაო - ჯოხს მიუშვერს ხოლმე ნიკოლოზისდროინდელ ღერბიან ქაღალდს, სურათივით ჩარჩოში ჩასმულსა და კედელზე დაკიდებულს. არაფერი არ იცვლება იმისთვის, არაფერი არ მოქმედებს იმაზე. მინამ პირში სული მიდგას, მინამ პირში სული მიდგას - ჩიფჩიფებს თავაცანცარებული. "დახლზე" ძველისძველი (გასული საუკუნისა) კიდეებგადაქექილი ალბომი უდევს, ოღონდ, სურათების ნაცვლად, შიგ ისეთივე ძველისძველი გაზეთებიდან ამოჭრილი სარეკლამო განცხადებები ჩაუწებებია. თუ გინდა, დაათვალიერე, არ დაგიშლის. პირიქით, ეამაყება, მოსწონს, ვიღაცა რომ ათვალიერებს იმ ალბომს - იქნებ მუშტარია?! - ზის, თავს აცანცარებს, ტუჩის სველ კუთხეში ეშმაკური, დამცინავი ღიმილის ძლივსშესამჩნევი ნაშთი უჭიატებს და შემოგცქერის ამოწითლებული, წყალჩამდგარი თვალებით, თითქოს სინამდვილეშიც აქვს, რაც იმ ალბომში სწერია და ახლა შენ გელოდება, რას აირჩევ და რამდენს. კი ბატონო, მშვიდად ნახე და მშვიდად აირჩიე, გინდა კოლონიური საქონელი, გინდა ქიმიური და გინდა სააფთიაქო - საუკეთესო თვისებებისა. იქნებ, სადეზინფექციო, ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი წამლები გნებავთ, პატენტოვანი? ანდა, მრავალგვარი და მრავალფერი საპირფარეშო სამკაული, თმისა და თვალ-წარბის საღებავი, პარფიუმერია - კოსმეტიკა?! გვაქვს ყოვლად გაუმჯობესებული, დიდძალი ლითონის ფირფიტაც - რუსთა, ქართველთა, სომეხთა, თათართა, სპარსთა, ოსმალთა, პოლონელთა, ფრანგთა, ინგლისელთა, გერმანელთა და სხვათა სახელგანთქმულ მომღერალთა. აირჩიეთ, რომელიც გნებავთ. ოღონდ, არჩევისას, ძალიან გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ჩვენს საფაბრიკო დამღას: "მწერალი ანგელოსი" (ჰმ, ჰმ...), ურომლისოდაც ფირფიტა ყალბი იქნება უსათუოდ. მაგრამ თუ პირის გემო იცით (თუკი შეგრჩათ), მაშინ, აქეთ მობრძანდით. მუდამ ჟამს იშოვება საუკეთესო და ახალი (ჰმ, ჰმ...) დოში, თართი, იანი, ჭიპა ორაგული (დონისა და ქართული), თევზეულობის ყველანაირი კონსერვი და ყველანაირი ხიზილალა. ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია. ყოველგვარ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ და სინდისიერად (ჰმ, ჰმ...). თავად კი, ასეთი რეკლამების შემდეგ, სამი-ოთხი ნაჭერი, გამხმარი სკინტლის მაგვარი, კევი უგდია პირმოტეხილ ჭიქაში, ბინძურ, ვინ იცის, რამდენი ხნის გაურეცხავ თეფშზე დამწინლებული (უფრო - დამპალი) ნივრის თავნახევარი უდევს, ჯიბისხელა პარკის ძირზე ერთი მუჭა მოუხლელი მზესუმზირა უყრია და... ვაჭრობს. მაინც ვაჭრობს, მიუხედავად ყველაფრისა. ვაჭრობის ჟინს იკლავს. ვაჭრობას თამაშობს, ბავშვობაში გადავარდნილი, და სრულებითაც არ არის გასაკვირი, რადგან "ვაჭრობაღა" შეუძლია მხოლოდ, ანუ, კარგამოღებულ ოთახში ჯდომა და არარსებული მუშტრის ლოდინი. კაცი რომ ბერდება, ბავშვდებაო, თითქოს ბავშვობა გამოშტერებას ნიშნავდეს. ხოდა, ისიც დღითი დღე უფრო ბავშვდება, თამაშის ხალისიც ემატება. სალაპარაკოდ თუ ჩაგიგდოთ ხელში, აღარ გაგიშვებთ. მაგრამ პაპა რატომ უნდა ასულიყო ნუკრიანში?! აბა, სად არის აქამდე?! ბრმათა შორის ცალთვალიო, ვით პირველი სარდალიო. სიტყვით - ვაიმეო, საქმით - სხვაიმეო. ჯავრის დედა ბოზია: აქეთაც წავა და იქითაცო. ფული გზას იწალდავსო. ფული, ფული და ფული. სულ ფულზე ფიქრობს ადამიანი და იმიტომაც ვერ შოულობს. ანდა, თუ შოულობს, ეკვლევინება. ფერი ლალისა, გემო წყალისაო - სარდაფიდან მოტანილ ღვინოზე ამბობს ასე პაპა. ბებია კი ეჩხუბება: თუ ვაუკაცი ხარ, იქ გეთქვა, აქ რომ იცინიო; შეტყობა თუ იცი, რაღაზე ატყუებინებ თავსო. ხოლო, პაპა დროულად თუ არ გაუჩუმდა, შეიძლება, იმის შორეულ წარსულსაც გადასწვდნენ, ერთ ბოთლ წყალღვინოზე ჩამოვარდნილი სიტყვა გაიწელოს, გაიწელოს და ისიც კი დადგინდეს, პაპის მორიდებულობის, გაუბედაობისა და მშიშრობის ბრალი რომ ყოფილა, თუკი მათი ერთი ქალიშვილი სადღაც ბათუმშია გადაკარგული, მეორე კი შინ უზით. ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს. ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს. პაპა კი უკვე ამოსული იქნება ალბათ სარდაფიდან. ამდენ ხანს რა გააჩერებდა იქ, თუკი, რა თქმა უნდა, ის არ შეემთხვა, რისიც ყველაზე ძალიან ეშინია და რის გამოც აგზავნის ხოლმე ნიკოს, თავის მაგივრად, ღვინოზე - ვიღაცამ დაპატიჟა ალბათ ერთ ჭიქა

www.Litklubi.ge

ღვინოზე და სიმწრის ოფლი ასხამს ახლა, არ უყვარს, არ შეუძლია მშიერ კუჭზე ღვინის დალევა, თანაც ზეზეურად, ცხენივით, მაგრამ ვერც უარი უთქვამს, ერიდება, პატივი სცეს, დააფასეს, მერე რა მოხდა, თვითონ თუ არ უყვარს და არ შეუძლია, სამაგიეროდ, დამპატიჟებელს უყვარს და შეუძლია კიდეც. შენ კი უნდა იტანჯო, იმიტომ, რომ დაგაფასეს, პატივი გცეს, ჭიქა მოგაწოდეს... და კიდევ იმიტომ, უარის თქმა რომ არ შეგიძლია არაფერზე, ვერავის რომ ვერ აწყენინებ. მაგრამ, გინდაც დაეპატიჟნათ, აქამდე მაინც დაიღწევდა როგორმე თავს. ერთხელ ნიკოს დაუსხლტა იმ სარდაფის კიბეზე ფეხი და, ცოტას მორჩა, უკანვე ჩაგორდა ბოთლიანად. "ნელა ბიჭოო - დაუძახეს ქვემოდან, ღვინის სუნით გაჟღენთილი ბინდიდან - ჩვენა ვსვამთ და შენა თვრებიო". პაპაც მოდის უკვე. მოაკონწიალებს სავსე კვარტიანს. თან რცხვენია, ერთი ბოთლი ღვინო რომ მოაქვს. ისეთი რაღაცებისა რცხვენია, სიბრაზისგან გული გაგისკდებათ. რცხვენია, ვინმემ არ დამიძახოს, დასალევად მიგაქვს ეგ ერთი ბოთლი ღვინო თუ პირში გამოსავლებადო. ნიკო სხვაა, ნიკოსთვის შეიძლება, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ ბავშვია (რასაკვირველია, იმის წელთაღრიცხვით). თუ უფროსისთვის ერთი ბოთლი ღვინის ყიდვაა სათაკილო (ესეც, რასაკვირველია, იმის შეხედულებათა მიხედვით), ბავშვმა, პირიქით, ერთ ბოთლზე მეტი არ უნდა დაიჭიროს ხელში. მოდის, მოაკონწიალებს კვარტიანს, ვითომ, არხეინად, ვითომ, გინდაც გამივარდეს, არაფერი დამაკლდებაო; შიგნით კი, გუნებაში, ერთიანადაა დაძაბული, აგანგაშებული, მართლა არ გამივარდეს ბოთლი ხელიდანო. მაგრამ უფრო ის აწუხებს, ვინმემ არ დაინახოს, ვინმემ არ თქვას, ვინმემ არ იფიქროს, როგორ წამხდარაო, ცხოვრებას როგორ დაუმარცხებიაო, როგორ შესციცინებს ამ ერთ ბოთლ ღვინოს, როგორი დიდი ამბით მოაქვს, ბავშვის წამალივითო. ღვინო მაინც იყოს! ფერი ლალისა, გემო წყალისა. კასრის ნარეცხი. ენები, იცოცხლე, მართლაც დალესილი აქვთ აქაურებს. ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი დგანან დუქნის, გარაჟისა თუ სადალაქოს წინ, თითქოს, ეს წუთია, გამოსულან იქიდან და ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, უკანვე შებრუნდნენ, თუ სხვაგან (კი მაგრამ, სად?) წავიდნენ სადმე. რა უნდა გამოუჩნდეთ უკეთესი გასართობი?! ცხოვრებისგან მათსავით გალახული, მაგრამ მათზე უფრო ამაყი, უფრო თავმომწონე (თუნდაც, უფრო მორცხვი) კაცი, ერთ ბოთლ ღვინოს მოაკონწიალებს ქუჩაში, ვითომ, არაფრად არ სჭირდება, ანდა საჭაშნიკოდ მოაქვს - თუ მოეწონება, ას ბოთლს მაინც იყიდის ამ ღვინისას - ეგდოს სახლში, რა იცი, რა დროს დაგჭირდება. იქნებ, სულაც შვილიშვილის შარდი მიაქვს პოლიკლინიკაში გასასინჯად?! მართლა, ე! შვილიშვილი ხომ ავადა ჰყავს, აი, ბათუმელი ავარა. როგორ არის, კაცო, ბიჭი? მართალია, ეგეც იქ იყოო?! კარგად არის, კარგად. სტამბულის კაჟივით, - უცინის პაპა. მაგრამ რაც ხმამაღლა ვერ უთქვამს, იმას თავისთვის ამბობს გუნებაში: რა მოხდა, თქვენები ავად არ ხდებიან?! შარში ხომ არ უნდა გამხვიოთ, ყაჩაღებთან რა ხელი აქვს ჩემს შვილიშვილს, ან იმ თითისტოლა ღლაპს რომელი ჭკუათმყოფელი ყაჩაღი გაუყადრებს თავს?! ენა უძვლოა, ყველაფერს იტყვის, მაგრამ თქვენც კი არ უნდა დაუჯეროთ ყველაფერი იმ მამაძაღლ ნასყიდას. აკი თვითონვე დასცინით! თუ დასცინით, რაღას უსმენთ, თუ უსმენთ და, რაღას დასცინით, თქვე დალოცვილებო?! იცით, ჩემზე რას ამბობს?! გულზე დაადგეს ჩემი ღვინო. თუმცა, ჩემზე კარგად იცით ალბათ, რასაც ამბობს. ხოდა, ილაპარაკოს, სანამ არ მოსწყინდება. ბავშვს კი თავი გაანებოს, ჩემს ბავშვს თავი გაანებოს-მეთქი, მითქვამს! უკეთესია პატარა ცეცხლმა გამათბოს, ვიდრე დიდმა დამწვასო. მაგრამ მაინც ვერ გაიგო ნიკომ, როდის შემოვიდა პაპა. მერე დააჭყიტა თვალები, ბებიამ რომ ჰკითხა იმას, ბიჭს რატომ არ დაელაპარაკებიო.

- აბა, რო სძინავს?! - თქვა პაპამ და ნიკომაც ისევ დახუჭა თვალები, უნებურად, თითქოს პაპის გასამართლებლად.

- არ სძინავს. ასე წევს, თვალდახუჭული. - აუხსნა ბებიამ.

www.Litklubi.ge

სავსე კვარტიანი კი უკვე მაგიდაზე დგას. პაპა, ქუდიანად, პალტოიანად, ჩაცუცქულა ღუმელთან, გავარვარებულ, გამოწითლებულ გვერდზე გაფარჩხულსა და ოდნავ მოღუნულ თითებს უკაკუნებს და ამბობს: მეორედ მოსვლაა, ხალხნო, წაიღო ქარმა ქვეყანაო. მაგრამ თვალები მაინც ეშმაკურად უციმციმებს. კმაყოფილია - ქარს გადაურჩა, თანამოქალაქეთა დამცინავ გულითადობასაც, შინ ცეცხლი უნთია, ღვინოცა აქვს, პურიც... მაგრამ უცებ შემცბარი წამოდგება, უკან იხედება, ბებიისკენ და შეწუხებული ხმით ამბობს:

- მწინილი?! მწინილი რატომ არ ამოგიღიათ აქამდე?!

- მაგიდაზე დგას შენი მწინილი, - პასუხობს ბებია და მართლაც, კვარტიანის გვერდით, მთელი მათლაფა მწინილი დგას.

www.Litklubi.ge

მწნილის დანახვაზე ნიკოსაც ნერწყვით ევსება პირი, თუმცა, მაგიდაზე აღარც კვარტიანია, აღარც მწნილით სავსე მათლაფა. ეტყობა, ეს უკვე სხვა დღეა, ქარი კი ისევ ძველებურად უბერავს. ხატის წინ ბებიას სანთელი აუნთია. სანთელი ჩუმად, მშვიდად იწვის თავისთვის. ხანდახან სუსტად გაიტკაცუნებს და საკუთარ ჩრდილს დააფეთებს კედელზე. პაპა სკამზე ზის ღუმელთან, კალთაში შეშის ნაპობი უდევს. ბებია დეიდის დამის პერანგს აუთოვებს და მოულოდნელად ამოისლუკუნებს ხოლმე. უცრემლოდ ტირის. ქალიშვილის ბედს დასტირის. ეცოდება, გაუთხოვრად დაქვრივებული. ყველაფერში გამორჩეული, ყველაფერზე გულდაწყვეტილი. არც მაღალქუსლიანი ფეხსაცმელია იმისთვის. არც პუდრი და პომადა. მაგრამ ვერც აშკარად უტირია, კიდევა აქვს იმედი და ეშინია, ღმერთმა არ უწყინოს ცოცხლის გლოვა. ის რომ ამოისლუკუნებს, პაპაც მაშინვე გახედავს ხოლმე, შეშფოთებული. იცის, ესმის, ხვდება. სხვა მხრივ, საყდრული მყუდროება დგას და უცებ მართლაც საყდარში გეგონება თავი. ნიკოს უყვარს საყდარში შესვლა, მაგრამ მარტო, რატომღაც, ვერ ბედავს, რცხვენია, ერიდება, და დეიდას მიჰყვება ხოლმე. თუმცა არც დეიდას ერიდება ნაკლებად, იმასაც უკან რჩება ფეხები, აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, ქურდბაცაცასავით, თითქოს ვიღაცა უთვალთვალებს შორიდან. "მე არა მწამს არაფერი, სოსოს გულისთვის მოვდივარო" - იტყვის ხოლმე საკმაოდ ხმამაღლა, თითქოს გამომწვევადაც, ალბათ იმ ვიღაცის გასაგონად. უკანასკნელად შობის წინ იყვნენ, სანთლები აანთეს, ქრთამი მიუტანეს ღმერთს, პატარა, უმნიშვნელო, იაფი. მაგრამ სავალდებულო - ჯოჯოხეთს ანათებს. სანთლის მკრთალი გამონაშუქი თაღიდან ჩამოშვებულ ჯაჭვზე ლიცლიცებდა. იმ ჯაჭვზე ალბათ ჭაღი ეკიდა ადრე, ახლა კი უმიზნოდ ჩამოშვებულა თაღიდან, მერცხლებისა და დამურების სკინტლით ჩამოთეთრებული, ზედმეტი, უმაქნისი, ვერც ვერავის დააბამთ იმით. ნიკო დაბნეული და, ცოტა არ იყოს, შემცბარი ათვალიერებს, მეზღვაურებივით, დასვირინგებულ წმინდანებს - რაღა არ აწერიათ, სადღა არ აწერიათ - მაგრამ მაინც ურყევი, შეუვალი, შეუბღალავი სიმშვიდითა და მოთმინებით იყურებიან იქითკენ, საითაც კედელზე აღბეჭდვისთანავე გაიხედეს. "აქ ერთი კარგი ხატიც გვქონდა, მაგრამ თბილისში გავაგზავნეთ, კათალიკოსთანო" - უთხრა ნიკოს მღვდლის გოგომ (ვინ იცის, ახლაც გზაშია). მღვდლის გოგო წარამარა ძუძუს ქვეშ ისვამდა ხელს, ალბათ ლიფი უჭერდა. ნიკოს მზერა რომ იგრძნო, გამოხედა და სულელურად გაუღიმა. ნიკომ კი სასწრაფოდ აარიდა თვალი. ტანმორჩილი გოგოა, ხორციანი. ზამთარ-ზაფხულ უმკლავებო შალის ჯემპრი აცვია. თეთრად უქათქათებს მსხვილი, მოკლე მკლავები. ამბობენ, ნესვა სრისავს ღამღამობით ეკლესიის უკანო. მაგრამ, რომ არა თქვან, ის უნდა გაგიკვირდეთ სიღნაღში. დეიდა სანთლის წინ იდგა და რაღაცას ელაპარაკებოდა უხმოდ, პირის გაუხსნელად, ბებიასავით მარტო ტუჩები უთრთოდა ოდნავ, მჭიდროდ მოკუმული. ალბათ ისევ იქ იყო, წნორში, აკაციის ყვავილის სუნით გაბრუებულ ორღობეში, თავის თავგადახოტრილ სოსოსთან და ძაღლთან ერთად. ამ დროს, სად იყო და სად არა, გიჟკოლა შემოვიდა, მკერდმოღეღილი, მხარზე ბარგადებული. "რამდენჯერ გითხარი, აქ ბარით ნუ შემოდიხარ-მეთქი" - დაუტატანა საიდანღაც მოულოდნელად გამოსულმა მღვდელმა, მაგრამ გიჟკოლამ ყურიც არ ათხოვა, პირდაპირ იმისკენ დააღირა თავი, ლაპარაკ-ლაპარაკით: ერთი, გამაგებინე, როდის აქეთაა, მამის ხათრი და პატივისცემა სიგიჟედ რომ ითვლებაო. მღვდელს ჯვართან და ოლართან ერთად გადახვეული ანაფორა იღლიაში ამოედო და ჩვეულებრივ სიღნაღელ ხელოსანს ჰგავდა, რომ არ გცოდნოდათ ვინ იყო, იფიქრებდით, ისიც სხვებივით, სანთლის ასანთებად, ანდა, ისე, უსაქმურად, აქაურობის დასათვალიერებლად შემოსულაო. "რა გინდა, კოლავ, ჩემგან, თავი ხომ არ უნდა მომაკვლევინოო" - შეევედრა გიჟკოლას. "გინდა გითხრა, გიჟი ვინ არისო" - არ მოეშვა გიჟკოლა. მაგრამ მღვდელი სასწრაფოდ გავიდა საყდრიდან და მხარზე ბარგადებული გიჟკოლაც უკან მიჰყვა. ასე რომ, ნიკომ ვერ გაიგო, ვის თვლიდა გიჟკოლა გიჟად.

"ჩემი უბედური შვილებიო" - თქვა უცებ ბებიამ და გაუთოებული პერანგი შუაზე გაკეცა. პაპამ მაშინვე გახედა, შემკრთალ ცხოველივით დაცქვეტილმა. ცოტა ხანს ასე უყურა და მერე წაიმღერასავით:

ჯვარი მწყალობს ჯვარცმული,

www.Litklubi.ge

ჯვარი პატიოსანი,
მწყალობს წმინდა გიორგი,
ვერას მიზამს მაცდური.

ბებიამ თავი გადააქნია, ბავშვის სისულელეზე რომ გადააქნევს უფროსი თავს, და უთხრა: არ ღირდა ჩვენი ცხოვრება ამდენ გულისხეთქვადო.

- ახლა ჩემს წარსულსაც გადაწვდება. - მიუბრუნდა პაპა ღუმელს, თითქოს თეატრში მოყვანილ ბავშვს წინასწარ უხსნიდა, რა მოხდებოდა, რას რა მოჰყვებოდა სცენაზე. ანდა, თითქოს ღუმელი დაუდგებოდა ქომაგად და ასევე წინასწარ აცნობდა, ძირითადად, რა საკითხებზე იკამათებდნენ ისა და ბებია.

მუხლებზე შეშის ნაპობი უდევს, თეთრი, ნუურიანი, და გამალებული ათამაშებს ზედ თითებს. შეშის ზუსტად ისეთივე ნაპობები ღუმელის ქვეშაც აწყვია. "ღამით, სიცივეში, გაცილებით ადვილია სიკვდილი, ვიდრე დღისით, სითბოშიო" - რატომღაც, გაიფიქრა ნიკომ. ალბათ უეცრად ჩამოვარდნილი დაძაბული დუმილის გასანელებლად.

- გადაწვდებაო?! გადავწვდები და მეტსაც ვიზამ. - გაბრაზდა ბებია. - რა სანაქებო წარსული კიდევ შენა გაქვს?!

გაბრაზებული იქამდეც იყო, მაგრამ მიზეზს ეძებდა, ბრაზის გადმოსანთხევად. პაპა წუხს, წრიალებს, გამალებული ათამაშებს თითებს შეშის ნაპობზე.

- გაჩუმდი, ადამიანო, ხომ იცი, კედლებსაც ყური ასხიათ. - ეუბნება ღიმილით, ვითომ ხუმრობით.

- გავჩუმდე?! - უკვირს ბებიას. - კი მაგრამ, რატომ?! რას ვამბობ უსამართლოს?! ან იქნებ ჩემს სახლშიაც არ შემიძლია სიმართლის თქმა?!

ისეთი სახე ადევს, ეტყობა, მართლა იცის სიმართლე, მაგრამ არ სჯერა, სხვებსაც თუ გააგებინებს და ამიტომაც ბრაზობს ასე. ძია სანდრო ამბობს, ხანდახან მეც მომინდება ხოლმე სიმართლის თქმა, მაგრამ რაც არ ვიცი, რა ვთქვაო. ბებიამ კი იცის და ამბობს კიდეც. "გაჩუმდიო" - ეხვეწება პაპა. "იქნებ ტყუილს ვამბობო" - ჯიუტობს ბებია. მერე ცოტა ხანს ჩუმდება, ცრემლს უძალიანდება ალბათ, ცრემლის გადავლას ელოდება და თითქოს დამცხრალი, თითქოს დამშვიდებული აგრძელებს: მიადგებოდა საწყალი მამაჩემი თავისი ვენახის ღობეს და ტიროდა, ტიროდა, ცერისსიმსხო ცრემლი ჩამოსდიოდა ლოყაზე, თითქოს ერთიანად ამოწყვეტილ ოჯახს დასცქერისო. რა გატირებს, მამი, რა გატირებს- მეთქი, მომერღვეოდა ხოლმე გული იმისი საცოდაობით. ის კი, გაკვირვებული გამომხედავდა, რადა რა მატირებს, მეტი რადა უნდა დამემართოს, საკუთარ ვენახშიც არ მიშვებენ, ყუნწზე ლპება ნაყოფიო. შენ კი იმათ დასაცავადდ თოფი აიღე ხელში. სად შენ და სად თოფი! - ბრაზდება ისევ.

- რა დიდხანს კიდევ მე ის თოფი მეჭირა, - ყალბად იცინის პაპა, დაძაბული, აწრიალებული. სრულებითაც არ ეცინება, მაგრამ იქნებ, ასე უფრო შეანელოს ცოლის სიბრაზე - დათმობით, დაყვავებით.

- მერე კიდევ, - აგრძელებს ბებია, ისევ თითქოს დამცხრალი, თითქოს დამშვიდებული. - მერე კიდევ, თუ რამე გვქონდა, ჩვენი სიღარიბისა, ფეხსადგილში ჩაჰყარე, თითქოს მაინცდამაინც შენი ჯავრი სჭირდათ ბოლშევიკებს, თითქოს მაინცდამაინც შენს ჟანგიან ქამარ-ხანჯალზე დაფეთდებოდნენ.

www.Litklubi.ge

მართალს ამბობს, მაგრამ, მაინცდამაინც არც თვითონ უსახელებია თავი, ბევრი ვერაფერი გადაურჩენია იმდროინდელი: ჩიხტაკოპის ქინძისთავები და ბავშვის ნეკისხელა ჯვარი, ოქროსი, სწორედ ის ჯვარი, ამ ზამთარს, ერთ ფუთ ხორბალზე რომ გადაცვალეს და, ცოტას მორჩა, შეეწირნენ იმის დაფქვას ნიკოცა და პაპამისიც. ისეთი ქარიშხალი იდგა ხევში, ისე გაითოშნენ ორივენი, სული ძლივს მოათრიეს შინამდე. მაგრამ მთლად მართალი არ არის მაინც ნიკო, რადგან ახლა სიამოვნებითაც იხსენებს წისქვილში გატარებულ ღამეს. ღამის ბრალი იყო, სიცივისა თუ ძნელად მოსარევი თვლემისა, იმღამინდელი ყველაფერი ტკბილი სიზმარივით ახსოვს: ქვითკირის ჩამორღვეულ კედელთან მიყუჟული, ერთმანეთს მიხუტებული საპალნიანი სახედრებიც, რიგში ჩამდგარი ტომრებიც, თეთრად გადაპენტილი ხალხიცა და წისქვილის საამური, კიდევ უარესად რულის მომგვრელი გუგუნიც. ტომრებზე იყო მიწოლილი, ძილ-ღვიძილში ჩამთბარი, ჩამყუდროებული, სახეზე კი სასიამოვნოდ ეფინებოდა თბილი, ნოტიო, ფიფქივით გაფუყული ხრილი. პაპა, სხვა კაცებთან ერთად, წისქვილის კართან იდგა და თუთუნს აბოლებდა. გემრიელი მოწევა იცის - თვითონ უნდა გაახვიოს, გამზადებული არ უყვარს. თუთუნი და ქაღალდი ყოველთვის უდევს ჯიბეში. კოხტად, ზომაზე მოხევს ქაღალდს, თუთუნსაც ზომაზე დააყრის, ხელი მიჩვეული აქვს, არც მეტი ამოჰყვება ჯიბიდან, არც ნაკლები, ზუსტად, რამდენიც საჭიროა. დიდხანს ასორსოლებს, არბილებს, ამშვიდებს თითქოს. მერე გემრიელად გაუსვ-გამოუსვამს ენას, თითქოს თაფლიანი დანა გალოკაო. რომ არ ეწეოდეთ, ძალით მოგაწევინებთ. ხშირ-ხშირად გამოხედავდა ხოლმე, სძინავს თუ რას შვრება ის ბიჭიო. ნიკოს კი ქუთუთოები ერთმანეთზე მისწეპებოდა და თვითონვე ეცინებოდა, ვერაფრით რომ ვერ ახერხებდა თვალის გახელას. თან, მაინცდამაინც არც უნდოდა - თითქოს ისევ ბათუმში იყო და თეატრის ხავერდოვან სიწყნარეში იძირებოდა თავის მამიდაშვილებთან ერთად. იმათი საამური სურნელიც სცემდა. სამი მარჯვნივ ეჯდა, სამი - მარცხნივ. მამიდა ამბობდა ხოლმე, სიძე არ მინდა, კონსულზე ნაკლებიო. ბიძა კი იცინოდა. სად მოვაგროვოთ ამდენი კონსული ამ ძღინკიან ბათუმშიო. ძალიან ლამაზები კი არიან ის მაიმუნები - დადა, დოდო, ტატუ, ნია, მია, ნატული. სადმე რომ წავიდოდნენ, თუნდაც იმავე თეატრში, ერთნაირი კაბები უნდა ჩაეცვათ, თმაც ერთნაირად ჰქონდათ დავარცხნილი და ერთნაირად მიაჭრაჭუნებდნენ ღილიან ფეხსაცმელებს, წარბებაწკეპილნი, გაბუსუნებულები - გეგონებოდათ, წესიერების ანგელოსები ჩამოფრენილან ციდანო. ერთხელ, ვიღაც ხნიერმა კაცმა თითი გააყოლა და თქვა: თავს მოვიჭრი, ეგენი ტროცკისტის შვილები თუ არ იქნებიანო. შინ რომ მოყვნენ, ასე და ასე იყოო, ბიძა ავად გახდა, მთელი კვირა სველი ტილო ედო შუბლზე. მაგრამ ნიკოს მამიდაშვილებს ანგელოსებად გარეთ მოჰქონდათ თავი - მოვიდოდნენ თუ არა შინ, გამოიცვლიდნენ თუ არა საგარეო ტანსაცმელს, მაშინვე ისე დაერეოდნენ ერთმანეთს, თვითონვე ვერ გაერკვიათ, ვინ ვინ იყო (ნელა, მხეცო, გამისკდა ბუშტი!). მაინცდამაინც არც სწავლაზე იკლავდნენ თავს. სამაგიეროდ, დილიდან სადამომდე, პიანინოს გრიალი იდგა მთელს სახლში. ერთმანეთის ჯიბრით, ყველა უკრავდა და ისევ ერთმანეთის ჯიბრით, ყველას ერთდროულად მოუნდებოდა ხოლმე დაკვრა. იყო ერთი წიოკობა, თმის მოქაჩვა, მუჯლუგუნები. ერთი გრძელი სახაზავი ჰქონდათ და იმით დაედევნებოდათ ხოლმე მოთმინებიდან გამოსული მამიდა. მაგიდის გარშემო დარბოდნენ დიდ ოთახში. მთელი სახლი კარუსელივით ტრიალებდა. წინ ისინი, უკან მამიდა, სახაზავმომარჯვებული. გრძელი, დრეკადი სახაზავი ჰაერში შხუოდა. წინ მამიდა, უკან ისინი. შემოსწრებული კაცი მართლა დაიბნეოდა, ვერ გაარკვევდა უცებ, ვინ ვის მისდევდა. ბიძა კი იცინოდა: ერთი კონსული ზის ბათუმში და იმასაც ნუ გააქცევთ, ნუ გაუხეთქავთ გულსო. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს წისქვილში ხდებოდა, სიღნაღის წისქვილში მეორდებოდა ბათუმური ამბები. იწვა ნიკო ხორბლით სავსე ტომრებზე და უაზრო, უსაფუძვლო, თავშესაქცევ სევდას ელოლიავებოდა, ეთამაშებოდა, როგორც ძაღლი - ძვალს, ვიდრე ხელში არ ჩაადნებოდა ისიც. მერე თავის გაბრაზებას ცდილობდა, რადგან ძალიან უნდოდა იმასაც თუთუნის გაბოლება და არ შეეძლო - ყველაფერი აკრძალულია ჩვენთვისო - იღვივებდა წედანდელ სევდასავით უსაფუძვლო სიბრაზეს, მაგრამ სიბრაზეც, ისევე როგორც წედანდელი სევდა, მხოლოდ სიამოვნებას გვრიდა, მხოლოდ ნეტარების,

www.Litklubi.ge

განცხრომის, უზრუნველობის შეგრძნებას უჩენდა და ისიც კიდევ უფრო ღრმად ეფლობოდა საკუთარი სხეულით გამთბარ ხორბალში.

"როდემდე უნდა გედოს ეგ შეშა კალთაში. გადაგეხეხა შარვალიო" - ეუბნება ბებია პაპას, უკვე მზრუნველი, მართლა დამშვიდებული, დამტკბარი ხმით.

www.Litklubi.ge

პაპა კი ზის, თავისთვის, ღუმელთან და, ვინ იცის, ისიც იმაზე ფიქრობს, ღირდა თუ არა ამდენ გულისხეთქვად მისი ცხოვრება. კალთაზე შეშის ნაპობი უდევს და ეფერება გრძელი, გამხდარი თითებით. მაგრამ თავისუფლად შეიძლება, ესეც უკვე სხვა დღე იყოს. გარეთ ქარი ზუზუნებს, მიაქვს ქვეყანა. რამდენი ხანია, თოკსაგრეხი ჩარხის ღრჭიალი აღარ გაუგონია ნიკოს. ამინდი არ უწყობთ ხელს, ჯერ არ შეიძლება ჩარხის გარეთ გამოტანა, ქარმა წაიღო ქვეყანა. რამდენი თოკიც არ უნდა დაგრიხონ, მაინც ვერ დააბამენ ქარს. ხეები რომ არა, მართლა წაიღებდა ქვეყანას. მარტო ხეები უწევენ წინააღმდეგობას. მარტო ისინი უბედავენ. აბა, ხალხი სახლებშია შეყუჟული, ელოდება, რა მოხდება, გაუმკლავდებიან ხეები ქარს, თუ ქარი მოთხრის ხეებს ძირფესვიანად. სამაგიეროდ, თუ გაუძლეს, როგორც კი ქარი ჩადგება, მაშინვე აფეთქდებიან, ათასფრად გადააბრიალებენ აქაურობას. არაფერი სჯობია აყვავებული ხის ცქერას, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. ადვილი შესაძლებელია, ბევრი ჩვენგანი ვერ მოესწროს. სამაგიეროდ, ხალხი ნამდვილად მოესწრება. ვანო მასწავლებელი ამბობს, ხალხი უკვდავიაო, სწორედ მარადიულობაშია მისი ძალა და ერთადერთი, რაც ევალება, სიცოცხლის შენარჩუნებააო, რადგან სიცოცხლის გარდა, ყველაფრის აღდგენა და დაბრუნება შეიძლება თურმე, ცხვარსაც მოაშენებ ხელახლა და ვაზსაც. პომპეუსები და ჰიტლერები მოდიან და მიდიან, ხალხი კი სულ უნდა იყოს - ამის გამო, რა თქმა უნდა, ბევრი დამცირებისა და სიბინძურის ატანაც უხდება, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ყოველგვარი ჭუჭყისაგან თვითონვე იწმინდება, ზღვასავით. სამაგიეროდ, ადამიანია მოკვდავი. არა მარტო ვირის, ძაღლისა და მაიმუნის, არამედ, ყვავის წილი სიცოცხლეც რომ მიიმატოს, ბოლოს მაინც უნდა მოკვდეს. ამიტომ, ხალხისაგან განსხვავებით, სიცოცხლის შენარჩუნებაზე მეტად, იმაზე უნდა იზრუნოს, ადამიანად შობილი, ადამიანადვე რომ წავიდეს ამ ქვეყნიდან. ხალხი თუ სიცოცხლეს ინახავს, როგორც ნაცარი - ნაღვერდალს, ადამიანი სიცოცხლის აზრს, ანუ, იმ ნაღვერდალში ჩაბუდებულ ცეცხლს განასახიერებს, ალივით. ამიტომ, არაფერი არ უნდა დათმოს, რაც მის ადამიანობას ადასტურებს და რისი შენარჩუნებაც, ენით აუწერელი ტანჯვის საფასურად შეუძლია მხოლოდ. რას იზამს, რა გაეწყობა - ადამიანი მოწაფეა, ტანჯვა კი - მასწავლებელი. ღმერთი, თურმე, იმას უფრო მეტ სატანჯველს უგზავნის, ვინც უყვარს; იმას უფრო მკაცრად სცდის, ვისიც სწამს. "რა ფასი აქვს ასეთ სიცოცხლესო" - თქვა ერთხელ ბებიამ. სიცოცხლეს ფასი არა აქვსო - უპასუხა ექიმმა. - სიცოცხლე ფასდაუდებელიაო, მადლია და არა სიმდიდრეო. თან დინჯად, აუჩქარებლად ისაპნავდა ხელებს. ოთახში საპნიანი წყლის გრილი სუნი იდგა, სისუფთავის სუნი. ნიკოს რომ ჰკითხოთ, ექიმი მარტო ხელის დასაბანად მოდის თითქოს აქ, რაკი ბებია კარგად უნელებს წყალს და კარგადაც უსხამს - ზომიერად, თავის დროზე. - ე-ეხ, ჩემო დაო, ბეჟანი ხომ დაიღუპა. ჯერ კიდევ ომამდე. რას ამბობ?! მააააშ. ბეჟანიც, მიტოც. საწყალი ნინუცაც. ნინუცას ხომ იცნობდი? კარგი ბიჭები ეძლეოდა მერეც, მაგრამ რო თქვა, თქვა. თავისნათქვამა იყო ყოველთვის. ეგენი ყველანი ერთად წავიდნენ, ერთად დალიეს ჩაილურის წყალი... გაიგეთ და მიხვდით ახლა ვისზე ან რაზე ლაპარაკობენ, ერთმანეთისა კი მშვენივრად ესმით. ბებია სულ ვიშვიშებს: მომიკვდეს თავი, მომიკვდეს თავი. ის კი - მააააშ, მააააშ... და თან ხელებს ისაპნავს, დინჯად, აუჩქარებლად, საფუძვლიანად. თითქოს თავისი გრილი, ფუნჩულა თითები აქა-იქ კი არ უნდა მიუკაკუნოს ნიკოს, არამედ, ხელახლა უნდა გადაზილოს ნიკო ვარცლში, ამჟავებული ცომივით. დიახაც, ყველაფრის განახლება და გამობრუნება შეიძლება. გაზაფხული განაახლებს და გამოაბრუნებს ხალხს. განა ბარტყი განახლებული ჩიტი არ არის?! კვიცი განახლებული ცხენია, ლეკვი - განახლებული ძაღლი, ბავშვი კი - განახლებული ადამიანი. ხოლო, ვიდრე ბარტყი, კვიცი, ლეკვი და ბავშვი იბადება, ვერავითარი ქარი ვერ წაიღებს ქვეყანას. იოსებამ ახალშობილი კვიცი ატატებული რომ გამოიყვანა თავლიდან, იმასავით ბედნიერი და იმის მომრევი არავინ იყო მთელ ქვეყანაზე. კვიცს თავისი პატარა, ჰაერში აქანავებული ფეხები იმის მკლავებზე გადმოეწყო და ორთქლიან შუბლზე ჯერ კიდევ სველი ბალახი აბურძგნოდა. იოსებას კი, პირზე გაუბედავი ღიმილი უკრთოდა, თვალში - ცრემლი, რადგან უკვე უყვარდა და ეცოდებოდა. ხოლო, თუ გიყვარს და გეცოდება, სიცოცხლის უფლებაცა გაქვს. უნდა გიყვარდეს და გეცოდებოდეს ყველა, ყველა

www.Litklubi.ge

სულდგმული, როგორც იოსებას თავისი ცხენები უყვარს და ეცოდება. რაც ღმერთს გაუჩენია, თავისებურად საყვარელიცაა და თავისებურად საცოდავიც. "აღარ შემიძლია, აღარა ვარ იმათი საცოდაობით, ერთი ნახე, როგორი აზრიანი თვალები აქვთო" - შესჩივლებს ხოლმე იოსება ბებიას. "ამიტომაც, შენც აღარ უნდა დალიო, იმათი მაინც უნდა მოგერიდოსო" - ეუბნება ბებია. იოსება კი მიდის, მიბანცალებს ბუნაგისკენ. ცოტა ხანს იქაც იბორიალებს, ცხენების ყურადღებიანი, პატიოსანი, რაღაცის მომლოდინე თუ რაღაცის მავედრებელი მზერით აფორიაქებული, და ისევ გაუხდელი მიეგდება ძველ ტყავებზე, ეჟვნიან აღვირებზე, დამსკდარ უნაგირებზე, ოფლისაგან გამოშავებულ თექებზე. გვერდს არ შეიცვლის დილამდე, სიზმრებშიც თავის ცხენებთან მოსაუბრე, მოკამათე, ხან უბრაზდება, მათრახის ტარს უღერებს, რა თქვენი საქმეა, დავლევ თუ რას ვიზამო, ხან კი, მონანიების გულისამაჩუყებელი სურვილით დამფრთხალი, მუშტს გამეტებით იცემს გაოფლილ მკერდში - ხვალიდან ვსოო, მორჩა. გათავდა ეს მაიმუნობაო. შენი თავი მოატყუეო - იღიმებიან ცხენები გუნებაში და ფშვინავენ, ფრუტუნებენ, ნამჯით მოფენილ მიწაზე რბილად აბაკუნებენ ფლოქვებს, თოფრებში ცხვირჩაყოფილნი, მშვიდად, გულგრილად ახრამუნებენ მარილგარეულ შვრიას და მოთმინებით ელოდებიან პატრონის გამოღვიძებას, გამოფხიზლებას - იმისი ერთი შეძახება, იმისი ხელის ერთი დატყაპუნება მთელ ქვეყანას ურჩევნიათ. ლიმონის ხე კი ბუბუნებს, მართლა ცეცხლწაკიდებულივით; ვულკანივით აფრქვევს ნავლსა და ნაპერწკალს. რა მნიშვნელობა აქვს, მართლა მოუტანა ნიკოს საჩუქრად ვანო მასწავლებელმა, თუ თავის ჩვენებებში აიძულა ნიკომ ვანო მასწავლებელი, ასე მოქცეულიყო. თუ წარმოიდგინა, ის წარმოიდგინა, რაც გულით ეწადა და სხვას, მართლაც, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ასეთი ხე რომ არსებობს ბუნებაში. არსებობს... და აი, ისევ ბუბუნებს, შფოთავს, ცოცხალივით. მწვანე ტოტებს ფრთებივით ატყლაშუნებს, თითქოს მართლა ცდილობს ხის ყუთიდან ამოფრენას, თითქოს მართლა უნდა გაიტანოს ჭერი თავით და, შხუილ-გუგუნით, მართლა უნდა მიაშუროს ცას. არავითარ შემთხვევაში. აჩუქეს თუ იჩუქა, არავის აღარ დაუთმობს ნიკო იმ ხეს, ცოცხალი თავით. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ ის ხე აუცილებლად აქ უნდა დარჩეს, მიწაზე. ცაში უკვალოდდ გაქრება, მიწას კი დააკლდება. მიწისაა, მიწისთვისაა გაჩენილი. აგერ ნახავთ, გოგიასაც თუ არ გამოცვლის გაზაფხული, გოგიასაც თუ არ გააკარგებს - ცეცხლს კი არ წაუკიდებს ცოცხალ ხეს, ფულს კი არ მოითხოვს კაცის კვლაში, არამედ, მორჩილად გაუწვდის მარჯვენას სულეთის მსაჯულებს, აი, ამ ხელითო, და ისინიც მაშინვე ძირში შეაჭრიან ცხვრისსაკრეჭი მაკრატლით. ქვეყანა გადაწითლდება ერთბაშად მკვლელის სისხლით. მთელი სიღნაღი გამოეფინება გარეთ, გოგიას მისცვივდებიან, თვითონაც თავფეხიანად ამოითითხნებიან იმისი სისხლით, ვიდრე გაქათქათებულ პოლიკლინიკაში შეათრევენ. იქნება ერთი ზრიალი, გაქცევ-გამოქცევა, ორომტრიალი - აბა, ჩქარა, იოდი, აბა, ჩქარა, ბინტიო. ხალხმა იცის მიხმარება, უყვარს კიდეც, სიამოვნებს თავის გამოდება. ვინც გინდა ის იყავი, ოღონდ შველა გჭირდებოდეს, აუცილებლად გიშველის, აუცილებლად გულთან მიიტანს შენს უბედურებას, თან წაიყოლებს ამბად, ერთი-ორი დღე სალაპარაკოდ ექნება გამხდარი შენი უბედურება, საკუთარი გულისხმიერებით, საკუთარი სიკეთით გაბრუებულს, აღფრთოვანებულს, კმაყოფილს. გოგია კი იჯდება, ბეღურასავით მობუზული, მოწყენილი. ნაუცბათევად ხელგადახვეული კი არა, საფუძვლიანად გაკოჭილი, მჭიდროდ, თეთრად, მხარიღლივ. რაღაცნაირად, დაპატარავებული, გასაცოდავებული, მაგრამ უკვე მონანიე, ცხოვრების ავ-კარგზე ჩაფიქრებული (ისემც დაუმშვენდა ცხვირი!).

ცოდვილო, ცოდვისგან აიღე ხელი,
საიქიოს წახვალ, ვეღარ გიშველი.

www.Litklubi.ge

გაზაფხულზე ალბათ მკვდარი კატის ლეშსაც ამოიღებენ პარკის აუზიდან. მთელი ზამთარი იქ ეგდო. ყოველ შემთხვევაში, ნიკოს ავად გახდომამდე, იქ ტივტივებდა, ბალიშივით გაბერილი, დამპალ ფოთლებთან და ბავშვის საჩხრიალოსთან ერთად. სხვათა შორის, შეიძლებოდა, ნიკოსაც ეტივტივა იქ, მკვდარ კატასავით. შეიძლებოდა, შარშანდელი გაზაფხული, საერთოდ, ბოლო გაზაფხული აღმოჩენილიყო მისთვის და ღირსიც იქნებოდა, იმიტომ, რომ ცურაობა მოინდომა სიღნაღის პარკის აუზში, თითქოს რახან ბათუმელი იყო და ზღვა ენატრებოდა, ყველაფრის ნებას მისცემდნენ, თითქოს ცემენტის პატარა აუზი, რომელშიც უბრალო, ჩვეულებრივი წყალი კი არ იდგა, თოვლი ჩამდგნარიყო, ზღვის მაგივრობასაც გასწევდა. ჩახტა თუ არა, სუნთქვა შეეკრა, მთელი ტანი გაუშეშდა ერთბაშად და ქვასავით წავიდა ფსკერისკენ. ვალო ბადალაშვილმა რომ იყვირა, არიქა, გიუკოლა მოდისო, მხოლოდ მაშინ მოისაზრა ფსკერზე ფეხის დაკვრა, თორემ, სამარცხვინოდ ჩაიხრჩობოდა გამდნარ თოვლში - არც არავინ მიეშველებოდა, იფიქრებდნენ, თამაშობსო, ჩვენ გვაპამპულავებსო, ზღვაზე გაზრდილს, რა გაუჭირდება ამ ტაშტისხელა აუზშიო. მაშინაც შიშმა გადაარჩინა. სწორედაც რომ მხსნელად მოევლინა გიუკოლა, იმისმა შიშმა მოიყვანა გონზე და მეორე წუთას, სხვებთან ერთად, ქურციკივით მიხტოდა ასკილისა და კუნელის ეკლიან ბუჩქებზე. ყველას ერთნაირად ჰქონდა ლაჯები გამოკაწრული. მაგრამ როდემდე ირბენდნენ ტიტვლები, მართლა ქურციკები ხომ არ იყვნენ, კაცობდნენ, თავი მოსწონდათ. ჯერ კიდევ აპრილი იყო, ანდა, მაისის დასაწყისი. ჩრდილში ციოდა კიდეც. რძისფერ სივრცეში ნახევარკუნძულივით შეჭრილ სასაფლაოს გასცქეროდნენ და ძაგძაგებდნენ, გალავნის კედელს ზურგით აკრულნი, მთელ ქვეყანას მომწყდრები. თითქოს რაკი ტიტვლები იყვნენ, სხვები იყვნენ, უცხოები და არაფერი აკავშირებდათ აქაურობასთან. არადა, ყველაფერი ნაცნობია ირგვლივ, საყვარელი. საფლავებს შორის, საცალფეხო ბილიკზე, შაოსანი დედაკაცი მიდის. მხარზე კოკა შეუდგამს - წყალი მიაქვს მკვდრებისთვის. იმათთვის კი აღარაფერი არსებობს, არაფერს აღარ ელოდებიან, არაფრისა აღარ სჯერათ, რძისფერ სივრცეში ჩაინთქა, დაიღუპა იმათი ოცნების გემი, თავად კი, ერთი ფეხისდადება მიწას შერჩნენ, რძისფერ სივრცესა და გალავნის კედელს შორის. იმედის ნატამალიც არ ჭიატებს სიმარტოვის უკუნეთში. იმიტომ, რომ ტიტვლები არიან და ცოცხლები. გამოკაწრული ლაჯები ეწვით. შაოსან დედაკაცს კი, ხან მაყვლის ეკლიანი ტოტი ჩააფრინდება გამოხუნებული კაბის კალთაში, ხან ასკილისა, ხან კუნელისა და ხან მურაკისა. ის კი მიდის, მხარზე კოკაშედგმული, არც ერთს აქცევს ყურადღებას, არც მეორეს, როგორც მწყემსი - თავისსავე ფარეხის ძაღლებს. გაწბილებული, უყურადღებოდ დარჩენილი ტოტები კიდევ დიდხანს ირხევიან ჰაერში. ბუჩქებიდან პეპლების მთელი ჯარი აიშლება ხოლმე. შაოსანი დედაკაცი კი მიდის, მხარზე კოკაშედგმული - მკვდრების გადია, მკვდრების მოწყალების და, მკვდრების დიასახლისი. წყალი მიაქვს მკვდრების დასარწყლულებლად. "სადა ხარ აქამდეო" - ეძახის მკვდარი საფლავიდან, წყურვილით შეწუხებული, მოუთმენელი და, რაც მთავარია, მომვლელის, პატრონის ყურადღებითა და მზრუნველობით განებივრებული. ისინი კი ძაგძაგებენ, შიშველი ზურგებითა და დუნდულებით გალავნის ხორკლიან კედელს ეხახუნებიან, თითქოს ოდნავადაც თუ მოშორდებიან, უფსკრულში ჩაინთქმებიან მაშინვე. წინ უფსკრული, უკან კედელი - სიტიტვლისა და სიცოცხლის გამო. ეგეც თქვენი ცურაობა! სიღნაღში! პარკის აუზში! სხვა არაფერი გნებავთ, ბავშვებო? თუმცა, ეგ გამოატარეთ, მაგისთვის შეიძლება, ბათუმელია, უწყლოდ ვერ გაძლებს. გაუშვი მოიკლას ჩვენს აუზში ზღვის სურვილი. მაგრამ ნიკოს მამამისის სურათი რომ არ სდებოდა, ბედად, ჯიბეში, ახლაც იქ იქნებოდნენ, კედელს აკრულები, იმათი შარვალ-ხალათი კი კარგა ხნის გაყიდული იქნებოდა ბოდბისხევის ბაზარზე. "ეს ვინ არისო" - დაიძახა გიუკოლამ შორიდანვე და სურათი მაღლა ასწია. ნაალაფარი ტანსაცმელი ბარიანი ხელის იღლიაში ამოედო. "მამაჩემიაო" - იყვირა ნიკომ და, უნებურად, ქვას დაუწყო თვალით ძებნა. ხელები მუცელსქვემოდან ჰქონდა გადაჯვარედინებული. გიუკოლა კი ხან სურათს შეხედავდა, ხან ნიკოს, თითქოს მსგავსებას ეძებდა, მაგრამ რაც არ იყო, რას იპოვიდა. - მამა კაცია, ნიკო კი, კაცის ნაფოტი, ხოლო, მაშინ კიდევ უფრო ჰგავდა ალბათ ნაფოტს - ტიტველი, ჯერ კიდევ სველი. მაგრამ გაზაფხული იდგა და

www.Litklubi.ge

გაზაფხულმა აიძულა გიჟკოლაც, სიტყვაზე დაეჯერებინა ნიკოსთვის. "არ გრცხვენია, ამ კაცის შვილი ასე ვირულად რომ იქცევიო" - დაუძახა ნიკოს და ამოღლიავებული ტანსაცმელი მიწაზე დაჰყარა.

და მაინც, გაზაფხულის მოახლოვება, ყველაზე მეტად, სიზმრებს დაეტყობა ხოლმე. ყველა სიზმარი სხვანაირად მოულოდნელი, სხვანაირად უცნაური და სხვანაირად ამაფორიაქებელია. აი, ნიკო და მარგალიტა, ვითომ, ნიკოანთ ეზოში სხედან ცაცხვის ძირას. ნიკოს, ხანდახან, მარგალიტას მუხლზე მოუხვდება ხოლმე თავისი მუხლი და ლამის ალი ავარდეს, ისე რცხვენია მარგალიტასი. სირცხვილით კი იმიტომ რცხვენია, ძალიან რომ სიამოვნებს ეს უნებლიე შეხება. მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ უძლებს ამ მტანჯველ ნეტარებას და დგება, ვითომ, უნდა წავიდეს, ოღონდ, ფეხი ვერ აუწყვეტია მიწისთვის და ახლა ამისი რცხვენია, ახლა ამას განიცდის, მარგალიტამაც არ შეამჩნიოს ჩემი გასაჭირიო. დაძაბულობისგან ყურები უბზუის. სისხლი შხუილით მიქრის ძარღვებში. ის კი ცაცხვის ხეს ასცქერის, ათვალიერებს. სულელივით, თითქოს პირველადაა საკუთარ ეზოში. მაგრამ მარგალიტა მაინც ამჩნევს იმის გაწამაწიას და სიცილით ეუბნება: რა იყო, რა გაწყენინეთ ასეთიო. როგორ თუ რა მაწყენინეთ, მუხლზე მუხლი რატომ მომარტყითო - საყვედურობს ნიკო უსინდისოდ, რადგან ძალიან უნდა, სუფთა, პირნათელი, უდანაშაულო იყოს ვიღაცის წინაშე, თუმცა, წესიერად არა აქვს გარკვეული, ვინ არის ის ვიღაცა, ძია სანდრო თუ თავად მარგალიტა. მარგალიტა კი იცინის გულიანად. იმას არაფრის არ რცხვენია, არავის არ ეპუება, არც ძია სანდროს, არც საკუთარ ქალობას, ქალის სახელს - თითქოს არც არაფერს აშავებენ, თითქოს არაფერს ნიშნავდეს მუხლზე მუხლის მორტყმა, გინდაც ათასში ერთხელ, შემთხვევით. თითქოს არაფერი ჰქონდეთ დასამალი, ან ფიქრი, ან სურვილი, ან ოცნება, თუნდაც, მარტო ნიკოს, თუ ორივეს არა. დიდი ამბავი, მუხლი ატკინეს ვაუბატონსო - იცინის მარგალიტა. ნიკო კი, ბოშა მათხოვარივით, ეტორღიალება, ყელს უწევს, ემუდარება - მითხარი და მითხარი, ბრმები როგორ ტირიანო. ვითომ სხვა ყველაფერი იცი და ეგღა დაგრჩა გასაგები, შენი თავის მზემო - იცინის მარგალიტა და ძია სანდროს დაგრეხილ თოკს ტანზე იხვევს, თითქოს ეპრანჭება ნიკოს. თოკი სულიერივით ეტმასნება თეძოებზე, წელზე, ყელ-კისერზე... აი, ახლა დაიხრჩობა და აი, ახლა. მაგრამ ნიკო მაინც არ ეშვება, ძალიან აინტერესებს, როგორ ტირიან ბრმები. ჩაიხედე სარკეში და გაიგებო - იცინის მარგალიტა. ნიკოც მაშინვე იხედება სარკეში და, მართლაც, მთელი სახე ჭუჭყიანი, შავი ცრემლითა აქვს მოთხუპნული. თურმე, ამდენი ხანია ტირის, ვერკი გრძნობს. "ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს. ჩიტი ჩამომიქროლებს, ამკენკავს, წამიღებს" - იძახის დეიდა. "შენი კი გაგინაღდებია, მაგრამ იქნებ ისიც იცი, მე რა მინდა, რა მატირებსო" - ეკითხება ნიკო. "რა გატირებს?" - შეეშინდა დეიდას. "აბა, ერთი წუთით, თუ შეიძლება, სარკე მომაწოდეო" - რაც შეეძლო, თავაზიანად სთხოვა ნიკომ. "სარკე რადად გინდაო - უარესად დაფრთხა დეიდა. - დედი, სარკეს მთხოვს, შეიძლება, ავადმყოფისთვის სარკის მიცემაო" - დაუძახა ბებიას. "გათავდა, მორჩა, წყალმა წაიღო მაგის ავადმყოფობაო" - თქვა ბებიამ. "ა, ბატონო, სარკეო" - მაშინვე ხელებში მიაჩეჩა დეიდამ ფეხიანი, დასადგმელი სარკე. ნიკომ ჩაიხედა და ელდა ეცა: ცარიელი თვალებიღა იყო. იმავე დროს, ვიღაცას ჰგავდა ძალიან. ვისა ვგავარ, ვისა ვგავარო და, გაახსენდა, სიმხურვალეც ეცა უცებ თბილისური ზაფხულისა, ეტლის სუნი დადგა ოთახში და, თითქოს ისევ მამის მუხლებს შორის მოქცეულმა, მზეზე აბრჭყვიალებულ ვიტრინაში, თვალნათლივ დაინახა უზარმაზარი ფეხსაცმლის წინ ჩაცუცქული პატარა მაიმუნი. ახლაც უმიზეზოდ, უმიზნოდ შეეცოდა ნახერხით გატენილი ტიკინა, რომელსაც არც გული ჰქონდა, არც გონება და მაინც ყოველთვის ასე ასევდიანებდა და აფორიაქებდა ნიკოს. რაღაცაზე ბუნდოვნად გაბრაზებულმა, დაუდევრად მოისროლა სარკე.

- ნელა, ბიჭო, როგორ იქცევი! შენ მართლა მორჩენილხარ, აი! - დაუძახა დეიდამ.

- რა იქნა ჩემი ლიმონის ხე?! - შეუღრინა ნიკომ.

- დედი, ლიმონის ხე რა იქნაო, - დაუძახა დეიდამ ბებიას. - ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?!

- აბა, ლიმონის ხე?! - გაოცდა ბებიაც.

www.Litklubi.ge

- საჩუქრად რომ მომართვა ჩემმა მასწავლებელმა, ვანო მასწავლებელმა. - ბრაზიანად, გამომწვევად გამოცრა ნიკომ კბილებში.

- კარგი ერთი, შენი ჭირიმე! - გაცეცხლდა დეიდა. უცებ წაეკიდა ბრაზი. - შენ რა გენაღვლება, კოტრიალობ ლოგინში!

ეტყობა, ერთი თვის დაძაბულობამ მაინც თავისი გაიტანა და, როგორც კი საფრთხემ გადაიარა, იმასაც მაშინვე უმტყუნა ნებისყოფამ, მაშინვე ამოეწურა მოთმინების ფიალაც. მაგრამ ესეც იმას ადასტურებდა მხოლოდ, მართლა რომ მორჩენილიყო ნიკო. ექიმმაც იგივე დაადასტურა იმავე საღამოს, მორჩაო, მაგრამ ისიც დაამატა, ახლა უნდა თუ უნდა გაფრთხილება და ხელისშეწყობაო. მართლაც, ნიკო უარესად გრძნობდა თავს, ვიდრე ავადმყოფობის დროს. სისუსტისგან ყინწი ჰქონდა მოწყვეტილი. ერთი წუთით რომ წამოაყენებდნენ, მაშინვე თავბრუ ესხმოდა, თვალები უბნელდებოდა. ღონემიხდილი, მივარდნილი, მისავათებული ამოსცქეროდა ლოგინის მომთენთავი სიღრმიდან მისკენ დახრილ სახეებს და უფრო ხვდებოდა, ვიდრე არჩევდა, ვის ეკუთვნოდა ის სახეები. ესმოდა ნაცნობი ხმები, სხვათა შორის, სიამოვნებდა კიდეც, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდა მოსმენილიდან. არავითარი კავშირი არ არსებობდა მის სხეულსა და მის ნებას შორის. თვითონაც იცოდა, ახსოვდა, როდის რა უნდა გაეკეთებინა, მაგრამ პირველი, ვინც მის ცოდნასა და გამოცდილებას უგულებელყოფდა, არ იზიარებდა, თვითონვე იყო. ფარფლებდაბეგვილი თევზივით, ამაოდ ცდილობდა წონასწორობის აღდგენას და საგნის გულგრილობით, საგნის უგრძნობლობით ემორჩილებოდა დროის დინებას. არაფერი არ უნდოდა, თავს თუ გაანებებდნენ, ძილს თუ დააცდიდნენ, მარტოს თუ ჩატოვებდნენ საკუთარი უძლურობის ლამის სასიამოვნო შეგრძნებაში. მაგრამ ხან ბებია აჯანჯღარებდა, გამოფხიზლდიო, ხან - დეიდა. ხან ნიშადურს ასუნებინებდნენ, ხან ძმარსა და სპირტში გაწურულ ტილოს გადაუსვამდნენ ხოლმე სახეზე მოულოდნელად. ხან საჭმელს ატენიდნენ ძალით, ხან წამალს და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად გამოჰყავდათ უგონობის, უგრძნობლობის, უმწეობის რინდიდან. ცოტაც და ადამიანური ყურადღების, მონდომებისა და მოთმინების წყალობით, ისევ ხალისიანად შეცურდებოდა ცხოვრების აქოთქოთებულ, აშხუვლებულ ჭავლებში.

www.Litklubi.ge

www.Litklubi.ge

ქარი ჩადგა. მოათავა მარტმა თავისი ჭირვეულობა. სარკმელი თბილი, მოალერსე მზითაა გაშუქებული. დღეს არა და ხვალ, აივანზე გაუშვებენ ნიკოს. დაუბანლობას კიდევ გაუძლებს კაცი, ისედაც ორი მესამედი წყალია, მაგრამ ოთხკედელში გამოკეტვა, მით უფრო, ნაავადმყოფარისა, გაცილებით დიდი სასჯელია, ვიდრე თავად ავადმყოფობა. გინდა ავადმყოფი დაგიგდია ქუჩაში და გინდა კარგადმყოფი დაგიმწყვდევია შინ. მაგრამ ნიკო, მაინცდამაინც არ უჯანყდება თავისიანებს, ის კი არა, სიამოვნებს კიდეც, ძალას რომ არ ატანენ, რომ არ ავალდებულებენ წამოდგომას. დეიდის თქმისა არ იყოს, ეტყობა, მართლა შეეჩვია ლოგინს, მართლა გაუტკბა ავადმყოფობა და, შეიძლება, სამუდამოდ საპყარი დარჩეს, მამამისივით. ადგომა განა არ უნდა, არ შეუძლია. არც ეხალისება. ზუსტად ისეა, როგორც თავისი პირველი სიმთვრალის მეორე დღეს. თან სცხელა. თან სცივა. უნდა და არც უნდა, შეუძლია და არც შეუძლია ადგომა. გაჭიმავს თუ არა ფეხს, მაშინვე აუძაგძაგდება, თითქოს სხვისი ფეხია და ვერ უხმარია სწორად, არ იცის იმის რომელიღაც საიდუმლო. სასულე ისე აქვს დავიწროებული, გაქონილ ძაფს ვერ გადაყლაპავს. ფერხთით კიდევ ტაშტი უდგას - ამაზრზენად. აუტანლად ნაცნობი - და იმის დანახვა კიდევ უარესად უშხამავს გუნებას, როგორც ნაწამებს - საწამებელი იარაღისა. ქეიფი იქამდე, რატომღაც, მსახიობების თავშესაქცევი საქმიანობა თუ თამაში ეგონა, რადგან "მსახიობი" და "ქეიფი" თავიდანვე განუყრელად დაუკავშირდა ერთმანეთს მის წარმოდგენაში - ერთხელ, პატარაობისას, ბაკურიანში, დილიდან საღამომდე მღეროდნენ ვიღაცები და დედამ თქვა, მსახიობები ქეიფობენო. მერე მამა მოვიდა. ჰამაკში ჩაწვა, ბალახზე დაგდებული წიგნი აიღო და იმანაც იგივე გაიმეორა: მსახიობები ქეიფობენო. მამის ფეხსაცმელებს პეპელა დაჰფარფატებდა. ხის კენწეროებზე ჩამოხეული მზის ნაფლეთები ბალახზე ეყარა. სადღაც, ძალიან შორს, მატარებელმა შეჰკივლა, ერთხელ, მეორედ. მერე მამის ამხანაგები მოვიდნენ, თოფებითა და ენაგადმოგდებული, აქაქანებული ძაღლებით. ქამრებზე სისხლიანი მწყრები ეკიდათ (მიესაჯოთ ჩამოხრჩობა დახვრეტის შემდეგ). ერთს - ყვითელი ტყავის პრიალა კრაგები ეცვა. მთელი პარკი ჯერ კიდევ მოუტეხავი ტყავის სუნით გაიჟღინთა უცებ. სურათი გადაიღეს - ყველამ ერთად. ფოტოგრაფს ხეების ირგვლივ დაფენილ წიწვზე წარამარა უცურდა ფეხი და თვითონვე ეცინებოდა (ვინ იცის, მარგალიტას ფოტოგრაფი იყო და ახლა იქ, სიღნაღიდან შორს, სცდიდა ბედს). ნიკო სწორედ კრაგებიანმა ჩაიყენა ფეხებს შორის. ახსოვს, ძალით ადებინებდა თავის მუხლზე ხელს. ნიკოს წინ ძაღლი იწვა, ქაქანებდა, მკლავის სიგრძე, წითელი ენა გადმოეგდო, თითქოს ხელსახოცი აუფარებია გულზეო. სულ წამოხტომაზე იყო, რამდენი ბუზი ჩაიფრენდა სიახლოვეს. წკმუტუნებდა, წკავწკავებდა. შფოთავდა. ვერ გაიგებდით, თეთრი ლაქები ეყარა შავ ტანზე, თუ - პირიქით. იმათაც იგივე თქვეს: მსახიობები ქეიფობენო. ჟორჟოლიანიც ჩამოსულაო. იმის მერე, სიმღერას რომ გაიგონებდა ნიკო, სულ ეგონა, მსახიობები ქეიფობდნენ. თუმცა, მისი პირველი ქეიფი, საერთოდ, უსიმღეროდ ჩატარდა. სამაგიეროდ, აკორდეონი ჰქონდათ. აკორდეონით იქეიფეს. აკორდეონისტმა თავისი შეყვარებულიც მოიყვანა საახალწლო სუფრაზე და ამან ხომ სულმთლად გადარია ნიკო, ლამის ჭიქაში ჩავარდნილიყო, ალაზანს დაეწაფებოდა. გათავდა, ეტირა დედა ბავშვობასო - იძახდა გუნებაში. უკვე ღვინოგამჯდარი, სიმთვრალის ქვეშევრდომი, ანუ, ნებაზე მიშვებული. ის კი, აკორდეონისტი, გაწელავდა ყელზე ჩამოსაკიდებ პიანინოს და მაშინვე თვალს ჩაუკრავდა თავის გოგოს, ვითომ, ერთნი ვართ, ერთადა ვართ, უთქმელადაც გვესმის ერთმანეთისო. ესეც აღელვებდა, აფორიაქებდა ნიკოს, ცოტა, ალბათ, შურდა კიდეც აკორდეონისტისა, მაგრამ ის უფრო სტკენდა გულს, არავინ რომ ჰყავდა თვითონ, ვისაც ასე თამამად, მოურიდებლად ჩაუკრავდა თვალს. ელენიცას ჯერ ამდენის გაგება არ შეეძლო ალბათ და, საერთოდ, წარმოუდგენელიც იყო აქ, თავისი ბაფთებიანი, ხშირი რეცხვისაგან საკმაოდ გაცრეცილი კაბით. ჯერ მარტო პაპიროსის ბოლი დაახრჩობდა, თუკი თავიდანვე არ გაუსკდებოდა გული ამდენი მთვრალი ბიჭის დანახვაზე. ამის ბრალი იყო თუ რა იყო, ნიკოც უჭუჭუნებდა თვალებს აკორდეონისტის გოგოს. აკორდეონისტის გოგო ცოტა ხანს, დაძაბული, სახეგაშეშებული შეხედავდა ხოლმე, მაგრამ ბოლოს მაინც გაეცინებოდა და სასწრაფოდ აარიდებდა თვალს. ნიკოს კი ეჭვიც არ ეპარებოდა,

www.Litklubi.ge

სწორად იქცეოდა, აუცილებლად უნდა გაეგებინებინა გოგოსთვის (თუნდაც ასე, თვალის გაშტერებით), იმასაც რომ მოსწონდა და იმასაც გაეგებოდა რაღაცა ამ ამბებისა. დილით, ვიდრე წამოიშლებოდნენ, იმ გოგომ დიდი ჭიქა მოითხოვა და თავისი ბიჭი ადღეგრძელა: გენაცვალე, ჩემო ბიჭოო, და, მიუხედავად სიმთვრალისა, ნიკო მაინც გააოცა, შეაკრთო და შეაწუხა რაღაცამ. ღვინოს იმათ ოჯახშიც სვამდნენ ქალები, თითო ყლუპი ღვინო სადილზე წესადაც ითვლებოდა, მაგრამ პირველად ხედავდა, ქალი ასე კაცივით რომ სვამდა. ეგრე მტერი დაგეცალოსო - უთხრა გოგომ აკორდეონისტს და ცარიელი, დაპირქვავებული ჭიქა დაბერტყა. ის კი, აკორდეონისტი, დიმილშეკავებული, პაპიროსს ღეჭავდა. ცხვირის წვერზე ნათურის შუქი ეცემოდა და ისე ულაპლაპებდა, გეგონებოდათ, დასჩირქებიაო. თავი მოსწონდა: ნახეთ, რა ბიჭი ვარ, რა გოგო მყავს, რა ვაჟკაცურიო. ღვინით ჩაბჟირებულ სახეზე ინდაურის ფერები დასდებოდა. მაგრამ, ქუჩაში გამოვიდნენ თუ არა, ყოფა ეტირა იმის ვაჟკაცურ გოგოს. სიცივემ უცებ მოუღო ბოლო. იცინოდა და ვერც იცინოდა, თითქოს, შიგადაშიგ, ავიწყდებოდა, რატომ იცინოდა. ამაზრზენად აცმაცუნებდა ტუჩებს, თითქოს რაღაც აჰკვრია და ვერ მოუშორებია უხელოდო, ხელებით კი თავისი ბიჭის მკლავზე ეკიდა. იდგა და ვერც იდგა, თითქოს ციგურებზე შეუყენებიათ პირველად თავის სიცოცხლეშიო. ჯერ მთვრალი კაცი რა არის და ახლა მთვრალი გოგო! იმდენად გულსაკლავი სანახაობა იყო, ნიკო მერეც დიდხანს ირწმუნებდა თავს, მე თვითონ წარმოვიდგინეო, ასე დავსაჯე, ჩემი ჭკუით, უყურადღებობისთვის და გულგრილობისთვისო; ანდა, მე თვითონ რომ მთვრალი ვიყავი, ყველა ჩემნაირად მთვრალი მეგონაო. მაგრამ ასე რომ ფიქრობდა, თან ის მთვრალი გოგო ედგა თვალწინ და სიძულვილში გადაზრდილი სიბრალულით გული ეხეოდა. რაღაცნაირად მოიმჩვარა, დაიძენძა უცებ. თითქოს დასველდა კიდეც. უცნაურად, შიგნიდან. თმა სულ სახეზე ეწებებოდა, ვერაფრით ვეღარ გადაიწია სახიდან, თითქოს, ყველა სიკეთესთან ერთად, ზედმეტი ბღუჯა ამოსვლოდა შუბლზე. გათავდა ქეიფიო - თქვა აკორდეონისტმა და აკორდეონი ყუთში ჩაკეტა. მერე ყუთი გაპრიალებული ღვედით ზურგზე გადაიკიდა და მთვრალი გოგო აიტატა, როგორც იოსებამ აიტატა ახალშობილი კვიცი. მთვრალ გოგოსაც, ახალშობილ კვიცივით ერწეოდა ჰაერში ბიჭის მკლავზე გადმოწყობილი ფეხები. ოღონდ, სუსტი და უღონო კი არა, ავადმყოფურად მოლეღვებული. ერთ ფეხზე წინდა ჩასჩაჩვოდა და ნიკომ თვალი აარიდა. აღარ მოსწონდა. იმ ბიჭს რომ გადაეგდო, არ აიყვანდა. მარტო ის კი არა, მთელი საქალეთი ეჯავრებოდა იმ წუთას. ამის ბრალია, ალბათ, თვითონაც რომ ვერ შეინარჩუნა ღვინო. ძლივს მიასწრო შინამდე. ბებია და დეიდა რის ვაი-ვაგლახით აკავებდნენ ტახტზე, ისე ბზრიალებდა ირგვლი ყველაფერი. აღარ გათავდა, აღარ დაილია მჟავე, ამაზრზენად თბილი, ქაფიანი სიბნელე, სიბრიყვე, სისაძაგლე. "თქვენს დროსაც ასე ქეიფობდნენ ბავშვებიო" - იცინოდა დეიდა. "მომეცალე, გოგო, რა მეხუმრებაო" - ბუზღუნებდა ბებია. და ახლაც ზუსტად იმდღევანდელივით დასტრიალებენ თავზე, ასადგომად ამზადებენ, ცხოვრებას უბრუნებენ ცხოვრების უძღებ შვილს. "ავდგეთ, ავდგეთ, ავალაგოთ ლოგინი, სახლს დაემსგავსოს აქაურობაცო" - იძახის დეიდა. ბებიას თითებგამორღვეული ხელთათმანები ჩაუცვამს, ერთ ხელში სამზარეულოს პირმოტეხილი დანა უჭირავს, მეორეთი ტაშტი ამოუიღლიავებია. ტაშტიდან ვარდის ნერგებს გადმოუწყვიათ ხორკლიანი ყლორტები - ახალი სავარდეს გასაშენებლად მიდის. ყველაფერი თავიდან იწყება. ყველაფერი უნდა აღსდგეს, რაც ღორმა შეჭამა. გარეთ უკვე გაზაფხულია. ჰა და ჰა, აყვავდება იასამანი. ნელა, ზანტად გადაქანდებიან გაკრიალებულ სივრცეში იმისი მძიმე, გაფუყული მტევნები, როგორც ღრუბლები ოცნების ცაზე. "ჰა და ჰაა" ყველაფერი. ჰა და ჰა, ნიკოც ადგება. ჰა და ჰა, გათავდება ცხოვრება. გარეთ კი ჩიტები ჟივჟივებენ, ერთ ამბავში არიან, მოუბრძანდათ გაზაფხული, ძვირფასი სტუმარი, მონატრებული, მოწყურებული. ნამდვილად ჩიტების ხმაა, თანაც ბევრი ჩიტისა - სხვადასხვანაირი, მრავალნაირი, მაგრამ ცალ-ცალკე ყველაზე ერთნაირად იტყვით, ჩიტის ხმააო. ჩიტების ბაბილონია გარეთ. დიდი ჟრიამული აქვთ ჯერ კიდევ შიშველ ბაღში. ასეთივე ჟრიამულია ალბათ სკოლაშიც - იქაც საზეიმოდ ემზადებიან, საპირველმაისოდ. წინასწარვე უნდა დაიჭირონ თადარიგი. ზოგს ლექსს აზეპირებინებენ, ზოგს სიმღერაში წვრთნიან, ზოგს სიარულში, ზოგმა კიდევ სცენები უნდა წარმოადგინოს

www.Litklubi.ge

საქართველოს შავბნელი წარსულიდან, და მაინც საზეიმო სამზადისია ირგვლივ - კაცი მასწავლებლები ჩოხებში არიან გამოწყობილნი, ქალებს ჩიხტაკოპები ახურავთ. ევგენია დუგლაძე რომ ჩამოივლის, ჩიხტაკოპის ლეჩაქის სწორებით, ყველანი მოწიწებით უთმობენ გზას. კოტე, ხომ იცი ჩემი ამბავი?! ნუ ღელამთ, პატივცემულო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა. ჩიტები კი ფრთხიალებენ, ჟივჟივებენ - ხიდან ხეზე, ტოტიდან ტოტზე. მიწაში იქექებიან, სველსა და დაკლაკნილ ჭიაყელებს გლეჯენ ერთმანეთს პირიდან და ისევ ფრთხიალებენ, ჟივჟივებენ, იმედის კოშკს აშენებენ ნიკოანთ ეზოში, ემზადებიან გაზაფხულის დასახვედრად, მოლოდინში არიან, ფაცაფუცში. ქალებმა იციან ასე გაზვიადებული, გადამეტებული ფაცაფუცი, როცა საზეიმო დღე აქვთ რამე, დავუშვათ, ქორწილი. ჯერ ნეფე-დედოფალი არ მოსულა, ჯერ ეკლესიაში არიან. არა, ეკლესიაში აღარ - მმაჩის ბიუროში! რეგისტრატორი ჟენია ხელებდაკაპიწებული მუშაობს. პატარა საქმეა?! ახალ ოჯახს უყრის საფუძველს. როგორი საფუძველიც ჩაიყრება, შენობაც ისეთი გამოვა. ანთებულ პაპიროსს ხან ხელმარჯვნივ ჩამოდებს მაგიდის კიდეზე, ხან ხელმარცხნივ, გააჩნია, საით გადაიხრება რომელიღაც უაღრესად საჭირო ქაღალდის მოსაძებნად. გამალებული ფურცლავს და ქექავს ერთად აკინძულ, მაგრამ სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ფერის ქაღალდებს (სად გაქრა, ის ოხერი?!). სიძე ჭერში იყურება. საპოვნელი იმან უკვე იპოვა, თავისი განაღდებული აქვს. ახლა სხვებმა ეძებონ, გინდა ქაღალდი, გინდა სხვა რამ. პატარძალიც მშვიდადაა - განა როდემდე გასტანს ეს ამბავი, გაფორმებაა თუ რაცა ჰქვია. დეიდა ჟენიამ იცის თავის საქმე - ცოტა თუ არ გააწვალა სხვა, არც სხვას ექნება იმისი პატივისცემა. ხოდა, პატარძალიც მშვიდად ჩასცქერის იატაკის ღრიჭოს, უფრო, თავის საქორწილო, ზიზია ფეხსაცმელს. "მაინც ვიწრო შემიკერა, იმ ხელგასახმობმაო" - გუნებაში თათხავს უჟმურაანთ აბრამას. ისე, კაცმა რომ თქვას, გასათათხია: მთელი სიცოცხლე ქალის ფეხსაცმელი კერა, უცოლოდ კი დარჩა. ვერ მოარგო ვერავისო - იცინიან სიღნაღელი ლაზღანდარები. სამაგიეროდ, ორი, იმასავით შინაბერა და ემსახურება: დილით ერთი უხვეტავს სახარაზოს, საღამოს - მეორე. ძმის ხათრით, არც ჩვენ გავთხოვილვართო - ამადლიან მარჩენალ ძმას ზურგსუკან. მაგრამ იმავე სიღნაღელ ლაზღანდარებს რომ ჰკითხოთ, ყმაწვილქალობაში კიდევ უფრო მახინჯები ყოფილან ისინი - ასაკმა ცოტათი დაუმშვიდათ სახეებიო. სახლში კი ჟრიამულია, მექორწილეებს ელოდებიან. გარბიან და გამორბიან ქალები, როგორც ჩიტები, ერთი ტოტიდან მეორეზე. ჭიკ. ერთი ხიდან მეორეზე. ჭიკ. კი უხარიათ, მაგრამ დამალული სიხარული რაღა სიხარულია - უნდათ, ყველას გააგებინონ, მთელ ქვეყანას: აი, ჩვენ ასე გვიხარია და თქვენც გიხაროდეთ, არაფერი დაგიშავდებათო. პირიქით, ხალხო, პირიქით. გიხაროდეთ, გიხაროდეთ! სიხარული ობლის პურივითაა, ყველას გაგწვდებათ, ყველას გეყოფათ, ყველას გაგაძღობთ. ამვლელსაც მოუტეხეთ და ჩამომვლელსაც, თვითონაც ჭამეთ და შინაც მიიტანეთ. "ავდგეთ, ავდგეთ, ავალაგოთ ლოგინი, საავადმყოფო ხომ არ არის, ბოლოს და ბოლოს" - იძახის დეიდა, გულზე წიგნმიხუტებული. "მოვრჩით, გენაცვალოს ბებია, მოვრჩით" - აქეზებს, ამხნევებს, გულს უკეთებს ბებია, გრძნობს, როგორ უჭირს მის შვილიშვილს წამოდგომა, მიჩვეული ლოგინის მიტოვება. ნიკოს ფეხები უთრთის სისუსტისაგან, ნელ-ნელა დგება, ნელ-ნელა იმართება წელში და აივანზე გამავალ სარკმელში ირეკლება მაშინვე, თავ-ფეხიანად, გამხდარი, აწოწილი - ასანთის ღერებისგან შეკოწიწებული კაცუნა. ვიღაცა აკეთებდა ბათუმში, შეიძლება, რომელიღაც მამიდაშვილი, იჯდა და ასანთის ღერებისგან კაცუნას აკოწიწებდა. "აი, ხომ ხედავ?! ასე ნელა უნდა მიეჩვიო, თანდათან" - აფრთხილებს, არიგებს, აფორიაქებული, აღელვებული ბებია. "გაანებე, დედი, თავი, ბავშვი ხომ არ არის" - იძახის არანაკლებ აფორიაქებული, არანაკლებ აღელვებული დეიდა და ნიკოს ისევ ის დღე ახსენდება, რატომღაც, აბაზანაში ჩაყრილი თევზების გაცოცხლებას რომ ელოდებოდა სუნთქვაშეკრული. ალბათ იმიტომ, მის "გაცოცხლებას" რომ ელოდება ახლა გულში წიგნჩახუტებული დეიდა, ისევე სუნთქვაშეკრული, ისევე გაფაციცებული, თავად კი, ხელები გაუშლია და გაუბედავად დგამს პირველ ნაბიჯს - თითქოს ბეწვის ხიდზე გადისო. გაუბედავად დგამს პირველ ნაბიჯს. სამყარო კი გემბანივით ტორტმანობს. ჩრდილები აქეთ-იქით აწყდებიან. ცოტაც და, ავად გალურსული საგნებიც მოწყდებიან თავიანთ მარადიულ ადგილებს, ერთმანეთს

www.Litklubi.ge

შეემსხვრევიან, ყველაფერი ერთმანეთში აიზილება. ნიკო საყრდენს დაეძებს ვერაგულად გამოცარიელებულ სივრცეში, ფრთებივით გაშლილი ხელები უთრთის, არ ძალუძთ მისი ჰაერში შეკავება და, შეშინებული, ურმის ჭალს ჩააფრინდება უცებ. ამ ურმით მამის სოფელში ავიდნენ ოდესღაც, უხსოვარ დროს, მაგრამ ახლაც სცემს გახვითქული ხარების სუნი, ახლაც ესმის მათი შემაშფოთებელი ამოხვნეშა და, საბოლოოდ, ყველაფერი ისევ მშვიდობიანად მთავრდება, სამყარო იბრუნებს თავის ჩვეულ, საიმედო სიმყარეს. ხოლო, წარღვნამდელი ხარები, თავიანთი ღრჭიალა ურმიანად, ისევ უჩინარდებიან ნიკოს მეხსიერების უსასრულო ტალანებში. "მომისმინე" - ეუბნება მამა, თვალდახუჭული, სახეზე ოფლგადამსკდარი. "არა. არა". - ბრაზდება უცებ ნიკო. "აბა, სულმთლად დაგასუსტებს, შვილო, ლოგინი" - ეუბნება შემკრთალი ბებია. "შენ არ გეუბნები! შენ არ გეუბნები! - უყვირის ნიკო ბებიას, მაგრამ დამთავრებულიც არა აქვს ყვირილი, უკვე სინანულით ეკუმშება გული. სრულებითაც არ უნდოდა ბებიის განაწყენება, თანაც, ასე უსამართლოდ, უსვინდისოდ. - შენ არ გეუბნები, ბებო" - აგრძელებს დაოკებული, შემრიგებლური ხმით. "ხო, შვილო, ხო" - ამბობს ბებია უაზროდ, მაგრამ ნიკოს მაინც მალამოდ ეცხება გულზე ეს უაზრო თანხმობა, როგორც ახსნა და გამართლება თავისი ასევე უაზრო სიბრაზისა. იატაკს აშკარად ეტყობა გაყიდული პიანინოს გორგოლაჭების კვალი, თუმცა, ნიკომ მშვენივრად იცის, აქ კი არა, ბათუმში ჰქონდათ პიანინო. ახლა უფრო თამამად, უფრო ბრაზიანად, უფრო ჯიუტად აბიჯებს წარმოდგენილ იატაკზე და მარტო, სხვათა დაუხმარებლად მიდის... მაგრამ უკვე აივანზე გასულს, გაზაფხულის სუფთა, ჯერ კიდევ სუსხიანმა ჰაერმა თავბრუ დაახვია და იმანაც ორივე ხელი მაშინვე მაგრად ჩასჭიდა აივნის მოაჯირს. და აი, უკვე პაპისეული სახლის აივანზე დგას - საგულდაგულოდ შეფუთვნილი - სისხლი და ძვალი მამისა, სული და ხორცი დედისა. ჯემპრის შიგნით ამერიკული ჟილეტი აცვია, აბჯარივით მორგებული. უფრო მხნედ, უფრო ხალისიანად გრძნობს ასე თავს, თითქოს მართლა აბჯარია და ვეღარაფერს დააკლებს მტრის შუბი და მახვილი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, მისი ნანადირევი რომაა ის ამერიკული ჟილეტი, იმან გამოაძვრინა ზედახორიდან, დაძაგრულ ფეხებს შორის. ვიღაცამ ხელზეც დაადგა ფეხი, მაგრამ მაინც ვერ გააგდებინა ნადავლი. ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული - ჯარისკაცთა ოჯახებს გაუნაწილეს ამერიკული გამონაცვალი ტანსაცმელი. დეიდამ აიჩემა, გინდათ თუ არა, მეც მეკუთვნისო. მაშინ სიმართლე არც არავინ იცოდა, არც არავის აინტერესებდა, ვინ ვისთან დაბრუნდებოდა ომის შემდეგ, თუკი როდისმე ეღირსებოდნენ ომის დამთავრებას. მაგრამ როცა დაინახა, რა ხდებოდა სარდაფში, სადაც ტანსაცმელი ჩაიტანეს, მტკიცედ განაცხადა, ცოცხალი თავით, იქ ჩამსვლელი არა ვარ, სულ რომ ტიტვლები დავრჩეთო. ხალხმა ერთი იხუვლა, სარდაფში ჩაცვივდა და მგლის ხროვასავით მიესია იატაკზე დაყრილ ტანსაცმელს. რაც რამე კარგი იყო, ალბათ წინასწარ ამოარჩიეს იმათ, ვისაც ტანსაცმლის განაწილება ევალებოდათ. ახლა კი გვერდზე გამდგარიყვნენ და, ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი, ღიმილით შესცქეროდნენ ზედახორას. ანარჩევზეც ისეთი ამბავი ატყდა, ახლოს ვერ მიუდგებოდით. ხელიდან გლეჯდნენ ერთმანეთს, ვინ იცის, ვის ნაცვამ შარვალსა თუ პერანგს. პიჯაკსა თუ პალტოს. ნიკომაც დახუჭა თვალი და, როგორც ტალღაში, თავით შევარდა ატორტმანებული, ტლანქი, ბინძური ფეხების ტყეში. შინ რომ მობრუნდნენ და სინათლეზე გაშალეს, მაშინ უფრო მოეწონათ ნანადირევი. მართლაც, რომელიღაც ფრინველს ჰგავს, რა თქმა უნდა, ფერით. მწყერსა თუ კაკაბს. ზურგში კი სლიპინა, შავად მბზინავი სატინა აქვს ჩაგდებული. ჯიბეში ორი თითით თუ ჩაიდებთ და ამოიღებთ რამეს, მაგრამ რას?! ჰაერში უკვე გაზაფხულის სუნი ტრიალებს. იასამანი დაკვირტულა, დაბერილა მიწის წვენით. ნეტავი მომკლა ხის ძირსაო - იმიტომ, რომ ხე სიცოცხლის განსახიერებაა, სიკვდილ-სიცოცხლისა. ერთსა და იმავეს გვიმეორებს სულ და, კარგად თუ დავაკვირდებით, ჩვენც ბევრ რამეს ვისწავლით. ბრძენია. კეთილია. მომთმენია. უსასრულოდ, დაუზარებლად, ყოველწლიურად გვიჩვენებს მთელს ჩვენს გზას, გაჩენიდან გარდაცვალებამდე და გარდაცვალებიდან გაჩენამდე. ნეტავი მომკლა ხის ძირსა, ფოთოლი დამაცვივოსა - ღიღინებს ნიკო გუნებაში, ვითომ პაპას აჯავრებს, პაპას უყვარს ეს სიმღერა და თითქოს სირცხვილია, თვითონაც რომ მოუნდეს სიმღერა. ღიღინებს, ღიღინებს, ერთსა და იმავეს ღიღინებს გუნებაში, სუფთა, კრიალა ჰაერისგან თავბრუდახვეული,

www.Litklubi.ge

სისუსტისა და სიხარულისაგან ათრთოლებული. ხეების ყურება უხარია. რაღაცნაირად ეიმედება, ამდენი ხე რომ დგას იმათ ეზოში. ხის ძირას სიკვდილი ხელმეორედ დაბადებას ნიშნავს ალბათ. ხე ღმერთის სახლია. ხე ყოველ წელიწადს ხელახლა იწყებს სიცოცხლეს და არასოდეს ამთავრებს, არასოდეს ბეზრდება, რადგან, გარდა იმისა, რომ სიცოცხლე უყვარს, ადამიანიც ეცოდება, უნდა, იმასაც ჩაუსახოს ყოველ წელიწადს გულში იმედი. დგას აივანზე, თბილად შეფუთვნილი - ცივ ქვეყანაში გასაგზავნი ხილივით - მზისთვის სახემიშვერილი, და ამგვარი უცნაური ფიქრები უტრიალებს თავში, თითქოს ახლა უფრო მეტი იცის, ვიდრე ამ ერთი თვის წინ იცოდა. თითქოს ეს ერთი თვე კი არ კვდებოდა, ბეჯითად მეცადინეობდა. ერთთვიანმა ავადმყოფობამ თუ ერთთვიანმა სიკვდილმა მართლაც ბევრ რამეზე აუხილა თვალი. რაც მთავარია, ახლა დანამდვილებით იცის, სიცოცხლეც რომ ისევე ძნელია, როგორც სიკვდილი; ერთი რაღაცის ამოხსნას გავალდებულებს, მეორე კი, რაღაცის დაძლევას. ერთიცა და მეორეც ძნელია. მაგრამ მაინც უნდა შეძლო ერთიცა და მეორეც, ამოხსნაცა და დაძლევაც; უნდა ისწავლო, თუნდაც ხისგან, არასოდეს რომ არ შებრუნდე უაზრო, უფესვო ჩვენებებით სავსე წყვდიადში, საიდანაც, ტანჯვა-წვალებით, მაგრამ უკვე ერთხელ და სამუდამოდ, როგორც ქვიდან ქანდაკება, გამოიკვეთა მკაცრი, მყარი, ნათელი სინამდვილე; არასოდეს რომ არ გაგიჭირდეს თავის გამართლება, არა მარტო შემთხვევითი ხალხის, არამედ უფრო მნიშვნელოვნისა და უფლებამოსილის წინაშეც, ვისი არსებობაც, უპირველეს ყოვლისა, თავის მართლების სურვილს გიჩენს სწორედ, უფრო ზუსტად კი - დანაშაულის გრძნობას. ოღონდ, ვერც სახე მიგიცია და ვერც სახელი დაგირქმევია ამ გრძნობის გამჩენისთვის, არ იცი, ვინ შეიძლება იყოს იგი - დედა? მამა? ბებია? პაპა? დეიდა? ელენიცა? მარგალიტა? - თითოეული ცალკე და ყველა ერთად. მაგრამ თითოეულმა ცალკე და ყველამ ერთად იმდენი სევდა-სინანული შეგაწერა სანაცვლოდ, ვერ აუხვალ, ერთი სიცოცხლე არ გეყოფა სადარდელად და სანანებლად. არც ათი გეყოფა. სულ უნდა იდარდო და ინანო, იდარდო და ინანო, განუწყვეტლივ, უსასრულოდ, უსასრულოდ და განუწყვეტლივ, ქვეყნის აღსასრულამდე, რადგან სევდა-სინანული, თავისთავად, ასევე განუწყვეტლივ და უსასრულოდ, რაღაცისა და ვიღაცის ხსოვნასაც გავალდებულებს, თუნდაც, ზემოთ ჩამოთვლილი იმ რამდენიმე ადამიანისა მაინც, რომელთა სახელებიც უკვე გულზე გაქვს ამოტვიფრული, როგორც საფლავის ქვაზე. ესაა შენი დანიშნულება, შენი მოვალეობა, ამისთვის გაგაჩინა ალბათ ბუნებამ, არა მარტო რაღაცის გამგრძელებლად, არამედ, გამხსენებლადაც. მახსოვრობის წყალობით, ხვალინდელში უნდა გადაიტანო დღევანდელი. მომავალს დაახვედრო, რაც დღეს იცი, რაც დღეს გინახავს, რაც დღეს განგიცდია, მოგისმენია და დაგიმახსოვრებია, სამუდამოდ, სამარადჟამოდ გადაქცეულს ხსოვნის ყულაბად, რომელიც თავის ბნელ წიაღში იშვიათ საგანძურს მალავს, ფასდაუდებელ სიმდიდრეს - უახლოესი, უძვირფასესი ადამიანების ბედსა და უბედობას, სიჭკვიანესა და სიბრიყვეს, სიყვარულსა და სიძულვილს... მართლაც, უკვე ბევრი ახსოვს ნიკოს. ბევრი, ყოვლად უმნიშვნელო, ერთმანეთთან ძნელად დასაკავშირებელი წვრილმანიც, რაც თხუთმეტი წლის განმავლობაში, ფაცაფუცით, ხარბად მოუგროვებია ცხოვრების მაგიდაზე, როგორც მშიერს - პურის ფინჩხები, ოღონდ, ის "ფინჩხები" შიმშილის გრძნობას კი არ უკლავს, კიდევ უფრო უმძაფრებს და, ისიც კიდევ უფრო მონდომებით ძაბავს გონებას, კიდევ უფრო მძლავრად ეუფლება ყველაფრის გახსენების, ყველაფრის აღდგენის ჟინი. აი, დედის მუხლებზე დგას და თეთრი პერანგი აცვია - გრძელი, ჩაფართხუნებული. აი, აბანოს კრიალა, ჭრელად მოხატულ იატაკზე დაუსვამთ და მიუტოვებიათ. მხურვალე, წებოვან ბუღში კი ტიტველი ლანდები დაბორიალობენ. აი, ჩაის თვალუწვდენელ პლანტაციაში ჩაკარგულა, დედასთან ერთად. მწვანე ზღვის ფსკერზე სულს ითქვამენ, დასიცხულები. თვითონ ჩაის ბუჩქის პატარა ჩრდილში შეყუჟულა, დედას კი ჭილის ქუდი ახურავს, ფართე ფარფლებიანი. შეწუხებულია. წითლად უღვივის სახე. აი, პირმოკუმული, დაძაგრული, ზურგზე პერანგმიწებებული, იდაყვებით მიიკვლევს გზას თანატოლებში, გააფთრებული იბრძვის, განსაცდელში ჩავარდნილი ნადირივით, რათა საბავშვო ბაღის დიდი დარბაზის სანახევროდ გამოღებულ კარში შეიხედოს როგორმე. სხვებიც იმავე სურვილით არიან შეპყრობილნი, რადგან დარბაზში,

www.Litklubi.ge

კედელზე აბრჭყვიალებული სურათების ქვეშ, მათი მშობლები და მასწავლებლები დამდგარან და... მღერიან. ყველას უნდა თავისი მომღერალი მშობლის დანახვა. უხმოდ, მაგრამ თავგანწირულად იბრძვიან: ღილები აწყდებათ, პერანგები ეფხრიწებათ, ხორცი ეჩეჩქვებათ, მაგრამ, მომღერალი მშობლის დანახვისთანავე, ყველაფერი ავიწყდებათ: აგე, დედაჩემი! პირს რომ აღებს. აი, ისა და მამა ეტლით ბრუნდებიან საიდანღაც. დამეა. თბილი ნიავი პერანგში ჩასძრომია და სასიამოვნოდ უფათურებს ხელებს შიშველ ტანზე. "ხომ ვუტირეთ დედაო" - იძახის მამა. "ხომ ვუტირეთ დედა" - იმეორებს თვითონაც. ორივენი იცინიან. მეეტლე მხარსზემოდან გამოხედავთ ხოლმე და ისიც იცინის. აი, ვიღაცასთან არიან სტუმრად. დედაბერი თავის საწოლში ღამის ქოთანზე დასკუპებულა, საბანი მხრებზე მოუხურავს და საწოლთან გაჩერებულ ქალებს დინჯად, დარბაისლურად ესაუბრება. "...ჩემთვის ტკბილი აღარ არსებობს..." იმ ქალებში დედაცაა. თვითონ კი, მეზობელ ოთახში კატას ეთამაშება. კი არ ეთამაშება, ეომება. ვერაფრით ვერ აუყვანია ხელში - კატა უკანა ფეხებით ებღაუჭება იატაკს და ზამბარასავით იჭიმება, იწელება უსასრულოდ... მაგრამ მახსოვრობის რომელ ერთ ნამტვრევს გამოედევნოს ნიკო, რომელი ერთის აღდგენა სცადოს, ყველა ერთნაირად ძვირფასია და განუმეორებელი. ამიტომ, ჯერჯერობით, გაუშვი, იბორიალონ ასე უთავბოლოდ მის სულსა და გონებაში. მოვა დრო და თვითონ მონახავენ ერთმანეთს, თავისთავად გამთელდებიან, ყამარის ჭურჭელივით, და წკრიალ-ზრიალით მიაშურებენ ცას, მთელ ქვეყანას მოსდებენ ნიკოს ამბავს. აივნიდან კი ქუჩის ნაგლეჯი მოჩანს მხოლოდ. ზევით მთავარი ქალაქია, ქვევით - დაბახანა (ნიკოს კრწანისი) და ხევი. აგე, უპატრონო ძაღლი მიძუნძულებს ხევისკენ, დაბახანისკენ. ძველი ძვალი ეგულება ალბათ, ჯერ კიდევ შარშან გადანახული. ყურშა! ყურშა! - ეძახის ნიკო. არა - ყამარ! ყამარ! ბიჭოს, მოიხედა. თუმცა, ეგ ყველაფერზე იხედება, რაც გინდა დაუძახე, ოღონდ დაუძახე, ოღონდ რამედ ჩააგდე. ასეთია უპატრონო ძაღლის ხვედრი. ვიღაცა შეშააკიდებულ ვირს მოდენის აღმართში, მთავარი ქალაქისკენ, ბაზრისკენ. ლამაზია შეშააკიდებული ვირი. მეტი თუ არა, ერთი თვის სამყოფი სითბო მოაქვს ზურგით და მოაკანტურებს თავს. ცეცხლი ყოველთვის სჭირდება კაცს, გინდა ზამთარი იყოს, გინდა ზაფხული. კვიპაროსზე ჩიტები ჟივჟივებენ. თუთა, შვინდი და ცაცხვი ჯერ ისევ შიშვლები არიან. მაგრამ სიშიშვლე უხდებათ. მზად არიან დასაბანად. სუფთა ტანზე სუფთა პერანგებს გადაიცვამენ და კიდევ უფრო გალამაზდებიან. ვალო ბადალაშვილმა ბებიის შიშით ვერ გაბედა ალბათ მოსვლა. ძალიანაც კარგი, მაინც მუნჯივით იჯდებოდა. ძალით უნდა ამოგლიჯოთ პირიდან სიტყვა. ველურივით მორცხვია. ბოდიშით. ნახვამდით. არ მოვიდა და ნუ მოვიდა. ღმერთმა ხელი მოუმართოს. ღმერთი გადაუხდის. თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი... თუ არადა, რას იზამ, რა გაეწყობა. საინტერესოა, მართლა რომ მომკვდარიყო ნიკო, იმის საფლავზეც იტყოდა ქეთო მასწავლებელი გამოსათხოვარ სიტყვას?! ბოლომდე თუ იტყოდაო - ამის თქმა სურს ნიკოს. ალბათ ვერა. რა მნიშვნელობა აქვს იმისთვის, თენგიზი იწვება კუბოში თუ ნიკო?! ორივე მოწაფეა და ორივე ერთნაირად ცოდოა. უფრო სწორად, ნიკოც თენგიზივით ცოდო იქნებოდა, მართლა რომ მომკვდარიყო. ის კი ჯერ მხოლოდ ემზადება სიცოცხლისთვის, წარღვნას გადარჩენილი, ორგზის შობილი, შემცბარი, დაბნეული, ოღონდ, უვიცობითა და ავადმყოფობიდან გამოყოლილი სისუსტით კი არა, სიბრძნითა და სიჯიუტით, ბუნებისა და ცხოვრების ოხშივრით გაჟღენთილი, გამძღარი. ასე იოლად აღარაფერს და აღარავის წაელეკვინება, რადგან იცის, სიმარტოვე მარტო ყოფნა კი არა, ყველაფრისგან განდგომაა და არაფერი აქვს საერთო დამოუკიდებლობასთან, მით უფრო, თავისუფლებასთან, რადგან დამოუკიდებლობა და თავისუფლება, სწორედ, ცხოვრებისთვის, ბუნებისთვის ფეხის აწყობაა, განსაცდელისთვის თვალის გასწორებაა და არა წუხილით, არამედ საქმით დამტკიცება იმისა, ტყუილუბრალოდ რომ არ გაუღიათ შენიანებს ამხელა მსხვერპლი, ღირსი რომ იყავი არა მარტო გაჩენისა, გადარჩენისაც. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმანაც რაღაცის გადარჩენა დაისახოს მიზნად, თუნდაც ამ ნაზამთრალი ხეებისა, ვიღაცის საფლავისა, გაცრეცილი სურათისა, გაბზარული ფინჯნისა, ხსოვნისა - სულერთია რისა, თუკი ის ნამდვილად მისია, მტკივნეულად, უკიდურესად მისი, მწარეს

www.Litklubi.ge

ახსენებს თუ ტკბილს, როგორც, დავუშვათ, გაყიდული პიანინოს გორგოლაჭებით დაღარული იატაკი. ჰიტლერი ხალხებს უპირებდა თურმე მოსპობას. რასაკვირველია, შეიძლება, ხალხის მოსპობა განიზრახო, მაგრამ შეუძლებელია, შეასრულო კიდეც. მაშინ, ღმერთი არ ყოფილა. არც ადამიანი ყოფილა. არაფერი არ ყოფილა საერთოდ, რისთვისაც ღირს სიცოცხლე, რის გამოც სიკვდილიც კი გვიადვილდება ხანდახან. თუ ძალიან ბრიყვი, ან ძალიან მშიშარა არ არის კაცი, ცოცხალს კი არა, მკვდარს ვერ გაატარებ შენს ჭკუაზე. ნინო წმინდა ვერ ასწიეს, ვერ დაძრეს, მცხეთაში რომ წაესვენებინათ. აქ უნდოდა დამარხვა და იმიტომ. აქაური კვიპაროსები მოეწონა, შეუყვარდა და ვერაფრით ვერ აწიეს ერთი ქალის კუბო, იმიტომ, რომ თავად ქალს, მიცვალებულს, არ უნდოდა. აბა, სხვანაირად მართლაც როგორ უნდა ახსნას კაცმა?! იმისთანა რა სიმძიმე ექნებოდა ერთ ქალს, თანაც წმინდანს. მარტო მხალსა და მაყვალს ჭამდა ალბათ. მაგრამ, რაც გიყვარს, სიყვარულის გამო უნდა გიყვარდეს მხოლოდ და რაც გძულს, ისიც სიყვარულის გამო უნდა გძულდეს. არ უნდა შეეპუო არაფერს, არც გაჭირვებას, არც დამცირებას, არც გაწბილებას, არც დამარცხებას. და, რაც მთავარია, ასევე საჭიროა, სიკვდილამდე, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე გჯეროდეს, შენგანაც რომ შეიძლება მართლა გამოვიდეს "დიდი კაცი"; ეჭვითა და უნდობლობით არ უნდა შეურაცხყო შენი ბავშვობა, არასოდეს არ უნდა დაივიწყო შენი ბავშვობის ბაღი, როგორც არ უნდა გადაასხვაფეროს, გაახმოს, გამოკაფოს იგი დრომ და ომებმა; არ უნდა დაგავიწყდეს მისი მათრობელა მზე, ჟრუანტელის მომგვრელი ჩრდილები, უხილავი, მაგრამ გაუჩუმარი ჩიტები, ლეღვის ხაოიან ფოთლებზე გადაგლესილი აბლაბუდის ნაკუწები და ლეღვის დაბურული, დახუთული, მსუსხავი ბინდიდან მოულოდნელად გამოცხადებული, ძუძუმოშიშვლებული ბოშა ქალი, შენზე რომ თქვა: ეს ბიჭი დიდი კაცი გამოვაო; ერთი ხელით დედაშენს რომ ჩაფრენოდა მაჯაში, თითქოს წაყვანას უპირებდა, მეორეთი კი, თავისი, შენზე პატარა ბავშვი ჰყავდა ატატებული, ლეკვივით ბინძური და მოუსვენარი, წარამარა რომ ეტანებოდა დედამისს გაშიშვლებულ ძუძუზე, სანამ დედამ მკვახე ლეღვი არ შეაჩეჩა ხელში, სანამ იმ მკვახე ლეღვის გადატეხილი ყუნწიდან უზარმაზარი, დაბუშტული რძის წვეთი არ ამოიზარდა, რომლის თვალისმომჭრელმა სინათლემ თანდათანობით გადალეკა ყველაფერი. კი არ გადალეკა, შენიღბა, ავ თვალს გაარიდა, უკეთესი დღისთვის გადამალა რძის სითეთრეში, რძის წიაღში, რადგან ახლა, შენი საბოლოო დაბადების დღეს, პირველყოფილი სიცხადით აღედგინა, საჩუქრად მოერთმია შენთვის, დაებრუნებინა, როგორც ერთადერთი და კანონიერი პატრონისთვის. "შემოხვალ, თუ მანდ მოგიტანო რძეო" - გეძახის ბებია. გული სიხარულით გებერება, სიამაყით ივსები. დიახაც, რომ კანონიერი და ღირსეული პატრონი ხარ ყველაფრისა, რაც წარღვნას გადარჩენია. მაღალი კოშკის ქონგურიდან თავის სამფლობელოს გადასცქერის დიდი ფეოდალი. ყველას ეშინია მისი, ყველანი პატივს სცემენ, იმიტომ კი არა, რომ მკაცრია, იმიტომ, რომ სამართლიანია და, რაც მთავარია, იცის თავის ფასი. მანდ მოგართვათ თუ შემობრძანდებითო - ასე ელაპარაკებიან. სხვებიც ისე მოგექცევიან, როგორც თავს დაიჭერ. "აქ მომართვითო" - მხარს ზემოდან გასძახის ნიკო ბებიას. რაც შეიძლება, ხშირად მიეცით რძე, თაფლი და კარაქიო - თქვა ექიმმა და თვითონვე გაიცინა, დიდხანს იხიხინ-იქოშინა, მაგრამ ბებია გაუჩენარს გააჩენს, ფრთხილად მოაქვს ლამბაქზე დადგმული რძით სავსე ჭიქა, თითქოს ნებზე დასკუპებული ჩიტი მოჰყავს, ნიკოს რომ აჩვენოს, და ეშინია, არ გამიფრინდეს იქამდეო. კოვზს გზადაგზა ურევს ჭიქაში. მოწკარუნობს, ეჟვნიან თხასავით. ძუძუებით რძე მოაქვს, პირით ბალახი. თაფლითა და კარაქით გასქელებული რძე ზანტად ბრუნავს, ქაფს იკეთებს, ჩინჩხლებს ისვრის. რძის ერთი სქელი, ზარმაცი წვეთი ბებიას დასცემია ხელზე. ჭიქას აივნის მოაჯირზე დგამს და კატასავით ნელა, გემრიელად ილოკავს ხელზე დაწვეთებულ რძეს. ნიკოს ნაზი, მოალერსე სევდა ეუფლება უცებ, სასიამოვნოდ უღიტინებს სასულეში - მოგონებების აღმძვრელი, შორეული, თითქმის დავიწყებული დღეების ისევ უკან დამბრუნებელი, ბავშვობის დროინდელი მატარებელივით გრძელი, უსასრულო, გატრუნული, მომლოდინე, დამამშვიდებლად მწვანე და მაინც ამაფორიაქებელი, ათასნაირი ფიქრის, ათასნაირი განცდის გამღვიძებელი. ეს ნიკოს მატარებელია, ნიკოს ბავშვობის მატარებელი. მაგრამ უკვე ცარიელი, ჩიხში გადაყენებული. ყველა სარკმელში სიცარიელის ტყუპისცალი ჩასახლებულა.

www.Litklubi.ge

უგრძნობელი, უფერული, გულგრილი ტყუპები შემოსცქერიან ფანჯრებიდან. ეს მატარებელი აღარსად არ მიდის. როგორ თუ არ მიდის? რამ გააჩერა? რამ დააცარიელა ასე? აქამდე ხომ ამ მატარებლით მოვიდა ნიკო? რაღაცა მოხდა ნაადრევად. გაუთვალისწინებლად გააჩერა რაღაცამ თუ ვიღაცამ. სხვა მატარებელი გაატარეს, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, ჯარისკაცებით, ტანკებით, ქვემეხებით დატვირთული, უფრო საჭირო, უფრო აუცილებელი, ვიდრე ერთი ბავშვის ბავშვობაა. ნიკო მაინც ჯიუტად აკვირდება თვალებში უზრუნველ ტყუპებს - იქნება რამე წამოაცდენინოს, იქნება მათი გამოცარიელებული თვალების მიღმა კიდევ გადარჩა რამე, კიდევ შეიძლება რამის დანახვა. ტყუილია, უკვალოდ არ ქრება არაფერი, თითქოს არც ყოფილაო. აი, კატასავით ზანტად, მადისაღმძვრელად აილოკა ხელზე დაწვეთებული რძე. სუფრაგადაფარებული მაგიდა აივანზე დგას. ფორთოხლისა და ლიმონის ხეებს ლამის მაგიდაზე დაუწყვიათ მწვანე, ხასხასა ტოტები. ჰაერი მათი მძაფრი, ნაზად მძაფრი, გულის სიღრმეში ჩამწვდომი სურნელებითაა გაჟღენთილი. სადღაც ჩიტი უსტვენს. სუფრაზეც უცნაური ჩიტებია ამოქარგული, უცნაურად გრძელკისერა, უცნაურად ბოლოგაფოფრილი. სუფრას მზე მისდგომია, თვალისმომჭრელად აბრჭყვიალებს ფინჯნებს, ლამბაქებს, კოვზებს, სარძევეს, საკარაქეს, საშაქრესა და შაქრის ფხვნილის წვრილ მარცვლებსაც, სუფრაზე რომ დაეფანტა წედან ნიკოს, როცა დედას არ დააცალა და თავისით მოინდომა ჩაის დაშაქვრა. ჯერ კიდევ ორთქლი ასდის დაბრაწულსა და ხორკლიან ბუბლიკს. თითო იმხელაა, თავისუფლად ჩამოიცვამს ნიკო თავზე. მამა უკვე ფეხზე წამომდგარი სვამს ჩაის ბოლო ყლუპს. გედივით ქათქათა ხელსახოცით იმშრალებს ტუჩებს. დაფუშული, ფრთებჩამოყრილი ხელსახოცი მაგიდაზე ეცემა. ხოლო, მამა ჯერ დედას კოცნის, მერე შვილის კინკრიხოზე აფათურებს თითებს და სამსახურში გარბის. დედა კატასავით ზანტად, კატასავით ნებივრად ილოკავს ხელზე დაწვეთებულ რძეს და იღიმება. სადღაც ჩიტი უსტვენს. სუფრაზეც უცნაური ჩიტებია ამოქარგული - ყელმოღერებული, ბოლოგაფოფრილი. აივნის მოაჯირზე სათამაშო თოფია მიყუდებული. წითელი აბრეშუმის ღვედი უსიცოცხლოდ ჩამოკონწიალებია ზედ. "დედა" - ეძახის ნიკო აქედან, სიღნაღიდან. დედა იხედება, მაგრამ ვერ ხედავს ნიკოს, უბრალოდ, აქეთ იხედება, სიღნაღისკენ. მერე, ცოტა ხანს, სიცარიელეა: უჩინარი ჩიტის სტვენა და მოხასხასე, მზეზე აბრჭყვიალებული ტოტები. ეზოს მწვანე, ნესტიანი წიაღიდან მოულოდნელად დანახული მამა. უფრო სწორად, მამის გოროზი თავი, ქვითკირის ღობეს ამცდარი (მეც ამ სიმაღლე გავიზრდები). სამსახურიდან მოისწრაფის. აუცილებლად, ცოლ-შვილთან ერთად უნდა ისადილოს. ხოლო, ნასადილევს - მკვდარი საათი - მტანჯველი, გაუთავებელი, უსაშველოდ ცოცხალი: ათასნაირი ხმით, სურნელით, სურვილით, ოცნებით, განზრახვით, წარმოდგენითა თუ ჩვენებით გატენილი. მერე ისევ სიცარიელეა, გაუგებარი, ძნელად დასამახსოვრებელი. კოპწია ლილიპუტები და უზარმაზარი, ვარდისფერი, გაპუდრული გოლიათები ცირკის არენაზე. "ბაბალიკაშვილი. ბაბალიკაშვილი". ქუჩაში გოლიათი მოაბიჯებს, გაფაციცებული, ემანდ, ფეხი არ დავაბიჯო ვინმესო. ნიკოს ახლა ეცინება მაშინდელ შიშზე, ახლა უნდა უთხრას, დღევანდელმა, მაშინდელს - ჩვეულებრივი ადამიანისა გეშინოდესო, ჩვეულებრივისა, რომელსაც ბუნება კი არა, ცხოვრება ალილიპუტებს ანდა აგოლიათებსო. მაგრამ ეს რომ უთხრას, დათვურ სამსახურს გაუწევს დღევანდელი მაშინდელს. ისევ ის უსაფუძვლო შიში ერჩივნოს იმას, ის უფრო შეეფერება, სამარადისოდ ჩარჩენილს დედის ნაქარგი ჩიტების, ხმელი ფოთლების გვირგვინებისა თუ ერთნაირად ყოყლოჩინა ლილიპუტებისა და გოლიათების ქვეყანაში, სადაც ჯერ არ დაუყეფია ომის ქოფაკს, სადაც ჯერ კიდევ არ ჩაულეწია პატარა, მშვიდი, უწყინარი სახლის კრამიტი ჭურვის ნამსხვრევს, სადაც ჯერ კიდევ ძნელი წარმოსადგენია რიგში ჩამდგარი, დანომრილი ხალხი, ერთმანეთს მიჯახებული ცარიელი ბიდონების ჟღრიალი, მთვრალი მეზღვაურები, ძირფესვიანად მოთხრილი ლიმონისა და ფორთოხლის ხეები, თავშესაფრის ორმო და ორმოში ჩამდგარი, ნიჩბის ტარზე დაყრდნობილი, ქანცგაწყვეტილი კაცი, უნებლიე ცოდვილი, უსიამო წინათგრძნობით შეძრული, თავის სიმდაბლეში დაეჭვებული და მაინც მოუთმენლად მომლოდინე შიმშილმისჯილი ბავშვის ულუფისა; სადაც ჯერ არ ითვლება დანაშაულად სინათლის ანთება და, რასაკვირველია, ჯერ არც თავზე ბრეზენტწაფარებული,

www.Litklubi.ge

წვიმის მოთქარუნე ფლოქვების ქვეშ წაკუზული უბნის რწმუნებული დასდევს აქა-იქ გამოჭყეტილ სინათლეს, როგორც ბავშვი - პეპელას. "გაგიცივდა რძეო" - ეუბნება ბებია ნიკოს, ფრთხილად, გაუბედავად. თითქოს ატყობს, აქ რომ არ არის და თითქოს არ უნდა, ერთბაშად დააბრუნოს აქ. ჭიქას გამდნარი, ყვითლად მბზინავი კარაქი მოუგდია თავზე. ნიკო ცხვირშეჭმუხნული სვამს, მაგრამ სიამოვნებს თბილი, ტკბილი, მსუყე ყლუპი. მერე ისევ სიცარიელეა და გამწარებული, ექვსი წყვილი ხელით ნაცემ-ნაგვემი პიანინოს გაუთავებელი მოთქმა-ტირილი. სიყვარულის იდუმალება თითისწვერებზე შემოდის სახლში. კი არ შემოდის, მოიპარება - მამიდისა ეშინია, მამიდის სახაზავისა. და აი, პირველი შიკრიკიც გარე სამყაროდან: უშნო, მეჭეჭიანი ნარინჯი - დანამული, მთელი ღამე ეზოში ნაგდები. გამოტყდით რომლისაა! გამოტყდით-მეთქი, თქვენი ნებით! ისინი კი მხრებს იწურავენ და ერთმანეთს შესცქერიან, გულუბრყვილოდ გაოცებულნი. მორჩილად ჩამოუშვიათ ახალი შებუმბლული ფრთები. გულში კი, ვინ იცის, ექვსივე ერთნაირად ნატრობს, ნეტავი ჩემს სახელზე იყოს გადმოგდებულიო. გინდა იმათ სახელები ჩამოგითვლია და გინდა წაგიმღერებია: ნია, მია, ნატული, დადა, დოდო, ტატუ. რასაკვირველია, ყველა კონსულს ვერ წაყვება. სად არის ამდენი კონსული. ბიძა ულვაშებში იღიმება, თითქოს იმას სრულებითაც არ ეხება ეს ამბავი. მისი ცოლ-შვილი კი მაგიდის გარშემო დარბის. მახვილივით შემართული სახაზავი შხუილით აპობს ჰაერს. უზარმაზარ კარადაში ჭურჭელი წკრიალებს. მაგრამ მაინც ყველაფერი ისე მოხდება, როგორც უნდა მოხდეს. მერე - წვიმიანი, ნაცრისფერი დილაა და აფორიაქებული, შეშფოთებული უფროსები. ერთხელ ვიღაც ნათესავი გარდაეცვალათ სხვა ქალაქში (ანდა სოფელში) და მაშინაც ასე აფორიაქდნენ, ასე შეშფოთდნენ ყველანი. მამა მაგიდასთან იჯდა და დეპეშის ტექსტს ადგენდა. დანარჩენები, კისერდაგრძელებულნი, ადევნებდნენ თვალს მამის ხელს. აბა, კიდევ გაიხსენეთ, ვინმე ხომ არ გამოგვრჩა? ბავშვები არ არის საჭირო. იმ დილას კი, პირიქით, ბავშვებს რა ვუყოთო, სად დავმალოთო - ყველა ამას კითხულობდა. ბავშვები ფეხსადგილში! ფეხსადგილის ორმოში! იქ ვერ იპოვიან. აი, საიდან იღებს შიში სათავეს - ფეხსადგილის ორმოდან, რომელშიაც ბავშვები უნდა დამალონ. მერე კი მართლა აღარაფერია - პურის რიგი, ნავთის რიგი, პურის რიგი, ნავთის რიგი. ცარცით დანომრილი ზურგები, ბიდონები, ქვები. გათოშილი ფეხები. დაბეგვილი გვერდები, თავშალგადამძვრალი, სახეზე თმაჩამოშლილი, გადაფითრებული ქალი, რომელსაც ვერაფრით დაუმტკიცებია, დაკავებული რომ ჰქონდა რიგი, ერთი წუთით რომ გამოვიდა რიგიდან. სანიტრები მამას ეტლში სვამენ. მამა აქეთ-იქით იყურება, დარცხვენილი, დაბნეული, როგორც პატიმარი განაჩენის გამოტანის შემდეგ, თავისიანებს რომ დაეძებს სასამართლოს დარბაზში - არ დაიჯეროთ, მართალი ვარ. ყველა თავისებურად მართალია. დედაც ეტლში ჯდება. ისიც აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თითქოს საკუთარი ხელით ამოქარგული ჩიტები გაფრენია. ეტლი მიდის. მთელ ქუჩას ჩირქისა და წამლის მძაფრი სუნი ეფინება. ჭიშკართან ბავშვი დგას და ეტლს გასცქერის - უზრუნველი, უპატრონო ლეკვი. ჯერ კიდევ ბავშვი. რამდენიმე წუთის შემდეგ, მთელ სახლს ყირაზე დააყენებს, თავისუფლებისა და უპატრონობის შეგრძნებით აღგზნებული, და კარადის ყველაზე ქვედა უჯრაში მაინც მიაგნებს, მაინც აღმოაჩენს ომამდელ კანფეტებს. გაფრენილ დღეებს ჩამორჩენილი ბარტყი კუთხეში მიყუჟულა, ხოლო საავადმყოფოდან მობრუნებული, წვიმაში მოყოლილი, თავფეხიანად გაწუწული დედა, სკამის კიდეზე ჩამომჯდარა, თითქოს ერთი წამით, სულის მოსათქმელად, როგორც ჩიტი - მავთულზე. კბილებით საკუთარ მუშტს ჩაჰფრენია, წყევლისა და ყმუილის შესაკავებლად. მერე კი, სულ ერთი და იგივე დღეა. ერთი და იგივე დღე და ერთი და იგივე ღამე. ნავსადგურის ღმუილი. სანიტარული მატარებლის მოულოდნელი შეკივლება. კარადის თავზე ურჩხულების, ჯოჯოების, გველების ზედახორაა. ყუმბარის ნამსხვრევით ჩალეწილი კრამიტის წკრიალი - ძილში ჩასმენილი თუ ძილშიც ჩაყოლილი. ჩააქრეთ სინათლე! ჩააქრეთ სინათლე! შენი ხმა გაწყდა ამ ქვეყანაზე. ძირფესვიანად მოთხრილი ლიმონისა და ფორთოხლის ხეები ბიძას ღობის ძირში მიუყრია. დაგრეხილი, ჯერ კიდევ სველი ფესვები მკვდარი თევზის (კატრანის) ულვაშებს ჰგავს. შემაძრწუნებლად მოტიტვლებულ ეზოში უზარმაზარ ორმოს დაუღია პირი. შიგ ბიძა ჩამდგარა - მოტეხილი (უნებლიე

www.Litklubi.ge

ცოდვისგან), გადასხვაფერებული უაზრო შრომისგან. კი არ შრომობს, სასჯელს იხდის. არავის არ სჭირდება, რასაც აკეთებს. - "მე არაფრად არ მჭირდება შენი თავშესაფარი, - ეძახის მამიდა აივნიდან - ცოცხლად არ დავიმარხავ თავს". თავშესაფარში, მართლაც, სამარისებური სიბნელეა. დამპალი ფიცრისა და ნოტიო სილის სუნი დგას. შმორის სუნი. მაგრამ იმ აშმორებულ წყვდიადში ელენიცა შეყუჟულა და, თავისი ჭკუით, ბოშებს ემალება. თავშესაფრის წყვდიადსაც არ შეუძლია მთლიანად გადაშალოს იმის ბაფთებიანი კაბის სითეთრე, შმორის სუნსაც არ შეუძლია, მთლიანად გააქარწყლოს შემწვარი თევზის სუნი - ელენიცას სუნი. ნიკო არა მარტო ხედავს, ესმის კიდეც, როგორ უცემს ელენიცას მხდალი გული. "მე მალე მომიტაცებენ, - ამბობს ელენიცა და იღიმება. - სადაც არ უნდა დავიმალო, მაინც მიპოვნიან". ჭიქის ფსკერზე ჩარჩენილ რძეს ბებია თვითონ სვამს და მიდის, ჭიქიან-ლამბაქიან-კოვზიანად. მიწკარუნობს ნიკოს მარჩენალი, ნიკოს ამალთეა. ნიკო კი ისევ აივანზე დგას და ისევ მზეს უჭუტავს თვალებს. მთელი არსებით იწოვს, ისრუტავს მათრობელა სიცოცხლეს, ერთთვიანი სიკვდილით დაბრძენებული, დაკაცებული. მაგრამ დაკაცება ბავშვური გულუბრყვილობის, ბავშვური სისუფთავის შენარჩუნებასაც გულისხმობს - რასაც ბავშვობით მოვიპოვებთ, სიკვდილამდე ჩვენი საკუთრებაა. ისაა მთელი ჩვენი სიმდიდრე, ანუ, ჩვენი მადლი, ყველაზე საიმედო ადგილას, ისევ ჩვენს საკუთარ ბავშვობაში გადამალული. იმ მადლის წყალობაა, კვირტები რომ სკდებიან, ბალახი რომ ამოდის, ჩიტები ჟივჟივით რომ ეხვევიან ერთმანეთს და ჩვენს თვალწინ, ჩვენი თანდასწრებით უყრიან საფუძველს ახალ სიცოცხლეს. ცოტაც და, ისევ ამოივსებიან ბუდეები ჭორფლიანი, კრიალა კვერცხებით. იოსებას კი ქვაზე ჩამოუდებინებია სიძველისგან გაპრიალებული, დაბზარული ხელნისთვის თავი. ხელნაზე ოფლისაგან გამოშავებული ფალნები, დაბრეცილი ტყავის ღვედები და ეჟვნიანი აღვირები ჰკიდია. ეზოს ერთ კუთხეში ცხენები მიყუჟულან, მეორეში - ბრმები თოკსა გრეხენ. თვითონ იოსება თავლას ასუფთავებს. თავლის მოღიავებულ კარში ცხენის შარდის, ჩონჩორიკისა და ნესტიანი თივის სუნი ნისლივით გამოდის. კართან ჩონჩორიკის მთელი ზვინია დახვავებული. რა ყოფილა სიყვარული, ახლა გავიგეო - მღერის იოსება თავლაში. დედა ცხენი მიწას ჩასცქერის, გარინდებული დგას, თითქოს უსმენს და გაეგება კიდეც პატრონისა. კვიცი ცქმუტავს, მალ-მალე აიღერებს ხოლმე თავს და დედის თეძოს აწყდება. თითქოს აღშფოთებულია, მისი და დედამისის სიბინძურე ასე საქვეყნოდ რომ გამოუმზეურებია იოსებას. არადა, გუშინდელ დღესავით ახსოვს ნიკოს იმის დაბადება. გიჟივით შევარდა თავლაში, მაგრამ პირველად ვერაფერი დაინახა თბილსა და ნოტიო ბინდბუნდში. აგე, აგეო - თითი მიუშვირა იოსებამ და მხოლოდ მაშინ შეამჩნია - დედა ცხენი შფოთავდა, ფრუტუნებდა, ის კი მოკუნტული იწვა დედის ფეხებთან, ნამჯაზე, და საკუთარ თეძოზე ჩამოედო სველი, გაბურძგნული ჩიჩვირი. ახლა კი ქალიშვილობს, ედიდგულება იოსებას - ოჯახის ბოქაული. ნუ აქცევ ყურადღებასო - გადაულაპარაკებს ხოლმე დედა ცხენი და ჭაღარაგარეულ კუდს ნაზად, დამამშვიდებლად სცემს გრძელსა და დაძაბულ კისერში. კვიცი ცოტა ხნით მშვიდდება. დედასავით ირინდება, თითქოს ისიც იოსებას სიმღერამ გაიტაცაო. ახლა ორივენი მიწას ჩასცქერიან. ხანდახან, თავისთავად თუ შეუკრთებათ ზურგზე ან გავაზე კუნთი, მბზინავი, გლუვი ტყავის ქვეშ. მზეზე თბებიან. ნიკოსავით. თავი ისე უჭირავთ, თითქოს არაფერი აკავშირებთ არც თავლის წინ დაზვინულ ჩონჩორიკთან, არც კარმოღებულ თავლასთან და არც თავლის ნესტიან წყვდიადში ამღერებულ კაცთან. ახლა გავიგე, ახლა გავიგე, ახლა გავიგე - მღერის იოსება. ბრმები თოკსა გრეხენ. ღრჭიალებს თოკსაგრეხი ჩარხი. ერთი ჩარხის სახელურს ატრიალებს, ორს - ჩარხის ჩანგლებზე გამობმული, სქელი, ბუსუსიანი ძაფების ბოლოები უჭირავს, მეოთხე კი, სავარცხლისმაგვარ ხის ხელსაწყობს დაატარებს ძაფებში, ზევით-ქვევით, და იმ სავარცხლისმაგვარი ხელსაწყოს კბილებში მოქცეული ძაფები მჭიდროდ, საიმედოდ ერთდებიან, ერთიანდებიან. ლომს დააბამენ. გამზადებული თოკი ძირში შეჭრილი ნაწნავივით გდია მიწაზე. ჩარხთან დოქი დგას, დოქს ცალი გვერდი ჩამოსველებია, ან ახლახან აუვსიათ, ან ახლახან დაულევია იქიდან ვიღაცას წყალი. ოთხი უჩუმარი კაცი თავაწეული შრომობს. შრომობს და თან ღმერთს შესცქერის - ფუტკარივით მუყაითი და ფუტკარივით ჭკვიანი. გამოზომილია, გამიზნულია ყოველი მათი ნაბიჯი,

www.Litklubi.ge

მოძრაობა. არაფერი არ ეშლებათ, თუმცა, ვერაფერს ხედავენ. ოთხივეს ერთნაირად აუწევია თავი, ცისთვის მიუპყრია უსარგებლო თვალები. ღმერთს მაინც ვერ დაინახავენ. თითქოს რაღაცას უსმენენ. თითქოს იოსებას ხრინწიან სიმღერასა და ჩარხის ღრჭიალში, კიდევ სხვა, მათთვის უფრო მნიშვნელოვანი ხმის გამორჩევას ცდილობენ. ალბათ იმის ხმისა, თვალის მაგივრობას რომ უწევთ. ერთნაირად ახამხამებენ ქუთუთოებსაც. ქვებივით გამომშრალი, არაფრის მაქნისი გუგების უნებლიეთ შემაძრწუნებელი სითეთრე იელვებს ხოლმე. ძმები არ არიან. მაგრამ ძმებსა ჰგვანან, ერთი დედ-მამის შვილებს კი არა, ერთი და იმავე წყვდიადის ბინადრებს. ფუსფუსებენ, ქმნიან - მწერის სიჯიუტით, მწერის მუყაითობით, მწერის საზრიანობით. ქვეყანას ვერ ხედავენ, მაგრამ ქვეყანას სჭირდება მათი ნახელავი - ათასი რამეა ამ ქვეყანაზე დასაბმელი, გადასაბმელი, შესაკვრელი, შესაფუთი, დასაკიდი... თავადაც თოკით უკავშირდებიან ქვეყანას, თოკს დაჰყვებიან აღმა-დაღმა, როგორც ერთ გაუთავებელ ფიქრს. ხოლო, მარგალიტას თავისი აივნის მოაჯირზე წითელპირიანი საბანი გადმოუფენია და შვინდის სახრით ფერთხავს. საბნიდან წამოშლილი მტვერი ოქროსფერ შარავანდედად ადგას თავზე. ხელის ყოველ მოქნევაზე, ერთს მოკლედ, მოწყვეტილად ამოიგმენს ხოლმე ჰაერი. მოშილიფებულ კაბაში კი მკვეთრად ინაკვთება ჯანსაღი, ხორციანი სხეული. ახლა გავიგე, ახლა გავიგეო - ხმას აკანკალებს იოსება. ეზოს კუთხეში მიყუჟული ცხენები მიწას ჩასცქერიან. გარინდულნი დგანან. ორივე ცხენს, დედასაც და შვილსაც, ერთნაირად უკრიალებს დიდი, დანამული თვალები.